

სახელმწიფო გამომცემლობა
„საბჭოთა საქართველო"
თბილისი — 1960

ილუსტრაციები ჩეხი მხატვრის

ი ო ზ ე ფ ლ ა დ ა ს ი

წინასიტყვაობა

დიად ეპოქას დიდი ადამიანები ესაჭიროება. ქვეყნად უცნობი, თავმდაბალი გმირები არსებობენ, რომლებსაც ნაპოლეონის დიდება არ დაუმსახურებიათ. ისტორია მათ შესახებ არაფერს ლაპარაკობს. მაგრამ თუ გულდასმით შევისწავლით მათ საქმეებს, დავრწმუნდებით, რომ მათი დიდება თვით ალექსანდრე მაკედონელის სახელსაც კი დაჩრდილავს. ჩვენს დროში პრაღის ქუჩებში შეხვდებით ღარიბულად ჩაცმულ ადამიანს, რომელიც თვითონაც ვერ გრძნობს, თუ რა უზომო ღვაწლი მიუძღვის მას ახალი, დიადი ეპოქის ისტორიაში. იგი მოკრძალებით მიდის თავისი გზით, არავის თავს არ აბეზრებს, მაგრამ არც მას ეხვევიან ბუზებივით ჟურნალისტები ინტერვიუს თხოვნით. ამ ადამიანს რომ მიმართოთ—გვითხარით, გეთაყვა თქვენი გვარიო, იგი უბრალოდ და მორიდებით გიპასუხებთ: — „შვეიკი გახლავარო“.

და მართლაც ეს ჩუმი, მოკრძალებული ადამიანი, გაცვეთილ ტანსაცმელში — ძველი ყოჩაღი ჯარისკაცი შვეიკი გახლავთ, მამაცი გმირი, რომლის სახელი ჯერ კიდევ ავსტრია-უნგრეთის მონარქიის დროს პირზე ეკერა ჩეხეთის სამეფოს ყველა მოქალაქეს და რომლის დიდების მზე რესპუბლიკაშიც არ ჩაესვენება.

მე გულწრფელად მიყვარს ყოჩაღი ჯარისკაცი შვეიკი. მკითხველებს ვთავაზობ მის თავგადასავალს მსოფლიო ომში და დარწმუნებული ვარ, ყველანი სიმპათიის გრძნობით განიმსჭვალებიან ამ უცნობი, თავმდაბალი გმირის მიმართ: შვეიკს ცეცხლით არ გადაუბუგავს ქალღმერთის ტაძარი * ეთესში, როგორც ეს ბრიყვმა ჰეროსტრატემ * ჩაიდინა იმ განზრახვით, რომ გაზეთებსა და სასკოლო ქრესტომათიებში მოხვედრილიყო.

და მარტო ეს კმარა შვეიკის სასახელოდ.

ავტორი

ნაწილი პირველი

ზეკოგში

თავი I

როგორ შედგა ფეხი ყოჩაღმა ჯარისკაცმა შვეიკმა მსოფლიო ომში

— მოგვიკლეს ჩვენი ფერდინანდი, — აცნობა ერთ დილით ახალი ამბავი შვეიკს მისმა მსახურმა დედაკაცმა.

შვეიკი ამ რამდენიმე წლის წინათ სამხედრო სამედიცინო კომისიამ იდიოტად სცნო, ამის გამო სამხედრო სამსახურიდან გავიდა და ძაღლებით ვაჭრობას მოკიდა ხელი — უჯიშო სახიჩარ ორტაბახებს შთამომავლობის ყალბ მოწმობებს უთხზავდა და ჯიშიან ძაღლებად ასაღებდა.

გარდა ამისა, იგი რევმატიზმით იყო დაავადებული, და ახლა იჯდა და ოპოდელდოკით* მუხლებს იზელდა.

— რომელი ფერდინანდი, პანი მიულერ? — შეეკითხა შვეიკი, თან მუხლების ზელას განაგრძობდა. — მე ორ ფერდინანდს ვიცნობდი. ერთი მათგანი ფარმაცევტ პრუშთან მსახურობდა და ერთხელ იქ შეცდომით მთელი ბოთლი თმის გასაზრდელი სითხე დალია.

ჯიდევ არის ფერდინანდ კოკოშკა, აი ის, ძაღლის მჩორეს რომ აგროვებს. მართალი გითხრათ, არც ერთი მათგანის სიკვდილი არ მანაღვლებს.

— არა, ჩემო ბატონო, ერცჰერცოგი ფერდინანდი * მოჰკლეს, აი ის, კონოპიშჩეში * რომ ცხოვრობდა, ჩასუქებული, ღვთის მორწმუნე...

— ღმერთო ჩემო, — წამოიძახა შვეიკმა, — ეს რა მესმის! კი მაგრამ სად შეემთხვა ეს უბედურება პან ერცჰერცოგს.

— სარაევოში გამოასალმეს წუთისოფელს. რევოლვრით მოჰკლეს. თურმე ავტომობილში მჯდარა თავის ერცჰერცოგინიასთან ერთად.

— რას ამბობთ, პანი მიულერ, ავტომობილში? რა თქმა უნდა, ასეთ დიდკაცს ავტომობილით სეირნობა შეჰფერის, მაგრამ, ალბათ, არც კი იფიქრა, რა უბედურება მოჰყვება ხოლმე ამგვარ გასეირნებებს. ისიც სარაევოში! სარაევო ხომ ბოსნიაშია, პანი მიულერ, და ეს მკვლელობა, ჩანს, თურქებმა ჩაიდინეს. რას ვემართლებოდით, ბოსნია და ჰერცეგოვინა რომ წავართვით*... ხედავთ, რა ამბები ხდება, პანი მიულერ, ერცჰერცოგმა, მაშასადამე, სული განუტევა, არა!

— პან ერცჰერცოგი იმწამსვე გათავდა, თურმე, ბატონო ჩემო. რევოლვერი სახუმარო როდია. ამას წინათ აქ, ჩვენთან, ნუსლეში ერთი კაცი რევოლვერით ერთობოდა და მთელი ოჯახი ამოწყვიტა, ზედ კარისკაციც მიაყოლა, რომელმაც თურმე ამ დროს გარეთ გამოიხედა, ერთი გავიგო ვინ არის, მეოთხე სართულიდან რომ ისვრისო.

— ზოგიერთი რევოლვრიდან, პანი მიულერ, ბევრიც რომ ეცადოთ ერთ ტყვიასაც ვერ გაისვრით. ასეთი სისტემის რევოლვრები რამდენიც გნებავთ — იმდენია. მაგრამ პან ერცჰერცოგისთვის უთუოდ განსაკუთრებული სისტემის იარაღს შეიძენდნენ. გარდა ამისა, ნაძლევს დავდებ, რომ ის კაცი, რომელმაც ესროლა, ამ შემთხვევისთვის განსაკუთრებულად მორთულ-მოკაზმული იქნებოდა. ცხადია, ერცჰერცოგის საიქიოს გასტუმრება არც ისე იოლი საქმეა. ეს ისე როდია, ვიღაც მაწანწალამ მეტყვევე მოჰკლას. მთელი საქმე ისაა, როგორ მიაღწევ ერცჰერცოგამდე. ასეთ დიდკაცთან ძონძებში გამოხვეული ვერ მიხვალ. აუცილებლად ცილინდრი უნდა გეხუროს, თორემ პოლიციელი უმალ ხელს წაგავლებს.

— ამბობენ, ბატონო ჩემო, უამრავი ხალხი იყოო.

— თავისთავად ცხადია ასე იქნებოდა, პანი მიულერ, — კვერი

დაუკრა შვეიკმა და მუხლების მასაესაც მორჩა. — მაგალითად, თქვენ რომ ერცჰერცოგის ან ხელმწიფე-იმპერატორის მოკვლა მოგესურვებინათ, უთუოდ ვინმეს რჩევას ჰკითხავდით. ერთი ჭკუა კარგია, ორი — უკეთესი. ერთი ერთს გირჩევს, მეორე — მეორეს და „გზა გახსნილია წარმატებისკენ“, როგორც ჩვენს ჰიმნში ვიმღერით ხოლმე. მთავარია — ალღო აუღო, როდის ჩამოივლის ასეთი დიდი კაცი. ხომ გახსოვთ, პან ლუკენი, რომელმაც ქლიბი ჩასცა ჩვენს დედოფალ ელისაბედს * და მოჰკლა. ლუკენი მასთან ერთად დასეირნობდა ხოლმე. ჰოდა, მოდი ამის შემდეგ და, ვინმეს ენდევ! მას აქეთ არც ერთი დედოფალი აღარ დადის სასეირნოდ! ასეთი რამ კიდევ ბევრს მოუვა. აი, სახავთ. პანი მიულერ, რუსეთის მეფედედოფალსაც მისწვდებიან და, შეიძლება, ღმერთმა დაგვიფაროს, ჩვენს ხელმწიფე-იმპერატორამდეც მიაღწიონ, რაკი მისი ბიძისგან * უკვე დაიწყეს... იმ მოხუცს ბევრი მტერი ჰყავს, გაცილებით მეტი, ვიდრე ფერდინანდს ჰყავდა. ამას წინათ სამიკიტნოში ერთი პანი გვიამბობდა: „მოვა დრო და, ამ იმპერატორებს ტახტიდან ერთიმეორეს მიყოლებით კისრისტეხით გადმოყრიანო. მათ თვით სახელმწიფო პროკურატურაც ვეღარ უშველისო“. მერე აღმოჩნდა, რომ ამ კაცს თურმე ლუდის ფულიც არ გააჩნდა და მიკიტანმა პოლიციელს დაუძახა. ამისთვის მიკიტანს იმ კაცმა ერთი მაგარი სილა აკრა, პოლიციელს კი ორი უთავაზა. მერე ის კაცი გამოსაფხიზლებლად ხელურმით * წაიყვანეს. დიახ, პანი მიულერ, ჩვენს დროში რა არ ხდება ამ ქვეყანაზე. მაშ, კიდევ ერთი დანაკლისი ავსტრიისთვის, არა? როცა ჯარში ვმსახურობდი, იქ ერთმა · ქვეითმა ჯარისკაცმა კაპიტანი მოჰკლა. გატენა თოფი და კანცელარიაში მივიდა. იქ უთხრეს, კანცელარიაში არაფერი გესაქმებაო, იგი თავისაზე იდგა: კაპიტანთან მოსალაპარაკებელი საქმე მაქვსო. გამოვიდა კაპიტანი და იმ სალდათს ყაზარმიდან ქალაქში გასვლის ნებართვა ჩამოართვა. სალდათმა თოფი გადმოიღო და შიგ გულში დაახალა. ტყვიამ ზურგში გაატანა და კანცელარიაშიც მთელი ამბავი დატრიალდა: მელნიანი ბოთლი დაამსხვრია და მელანი სამსახურებრივ ქაღალდებს გადაესხა.

— იმ სალდათს რაღა დაემართა? — შეეკითხა ცოტა ხნის შემდეგ პანი მიულერი, როცა შვეიკი უკვე იცვამდა.

— ხვანჯრით თავი ჩამოიხრჩო, — უპასუხა შვეიკმა, რომელიც თავის ქვაბურა ქუდს სწმენდდა. — მერე მიხი მაინც ყოფილიყო ის ხვანჯარი, ციხის დარაჯს გამოართვა, შარვალი მეარდებაო. აბა ხომ არ · დაელოდებოდა, ვიდრე დახვრეტდნენ? ისედაც გასაგებია,

პანი მიულერ, ასეთ მდგომარეობაში ადამიანს თავგზა როგორ არ აგებნევა! ციხის დარაჯი თანამდებობიდან მოხსნეს და ექვსი თვე მიარეკეს. მაგრამ დიდხანს არ მჯდარა, შვეიცარიაში გაიქცა, და ახლა იქ რომელიღაც ეკლესიაში ქადაგებს... ჩვენს დროში პატიოსანი ადამიანი ცოტაა, პანი მიულერ. ვფიქრობ, ერცჰერცოგი ფერდინანდი სარაევოში სწორედ იმ ადამიანში მოტყუვდა, რომელმაც ტყვია ესროლა. დაინახა თუ არა ის კაცი, ალბათ გაიფიქრა: „უთუოდ წესიერი ვინმეა, რადგან მესალმებაო“. იმან კი ტყვია დაახალა. რამდენი ტყვია მოურტყამს? ერთი აკმარა?

— გაზეთები, ჩემო ბატონო, წერენ, რომ ერცჰერცოგი მთლად დაცხრილული იყო. მკვლელს მთელი ვაზნები დაუცლია.

— ეს მეტად სწრაფად ხდება, პანი მიულერ, საოცრად სწრაფად. მე ასეთი საქმისთვის ბრაუნინგს ვიყიდდი: ერთი შეხედვით, სათამაშო გეგონებათ, იმით კი შეგიძლიათ ორ წუთში ოც ერცჰერცოგს მოუღოთ ბოლო, გინდა გამხდარი იყოს იგი, გინდაც მსუქანი. თუმცა, ისე რომ ვთქვათ, პანი მიულერ, მსუქანს უფრო ადვილად მოარტყამ ტყვიას, ვიდრე გამხდარს. იქნებ გახსოვთ კიდეც, პორტუგალიაში როგორ მოჰკლეს საკუთარი მეფე *. ზვინივით კაცი იყო! მეფე, კარგად მოგეხსენებათ, არც შეიძლება გამხდარი იყოს... ახლა მე, პანი მიულერ, სამიკიტნო „უ კალიხაში“ მივდივარ. თუ ვინმემ მომაკითხოს ტერიერის წასაყვანად, რომელშიც ბე მაქვს აღებული, უთხარით, ქალაქგარეთ საძაღლეში ჰყავს მოთავსებული, რადგან სულ ახლახან ყურები დააჭრა და, სანამ ჭრილობა არ მოუშუშდება, ლეკვის წაყვანა ყოვლად დაუშვებელია, ყურები გაუციოდებათქო. გასაღები მეკარეს დაუტოვეთ.

სამიკიტნო „უ კალიხაში“ მარტო ერთი მუშტარი იჯდა. ეს საიდუმლო პოლიციის აგენტი ბრეტშნაიდერი იყო. მიკიტანი პალიეეცი ჭურჭელს რეცხდა და ბრეტშნაიდერი ამაოდ ცდილობდა სერიოზული საუბრის გაბმას.

პალიეეცი ცნობილი იყო თავისი უწმაწური სიტყვა-პასუხით. მას ყოველი მეორე სიტყვის წარმოთქმისას ენაზე ეკერა „უკანალი“ და „ჩონჩორიკი“. მაგრამ ამასთანავე ნაკითხი კაციც გახლდათ, და ყველას ურჩევდა, აბა ერთი წაიკითხეთ ვიქტორ ჰიუგოს ნაწარმოებში, ინგლისელებს რა უპასუხა ნაპოლეონის ძველმა გვარდიამ ვატერლოოს ბრძოლაშიო *.

— კარგი ზაფხული გვაქვს, — ცდილობდა სერიოზული საუბრის ჩამოგდებას ბრეტშნაიდერი.



— ნეხვადაც არა ღირს! — უპასუხა პალიევცმა, რომელიც განჯინაში ჰურჰელს ალაგებდა.

— ხედავთ, რა ხათაბალაში ჩაგვაგდეს სარაევოში, — უკვე იმედის დაკარგვით წარმოთქვა ბრეტშნაიდერმა.

— რომელ „სარაევოში“? — ჰკითხა პალიევცმა. — ნუსლეს სამიკიტნოში ხომ არა? იქ ყოველდღე ჩხუბი და დავიდარაბაა. რაღა ლაპარაკი უნდა, ნუსლე იქნება!

— ბოსნიის სარაევოში, ბატონო მიკიტანო, იქ ერცჰერცოგი ფერდინანდი მოჰკლეს. რას იტყვით ამაზე?

— ასეთ საქმეებში არ ვერევი. ჯანდაბამდეც გზა ჰქონიათ, — ზრდილობიანად უპასუხა პან პალიევცმა და ჩიბუხი გააბოლა. — კაცი რომ ასეთ საქმეებში ჩაერიოს, კისერს მოიტეხს. მე მიკიტანი ვარ. ჩემთან დასალევად თუ შემოივლის ვინმე, ლუდს მოითხოვს, მე კიდევ ავიღებ და, ჩამოვუსხამ, რამდენსაც მოისურვებს. ის რაღაც სარაევო, პოლიტიკა თუ განსვენებული ერცჰერცოგი — ჩვენ რაში გვეკითხება, ან რა გვესაქმება! ყოველივე ამას პანკრაცის * სუნი უდის.

ბრეტშნაიდერი დადუმდა და გულგატეხილად შეათვალიერა ცარიელი სამიკიტნო.

— წინათ აქ ხელმწიფე-იმპერატორის პორტრეტი ეკიდა, — ერთი

წუთის შემდეგ ისევ ალაპარაკდა ბრეტშნაიდერი, — სწორედ იმ ადგილას, სადაც ახლა სარკეა.

— დიახ, მართალსა ბრძანებთ, — უპასუხა პან პალიევეცმა, — ეკიდა. ოლონდ ბუზები ასკინტლავდნენ, ამიტომ ჩამოვიღე და სხვენზე ავიტანე, — ვინმეს თვალში რომ არ სცემოდა ეს ამბავი და შენიშვნა არ მოეცა, ამას კი უსიამოვნება მოჰყვებოდა. რა ეშმაკად მინდა ასეთი რამ!

— სარაევოში უთუოდ ცუდი მდგომარეობაა, ბატონო მიკიტანო.

პირდაპირ დასმულ ამ მზაკვრულ კითხვაზე პან პალიევეცმა დიდი სიფრთხილით უპასუხა:

— დიახ, ამ დროს ბოსნიასა და ჰერცეგოვინაში მეტისმეტად ცხელა. როცა იქ ჯარში ვიყავი, ჩვენი ობერ-ლეიტენანტი გაპუდმებით ყინულს იდებდა შუბლზე.

— რომელ პოლკში მსახურობდით, პანე პალიევეც?

— ასეთ წვრილმანებს არ ვიმახსოვრებ ხოლმე, და საერთოდ, არც მაინტერესებდა არასდროს, — უპასუხა მიკიტანმა. — არა ვარ მაინცადამაინც ცნობისმოყვარე. გადამეტებულ ცნობისმოყვარეობას ზიანის მეტი არაფერი მოაქვს.

პოლიციის აგენტი ბრეტშნაიდერი საბოლოოდ დადუმდა. მის მოღუშულ სახეს სინათლე მხოლოდ მაშინ მოეფინა, როცა სამიკიტნოში შვეიკი შემოვიდა, რომელმაც მოსელისთანავე შავი ლუდი მოითხოვა და აქვე შენიშნა:

— დღეს ვენაშიც გლოვაა.

ბრეტშნაიდერს თვალები იმედით გაუბრწყინდა და სწრაფად წარმოთქვა:

— კონოპიშჩეში ათი შავი ბაირაღია გამოკიდებული.

— არა, თორმეტი იქნება, — თქვა შვეიკმა და ლუდი მოსვა.

— რატომ გგონიათ, რომ თორმეტია? — ჰკითხა ბრეტშნაიდერმა.

— სრული ანგარიშისთვის — ერთი დუქინი. უფრო ადვილი დასათვლელია, დუქინი უფრო იაფიც ჯდება, — უპასუხა შვეიკმა.

სიჩუმე ჩამოვარდა, რომელიც თვითონ შვეიკმა დაარღვია. მან ამოიხვნეშა და თქვა:

— მაშ, თქვენი ჭირი წაიღო, არა! ღმერთმა სასუფეველი დაუმკვიდროს! ველარ მოესწრო იმპერატორობას. როცა სამხედრო სამსახურში ვიყავი, ერთი გენერალი ცხენიდან გადმოვარდა და დაიმტვრა. მიეშველნენ, უნდოდათ ისევ შეესვათ ცხენზე, მაგრამ მისი

საქმე უკვე გათავებული იყო, ფელდმარშლობას კი უმიზნებდა. სამხედრო აღლუმზე დაემართა ეს ამბავი. აღლუმები, საერთოდ, არასდროს კარგად არ თავდება ხოლმე, სარაევოშიც, უთუოდ, აღლუმი იყო გამართული. მახსოვს, ერთხელ ჯარის საზეიმო დათვალიერების დროს მუნდირზე მეოცე ღილი ამწყვეტოდა. ამისთვის თოთხმეტი დღით ჩამსვეს. ორი დღე, ლაზარესებრ, შეკოჭილ თხასავით * ვეგდე. რას იზამ, სამხედრო სამსახურია — დისციპლინაა საჭირო. დისციპლინა რომ არ იყოს, ყველა თავს აიშვებდა. ჩვენი ობერ-ლეიტენანტი მაკოვეიი ყოველთვის გვეუბნებოდა: „დისციპლინა, თქვე ყეყეჩებო, აუცილებელია. დისციპლინა რომ არ იყოს, მაიმუნებივით ხეებზე აძვრებოდითო. სამხედრო სამსახური, თქვე უტვინოებო, ადამიანებად გაქცევთო“. და მართლაც, განა ეს ასე არ არის? წარმოიდგინეთ ბაღი, ვთქვათ, კარლოსის მოედანზე, და ამ ბაღში ყოველ ხეზე, ვთქვათ, თითო ჯარისკაცი შემომჯდარა ყოველგვარი დისციპლინის გარეშე. ყველაზე უფრო ეს ამბავი მაშინებს.

— ყველაფერი, რაც სარაევოში მოხდა, სერბიელების ჩადენილია, — შეეცადა ბრეტშნაიდერი საუბრის შემობრუნებას.

— სცდებით, — უპასუხა შვეიკმა, — ყველაფერი ეს თურქების ბრალია. ბოსნიისა და ჰერცეგოვინის გამო.

შვეიკმა გამოთქვა თავისი აზრი ავსტრიის საგარეო პოლიტიკაზე ბალკანეთის საკითხში; თურქებმა 1912 წელს სერბია — ბულგარეთ-საბერძნეთთან ომი წააგეს; თურქებს უნდოდათ, ავსტრია მიშველებოდა, მაგრამ ეს არ გამოუვიდათ. მაშინ აიღეს და, ფერდინანდი მოუკლეს.

— შენ გიყვარს თურქები, ის ურჯულოები?—მიუბრუნდა შვეიკი მიკიტანს. — ხომ არა?

— მუშტარი მუშტარია, — თქვა პალიეცმა, — თუნდაც თურქი იყოს იგი. ჩვენ, მიკიტნებს, პოლიტიკის არაფერი გვეკითხება. გადაიხადე ლუდის საფასური, იჯექი შენთვის სამიკიტნოში და ილაყბე რამდენიც გინდა — აი ჩემი წესი. ვინ მოკლა ჩვენი ფერდინანდი — სერბიელმა თუ თურქმა, კათოლიკემ თუ მაჰმადიანმა, ანარქისტმა თუ ახალჩეხმა * — ეს ჩემთვის სულ ერთია.

— კეთილი და პატიოსანი, ბატონო მიკიტანო, — წარმოთქვა ბრეტშნაიდერმა, რომელსაც ისევ უცრუვდებოდა იმედი, რომ ერთ-ერთი ამათგანი გაებმებოდა, — მაგრამ თქვით პირდაპირ, რომ ეს დიდი დანაკლისია ავსტრიისთვის.

მიკიტნის ნაცვლად შვეიკმა უპასუხა:

— რაღა თქმა უნდა, დანაკლისია, ენით გამოუთქმელი დანაკლისი. ფერდინანდს ვერ შეცვლი, მაგალითად, ბოთე ვინმეთი, მაგრამ კარგი იქნებოდა ცოტა უფრო სქელი კაცი რომ ყოფილიყო.

— რა გინდათ ამით თქვათ? — გამოცოცხლდა ბრეტშნაიდერი.

— რა მინდა ვთქვა? — მშვიდად გაიმეორა შვეიკმა შეკითხვა: — აი რა. უფრო სქელი რომ ყოფილიყო, დამბლა მოუვიდოდა ჯერ კიდევ მაშინ, როცა კონოპიშჩეში დედაბრებს აწიოკებდა, რომლებიც მის მამულში ფიჩხსა და სოკოს აგროვებდნენ *. უფრო სქელი რომ ყოფილიყო, ასეთი სამარცხვინო სიკვდილით აღარ ჰოკვდებოდა. წარმოგიდგენიათ — ხელმწიფე-იმპერატორის ბიძა და ...ტყვიით ჩააძაღლეს. ეს ხომ თავსლაფის დასხმაა, ამაზე ხომ მთელი გაზეთები გაჰკივიან! ჩვენთან ბუდეიოვიცეში ამ რამდენიმე წლის წინათ ბაზრობაზე პატარა ჩხუბი მოხდა და ფეხზე მოვაპრეს, ვიღაც ბრშეტისლავ ლუდვიკს დანით ფერდი გამოფატრეს. მას ვაჟი ჰყავდა — ბოპუსლავი. ჰოდა, სადაც არ უნდა წასულიყო ეს ბოპუსლავი თავისი გოუების გასასყიდად, ყველა ზურგს აქცევდა. ასე ამბობდნენ: „ეს ხომ იმის ვაჟია, ბაზარში დანით ფერდი რომ გამოფატრეს. ესეც კაი გაიძვერა იქნებაო". ბოლოს იძულებული გახდა კრუმლოვეში ხიდიდან ვლტავაში გადავარდნილიყო. მერე საჭირო შეიქნა მისი იქიდან ამოთრევა, მკვდრეთით აღდგენა, წყლიდან დაცლა... და მაინც სული განუტევა ექიმის ხელზე, როცა მან რაღაც შეუშხაპუნა.

— ძალიან უცნაური შედარება გამოგვიგიდათ, — მრავალმნიშვნელოვნად ჩაილაპარაკა ბრეტშნაიდერმა. — ჯერ იყო და, ფერდინანდზე ლაპარაკობდით, მერე ვიღაც მოვაპრეზე გადაიტანეთ ლაპარაკი.

— სრულებითაც არა, — თავს იმართლებდა შვეიკი. — ღმერთმა დამიფაროს რაიმე შედარებებისგან! პან პალივეცი კარგად მიცნობს. ხომ სიმართლეა, რომ მე ერთ ადამიანს არასოდეს მეორეს არ ვადარებ ხოლმე? ოღონდ ეს კია, არ ვისურვებდი ერცჰერცოგის ქვრივის ტყავში ყოფნას. რა წყალს უნდა მისცეს თავი? ბავშვები დაუობლდნენ, მამული კონოპიშჩეში უპატრონოდ დარჩა. გათხოვდეს რომელიმე სხვა ერცჰერცოგზე? რა აზრი ექნება? წავა ისევ მასთან ერთად სარაევოში და მეორედ დაქვრივდება... აი, მაგალითად, ზლივაში, ჰლუბოკეს მახლობლად, ამ რამდენიმე წლის წინათ ცხოვრობდა ერთი მეტყევე უმსგავსი გვარისა — ვინმე პინდიური. ბრაკონერებმა იგი სიცოცხლეს გამოასალმეს; მას დარჩა ქვრივი ორი ბავშვით. ერთი წლის შემდეგ ქალი გათხოვდა, ისევ

მეტყველეს გაჰყვა, მიდლოვარელ პეპიკ შალოვიცს. ჰოდა, იმასაც ბოლო მოუღეს. გათხოვდა მესამედ, ისევე მეტყველზე და თქვა: „ღმერთს სამება უყვარს, თუ ახლაც არ შემარჩინეს ქძარი, აღარ ვიცი, როგორ მოვიქცეო“. რა თქმა უნდა, ესეც მოჰკლეს. ქალს კი ამ მეტყველეებისგან, სრული ანგარიშით რომ ვთქვათ, უკვე ექვსი შვილი ჰყავდა. ადგა ეს დედაკაცი და წავიდა ჰლუბოკოეში, პირდაპირ თავადის კანცელარიაში და შესჩივლა — ეს რა უბედურებაა ჩემს თავს, ერთთავად ჯვარს მაცვეს ამ მეტყველებმაო. მაშინ ურჩიეს, რაკიცკის საგუბარის დარაჯს იარეშს გაჰყევი ცოლადო. და წარმოიდგინეთ, ეს იარეში თევზაობის დროს წყალში ჩაახრჩვეს! ამისგანაც ორი ბავშვი დარჩა. მერე ვოდნანელ ექიმბაშზე გათხოვდა; ერთ ღამეს ამ ექიმბაშმა ცულით გაუპო თავი ცოლს და თავისი ფეხით ჟანდარმერიაში წავიდა. როცა მერე პისეკში საოლქო სასამართლოს გადაწყვეტილებით ჩამოსახრჩობად მიჰყავდათ, ხუცესს ცხვირი მოაკვნიტა და განაცხადა — ამქვეყნად დასანანებელი არაფერი მრჩებაო, და თანაც ხელმწიფე-იმპერატორის შესახებ ძალზე საძაგელი რაღაც დაურთო.

— თქვენ არ იცით, რა თქვა მასზე? — ჩაეკითხა იმედმიცემული ბრეტშნაიდერი.

— ვერ გეტყვით, იმ სიტყვების გამეორება ჯერ ვერავის გაუბედნია. ამბობენ, ისეთი საშინელი რაღაც თქვა, რომ სასამართლოს ერთი მოხელე, რომელიც თურმე ამ დროს იქ იყო, ჭკუაზე შეიშალა და დღემდე იზოლირებული ჰყავთ, რომ არაფერი წამოცდესო. ეს ჩვენი ხელმწიფე-იმპერატორის ჩვეულებრივი შეურაცყოფა როდი იყო, სიმთვრალის დროს რომ წამოცდებათ ხოლმე.

— ხომ არ იტყოდით, რა შეურაცყოფას აყენებენ ხელმწიფე-იმპერატორს სიმთვრალეში? — ჰკითხა ბრეტშნაიდერმა.

— გთხოვთ, ბატონებო, სხვა რამეზე ილაპარაკოთ, — ჩაერია საუბარში მიკიტანი პალივეცი. — იცით, ასეთი რამეები არ მიყვარს. წამოაყრანტალებენ რაღაც სისულელეს, მერე წადი და უყარე კაკალი.

— თქვენ მეკითხებით, რა შეურაცყოფას აყენებენ ხელმწიფე-იმპერატორს სიმთვრალეში? — გაიმეორა შეკითხვა შვეიკმა. — ყველნაირს. აბა ერთი გამოთვერით მაგრად, მოითხოვეთ დუკრან ავსტრიული ჰიმნი და მაშინ ნახავთ, რასაც ილაპარაკებთ. — იმდენ რამეებს შეთხზავთ ხელმწიფე-იმპერატორზე, ნახევარიც რომ მართალი გამოდგეს, მთელი მისი სიცოცხლე ეყოფა. იმ მოხუცს კი, ჩვენთვის რომ ვთქვათ, ასეთი არაფერი დაუმსახურებია. მხედ-

ველობაში მიიღეთ შემდეგი: ვაჟიშვილი რუდოლფი * სრულიად ახალგაზრდა მოუკვდა, მერე ხელიდან გამოეცალა სისხლსავსე ცოლი ელისაბედი, რომელსაც ქლიბით გაუხვრიტეს მკერდი, შემდეგ მიიცვალა მისი ძმა იან ორთი *, მეორე ძმა კი — მექსიკის იმპერატორი, რომელიღაც ციხე-სიმაგრის კედელთან მიახვრიტეს *. ახლა კიდევ, მოხუცებულობის ჟამს, ბიძა მოუკლეს. რკინის ნერვები უნდა გქონდეს ადამიანს. ამის შემდეგ გამოვა კიდევ ვინმე ლოთიბაში და ავად მოიხსენიებს ჩვენს მოხუცს. ახლა თუ რამემ იფეთქა, მოხალისედ წავალ და უკანასკნელ სისხლის წვეთამდე ვემსახურები ჩვენს ხელმწიფე-იმპერატორს!

შვეიკმა ხარბად მოსვა ლუდი და განაგრძო:

— თქვენ გგონიათ, ხელმწიფე-იმპერატორი ყოველივე ამას ასე დატოვებს? თქვენ მას კარგად არ იცნობთ. თურქებთან ომი აუცილებლად უნდა მოხდეს: „ბიძაჩემი მოჰკალით, არა? აი ესეც თქვენ, იგემეთ ჩემი მუშტიო“. ომი გარდუვალია. სერბია და რუსეთი ამ ომში დაგვეხმარებიან. დიდი შეტაკება იქნება.

შვეიკი ამ თავისი წინასწარმეტყველების დროს შესანიშნავი იყო. მისი კეთილი სახე ბადრ მთვარესავით ღვიოდა. მისთვის ყველაფერი ნათელი, მარტივი და გასაგები იყო.

— ადვილი შესაძლებელია, — განაგრძობდა იგი ავსტრიის მომავალი ბედის დასურათხატებას, — თუ ომი ატყდა თურქეთთან, ჩვენ თავს დაგვესხმიან გერმანელები. გერმანელებს ხომ თურქების მხარე უპირავთ! ისეთი გაიძვერები არიან, დედამიწის ზურგზე ბადალი არა ჰყავთ. მაგრამ ჩვენ შეგვიძლია კავშირი გავაბათ საფრანგეთთან, რომელიც სამოცდათერთმეტი წლიდან კბილებს ილესავს გერმანიაზე, და ყველაფერი კარგად წავა. ომი იქნება, მეტს არაფერს ვიტყვი.

ბრეტშნაიდერი წამოდგა და სიხარულით განაცხადა:

— სავსებით საკმარისია. გამოდით ერთი დერეფანში, ორიოდე სიტყვა უნდა გითხრათ.

შვეიკი გაჰყვა პოლიციის აგენტს დერეფანში, სადაც მას პატარა სიურპრიზი ელოდა: თანამესუფრემ „არწივი“ * უჩვენა და განუცხადა — დაპატიმრებული ხართ, დაუყოვნებლივ პოლიციაში წამობრძანდითო. შვეიკი შეეცადა აეხსნა, ალბათ, სცდებით, ჩემო ბატონო, მე ხომ არავითარი დანაშაული არ მიმიძღვის და არც ისეთი რამ წამომცდენია, რომ ვინმესთვის შეურაცყოფა მიმეყენებინოსო.

ამაზე ბრეტშნაიდერმა განუცხადა — თქვენ რამდენიმე დანაშაული მიგიძღვით, და მათ შორის ერთ-ერთი ბრალდება სახელმწიფო ღალატიაო.

მერე ორივენი სამიკიტნოში დაბრუნდნენ და შვეიკმა პალივეცს მიმართა:

— მე ხუთი ტოლჩა ლუდი შევსვი და ორი ცალი ძეხვი როჰლიკით გეახელით. მომეცით ერთი ჭიქა ქლიავის ნაყენი. უკვე დროა წავიდე, რადგან დაპატიმრებული ვარ.

ბრეტშნაიდერმა პალივეცს „არწივი“ უჩვენა, ცოტა ხანს უყურა მიკიტანს, მერე უთხრა:

— ცოლი გყავთ?

— დიახ.

— თქვენი არყოფნისას შეუძლია სამიკიტნოს გაუძღვეს?

— შეუძლია.

— მაშინ ყველაფერი რიგზეა, ბატონო მიკიტანო, — მხიარულად წამოიძახა ბრეტშნაიდერმა. — იხმეთ ცოლი და გადააბარეთ სამიკიტნო, საღამოთი მოგაკითხავთ.

— ნუ სწუხხართ, — ანუგეშებდა პალივეცს შვეიკი, — დაპატიმრებული ვარ მხოლოდ და მხოლოდ სახელმწიფო ღალატისთვის.

— კი მაგრამ, მე რაღასთვის? — აწუწუნდა პალიევეკი. — მე ხომ ფრთხილად მეჭირა თავი!

ბრეტშნაიდერმა ჩაიცინა და გამარჯვებული ადამიანის კილოთი უთხრა:

— იმისათვის, რომ თქვენ თქვით, თითქოს ხელმწიფე-იმპერატორს ბუზებმა დაასკინტლეს. და მაგ ხელმწიფე-იმპერატორს თავიდან გამოგიბერტყავენ.

სამეკიტნო „უ კალიხადან“ შვეიკი საიდუმლო პოლიციის აგენტის თანხლებით წავიდა. როცა ქუჩაში გავიდნენ, შვეიკმა პოლიციელს შეხედა, და თავისი გულკეთილი ღიმილით ჰკითხა:

— ტროტუარიდან გადავიდე?

— რატომ?

— ჩემის აზრით, რაკი დაპატიმრებული ვარ, ტროტუარზე სიარულის უფლება არა მაქვს.

როცა საპოლიციო სამმართველოს ალაყაფის კარებში შედიოდნენ, შვეიკმა შენიშნა:

— საუცხოოდ გავატარეთ დრო! ხშირად ხართ ხოლმე სამეკიტნო „უ კალიხაში“?

იმ დროს, როცა შვეიკი კანცელარიაში შეყავდათ, სამეკიტნო „უ კალიხაში“ პან პალიევეკი სამეურნეო საქმეებს თავის ატირებულ ცოლს აბარებდა და თავისებურად ამშვიდებდა:

— ნუ სტირი, ნუ ღრიალებ! ხელმწიფე-იმპერატორის დასკინტლული პორტრეტისთვის რა უნდა მიქნან?

ასე მომხიბლავად და თავაზიანად შედგა ფეხი მსოფლიო ომში ჩვენმა ყოჩაღმა ჯარისკაცმა შვეიკმა. ისტორიკოსები დაინტერესდებიან, როგორ შეეძლო მას ასეთი სიღრმით განეჭვრიტა მომავალი ამბები. მაგრამ შემდეგში თუ ეს ამბები მთლად იმ გზით არ წარიმართა, რომელიც შვეიკმა „უ კალიხაში“ დაგვისახა, უნდა გავითვალისწინოთ ის გარემოება, რომ შვეიკს შესაფერი დიპლომატიური განათლება არ მიუღია.

თავი II

ᲣᲛᲩᲐᲚᲘ ᲯᲐᲠᲘᲡᲙᲐᲪᲘ ᲨᲕᲔᲘᲙᲘ ᲡᲐᲞᲝᲚᲘᲪᲘᲝ ᲡᲐᲛᲛᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲨᲘ

სარაევოში მომხდარმა თავდასხმამ მსხვერპლით აავსო საპოლიციო სამმართველო. ისინი მოყავდათ და ტუსაღთა მისაღებ კანცელარიაში მოხუცი ინსპექტორი უწყინრად ეგებებოდა მათ შემდეგი სიტყვებით:

— ეს ფერდინანდი თქვენ ძვირად დაგიჯდებათ!

როცა შვეიკი პირველ სართულზე მოთავსებულ ერთ-ერთ საკანში შეაგდეს, მას იქ ექვსი კაცი დახვდა. ხუთი — მაგიდის გარშემო იჯდა, მეექვსე კი — შუახნის მამაკაცი თითქოს სხვებს ერიდებაო, კუთხეში საწოლზე ჩამომჯდარიყო.

შვეიკმა სათითაოდ გამოიკითხა, დაპატიმრების მიზეზი მაგიდის გარშემო მსხდომთაგან და თითქმის ერთი და იგივე პასუხი მიიღო.

— სარაევოს გამო.

— ფერდინანდის გამო.

— ერცჰერცოგის მკვლელობის გამო.
— ფერდინანდის გულისთვის.
— იმისათვის, რომ სარაევოში ერჰერცოგი მოჰკლეს.

მეექვსემ განაცხადა, რომ არ მსურს ამ ხუთეულთან რაიმე საერთო მქონდეს, ამის გამო შეიძლება ათასი რამ დამწამონო: მე აქ მხოლოდ იმისთვის ვზივარ, რომ ჰოლიცელი გლეხის მოკვლა მქონდა განზრახული გაძარცვის მიზნითაო.

შვეიკი შეთქმულთა საზოგადოებას მიუჯდა, რომლებიც აგერ უკვე მეათეჯერ უამბობდნენ ერთმანეთს, თუ როგორ მოხვდნენ აქ.

ყველანი, გარდა ერთისა, დაკავებული იყვნენ ან სამიკიტნოში, ან ღვინის სარდაფში, ან კიდევ კაფეში. გამონაკლისს წარმოადგენდა მხოლოდ ძალზე ჩასუქებული, სათვალიანი მამაკაცი, ნამტირალევი თვალებით, რომელიც თავის ბინაში დაუპატიმრებიათ, რადგან მას სარაევოში მომხდარ ამბავამდე ორი დღით ადრე ორი სერბიელი ტექნიკოს სტუდენტის ნახარჯის ანგარიში დაუფარავს „უ ბრეიშკირში“, გარდა ამისა, აგენტ ბრიქსის იგი მთვრალი ენახა ამ სტუდენტებთან ერთად რეეტეზოვის ქუჩაზე მდებარე „მონმარტში“, აქაც მას სტუდენტების ნახარჯი თავისი ჯიბიდან გადაუხ-

დია, რასაც თვითონ დამნაშავე არ უარყოფდა ამ საქმის ირგვლივ შეყენებულ და მის მიერ ხელმოწერილ ოქმში.

წინასწარ გამოძიებაზე საპოლიციო უბანში ყველა კითხვაზე იგი ერთსა და იმავე სტერეოტიპულ ფრაზას გაჰყვიროდა:

— მე საწერი ქაღალდის მაღაზიის პატრონი ვარ!

ამაზე ისიც სტერეოტიპულ პასუხს ღებულობდა:

— ეს თქვენ არ გამართლებთ.

მეორე. ტანდაბალი მამაკაცი, რომელსაც იგივე არასასიამოვნო ამბავი შეემთხვა ღვინის სარდაფში, ისტორიის მასწავლებელი იყო და ამ სარდაფის პატრონს სხვადასხვა თავდასხმათა ისტორიებს უამბობდა. იგი შეიპყრეს სწორედ იმ მომენტში, როცა თავდასხმათა საერთო ფსიქოლოგიურ ანალიზს ამთავრებდა შემდეგი სიტყვებით:

— თავდასხმის იდეა მარტივია, ვით კოლუმბის კვერცხი.

— სწორედ ისე, როგორც თქვენ პანკრაცი გელოდებათ, — დაამთავრა მისი დასკვნა პოლიციის კომისარმა დაკითხვის დროს.

მესამე შეთქმული იყო ჰოდკოვიჩკის „დობრომილის“ საქველმოქმედო წრის თავმჯდომარე. იმ დღეს, როცა თავდასხმა მოხდა, „დობრომილს“ გამართული ჰქონდა სეირნობა მუსიკით. მოვიდა ჟანდარმთა ვახმისტრი და ბრძანა — დაიშალენით, რადგან ავსტრიაში გლოვის დღეებია. ამაზე „დობრომილის“ თავმჯდომარემ უწყინრად უპასუხა:

— ერთ წუთას მაღროვეთ, აი დავამთავრებთ სიმღერას — „ჰეი, სლოვიანე“ *.

ახლა იგი თავჩაქინდრული იჯდა და წუწუნებდა:

— აგვისტოში პრეზიდიუმის გადარჩევები შედგება. თუ შინ არ ვიქენი, ადვილი შესაძლებელია, არ ამირჩიონ. აგერ მეათე წელიწადია უცვლელად მირჩევენ თავმჯდომარედ. ასეთ შერცხვენას ვერ გადავიტან.

გასაოცარი ოინი მოუწყო მიცვალებულმა ფერდინანდმა ჰეოთხე პატიმარს, რომლის შესახებ უნდა ითქვას, რომ ეს გულღია, უმწიკვლო, პატიოსანი ადამიანი იყო. მთელი ორი დღე გაურბოდა იგი ფერდინანდზე ლაპარაკს. მაგრამ საღამოთი კაფეში, როცა „მარიაჟით“ იყო გართული — და ის-იყო ჯვრის მეფე კოზირის აგურის შვიდიანით მოჰკლა, დაუფიქრებლად წამოცდა.

— შვიდი პაწია ტყვია, ვითარცა სარაევოში!

— მეხუთე პატიმარს, რომელიც, როგორც თვითონ გამოტყდა,

„სწორედ ერცჰერცოგის სარაევოში მკვლელობის გამო“ იჯდა, შიშისგან გულგადაქანებულს დილიდანვე თმა ყალყზე ჰქონდა დამდგარი და წვერიც აბურძგნოდა, ასე რომ მისი თავი ბანჯგვლიან პინჩერს დამსგავსებოდა. იგი რესტორანში დააპატიმრეს, სადაც კრინტი არ დაუძრავს, გაზეთიც კი არ წაუკითხავს ფერდინანდის მკვლელობის შესახებ; განმარტოებით უჯდა მაგიდას თავისთვის. ახაზდად მასთან ვიღაც მამაკაცი მივიდა, პირისპირ დაუჯდა და სწრაფად შეეკითხა:

— წაიკითხეთ ამის შესახებ?

— არა, არ წამიკითხავს.

— გაიგონეთ ამის შესახებ?

— არა, არ გამიგონია.

— იცით კი, რაშია საქმე?

— არ ვიცი და არც მინდა ვიცოდე.

— კი მაგრამ, ამან ცოტათი მაინც ხომ უნდა დაგაინტერესოთ?

— არ ვიცი, რა არის მანდ ჩემთვის საინტერესო. მოვწევ სიგარას, შევსვამ რამდენიმე ტოლჩა ლუდს და ვივახშმებ. გაზეთების კითხვით კი თავს არ ავიტკივებ. გაზეთები სცრუობენ. რად მოვიშალო ნერვები.

— მაშასადამე, თქვენ არც სარაევოში მომხდარი მკვლელობა გაინტერესებთ?

— მე საერთოდ არავითარი მკვლელობა არ მაინტერესებს. პრაღაში მოხდება ის, ვენაში, სარაევოში თუ ლონდონში, ამისთვის არსებობენ სათანადო დაწესებულებანი, სასამართლოები და პოლიცია. თუ ვინმეს სადმე მოჰკლავენ, ახია მის თავზე. ნუ ვამოიჩენ დოყლაპიობას, შტერი ნუ იქნები და თავს ნურავის მოაკვლევინებ.

ეს იყო მისი უკანასკნელი სიტყვები. აქედან მოყოლებული ყოველ ხუთ წუთში იგი ხმამაღლა იმეორებდა:

— დამნაშავე არა ვარ, დამნაშავე არა ვარ!

ამ სიტყვებს გაჰყვიროდა იგი საპოლიციო სამმართველოს ჭიშკართან. ამავე სიტყვებს გაიმეორებს, როცა პრაღის სისხლის სამართლის სასამართლოში წაიყვანენ. ამავე სიტყვებით შეაბიჯებს საპყრობილის საკანში.

შვეიკმა, რომელმაც შეთქმულების ყველა ეს საშინელი ამბები მოისმინა, საჭიროდ დაინახა პატიმრებისთვის გაეგებინებინა, თუ რა უიმედო მდგომარეობაში იყვნენ ისინი.

— ჩვენი საქმე ხელიდან წასულია, — დაიწყო მან თავისი ნუგეშის სიტყვები. — სულ ტყუილად ფიქრობთ, თითქოს თქვენ, ესე იგი ჩვენ ყველას ეს უბრალოდ ჩაგვივლის. რაღა საჭირო იქნებოდა პოლიცია, თუ არ დაგვსჯიდნენ ჩვენი გრძელი ენისთვის? რახან ისეთი არეული დრო დადგა, რომ ერცჰერცოგებს ტყვიას ესვრიან, სრულებით არ უნდა გვიკვირდეს, რომ ადამიანს პოლიციაში წაათრევენ. ყველაფერი ეს შნო და ლაზათისთვისაა, რომ ფერდინანდს დაკრძალვის წინ რეკლამა შეუქმნან. რაც უფრო მეტი მოვიყრით აქ თავს, მით უკეთესია ჩვენთვისაც: უფრო მხიარულად ვიქნებით. როცა სამხედრო სამსახურში ვიყავი, ერთხელ ნახევარი ასეული ჩასვეს ნაობახტში. საერთოდ რამდენი უდანაშაულო ადამიანია დასჯილი არა მარტო სამხედრო, არამედ სამოქალაქო სასამართლოების მიერაც! მახსოვს, ერთხელ ერთი ქალი გაასამართლეს იმისათვის, რომ თავისი ახალდაბადებული ტყუპები მოახრჩო. თუმცა იგი იფიცებოდა, რომ არ შეეძლო ტყუპების მოკვლა, რადგან მას მხოლოდ ერთი გოგონა ეყოლა, რომელიც სულ იოლად და უწვალებლად გავგუდეო, მაგრამ მას მაინც ორი ადამიანის მკვლელობა წაუყენეს ბრალდებად. ანდა, მაგალითისთვის, ავიღოთ ის უდანაშაულო ზაბეჰლიცელი ბოშა, რომელმაც შობის წინა ღამეს საწვრილმანო დუქნის კარები შეამტვრია: იგი ირწმუნებოდა, მციოდა და დუქანში გასათბობად შეეედიო, მაგრამ ამან, რა თქმა უნდა, არ უშველა. (თუ მართლმსაჯულების ხელში მოხვდი, მოგჭამა ჭირი, ცუდად წაგივა საქმე. დიახ, ცუდად, მაგრამ რა გაეწყობა.) მაინც უნდა ვაღიარო, რომ ყველა ადამიანი ისეთი გაიძვერა არაა, როგორც მათზე ფიქრობენ. თუმც როგორ გინდა ახლა წესიერი ადამიანი არამზადისგან გამოარჩიო, მეტადრე ასეთ სერიოზულ დროში, როცა აგერ ფერდინანდსაც კი გააფრთხობინეს სული? ჩვენთანაც, როცა სამხედროში ვიყავი ბუდეიოვიცეში, ერთხელ ძაღლი მოჰკლეს ტყეში სასწავლო მოედნის მახლობლად. ძაღლი კაპიტნის აღმოჩნდა. ეს რომ კაპიტანმა გაიგო, ყველას გამოგვიძახა, დაგვაწყო და გვეუბნება: „წინ გამოვიდეს ყოველი მეათე“. თავისთავად ცხადია, მე მეათე აღმოვჩნდი. „სმენაზე“ და „სული განაბეზე“ დავდექით. კაპიტანი ჩვენს წინ მიდი-მოდის და ღრიალებს: „მაწანწალებო! ჯიბგირებო! ძაღლიშვილებო! ხალიანო აფთრებო! ყველას თავი უნდა გიკრათ კარცერში იმ ჩემი ძაღლის მოკვლისთვის! ცომივით უნდა დაგზილოთ და გაგაბრტყელოთ ყველანი! ტყვიით დაგცხრილოთ! დანით ნაკუწ-ნაკუწად აგკეპოთ!

საშველს არ მოგცემთ, ყველას ორი კვირით ჩაგსვამთ, შვებულებას არ გაღირსებთ!..“ ხომ ხედავთ, მაშინ რომელიღაც ფინიაზე იყო ლაპარაკი, ახლა კი თვით ერცჰერცოგს ეხება საქმე. აქ ყველას შიშის ქარი უნდა ჩაუდგეს, რომ გლოვა ნამდვილ გლოვასა გავდეს.

— დამნაშავე არა ვარ, დამნაშავე არა ვარ! — იმეორებდა აბურძგნილი მამაკაცი.

— იესო ქრისტეც არ იყო დამნაშავე, და მაინც ჯვარს აცვეს. არსად არასოდეს არავის არ აინტერესებდა უდანაშაულო ადამიანის ბედი. „Maul halten und weiter dienen“[1], როგორც სამხედროში გვეუბნებოდნენ. ეს ყველაზე კარგი საქმეა.

შვეიკი დაწვა საწოლზე და მშვიდად დაიძინა.

ამასობაში მოიყვანეს ორი ახალი პატიმარი. ერთი მათგანი ბოსნიელი იყო. იგი გალიაში დამწყვდეული ნადირივით აწყდებოდა საკანის კედლებს, კბილებს აკრაჭუნებდა და თვითეული სიტყვის შემდეგ დედას ივინებოდა. მას აწუხებდა ის,რომ საპოლიციო სამმართველოში სავაჭრო ხონჩა დაეკარგებოდა, რომელიც საწვრილმანო საქონლით ჰქონდა გამოტენილი.

მეორე ახლადმოყვანილი პატიმარი მიკიტანი პალივეცი იყო, რომელმაც, დაინახა თუ არა თავისი ნაცნობი შვეიკი, გაალვიძა იგი და ტრაგიკული ხმით წამოიძახა:

— მეც აქა ვარ!

შვეიკი გულითადად მიესალმა პალივეცს, ხელი ჩამოართვა და უთხრა:

— დიდად სასიამოვნოა. მე ვიცოდი, რომ ის კაცი თავის სიტყვას შეასრულებდა, რაკი დაგპირდათ, თქვენს წასაყვანად მოვალთო. ასეთი სიზუსტე — ურიგო როდია.

მაგრამ პალივეცმა უპასუხა, ასეთი სიზუსტისთვის მიმიფურთხებიაო, და ხმადაბლა ჰკითხა შვეიკს, ქურდები ხომ არ არიან დანარჩენი პატიმრებიო: ჩემთვის, როგორც მიკიტნისთვის, ეს კარგი არ იქნებაო.

შვეიკმა განუმარტა, რომ, გარდა ერთისა, რომელიც დაპატიმრებულია ჰოლიცელი გლეხის მოკვლის განზრახვისთვის გაძარცვის მიზნით, ყველა დანარჩენი ჩვენს კომპანიას ეკუთვნის: დაპატიმრებული არიან ერცჰერცოგის გამოო.

---

1 ენას კბილი დააჭირე და იმსახურე (გერმ.).

პალიეეცმა იწყინა და განაცხადა, მე აქ ვიღაც გამოთაყვანებული ერცჰერცოგის გამო კი არა ვარ, თვით ხელმწიფე-იმპერატორის გულისთვის ჩამსვესო. და რადგან ყველა იქ მყოფი დაინტერესდა, რაში იყო საქმე, პალიეეცმა უამბო, ბუზებმა როგორ დაუსკინტლეს ხელმწიფე-იმპერატორი.

— გამითხუპნეს და დამისვარეს იმ საძაგლებმა, — დაასრულა მან თავისი ფათერაკის აღწერა, — და ბოლოს საპყრობილის კარზეც მიმიყვანეს. მე ამას ბუზებს არავითარ შემთხვევაში არ შევარჩენ! — დასძინა მან დამუქრებით.

შვეიკი ისევ მიწვა დასაძინებლად, მაგრამ არ დასცალდა, რადგან მალე დასაკითხავად წაიყვანეს.

და აი, ჩვენი ყოჩაღი ჯარისკაცი შვეიკი კიბე-კიბე ადის მესამე განყოფილებაში დასაკითხად; უდრტვინველად მიათრევს გოლგოთაზე თავის ჯვარს და თავის მოწამეობას ვერ ამჩნევს. როცა კედელზე წარწერა წაიკითხა: „კიბეზე დაფურთხება აკრძალულიაო“, შვეიკმა სთხოვა დარაჯს საფურთხეში ჩაფურთხების ნებართვა. მერე, უმანკო ბავშვის გამომეტყველებით სახეგაბრწყინვებულმა ფეხი შედგა კანცელარიაში ასეთი სიტყვებით:

— გაუმარჯოს პატიოსან კომპანიას!

პასუხის ნაცვლად ვიღაცამ მუჯლუგუნი ჰკრა ფერდში და უბიძგა მაგიდისკენ, რომელსაც უჯდა ბიუროკრატის ცივი გამომეტყველების მამაკაცი, რომლის სახე მხეცის მძვინვარებას გამოხატავდა. ეს კაცი ლომბროზოს წიგნის „ბოროტმოქმედთა ტიპების“* გაცოცხლებული გმირი გეგონებოდათ.

შვეიკს ისეთი თვალებით შეხედა, თითქოს მზად იყო მისი სისხლის დასალევად, და უთხრა:

— თავი იდიოტად ნუ მოგაქვთ!

— რა გაეწყობა, — სერიოზულად უპასუხა შვეიკმა, — სამხედრო სამსახურიდან იდიოტიზმისთვის გამათავისუფლეს. საგანგებო კომისიამ ოფიციალურად მცნო იდიოტად. მე ოფიციალური იდიოტი გახლავართ.

ბოროტმოქმედის სახის მოხელემ კბილები გააკრაჭუნა.

— თქვენს მიმართ წამოყენებული ბრალდებანი და თქვენს მიერ ჩადენილი დანაშაულობანი მოწმობენ, რომ თქვენ სრულ ჭკუაზე ხართ და არც მეხსიერება გღალატობთ.

და მან იქვე ჩამოუთვალა შვეიკს მთელი რიგი სხვადასხვა დანაშაულობანი, დაწყებული სახელმწიფო ღალატით და დამთავრე-

ბული მისი უდიდებულესობისა და მეფის ოჯახის წევრების შეურაცხყოფით.

დანაშაულობათა მთელი ამ გროვიდან გამოიყოფოდა ერცჰერცოგ ფერდინანდის მოკვლის ვითომდა მოწონება და მხარდაჭერა, აქედან გზები ახალი დანაშაულობებისკენ მიემართებოდა, რომელთა შორის წინა პლანზე წამოწეული იყო აჯანყების წამქეზებლობა — აქაოდა, შვეიკი ამ მოწონებასა და მხარდაჭერას საზოგადოებრივ წრეში გამოთქვამდაო.

— ამაზე რაღას იტყვით? — ჰკითხა მძვინვარების გამომხატველი სახის მოხელემ, ვით მჯობნე შეეკითხება დამარცხებულს.

— სავსებით საკმარისია, — უბრალოდ უპასუხა შვეიკმა. — ყოველნაირი გადამეტება ზიანის მომტანია.

— აი, ხომ ხედავთ, თვითონ აღიარებთ...

— მე ყველაფერს ვაღიარებ. სიმკაცრე აუცილებელია. სიმკაცრის გარეშე ვერავინ ვერაფერს ვერ მიაღწევდა. იმისი არ იყოს, როცა სამხედროში ვმსახურობდი...

— ხმა! კრინტი! — უყვირა პოლიციის კომისარმა შვეიკს. — ილაპარაკეთ მაშინ, როცა შეგეკითხებიან. გასაგებია?

— როგორ არა, — თქვა შვეიკმა. — მაქვს პატივი მოგახსენოთ, რომ გასაგებია, და ყოველივეში, რის თქმასაც ინებებთ, შევძლებ გარკვევას.

— ვისთან გაქვთ კავშირი?

— ჩემს მსახურ ქალთან, თქვენო მოწყალებავ.

— რაიმე ნაცნობობა ხომ არა გაქვთ აქაურ პოლიტიკურ წრეებში?

— როგორ არა, თქვენო მოწყალებავ. ვყიდულობ საღამოს გამოშვების „ნაციონალურ პოლიტიკას“, — „ჩუბიჩკას“ *.

— გაეთრიე აქედან! — დაიღრიალა მხეცური სახის პოლიციის კომისარმა.

როცა შვეიკი კანცელარიიდან გაყავდათ, მან თქვა:

— ღამე ნებისა, თქვენო მოწყალებავ.

შვეიკი დაბრუნდა თავის საკანში და პატიმრებს აცნობა, რომ ეს დაკითხვა კი არა, რაღაც მასხრობააო: ცოტას შემოგიტევენ, დაგიცაცხანებენ, ბოლოს გარეთ გამოგაგდებენო.

— წინათ, — შენიშნა შვეიკმა, — გაცილებით უარესი იყო. რომელიღაც წიგნში წამიკითხავს, რომ ბრალდებულებს თავისი უდანაშაულობის დასამტკიცებლად გავარვარებულ რკინაზე ფეხშიშ-

ველა უნდა გაეელოთ, და გალღობილი ტყვია გადაეყლაპათ. ვინც არ გამოტყდებოდა, ფეხებზე ესპანურ ჩექმებს აცმევდნენ და საწამებელ ძელზე აკრავდნენ, სახანძრო ჩირაღდნით ფერდებს სწვავდნენ, როგორც, მაგალითად, წმიდა იან ნეპომუცკის *. ამ დროს ოგი, ეს წმიდანი, თურმე, ისე ბღაოდა, თითქოს დანით სჭრიდნენ და არ გაჩუმებულა, სანამ წყალგაუმტარ ტომარაში არ გამოკერეს და ელიშკინის ხიდიდან * წყალში არ გადაუძახეს. ასეთი შემთხვევები რამდენიც გნებავთ, იმდენია. ადამიანს შაყას ჰკრავდნენ ან სარზე ჩამოაგებდნენ და სადმე მუზეუმის გვერდით გამოდგამდნენ. თუ დამნაშავეს მხოლოდ და მხოლოდ ორმოში ჩააგდებდნენ, რომ იქ შიმშილით სული ამოძრომოდა, ასეთი ადამიანი ისე გრძნობდა თავს, თითქოს ახლა იშვა ამქვეყნადო. ჩვენს დროში საპყრობილეში ჯდომა — ფრიად სასიამოვნოა! — იკვეხნიდა შვეიკი. — არავითარი შაყას კვრა, არავითარი ხუნდები. საწოლი გვაქვს, მერხები გვაქვს, ადგილის მხრივ სიხალვათეა, სასმელ-საჭმელი გვეკუთვნის და გვაძლევენ კიდეც, მთელი ერთი კათხა წყალი მოაქვთ, ფეხისადგილიც პირდაპირ ცხვირწინ გვაქვს. ყველაფერში პროგრესი ჩანს. ეს კია, რომ ცოტა შორს გიხდება ადამიანს სიარული დაკითხვაზე — სამ კიბეზე უნდა ახვიდე ზედა სართულში, სამაგიეროდ კიბეებზე სისუფთავეა და გაცხოველებული მისვლა-მოსვლა. ერთი აქეთ მოყავთ, მეორე — იქით. აგერ ახალგაზრდას შეხვდები, ეგერ — მოხუცს, ქალებს, მამაკაცებს. გიხარიან, რომ აქ მარტო მაინც არა ხარ. თვითეული გულდამშვიდებით მიდის თავისი გზით, და არ ჭირდება ფიქრი და ტანჯვა იმის გამო, რომ მას კანცელარიაში ეტყვიან: „ჩვენ მოვითათბირეთ, და ხვალ დასჯილი იქნებით შაყას კვრით ან ცოცხლად დაგწვავენ, — რომელიც გენებოთ, ამოირჩიეთო“. ასეთი არჩევანი არც ისეთი იოლი გახლავთ! ვფიქრობ, ბატონებო, რომ ბევრ ჩვენგანს ასეთ მომენტში დამბლა დაეცემოდა. დიახ, პირობები ახლა ჩვენს სასარგებლოდ შეიცვალა.

შვეიკმა ის-იყო დაასრულა დასაცავი სიტყვა თანამედროვე ციხეში პატიმრობის შესახებ, როცა ზედამხედველმა კარი გააღო და დაიძახა:

— შვეიკ, ჩაიცვით, დაკითხვაზე წამოდით!

— ჩავიცვამ, რა თქმა უნდა, — უპასუხა შვეიკმა. — ამის საწინააღმდეგო არაფერი მაქვს. მაგრამ, ჩემის აზრით, აქ რაღაც გაუგებრობაა. მე ერთხელ უკვე გამომაგდეს დაკითხვიდან. გარდა ამისა, ვშიშობ, რომ დანარჩენი პატივცემულნი, რომლებიც აქ იმ-

ყოფებიან, ჩემზე არ გაჯავრდნენ იმის გამო, რომ მე დაკითხვაზე აგერ უკვე მეორეჯერ მივდივარ, მათ კი მთელი ამ საღამოს განმავლობაში ერთხელაც არ გამოუძახეს. პატივცემულთ შეუძლიათ პრეტენზია იქონიონ ჩემს მიმართ.

— გამოეთრიე და ენას ნუ ატარტალებ! — მიიღო პასუხად შვეიკმა თავის ამ ჯენტლმენობაზე.

შვეიკი ისევ იმ ბორბოტმოქმედის სახის მოხელესთან აღმოჩნდა. მან ბევრი ბოდიში არ დაუწყო და პირდაპირ მიახალა:

— აღიარებთ თუ არა დანაშაულს?

შვეიკმა მიაპყრო თავისი კეთილი, ცისფერი თვალები ამ ულმობელ ადამიანს და რბილად უთხრა:

— თუ თქვენ გნებავთ, თქვენო მოწყალებავ, რომ მე გამოვტყდე, ინებეთ, ვაღიარებ ყველაფერს. ამით მე არაფერს ვკარგავ. მაგრამ თუ თქვენ მეტყვით: „შვეიკ, არაფერში გამოტყდეთ", — ყოველნაირად შეეცდები თავი დავიძვრინო, სანამ სული მიდგას.

მკაცრმა მოხელემ რაღაც მიაწერა აქტზე, შვეიკს მიაწოდა კალამი და უთხრა, ხელი მოაწერეო.

შვეიკმა ხელი მოაწერა ბრეტშნაიდერის ჩვენებას შემდეგი დამატებით:

„ყველა ზემოაღნიშნულ ბრალდებას, წამოყენებულთ ჩემს მიმართ, სამართლიანად ვთვლი.

იოზეფ შვეიკი".

ქაღალდს რომ ხელი მოაწერა, შვეიკი მკაცრ მოხელეს მიუბრუნდა:

— კიდევ არის რამე ხელმოსაწერი? თუ დილით მოვიდე?

— დილით სისხლის სამართლის სასამართლოში წაგაბრძანებენ, — იყო პასუხი.

— რომელ საათზე, თქვენო მოწყალებავ, რომ, ღმერთმა დამიფაროს და, როგორმე ძილში წასელის დრო არ გამომეპაროს?

— გაეთრიე აქედან! — მეორედ გაისმა ღრიალი მაგიდის იქითა მხრიდან.

როცა შვეიკი თავისი სახლკარის ნაცვლად გისოსით შემოღობილ კერაში ბრუნდებოდა, გზაში თავის მხლებელ ჯარისკაცს უთხრა:

— აქ ყველაფერი თითქოს წინასწარ გათვალისწინებული განრიგით მიმდინარეობს.

როგორც კი შვეიკის ზურგს უკან კარი გადარაზეს, პატიმარ —

ამხანაგებმა ათასნაირი კითხვები დააყარეს, რომლებზეც შვეიკმა ნათლად და მკაფიოდ უპასუხა:

— მე ეს-ესაა გამოვტყდი, რომ, სულ ადვილი შესაძლებელია, ერცჰერცოგი ფერდინანდი ჩემი მოკლული იყოს-მეთქი.

პატიმრები დაფეთებული მივარდნენ საწოლებს და დატილიანებული საბნები თავზე წაიხურეს.

მარტო ბოსნიელმა წამოიძახა:

— მომილოცნია!

როცა წვებოდა, შვეიკმა შენიშნა:

— პირდაპირ უთაურობაა, რომ მაღვიძარა არა გვაქვს.

დილით იგი უმაღვიძაროდაც ადვილად გააღვიძეს, და ზუსტად ექვს საათზე საოლქო სისხლის სამართლის სასამართლოში წაიყვანეს „მწვანე ანტონით".

— ნათქვამია: ადრე ამდგარი ჩიტი ნისკარტს იწმენდს, მძინარა — თვალებს იფშვნეტს, — უთხრა თავის თანამგზავრებს შვეიკმა, როცა „მწვანე ანტონი" * საპოლიციო სამმართველოს ჭიშკრიდან გადიოდა.

თავი III

შვეიკი სასამართლოს ეჭიმების წინაშე

საოლქო სისხლის სამართლის სასამართლოს სუფთა, მყუდრო ოთახებმა მეტად კარგი შთაბეჭდილება მოახდინეს შვეიკზე: თეთრად შეფეთქილმა კედლებმა, შავმა გაკრიალებულმა გისოსებმა და თვით გამოძიებაში მყოფ ტუსაღთა განყოფილების უფროსმა ზედამხედველმა, ჩასუქებულმა პან დემარტინმა თავისი იისფერი საკილოვებითა და იისფერკანტიანი ქუდით. აღსანიშნავია, რომ ეს ფერი იისა შემოღებული იყო არა მარტო აქ, არამედ საეკლესიო წესების შესრულების დროსაც — დიდი მარხვის ოთხშაბათსა და ვხების პარასკევს.

განმეორდა იერუსალიმზე რომის ბატონობის საყოველთაოდ ცნობილი ისტორია. ტუსაღები გამოყაედათ და ამწკრივებდნენ სარდაფში, 1914 წლის პილატების სასამართლოს წინაშე; გამომძიებლები, — ეს თანამედროვე პილატები, — ნაცვლად იმისა, რომ პატიოსნად ხელი დაებანათ, ტესიგში * არბენინებდნენ დენშჩიკებს პილპილით შენელებულ შემწვარ-მოხრაკულებისა და პლზენის

ლუდის მოსატანად, სახელმწიფო პროკურატურისთვის კი სულ ახალ და ახალ გამოგონილ საბრალმდებლო მასალებს თხზავდნენ.

აქ უმეტეს შემთხვევაში ყოველგვარი ლოგიკის გზა-კვალი იკარგებოდა და იმარჯვებდა პარაგრაფი, ახრჩობდა პარაგრაფი, იდიოტობდა პარაგრაფი, დასცინოდა პარაგრაფი, იფურთხებოდა პარაგრაფი, იმუქრებოდა პარაგრაფი, ჰკლავდა და არასოდეს არ იწყნარებდა პარაგრაფი. ესენი იყვნენ კანონების ჟონგლიორები, კანონის მედავითნურად, სიტყვა-სიტყვით დამცველები, ბრალდებულთა შემმუსვრელნი, ავსტრიის ჯუნგლების ვეფხვები, რომელთაც გამოზრდილი ჰქონდათ თავისი ნახტომი ბრალდებულისთვის წაყენებული პარაგრაფების რაოდენობის მიხედვით.

გამონაკლისს რამდენიმე კაცი წარმოადგენდა (სწორედ ისე, როგორც საპოლიციო სამმართველოში), რომლებიც კანონს მაინც-დამაინც დიდ ანგარიშს არ უწევდნენ: სარეველაშიც ხომ მოიძებნება ხოლმე ხორბლის მარცვალი.

ერთ-ერთ ასეთ ადამიანთან მიიყვანეს შვეიკი დასაკითხად. ეს იყო ხანში შესული გულკეთილი მამაკაცი, | რომელიც ოდესღაც ცნობილი მკვლელის ვალეშის დაკითხვას აწარმოებდა და ბოროტმოქმედს წარამარა თავაზიანად ეუბნებოდა: „დაბრძანდით, გეთაყვა, პანე ვალეშ, აი სწორედ აგერ თავისუფალი სკამია“.

შვეიკი რომ მიიყვანეს, სასამართლოს გამომძიებელმა მისთვის ჩვეული თავაზიანობით სთხოვა დაბრძანდითო, მერე ასე მიმართა:

— მაშ თქვენ სწორედ ის პან შვეიკი ბრძანდებით?

— ვფიქრობ, რომ სწორედ შვეიკი უნდა ვიყო, — უპასუხა შვეიკმა, — რადგან ცხონებული მამაჩემიც შვეიკი იყო და ჩემი დედიკოც პანი შვეიკი გახლდათ. როგორ შემიძლია ჩემს გვარზე უარი ვთქვა და ამით მშობლების ხსოვნას ჩრდილი მივაყენო.

თავაზიანმა ღიმილმა გადაურბინა სახეზე სასამართლოს გამომძიებელს.

— ეს რა ამბები ჩაგიდენიათ? კისერზე ბევრი ცოდვა გაწევთ.

— მე ყოველთვის ბევრი ცოდვა მაწევს კისერზე, — უპასუხა შვეიკმა, და ბატონ გამომძიებელზე უფრო თავაზიანად გაიღიმა. — ჩემს კისერზე შეიძლება კიდეე უფრო მეტი ცოდვა იყოს, ვიდრე თქვენსაზე, თქვენო მოწყალებავ.

— ეს თქვენს მიერ ხელმოწერილ ოქმიდან ჩანს, — იმავე თავაზიანი კილოთი განაგრძობდა სასამართლოს გამომძიებელი. — პოლიციაში იძულებითი ზომებისთვის ხომ არ მიუმართავთ?

— რას ამბობთ, თქვენო მოწყალებავ. მე თვითონ ვიკითხე,



საჭიროა თუ არა ოქმზე ჩემი ხელმოწერა-მეთქი, და როცა მითხრეს, მოაწერეთო, ავიღე და, მოვაწერე. აბა, ჩხუბსა და აყალმაყალს ხომ არ ავტეხავდი ჩემივე ხელის მოწერისთვის. რა თქმა უნდა, ეს ჩემთვის კარგი არ იქნებოდა. ყველაფერში წესრიგი უნდა სუფევდეს.

— პანე შვეიკ, სავსებით ჯანმრთელად გრძნობთ თავს?

— დიახ, თქვენო მოწყალებავ, ისე კარგად ვარ, რომ მეტი აღარ შეიძლება, ოღონდ რევმატიზმი მაწუხებს და ოპოდელდოკით ვიზილავ სხეულს.

მოხუცმა ისევ თავაზიანად გაიღიმა.

— რას იტყოდით, სასამართლოს ექიმებთან რომ გაგაგზავნოთ თქვენი ჯანმრთელობის შესამოწმებლად?

— მე ვფიქრობ, რომ ჩემი საქმე არცთუ ისე ცუდათაა, ბატონ ექიმებს დრო დავაკარგვინო შემოწმებაზე. მე უკვე შემამოწმა ერთმა ექიმმა საპოლიციო სამმართველოში, სუსუნატი ხომ არ გჭირსო.

— იცით რა, პანე შვეიკ, ჩვენ მაინც ვცადოთ და მივმართოთ სასამართლოს ექიმებს. შევარჩევთ კარგ კომისიას, თქვენ კი წინასწარი პატიმრობის საკანში მოგათავსებენ, სადაც ჯეროვნად დაის-

ვენებთ. კიდევ ერთი საკითხი. ოქმიდან ჩანს, თითქოს თქვენ ავრცელებდით ხმებს იმის შესახებ, რომ სულ მალე ომი იფეთქებსო?

— იფეთქებს, თქვენო მოწყალებავ ბატონო მრჩეველო, ძალიან მალე იფეთქებს.

— ავიზნე ხომ არ გჭირთ? ბნედისგან ხომ არასოდეს წაქცეულხართ?

— ბოდიშს ვიხდი, მაგრამ უნდა მოგახსენოთ, რომ „არა". მართალია, ერთხელ კინაღამ წავიქეცი კარლოსის მოედანზე, როცა გვერდი გამკრა ავტომანქანამ, მაგრამ მას შემდეგ ბევრმა წყალმა ჩაიარა.

ამით დამთავრდა დაკითხვა. შვეიკმა ხელი ჩამოართვა სასამართლოს გამომძიებელს და, როცა თავის საკანში დაბრუნდა, პატიმრებს უთხრა:

— მაშ ასე: გამოდის, რომ ერცჰერცოგ ფერდინანდის მკვლელობისთვის შემამოწმებენ სასამართლოს ექიმები.

— მეც შემამოწმეს სასამართლოს ექიმებმა, — თქვა ახალგაზრდა პატიმარმა, — როცა ხალიჩების ქურდობისთვის მსაჯულთა წინაშე წარვდექი. სუსტი გონების ადამიანად ჩამთვალეს. ახლა ორთქლის სალეწი მანქანა ლოთობაში გავფლანგე, და ამისთვის უკვე ალარაფერი მომელის. გუშინ ჩემმა ვექილმა მითხრა, რომ თუ ერთხელ უკვე სუსტი გონების ადამიანად ჩაგთვალეს, ეს მთელ შენს სიცოცხლეში გამოგადგებაო.

— მე ამ სასამართლოს ექიმებს სრულებით არ ვენდობი, — შენიშნა ინტელიგენტური სახის მამაკაცმა. — როცა ყალბ თამასუქებს ვაკეთებდი, ყოველი შემთხვევისთვის პროფესორ ჰევეროხის ლექციებზე დავდიოდი. ბოლოს დამიჭირეს და თავი მოვიავადმყოფე, ვითომ დამბლადაცემული ვარ-თქო, ზუსტად ისე, როგორც პროფესორი ჰევეროხი * აგვიწერდა: კომისიის ერთ სასამართლოს ექიმს ფეხზე ვუკბინე, სამელნედან მელანი გადავკარი და მთელი კომისიის თვალწინ, — მაპატიეთ, ბატონებო, კადნიერება, — იქვე კუთხეში მოვისაქმე. მაგრამ სწორედ იმიტომ, რომ ამ კომისიის ერთ-ერთ წევრს ვუკბინე, სავსებით ჯანმრთელად ჩამთვალეს, და ამან დამღუპა.

— მე ამ შემოწმებების სრულებით არ მეშინია, — ჭანაცხადა შვეიკმა. — როცა სამხედროში ვმსახურობდი, ერთმა ბეითალმა ექიმმა გამსინჯა, და ყველაფერი რიგზეაო, მითხრა.

— სასამართლოს ექიმები — გაიძვერები არიან! — გამოეხმაურა ტანმორჩილი მოკუნტული მამაკაცი. — ამ ცოტა ხნის წინათ ჩემს

მინდორში როგორღაც შემთხვევით ადამიანის ჩონჩხი ამოთხარეს. სასამართლოს ექიმებმა განაცხადეს, ეს კაცი მოკლულია ბლაგვი იარაღით, რომელიც თავში დაურტყამთ ამ ორმოცი წლის წინათო. მე ოცდათვრამეტი წლისა ვარ, მაგრამ მაინც ჩამსვეს, თუმცა მაქვს ნათლობის მოწმობა, ამონაწერი მეტრიკული წიგნიდან და ბინადრობის მოწმობაც.

— მე ვფიქრობ, — თქვა შვეიკმა, — ადამიანმა ყველაფერს გულგრილად უნდა უყუროს. თვითეულ ჩვენგანს შეიძლება შეცდომა მოუვიდეს, და ვინიცობაა ადამიანმა რამეზე დიდხანს იფიქრა, მაშინ, ლაპარაკი არ უნდა, უეჭველად შეცდება. ექიმებიც ხომ ადამიანები არიან, ადამიანისათვის კი შეცდომის დაშვება ჩვეულებრივი ამბავია. ერთხელ ნუსლეში, სწორედ ბოტიჩის * ხიდთან, როცა ღამით „ბანზეტიდან“ * ვბრუნდებოდი, ერთი მამაკაცი მომიახლოვდა და თავში კეტი მხეთქა; მე, რა თქმა უნდა, იქვე ჩავიკეცე, იმ კაცმა კი ფარანი დამანათა და წარმოთქვა: „შეცდომაა, ეს ის არააო! ამ შეცდომამ იგი ისე გააბრაზა, რომ აიღო და, ახლა ზურგში მითაქა. ასე უწერია ადამიანს თავის სიცოცხლეში — სიკვდილამდე შეცდომებს ვერ ასცდესო. კიდევ ასეთი შემთხვევა იყო: ერთი კაცი ღამით ნახევრად გათოშილ, ცოფიან ძაღლს წააწყდა, წაიყვანა შინ და ცოლს ლოგინში შეუწვინა. ძაღლი შეთბა, მოსულიერდა და მთელი ოჯახი დაკბინა, ყველაზე პატარა კი აკვანში დაგლიჯა და შესანსლა. მოგიყვანთ კიდევ ერთ მაგალითს, როგორ შეცდა ჩვენი ეზოს ერთი ხარატი. ერთხელ ეს ხარატი პოდოლის ეკლესიას მიადგა და თავისი გასაღებით მისი კარები გააღო, — ეგონა, შინ მივედიო, ფეხთ გაიხადა სამოსსაცავში, — ეგონა, ჩემს სამზარეულოში ვიმყოფებიო, დაწვა ტრაპეზზე, — ეგონა, შინ, ჩემს საწოლში ვარო, საღვთო წარწერებიანი საფარველი წაიხურა, თავქვეშ კი სახარება ამოიდო და სხვა საღვთო წიგნებიც, რომ თავი შემაღლებული ჰქონოდა. დილით იგი იქ ეკლესიის დარაჯმა ნახა, ჩვენმა ხარატმა კი, როცა გონს მოვიდა, გულუბრყვილოდ განუცხადა, შეცდომა მომივიდაო. „კარგი შეცდომაა! — ეუბნება ეკლესიის დარაჯი. — ამ შეცდომისთვის ეკლესიის ხელახლა კურთხევა მოგვიხდებაო“. ამის შემდეგ ეს ხარატი სასამართლოს ექიმების წინაშე წარსდგა და ამ ექიმებმა დაუმტკიცეს, რომ იგი სრულ ჭკუაზე იყო და სავსებით ფხიზელი, — აბა ფხიზელი რომ არ ყოფილიყო, გასაღებს რანაირად მოარგებდა კლიტესო. მერე ეს ხარატი პანკრაცში მოკვდა... გიამბობთ კიდევ ერთ მაგალითს, კლადნში როგორ შეცდა სახელ-

განთქმულ როტმისტრ როტერის პოლიციის მეძებარი ძაღლი. როტმისტრი როტერი წვრთნიდა და გეშავდა ძაღლებს მაწანწალებზე მანამ, სანამ მაწანწალებმა კლადენის რაიონში წანწალს თავი არ დაანებეს, ბოლოს ისინი შიშით ახლოსაც აღარ ეკარებოდნენ ამ რაიონს. მაშინ როტერმა ჟანდარმებს უბრძანა, ქვა გახეთქეთ და, მოძებნეთ ვინმე საეჭვო პიროვნება და მომგვარეთო. ერთხელ მას საკმაოდ კარგად ჩაცმული მამაკაცი მიუყვანეს, როშელსაც ლანის ტყეში წააწყდნენ. იქ იგი, თურმე ჯირკზე იჯდა. როტერმა უმალ უბრძანა, ფიჯაკზე კალთა მოაჭერითო, და ამ ნაჭერს თავის მეძებრებს ასუნებინა. მერე ის კაცი, ქალაქგარეთ წაიყვანეს აგურის ქარხანაში, და მის კვალზე ყველაზე უფრო დაგეშილი ძაღლები გაუშვეს, რომლებმაც იგი იპოვეს და უკან მოიყვანეს. შემდეგ ამ კაცს უბრძანეს კიბით სხვენზე ამძვრალიყო, ქვის ღობეზე გადამხტარიყო და გუბურაში ჩამხტარიყო, თან ძაღლები მიუსიეს. ბოლოს გამოირკვა, რომ ეს კაცი რადიკალი-დეპუტატი ყოფილა, რომელიც ლანის ტყეში გასასეირნებლად წასულა, როცა პარლამენტში ჯდომა მობეზრებია. აი, ამიტომ ვამბობ, რომ ადამიანისთვის შეცდომის დაშვება ჩვეულებრივი ამბავია-მეთქი, სწავლული იქნება ის თუ უსწავლელი ბოთე. მინისტრებიც სცდებიან ხოლმე.

სასამართლოს სამედიცინო კომისია, რომელსაც უნდა დაედგინა, პასუხისმგებელია თუ არა შვეიკი თავისი ფსიქიკური მდგომარეობის გამო ყველა იმ დანაშაულზე, რაშიც ბრალი ედებოდა, სამი არაჩვეულებრივად სერიოზული მამაკაცისგან შესდგებოდა, ამასთანავე ერთის აზრი არაფერში ეთანხმებოდა დანარჩენი ორისას, ამათი აზრები კიდევ ერთიმეორეს ეწინააღმდეგებოდნენ. აქ წარმოდგენილი იყო ფსიქიატრების სამი სხვადასხვა სკოლა.

და თუ შვეიკის შემოწმებისას ეს სამი მოწინააღმდეგე მეცნიერული ბანაკი სრულ შეთანხმებამდე მივიდა, ამის ახსნა შეიძლება მხოლოდ იმ უდიდესი შთაბეჭდილებით, რომელიც შვეიკმა მოახდინა მთელ კომისიაზე, როცა მან, შედგა თუ არა ფეხი დარბაზში, სადაც მისი ფსიქიკური მდგომარეობა უნდა გამორკვეულიყო, და დაინახა თუ არა კედელზე ავსტრიის იმპერატორის პორტრეტი, ხმამაღლა შეჰყვირა: „ბატონებო, გაუმარჯოს ხელმწიფე-იმპერატორ ფრანც იოსებ პირველს!“

საქმის ვითარება სავსებით ნათელი იყო. შვეიკის მიერ საკუთარი თაოსნობით გაკეთებული განცხადების გამო მთელი რიგი შეკითხვები მოიხსნა და დარჩა მარტო რამდენიმე ყველაზე უფრო

მნიშვნელოვანი საკითხი. მათზე პასუხებს უნდა დაედასტურებინა ფსიქიატრიის დოქტორის კალერსონის, დოქტორ ჰეეროხისა და ინგლისელ ვეიკინგის * სისტემის საფუძველზე წინასწარ შედგენილი მოსაზრებანი.

— რადიუმი უფრო მძიმეა თუ კალა?

— არ ამიწონია, გეთაყვა, — უპასუხა თავისი მომხიბლავი ღიმილით შვეიკმა.

— გწამთ ქვეყნის დასასრული?

— ჯერ უნდა ვიხილო ეს დასასრული. ყოველ შემთხვევაში ხვალ არ იქნება ეს დასასრული, — დამარწმუნებლად უპასუხა შვეიკმა.

— საქმე საქმეზე რომ მიდგეს, შეძლებდით დედამიწის დიამეტრის გაზომანგარიშებას?

— ბოდიშს ვიხდი, ვერ შევძლებდი, — უპასუხა შვეიკმა. — მაგრამ ძეც მაქვს, ბატონებო, სურვილი, მოგცეთ ერთი გამოცანა. დგას ოთხსართულიანი სახლი, თვითეულ სართულზე რვა ფანჯარაა, სახურავზე ორი საძერცხულია და ორი საკვამლე მილი, თვითეულ სართულში ორი მობინადრე ცხოვრობს. ახლა მითხარით, ბატონებო, რომელ წელს გარდაეცვალა მეეზოვეს ბებია?

სასამართლოს ექიმებმა მრავალმნიშვნელოვნად გადახედეს ერთმანეთს. ერთმა მათგანმა მაინც მისცა კიდევ ასეთი შეკითხვა:

— ხომ არ იცით, წყნარი ოკეანის უდიდეს სიღრმეს რა შეადგენს?

— მაპატიეთ, გეთაყვა, მაგრამ ეგ მე არ ვიცი, — გაისმა პასუხი, — მაგრამ ვფიქრობ, რომ იქ უთუოდ უფრო ღრმა იქნება, ვიდრე ვიშეჰრადის კლდესთან ვლტავაზე *.

— საკმარისია, — ლაკონიურად წარმოთქვა კომისიის თავმჯდომარემ.

მაგრამ ერთ-ერთმა წევრმა ითხოვა, კიდევ ერთი შეკითხვის ნება მომეცითო:

— რამდენი იქნება, თორმეტი ათას რვაას ოთხმოცდაჩვიდმეტი გამრავლებული ცამეტი ათას რვაას სამოცდასამზე?

— ,,ვეიდას ოცდაცხრა, — წარბშეუხრელად უპასუხა შვეიკმა.

— ჩემის აზრით, სავსებით საკმარისია, — თქვა კომისიის თავმჯდომარემ. — შეგიძლიათ ბრალდებული წაიყვანოთ წინანდელ ადგილას.

— მადლობას მოგახსენებთ, ბატონებო, — თავაზიანად უპასუხა შვეიკმა. — ჩემთვისაც ასევე სავსებით საკმარისია.

შვეიკის წასვლის შემდეგ სამისგან შემდგარი კოლეგია ერთიან დასკვნამდე მივიდა: შვეიკი სულმთლად სულელი და იდიოტიაო, ბუნების ყველა იმ კანონის შესაბამისად, რომლებიც აღმოჩენილია სახელგანთქმული სწავლული მეცნიერ-ფსიქიატრების მიერ. დასკვნაში, რომელიც სასამართლოს გამომძიებელს გადაეცა, სხვათა შორის ეწერა:

„ქვემორე ხელისმომწერნი სასამართლოს ექიმები შეთანხმდნენ იმაზე, რომ ზემოაღნიშნული კომისიის წინაშე წარმდგარ იოზეფ შვეიკს ახასიათებს სრული ფსიქიკური სიჩლუნგე და თანდაყოლილი კრეტინიზმი. მისი კრეტინიზმი თვალცხადლივ გამომდინარეობს განცხადებიდან: „გაუმარჯოს იმპერატორ ფრანც იოსებ პირველს“, რაც საესებით საკმარისია, რომ განვსაზღვროთ იოზეფ შვეიკის ფსიქიკური მდგომარეობა, როგორც აშკარა იდიოტისა. აქედან გამომდინარე ქვემორე ხელისმომწერი კომისია წინადადებას იძლევა:

1. გაუქმდეს სასამართლო ძიება იოზეფ შვეიკის საქმეზე და

2. გადაიგზავნოს იოზეფ შვეიკი ფსიქიატრიულ კლინიკაში იმის გამოსარკვევად, რამდენად საშიშია ადამიანთა საზოგადოებისოვის მისი ფსიქიკური მდგომარეობა.

იმ დროს, როცა ამ დასკვნას ადგენდნენ, შვეიკი თავის პატიმარ ამხანაგებს უამბობდა:

— ფერდინანდის საქმე ფეხებზე დაიკიდეს და ჩემთან რაღაც სისულელეებზე ლაყბობდნენ. ბოლოს ერთმანეთს ვუთხარით, რომ საკმარისად ვისაუბრეთ-თქო და დავიშალენით.

— მე არავისი არა მჯერა, — შენიშნა მოკუნტულმა კაცმა, რომლის მინდორზე შემთხვევით ადამიანის ჩონჩხი ამოთხარეს, — ყველაფერი ეს ყალთაბანდობაა, და მეტი არაფერი.

— ყალთაბანდობის გარეშე არც შეიძლება, — შეესიტყვა შვეიკი, რომელიც ჩალის ლეიბზე დასაწოლად ემზადებოდა, — ადამიანები რომ მხოლოდ სხვის კეთილდღეობაზე ზრუნავდნენ, მაშინ უფრო მალე დაერეოდნენ ერთმანეთს.

თავი IV

როგორ გამოაძევეს შვეიკი საგიჟეთიდან

შვეიკი როცა საგიჟეთში გატარებულ დღეებს იგონებდა, იგი ამ დაწესებულებას დიდი ქებით იხსენიებდა:

— სიმართლე გითხრათ, ვერ გამიგია, შეშლილებს რატომ მოსდით გული, როცა მათ იქ ათავსებენ. საგიჟეთში ადამიანს ნებადართული აქვს იატაკზე ტიტლიკანა იხოხოს, აფთარივით იყმუვლოს, გაშმაგდეს და ყველანი დაკბინოს. ეს რომ ვინმემ ქუჩაში ჩაიდინოს, ხალხი გაოცდებოდა, იქ კი ამგვარი რამეები ჩვეულებრივი ამბავია. იქ ადამიანს შეუძლია თავი გამოაცხადოს ღმერთად, მარიამ ღვთისმშობლად, რომის პაპად, ინგლისის მეფედ, ხელმწიფე-იმპერატორად, ან წმიდა ვაცლავადაც * (აღსანიშნავია, რომ ის, ვინც თავს ვაცლავად აცხადებდა, მუდამ ხელფეხშეკრული ჰყავდათ და შიშველ-ტიტველი ცალკე ოთახში იწვა). იქ იყო კიდევ ისეთიც, რომელიც სულ იმას გაიძახოდა — არქიეპისკოპოსი ვარო. სრულებით არაფერს აკეთებდა, მხოლოდ საჭმელსა თქვლეფდა... იყო ერთი ისეთიც, რომელიც წმიდა კონსტანტინე და მეთოდედ ასაღებდა

თავს, რომ ორმაგი ულუფა მიეღო. იქ ერთი ორსული მამაკაციც იჯდა, რომელიც ყველას ეპატიჟებოდა, ჩემი პირმშოს ნათლობაზე მეწვიეთო. ბლომად იყვნენ მოჭადრაკენი, პოლიტიკოსები, მეთევზეები, სკაუტები, საფოსტო მარკების კოლექციონერები, ფოტომოყვარულები. იქ მოხვდა ერთი ისეთი ადამიანიც, რომელიც ძველ ქოთნებს ლარნაკებად ასაღებდა. ერთიც სულ მუდამ დამამშვიდებელი პერანგით შეკოჭილი ჰყავდათ, რომ წუთისოფლის დასასრულის გამოანგარიშების საშუალება არ მისცემოდა. იქ რამდენიმე პროფესორს დავუახლოვდი. ერთი სულ ფეხდაფეხ დამდევდა და მიხსნიდა, რომ ბოშების წინაპართა სამშობლო კრკონოშე * იყოო, მეორე კი მიმტკიცებდა, დედამიწის ბურთის შუაგულში მეორე ბურთია, რომელიც გარეთა ბურთზე გაცილებით მეტიაო. საგიჟეთში ყველას შეუძლია ილაპარაკოს ის, რაც ენაზე მოადგება, როგორც ეს პარლამენტში ხდება ხოლმე. ერთ დღეს იქ ზღაპრები წამოიწყეს, მაგრამ ბოლოს ერთმანეთს დაერივნენ, რადგან რომელიღაც ზღაპრული პრინცესის საქმე ცუდად დაბოლოვდა. ყველაზე მოუსვენარი ერთი მამაკაცი იყო, რომელიც მეცნიერული ენციკლოპედიური ლექსიკონის მეთექვსმეტე ტომად ასაღებდა თავს. იგი ყველას ეხვეწებოდა — გადამფურცლეთ და ნახეთ სიტყვა „საკაზმავი სადგისი", თორემ საცსა დავიღუპებიო. მხოლოდ მაშინ დაწყნარდა, როცა დამამშვიდებელი პერანგით შეკრეს. იკვეხნიდა კიდეც, აი ხომ ხედავთ, ყდაში ჩამსვესო, და ყველას ემუდარებოდა, ახალ ყაიდაზე ჩამომჭერითო. ერთი სიტყვით, ჩემო ძმაო, იქ ცხოვრება კი არა, ცხონება იყო. შეგიძლიათ იყვიროთ, სანამ არ მოგწყინდებათ, იღრიალოთ, იმღეროთ, იტიროთ, იკიკინოთ, იშყვიროთ, იხტუნოთ, ილოცოთ, მალაყები აკეთოთ, ოთხზე იაროთ, ასკინკილა ითამაშოთ, გარშემო ირბინოთ, იცეკვოთ, იჯირითოთ, მთელი დღე ჩაცუცქული იჯდეთ და, თუ გნებავთ, კედელზეც კი აძვრეთ, — არაფინ თქვენთან არ შოვა და არ გეტყვით: „გეთაყვა, ის, რასაც თქვენ სჩადიხართ, ყოვლად დაუშვებელია, უზრდელობა გახლავთ, სირცხვილია, თქვენ ხომ კულტურული ადამიანი ბრძანდებითო". მაგრამ ისიც უნდა ითქვას, რომ იქ წყნარი შეშლილებიც ისხდნენ. მაგალითად, იქ ერთი მეცნიერი გამომგონებელი იყო, რომელიც გამუდმებით ცხვირს იჩიჩქნიდა და დღის განმავლობაში მხოლოდ ერთხელ წამოიძახებდა: „მე ეს-ესაა ელექტრობა აღმოვაჩინეო". კიდევ ვიმეორებ, იქ ძალიან კარგი იყო, ის რამდენიმე დღე, რაც საგიჟეთში გავატარე, ჩემი ცხოვრების საუკეთესო დღეებად მიმაჩნია.

და მართლაც, როცა საოლქო სისხლის სამართლის სასამართლოდან შვეიკი საგიჟეთში გადაგზავნეს შესამოწმებლად, იქ ისეთი დიდი ამბით შეეგებნენ, რომ პირდაპირ გაოცებული დარჩა. უპირველეს ყოვლისა, შვეიკი სულ მთლად გააშიშვლეს, მერე ხალათი ჩააცვეს და საბანაოდ წაიყვანეს, სანიტრებმა მზრუნველობით აქეთ-იქით იღლიაში ხელი ამოდვეს და ერთი მათგანი მთელი გზა ებრაული ანეკდოტებითაც კი ართობდა. სააბაზანოში შვეიკი თბილ წყალში ჩააყურყუმალავეს, მერე ამოათრიეს და ცივი შხაპის ქვეშ დააყენეს. ეს პროცედურა სამჯერ გაიმეორეს, მერე ჰკითხეს, როგორ მოგეწონათო. შვეიკმა უპასუხა, აქ ეს საქმე გაცილებით უკეთაა დაყენებული, ვიდრე კარლოსის ხიდთან მდებარე აბანოებში, და საერთოდ ძალიან მიყვარს ბანაობაო. „თუ ამასთანავე პატივს დამდებთ, ფრჩხილებს დამაჭრით და თმასაც შემკრეჭთ, ჩემს ბედნიერებას საზღვარი არ ექნება, და თქვენგან მეტიც არაფერი მინდაო", — დაუმატა მან თავისი მომხიბლავი ღიმილით.

შვეიკის სურვილი დააკმაყოფილეს. მერე საფუძვლიანად გახეხეს ღრუბლით, გახვიეს ზეწარში და პირველ განყოფილებაში გაიყვანეს. იქ ლოგინში ჩააწვინეს, თბილი საბანი დაახურეს და სთხოვეს დაიძინეთო.

შვეიკი ახლაც კი დიდი სიამოვნებით იგონებს ხოლმე იმ სანეტარო დღეს.

— წარმოიდგინეთ, ხელში ამიყვანეს და საწოლამდე ასე მიმიყვანეს; ენით გამოუთქმელ სიამოვნებას ვგრძნობდი.

შვეიკმა ტკბილად დაიძინა. შემდეგ გააღვიძეს და რძე და ფუნთუში მიართვეს. ფუნთუში წინასწარ პატარ-პატარა ლუკმებად იყო დაჭრილი. ერთმა სანიტარმა ორივე ხელი უკანიდან დაუჭირა, მეორე კი ამ დროს ფუნთუშის ნაჭრებს რძეში ულბობდა და ისე აყლაპებდა, როგორც სასუქ ინდაურს ცომს აყლაპვინებენ ხოლმე.

მერე ისევ აქეთ-იქიდან ამოუდგნენ შვეიკს, იღლიაში ხელი ამოდვეს, საპირფარეშოში წაიყვანეს და სთხოვეს, დიდი და მცირე ფიზიოლოგიური მოთხოვნილება დაიკმაყოფილეთო.

ამ ნეტარ წუთებზე შვეიკმა აღტაცებით გვიამბო. ჩვენ ვერ ვბედავთ იქ მომხდარ ამბებზე მისი ნათქვამის განმეორებას. მარტო ერთ ფრაზას მოვიყვანთ· „ერთ მათგანს იმ დროს ხელში გადაყენებული ვეჭირეო", — იგონებდა შვეიკი.

მერე უკანვე წაიყვანეს, ლოგინში ჩააწვინეს და ისევ სთხოვეს დაიძინეთო. რამდენიმე ხნის შემდეგ გააღვიძეს და კაბინეტში წაიყვანეს შესამოწმებლად. აქ შვეიკი ორი ექიმის წინაშე დედიშობი-

ლად რომ წარსდგა, უეცრად ჯარში გაწვევის დალოცვილი დრო მოაგონდა და უნებლიეთ წამოიძახა:

— Tauglich [1].

— რა თქვით?.. — ჰკითხა ერთმა ექიმმა. — გადადგით ხუთი ნაბიჯი წინ და ხუთიც უკან.

შვეიკმა ათი ნაბიჯი წინ გადადგა და ათიც უკან.

— მე თქვენ გითხარით, — შენიშნა ექიმმა, — ხუთი ნაბიჯი გადადგით-მეთქი.

— ჩემთვის ძნელი როდი გახლავთ ზედმეტი ხუთი წყვილი ნაბიჯის გადადგმა.

ამის შემდეგ ექიმებმა შვეიკს სთხოვეს სკამზე დამჯდარიყო. ერთმა მათგანმა რამდენჯერმე დაჰკრა ხელი მუხლზე, მერე კოლეგას მიუბრუნდა და უთხრა, რეფლექსები სავსებით ნორმალური აქვსო. იმან თავი გადააქნია და ახლა თვითონ შეუდგა შვეიკის მუხლების გასინჯვას, პირველმა ექიმმა კი ამ დროს ქუთუთოები გადაუწია და თვალის გუგებს უსინჯავდა. მერე ორივენი მაგიდისკენ წავიდნენ და ერთმანეთს ლათინურად რამდენიმე სიტყვა გადაულაპარაკეს.

— გამიგონეთ, სიმღერა იცით? — ჰკითხა ერთ-ერთმა ექიმმა შვეიკს. — ხომ არ გვიმღერებდით რამეს?

— სიამოვნებით, — უპასუხა შვეიკმა, — თუმცა არც ხმა მაქვს და არც მუსიკალური სმენა, მაგრამ შევეცდები რამე გიმღეროთ, თუკი თქვენ ეს გაგართობთ.

და შვეიკმა შემოსძახა:

ჩემო ნორჩო მონაზონო,
თავი მძიმედ რად დახარე?
მიწას ცრემლებს რისთვის აფრქვევ,
რათ ატირდი ასე მწარედ?

— მეტი აღარ ვიცი, — შეწყვიტა შვეიკმა. — თუ გნებავთ, ახლა სხვას გიმღერებთ:

ოი, როგორ მტკივა გული,
ოი, სევდა მომეჯარა...
გაეალ, ვეჯდები აივანზე,
და გავყურებ სულ თეშშარას.
შენ კი სად ხარ, ცუგრუმელავ?

---

[1] ვარგისია! (გერმ.)

— მეტი აღარც ეს ვიცი, — ამოიოხრა შვეიკმა. — ვიცი კიდევ მხოლოდ პირველი სტრიქონი სიმღერიდან: „სად არის ჩემი სამშობლო“ * და მერე „ვინდიშგრეცი“ * და სხვა ვიღაც ვაჟბატონი გენერლები ძლიერ ადრე, სისხამ დილით, ომს იწყებდნენ გამალებით“, აგრეთვე ორიოდე ხალხური სიმღერა: „ღმერთო, ფარვიდე მეფეს“ * „მივდიოდით იარომერში“ * და „ღირს არს ჭეშმარიტად“.

ექიმებმა ერთმანეთს გადახედეს და ერთმა მათგანმა შვეიკს ჰკითხა:

— წინათ ოდესმე თუ შეუმოწმებიათ თქვენი ფსიქიკური მდგომარეობა?

— როგორ არა, სამხედრო სამსახურში, — თავმომწონედ და ამაყად განაცხადა შვეიკმა. — ბატონმა სამხედრო ექიმებმა ოფიციალურად სრულ იდიოტად მცნეს.

— მე კი მგონია, თქვენ სიმულანტი ხართ! — უყვირა შვეიკს მეორე ექიმმა.

— სრულებითაც არა, ბატონო, მე სიმულანტი არა ვარ, — თავს იცავდა შვეიკი, — მე ნამდვილი იდიოტი ვარ. შეგიძლიათ ცნობები აიღოთ ჩესკე ბუდეიოვიცეში № 91 პოლკის კანცელარიაში, ანდა კარლინში, სამარქაფო სამმართველოში.

უფროსმა ექიმმა უიმედოდ ჩაიქნია ხელი, სანიტრებს მიუბრუნდა და შვეიკზე უთხრა:

— ამ კაცს თავისი ტანისამოსი მიეცით, წაიყვანეთ და პირველ დერეფანში მესამე განყოფილებას ჩააბარეთ. მერე ერთი თქვენგანი უკანვე დაბრუნდეს და ყველა მისი საბუთი კანცელარიაში წაიღოს. იქ უთხარით, ბევრს ნუ ებოდიშებიან, მალე მოიცილონ თავიდან.

ექიმებმა გაჯავრებით კიდევ ერთხელ შეხედეს შვეიკს, რომელიც მორიდებით უკან-უკან კარებისკენ იხევდა. ერთმა სანიტარმა შენიშნა, თავს რას იგდებ, წესიერად გაიარეო, — შვეიკმა უპასუხა:

— მე ხომ ჩაუცმელი ვარ, მთლად ტიტლიკანა, ამიტომ პანებს არ მინდა ვუჩვენო ჩემი სხეულის ის ნაწილი, რომლის გამო შეიძლება იფიქრონ, რა უზრდელი და თავხედი ვინმე ყოფილაო.

იმ წუთიდან, როცა სანიტრებმა ბრძანება მიიღეს, შვეიკს ტანსაცმელი დაუბრუნეთო, მათ ხელი აიღეს მის მზრუნველობაზე, უბრძანეს, ტანთ ჩაიცვიო, და ერთმა მათგანმა მესამე განყოფილებაში წაიყვანა. იქ შვეიკი რამდენიმე დღეს ჰყავდათ, სანამ კანცელარია საგიჟეთიდან გაწერას გააფორმებდა, და შვეიკს საშუალება მიეცა აქაც გახეგრძო თავისი დაკვირვებანი. გზაკვალაბ-

ნეულმა ექიმებმა მას ასეთი დასკვნა მისცეს: „ჰკუანაკლები სიმუ-
ლანტიაო“.

რადგან საგიჟეთიდან შვეიკი სწორედ სადილობის წინ გამოწე-
რეს, ამიტომ მთლად მშვიდობიანად როდი დასრულდა ეს საქმე.

შვეიკმა განაცხადა, რახან საგიჟეთიდან მაძევებთ, დიდი უნამუ-
სობა და ღორობა იქნება თქვენის მხრივ, რომ აღარც მასადილოთო.

ატეხილი ალიაქოთი მეკარის მიერ გამოძახებულმა პოლიციელ-
მა შეწყვიტა, რომელმაც შვეიკი სალმოვეს ქუჩაზე მდებარე კომი-
სარიატში წაიყვანა.

თავი V

შვეიკი პოლიციის კომისარიატში სალმოვეს ჟუჩაზე

საგიჟეთში გატარებული მშვენიერი, სხივმოსილი დღეების შემდეგ შვეიკისთვის ტანჯვა-წამებისა და დევნის ჟამი დადგა. პოლიციის ინსპექტორმა ბრაუნმა შვეიკს ისეთი შეხვედრა მოუწყო, როგორც ეს უსაყვარლეს იმპერატორ ნერონის დროინდელ რომაელ ნაცვლებს სჩვეოდათ. ისეთივე რისხვით, როგორც თავის დროზე ნაცვლები წამოისროლიდნენ ხოლმე: „ჩაუგდეთ ეგ არამზადა ქრისტიანი ლომებს“! — ინსპექტორმა ბრაუნმა დაიღრიალა:

— ჩააბწყვდიეთ ეგ ვაჟბატონი გისოსებიან საკანში!

არც ერთი სიტყვა მეტი, არც ერთი სიტყვა ნაკლები. ოღონდ პოლიციის ინსპექტორის თვალებში ამ დროს შეამჩნევდით რაღაცნაირი თავისებური შერყვნილი სიამოვნების გამომეტყველებას. შვეიკმა თავი დაუკრა და ღირსებით უპასუხა:

— მე მზადა ვარ, ბატონებო. რამდენადაც გამეგება, „გისოსებიანი საკანი“ ნიშნავს სატუსაღო საკანს, ეს კი არცთუ ისე ცუდია.

— გირჩევნია, ენას კბილი დააჭირო, — უთხრა პოლიციელმა, რაზედაც შვეიკმა უპასუხა:

— მე თავმდაბალი ადამიანი ვარ და ყველაფერზე მადლობელი დავრჩები, რასაც გამიკეთებთ.

საკანში ტახტზე ვიღაც ჩაფიქრებული მამაკაცი იჯდა. მისი სახე აპათიას გამოხატავდა. ეტყობოდა, არ სჯეროდა, რომ კარები ოდესმე გაიღებოდა და მას გაუშვებდნენ.

— ჩემი სალამი, ბატონო ჩემო, — უთხრა შვეიკმა და ტახტზე ჩაძოუჯდა. — ხომ არ იცით, ნეტავი რომელი საათი იქნება?

— მე საათის გუნებაზე არა ვარ, — უპასუხა ჩაფიქრებულმა მამაკაცმა.

— აქ არც ისე ცუდია, — შეეცადა შვეიკი საუბრის გაბმას. ტახტზე ბურბუშელის ლეიბია დაგებული.

სერიოზული სახის მამაკაცმა არაფერი უპასუხა, წამოდგა და სწრაფად დაიწყო სიარული ტახტსა და კარებს შორის დარჩენილ სივიწროვეში, თითქოს რაღაცის გადარჩენას ისწრაფვოდა.

შვეიკი კი ამ დროს ინტერესით ათვალიერებდა კედლებზე დაფხაჭნილ წარწერებს. ერთ-ერთ წარწერაში, რომელიღაც ტუსაღს პოლიციისთვის ომი გამოეცხადებინა და ყველაფერი სიკვდილ-სიცოცხლის სასწორზე დაედო. ტექსტი ღაღადებდა: „ეს თქვენ იოლად არ ჩაგივლით!“ მეორე ტუსაღი სწერდა: „ეშმაკსაც წაუღიხართ, თქვე მამლებო!“ * მესამე უბრალოდ ადასტურებდა მომხდარ ფაქტს: „ვიჯექი აქ 1913 წლის 5 ივნისს, საკმაოდ წესიერად მეპყრობოდნენ. ვრშოვიცელი მედუქნე იოზეფ მარეჩეკი“. იყო ისეთი წარწერაც, რომელიც თავისი სიღრმით გულს სწვდებოდა:

„შემიწყალე მე, უფალო!“

მის ქვეშ კი მიწერილი იყო: „მაკოცეთ ტ...“

ასო „ტ“ ხაზგადასმული იყო და გვერდით მიწერილი ჰქონდა დიდი ასოებით: „კალთაზე“. იქვე რომელიღაც პოეტური ბუნების ტუსაღს მიეწერა ლექსი:

სევდიანი ვზივარ ნაკადულის პირას,
მზე მთების გადაღმა თითქმის ჩაიძირა.
და გავყურებ ბექობს, მზე რომ სხივებს
ესვრის, —
იქ ჩემი სულიკო იტანჯება, კვნესის.

მამაკაცი, რომელიც კარებსა და ტახტს შორის დარბოდა, თითქოს მარათონულ რბენაში ვისმესთან მეტოქეობდა. ბოლოს დაიქა-

ნცა, გაჩერდა და ქოშინით დაჯდა თავის წინანდელ ადგილზე, თავზე ხელები შემოიდო და ანაზდად დაიღრიალა:

— გამიშვით, გამიშვით!.. „არა, ისინი მე არ გამიშვებენ, — ერთი წუთის შემდეგ ჩაილაპარაკა მან თავისთვის, — არ გამიშვებენ. მე აქ უკვე დილის ექვსი საათიდან ვარ“.

უეცრად მას სრულიად უმიზეზოდ, ლაპარაკის საღერღელი აეშალა. წამოდგა თავის ადგილიდან და შვეიკს მიმართა:

— თქვენ შემთხვევით ღვედი ხომ არა გაქვთ, რომ ყოველივე ამას ბოლო მოვუღო?

— დიდი სიამოვნებით გაგიწევთ სამსახურს, — უპასუხა შვეიკმა და შემოიხსნა შარვლის ქამარი. — მე ჯერ არასოდეს არ მინახავს, განმარტოებულ საკანში როგორ იხრჩობენ თავს ღვედით... მხოლოდ ერთია საწყენი, — შენიშნა მან, როცა საკანი შეათვალიერა, — აქ ერთი კაუჭიც კი არსადაა. ფანჯრის სახელური თქვენ ვერ გაგიძლებთ. დაგრჩენიათ ტახტზე ჩამოეკიდოთ, მუხლებზე დამდგარი, როგორც ეს ემაუზის მონასტრის ბერმა მოიმოქმედა, რომელმაც ჯვარცმაზე ჩამოიხრჩო თავი ახალგაზრდა ებრაელი ქალის გულისთვის. თვითმკვლელები მე ძალიან მომწონს. მაშ ასე, ინებეთ...

მოღუშულმა მამაკაცმა, რომელსაც შვეიკმა ხელში ქამარი შეაჩეჩა, დახედა ამ ქამარს, მოიქნია და კუთხეში გადაისროლა, მერე აქვითინდა, ჭუჭყიანი ხელებით სახეზე ცრემლებს იწმენდდა, და თან ზლუქუნებდა:

— ბავშვები მყავს, მე კი აქ ლოთობისა და უზნეო საქციელისთვის ვზივარ, ღმერთო ჩემო! საცოდავო ჩემო ცოლო! რას მეტყვიან სამსახურში! მე აქ ლოთობისა და უზნეო საქციელისთვის ვზივარ! — გაიბა წუწუნი დაუსრულებლად.

ბოლოს იგი თითქოს ცოტაოდენ დამშვიდდაო, მივიდა კარებთან და ხელებითა და ფეხებით ბრახუნი დაუწყო. დერეფნიდან მოისმა ფეხის ხმა და ძახილი:

— რა გინდა?

— გამიშვით! — წარმოთქვა პატიმარმა ისეთი კილოთი, თითქოს თავისი სიცოცხლის უკანასკნელ წუთებში ამბობდა ამას.

— სად? — გაისმა შეკითხვა კარების მეორე მხრიდან.

— სამსახურში, — უპასუხა ბედშავმა მამამ, მეუღლემ, მოხელემ, ლოთმა და უზნეო ადამიანმა.

გაისმა სიცილი, შემზარავი სიცილი, რომელმაც დაარღვია

დერეფანში გამეფებული სიწყნარე... და ფეხის ხმა ისევ მიწყდა.

— ჩანს, ამ ვაებატონს მაგრად სძულხართ, რომ ასე მწარედ დაგცინით, — უთხრა შვეიკმა, როცა მთლად იმედგაცრუებული მეზობელი ისევ მიუჯდა გვერდით. — სატუსაღოს დარაჯი როცა გაბრაზდება, ბევრი რამის ჩადენა შეუძლია, და როცა უარესად გაბრაზდება, მისგან ყოველგვარ სისაძაგლეს უნდა მოელოდეთ. თუ თავის ჩამოხრჩობა გადაიფიქრეთ, იჯექით თქვენთვის წყნარად, და ელოდეთ ამბების შემდგომ განვითარებას. თუ თქვენ მოხელე ხართ, ცოლშვილიც გყავთ, მაშინ, რა თქმა უნდა, ყველაფერი ეს მართლაც საშინელებაა. თქვენ, ჩემის აზრით, თუ არ ვცდები, დარწმუნებული ხართ, რომ სამსახურიდან გაგაგდებენ?

— ძნელი სათქმელია, — ამოიხვნეშა იმ საწყალმა. — საქმე ისაა, რომ მე თვითონ არ მახსოვს, რა ჩავიდინე. ვიცი მხოლოდ, რომ საიდანღაც კინწისკვრით გამომაგდეს, მაგრამ ვცდილობდი უკან დაბრუნებას, მინდოდა სიგარისთვის ცეცხლი მომეკიდებინა. მერე-და, ყოველივე რა კარგად დაიწყო... იცით, ჩვენი განყოფილების უფროსი დღეობას იხდიდა და ყველანი მიგვიწვია ღვინის სარდაფში, მერე მოვხვდით მეორეში, იქიდან მესამეში, მეოთხეში, მეხუთეში, მეექვსეში, მეშვიდეში, მერვეში, მეცხრეში...

— ხომ არ ინებებთ, დათვლაში მოგეშველოთ? — თავს იდვა დახმარების გაწევა შვეიკმა. — მე ასეთ საქმეებში ვერკვევი. ერთხელ ერთი ღამის განმავლობაში ოცდარვა სარდაფი შემოვიარე, მაგრამ ჩემდა საქებრად უნდა ითქვას, რომ არსად სამ ტოლჩაზე მეტი ლუდი არ შემისვამს.

— ერთი სიტყვით, — განაგრძო ბედუკულმართმა ხელქვეითმა იმ უფროსისა, რომელმაც ასეთი ბრწყინვალე დღეობა გადაიხადა, — როცა ჩვენ შემოვიარეთ ერთი დუქანი სხვადასხვა სამიკიტნო, აღმოჩნდა, რომ ჩვენი უფროსი სადღაც გამქრალიყო, — თუმცა წინასწარ თოკი გამოვაბით და ფინია ძაღლივით ყველგან თან დაგვყავდა. გავეშურეთ მის საძებრად და ბოლოს ერთმანეთიც დავკარგეთ. ბოლოს და ბოლოს მე ერთ-ერთ ღამის რესტორანში აღმოვჩნდი ვინოჰრადზე, ფრიად წესიერ დაწესებულებაში, სადაც პირდაპირ ბოთლიდან გადავკარი ლიქიორი. მერე რა ამბები დავატრიალე, — აღარ მახსოვს... ვიცი, მხოლოდ, რომ როცა უკვე აქ, კომისარიატში მომიყვანეს, ორმა პოლიციელმა უპატაკა უფროსს, თითქოს მე დავთვერი, თავი უწესოდ მეჭირა, ერთ დარბაისელ ქალს სილა გავაწანი, ჯაყვით დავეცერი სხვისი ქუდი, რომელიც საკიდი-

დან ჩამოვიღე, დავერიე და გავრეკე ქალთა კაპელა, სახალხოდ ბრალი დავდე ობერ-კელნერს თორმეტი კრონის ქურდობაში, გავტეხე მარმარილოს დაფა მაგიდაზე, რომელთანაც ვიჯექი და განზრახ ჩავუფურთხე მეზობელ მაგიდასთან მჯდომ უცნობ მამაკაცს შავ ყავაში. მეტი არაფერი გამიკეთებია... ყოველ შემთხვევაში არ მახსოვს, რომ კიდევ რამე ჩამედინოს... მერწმუნეთ, მე წესიერი კაცი ვარ, ინტელიგენტი, და ჩემი ოჯახის გარდა არაფერზე არ ვფიქრობ. რას იტყვით ამაზე? მე ხომ ვინმე ჩხუბის თავი არა ვარ, აურზაურის ამტეხი!

— დიდხანს დაგჭირდათ წვალება, სანამ იმ მარმარილოს დაფას გატეხდით, თუ ერთი დარტყმით დაამსხვრიეთ? — დაინტერესდა და თავის მხრივ შეეკითხა შვეიკი, ნაცვლად იმისა, რომ ეპასუხნა.

— ერთი დარტყმით, — უპასუხა ინტელიგენტმა კაცმა.

— მაშ თქვენი საქმე წასულია, — წარმოთქვა ჩაფიქრებულმა შვეიკმა. — თქვენ დაგიმტკიცებენ, რომ ამ საქმისთვის დიდხანს ემზადებოდით, გულმოდგინედ ვარჯიშობდით. იმ უცნობი მამაკაცის ყავა, რომელშიც ჩააფურთხეთ, რომით იყო, თუ ურომოთ?

პასუხს არ დაელოდა, და თვითონ განუმარტა:

— თუ რომით იყო, უარესი თქვენთვის, ვინაიდან უფრო ძვირი დაგიჯდებათ. სასამართლოში ყველაფერს ანგარიშობენ და აჯამებენ, რომ როგორმე მძიმე დანაშაული მოგაკერონ...

— სასამართლოში? — სულმოკლედ ჩაილუღლუღა პატივცემულმა ოჯახის მამამ, თავი ჩაჰკიდა და იმ არასასიამოვნო სულიერ მდგომარეობაში ჩავარდა, როცა ადამიანს სინდისის ქენჯნა სჭამს[1] და ანადგურებს.

— შინ იციან თუ არა, რომ თქვენ დაპატიმრებული ხართ, ან იქნებ ამას მხოლოდ გაზეთებიდან გაიგებენ? — შეეკითხა შვეიკი.

— თქვენ ფიქრობთ, რომ ეს ამბავი გამოქვეყნდება... გაზეთებში? — მიამიტად ჰკითხა თავისი უფროსის დღეობის მსხვერპლმა.

— უეჭველად, — გაისმა გულწრფელი პასუხი, ვინაიდან შვეიკი არასოდეს არაფერს უმალავდა ხოლმე თავის თანამოსაუბრეს. — გაზეთის მკითხველებს ეს ძალიან მოეწონებათ. მე თვითონ ყოველთვის სიამოვნებით ვკითხულობ ხოლმე გაზეთში იმ განყოფილებას,

---

[1] ზოგიერთი მწერალი იყენებს გამოთქმას: „სინდისის ქენჯნა ღრღნისო". მე ასეთი გამოთქმა მთლად ზუსტად არ მიმაჩნია. ვეფხვიც ხომ სჭამს ადამიანს და არა ღრღნის. (ავტორის შენიშვნა).

სადაც ლაპარაკია მთვრალებზე და მათ უწესო საქციელზე. აი, ამას წინათ სამიკიტნო „უ კალიხაში“ ერთმა კაცმა ასეთი ოინი ქნა: საკუთარი თავი გაიტეხა სალუდე ტოლჩით. ტოლჩა მაღლა აისროლა და თავი შეუშვირა. იგი წაიყვანეს, დილით კი ამის შესახებ უკვე გაზეთებში ვკითხულობდით. ან, მაგალითად, ბენდლოვკაში * მე ერთ დამკრძალავ ბიუროს მეჩირაღდნეს სილა ვაჭამე, მანაც სამაგიერო გადამიხადა. შესარიგებლად ორთავე ვირის აბანოში შევვაგდეს, და ეს ამბავი უმალ გაჩნდა საღამოს გაზეთის ფურცლებზე... ან კიდევ ერთი ასეთი შემთხვევა: კაფეში „უ მრტვოლი“ ერთ კოლეგიის მრჩეველს ორი პატარა ლამბაქი გაუტყდა. და გგონიათ ის დაზოგეს? მეორე დღესვე გაზეთებში გამოაქვენეს... თქვენ ერთიღა დაგრჩენიათ: საპატიმროდან გაზეთში გაგზავნოთ საპასუხო წერილი, რომ გამოქვეყნებული საგაზეთო ცნობა თქვენ არ გეხებათ და რომ ამ მოგვარესთან საერთო არაფერი გაქვთ, არც ნათესაური, არც სხვა რაიმე კავშირი. შინ კი გაგზავნეთ პატარა ბარათი, სთხოვეთ შინაურებს ამოჭრან ეს საპასუხო წერილი და შეინახონ, როცა სასჯელს მოიხდით და გაგიშვებენ, საშუალება გექნებათ წაიკითხოთ... ხომ არ გცივათ? — თანაგრძნობით შეეკითხა შვეიკი, როცა შეამჩნია, რომ ინტელიგენტი პატიმარი მთლად კანკალებდა. — წელს ზაფხულის მიწურულში რაღაც ცივი ამინდები დაგვიდგა.

— დავიღუპე, ჩემი სპშველი აღარაა, — აქვითინდა შვეიკის მეზობელი. — ვეღარ ვეღირსები სამსახურში წინ წაწევას.

— მაგას რაღა ლაპარაკი უნდა, — მხიარულად დაუდასტურა შვეიკმა. — სატუსაღოდან გათავისუფლების შემდეგ თუ წინანდელ სამსახურში აღარ დაგაპრუნეს, არ ვიცი, სად უნდა მოძებნოთ სხვა სამუშაო, ვინაიდან ყველგან, თუნდ ტყავისმხდელთანაც რომ მოინდომოთ მუშაობა, კეთილი ზნეობის მოწმობას მოგთხოვენ. დიახ, დღეობის მთელი ეს სიამოვნება ძვირად დაგიჯდებათ... ერთი ეს მითხარით, თქვენს ცოლშვილს არსებობის რაიმე წყარო თუ გააჩნია, სანამ თქვენ აქ ზიხართ? ან იქნებ ისე გაქვთ საქმე, რომ ცოლს კარდაკარ სამათხოვროდ სიარული მოუხდება, შვილები კი იძულებული გახდებიან ათასგვარ თაღლითობასა და მამაძაღლობას მოკიდონ ხელი?

გაისმა გულამოსკვნილი ქვითინი.

— ჩემი საწყალი ბავშვები! საცოდავი ჩემი ცოლი!

მომნანიებელი ცოდვილი წამოდგა და თავის ბავშვებზე დაიწყო ლაპარაკი.

— ხუთი ბავშვი მყავს, ყველაზე უფროსი თორმეტი წლისაა, სკაუტია, სვამს მარტო წყალს და მისაბაძ მაგალითად გამოდგებოდა მამისთვის, რომელსაც ასეთი უცნაური ამბავი, — დასტურ, — პირველად შეემთხვა თავის სიცოცხლეში.

— იგი სკაუტია? — წამოიძახა შვეიკმა. — მიყვარს სკაუტების ამბების მოსმენა. ერთხელ ზლივის მახლობლად მიდლოვარებში, ჰლუბოკეს რაიონში, ჩესკე ბუდეიოვიცეს საჰეტმანო ოკრუგში, სწორედ იმ დროს, როცა იქ ჩვენი ოთხმოცდამეთერთმეტე პოლკი მეცადინეობაზე იყო, ახლომახლო მდებარე სოფლების გლეხები თავს დაესხნენ სკაუტებს, რომლებიც ძალზე გამრავლდნენ სათემო ტყეებში. დაიჭირეს სამი, და წარმოიდგინეთ, ყველაზე პატარამ მათ შორის, როცა ის შეიპყრეს, ისეთი საცოდავი ყვირილი და ტირილი მორთო, რომ ჩვენც კი, ბევრის მნახველ ჯარისკაცებს, გული ამოგვიჯდა, ვეღარ გავუძელით... და გვერდზე გავდექით. სანამ მათ გაკოჭავდნენ, ამ სამმა სკაუტმა რვა გლეხი დაკბინა. მერე, როცა ჰამასახლისს მიჰგვარეს და ისინი მაგრად გაროზგეს, გამოტყდნენ, რომ მთელ ოკრუგში არ დარჩენილა არც ერთი მდელო, რომელიც მათ არ მოეთელოთ მზეზე გორაობის დროს. ამასთანავე იმაშიც გამოტყდნენ, რომ რაჟიცასთან, ზედ ჭირნახულის აღების წინა დღეებში სრულიად შემთხვევით ცეცხლი წაეკიდა და გადაიწვა მოუმკალი პური, როცა ისინი ამ პურში შამფურზე სათემო ტყეში სკაუტური დანით მოკლულ შველს წვავდნენ. გარდა ამისა, ტყის ბუნაგში, სადაც თავს აფარებდნენ სკაუტები, ათასგვარი შინაური ფრინველისა და ტყის ნადირის ორმოცდაათ კილოზე მეტი შემოღრღნილი ძვალი იპოვეს, დიდი რაოდენობით ალუბლის კურკა, აუარებელი მკვახე ვაშლის ნაკბეჩი და ბევრი სხვა სანოვაგე.

მაგრამ სკაუტის საბრალო მამა ამან მაინც ვერ დაამშვიდა.

— ეს რა ჩავიდინე! — მოსთქვამდა იგი. — დავღუპე ჩემი რეპუტაცია.

— ამას ხომ ლაპარაკი აღარ უნდა, — დაუდასტურა თავისი ჩვეული გულღიაობით შვეიკმა. — იმის შემდეგ, რაც მოხდა, თქვენი რეპუტაცია სამუდამოდ დაღუპულია. თუ ეს ამბავი გაზეთებში გამოქვეყნდა, რაღაც-რაღაცეებს თავის მხრივ თქვენი ნაცნობებიც დაუმატებენ. ასეთი რამ ხომ ჩვეულებრივი ამბავია. უკეთესი იქნება, ყურადღებას რომ არ მიაქცევდეთ. სახელგატეხილ ადამიანთა რიცხვი ქვეყანაზე გაცილებით მეტია, ვიდრე უმწიკვლო ადამიანები. ეს არაფერია.

დერეფანში მძიმე ნაბიჯის ხმა გაისმა, საკეტში გასაღები აჩხაკუნდა, კარი გაიღო და პოლიციელმა შვეიკს გამოუძახა.

— უკაცრავად, — რაინდულად მოაგონა შვეიკმა, — მე აქ მხოლოდ დღის თორმეტი საათიდან ვიმყოფები, პანი კი დილის ექვსი საათიდანაა. მე მაინცადამაინც არ მეჩქარება.

პასუხის ნაცვლად ღონიერმა ხელმა შვეიკი დერეფანში გაათრია, და მორიგემ უხმოდ აიყვანა იგი კიბით მეორე სართულზე.

ოთახში მაგიდას უჯდა ჩასუქებული პოლიციის კომისარი, რომელიც მხნედ გამოიყურებოდა. მან შვეიკს მიმართა:

— მაშ, ეს თქვენა ხართ, შვეიკ? როგორ მოხვდით აქ?

— სულ უბრალოდ, — უპასუხა შვეიკმა. — მე აქ პოლიციელმა მომაცილა, ვინაიდან არასგზით არ შემეძლო შევრიგებოდი იმ აზრს, რომ საგიჟეთიდან მაძევებდნენ და სადილზეც უარს მეუბნებოდნენ. ვინმე მაწანწალა ხომ არ ვეგონე მათ.

— იცით რა, შვეიკ, — ტკბილად უთხრა კომისარმა. — რად უნდა ვიჩხუბოთ ჩვენ აქ, სალმოვეს ქუჩაზე? უკეთესი ხომ არ იქნებოდა, საპოლიციო სამმართველოში რომ გადაგაგზავნოთ?

— მდგომარეობის ბატონ-პატრონი, როგორც იტყვიან, თქვენა ბრძანდებით, — კმაყოფილებით უპასუხა შვეიკმა. — საღამოთი ჰაერზე გავლა საპოლიციო სამმართველოს მიმართულებით — ურიგო არაა. ეს იქნება ხანმოკლე, მაგრამ ძალზე სასიამოვნო გასეირნება.

— დიდად მოხარული ვარ, რომ ჩვენი აზრები ერომანეთს დაემთხვა, — სიხარულით დაასკვნა პოლიციის კომისარმა, — იმაზე კარგი არაფერია, როცა ადამიანები ადვილად თანხმდებიან ხოლმე. ასე არაა, შვეიკ?

— მეც სიამოვნებით ვეკითხები ხოლმე სხვას რჩევას, — უპასუხა შვეიკმა. — მერწმუნეთ, პანე კომისარ, არასოდეს თქვენს სიკეთეს მე არ დავივიწყებ.

შვეიკმა კომისარს თავაზიანად დაუკრა თავი, პოლიციელის თანხლებით ჩამოვიდა კიბეზე და საყარაულოში შევიდა. თხუთმეტი წუთის შემდეგ იგი უკვე იეჩენის ქუჩისა და კარლოსის მოედნის კუთხეში მიაბიჯებდა მეორე პოლიციელის თანხლებით, რომელსაც იღლიაში დიდი წიგნი ჰქონდა ამოჩრილი გერმანული წარწერით: Arestantenbuch" [1].

სპალენეს ქუჩის კუთხეში შვეიკი და მისი მხლებელი პოლიციე-

---

[1] პატიმართა სიის წიგნი (გერმ.).

ლი წააწყდნენ ხალხის ბრბოს, რომელიც კედელზე გაკრულ განცხადებასთან შეჯგუფულიყო.

— ეს ხელმწიფე-იმპერატორის მანიფესტია ომის გამოცხადების შესახებ, — უთხრა პოლიციელმა შვეიკს.

— მე ეს ვიწინასწარმეტყველე, — თქვა შვეიკმა. — საგიჟეთში კი ამის ბაიბურშიც არ არიან, მიუხედავად იმისა, რომ სწორედ მათ უნდა იცოდნენ ეს პირველ წყაროდან.

— ამით რისი თქმა გსურთ? — ჰკითხა პოლიციელმა.

— იქ ხომ ბლომად სხედან ბატონი ოფიცრები, — განმარტა შვეიკმა.

როცა ისინი მეორე ჯგუფს მიუახლოვდნენ, რომელიც აგრეთვე მანიფესტს კითხულობდა, შვეიკმა დაიყვირა:

— გაუმარჯოს იმპერატორ ფრანც იოსებს! ჩვენ გავიმარჯვებთ!

აღგზნებულ ბრბოდან შვეიკს ვიღაცამ ერთი ხელის დაკვრით ყურებამდე ქვაბურა ქუდი ჩამოაფხატა და ამ სახით მთელი ბრბოს თვალწინ, რომელიც მის გარშემო შეგროვდა, ხელმეორედ შეაბიჯა ყოჩაღმა ჯარისკაცმა შვეიკმა პოლიციის სამმართველოს ალაყაფის კარებში.

— ამ ომს ჩვენ უეჭველად მოვიგებთ, კიდევ ერთხელ ვიმეორებ, ბატონებო! — წარმოთქვა ეს სიტყვები შვეიკმა და ბრბოს განშორდა.

შორეულ, ძალიან შორეულ დროში ევროპაში მოაღწია მართებულმა თქმამ, რომ ხვალინდელ დღეს შეუძლია მიმდინარე დღის გეგმებიც კი ჩაფუშოსო.

თავი VI

შვეიკმა გაარღვია მოჯადოებული წრე და ისევ შინ აღმოჩნდა

საპოლიციო სამმართველოში მოკალათებული იყვნენ ხალხისთვის უცხო ხელისუფლების ავან-ჩავანნი. ეს ხელისუფლება გაფაციცებით თვალყურს ადევნებდა, თუ რა განწყობილებით შეხვდა ხალხი ომის გამოცხადებას. სულ რამდენიმე კაცის გამოკლებით, რომლებმაც ზურგი არ შეაქციეს თავის ხალხს, ხალხს, რომელსაც წვეთ-წვეთობით სისხლი უნდა დაეღვარა მისთვის აბსოლუტურად უცხო ინტერესების სანაცვლოდ, საპოლიციო სამმართველო წარმოადგენდა მტაცებელ-ბიუროკრატების შესანიშნავ კუნსტკამერას. ამ მტაცებლების აზრით, მხოლოდ ციხისა და სახრჩობელის ყოველმხრივი გამოყენებით იყო შესაძლებელი დახლართული, მიკიბულ-მოკიბული პარაგრაფების შენარჩუნება. ამასთანავე ეს მტაცებელი-ბიუროკრატები თავის მსხვერპლს შხამნარევი თავაზიანობით ეგებებოდნენ და თვითეული სიტყვა წინასწარ ჰქონდათ გამოზომილი.

— მე ძალიან, ძალიან ვწუხვარ, — უთხრა ერთ-ერთმა ამ შავ-ყვითელმა მტაცებელმა *, როცა შვეიკი მას მიჰგვარეს, — რომ თქვეს ისევ ჩვენს ხელში მოხვდით. ჩვენ გვეგონა, რომ გამოსწორდებოდით... მაგრამ, თურმე, მოვტყუვდით.

შვეიკი თანხმობის ნიშნად ხმაამოუღებლად თავს უკანტურებდა, ამასთანავე ისეთი ალალმართალი ადამიანის სახე მიიღო, რომ შავყვითელმა მტაცებელმა გაკვირვებით შეხედა და მკვახედ შეუტია:

— თავს ნუ მოისულელებთ, მე თქვენ გეუბნებით!

მაგრამ ამავე წამს თავაზიან კილოზე გადავიდა.

— მერწმუნეთ, ჩვენ სრულებით არ გვსიამოვნებს, რომ თქვენ პატიმრობაში იყოთ. ჩემის აზრით, გთხოვთ ამაში მერწმუნოთ, თქვენი დანაშაული არც ისე მძიმეა, ვინაიდან, თუ მხედველობაში მივიღებთ თქვენი გონებრივი განვითარების დაბალ დონეს, უნდა ვიფიქროთ, რომ თქვენ, ეჭვს გარეშეა, ვიღაც-ვიღაცეებმა წაგაქეზეს. მითხარით, გეთაყვა, შვეიკ, სახელდობრ ვინ ჩაგადენიათ ასეთი სისულელეები.

შვეიკმა ჩაახველა.

— ბოდიშს ვიხდი, მაგრამ არავითარი წარმოდგენა არა მაქვს რაღაც სისულელეებზე.

— აბა, განა ეს სისულელე არ არის, პანე შვეიკ, — აჯერებდა მტაცებელი ნაძალადევი მამაშვილური კილოთი, — როცა თქვენ, როგორც ამას თქვენი მხლებელი პოლიციელი გვიმოწმებს, თავი მოუყარეთ ბრბოს კუთხეში გაკრულ ომის მაუწყებელ მანიფესტთან და აღაგზნებდით ხალხს წამოძახილებით: „გაუმარჯოს იმპერატორ ფრანც იოსებს! ჩვენ გავიმარჯვებთ!“

— მე არ შემეძლო გულხელდაკრეფილი მეცქირნა და არაფერი მომემოქმედნა, — განუმარტა შვეიკმა და თავისი კეთილი თვალები მიაპყრო ინკვიზიტორს. — ძალიან ავღელდი, როცა დავინახე, რომ ყველა კითხულობდა ამ მანიფესტს ომის შესახებ, სიხარულს კი არავინ გამოთქვამდა. არც გამარჯვების წამოძახილები გაისმოდა, არც „ვაშას“ ძახილი... საერთოდ არაფერი, ბატონო მრჩეველო. თითქოს მათ ყოველივე ეს არც ეხებოდა. აქ უკვე მე, ოთხმოცდამეთერთმეტე პოლკის ძველმა ჯარისკაცმა, ვეღარ მოვითმინე და წამოვიძახე ეს სიტყვები. ჩემს ადგილზე რომ ყოფილიყავით, თქვენც უთუოდ ზუსტად ასე მოიქცეოდით. ომი თუა, ომი იყოს, რა გაეწყობა — ჩვენ ის გამარჯვებით უნდა დავამთავროთ,

და გამუდმებით ვადიდოთ და ვასახელოთ ჩვენი ხელმწიფე — იმ-
პერატორი. ამაში ვერავინ გადამარწმუნებს.

შავ-ყვითელმა მტაცებელმა, რომელსაც სიტყვის შესაბრუნებ-
ლად გასაქანი აღარ მიეცა, ვერ გაუძლო შვეიკის უმანკო კრავის
თვალებს, ქაღალდებში ჩარგო თავი და წარმოთქვა:

— საუსებით გასაგები იქნებოდა თქვენი აღფრთოვანება, სხვა
ვითარებაში რომ გამოგემჟღავნებინათ. თქვენ თვითონ ძალიან კარ-
გად იცით, რომ პოლიციელი გახლდათ, ასე რომ თქვენს პატრიო-
ტიზმს ბრბოში შეეძლო მხოლოდ სიცილი გამოეწვია და სრულე-
ბით არ მოახდენდა რაიმე სერიოზულ შთაბეჭდილებას.

— პოლიციელის ბადრაგით ქუჩაში სიარული — მძიმე მომენტი
გახლავთ თვითეული ადამიანის ცხოვრებაში. მაგრამ თუ ადამიანი
ამ მძიმე მდგომარეობაშიც არ ივიწყებს, რა უნდა გააკეთოს ომის
გამოცხადების დროს, ვფიქრობ, ასეთი ადამიანი არც ისე ცუდი
უნდა იყოს.

შავ-ყვითელმა მტაცებელმა შეუღრინა და კიდევ ერთხელ პირ-
დაპირ შეხედა თვალებში შვეიკს. შვეიკმა უპასუხა თავისი უმანკო,
რბილი, მოკრძალებული, ნაზი და თბილი გამოხედვით.

ერთ წუთს ისინი ერთმანეთს ასე მიშტერებოდნენ.

— მომწყდით თავიდან, ეშმაკის კერძო! — დაიღმუვლა ბოლოს
მოხელის დრუნჩმა. — ოღონდ იცოდეთ, თუ კიდევ ერთხელ ჩამი-
ვარდით ხელში, თქვენი გამოკითხვით საერთოდ თავს აღარ შევი-
წუხებ და პირდაპირ ჰრადჩანში * მიგაბრძანებთ — სამხედრო სასა-
მართლოში. გასაგებია?

ვიდრე მოხელე კიდევ რამის თქმას მოასწრებდა, შვეიკმა მიირ-
ბინა მასთან, ხელზე აკოცა და უთხრა:

— ღმერთმან მოგიზღოს სამაგიერო! თუ ოდესმე მოგესურვე-
ბათ იყოლიოთ წმინდა სისხლის ძაღლი, ინებეთ ჩემი შეწუხება.
მე ძაღლებით ვვაჭრობ.

ამრიგად, შვეიკი ისევ თავისუფალი აღმოჩნდა.

შინისკენ მიმავალი შვეიკი გზაში ფიქრობდა, შეევლო თუ არა
სალუდე „უ კალიხაში", და ბოლოს შეაღო იგივე კარები, რომლი-
დანაც კარგა ხნის წინათ პოლიციის აგენტის ბრეტშნაიდერის თანხ-
ლებით გამოვიდა.

სალუდეში სამარისებური სიჩუმე იდგა, თითქოს მდუმარების
ანგელოზს ჩამოეველოს. იქ რამდენიმე კაცს შეეყარა თავი, მათ
შორის წმ. აპოლინარის ეკლესიის დარაჯიც იყო. ყველას თავპირი

ჩამოსტიროდა. დახლთან მიკიტან პალივეცის ცოლი იჯდა და გამოთაყვანებული უყურებდა სალუდე ონკანებს.

— აი მეც დავბრუნდი! — მხიარულად წარმოთქვა შვეიკმა. — ჩამომისხით, გეთაყვა, ერთი ტოლჩა ლუდი. სადაა ჩვენი პან პალივეცი? ალბათ, უკვე შინაა?

პასუხის ნაცვლად დიასახლისს ცრემლები წასკდა და მწუხარედ ამოიზლუქუნა:

— ათი წელი... ათი წელი მიუსაჯეს... ამ ერთი კვირის წინათ.

— აი, ხომ ხედავთ! — უთხრა შვეიკმა. — გამოდის, რომ ამ ათი წლიდან შვიდი დღე უკვე გასულა

— იგი ისეთი... ფრთხილი იყო! — ქვითინებდა დიასახლისი. — ოგი ყოველთვის ამას ამბობდა თავის თავზე...

სალუდეში მყოფნი პირდაცულები ისხდნენ, თითქოს აქამდე აქ პალივეცის სული ისევ ტრიალებდა და კიდევ უფრო მეტი სიფრთხილისკენ მოუწოდებდა.

— სიფრთხილე — სიბრძნის დედაა, — თქვა შვეიკმა, მაგიდას მიუჯდა და ლუდით სავსე ტოლჩა თავისკენ მიიჩოჩა; ლუდის ქაფში რამდენიმე ნასვრეტი გაჩენილიყო: პალივეცის ცოლის კურცხლები ჩაწვეთებულიყო შიგ. — ახლა ისეთი დროა, საჭიროა გვახსოვდეს, რომ სიფრთხილეს თავი არ სტკივა.

— გუშინ ორი მიცვალებული დავასაფლავეთ, — საუბარი სხვა საკითხზე გადაიტანა წმ. აპოლინარის ეკლესიის დარაჯმა.

— სჩანს, ვიღაც მომკვდარა! — შენიშნა მეორე სტუმარმა.

მესამემ იკითხა:

— კატაფალკით თუ გაასვენეს მიცვალებული?

— საინტერესოა ვიცოდეთ, — თქვა შვეიკმა, — ნეტა, როგორ მოხდება ხოლმე ომის დროს სამხედროების დაკრძალვა?

სტუმრები წამოდგნენ, დიასახლისს ანგარიში გაუსწორეს და უჩუმრად გავიდნენ.

— ვერ წარმომიდგენია, — წარმოთქვა შვეიკმა, — რომ უდანაშაულო ადამიანს ათი წელი მიუსაჯონ. ერთხელ უდანაშაულოს, როგორც ყური მომიკრავს, ხუთი წელი მიუსაჯეს, მაგრამ ათი წელი — ეს უკვე, ჩვენს შორის დარჩეს და, მეტისმეტია!

— რა გაეწყობა, ჩემი კაცი ყველაფერში გამოტყდა, — ტიროდა პალივეცის ცოლი. — როგორც აქ ლაპარაკობდა ამ ბუზებსა და პორტრეტზე, ასევე სასამართლოშიც გაიმეორა. გამომიძახეს მოწ-

მედ, მაგრამ რა უნდა მეთქვა, როცა გამომიცხადეს, უფლება გაქვს უარი თქვა ჩვენებაზე, რადგან ნათესაურ კავშირში ხარ შენს ქმარ-თანო... მე ისე დამაფრთხო ამ ნათესაურმა კავშირმა, ჩვენს უბედურებას კიდევ არაფერი დაემატოს-მეთქი, რომ უარი ვთქვი ყოველგვარი ჩვენების მიცემაზე. იმ ჩემმა საწყალმა კაცმა ისეთი თვალებით შემომხედა, რომ... სიკვდილამდე ჩემი გულიდან არ ამოვა. მერე, განაჩენის გამოტანის შემდეგ, დარბაზიდან როცა მიყავდათ და კიბეზე ჩადიოდა, თითქოს ჭკუაზე შეირყაო, აიღოდა, დაიყვირა: „გაუმარჯოს თავისუფალ აზრს!“

— პან ბრეტშნაიდერს აქ აღარ შემოუვლია? — ჰკითხა შვეიკმა.

— რამდენჯერმე იყო, — უპასუხა დიასახლისმა. — დალევს ერთ-ორ ტოლჩა ლუდს, შემეკითხება, ვინ მოდის ხოლმე თქვენთან სალუდეშიო, მერე ყურს უგდებს სტუმრებს, ფეხბურთის შესახებ როგორ საუბრობენ. ისინი მხოლოდ ფეხბურთზე ლაპარაკობენ ხოლმე, როცა პან ბრეტშნაიდერი სალუდეშია; ბრეტშნაიდერი სიბრაზისგან კბილებს აკრაჭუნებს და გეგონებათ, საცაა ცოფიანივით წამოხტება და მოსაუბრეებს დაერევაო. მთელი ამ ხნის განმავლობაში მხოლოდ ერთს მოსდო ანკესი, შპალერის გამკვრელს პრშიჩნეს ქუჩიდან.

— ეს გაწაფულობაზეა დამოკიდებული, — შენიშნა შვეიკმა. — შპალერის გამკვრელი ალბათ ბრიყვი ვინმე თუ იყო?

— აი ისეთივე, როგორიც ჩემი ქმარი გახლდათ, — უპასუხა ტირილით დიასახლისმა. — ბრეტშნაიდერმა მას ჰკითხა, თოფს ესროდით თუ არა სერბიელებსო. შპალერის გამკვრელმა უპასუხა, სროლა არ ვიცი, მხოლოდ ერთხელ ვიყავი ტირში და ერთმა კრონმა თქვენი ჭირი წაიღოო. * აქ ყველამ ჩვენი თვალით დავინახეთ, როგორ ამოიღო პან ბრეტშნაიდერმა უბის წიგნაკი და ჩვენი ყურით მოვისმინეთ, როგორ წარმოთქვა: „აჰა, კიდევ ერთი შესანიშნავი სახელმწიფო ღალატიო“, — ადგა და თან წაიყვანა შპალერის გამკვრელი, რომელიც უკან აღარც დაბრუნებულა.

— ბევრი მათგანი აღარ ბრუნდება ხოლმე უკან, — თქვა შვეიკმა. — მომეცით, გეთაყვა, რომი.

სწორედ იმ დროს, როცა შვეიკმა მეორედ მოითხოვა რომი, სამიკიტნოში საიდუმლო აგენტი ბრეტშნაიდერი შემოვიდა. მიმოაველო თვალი ცარიელ სამიკიტნოს, მოითხოვა ლუდი, მიუჯდა შვეიკს და ელოდებოდა, ხომ არაფერს იტყვისო.

შვეიკმა საკიდიდან გაზეთი ჩამოიღო, გადაათვალიერა უკანასკნელ გვერდზე განცხადებები და ჩაილაპარაკა:

— ერთი ნახეთ, ვინმე ჩიმპერა, რომლის მისამართია: სოფელი სტრაშკოვო, სახლი ნომერი ხუთი, რაჩინევესის საფოსტო განყოფილება — ჰყიდის კარ-მიდამოს შვიდი ქცევა სახნავი მიწით. იქვე არის სკოლა და ახლო რკინიგზაც გადის.

ბრეტშნაიდერმა ნერვიულად აათამაშა თითები მაგიდაზე და შვეიკს მიმართა:

— ძალიან მიკვირს, ასე რად გაინტერესებთ ეს კარ-მიდამო, პანე შვეიკ?

— ახ, ეს თქვენ ბრძანდებით? — წამოიძახა შვეიკმა და ხელი გაუწოდა ჩამოსართმევად. — ერთბაშად ვეღარც გიცანით.. ძალიან ცუდი მეხსიერების პატრონი ვარ. უკანასკნელად ჩვენ ერთმანეთს, თუ არ ვცდები, საპოლიციო სამმართველოს კანცელარიის მისაღებ ოთახში დავშორდით. მას აქეთ როგორ გრძნობთ თავს, რას აკეთებთ? ხშირად მოდიხართ აქ?

— დღეს მოვედი თქვენს სანახავად, — უპასუხა ბრეტშნაიდერმა. — საპოლიციო სამმართველოში მაცნობეს, რომ თქვენ ძაღლებით ვაჭრობთ. მესაჭიროება კარგი პინჩერი, ან ვთქვათ, შპიცი, ან კიდევ რამე ამდაგვარი...

— ჩვენთვის ეს ადვილი საქმეა, მოგართმევთ, რომელსაც ინებებთ, — უთხრა შვეიკმა. — წმინდასისხლა გნებავთ, თუ ისე... პირდაპირ ქუჩიდან აყვანილი?

— მე ვფიქრობ, წმინდასისხლაზე შევჩერდეთ, — უპასუხა ბრეტშნაიდერმა.

— რატომ არ გინდათ იყოლიოთ საპოლიციო ძაღლი? — ჰკითხა შვეიკმა. — ის ყოველთვის სწრაფად აიღებდა გეშს, ბოროტმოქმედის კვალზე დაგაყენებდათ. ერთ ყასაბს ვრშოვიცეში ჰყავს ასეთი ძაღლი; ურიკას ატარებინებს. ამ ძაღლმა, შეიძლება ითქვას, თავის ნიშსა და უნარს ნამდვილი სარბიელი ჯერჯერობით ვერ უპოვა.

— მე მინდა მყავდეს შპიცი, — თავშეკავებით გაიმეორა ბრეტშნაიდერმა, — დიახ, შპიცი, ოღონდ არ უნდა იკბინებოდეს.

— უკბილო შპიცი გნებავთ? — შეეკითხა შვეიკი. — მეგულება ასეთი — დეივიცეში, ერთ მიკიტანს ჰყავს.

— შეიძლება, უკეთესი ყოფილიყო პინჩერი... — ყოყმანით წარმოთქვა ბრეტშნაიდერმა, რომელიც კინოლოგიურ საკითხებში მეტად სუსტად იყო გათვითცნობიერებული.

საპოლიციო სამმართველოს ბრძანება რომ არა, იგი არასოდეს თავს არ შეიწუხებდა ძაღლის ჯიშების ახლო გაცნობით. მაგრამ

ბრძანება იყო ზუსტი, მკაფიო და გარკვეული: რაც არ უნდა დაგიჯდეთ, დაუახლოვდით შვეიკს ძაღლებით ვაჭრობის ნიადაგზეო. ამ მიზნის განსახორციელებლად ბრეტშნაიდერს უფლება ჰქონდა აეყვანა თანაშემწეები და მის განკარგულებაში განსაზღვრული რაოდენობის თანხაც კი იყო გადაცემული ძაღლების შესაძენად.

— პინჩერი შეიძლება იყოს დიდიც და პატარაც, — თქვა შვეიკმა, — მეგულება ორი პატარა და სამი დიდი პინჩერი. ხუთივე მოშინაურებულია. სულით და გულით გირჩევთ შეიძინოთ.

— ეგ საქმე მაწყობს, — განაცხადა ბრეტშნაიდერმა. — რა ეღირებოდა თითო მათგანი?

— სიდიდეს გააჩნია, — უპასუხა შვეიკმა, — ყველაფერი სიდიდეზეა დამოკიდებული. მაგრამ პინჩერი ხბო როდია, პინჩერის საქმე პირიქითაა: რაც უფრო პატარაა, მით უფრო ძვირია.

— მე რაც შეიძლება დიდს ავიყვანდი, სახლის საყარაულოდ, — უთხრა ბრეტშნაიდერმა, რომელიც პოლიციის საიდუმლო ფონდს უფრთხილდებოდა, არ შემომეხარჯოსო.

— შესანიშნავია! — კვერი დაუკრა შვეიკმა. — დიდი პინჩერები შემიძლია დაგითმოთ თითო ორმოცდაათ კრონად, ყველაზე დიდი — ორმოცდახუთად. მაგრამ ჩვენ ერთი გარემოება გამოგვრჩა: თქვენ ლეკვები გნებავთ თუ მოზრდილები, გარდა ამისა, ხვადი იყოს თუ ძუკნა?

— ჩემთვის სულ ერთია, — უპასუხა ბრეტშნაიდერმა, რომელსაც მობეზრდა მთელ ამ გადაუჭრელ პრობლემებზე ლაპარაკი. — მაშ ასე, მიშოვეთ ისინი და ხვალ საღამოს შვიდ საათზე შემოგივლით. შეეთანხმდით?

— შეეთანხმდით, მობრძანდით, — უგულოდ დაეთანხმა შვეიკი.

— ოღონდ ბეს დატოვებას გთხოვთ — ოცდაათ კრონს.

— ეგ რა სალაპარაკოა! — თქვა ბრეტშნაიდერმა და ფული გადაუთვალა. — ახლა კი ერთი ბოთლი ღვინო დავლიოთ. მე გპატიჟობთ...

როცა ერთი ბოთლი გამოცალეს, შვეიკმა თავის ხარჯზე კიდევ ერთი ბოთლი მოატანინა. ბრეტშნაიდერი არწმუნებდა შვეიკს, ჩემი ნუ გეშინიათო, დღეს მე სამსახურის მოვალეობას არ ვასრულებ, ამიტომ შეგიძლიათ თავისუფლად მელაპარაკოთ პოლიტიკაზეო.

შვეიკმა უპასუხა, რომ სამიკიტნოში იგი არასოდეს პოლიტიკაზე არ ლაპარაკობს, და საერთოდაც, მთელი პოლიტიკა — მცირე ასაკის ბავშვების გასართობ საქმედ მიმაჩნიაო.

ბრეტშნაიდერი, პირიქით, რევოლუციური რწმენით იყო გამს-

ჭვალული, მან განაცხადა: ჩემის აზრით, თვითეული სუსტი სახელმწიფო დასაღუპადაა განწირული, და შვეიკს ჰკითხა, თქვენ რას იტყოდით ამის შესახებო.

შვეიკმა უპასუხა, სრულებით არაფერი მესაქმება სახელმწიფოსთან, თუმცა ერთხელ სენ-ბერნარის ჯიშის უსუსურ ლეკვს ვზრდიდი, რომელსაც სალდათური ორცხობილათი ვკვებავდი, და ლეკვმა ფეხები გასჭიმაო.

როცა კარგად შეზარხოშდნენ, ბრეტშნაიდერმა თავი ანარქისტად გამოაცხადა და შვეიკს შეუჩნდა, მირჩიეთ რომელ ორგანიზაციაში ჩავეწეროო.

შვეიკმა უამბო, რომ ერთხელ რომელიღაც ანარქისტმა მისგან განაწილებადებით ას კრონად იყიდა ლეონბერგი, მაგრამ აქამდე უკანასკნელი გადასახადი არ მოუციაო.

კიდევ და კიდევ გადაჰკრეს თითო-თითო ჭიქა და ბრეტშნაიდერმა განაცხადა, მხარს ვუჭერ რევოლუციას და წინააღმდეგი ვარ მობილიზაციისო.

შვეიკი გადაიხარა მისკენ და ყურში წასჩურჩულა:

— ეს-ესაა ვიღაც შემოვიდა. ყური არ მოჰკრას თქვენს ლაპარაკს, უსიამოვნება არაფერი შეგემთხვეთ. შეხედეთ, დიასახლისი უკვე ტირის.

პალივეცის ცოლი, რომელიც დახლს უკან იჯდა სკამზე, მართლაც ტიროდა.

— რა გატირებთ, დიასახლისო? — მიმართა ქალს ბრეტშნაიდერმა. — სამ თვეში ჩვენ გავიმარჯვებთ, გამოცხადდება ამნისტია, და თქვენი ქმარი შინ დაბრუნდება. აი მაშინ კი წავიქეიფებთ ერთი მაგრად!.. ან. იქნებ თქვენ ეჭვი გეპარებათ, რომ ჩვენ გავიმარჯვებთ! — მიუბრუნდა იგი შვეიკს.

— რა საჭიროა სულ ერთისა და იმავეს ღეჭვა?—უპასუხა შვეიკმა. — უნდა გავიმარჯვოთ — მორჩა და გათავდა! დროა უკვე შინ წავიდე.

შვეიკმა გადაიხადა თავისი წილი და შინისკენ გაემართა. როცა მოხუცმა მსახურმა პანი მიულერმა დაინახა, რომ ვიღაც მამაკაცი, რომელიც სადარბაზო კარებს გასაღებით აღებდა, შვეიკი იყო, შიშისგან კინაღამ გული გადაუტრიალდა.

— მე კი მეგონა, ჩემო ბატონო, რომ თქვენ მხოლოდ რამდენიმე წლის შემდეგ დაბრუნდებოდით, — უთხრა დედაბერმა ჩვეული გულახდილობით. — და მე... შემებრალა და... დროებით...

მდგმურად ავიყვანე „ღამის კაფეს“ ერთი მეკარე... იმიტომ, რომ... აქ სამჯერ გაგეჩხრიკეს და როცა ვერაფერი იპოვეს, მითხრეს, თქვენი საქმე ცუდადაა, ეტყობა, თქვენი ბატონი გამოცდილი ბორტმოქმედიაო.

შვეიკი სულ მალე დარწმუნდა, რომ უცნობი არხეინად მოკალათებულიყო მის ოთახში: ეძინა მისსავე ლოგინში და იმდენი ჯენტლმენობაც გამოეჩინა, რომ საწოლის მხოლოდ ერთი ნახევარი დაეკავებინა, მეორე ნახევარი კი ვიღაც გრძელთმიანი არსებისთვის დაეთმო, რომელიც ნიშნად მადლობისა, კისერზე მოხვეოდა მას და ისე ჩასძინებოდა. იატაკზე საწოლის ირგვლივ ერთმანეთში არეული ეყარა მამაკაცისა და ქალის ტანსაცმელი. მთელი ამ ქაოსიდან ჩანდა, რომ „ღამის კაფეს“ მეკარე გუშინ შექეიფიანებული დაბრუნებულიყო ქალთან ერთად.

— ვაებატონო, — ხელი ჩააკრო შვეიკმა და შეანჯღრია მოტმასნებული მობინადრე, — ვაებატონო, სადილად არ დაგაგვიანდეთ. ჩემთვის მეტად არასასიამოვნო იქნება, თუ შემდეგში ილაპარაკებთ, რომ იმ დროს გაგაგდეთ გარეთ, როცა სადილობა გადასული იყო და უსმელ-უჭმელი დარჩით.

ცოტა დრო როდი გავიდა, სანამ „ღამის კაფეს“ ნამძინარევი მეკარე გონს მოვიდოდა და ბოლოს ჩახვდებოდა, რომ შინ ნამდვი-

ლად დაბრუნდა პატრონი და საწოლის გათავისუფლებას მოითხოვდა.

ხსენებულმა ვაჟბატონმა „ღამის კაფეს“ ყველა მეკარისათვის დამახასიათებელი თავაზიანობით უპასუხა შვეიკს, ნეკნებს ჩაეუმტვრევ ყველას, ვინც გაღვიძებას გამიბედავსო. თქვა ეს და დაპირა განეგრძო ძილი.

შვეიკმა ამასობაში მოაგროვა მისი ტანსაცმელი, მიიტანა საწოლთან, ენერგიულად შეანჯღრია მეკარე და უთხრა:

— თუ ახლავე არ ჩაიცვით, იძულებული ვიქნები დედიშობილად გაგაგდოთ ქუჩაში. თქვენთვის, ვფიქრობ, უფრო ხელსაყრელია ტანთჩაცმული აიბარგოთ აქედან.

— მე მინდოდა საღამოს რვა საათამდე გამომეძინა, — ჩაილაპარაკა საგონებელში ჩავარდნილმა მეკარემ, რომელიც შარვალს იცვამდა, — საწოლის საფასურად დღეში ორ კრონს ვიხდი და დიასახლისთან მორიგებული ვარ, რომ შემიძლია მოვიყვანო ხოლმე კაფედან ქალები... მარჟენკა, ადექი!

როცა საყელოს იკეთებდა და ჰალსტუხს ისკვნიდა, მეკარე უკვე იმდენად გამოერკვა, რომ შვეიკს დაუწყო რწმუნება, ღამის კაფე „მიმოზა“ უცილობლად ერთ-ერთი ყველაზე წესიერი დაწესებულებაა, სადაც მხოლოდ ისეთ ქალებს უშვებენ, რომელთაც ყვითელი ბილეთი სრულ წესრიგში აქვთო, და შესთავაზა შვეიკს, ერთი ჩვენთანაც შემოიხედეთო.

მაგრამ კაფეს მეკარის სტუმარ ქალს შვეიკი თვალში არ მოუვიდა და მას მაღალი წრისთვის შესაფერისი რამდენიმე გამოთქმით მიმართა, რომელთა შორის ყველაზე წესიერი იყო: „აი მართლაც, რომ იტყვიან, ღვთის გლახაო, ეს არის!“

დაუპატიჟებელი სტუმრების წასვლის შემდეგ შვეიკი სამზარეულოში გავიდა, სადაც პანი მიულერი ეგულებოდა. მასთან ერთად უნდოდა წესრიგში მოეყვანა თავისი ბინა. მაგრამ შვეიკმა დედაბერი ვერსად ნახა, მხოლოდ ქაღალდის ნაგლეჯს წააწყდა, რომელზეც ფანქრით იყო რაღაც ნაჯღაბნი. პანი მიულერს მარტივად გამოეთქვა თავისი აზრი იმ უბედურ შემთხვევაზე, რომელიც „ღამის კაფეს“ მეკარესთვის შვეიკის საწოლის მიქირავებას ეხებოდა.

ქაღალდის ნაგლეჯზე ეწერა:

„მაპატიეთ, ჩემო ბატონო, მე ვერასოდეს ვეღარ გიხილავთ, რადგან ფანჯრიდან უნდა გადავვარდე“.

— სტყუის! — თქვა შვეიკმა და ლოდინი დაუწყო.

ნახევარი საათის შემდეგ სამზარეულოში შემოიძურწა საცოდავი პანი მიულერი, მის დაღერემილ სახეზე ჩანდა, რომ შვეიკისგან იგი მანუგეშებელ სიტყვებს მოელოდა.

— თუ ფანჯრიდან გადავარდნა გსურთ, — უთხრა შვეიკმა, — მაშინ მიბრძანდით ოთახში, ფანჯარა იქ უკვე გავაღე. სამზარეულოს ფანჯრიდან გადავარდნას არ გირჩევდით, რადგან ბაღში ჩავარდებით და მთელ ყვავილებს გადაჯიჯგნით, რისთვისაც ფულის გადახდა მოგიხდებათ. იმ ფანჯრიდან კი, რომელიც მე გავაღე, თქვენ მშვენივრად გააღენთ ტყაპანს ტროტუარზე და, თუ ბედი გწყალობთ, კისერსაც მოიტეხთ. მაგრამ ვინიცობაა ბედმა გიმუხთლათ, მაშინ მხოლოდ ნეკნებს, ხელებსა და ფეხებს დაიმტვრევთ, რის გამო საავადმყოფოში დაწოლა მოგიხდებათ და სამკურნალოდ ფულის გადახდა.

პანი მიულერი ატირდა, წყნარად შევიდა შვეიკის ოთახში და... ფანჯარა დახურა, მერე გამობრუნდა და თქვა:

— ქარი უბერავს, თქვენი რევმატიზმისთვის კი, ჩემო ბატონო, ეს კარგი როდია.

ამის შემდეგ ლოგინი გაშალა, არაჩვეულებრივი გულმოდგინებით ყველაფერი მიალაგ-მოალაგა და ჯერ ისევ ნამტირალევი თვალებით შევიდა სამზარეულოში, სადაც შვეიკს მოახსენა:

— იმ ორმა ლეკვმა, ჩემო ბატონო, ეზოში რომ გყავდათ, ფეხები გაფშიკა, სენ-ბერნარი კი სადღაც გადაიკარგა ჩხრეკის დროს.

— ეშმაკმა დალახვროს! — წამოიძახა შვეიკმა. — ის მთელ ხათაბალაში შეიძლება გაებას! მას, ალბათ, პოლიცია დაუწყებს ძებნას.

— მან პოლიციის ერთ-ერთ კომისარს უკბინა, — განაგრძობდა თხრობას პანი მიულერი, — როცა ჩხრეკის დროს საწოლის ქვეშიდან გამოთრევა დაუპირა. ერთმა ამ პოლიციელთაგანმა თქვა: საწოლის ქვეშ ვიღაც არისო, და სენ-ბერნარს კანონის სახელით უბრძანეს გამოძვერიო, მაგრამ ის ადგილიდან არ იძვროდა, ამიტომ ძალით გამოათრიეს. სენ-ბერნარი გაბრაზდა და კინაღამ ყველა დაკბინა, მერე კარებში გავარდა და ამის შემდეგ თვალითაც აღარ მინახავს. შეც დამკითხეს, შემეკითხნენ, თქვენთან ვინ დადის, ფულს ხომ არ ღებულობთ უცხოეთიდანო, მერე გადაკვრით მითხრეს, ბრიყვი დედაკაცი ხარო, როცა მოვახსენე, რომ ფულს უცხოეთიდან იშვიათად ვღებულობთ, უკანასკნელად ბატონ მოურავისგან ბრნოდან მივიღეთ-თქო, — თქვენც ხომ გახსოვთ, სამოცი კრონი ბე რომ გადმოგვიგზავნა ანგორულ კატაში; თქვენ იმ კატის

შესახებ განცხადება გქონდათ მიცემული გაზეთ „ნაციონალურ პო
ლიტიკაში“, კატის ნაცვლად კი ბრნოში ფოქსტერიერის ბრმა ლეკ
ვი გადაგზავნეთ, რომელიც ინდისხურმის ყუთში მოათავსეთ. ყვე
ლაფერი ეს მოვახსენე, იმათ კიდევ მითხრეს, ნამდვილად ბრიყვ
დედაკაცი ხარო. მაგრამ მერე ტკბილად დამიწყეს ლაპარაკი დ
მირჩიეს, მარტოხელა ქალს ამ ბინაში რომ არ შეგეშინდეს, მდგმუ
რად „ღამის კაფეს“ მეკარე აიყვანეო, — აი ის, რომელიც თქვე
ახლახან პანლურის ცემით გაისტუმრეთ.

— ოჰ, რა არ გადავიტანე ამ პოლიციისგან, პანი მიულერ! — ამოიხვნეშა შვეიკმა. — აი, სულ მალე დაინახავთ, რამდენი პოლ
ციელი მოვა აქ ძაღლებისთვის.

არ ვიცი, გადატრიალების შემდეგ საპოლიციო არქივის შემოწ
მების დროს გამოარკვიეს თუ არა, რას ნიშნავდა სახელმწიფო პო
ლიციის საიდუმლო ფონდის გასაელის წყაროში აღნიშნული: სბ — 40 კ., ფ — 50 კ., ლ — 80 კ. და ა. შ., მაგრამ თუ არქივში მომუშა
ვეები ფიქრობდნენ, რომ სბ., ფ., ლ., — ეს ზოგიერთ პირთა ინი
ციალებიაო, რომლებიც ჩვენ ხალხს 40, 50, 80 და ა. შ. კრონად
ჰყიდდნენ და ბრეკვალებში უგდებდნენ შავ-ყვითელ არწივს, * უთუ
ოდ ცდებოდნენ. სინამდვილეში, სბ ნიშნავდა სენ-ბერნარს, ფ — ფოქსტერიერს, ლ — ლეონბერგს. ყველა ეს ძაღლი ბრეტშნაიდერ
მა შვეიკისგან წამოიყვანა და საპოლიციო სამმართველოს მიჰგ
ვარა.

ეს ძაღლები საზიზღარი რამ ურჩხულები იყვნენ, რომელთაც
აბსოლუტურად არავითარი მსგავსება არ ჰქონდათ იმ წმინდა სისხ
ლის ჯიშის ძაღლებთან, რომლებზე ლაპარაკითაც ყურები გამოუ
ჭედა შვეიკმა ბრეტშნაიდერს, ხელში კი ეს საფრთხობელები შეა
ჩეჩა. სენ-ბერნარი არაწმინდასისხლა პუდელისა და ეზოს ძაღლის
ნარევი იყო; ფოქსტერიერი, ტაკსის ყურებით, ნაგაზის ოდენა იყო
ფეხები კი ისე ჰქონდა დაგრეხილი, თითქოს რახიტი გადაეტანოს;
ლეონბერგი თავისი ბანჯგვლიანი დრუნჩით ბოღვერა ძაღლსა გავ
და, კუდი მოჭრილი ჰქონდა და უკანალი პავიანივით შიშველი, სი
მაღლით კი ტაკსის ოდენა იყო.

შვეიკთან ძაღლის საყიდლად პოლიციის აგენტმა კალოუსმაც * კი შეიარა და მისგან უგვანი რამ ჯოჯოთი დაბრუნდა, რომელიც ხა
ლიან აფთარს მოგაგონებდათ, თუმცა ფაფარი შოტლანდიური ნაგა
ზისა ჰქონდა. საიდუმლო ფონდის წყაროში იმ დღიდან ახალი აღ
ნიშვნა გაჩნდა: დ — 90 კ.

ეს მაიმახი შვეიკის რწმუნებით დოგი იყო.

მაგრამ კალოუსმაც ვერაფერი წამოაცდენინა შვეიკს. მან ამ საქმეში ბრეტშნაიდერზე მეტს ვერაფერს მიაღწია. ყველაზე ეშმაკური პოლიტიკური ხასიათის ლაპარაკი შვეიკს ქეციანი ლექვების მკურნალობაზე გადაჰქონდა, ოსტატურად მომარჯვებული უხილავი ბადის გადასროლა თავდებოდა იმით, რომ ბრეტშნაიდერს მიჰყავდა თან შვეიკისგან შეძენილი კიდევ ერთი შემზარავი ორტობახი.

და აი დადგა სახელგანთქმული აგენტის ბრეტშნაიდერის აღსასრულის დღეც. როცა ბინაში შვიდი ასეთი ურჩხული დაუგროვდა, იგი ჩაიკეტა მათთან ერთად უკანა ოთახში და ერთ ლუკმა საჭმელს არ აძლევდა, სანამ ქოფაკებმა თვით იგი არ შეთქვლიფეს. ბრეტშნაიდერი იმდენად პატიოსანი აღმოჩნდა, რომ თავისი დასაკრძალავი ხარჯებისგან ხაზინა გაათავისუფლა.

საპოლიციო სამმართველოში მისი ნამსახურობის ნუსხის სვეტში — „სამსახურში დაწინაურება“ შეტანილი იყო ტრაგიზმით აღსავსე შემდეგი სიტყვები: „შეთქვლიფეს საკუთარმა ძაღლებმა“.

როცა მოგვიანებით შვეიკმა ამ ტრაგიკული შემთხვევის შესახებ გაიგო, წარმოთქვა:

— ვერ წარმომიდგენია, თავს როგორღა მოუყრიან ბრეტშნაიდერის ძვლებს, როცა მას საშინელი სამსჯავროს წინაშე წადგომა მოუხდება.

თავი VII

შვეიკი ომში მიდის

იმ დროს, როცა მდინარე რაბის გასწვრივ მდებარე ჰალიციის ტყეები მოწმე იყო, ამ მდინარეზე თავქუდმოგლეჯით როგორ გადარბოდნენ დამარცხებული ავსტრიის ჯარები, იმ დროს, როცა სამხრეთით, სერბიაში, ავსტრიის დივიზიებს ზურგზე ბოლი ადინეს (რაც დიდი ხანია დამსახურებული ჰქონდათ) — ავსტრიის სამხედრო სამინისტროს შვეიკი მოაგონდა, იქნებ ამ ჩაოხრებული საქმის გამოსწორებაში მონარქიას მან უშველოსო.

როცა შვეიკს უწყება მიუტანეს, ერთი კვირის შემდეგ სტრშელეცკის ოსტროვზე სამედიცინო შემოწმებისთვის უნდა გამოცხადდეთო, იგი სწორედ ამ დროს ლოგინში იწვა: მას ისევ შემოუტია რევმატიზმმა. პანი მიულერი სამზარეულოში იყო და ყავას უმზადებდა ავადმყოფს.

— პანი მიულერ, — გაისმა მეზობელ ოთახიდან შვეიკის წყნარი ხმა, — პანი მიულერ, ერთი წუთით აქ მობრძანდით.

მსახური ქალი მივიდა საწოლთან, და შვეიკმა იმავე წყნარი ხმით უთხრა:

— ჩამოჯექით ცოტა ხანს, პანი მიულერ.

მისი ხმა იდუმალი ზეიმით ელერდა. როცა პანი მიულერი დაჯდა, შვეიკმა წამოიწია ლოგინში და განაცხადა:

— მე ომში მივდივარ.

— დედაო ღვთისა! — წამოიძახა პანი მიულერმა. — იქ თქვენ რა უნდა გააკეთოთ?

— ვიომებ, — მიმკვდარებული ხმით უპასუხა შვეიკმა. — ავსტრიას მეტად ცუდად აქვს საქმე. ზემოდან აწვებიან კრაკოეს, ქვემოდან — უნგრეთს. კუდით ქვა გვასროლინეს, ყოველივე ამის გამო მე ჯარში მიწვევენ. ჯერ კიდევ გუშინ მე თქვენ გაზეთში წაგიკითხეთ, რომ „ჩვენს ძვირფას სამშობლოს ღრუბლები მოეფინაო“.

— მაგრამ თქვენ ხომ განძრევაც არ შეგიძლიათ!

— ამას მნიშვნელობა არა აქვს, პანი მიულერ, ომში ხელურიკათი წავალ. ხომ იცით, კუთხეში რომ მეშაქარლამეა? იმას აქვს ასეთი ხელურიკა. რამდენიმე წლის წინათ ამ ურიკათი მას სუფთა ჰაერზე თავისი კოქლი ბებრუხანა ბაბუა გამოყავდა ხოლმე. და აი თქვენ, პანი მიულერ, ამ ხელურიკათი სამხედრო სამსახურში წამიყვანთ.

პანი მიულერი ატირდა:

— ეჭიმი ხომ არ მოგიყვანოთ, ჩემო ბატონო?

— ნურსადაც ნუ წახვალთ, პანი მიულერ. მე საესებით ვარგისი ვარ საზარბაზნე ხორცად, ოღონდ აი ცოტა ფეხები... მაგრამ, როცა ავსტრიის საქმე წამხდარია, ყოველი ხეიბარი თავის პოსტზე უნდა იდგეს. განაგრძეთ მშვიდად ყავის მოღუღება.

და იმ დროს, როცა პანი მიულერი, ატირებული და გულაჩუყებული, ყავას წურავდა, ყოჩაღი ჯარისკაცი შვეიკი ლოგინში იწვა და ღიღინებდა:

ვინდიშგრეცი და სხვა ვიღაც ვაებატონი გენერლები
ძლიერ ადრე, სისხამ დილით, ომს იწყებდნენ გამალებით.
ჰოპ, ჰოპ, ჰოპ!
ომს იწყებდნენ გამალებით, შებღაოდნენ უფალს თანაც:
„გეიხსენ, ქრისტე, შეგვაეედრე. შენს უწმინდეს დედასთანა“.
ჰოპ, ჰოპ, ჰოპ!

შეშინებულ პანი მიულერს, რომელზეც საშინლად იმოქმედა ამ შემაზრზენმა საბრძოლო სიმღერამ, გადაავიწყდა ყავა და, მთელი სხეულით აკანკალებული, ყურს უგდებდა, ყოჩაღი ჯარისკაცი შვეიკი როგორ განაგრძობდა სიმღერას თავის ლოგინში.

შენს უწმიდეს დედასთანა. აი მოჩანს ოთხი ხიდი.
სჯობს აღმართო, პიემონტო *, ფორპოსტები დიდზე-დიდი!
ჰოპ, ჰოპ, ჰოპ!

'სოლფერინოს". მისადგომთან გაიმართა ბრძოლა მკაცრი.
სისხლი ჩქეფდა ნიაღვარად, ისე როგორც ღვინო კასრით.
ჰოპ, ჰოპ, ჰოპ!
ისე როგორც ღვინო კასრით. გვამები კი ავსებს ურმებს...
ტყუილად არ ატარებდნენ ჯაბუკები სამხრეულებს.
ჰოპ, ჰოპ, ჰოპ!
ჰე, ბიჭებო, აბა მარჯვედ, ნუ შედრკება თქვენი გული.
უკან მოგდევთ საზიდარი, ფულით ოხრად დატვირთული.
ჰოპ, ჰოპ, ჰოპ!

— ღვთის გულისათვის, ჩემო ბატონო, გთხოვთ! — გაისმა სამზარეულოდან საცოდავი ხმა, მაგრამ შვეიკმა ბოლომდე მიიყვანა დიდებული საბრძოლო სიმღერა:

ფულით ოხრად დატვირთული. ამოგივათ ფაფაც ყელში...
ჰოლკი, ჩვენზე მხიარული, გინახავთ თქვენს სიცოცხლეში?
ჰოპ, ჰოპ, ჰოპ!

პანი მიულერი ექიმის მოსაყვანად გაიქცა. დაბრუნდა ერთი საათის შემდეგ, როცა შვეიკი უკვე თელემდა. შვეიკი გააღვიძა ჩასუქებულმა მამაკაცმა, რომელმაც ხელი დაადო შუბლზე და უთხრა:

— ნუ გეშინიათ, მე ვინოჰრადელი ექიმი პავეკი ვარ. მომეცით თქვენი ხელი. ეს თერმომეტრი იღლიაში ჩაიდეგით. ასე. მაჩვენეთ ენა. კიდევ მეტად გამოყავით ენა. რით გარდაიცვალნენ თქვენი მშობლები?

ამრიგად, მაშინ, როცა ვენა იბრძოდა იმისათვის, რომ ავსტრო-უნგრეთში მობინადრე ხალხებს უაღრესი ერთგულება და თავდადება გამოეჩინათ, ექიმმა პავეკმა შვეიკს მისი პატრიოტული ენთუზიაზმის შესანელებლად ბრომი გამოუწერა და გულად და პატიოსან ჯარისკაცს რჩევა მისცა, ომზე ნუ იფიქრებო.

— იწექით მშვიდად და მოერიდეთ მღელვარებას. ხვალ კიდევ შემოვიცალ.

მეორე დღეს ისევ მოვიდა ექიმი და პანი მიულერს გამოკითხა სამზარეულოში, პაციენტი თავს როგორ გრძნობსო.

— უარესადაა, ბატონო ექიმო, — გულწრფელი მწუხარებით უპასუხა პანი მიულერმა. — ღამით, როცა რევმატიზმმა სულ ერთთავად გათანგა, უკაცრავად ნუ ვიქნები და, ავსტრიულ ჰიმნს მღეროდა.

ექიმმა პავეკმა საჭიროდ სჯნო პაციენტის ლოიალობის ამ ახალ გამოვლინებას ბრომის დოზის გადიდებით გამოხმაურებოდა. მესამე დღეს პანი მიულერმა აცნობა ექიმს, შვეიკი კიდევ უფრო უარეს დღეშიაო.

— ნასადილევს, ბატონო ექიმო, მან სამხედრო მოქმედებათა

რუკის მოსატანად გამგზავნა, ღამით კი ბოდავდა, ავსტრია გაიმარჯვებსო.

— ფხვნილებს ზუსტად ისე თუ ღებულობს, როგორც გამოვუწერე?

— ფხვნილებზე ჯერ არც გავუგზავნივარ, ბატონო ექიმო.

ექიმმა პავეკმა საყვედურებით აავსო შვეიკი, დაემუქრა, მე მეტად აღარ გინახულებთ და ხელს ვიღებ თქვენს მკურნალობაზე, რადგან ჩემს მიერ დანიშნულ ბრომით მკურნალობას არ ემორჩილებითო.

ორი დღეღა იყო დარჩენილი ვადამდე, როცა შვეიკი ჯარში გამწვევი კომისიის წინაშე უნდა წამდგარიყო. ამ ორ დღეში შვეიკი სათანადოდ შეემზადა: გაგზავნა პანი მიულერი, ჯერ ერთი, ფორმის ქუდის საყიდლად, მეორეც, კუთხეში მობინადრე მეშაქარლამესგან ხელურიკას სათხოვნელად, რომლითაც მას ოდესღაც სუფთა ჰაერზე თავისი კოქლი ბებრუხანა ბაბუა გამოყავდა ხოლმე. მერე შვეიკს გაახსენდა, რომ მისთვის აუცილებელი იყო ყავარჯენები. იღბლად, მეშაქარლამეს ყავარჯენებიც აღმოაჩნდა, რომლებსაც იგი, თურმე, როგორც ოჯახის წმინდა ნივთს ინახავდა. შვეიკს მხოლოდ ყვავილების პატარა თაიგულიღა აკლდა, ურომლისოდაც წარმოუდგენელია ახალწვეული. მაგრამ ეს თაიგულიც უშოვნა მას პანი მიულერმა, რომელიც ამ დღეებში ჩხირივით გახდა და, სადაც არ უნდა ყოფილიყო, განუწყვეტლივ ტიროდა.

ამრიგად, იმ სამახსოვრო დღეს პრაღის ქუჩები ჭეშმარიტი პატრიოტიზმის ამაღელვებელი სურათის მოწმენი გახდნენ. დედაბერი მიაგორებდა ხელურიკას; შიგ იჯდა მამაკაცი ბრჭყვიალა კოკარდიანი სამხედრო ქუდით, და ყავარჯნებს აქნევდა. ეს მამაკაცი, რომელიც ყავარჯნების ქნევას განაგრძობდა, მთელი ქუჩის გასაგონად გაჰყვიროდა: „ბელგრადზე! ბელგრადზე!“

მას ბრბო მისდევდა, პირველად ეს ბრბო არც ისე დიდი იყო,— სულ რამდენიმე ათეული კაცი თუ იქნებოდა, რომლებმაც თავი მოიყარეს იმ სახლთან, საიდანაც შვეიკი ომში წავიდა. შვეიკმა შეამჩნია, რომ გზაჯვარედინზე მდგომი ზოგიერთი პოლიციელი მას სამხედრო სალამს აძლევდა. ვაცლავის მოედანზე შვეიკის ურიკის გარშემო ბრბო ძალზე გაიზარდა: უკვე რამდენიმე ასეული კაცი შეყრილიყო. კრაკოვის ქუჩის კუთხეში ვიღაც გერმანელი სტუდენტი, რომელსაც კორპორანტის ქუდი ეხურა, მაგრად მიბეგვეს, რადგან შვეიკს დაუყვირა:

Heil! Nieder mit den serben! [1]

[1] ჰაილ! ძირს სერბიელები! (გერმ.).

ვოდიჩკოვის ქუჩის კუთხეში ცხენოსანმა პოლიციამ მოუსწრო და ბრბო გაფანტა. ბოქაულს მაინცდამაინც არაფრად ეპიტნავა როცა შვეიკმა დაუმტკიცა დღეს გამწვევ კომისიაში უნდა გამოვცხადდეო, და სკანდალის თავიდან ასაცილებლად ორ ცხენოსან პოლიციელს უბრძანა, შვეიკის ურიკა სტრშელეცკის ოსტროვზე მიაცილეთო.

მთელ ამ მომხდარ ამბავზე „პრაღის ოფიციალურ გაზეთში" მოთავსებული იყო შემდეგი სტატია:

ხეიბარის პატრიოტიზმი. გუშინ დღისით პრაღის მთავარ ქუჩებზე გამვლელებმა თავისი თვალით იხილეს სცენა, რომელიც მკვერმეტყველურად მოწმობს, რომ ამ უდიდესსა და სერიოზულ მომენტში ჩვენი ხალხის შვილებსაც შესწევთ ძალა და უნარი გვაჩვენონ ჩვენი ღრმად მოხუცებული მონარქის ტახტისადმი ერთგულებისა და თაყვანების ბრწყინვალე მაგალითი. ასე გეგონებოდათ, რომ დაბრუნდა ძველ ბერძენთა და რომაელთა სახელოვანი დღეები, როცა მუციუს სცევოლა* მიდიოდა ბრძოლაში, მიუხედავად იმისა, რომ მარჯვენა ხელი მთლად დამწვარი ჰქონდა. ყავარჯნებიანმა ხეიბარმა, რომელიც ავადმყოფის ხელურიკათი მოჰყავდა მის მოხუც დედას, გუშინ გვიჩვენა პატრიოტიზმის წმიდა გრძნობის გამოვლინება. ჩეხი ხალხის ეს პატიოსანი შვილი, მიუხედავად თავისი ავადმყოფობისა, ნებაყოფლობით წავიდა ომში, რათა მთელი თავისი ძალ-ღონე და სიცოცხლეც კი იმპერატორს შესწიროს. და ის გარემოება, რომ მის მოწოდებას „ბელგრადზე" ასე ერთსულოვნად გამოეხმაურნენ პრაღის ქუჩებში, მოწმობს იმას, რომ პრაღის მცხოვრებნი სამშობლოსადმი და მეფის სახლობისადმი სიყვარულის მისაბაძ მაგალითებს აელენენ".

ამავე ხასიათის სტატია მოათავსა თავის ფურცლებზე „პრაგერ ტაგებლატმაც" *. სტატია მთავრდებოდა შემდეგი სიტყვებით: „ხეიბარ-მოხალისეს მიაცილებდა გერმანელთა ჯგუფი, რომელიც თავისი მკერდით იცავდა მას ანტანტის ჩეხი აგენტების თვითგასამართლებისგან".

„ბოჰემიამ",* რომელმაც იგივე ცნობა დაბეჭდა, შოითხოვა ხეიბარ-მოხალისის დაჯილდოება და გამოაცხადა, რომ რედაქცია ღებულობს საჩუქრებს გერმანელ მოქალაქეებისგან უცნობი გმირის სასარგებლოდ.

ამრიგად, სამი გაზეთის აზრით, ჩეხი ხალხი ამ უცნობ გმირზე უფრო კეთილშობილ მოქალაქეს ვერასოდეს წარმოშობდა. მაგრამ გამწვევი კომისიის ბატონი წევრები არ იზიარებდნენ გაზეთების

შეხედულებას. მეტადრე უფროსი სამხედრო ექიმი ბაუტზე, რომელიც გულქვა კაცი იყო. იგი ასე ფიქრობდა: ამ ქვეყანაზე ყველანი თაღლითობენ და მამაძაღლობენ, რათა სამხედრო სამსახურიდან როგორმე თავი დაიძვრინონ — ფრონტის, ტყვეებისა და შრაპნელებისგან თავი გადაირჩინონ. ცნობილი იყო მისი გამოთქმა:

„Das ganze tschehische volk ist eine simulanten-banode“.[1] თავისი მოღვაწეობის ათი კვირის მანძილზე მან 11000 მოქალაქისგან 10999 სიმულანტად ჩათვალა და ანკეტაზე წამოაგებდა მეთერთმეტეათასესაც, რომ იგი ბედნიერ ვარსკვლავზე არ ყოფილიყო დაბადებული და დამბლა არ დაცემოდა სწორედ იმ დროს, როცა ექიმმა დაუღრიალა: „Kehrt euch!“[2]

— გაათრიეთ აქედან ეგ სიმულანტი, — წარმოთქვა ბაუტზემ, როცა დარწმუნდა, რომ იგი მოკვდა.

და აი, იმ სამახსოვრო დღეს ბაუტზეს წინაშე წარსდგა შვეიკი, მთლად დედიშობილა, როგორც ყველა დანარჩენი; იგი მორცხვად იფარავდა თავის სიშიშვლეს ყავარჯნებით, რომლებზეც დაყრდნობილი იყო.

— Das ist wirklich ein besonderes Felqen blatt,[3] — თქვა ბაუტზემ, — ასეთი ლეღვის ფოთლები სამოთხეში არ იყო.

— გათავისუფლებულია იდიოტიზმის გამო, — გამოაცხადა ფელდფებელმა, რომელიც შვეიკის საბუთებს ათვალიერებდა.

— კიდევ რით ხართ დაავადებული? — ჰკითხა ბაუტზემ.

— მაქვს პატივი მოგახსენოთ, რევმატიზმი მაწუხებს. მაგრამ ჩვენს ხელმწიფე-იმპერატორს უკანასკნელ სისხლის წვეთამდე ვემსახურები, — თავმდაბლად უპასუხა შვეიკმა. — მუხლების ხუთვა მაქვს.

ბაუტზემ თვალები გადმოუბრიალა ყოჩაღ ჯარისკაც შვეიკს და უყვირა:

— Sie sind ein Simulant![4]

მერე მიუბრუნდა ფელდფებელს და ცივად უთხრა:

— Den kerl sogleich einsperren![5]

ხიშტებიანი თოფებით შეიარაღებულმა ორმა ჯარისკაცმა შვეიკი საგარნიზონო ნაობახტში წაიყვანა. შვეიკი მიდიოდა ყავარჯნე-

---

[1] მთელი ჩეხი ხალხი სიმულანტების ბანდას წარმოადგენს. (გერმ.).
[2] ზურგისაკენ! (გერმ.).
[3] ეს მართლაც არაჩვეულებრივი ლეღვის ფოთოლია (გერმ.).
[4] თქვენ სიმულანტი ხართ! (გერმ.).
[5] დაუყოვნებლივ დააპატიმრეთ ეს ტიპი (გერმ.).

ბით და თავისდა საუბედუროდ გრძნობდა, რომ მუხლების ხუთვა თანდათან ეშვებოდა. როცა პანი მიულერმა, რომელიც ხელურიკათი ხიდთან შვეიკს ელოდებოდა, ორ ხიშტს შორის მიმავალი თაეისი ბატონი დაინახა, ატირდა და წყნარად მოსცილდა ურიკას, რომ მას უკვე არასოდეს აღარ მიკარებოდა...

ყოჩაღი ჯარისკაცი შვეიკი კი ამ დროს მორჩილად მიაბიჯებდა სახელმწიფოს ორი შეიარაღებული დამცველის თანხლებით.

ხიშტები მზეზე ლაპლაპებდნენ, და მალა სტრანაზე, რადეცკის * ძეგლის წინ, შვეიკმა გასძახა ბრბოს, რომელიც მას ადევნებოდა:

— ბელგრადზე! ბელგრადზე!

მარშალი რადეცკი დაფიქრებული გადმოსცქეროდა თავისი კვარცხლბეკიდან ყოჩაღ ჯარისკაც შვეიკს, რომელიც ძველი ყავარჯნებით იღლიაში და ახალწვეულის პატარა თაიგულით პიჯაკზე კოპლობით მიათრევდა ფეხებს.

ვიღაც დარბაისელმა მამაკაცმა თავშეყრილ ხალხს აუხსნა, დეზერტირი მიჰყავთო.

თავი VIII

შვეიკი — სიმულანტი

იმ დიად ეპოქაში ექიმები ტყავიდან ძვრებოდნენ, რომ ადამიანებში გამჯდარი საბოტაჟის მავნე სული აღმოეფხვრათ და სიმულანტები არმიის წიაღში დაებრუნებინათ. შემოწმების მთელი რიგი საფეხურები იყო შემოღებული აშკარა სიმულანტებისა და სიმულანტობაზე ეჭვმიტანილ, ნამდვილად კი ავადმყოფი ადამიანების, სახელდობრ — ჭლექიანების, რევმატიზმიანების, თიაქრიანების, აგრეთვე თირკმელების ანთებით, ტიფით, შაქრის ავადმყოფობით, ფილტვების ანთებითა და სხვა სნეულებით შეპყრობილთა გამოაარკვევად.

წამებანი, რომლებიც სიმულანტებს უნდა გადაეტანათ, გარკვეულ სისტემაში იყო მოყვანილი, და ამ წამებათა გრადაცია შემდეგი გახლდათ:

1. სასტიკი დიეტა: დილით და საღამოთი თითო ფინჯანი ჩაი სამი დღის განმავლობაში; გარდა ამისა, ყველას, მიუხედავად იმისა, რა ავადმყოფობას უჩიოდნენ, აძლევდნენ ასპირინს, რომ სიმულანტებს თფლი მოსვლოდათ.

2. ქინაქინი ფხვნილებში, დიდ-დიდ დოზებად, რომ არ ეფიქრათ, სამხედრო სამსახური თაფლივით ტკბილიაო. ამას ეწოდებოდა: „ქინაქინის ალოკვა“.

3. კუჭის ამორეცხვა ერთი ლიტრა თბილი წყლით დღეში ორჯერ.

4. ოყნა საპნიანი წყლითა და გლიცერინით.

5. სველ ცივ ზეწარში გახვევა.

იყენენ გმირები, რომლებმაც მედგრად გადაიტანეს წამების ხუთივე საფეხური და მიაღწიეს იმას, რომ უბრალო კუბოთი გაიტანეს ცისინი სამხედრო სასაფლაოზე. მაგრამ აღმოჩნდნენ სულმოკლე ადამიანებიც, რომლებიც, როგორც კი საქმე ოყნაზე მიდგებოდა, აცხადებდნენ, უკვე განვიკურნეთ და ამჟამად მეტი აღარაფერზე ვოცნებობთ, რომ უახლოეს სამარშო ბატალიონში ჩაგვრიცხოთ და სანგრებში გაგვისტუმროთო.

შვეიკი საგარნიზონო ნაობახტის საავადმყოფოს ბარაკში მოათავსეს სწორედ ასეთ სულმოკლე სიმულანტებთან.

— მეტი აღარ შემიძლია, — თქვა შვეიკის მეზობლად მწოლიარე სიმულანტმა, რომელიც ეს-ესაა ამბულატორიიდან მოიყვანეს, სადაც მას უკვე მეორეჯერ ამოურეცხეს კუჭი. ეს ადამიანი ბეცი იყო, მას კი უმტკიცებდნენ, სიმულანტი ხარო.

— ხვალვე პოლკში მივდივარ, — განაცხადა მარცხენა მეზობელ საწოლზე მწოლიარემ, რომელსაც ახლახან ოყნა გაუკეთეს. ეს ავადმყოფი სიმულანტობდა, როგორაც ეთ ყრუ ვარო.

კარებთან მიდგმულ საწოლზე ჭლექიანი კვდებოდა, რომელიც სველ ზეწარში გამოეხვიათ.

— ეს უკვე მესამეა ამ კვირაში, — შენიშნა მეზობელმა მარჯვენა საწოლიდან.

— შენ რით ხარ დაავადებული? — შეეკითხნენ შვეიკს.

— რევმატიზმი მაქვს, — უპასუხა შვეიკმა, და ერთბაშად მთელმა ბარაკმა გულიანად გადაიხარხარა. მომაკვდავი ჭლექიანიც კი იცინოდა, რომელიც ტუბერკულოზის დაავადებით „სიმულანტობდა“.

— რევმატიზმით, გირჩევნიათ, აქ ცხვირიც არ შემოჰყოთ, — სერიოზულად გააფრთხილა შვეიკი სქელმა მამაკაცმა. — რევმატიზმს აქ ისე უყურებენ, თითქოს რაღაც უბრალო კოქეტი გაგჩენოდეთ თითზე. მე სისხლნაკლულობას ვუჩივი, ამოჭრილი მაქვს კუჭის ნახევარი, ხუთი ნეკნი მაკლია, მაგრამ ეს არავის სჯერა. ამ ცოტა ხნის წინათ აქ ერთი ყრუ-მუნჯი იყო. თოთხმეტი დღე ყოველ ნახევარ საათში მას სველ ზეწარში ახვევდნენ. ყოველდღე ოყნას უკეთებდნენ და კუჭს ურეცხავდნენ. სანიტრებიც კი ფიქრობდნენ, რომ მისი საქ-

მე გაჩარხულია და უთუოდ შინ გაუშვებენო, მაგრამ ექიმმა აიღოდა, პირიდან სასაქმებელი გამოუწერა. ამ საშუალებას შეეძლო მთელი შიგნეული გადმოეტრიალებინა იმ საცოდავისთვის — და იგი შიშმა აიტანა: „აღარ შემიძლია ყრუ-მუნჯობა, — განაცხადა მან. — სმენაც დამიბრუნდა და მეტყველებაცო“. ყველა ავადმყოფი ურჩევდა, თავი არ დაიღუპოო, მაგრამ იგი თავისაზე იდგა: სმენაცა მაქვს და ენაც თქვენსავითო. ასედაც მოახსენა ექიმს, რომელმაც დილით შემოიარა ავადმყოფების დასახედავად.

— დიახ, დიდხანს გაუძლო, — შენიშნა ერთმა ავადმყოფმა, რომელიც სიმულანტობდა, ცალი ფეხი მთელი ათი სანტიმეტრით უფრო მოკლე მაქვს, ვიდრე მეორეო. — აბა, იმ დამბლადაცემულს კი არ გავდა, რომლისთვისაც საკმარისი აღმოჩნდა ქინაქინის მხოლოდ სამი ფხვნილი, ერთი ოყნა და ერთი დღე უპმელობა. უმალ გამოტყდა, როგორც კი კუჭის ამორეცხვის ჯერი დადგა. დამბლა გაუქრა, თითქოს მისი ხსენებაც არ ყოფილიყოს..

— ყველაზე მეტხანს აქ ცოფიანი ძაღლით დაკბენილმა გაუძლო. იკბინებოდა, ყმუოდა, წკავწკავებდა, მართლაც ყველაფერს შესანიშნავად აკეთებდა. მაგრამ ვერასგზით დორბლი ვერ მოიყენა ტუჩებზე. ვეხმარებოდით როგორადაც და რითაც შეგვეძლო, ვუღიტინებდით ექიმის შემოვლის წინ, ზოგჯერ მთელი საათობით არ ვეშვებოდით, სანამ კრუნჩხვა არ დაეწყებოდა და მთლად არ გადალურჯდებოდა, მაგრამ არ იქნა და არა, დუჟი არ ადგებოდა პირზე. ეს საშინელება იყო! და როცა მან დილის შემოვლის დროს ფარ-ხმალი დაყარა და დანებდა, რარიგ შეგვეცოდა, ვერ წარმოიდგენთ! საწოლთან სმენაზე დადგა, სარგადაყლაპულივით გამოეტიმა ექიმს, სამხედრო სალამი მისცა და წარმოთქვა: „მაქვს პატივი მოგახსენოთ, ბატონო უფროსო ექიმო, ძაღლი, რომელმაც მიკბინა, ცოფიანი არ აღმოჩნდა“. უფროსმა ექიმმა ისე გადაუბრიალა თვალები, რომ დაკბენილი მთელი სხეულით აცახცახდა და უმალ დასძინა: „მაქვს პატივი მოგახსენოთ, ბატონო უფროსო ექიმო, საერთოდ არავითარ ძაღლს არ დავუკბენივარ. მე თვითონ დავიკბინე საკუთარი ხელი“. ამაში რომ გამოტყდა, ბრალი დადვეს ასოთდაზიანებაში, თითქოს განზრახვა ჰქონდა ხელი დაესახიჩრებინა დაკბენით, ფრონტზე რომ არ მოხვედრილიყო.

— ყველა სნეულება, რომელიც დორბლის პირზე მოყენებას მოითხოვს, მაგალითად, ავი ზნე, ძალიან ძნელია სიმულაციისათვის, — თქვა სქელმა სიმულანტმა: — აქ ერთი ეპილეპტიკი იყო, იგი ყოველთვის გვეუბნებოდა, არავითარ სიძნელეს არ წარმოადგენს ზედმეტად გავითამაშო, თითქოს ბნედამ მომიარაო. დღეში ასე ათჯერ მაინც წაიქცეოდა, კრუნჩხვით იკლაკნებოდა, მუშტებს კუმშავ-

და, თვალებს კარკლავდა, იატაკზე ეხეთქებოდა და ფართხალობდა, ენას გარეთ აგდებდა. მოკლედ რომ ვთქვათ, ეს იყო შესანიშნავი ეპილეპსია, პირველხარისხოვანი და ყოველ ეჭვს გარეშე ნამდვილი ეპილეპსია. მაგრამ მოულოდნელად ამ ეპილეპტიკს კისერზე ორი ძირმაგარა გაუჩნდა, ორიც ზურგზე, და იძულებული გახდა შიეტოვებინა კრუნჩხვები და იატაკზე ფართხალი. ის კი არა, ამ მუწუკებისგან უბრალოდ თავსაც ვეღარ აბრუნებდა, ვეღარც ჯდებოდა. ვეღარც წვებოდა; აუვარდა ციებ-ცხელება ექიმის შემოვლის დროს ბოდვა დააწყებინა და ყველაფერში გამოტყდა. ავიზნიანის ამ ავბედითმა მუწუკებმა ჩვენ დანარჩენები საძაგელ დღეში ჩაგვყარა. საქმე ისაა, რომ მუწუკების გამო ის ავადმყოფი ჩვენთან კიდევ სამი დღე იწვა და მას სხვა დიეტა დაენიშნა: დილით ყავა ფუნთუშათი, სადილად — სუპი და კნედლიკი სოუსით, საღამოთი — ფაფა ახ სუპი, და ჩვენ, კუჭ-ნაწლავებ ამორეცხილთ და მკაცრი დიეტით დამშეულთ, უნდა გვეცქირნა, ეს „ავიზნიანი“ როგორ თქვლეფავდა, ახრამუნებდა და, როცა მუცელს ამოიყორავდა, როგორ ხვნეშოდა და აბოყინებდა. ამით მან გულის მანკით დასნეულებული სამი ავადმყოფი გააბრიყვა. ისინიც გამოტყდნენ.

— ყველაზე ადვილია, — თქვა ერთმა სიმულანტმა, — თავის მოგიჟიანება. გვერდითა პალატა № 2-ში ორი მასწავლებელია. ერთი დღისით და ღამით დაუღალავად გაიძახის: „ჯორდანო ბრუნოს კოცონს ჯერ ისევ ბოლი ასდის! განაახლეთ გალილეის პროცესი!“ მეორე ჰყეფს; პირველად სამჯერ ნელა: „ჰამ, ჰამ, ჰამ“, მერე ხუთჯერ სწრაფად: „ჰამ-ჰამ-ჰამ-ჰამ-ჰამ“, შემდეგ ისევ ნელა, — და ასე შეუსვენებლად. ორთავემ უკვე გაუძლო სამ კვირაზე მეტხანს... თავდაპირველად მეც მინდოდა თავის მოგიჟიანება, თითქოს შეშლილი ვიყავი რელიგიურ ნიადაგზე და უნდა მექადაგნა პაპის შეუცოდველობაზე. მაგრამ საბოლოოდ მალა სტრანჰს ერთი პარიკმახერისგან თხუთმეტ კრონად კუჭის კიბო შევიძინე.

— მე ვიცი ერთი ბრეევნოველი ბუხრის მწმენდელი, — ჩაურთო მეორე ავადმყოფმა, — რომელიც ათ კრონად ისეთ ცხელებას გაგიჩენთ, ლამის ფანჯრიდან გადახტეთ.

— აბა ეგ რაა, — თქვა მესამემ. — ვრშოვიცეში არის ერთი ბეგბია-ქალი, რომელიც ოც კრონად ისე მარჯვედ ამოგიგდებთ კოჭს, რომ მთელი თქვენი სიცოცხლე ხეიბარი დარჩებით.

— მე ხუთ კრონად მიღრძეს ფეხი, — გაისმა ხმა ფანჯარასთან მიდგმულ საწოლიდან. — ხუთიანი ნაღდ ფულად მივეცი და სამი ტოლჩა ლუდიც დავუმატე.

— მე ჩემი ავადმყოფობა უკვე ორას კრონზე მეტი დამიჯდა, —

განაცხადა მისმა მეზობელმა, რომელიც ჩხირივით ჩამომხმარიყო. — ვერ დამისახელებთ ისეთ შხამს, რომელიც მე არ მიმეღოს. ყოველგვარი შხამის ცოცხალი საკუჭნაო ვარ. დამილევია სულემა, მისუნთქავს ვერცხლისწყლის ორთქლი, დამიკვნეტია დარიშხანი, მომიწევია ოპიუმი, დამილევია ოპიუმის ნაყენი, პურის ნატეხზე მომიყრია მორფიუმი, გადამიყლაპავს სტრიქნინი, დამილევია გოგირდნახშირბადში გახსნილი ფოსფორი და პიკრინის მჟავაც. დავიზიანე ღვიძლი, ფილტვები, თირკმელები, ნაღვლის ბუშტი, ტვინი, გული და ნაწლავები. კაცაშვილი ვერ გებულობს, რითა ვარ დასნეულებული.

— ყველაზე უკეთესია, — შენიშნა კარებთან მწოლიარე ავადმყოფმა, — კანქვეშ ნავთის შეშხაპუნება. ჩემს ბიძაშვილს ბედმა გაუღიმა: ნიდაყვამდე მოჰკვეთეს ხელი, და ახლა მისთვის არავითარი სამხედრო სამსახური საშიში აღარაა.

— აი, ხომ ხედავთ, — თქვა შვეიკმა, — ყველაფერი ეს თვითეულმა ჩვენგანმა უნდა გადაიტანოს ხელმწიფე — იმპერატორის გულისათვის: კუჭის ამორეცხვაცა და ოყნაც. როცა ამ რამდენიმე წლის წინათ სამხედრო ვალდებულებას ვიხდიდი, ჩვენს პოლკში უარესი ამბები ხდებოდა. ავადმყოფს თხასავით გაკოჭავდნენ და ვირის აბანოში აგდებდნენ, რომ იქ განკურნებულიყო. იმ ვირის აბანოში არ იყო ნაალიანი საწოლები, როგორც აქაა, არც საფურთხები. ცარიელ ფიცრულ ტახტებზე იყვნენ დაყრილი ავადმყოფები. ერთხელ ასეთ ტახტზე იწვა ნამდვილად პარტახტიანი ტიფით დაავადებული ჯარისკაცი, მის გვერდით მეორე იწვა — შავი ყვავილით შეპყრობილი. ორთავე შებორკილი იყო „შპანგლეთი“ * და პოლკის ექიმი წიხლსა სცემდა მათ მუცელში, აი თქვე სიმულანტებოო. მაგრამ, როცა ორივე ჯარისკაცი გარდაიცვალა, საქმე პარლამენტამდე მივიდა, და ყველაფერი გაზეთებში გამომზეურდა. ერთბაშად აგვიკრძალეს გაზეთების კითხვა და სკივრებიც კი გაგვიჩხრიკეს, გაზეთები ხომ არავის აქვსო. მე არასოდეს ბედი არ მწყალობს. მთელს პოლკში გაზეთები ვერავის უნახეს, მე კი აღმომაჩნდა. წამიყვანეს პოლკის მეთაურთან. ჩვენი პოლკოვნიკი ისეთი ვირი ვინმე იყო, — უფალმა სასუფეველი დაუმკვიდროს მას იმქვეყნად! — შევედი თუ არა მასთან, დამიღრიალა, სმენაზე იდექ და მიპასუხე, ვინ დასწერა გაზეთშიო, თორემ ცემით გაგხეთქავ და ციხეში გამოგალპობო. მერე პოლკის ექიმი მოვიდა, მუშტს მიღერებდა ცხვირში და მიყვიროდა: „Sie verfluchter Hund, sie schäbiges Wesen, sie unglückliches Mistvieh [1]“. სოციალისტურო ქმნილებავ!“ მე პირდაპირ თვალებში

[1] შე წყეულო ძაღლო, ფლიდო ქმნილებავ, ქეციანო პირუტყვო! (გერმ.)

მივჩერებივარ მათ, ერთხელაც არ დამიხამხამებია, და ხმასაც არ ვიღებ. მარჯვენა ხელით მხედრული სალამი მაქვს მიცემული, მარცხენა — შარვლის ნაკერის გასწვრივ გაჭიმული! ქოფაკებივით მიტრიალებდნენ გარშემო, ყეფდნენ, ღაღავებდნენ, მე კი კრინტს არ ვძრავდი, ჩუმად ვიყავი ჩემთვის, — მარჯვენა ხელით მხედრული სალამი მქონდა მიცემული, მარცხენა— შარვლის ნაკერის გასწვრივ გაჭიმული. მიტრიალეს ასე მთელი ნახევარი საათი. მერე პოლკოვნიკი მოიკრა ჩემთან და დამკვიცლა: „შენ იდიოტი ხარ თუ არა?“ „სწორედ ასეა, პანე პოლკოვნიკ, — იდიოტი ვარ“, — ვუპასუხე. „ოცდაერთი დღით მკაცრ პატიმრობაში იდიოტობისათვის! ორი მარხვის დღე კვირაში, ერთი თვე უშვებულებოდ, ორმოცდარვა საათით ჩასჭედეთ „შპანგლეში“. დაუყოვნებლივ დაამწყვდიეთ და საჭმელი არ მისცეთ! შეკოვეთ! აჩვენეთ მას, რომ სახელმწიფოს იდიოტები არ ესაჭიროება. მაგ გოგრიდან გამოგიბერტყავთ, შე ძაღლიშვილო, გაზეთებს!“ ამით დაასრულა ბატონმა პოლკოვნიკმა თავისი ყბედობა. სანამ მე პატიმრობაში ვიმყოფებოდი, ყარაულმაში პირდაპირ რაღაც სასწაულები ხდებოდა. ჩვენმა პოლკოვნიკმა თურმე საერთოდ აუკრძალა . სალდათებს კითხვა, „პრაღის ოფიციალური გაზეთიც“ არ დაუშვა წასაკითხად. სალდათების დუქანში აკრძალეს ძეხვისა და ყველის შეხვევაც კი გაზეთებში. და აი, სწორედ ამ დღიდან სალდათები დაეწაფნენ კითხვას. ჩვენი პოლკი ერთბაშად ყველაზე ნაკითხი შეიქნა. კითხულობდნენ ყველა გაზეთს და ყოველ ასეულში თხზავდნენ ლექსებსა და სიმღერებს პოლკოვნიკზე. და თუ რამე მოხდებოდა პოლკში, ყოველთვის გაჩნდებოდა რომელიმე გულშემატკივარი, რომელიც გაზეთში უშვებდა პატარა სტატიას სათაურით: „როგორ ავიწროებენ სალდათებს“. კიდევ მეტიც: სწერდნენ დეპუტატებს ვენაში, გამოგვესარჩლეთო, და დეპუტატები შეკითხვას შეკითხვაზე აგზავნიდნენ პარლამენტში, ცნობილია თუ არა მთავრობისთვის, რომ ჩვენი პოლკოვნიკი მხეცია, და სხვა ამდაგვარი. მინისტრმა კომისია გამოგზავნა პოლკში საქმის გამოსარკვევად. ამას ის მოჰყვა, რომ ვიღაც ჰლუბოკელი ფრანტა ჰენშლი ორი წლით ციხეში ჩასვეს: თურმე მას საჩივრით მიუმართავს ვენაში პარლამენტის დეპუტატებისთვის, სასწავლო მოედანზე მეცადინეობის დროს პოლკოვნიკმა სილა გამაწნაო. როცა კომისია უკან გაბრუნდა, პოლკოვნიკმა მთელი პოლკი ჩაამწკრივა ეზოში, და განაცხადა, ჯარისკაცი ჯარისკაცია, ენას კბილები უნდა დააჭიროს და ისე იმსახუროსო, და თუ ვინმე უკმაყოფილებას გამოთქვამს, ეს დისციპლინის დარღვევააო. „თქვენ კი გაიძვერებო,

გეგონათ, კომისია გიშველიდათ? — თქვა თურმე პოლკოვნიკმა. — მაგრამ კოვზი ნაცარში ჩაგივარდათ, კომისიამ ვერ გიშველათ! ახლა კი თვითეულმა ასეულმა მწყობრი ნაბიჯით ჩაიაროს ჩემს წინ და ხმამაღლა გაიმეოროს ის, რაცა ვთქვი". და ასეული ასეულის მიყოლებით, მწყობრად მიაბიჯებდა მარჯვნივ სწორებით, საითაც პოლკოვნიკი იდგა, თოფის თასმაზე ხელშემოდებული, და რაც ძალა და ღონე ჰქონდათ ღრიალებდნენ: „ჩვენ, გაიძვერებს, გვეგონა, კომისია გვიშველიდა. მაგრამ კოვზი ნაცარში ჩაგვივარდა, კომისიამ ვერ გვიშველა!" პოლკოვნიკი თავშეუკავებლად ხარხარებდა, სიცილისგან, თურმე, მუცელზე კანი აღარ შერჩა. მაგრამ აი წამოვიდა მეთერთმეტე ასეული. მოდის სამხედრო ნაბიჯით, მწყობრად, უახლოვდება პოლკოვნიკს და... კრინტს არ ძრავს, სდუმს კრიჭაშეკრულივით. პოლკოვნიკი მოხარშულ კიბოსავით გაწითლდა და ასეული უკან გააბრუნა, თავიდან დაიწყეთო. მეთერთმეტე ასეული ისევ წამოვიდა სამხედრო, მწყობრი ნაბიჯით და... ისევ სდუმს. მწყობრი, მწყობრს მიჰყვება და ყველანი უტიფრად უცქერიან თვალებში პოლკოვნიკს. „Ruht [1]" — ბრძანა პოლკოვნიკმა, თვითონ კი წინ და უკან დადის ეზოში, წკეპლას ჩექმის ყელზე იტყლაშუნებს, იფურთხება, მერე უცბად შესდგა და დაიღრიალა: „Abtreten! [2]" შეჯდა თავის ჯაგლაგზე და ჭიშკარში გავარდა. ჯარისკაცები გულისფანცქალით ელოდნენ, მეთერთმეტე ასეულს რა დღე დაადგებაო, მაგრამ არაფერი. ელოდნენ მთელი დღე, ელოდნენ მეორე დღე, ერთი კვირა — ბაიბურიც არ ისმოდა. პოლკოვნიკი ყაზარმაშიც აღარ მოდიოდა, ჯარისკაცები გახარებული იყვნენ, და განა მარტო ჯარისკაცები: გახარებული იყვნენ უნტერებიცა და თვით ოფიცრებიც. ბოლოს, ახალი პოლკოვნიკი გამოამწესეს ჩვენს პოლკში. ძველ პოლკოვნიკზე ამბობდნენ, რომელიღაც სანატორიუმში თავი ამოაყოფინეს, რადგან საკუთარი ხელით მისწერა თურმე ხელმწიფე-იმპერატორს, მეთერთმეტე ასეული ამიჯანყდაო.

ახლოვდებოდა სადილის შემდეგ დაწესებული შემოვლის საათი. სამხედრო ექიმი გრიუნშტეინი ერთი საწოლიდან მეორესთან მიდიოდა, უკან ფერშალი მიყვებოდა დავთრით ხელში.

— მაცუნა!

— აქა ვარ!

---

[1] თავისუფლად სდექ! (გერმ.)

[2] დაიშალენით! (გერმ.)

— ოყნა და ასპირინი.
— პოკორნი!
— აქა ვარ!
— კუპის ამორეცხვა და ქინაქინი.
— კოვარჟიკ!
— აქა ვარ!
— ოყნა და ასპირინი.
— კოთიატკო!
— აქა ვარ!
— კუპის ამორეცხვა და ქინაქინი.

და ასე ერთიმეორის მიყოლებით ყველას — მექანიკურად, უხეშად და შეუბრალებლად.

— შვეიკ!
— აქა ვარ!

ექიმმა გრიუნშტეინმა შეხედა ახალმოსულს.

— რით ხართ ავად?
— მაქვს პატივი მოგახსენოთ, მე რევმატიზმი მაქვს.

ექიმ გრიუნშტეინს თავისი პრაქტიკის განმავლობაში შეთვისებული ჰქონდა ჩვეცა ავადმყოფებთან ირონიულად ელაპარაკნა. ეს ყვირილზე უფრო მაგრად სჭრიდა.

— ახ, რას ამბობთ, რევმატიზმიო... — უთხრა მან შვეიკს. — ეს მართლაც მძიმე ავადმყოფობაა. მერედა, იღბალი არ გინდა ადამიანს — რევმატიზმმა სწორედ მსოფლიო ომის დროს შემოგიტიოს, სწორედ მაშინ, როცა ფრონტზე წასასვლელად ემზადება კაცი! ვფიქრობ, ძალიან სწუხხართ!

— მაქვს პატივი მოგახსენოთ, ბატონო უფროსო ექიმო, ძალიან ვწუხვარ.

— ა-ა, ხომ ხედავთ, ძალიან სწუხს? დიდად მოსაწონია თქვენის მხრივ, რომ თავში მოგივიდათ აზრი მოგემართათ ჩვენთვის სწორედ ამ დროს. მშვიდობიანობის დროს თიკანივით დაკვინტრიშობთ და დარბიხართ, მაგრამ იფეთქებს თუ არა ომი, რევმატიზმი გემართებათ და მუხლები აღარ გემორჩილებათ. ხომ არ გტკივათ მუხლები?

— მაქვს პატივი მოგახსენოთ, მტკივა.

— და მთელი ღამე არ გაძინებთ? ხომ ასეა? რევმატიზმი საშიში, გამტანჯველი და მძიმე ავადმყოფობაა. ჩვენ ამ საქმეში დიდი პრაქტიკა მოგვეპოვება: მკაცრი დიეტა და მკურნალობის ჩვენი სხვა საშუალებანი ძალიან კარგ შედეგებს იძლევიან. ჩვენთან გაცილებით უფრო ადრე განიკურნებით, ვიდრე პიშთანეხში, და ისე მოჰკურცხლავთ ფრონტისკენ, რომ გზაში მტვრის კორიანტელს დააყენებთ.

უფროსი ექიმი ფერშალს მიუბრუნდა და უთხრა:

— ჩასწერეთ: „შვეიკი, მკაცრი დიეტა, დღეში ორჯერ კუჭის ამორეცხვა და დღეში ერთხელ ოყნა". მერე ვნახოთ. ახლა წაიყვანეთ ამბულატორიაში, ამოურეცხეთ კუჭი და როცა მოსულიერდება, ოყნა გაუკეთეთ, მაგრამ იცოდეთ, ნამდვილი ოყნა, ისეთი, რომ გაჩენის დღეს იწყევლიდეს და რომ მისი რევმატიზმი ერთბაშად გაჰქრეს და ახლო აღარ გაეკაროს.

მერე ავადმყოფებისკენ მიტრიალდა და წარმოთქვა შესანიშნავი და ბრძნული სენტენციებით აღსავსე სიტყვა:

— არ გეგონოთ, რომ თქვენს წინაშე ვინმე ვირი იდგეს, რომელიც შეგიძლიათ თქვენს ნებაზე ატაროთ. თქვენი ოინბაზობით ჩემთან ფონს ვერ გახვალთ. მე ხომ მშვენივრად ვიცი, რომ თქვენ ყველანი სიმულანტები ხართ და გსურთ თავი დაიძვრინოთ სამხედრო სამსახურიდან, ამიტომ გეპყრობით ისე, როგორც თქვენისთანებს ეკადრება. მე ჩემს სიცოცხლეში თქვენისთანა მეომრები ასეულობით მინახავს. ამ საწოლებზე ბლომად წოლილან ისეთები, რომლებიც დაავადებულნი იყვნენ მხოლოდ და მხოლოდ იმით, რომ მოკლებულნი იყვნენ საბრძოლო სულისკვეთებას. იმ დროს, როცა მათი ამხანაგები ფრონტზე იბრძოდნენ, ისინი ფიქრობდნენ, მხართეძოზე წამოვწვებით, საავადმყოფოს სასმელ-საჭმელს შევექცევით, და ასე არხეინად ვიქნებით, სანამ ომი არ დამთავრდებაო. ძაგრამ მათ, გაიძვერებს, გაუცრუვდათ იმედები! და თქვენც, ყურუმსაღებო, არ გაგივათ იშკილბაზობა! ოცი წლის შემდეგაც წამოიყვირებთ ზოგჯერ ძილში, როცა თქვენი ახლანდელი სიმულაციები დაგესიზმრებათ.

— მაქვს პატივი მოგახსენოთ, ბატონო უფროსო ექიმო, — გაისმა წყნარი ხმა ფანჯარასთან მიდგმულ საწოლიდან, — მე უკვე განვიკურნე. უკვე წუხელ შევამჩნიე, რომ სულისხუთვამ გამიარა.

— თქვენი გვარი?

— კოვარჟიკი. მაქვს პატივი მოგახსენოთ, დანიშნული მქონდა ოყნა.

— ძალიან კარგი, ოყნას თქვენ მაინც გაგიკეთებენ უკანასკნელად, — თქვა ექიმმა გრიუნშტეინმა, — რომ შემდეგ საყვედური არ გამოთქვათ, სამხედრო საავადმყოფოში არ მკურნალობდნენო. მაშ ასე, ახლა ყველა ავადმყოფი, რომლებიც ჩამოვთვალე, უკან გაჰყვება ფერშალს და მიიღებს, ვისაც რა ეკუთვნის.

თვითეულს არგუნეს კუთვნილი დიდ-დიდ დოზებად. ზოგიერთები ცდილობდნენ ემოქმედნათ ექიმის ბრძანების შემსრულებლებზე მუდარით, თუ არადა, მუქარითაც: ჩვენ თვითონ ჩავეწერებით სანიტ-

რებად და, ადვილი შესაძლებელია, ახლანდელი სანიტრები ოდესმე ხელში ჩაგვივარდეთო. რაც შეეხება შვეიკს, მას ყოჩაღად ეჭირა თავი.

— არ დამინდო, — ამხნევებდა იგი ჯალათს, რომელიც ოუნას უკეთებდა. — გახსოვდეს ფიცი. აქ რომ მამაშენი ან ღვიძლი ძმა იწვეს, გაუკეთე ოუნა ულაპარაკოდ. იცოდე, ამ ოუნებით უდგას სული მთელ ავსტრიას. ჩვენ გავიმარჯვებთ!

მეორე დღეს შემოვლისას ექიმმა გრიუნშტეინმა გამოჰკითხა შვეიკს, როგორ მოგწონთ ჰოსპიტალშიო. შვეიკმა უპასუხა, რომ ეს დაწესებულება კეთილმოწყობილია და დიდად საპატიო. ამის ჯილდოდ მან მიიღო ის, რაც გუშინ, და სართად კიდევ ასპირინი და სამი ფხვნილი ქინაქინი; ყველაფერი ეს წყალში გაულესეს, მერე უბრძანეს დაუყოვნებლივ გადაჰკარიო.

თვით სოკრატესაც კი არ შეუსვამს თავისი შხამის ფიალა ისეთი სიმშვიდით, როგორც შვეიკმა ეს ქინაქინი შესვა. ექიმმა გრიუნშტეინმა შვეიკზე ყოველგვარი წამების ხერხი გამოსცადა. როცა ექიმის თანდასწრებით მას ცივ სველ ზეწარში ახვევდნენ, გრიუნშტეინის შეკითხვაზე, ეს როგორ მოგწონთო, შვეიკმა უპასუხა:

— მაქვს პატივი მოგახსენოთ, ბატონო უფროსო ექიმო, თავს ისე ვგრძნობ, თითქოს აბაზანაში ვიყო ან ზღვის კურორტზე.

— რევმატიზმმა ჯერ არ გაგიარათ?

— მაქვს პატივი მოგახსენოთ, ბატონო უფროსო ექიმო, არ მეშვება.

შვეიკს ახალი წამებანი დაუნიშნეს.

ამ დროის განმავლობაში ინფანტერიის გენერლის ქვრივი, ბარონესა ფონ ბოტცენჰაიმი ყოველგვარ ღონეს მიმართავდა იმ ჯარისკაცის მოსაძებნად, რომლის შესახებ ამას წინათ გაზეთი „ბოჰემია“ სწერდა, რომ იგი, ხეიბარი, დავრდომილთა ხელოვრიკათი სამხედრო კომისიაში გამოცხადდა და გზაში გაჰყვიროდა: „ბელგრადზე, ბელგრადზეო!“ პატრიოტიზმის ამ გამოვლინებამ საბაბი მისცა „ბოჰემიის“ რედაქციას მოწოდებით მიემართა თავისი მკითხველისათვის მოეწყოთ ლოიალური გმირ-ხეიბარის სასარგებლოდ საჩუქრების შეგროვება.

ბოლოს, საპოლიციო სამმართველოდან მიღებული ცნობების საფუძველზე, ბარონესამ გაიგო, რომ ამ სალდათის გვარი იყო შვეიკი. მისი მოძებნა უკვე დიდ სიძნელეს აღარ შეადგენდა. ბარონესა ფონ ბოტცენჰაიმმა წაიყვანა თავისი მხლებელი ქალი და კამერდინერი კალათათი და გაემგზავრა ჰრადჩანის ჰოსპიტალში.

საწყალ ბარონესას ვერც წარმოედგინა, რას ნიშნავდა საგარნიზონო საპატიმროს ჰოსპიტალში წოლა. სადარბაზო ბარათმა გაუხსნა დიდგვაროვან ქალს საპატიმროს კარები. კანცელარიაში ბარონესას

დიდი მოწიწებით შეეგებნენ. ხუთ წუთში მას უკვე აცნობეს, რომ „der brave Soldat“[1] შვეიკი, რომლის ნახვა მას სურდა, მესამე ბარაკში, საწოლ № 17-ზე წევს. ბარონესას თვით ექიმი გრიუნშტეინი ახლდა, რომელიც მთლად გამოეშტერებინა ამ მოულოდნელ ვიზიტს. შვეიკი ეს-ესაა ახლა დაბრუნებულიყო თავის საწოლზე ჩვეულებრივი ყოველდღიური ტურისგან, რომელიც ექიმმა გრიუნშტეინმა დაუნიშნა. იგი იჯდა გაძვალტყავებული და დამშეული სიმულანტებით გარშემოხვეული, რომლებსაც აქამდე გაეძლოთ, არასგზით არ ნებდებოდნენ და შეუპოვრად განაგრძობდნენ ექიმ გრიუნშტეინის მკაცრ დიეტასთან გამკლავებას.

ვინმეს ყური რომ დაეგდო ამ კომპანიის საუბრისთვის, იფიქრებდა, უმაღლესი სამზარეულო სკოლის კულინარებს შორის, ანდა გასტრონომიული მაღაზიების გამყიდველთა კურსებზე მოეხვდიო.

— სულ უბრალო ღორის ხოხოზიკების ჭამაც კი შეიძლება, სანამ ის ჯერ კიდევ თბილია, — განაცხადა ერთმა სიმულანტმა, რომელსაც „კუჭის ძველისძველ კატარისგან“ მკურნალობდნენ. — როცა ქონი აშიშინდება და შხეფების სროლას დაიწყებს, ხოხოზიკები უნდა გადაწუროთ, მარილი და პილპილი მოაყაროთ და მაშინ, გარწმუნებთ, ვერავითარი ბატის ხოხოზიკები მათ ვეღარ შეედრება.

— აბა, აბა, ბატის ხოხოზიკები განა ასე ადვილი ხელწამოსაკრავია, — თქვა კუჭის კიბოთი დაავადებულმა, — მათზე უკეთესი, აბა, რა შეიძლება იყოს! რა სახსენებელია მათთან შედარებით ღორის ქონის ხოხოზიკები! ბატის ხოხოზიკები, რა თქმა უნდა, მანამ უნდა იყოს ცეცხლზე, სანამ არ შეიბრაწება. ებრაელები ასე აკეთებენ: აიღებენ მსუქან ბატს, კანს გააცლიან ქონს და ნელ ცეცხლზე წვავენ.

— მე კი მგონია, რომ თქვენ სცდებით ღორის ხოხოზიკების შეფასებაში, — შენიშნა შვეიკის მეზობელმა. — მე, რა თქმა უნდა, ვლაპარაკობ იმ ხოხოზიკებზე, რომლებიც შინაური ღორის ქონისგან მზადდება. ასედაც ეწოდება მათ — შინაური ხოხოზიკები. ისინი არც ყავისფერი უნდა იყვნენ, არც ყვითელი, არამედ საშუალო ფერისა. შინაური ხოხოზიკები არც ძალიან მაგრები უნდა იყვნენ და არცთუ ძალიან რბილი. მათ ხრაშუნი არ უნდა გაუდიოდეთ. თუ ხრაშუნი გაუდით, ეს იმას ნიშნავს, რომ ისინი გადახრაკულია. ხოხოზიკები ენაზე უნდა დნებოდნენ... ამასთანავე არ უნდა მოგეჩვენოთ, რომ ქონი ნიკაპზე ჩამოგდით.

— აბა, რომელს გიჭამიათ ცხენის ქონის ხოხოზიკები? — გაის-

---

[1] ყოჩაღი ჯარისკაცი (გერ.)

მა ვიღაცის ხმა, მაგრამ არავის უპასუხნია, რადგან ამ დროს ფერ-შალმა შემოირბინა.

— საწოლებთან! აქ დიდი თავადის ქალი მოდის. შემალეთ საბ-ნის ქვეშ ეგ თქვენი ბინძური ფეხები!

თვით მთავრის ცოლი ვერ შემოვიდოდა ასე ზეიმურად, როგორც ბარონესა ფონ ბოტცენჰაიმი შემოვიდა. მას უკან მოყვებოდა მთელი პროცესია, აქ იყო ჰოსპიტლის ბუხჰალტერიც, რომელსაც ამ ვიზიტ-ში რევიზიის საიდუმლო ხრიკები ელანდებოდა და იგი შიშის ქარმა აიტანა, ვაითუ თბილი და მსუყე ადგილი დამაკარგვინონ, ჯარის ზურგში, მოწინავე პოზიციებზე მიკრან თავი და შრაპნელებისა და მავთულხლართების კერძი გავხდეო. იგი მთლად გაფითრებულიყო. იმაზე უარესად დაკარგვოდა ფერი ექიმ გრიუნშტეინს. თვალთაგან არ სცილდებოდა მოხუცი ბარონესის პატარა სადარბაზო ბარათი ტიტულით „გენერლის ქვრივი“ და ყოველივე ის, რაც დაკავშირე-ბული იყო ამ ტიტულთან: ნაცნობობანი, პროტექციები, საჩივრები, ფრონტზე გამწესება და სხვა საშინელებანი.

— აი, შვეიკი, — წარმოთქვა ექიმმა ნაძალადევი სიმშვიდით და ბარონესა ფონ ბოტცენჰაიმი შვეიკის საწოლთან მიიყვანა. — ყვე-ლაფერს დიდი მოთმინებით იტანს.

ბარონესა ფონ ბოტცენჰაიმი შვეიკის საწოლთან მიდგმულ სკამზე დაჯდა და თქვა:

— ჩესკი ზოლდატ, კარგი ზოლდატ, ხეიბარი ზოლდატ, მამაცი ზოლდატ. მე ზალიან მიყვარს ჩესკი ავსტრიელი, — თან ხელს უთა-თუნებდა შვეიკს გაუპარსავ ლოყაზე. — მე ყველაფერი წავიკითხე გაზეთში, მე თქვენ მოგიტანეთ საჭმელი — „ამ, ამ“; მოსაწევი, მო-საწუწნი... ჩესკი ზოლდატ, ყოჩაგი ზოლდატ! Johann, kommen Sie her! [1]

კამერდინერმა, რომელიც თავისი გაჩეჩილი ბაკენბარდებით ბა-ბინსკის* მოგაგონებდათ, საწოლთან უზარმაზარი კალათა მოათრია. ბარონესას მხლებელი აწოწილი, ნამტირალევთვალებიანი ქალი, ჩამოუჯდა შვეიკს საწოლზე და ზურგს უკან თვით გატენილი ბა-ლიშის გასწორება დაუწყო, სრული დარწმუნებული იმაში, რომ დაჭრილ გმირთა სასთუმალთან სწორედ ასე იქცევიანო.

ბარონესა ამასობაში კალათიდან საჩუქრებს იღებდა. ამოალაგა ვარდისფერ პაპიროსის ქაღალდში შეხვეული და შავ-ყვითელ აბრე-შუმის ლენტით შეკრული მთელი დუჟინი შემწვარი წიწილები, ორი ბოთლი რომელიღაც ლიქიორი სამხედრო წარმოებისა, ეტიკეტით:

---

[1] იოჰან. აქ მოდით! (გერმ.)

„Gott, strafe England!“ [1] ეტიკეტზე— ბოთლის მეორე მხრიდან—გამოსახული იყვნენ ხელიხელჩაკიდებული ფრანც იოსები და ვილჰელმი, და თითქოს მცირე ასაკის ბავშვების თამაშით ირთობდნენ თავს:

ტაში, ტაში, ჩქარა ტაში;
ტურამ წაიღო ლავაში.

მერე ბარონესამ ამოიღო სამი ბოთლი სასმელი მოკეთებულ ავადმყოფთათვის და სამი კოლოფი სიგარეტი. ყველაფერი ეს მოხდენილად დაალაგა შვეიკის საწოლის თავისუფალ ადგილზე. შემდეგ ამათ გვერდით გაჩნდა ლამაზ ყდაში ჩასმული წიგნი სათაურით: „სურათები ჩვენი მონარქის ცხოვრებიდან“, რომელიც ჩვენი ახლანდელი ოფიციალური გაზეთის „ჩეხოსლოვაკიის რესპუბლიკის“ დამსახურებული შეფრედაქტორის მიერ იყო შედგენილი; რედაქტორი, როგორც ჩანდა, კარგად ერკვეოდა მოხუც ფრანც იოსების ცხოვრებაში.

საწოლზე გაჩნდა შოკოლადის ფალეზიც იმავე წარწერით: „Gott, strafe England!“ [1] და ისევ ავსტრიისა და გერმანიის იმპერატორების გამოსახულებით. მაგრამ შოკოლადზე იმპერატორები უკვე ხელიხელჩაკიდებულნი აღარ იყვნენ, ცალ-ცალკე იდგნენ; ზურგშექცეულნი. გვერდით ბარონესამ დადო ორმაგი კბილის ჯაგრულა წარწერით: „Viribus unitis“[2], გაკეთებული იმ მიზნით, რომ ყველამ, ვინც ამით კბილებს გამოიწმენდს, ავსტრია გაიხსენოსო. ყველაზე ელეგანტური საჩუქარი, ესოდენ აუცილებელი ფრონტსა და სანგრებში, აღმოჩნდა მანიკიურის სრული კომპლექტი. კოლოფზე სურათი იყო: შრაპნელი გამსკდარიყო და გმირი ჯარისკაცი ფოლადის ჩაჩქანით თავზე შაშხანამომარჯვებული იერიშზე მიდიოდა. სურათის ქვემოთ ეწერა: „Für Gott, Kaiser und Vaterland!“ [3].

ორცხობილების შეკვრაზე სურათი არ იყო, სამაგიეროდ ლექსით დაემშვენებინათ:

Osterreich, du edles Haus,
steck deine Fahne aus,
lass sie im Winde wehen,
Osterreich muss ewig stehen!

მეორე გვერდზე მოთავსებული იყო ჩეხური თარგმანი:

ოი, ავსტრიავ, სახელმწიფო ხარ მძლედ მკობილი.
დე ფრიალებდეს დროშა შენი კეთილშობილი.

---

[1] ღმერთო, დასაჯე ინგლისი (გერ.)

[2] შეერთებული ძალებით (ლათ.)

[3] ღვთისა, მეფისა და სამშობლოსათვის! (გერმ.).

უკანასკნელ საჩუქარს ყვავილების ქოთანში ჩარგული თეთრი სუმბული წარმოადგენდა. როცა ბარონესა ფონ ბოტცენჰაიმმა ყველაფერი ეს შვეიკის საწოლზე დაინახა, გული აუჩვილდა და ცრემლი მოადგა თვალებზე. რამდენიმე დამშეულ სიმულანტსაც მოადგა... ნერწყვი. მხლებელ ქალს, რომელსაც ლოგინში წამომჯდარი შვეიკი ზურგიდან ეჭირა, მეტიც არ უნდოდა და, ღაპაღუპით წასკდა ცრემლები. სიჩუმე სუფევდა ირგვლივ, ვით ეკლესიაში. ეს სიჩუმე უეცრად შვეიკმა დაარღვია; მან ხელები დაიკრიფა სალოცავად და წარმოსთქვა: „მამაო ჩვენო, რომელი ხარ ცათა შინა, წმიდა იყავნ სახელი შენი; მოვედინ სუფევა შენი"... პარდონ,[1] ქალბატონო, შემეშალა! მე მინდოდა მეთქვა: „თვალნი ყოველთანი შენდამი ესვენ, უფალო, და შენ მოსცი მათ საზრდელი ყოველსა ჟამსა. აღაღებ შენ ხელსა შენსა, და განაძღებ ყოველსა ცხოველსა ნებისაებრ შენისა". ამ სიტყვების შემდეგ, საწოლიდან ერთი შემწვარი წიწილა აიღო და მშიერ გულზე ისე ეძგერა, რომ ექიმმა გრიუნშტეინმა შეშინებული თვალები გააყოლა საშველს.

— ახ, როგორ ეამა, ზოლდატს! — აღტაცებით წასჩურჩულა მოხუცმა ბარონესამ ექიმ გრიუნშტეინს. — იგი უკვე კარგადაა და შეუძლია ფრონტზე წასელა. ზალიან, ზალიან მახარებს, რომ ყველაფერი ეს სასიკეთოდ გამოადგა.

ბარონესამ საწოლებს ჩამოუარა, ყველას სიგარეტები და შოკოლადის კამფეტები დაურიგა, მერე ისევ შვეიკთან მივიდა, ხელი გადაუსვა თავზე და უთხრა: „Behüt euch Gott"[2]. ამის შემდეგ მთელი ამალის თანხლებით გავიდა პალატიდან.

სანამ ექიმი გრიუნშტეინი ბარონესას აცილებდა, შვეიკმა წიწილები ჩამოარიგა. ავადმყოფებმა ისინი ისე სწრაფად შესანსლეს, რომ, როცა ექიმი დაბრუნდა, წიწილების ნაცვლად ძვლების გროვაღა დახვდა, და ისე მაგრად შემოღრღნილი, თითქოს წიწილები ცოცხლად მოხვედრილიყვნენ ძერას ბუდეში და მათი ძვლები რამდენიმე თვე მცხუნვარე მზის გულზე იხრუკებოდნენ.

გაჰქრა სამხედრო ლიქიორიცა და სამი ბოთლი ღვინოც. პაციენტების კუჭს ჩაბარდა შოკოლადის ფილები და ორცხობილების მთელი შეკვრა. ვიღაცას მანიკიურის კომპლექტიდან ფრჩხილების მთე-

---

[1] უკაცრავად (ფრანგ.).
[2] გწყალობდეს ღმერთი. (გერმ.).

ლი შუშა ლაქიც კი გადაეყლუნწა, მეორეს — კბილის პასტა ჩაეკბიჩა, რომელიც კბილის ჯაგრულას ჰქონდა დართული.

ექიმი გრიუნშტეინი ისევ საბრძოლო პოზაში გამოეჭიმა თავის პაციენტებს და გრძელი სიტყვით მიმართა. მას გულზე მოეშვა, როცა ვიზიტი დამთავრდა, შემოღრღნილი ძვლების გროვამ კი უფრო მეტად განუმტკიცა ის რწმენა, რომ ყველა პაციენტი გაუსწორებელი სიმულანტი იყო.

— სალდათებო, — თქვა მან, — თქვე ჭკუისგლახებო, თქვენა, თქვენთვის ღმერთს ტვინი რომ მოეცა, წინდახედულად მოიქცეოდით, ყველაფერ ამას ხელს არ ახლებდით და ასე გაიფიქრებდით: „ჩვენ რომ ეს შევთქვლიფოთ, უფროსი ექიმი აღარ დაიჯერებს, თითქოს ჩვენ მძიმედ ვართ დაავადებულნი.“ თქვენმა მსუნაგობამ კი საბოლოოდ დამარწმუნა, რომ ჩემს სიკეთეს არაფრად აგდებთ. მე კუჭს გირეცხავთ, ოყნას გიკეთებთ, ვცდილობ სრულ დიეტაზე გამყოფოთ, თქვენ კი ყველაფერს მუცელში იტენით. კუჭის კატარი ხომ არ გინდათ დაგემართოთ? არა, ვაჟბატონებო, ძალიან სცდებით! სანამ თქვენი კუჭი საჭმლის მონელებას მოასწრებდეს, ისე საფუძვლიანად ამოგირეცხავთ მას, რომ სიკვდილამდე არ დაგავიწყდებათ და შვილებსაც უამბობთ, ერთხელ როგორ მიასკდით წიწილებს და ნაირ-ნაირ ტკბილ საჭმელებს და ყველაფერი ეს ხუთმეტი წუთიც არ გაგიჩერდათ კუჭში, რადგან თავის დროზე ამოგანთხევინეს. აბა, მომყევით უკან! არ გეგონოთ, თქვენსავით ბოთე ვიყო. მე ცოტათი უფრო ჭკვიანი ვარ, ვიდრე თქვენ ყველანი ერთად აღებული. გარდა ამისა, ყველას გასაგონად ვაცხადებ, რომ ხვალვე კომისიას გამოგიგზავნით. ძალზე დიდხანს გორაობთ აქ და არც ერთი თქვენგანი ავად არ არის, რაკი შეგიძლიათ ხუთ წუთში ისე ამოიყოროთ მუცელი, როგორც ახლა მოახერხეთ... ნაბიჯით იარ!

შვეიკამდე რომ მივიდა საქმე, ექიმმა გრიუნშტეინმა შეხედა მას, გაახსენდა დღევანდელი უცნაური ვიზიტი და ჰკითხა:

— თქვენ იცნობთ ბარონესას?

— მე მისი ნაბიჭვარი ვარ, — მშვიდად უპასუხა შვეიკმა. — ჯერ კიდევ ჩვილი ასაკისა ვიყავი, როცა სხვის კარზე მიმაგდო, ახლა ისევ მიპოვა.

ექიმმა გრიუნშტეინმა ლაკონიურად წარმოთქვა:

— შვეიკს ოყნა გაუკეთეთ დამატებით.

დაღვრემილი იწვნენ თავის საწოლებზე ავადმყოფები საღამოთი. ამ რამდენიმე საათის წინ კუჭში სუყველას ნაირ-ნაირი კარგი, გემრიელი საჭმელები ჰქონდა, ახლა კი ჩაის წყალში დამბალი პურის ნატეხი უბუყბუყებდა მუცელში.

ნომერმა 21-მა, ფანჯარასთან რომ იწვა, გაუბედავად წარმოთქვა:

— გინდ დამიჯერეთ, გინდ არა, ბიჭებო, შემწვარი წიწილები მირჩევნია ჩახრაკულს.

ვიღაცამ დაიღრინა:

— ერთი თავში ჩააფარეთ მაგას!

მაგრამ ყველა ისე იყო მიკნავებული ბარონესას მარცხიანი გამასპინძლებით, რომ ადგილიდან არავინ დაძრულა.

ექიმმა გრიუნშტეინმა თავისი სიტყვა შეასრულა. დღისით მოვიდა კომისია რამდენიმე სამხედრო ექიმის შემადგენლობით. ექიმები ბედიდურად მიდი-მოდიოდნენ საწოლებს შორის და გაისმოდა მხოლოდ ორი სიტყვა: „მაჩვენე ენა!“ შვეიკმა გამოჰყო ენა რამდენადაც შეეძლო; ამავე დროს, ჭინთვისგან მისმა სახემ სულელური გამომეტყველება მიიღო, თან თვალებიც მოხუჭა.

— მაქვს პატივი მოგახსენოთ, ბატონო შტაბის ექიმო, მეტად ღარ გამოდის გარეთ ენა.

შვეიკსა და კომისიის წევრებს შორის საინტერესო კამათი გაჩაღდა. შვეიკი ამტკიცებდა, ეს იმიტომ ვთქვი, ექიმებმა არ იფიქრონ თითქოს ენას ვუმალავდეო.

კომისიის წევრების აზრი შვეიკზე მკვეთრად გაიყო. ერთნი ამტკიცებდნენ, შვეიკი „ein blöder kerl“ [1] არისო, მეორენი კი დაჟინებით ირწმუნებოდნენ, იგი ერთი თვალდათვალ მატყუარა ვინმეა და სამხედრო სამსახურს სასაცილოდ იგდებსო.

— ეშმაკმა დალახვროს თქვენი თავი და ტანი! — უყვირა შვეიკს კომისიის თავმჯდომარემ. — მე თქვენ სააშკარაოზე გამოგიყვანთ!

შვეიკი ექიმებს უმანკო ბავშვის ღვთაებრივი სიმშვიდით უცქეროდა.

უფროსი შტაბის ექიმი ახლოს მივიდა შვეიკთან და ბრაზშეკავებით წარმოთქვა:

— ერთი ნეტავ მაცოდინა, რაზე ფიქრობ ახლა, შე ღორიშვილო?

— მაქვს პატივი მოგახსენოთ, სრულებით არაფერზე არ ვფიქრობ.

— Himmeldonnerwetter! [2] — წამოიძახა კომისიის ერთ-ერთმა წევრმა და ხმლის ქარქაში დაჰკრა იატაკს. — ამას არ უყურებთ, სრუ-

---

[1] იდიოტი (გერმ.)

[2] დალახვროს ეშმაკმა! (გერმ.).

ლებით არაფერზე ფიქრობს! ვითომ რადაო, რატომ არაფერზე არ ფიქრობ, შე ინდაურო, შენა?

— მაქვს პატივი მოგახსენოთ, — იმიტომ, რომ ჰამხედრო სამსახურში სალდათს ფიქრი აკრძალული აქვს. როცა მე ამ რამდენიმე წლის წინათ ოთხმოცდამეთერთმეტე პოლკში ვმსახურობდი, ჩვენი კაპიტანი სულ იმას ჩაგვჩიჩინებდა: „სალდათმა არაფერზე უნდა იფიქროს, მის მაგივრად უფროსები ფიქრობენო. როგორც კი სალდათი ფიქრს დაიწყებს, იგი უკვე სალდათი აღარაა, იგი უბრალოდ ბაღლინჯოა, დოყლაპიაო. ადამიანი ფიქრს რომ დაიწყებს რამეზე. საქმე არასოდეს კეთილად არ დაგვირგვინდებაო“...

— ხმა ჩაიწყვიტე! — შეუტია შვეიკს კომისიის თავმჯდომარემ.— ჩვენ უკვე გვაქვს თქვენზე ცნობები. Der Kerl meint man wird glauben er sei ein wirklicher Idiot...[1] თქვენ სრულებითაც არა ხართ იდიოტი, შვეიკ, თქვენ გაქნილი გაიძვერა ხართ, იშკილბაზი, ლაყინტარა, ცუღლუტი, ჯიბიდან გავარდნილი! გასაგებია?

— დიახ, გასაგებია.

— თქვენ ერთხელ უკვე გითხრეს, „ხმა ჩაიწყვიტეთო!“ გაიგონეთ?

— დიახ გავიგონე, „ხმა ჩაიწყვიტეთო“.

— Himmelherrgott! მაშ, გაჩუმდით, რაკი გიბრძანეს „გაჩუმდითო“! თქვენ ხომ კარგად იცით, ნება არა გაქვთ ილაყბოთ.

— დიახ, ვიცი, რომ ნება არა მაქვს ვილაყბო.

ჰამხედრო ექიმებმა ერთმანეთს გადახედეს. გამოუძახეს ფელდფებელს.

— წაიყვანეთ ეს ვაჟბატონი ქვემოთ კანცელარიაში, — უბრძანა ფელდფებელს უფროსმა შტაბის ექიმმა და შვეიკზე მიუთითა, — და ჩვენს განკარგულებას დაელოდეთ. საგარნიზონო ნაობახტში მაგ ენის ტარტალს მოაშლევინებენ. ეს ვაჟბატონი ხარივით ჯანსაღია, სიმულანტობს, ამასთანავე რაღაცეებს ყრანტალებს, ღობე-ყორეს ედება და თავის უფროსებს დასცინის. მაგას ჰგონია, ჩვენ აქ გასართობად ვართ მოსული, მაგის ჭკუით ჰამხედრო სამსახური — ლაზღანდარაობაა... საგარნიზონო ნაობახტში გაჩვენებენ, ჩემო კარგო, რომ ჰამხედრო სამსახური — ტაკიმასხარაობა არ გახლავთ.

შვეიკი ფელდფებლის თანხლებით კანცელარიაში წავიდა და გზაში თავისთვის ღიღინებდა:

---

[1] ეს ვაჟბატონი ფიქრობს, რომ მას დაუჯერებენ, თითქოს იგი მართლაც იდიოტია... (გერმ.).

მე მეგონა, ვიღლაბუცებ,
ომში წავალ მოხალისედ,
ორიოდე კვირის შემდეგ
დაებრუნდები მეთქი ისევ.

იმ დროს, როცა კანცელარიაში მორიგე ოფიცერი შვეიკს უყვიროდა — თქვენისთანა ვაჟბატონები, საცა სამართალია, უნდა დაიხვრიტოსო, ზემოთ, საავადმყოფოს პალატებში კომისია მუსრს ავლებდა სიმულანტებს. სამოცდაათ პაციენტისგან მხოლოდ ორი გადარჩა. ერთს ფეხი ჰქონდა მოგლეჯილი ყუმბარით, მეორე კი დაავადებული იყო აშკარა ძვლისმჭამელათი. მხოლოდ ამ ორს არ გაუგონია სიტყვა „Tauglich“ [1]. ყველა დანარჩენი, მათ რიცხვში სამი ჭლექიანიც, რომელთაც ცალი ფეხი სამარეში ედგათ, ფრონტისთვის ვარგისად იყო ცნობილი.

უფროსმა შტაბის ექიმმა ამ შემთხვევის გამო არ დააყოვნა მომენტის შესაფერისი სიტყვის თქმა. ეს სიტყვა უხვად შეიცავდა ათასნაირ ლანძღვა-გინებას და საკმაოდ მოკლეც იყო. ყველანი პირუტყვები და გათახსირებულნი ხართ, და მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ გულადად იბრძოლებთ ჩვენი ხელმწიფე იმპერატორისთვის, შესძლებთ კვლავ გახდეთ საზოგადოების თანასწორუფლებიანი წევრები, როცა ომი დამთავრდება, იმასაც გაპატიებენ, სამხედრო სამსახურის თავის არიდებას რომ ცდილობდით და სიმულანტობდითო. თუმცა, პირადად მე რომ მკითხოთ, თქვენი გამოსწორებისა არა მჯერა და დარწმუნებული ვარ, ყველანი თქვენ, ადრე თუ გვიან, თავს გაჰყოფთ მარყუჟშიო.

ახალგაზრდა სამხედრო ექიმმა, ჯერჯერობით შეურყვნელმა და სუფთა გულის პატრონმა, უფროს შტაბის ექიმს სიტყვა სთხოვა. მისი სიტყვა უფროსის სიტყვისგან ოპტიმიზმითა და გულუბრყვილობით განირჩეოდა. ახალგაზრდა ლაპარაკობდა გერმანულად.

იგი დიდხანს მსჯელობდა იმის შესახებ, რომ ყოველმა იმათგანმა, ვინც ლაზარეთიდან გაეწერება და თავის პოლკს დაუბრუნდება, რაინდობითა და ვაჟკაცობით სახელი უნდა გაითქვანო. მე დარწმუნებული ვარ, — ამბობდა იგი, — რომ ყოველი თქვენგანი შესძლებს იარაღის მოხმარებას ბრძოლის ველზე და პატიოსანი ადამიანები იქნებით ყველგან: ომშიაც და პირად ცხოვრებაშიც; რომ თქვენ ძლევამოსილი მებრძოლები იქნებით და არასოდეს არ დაივიწყებთ რადეცკისა და პრინც ევგენი საავოიელის * სახელსა და დიდებას; რომ თქვენი სისხლით მორწყავთ ავსტრიის მონარქიის დიდების თვალ-

[1] ვარგისია! (გერ.).

უწვდენ ველ-მინდორს და ღირსეულად შეასრულებთ მისიას, რომელიც ისტორიამ დაგაკისრათო. ერთიანი შემმართებელი გულისწადილით, საკუთარი სიცოცხლის დაუზოგავად, წინ, ახალი დიდებისკენ, ახალი გამარჯვებებისკენ...

დერეფანში უფროსმა შტაბის ექიმმა ამ გულუბრყვილო ახალგაზრდას უთხრა:

— გამიგონეთ, კოლეგა, შემიძლია დარწმუნებით გითხრათ, რომ სულ ტყუილუბრალოდ გაისარჯეთ. ვერც რადეცკი, ვერც ის თქვენი პრინც ევგენი საეოიელი ჯარისკაცებად ვერასგზით ვერ აქცევდნენ ამ გაიძვერებს. მგლის თავზე განა შეიძლება სახარების კითხვა? ყველანი ესენი ნაძირალები არიან.

თავი IX

ᲨᲕᲔᲘᲙᲘ ᲡᲐᲒᲐᲠᲜᲘᲖᲝᲜᲝ ᲪᲘᲮᲔᲨᲘ

იმათთვის, ვისაც ომში წასვლა არ სურდა, უკანასკნელ თავშესაფარს საგარნიზონო ნაობახტი წარმოადგენდა. მე თვითონ ვიცნობდი ერთ შტატგარეშე მომუშავე მასწავლებელს, რომელსაც, როგორც მათემატიკოსს, არტილერიაში უნდა ემსახურა, მაგრამ, ვინაიდან მას სრულებით არ აინტერესებდა ქვემეხების ბათქა-ბუთქი, აიღო და, ერთ პოდპორუჩიკს საათი ააწაპნა, რათა საგარნიზონო ნაობახტში თავი ამოეყო. ეს საესებით შეგნებულად ჩაიდინა. ომი მას არაფრად ეპიტნავებოდა და ვერაფრით ხიბლავდა. მოწინააღმდეგისთვის ტყვიის დაშენა და ფრონტის მოპირდაპირე მხარეზე შრაპნელითა და ხელყუმბარებით თავის მსგავს უბედურ შტატგარეშე მათემატიკის მასწავლებელთა მოკვლა დიდ სისულელედ მიაჩნდა.

„არ მინდა ხალხს ვეზიზღებოდე ძალადობისთვისო“, — გაიფიქრა და, საათი მოიპარა. პირველ ყოვლისა მისი ფსიქიკური მდგომარეობა შეამოწმეს და მხოლოდ მას შემდეგ, როცა გამოტყდა, რომ საათი ანგარების მიზნით მოიპარა, საგარნიზონო ნაობახტში გაგზავნეს.

საგარნიზონო ნაობახტში ტუსაღთა უმრავლესობა ქურდობისთვის ან თაღლითობისთვის იჯდა. იქ იყვნენ იდეალისტები და არაიდეალისტები. ისეთი ადამიანებიც ისხდნენ, რომლებიც სამხედრო სამსახურს პირადი სარგებლობის წყაროდ თვლიდნენ: ზურგში და ფრონტზე მომუშავე საინტენდანტოს ბუხჰალტრები, რომლებსაც ათასნაირი მამაძაღლობა ჰქონდათ ჩადენილი სურსათ-სანოვაგესა და ჯარისკაცთა ჯამაგირებზე, და ამათ გარდა ისხდნენ კიდევ წერილფეხა ქურდები, მაგრამ ათასჯერ უფრო პატიოსნები იმ ვაჟბატონებზე, რომლებმაც ესენი აქ გამოამწესეს. საგარნიზონო ნაობახტში ისხდნენ აგრეთვე ჯარისკაცები წმინდა სამხედრო ხასიათის დანაშაულისთვის: დისციპლინის დამრღვევნი, შფოთის თავები და დეზერტირები. ცალკე ჯგუფს შეადგენდნენ პოლიტიკური დამნაშავეები, რომელთაგან 80 პროცენტი სრულებით უდანაშაულონი იყვნენ; ამ უდანაშაულოთაგან კი 99 პროცენტი დამნაშავედ იყო ცნობილი.

სამხედრო — იურიდიული აპარატი შესანიშნავი იყო. ასეთი სასამართლო აპარატი ყოველ სახელმწიფოს გააჩნდა, რომელიც საერთო პოლიტიკური, ეკონომიური და მორალური გაკოტრების პირას იდგა. გარდასული ძლიერებისა და დიდების შარავანდედს იცავდნენ სასამართლოები, პოლიცია, ჟანდარმერია და სინდისზე ხელაღებულ დამბეზღებელთა მთელი ხროვა.

ავსტრიის ხელისუფალთ თვითეულ სამხედრო ნაწილში ჰყავდათ ჯაშუშები; ისინი აბეზღებდნენ თავიანთ ამხანაგებს, რომელთა გვერდით ერთ საწოლში ეძინათ ხოლმე და მთელი ლაშქრობის მანძილზე პურსაც ერთად ტეხდნენ.

საგარნიზონო ნაობახტისთვის ახალ-ახალ მასალას აგროვებდა აგრეთვე სამოქალაქო პოლიციაც: სხვადასხვა პან კლიმები, სლავიჩეკები * და კომპანია. სამხედრო ცენზურა აქეთკენ ისტუმრებდა ფრონტზე წასულთა და სასოწარკვეთილ მდგომარეობაში შინ დარჩენილთა შორის მიმოწერის ავტორებს: ჟანდარმებს აქ მოჰყავდათ შრომისუნარდაკარგული მოხუცი გლეხები, რომლებიც წერილებს აგზავნიდნენ ფრონტზე, სამხედრო სასამართლო კი მათ თორმეტი წლის ციხეს უსჯიდა წერილში გამოთქმულ გულისტკივილისა ან იმ. სიღატაკის აღწერისთვის, რომელშიც ფრონტელთა ოჯახი იყო ჩავარდნილი.

ჰრადჩანის საგარნიზონო ნაობახტიდან ბრშევნოზე გავლით გზა მოტოლის მოედნისკენ მიემართებოდა. ჯარისკაცების თანხლებით წინ მიაბიჯებდა ბორკილგაყრილი კაცი, მის უკან კი ფორანი მოდიოდა კუბოთი. მოტოლის მოედანზე ისმოდა მოკლე ბრძანება:

„An! Feuer!“ [1] ამის შემდეგ ყველა პოლკსა და ბატალიონში კითხულობდნენ პოლკებისადმი ბრძანებას მორიგი დახვრეტის შესახებ: ერთი ახალწვეული „აჯანყდა“ იმის გამო, რომ კაპიტანმა ხმალი შემოჰკრა მის ცოლს, რომელიც ვერასგზით ქმარს ვერ მოაშორეს გამოთხოვებისასო.

თვით საგარნიზონო ნაობახტში მომუშავე სამეული — შტაბის ციხის ზედამხედველი სლავიკი, კაპიტანი ლინჰარტი და ფელდფებელი რეეპა, მეტსახელად „ჯალათი“ — საკუთარი ამართლებდა თავის დანიშნულებას. რამდენი ადამიანისთვის სასიკვდილოდ უცემნიათ მათ იზოლირებულ საკნებში! ადვილი შესაძლებელია კაპიტანი ლინჰარტი დღეს რესპუბლიკაშიც კაპიტნად დარჩა. თუ ასეა, ჩემის აზრით, მას საგარნიზონო ნაობახტში ნამსახურევი წლებიც უნდა ჩაეთვალოს. პოლიციის აგენტებს სლავიჩკსა და კლიმას სახელმწიფო პოლიციამ სტაჟი უკვე ჩაუთვალა. რეეპა კვლავ სამოქალაქო გახდა და ქვისმტეხელის ხელობას დაუბრუნდა. უნდა ვიფიქროთ, რომ იგი პატრიოტული წრეების წევრიცაა რესპუბლიკაში.

შტაბის ციხის ზედამხედველმა სლავიკმა რესპუბლიკაში ქურდობას მიჰყო ხელი და ახლა ციხეში ზის. ის ბედშავი რესპუბლიკას ვერასგზით ვერ შეეგუა, როგორც ეს ბევრმა სხვა სამხედრო დიდკაცობამ მოახერხა.

თავისთავად ცხადია, შვეიკს რომ ღებულობდა, სლავიკმა უნდობი თვალით შეათვალიერა იგი.

— რაკი აქ მოხვდი, ძმობილო, ჩანს, რაღაც ცოდვები მიგიძღვის. ჩვენ აქ, ყმაწვილო, ცხოვრებას დაგიტკბობთ, როგორც ყველა დანარჩენს, ვინც ჩვენს ხელში ჩავარდება ხოლმე; ჩვენი ხელები კი — ქალის ნაზი ხელები არ გეგონოს.

და რომ მის ამ შესავალ სიტყვას მეტი დამაჯერებლობა ჰქონოდა, თავისი დაძარღვული მუშტი ზედ ცხვირზე მიადო შვეიკს, თან უთხრა:

— აბა, დაყნოსე, რისი სუნი უდის, ძაღლიშვილო!

შვეიკმა უყნოსა და შენიშნა:

— ასეთი მუშტი სრულებითაც არ მინდა, რომ ცხვირში მომხვდეს. სამარის სუნი უდის.

შვეიკის მშვიდი, ჭკვიანური ლაპარაკის კილო მოეწონა ციხის ზედამხედველს.

— ჰეი! — დაუყვირა მან შვეიკს და მუცელში მუშტი ატაკა. — სწორედ დადექ! ჯიბეებში რა გაქვს? თუ მოსაწევი გაქვს, დაიტოვე,

[1] ცეცხლი! (გერმ.)

ფული კი აქეთ მომეცი, დაგეკარგება. მეტი არა გაქვს? ნამდვილად არა გაქვს? იცოდე, ტყუილი არა თქვა! სიცრუისთვის მოგხვდება.

— სად შევაგდოთ? — იკითხა ფელდფებელმა რეპამ.

— „მეთექვსმეტეში“ შევაგდოთ, — გადაწყვიტა ზედამხედველმა. — უშარვლოებთან. ვერა ხედავთ, პან კაპიტან ლინჰარტს, რა დაუწერია ამის ქაღალდზე: „Streng behüten, beobachten!“ [1].

— დიახ, ძმობილო, — მიუბრუნდა იგი შეეიკს, — პირუტყეს პირუტყეულად ეპყრობიან. ვინც ძალიან თავს გამოიდებს, ცალკე საკანში დავამწყვდევთ, ნეკნებს სულ სათითაოდ ჩავუმტვრევთ, და მანამ ეგდება უპატრონოდ, სანამ სული არ გაძვრება. ამის სრული უფლება გვაქვს... ღდინი არ გავართვეთ მაშინ იმ ყაბაბს, გახსოვთ, რეპა?

— ბევრი დავიდარაბა კი დაგეჭირდა იმ ოჯახკეტიანთან, ბატონო ზედამხედველო! — უპასუხა ფელდფებელმა რეპამ, რომელმაც სიამოვნებით მოიგონა ის ამბავი. — ძალიან ჯანიანი კი იყო! მთელი ხუთი წუთი ვთელე, სანამ მის ნეკნებს ლაწა-ლუწი არ დავაწყებინე და ცხვირ-პირიდან სისხლი ღვარად არ წამოუვიდა. ამის მერე კიდევ ათი დღე იცოცხლა. გამძლე იყო ის ძაღლიშვილი!

— ხედავ, შე გაიძვერავ, როგორ ვუსწორდებით იმათ, ვინც ამხედრებას გაბედავს, ან აქედან გაპარვას დააპირებს, — დაასრულა თავისი პედაგოგიური ჭკუის დარიგება ციხის ზედამხედველმა სლავიკმა, — ეს იგივეა, რაც თვითმკვლელობა, რომელიც ისეთნაირადვე ისჯება. ანდა, ღმერთი არ გაგიწყრეს, შე ძაღლიშვილო, შენა, რამეზე არ შეჩივლო, როცა ინსპექცია ჩამოივლის! მაგალითად, მოვა ინსპექცია და გკითხავს: „გაქვს საჩივარი რამე?“ შენ უმალ, შე ტურტლიანო, შენა, უნდა გამოეჭიმო, ხელი აუღო და უპატაკო: „მაქვს პატივი მოგახსენოთ, ყველაფრით კმაყოფილი ვარ!“ აბა, გაიმეორე, როგორ იტყვი, შე არამზადა!

— მაქვს პატივი მოგახსენოთ, ყველაფრით კმაყოფილი გახლავართ, — გაიმეორა შეეიკმა ისეთი მომხიბლავი გამომეტყველებით, რომ ციხის ზედამხედველი მოტყუვდა და შეეიკს ნათქვამი გულწრფელ მონდომებად და კეთილსინდისიერებად მიიღო.

— მაშ ასე, გაიხადე შარვალი და წადი „მეთექვსმეტეში“, — უთხრა რბილად და არც „ძაღლიშვილი“, არც „ტურტლიანი“ და არც „გაიძვერა“ თუ „არამზადა“ აღარ დაუტანებია, როგორც ეს ჩვეულებად ჰქონდა.

„მეთექვსმეტეში“ შეეიკს ცხრამეტი ნიფხვისამარა მამაკაცი დახ-

---

[1] მკაცრად უდარაჯეთ, თვალყური ადევნეთ! (გერმ.).

ვდა. აქ ყველანი ისეთები იყვნენ, რომელთაც ქალალდებში ეწერათ: „Streng behüten, beobachten!“ ისინი მუდმივი მეთვალყურეობის ქვეშ ჰყავდათ, არსად გაგვეპარონო.

ქვედა საცვლები ცოტა სუფთა რომ ჰქონოდათ და ფანჯრებზე გისოსებიც არ ყოფილიყო, პირველ ხანებში თავი აბანოს წინა ოთახში გეგონებოდათ.

ფელდფებელმა შვეიკი მამასახლისს ჩაბარა. დიდი ხნის წვერგაუპარსავმა, ხალათგაღეღილმა აყლაყუდამ შვეიკის გვარი ქალალდის ნაგლეჯზე მიაწერა, რომელიც კედელზე იყო მიკრული, და უთხრა:

— ხვალ წარმოდგენა გვექნება. სამლოცველოში ქადაგების მოსასმენად წაგვიყვანენ, იქ ყველანი სამქადაგებლო ამბიონის ქვეშ ნიფხვისამარა ვიდგომებით. ვაჰ, რა სეირი იქნება!

როგორც ყოველ სატუსაღოსა და საპყრობილეს, საგარნიზონო ნაობახტსაც საკუთარი სამლოცველო ჰქონდა, პატიმართა გასართობი და დიდად საყვარელი ადგილი. მაგრამ იმიტომ კი არა, რომ საპყრობილის სამლოცველოში იძულებითი სიარული პატიმრებს თითქოს ღმერთთან აახლოებდა, ანდა სათნოებას აზიარებდა. ასეთი სისულელე, აბა, რა საფიქრებელია! წირვა და ქადაგება, უბრალოდ, საპყრობილით მოგვრილი ნაღველის გამქარვებელი რამ იყო. საქმე ის კი არ იყო, დაუახლოვდებოდა თუ არა პატიმარი ღმერთს. არა. აქ ერთგვარი იმედი ისახებოდა, რომ გზაში — კიბეზე თუ ეზოში — გადაგდებული სიგარეტის ან სიგარის ნამწვს წააწყდებოდა ადამიანი. საფურთხებში, ან სადმე მიწაზე მტვერში დაგდებულმა პატარა ნამწვმა ღმერთის ხსენებაც კი ამოაგდო გონებიდან. ამ ერთმა ციცქნა საგანმა გაიმარჯვა ღმერთზედაც და სულის ცხონებაზეც.

გარდა ამისა, თვით ქადაგება ართობდა ყველას. ფელდკურატი * ოტო კატცი საერთოდ შესანიშნავი ადამიანი იყო. მის არაჩვეულებრივ წარმტაც და ჭკუამახვილურ ქადაგებას დიდი გამოცოცხლება შეჰქონდა საგარნიზონო უღიმღამო ცხოვრების მსვლელობაში. იგი ძალზე საინტერესოდ ალაქლაქებდა ენას ღვთის უსასრულო მადლზე, რათა სულით დაცემული და უკეთური პატიმრები ჭეშმარიტების გზაზე დაეყენებინა, მადიანად იგინებოდა კათედრიდან და თავდავიწყებით ღაღადებდა საკურთხეველთან თავის „Jte, missa est [1]“. წირვას დიდი ორიგინალობით ატარებდა. წმიდა მესის წესები ყირაზე ჰქონდა დაყენებული, და როცა მაგრად იყო შეზარხოშებული, მაშინ ხომ სრულიად ახალ ლოცვებს, ახალ წირვასა და საკუთარ რიტუალს იგონებდა, — ერთი სიტყვით ისეთ რამეს, რაც მანამდე არავის ენახა.

---

[1] წარვედით შშვიდობით, წირვა დასრულდა! (ლათ.)

მერედა, როგორი სიცილ-ხარხარი იყო, როცა მას, მაგალითად, ფეხი გაუსხლტებოდა და ზღარბანს მოადენდა იატაკზე ბარძიმითა და წმიდა ნაწილებით, ან კიდევ კურთხევანით ხელში, მერე წამოხტებოდა და პატიმრებისგან დანიშნულ მინისტრანტს * ეცემოდა, ეს შენ განგებ დამიდეეი ფეხიო, და იქვე, ზედ სანაწილეს წინ ერთი მაგრად გაასილაქებდა. დასჯილი ამით ძლიერ კმაყოფილი რჩებოდა, რადგან ყველაფერი ეს პროგრამაში შედიოდა, და ნაობახტის სამლოცველოში გათამაშებული კომედია კიდევ უფრო გამხიარულებელი ხდებოდა. ამ კომედიაში მინისტრანტს დიდი როლი ეკისრებოდა, და იგი მის გათამაშებას მშვენივრად აგვირგვინებდა.

ფელდკურატი ოტო კატცი, — ტიპიური სამხედრო ხუცესი, — ებრაელი იყო. ეს მაინცადამაინც არც უნდა გაგვიკვირდეს: არქიეპისკოპოსი კოჰნიც ებრაელი გახლდათ და ამასთანავე მახარის * ახლო მეგობარი.

ფელდკურატ ოტო კატცის წარსული კიდევ უფრო ჭრელი იყო, ვიდრე სახელმოხვეჭილი არქიეპისკოპოს კოჰნისა.

ოტო კატცი კომერციულ ინსტიტუტში სწავლობდა და მერე ნებითგანწესებულად სამხედროში მსახურობდა. სათამასუქო კანონებსა და თამასუქებში იგი ისე ერკვეოდა, რომ ერთ წელიწადში გაკოტრებამდე მიიყვანა ფირმა „კატცი და კომპანია“. საქმე იმდენად უკუღმა წავიდა, რომ მოხუცი კატცი იძულებული შეიქნა ჩრდილოეთ ამერიკაში გადაბარგებულიყო, მაგრამ წინასწარ რამდენიმე ფინანსიური კომბინაცია ჩაატარა თავის რწმუნებულებთან, თუმცა ისე, რომ მათ ამის შესახებ არა იცოდნენ რა ისევე, როგორც არაფერი იცოდა მისმა კომპანიონმა, რომელიც იძულებული შეიქნა არგენტინაში გაპარულიყო.

როცა ახალგაზრდა ნებითგანწესებულმა ოტო კატცმა ასე უანგაროდ დაუნაწილა ფირმა „კატცი და კომპანია“ ჩრდილოეთ და სამხრეთ ამერიკას, იგი იმ ადამიანის მდგომარეობაში ჩავარდა, რომელიც არსაიდან მემკვიდრეობას არ ელოდება, არ იცის, რა წყალს მისცეს თავი და ისღა დარჩენია, სამხედრო სამსახურში შევიდეს.

გარდა ამისა, ოტო კატცს კიდევ ერთმა ბრწყინვალე აზრმა გაუჩენია თავში. იგი მოინათლა. ქრისტეს ჯვარი აღიარა, ძე ღვთისას მიენდო, რათა კარიერის გაკეთებაში დახმარებოდა. ოტო კატცი ამ ნაბიჯს მის მიერ ქრისტე ღმერთთან დადებულ კომერციულ ხელშეკრულებად თვლიდა.

დიდის ამბით მონათლეს იგი ემაუზის მონასტერში. თვით პატერმა ალბანმა შეასრულა ნათლობა- ეს წარმტაცი სანახაობა იყო. ამას დაესწრო ღვთისმორწმუნე მაიორი იმავე პოლკიდან, სადაც ოტო

კატცი მსახურობდა, ერთი შინაბერა ჰრადჩანის კეთილშობილ ქალიშვილთა ინსტიტუტიდან და კონსისტორიის წარმომადგენელი, დრუნჩიანი ვინმე მამაკაცი, ოტო კატცის ნათლიად გამოყოფილი.

ოფიცრის წოდების მისაღები გამოცდები კეთილად ჩატარდა და ახალმოქცეული ქრისტიანი კატცი სამხედრო სამსახურში დარჩა. პირველ ხანებში ეჩვენებოდა, რომ საქმე კარგად მიდიოდა და იგი უკვე სამხედრო აკადემიას უმიზნებდა, მაგრამ ერთ მშვენიერ დღეს დათვრა, მონასტერში წავიდა და ხმალი ბერის ანაფორაში გაცვალა. მერე ჰრადჩანის არქიეპისკოპოსთან იყო აუდიენციაზე და ამის შედეგად სემინარიაში მოხვდა. კურთხევის წინ იგი მაგრად გაილეშა ვეიეოდას ქუჩაზე მდებარე ერთ „წესიერ სახლში", სადაც სტუმრებს მარტო ქალები უწევდნენ მომსახურებას, და ქეიფიდან პირდაპირ მღვდლად საკურთხეველად გაეშურა. კურთხევის შემდეგ თავის პოლკში წავიდა პროტექციის საძებრად და, როცა ფელდკურატად დანიშნეს, ცხენი იყიდა, პრაღის ქუჩებში დაჭენებდა და გაცხოველებულ ბონაწილეობას ღებულობდა თავის პოლკის ოფიცრების ყოველ ღრეობაში.

იმ სახლის კიბეზე, სადაც კატცს ბინა ჰქონდა, ხშირად გაისმოდა მოვალეთა წყევლა-კრულვა. ოტო კატცს შინ თვითონვე მოყავდა ქუჩის გოგოები, ანდა მათ მოსაყვანად დენშჩიკს აგზავნიდა. იგი გატაცებული იყო „ცხრას" თამაშით და საკმაოდ სარწმუნო ხმები დადიოდა, რომ თამაშობდა თაღლითურად, თუმცა არ ყოფილა შემთხვევა ვინმეს ემხილებინოს იმაში, რომ თავის სამხედრო ანაფორის განიერ სახელოში დამალული ჰქონოდეს ტუზიანი. ოფიცერთა წრეში მას „წმიდაო მამას" უწოდებდნენ. ქადაგებისთვის არასოდეს არ ემზადებოდა, რითაც თავისი წინამორბედისგან, საგარნიზონო ნაობახტის ხუცესისგან გამოირჩეოდა. ამ უკანასკნელს თავში გამჯდარი ჰქონდა ის აზრი, რომ საგარნიზონო ნაობახტში დამწყვდეულ ჯარისკაცს მხოლოდ ქადაგება გამოასწორებსო. ეს ღირსეული ღვთისმოსავი მოძღვარი მილულავდა ხოლმე თვალებს და პატიმრებს ელაპარაკებოდა მეძავი ქალების მიმართ არსებული კანონების რეფორმის აუცილებლობაზე, აგრეთვე უქმრო დედების მიმართ კანონების რეფორმაზე და დაუზარებლად აცნობდა თავის შეხედულებებს ნაბიჯვრების აღზრდის შესახებ. მისი ქადაგებანი წმინდა აბსტრაქტული ხასიათისა იყო და მიმდინარე მომენტს არაფრით არ უკავშირდებოდა, სხვანაირად რომ ვთქვათ, მოსაბეზრებელი იყო.

ფელდკურატ ოტო კატცის ქადაგებანი, პირიქით, ყველას მხიარულ გუნებაზე აყენებდა.

საძლოცველოში ნიფხვეებისამარა მიიყვანეს პატიმრები „მეთე-

ქვსმეტე“ საკანიდან; ყოველად დაუშვებელი იყო მათთვის შარვლების ჩაცმის ნება მიეცათ, რადგან ეს დაკავშირებული იყო რისკთან: ერთიც ვნახოთ და, რომელიმე მათგანი გაგვექცესო. დადგა საზეიმო წუთები. ოცი თეთრნიფხვიანი ანგელოზი მქადაგებლის კათედრის წინ ჩაამწკრივეს. ზოგიერთი მათგანი, რომელსაც ბედმა გაუღიმა, გზაში ნაპოვნ ნამწვს ღეჭავდა, რადგან, ჯიბეების უქონლობის გამო, სხვაგან ვერსად წაიღებდა. ირგვლივ იდგნენ საგარნიზონო ნაობახტის დანარჩენი პატიმრები და ოცი ნიფხვის ცქერით ტკბებოდნენ.

კათედრაზე დეზების წკარუნით ავიდა ფელდკურატი.

— Habacht! [1]— წამოიძახა, — ლოცვისათვის დაეწყეთ! გაიმეორებთ ჩემს ყოველ სიტყვას. ჰეი, შენ მანდ, უკან რომ დგახარ, ახლა მოგინდა ცხვირის მოხოცვა, არამზადავ. ღვთის სახლში ხარ. კარცერში ჩაგსვამ! ალბათ, დაგავიწყდათ კიდეც, თქვე უტვინოებო, თქვენა, „მამაო ჩვენო?“ აბა ვცადოთ... ასედაც ვიცოდი, რომ არაფერი გამოვიდოდა. აბა. თქვენ რა ეშმაკად გინდათ „მამაო ჩვენო!“ თქვენ ოღონდ ორი ულუფა ხორცი ცერცვის ფაფით შეთქვლიფოთ, მუცელი ამოიყოროთ, მხართეძოზე წამოწვეთ და ცხვირი თითით იჩიჩქნოთ, ჩვენს უფალზე კი სრულებით არ გსურთ ფიქრი. რაო, მართალს არ ვამბობ?

მან კათედრიდან გადახედა ოც თეთრნიფხვიან ანგელოზს, რომლებიც, როგორც ყველა დანარჩენი პატიმარი, გართულნი იყვნენ სანახაობით. უკანა რიგებში „ხორცობანას“ * თამაშობდნენ.

— არა უშავს რა, საინტერესოა, — წასჩურჩულა შვეიკმა თავის მეზობელს, რომელიც იმიტომ ჩაესვათ ნაობახტში, რომ ეჭვი ჰქონდათ, ამხანაგს სამ კრონად ხელზე ყველა თითი მოჰკვეთია ცულითო, რითაც იმ უბედურს, თურმე, სამხედრო სამსახურიდან თავის დახსნა უნდოდა.

— ჯერ სადა ხარ, აწი უნდა ნახო! — უპასუხა მან. — ხუცესი დღესაც მაგრად არის გამობრუჟებული, მაშასადამე, ისევ ცოდვილის ეკლიანი გზის შესახებ ილაპარაკებს.

მართლაც, ფელდკურატი დღესაც შესანიშნავ გუნებაზე გახლდათ. თვითონაც არ იცოდა თუ რატომ, იგი გამუდმებით იხრებოდა სამქადაგებლო ამბიონიდან, წამიერად კინაღამ წონასწორობა დაჰკარგა და, ცოტა გაწყდა, ყირამალა არ გადმოვარდა ძირს.

— აბა, ბიჭებო, იმღერეთ რამე! — გადმოსძახა მან ზემოდან. — ანდა, თუ გსურთ, ახალ სიმღერას გასწავლით! აბა, ამყევით.

---

[1] სმენა! (გერ.)

ვინ ჯობნის ქვეყნად გოგონას ჩემსას,
ჩემს ცუგრუმელას და ძვირფას ტურფას.
მარტო მე როდი დავდივარ მასთან, —
გარს ახვევიან ათასნი ჯგუფად.
ჩემს ცუგრუმელას თაყვანი რომ სცენ,
სუყველას მისკენ მიუხარია...
გარს ახვევიან მარცხნით და მარჯვნით,
მას ეძახიან ქალწულ მარიამს.

— თქვე უქნარებო, თქვენა, ვერასოდეს ვერაფერს თქვენ ვერ ისწავლით, — განაგრძობდა ფელდკურატი. — სიამოვნებით ხელს მოვაწერდი თქვენს დახვრეტაზე, ყოველი თქვენგანის დახვრეტაზე, გასაგებია? ვამტკიცებ ამ წმიდა ადგილიდან, თქვე გაიძვერებო, რომ ვინაიდან ღმერთი არის ყოფიერება... რომელიც არ მოგვრიდებათ და ასეთ ნიშადურს ამოგცხებთ, რომ თავბედს გაწყვეტინებთ... რამეთუ არა გსურთ ქრისტეს რჯულზე მოქცევა და გირჩევნიათ ცოდვილის ნარ-ეკლიანი გზით სიარული...

— ოჰო-ჰო, აი იწყება. მაგრადაა შეპიკჭიკებული! — მხიარულად გადაუჩურჩულა მეზობელმა შვეიკს.

— ცოდვილის ნარ-ეკლიანი გზა — ეს, თქვე მცონარებო, თქვენა, ბრძოლის გზაა. თქვე გზააბნეულო ცოდვისშვილებო, ამჯობინებთ იზოლატორებში ეყაროთ, ვინემ დაუბრუნდეთ ჩვენს ზეციერ მამას, თვალნი თქვენი ფიაპყრათ ზეცას და სიმშვიდე მოიპოვოთ. მშვიდობა დაისადგურებს თქვენს გულსა და სულში, თქვე ყურუმსაღებო... ჰეი, თქვენ მანდ, უკანა რიგებში რომ ბრძანდებით, ძალიან გთხოვთ, ნუ ფრუტუნებთ! კვიცები ხომ არა ხართ ბაგაზე დაბმული, ღვთის ტაძარში იმყოფებით. კარგად გახსოვდეთ ეს, ჩემო ცუგრუმელებო... მაშ ასე, რაზე გავჩერდი? Ia, über den Seelenfriden, sehr gut“ [1]. გახსოვდეთ, პირუტყვებო, რომ ადამიანები ხართ და სინამდვილის ბნელეთში თვალები უნდა აიხილოთ, მარადისობას, უსასრულობას მიაპყრათ მზერა თქვენი და ჩაწვდეთ იმ ჭეშმარიტებას, რომ აქ ყველაფერი წარმავალი და ხრწნადია და რომ მარტო უფალი ჩვენი არს მარადიული. Sehr gut, nicht mahr meine Herren? [2] თუ ფიქრობთ, რომ დღე და ღამე თქვენთვის ვილოცებ, რომ მოწყალე უფალმა ჩვენმა, თქვე ბენტერებო, შთაგბეროთ თავისი სული მაგ გაყინულ გულებში და თავისი წმიდა მადლით მოსპოს თქვენი უკულმართობა, მიგიღოთ თავის სასუფეველში სამარადისოდ და უკუნითი უკუნისამდე არ მოგაკლოთ თავისი მადლი,

1 დიახ, სულიერი სიმშვიდის შესახებ ვამბობდი, ძალიან კარგი! (გერ.)
2 ძალიან კარგია, ხომ მართალია, ბატონებო? (გერ.)

თქვე იშკილბაზებო, თქვენა, ძალიან შემცდარხართ! სრულებით არა მაქვს განზრახული სამოთხეში თქვენი შეყვანა.

ფელდკურატს დაასლოკინა.

— დიახ, სრულებით არა მაქვს განზრახული... — ჯიუტად გაიმეორა მან. — არაფერს თქვენთვის არ გავაკეთებ. გულშიც არ გავივლებ, რადგან გაუსწორებელი წუპაკები ხართ. ზეციერის უსასრულო მადლი არ წაგიძღვებათ თქვენ ცხოვრების გზაზე და ღვთიური სიყვარულის სუნთქვას ვერ ეზიარებით, რადგან ჩვენი უფალი თავს არ შეიწუხებს თქვენისთანა ლაყინტარებისთვის.. გესმით, რას ვლაპარაკობ? ჰეი, თქვენ, ნიფხვიანებო!

ოცმა ნიფხვიანმა ზემოთ აიხედა და ერთხმად უპასუხეს:

— დიახ, გვესმის.

— არ კმარა, მარტო გესმოდეთ, — განაგრძობდა ქადაგებას ფელდკურატი. — თქვენს ირგვლივ გამეფებულ ბნელეთში, თქვე დოყლაპიებო, არ გეღირსებათ მამაზეციერის სიბრალული, რადგან მის მოწყალებასაც აქვს საზღვარი. შენ კი მანდ, უკან, შე ვირო, ნუ ყროყინებ, თორემ კარცერში გამოგალპობ, და თქვენც, ქვემოთებო, სამიკიტნოში ხომ არა გგონიათ თავი! ღვთის მოწყალება უსასრულოა, მაგრამ მხოლოდ წესიერი ადამიანებისთვის და არა ყველა ნაძირალასთვის, რომლებიც არც მის კანონებს ცნობენ, არც სამხედრო წესდებას. აი ეს მინდოდა მეთქვა. ლოცვა თქვენ არ იცით და სამლოცველოში სიარული გართობად მიგაჩნიათ, თითქოს აქ თეატრი ან კინო იყოს თქვენთვის გამართული. ამას თავიდან გამოგიბერტყავთ, რომ არ იფიქროთ, თითქოს აქ თქვენს გასართობად და გულის გადასაყოლებლად მოვდიოდე. იზოლატორებში ჩაგამწყვდევთ სათითაოდ, თქვე ძაღლიშვილებო, თქვენა, აი რას მიიღებთ ჩემგან. მხოლოდ დროს ვკარგავ თქვენთან, და მეტი არაფერი. სულ ტყუილუბრალოდ ვკარგავ. აქ თვით ფელდმარშალი ან არქიეპისკოპოსი რომ ბრძანდებოდნენ ჩემს მაგიერ, სულერთია, ვერ გამოგასწორებდნენ და ვერც მოაქცევდნენ თქვენს სულს უფლისკენ მიუხედავად ყოველივე ამისა, ოდესმე მომიგონებთ და იტყვით: — იმ ადამიანს სიკეთე სურდა ჩვენთვისო...

ნიფხვიანების რიგებიდან ამ დროს გულამომჯდარი სლუკუნი მოისმა. ეს შვეიკი იყო.

ფელდკურატმა ქვემოთ გადაიხედა. შვეიკი თვალებს მუშტით ისრესდა, ირგვლივ საყოველთაო ხორხოცი ატყდა.

— დაე, ყოველმა თქვენგანმა ამ ადამიანისგან აიღოს მაგალითი, — განაგრძო ფელდკურატმა და შვეიკზე მიუთითა. — რას სჩადის იგი? ტირის. ხუ სტირი, შე ბეჩავო! ნუ სტირი-მეთქი. გამოს-

წორება გსურს? ეს, ჩემო კეთილო, იოლი საქმე როდია. ახლა სტი-
რი, მაგრამ როგორც კი შენს საკანში დაბრუნდები, ისეთივე გაიძეე-
რა გახდები, როგორიც იყავი. შენ კიდევ დიდხანს დაგჭირდება იფი-
ქრო ღვთის უსაზღვრო მოწყალებაზე, დიდხანს იზრუნო საკუთარი
თავის გაკეთილშობილებაზე, სანამ შენი ცოდვილი სული ბოლოს
და ბოლოს არ დაადგება ჭეშმარიტების გზას, რომლითაც გმართებს
სიარული... დღეს თქვენს თვალწინ ატირდა ერთი თქვენგანი, რო-
მელმაც მოისურვა ჭეშმარიტების გზაზე დადგომა, თქვენ კი, დანარ-
ჩენები, რას აკეთებთ? ყურსაც არ იბერტყავთ... აი, შეხედეთ, ერთი
რაღაცას ღეჭავს, თითქოს მისი მშობლები მცოხნავი ცხოველები
ყოფილიყვნენ, მეორე კი ღვთის ტაძარში ტილებს იხილავს პერანგ-
ში. არ შეგიძლიათ ეგ ტილები შინ ეძებოთ? აუცილებლად წირვის
დროს მოგინდათ? მამასახლისო, თქვენ სრულებით ყურადღებას არ
აქცევთ წესიერებას! თქვენ ხომ ყველანი ჯარისკაცები ხართ და არა
ვილაც ვიგინდარები, ამიტომ ეკლესიაში მაინც ისე უნდა იქცეოდეთ,
როგორც ეს ჯარისკაცებს შეეფერება. მიმართეთ, დაგლახვროთ ეშ-
მაკმა, ღვთის ძიებას, ტილების ძებნას კი შინაც მოესწრებით! ამით,
თქვე ჯიბიდან გავარდნილებო, ეამთავრებ და მოვითხოვ, წირვის
დროს წესიერება დაიცვათ და ისე კი არა, როგორც ამას წინათ, რო-
ცა უკანა რიგებში სახაზინო საცვლებს პურზე ცვლიდით და ამ პუ-
რით წმიდა ნაწილების აღვლენის დროს ილუკმებოდით.

ფელდკურატი კათედრიდან ჩამოვიდა და სამოსსაცავში შეეიდა,
მას მამასახლისიც შეყვა. ერთი წუთის შემდეგ მამასახლისი გამოვი-
და, პირდაპირ შეეიკთან მივიდა, გამოათრია ოცი ნიფხვიანის ჯგუ-
ფიდან და სამოსსაცავში წაიყვანა.

ფელდკურატი გაშხლართულად ჩამომჯდარიყო მაგიდაზე და
სიგარეტს ახვევდა. შეეიკი რომ შეეიდა, ფელდკურატმა უთხრა:

-- აი, თქვენც მოხვედით. მე აქ ჩემთვის დავფიქრდი და, მგონი,
გამოვიცანი რა ბიჭიცა ბრძანდებით, გასაგებია? ეს პირველი შემ-
თხვევაა, რომ ეკლესიაში ჩემთან ვინმეს ცხარე ცრემლით ეტიროს

იგი მაგიდიდან ჩამოხტა, შეეიკს მხრებში ხელები ჩაავლო, შეან-
ჯღრია და დაუღრიალა:

— გამოტყდი, შე გაიძვერავ, რომ ხალხის გასაცინებლად განგეშ
ბლაოდი.

ამ სცენას ზემოდან დიდი ხატის პირქუში სახე დაჰყურებდა
რომელზეც გამოსახული იყო ფრანცისეკ სალესელი *. იგი ისე უყუ-
რებდა შეეიკს, თითქოს რაღაცას ეკითხებაო. მეორე მხრიდან შეეიკ
განცვიფრებით შესცქეროდა რომელიღაც წამებული. ამ წამებულის
თვის უკანალში ვიღაცას ხერხის კბილები ჩაესო და რომაელი ჯა-

რისკაცები გულმოდგინედ ხერხავდნენ. წამებულს სახეზე არც ტანჯვა ეტყობოდა და არც სიაპოვნება, არც შინაგანი სიხათლე უშუქებდა შუბლს. მის სახეზე მხოლოდ განცვიფრება იყო აღბეჭდილი, თითქოს უნდოდა ეთქვა: „ეს რა ღვთის წყრომაა ჩემს თავზე, ამას რას ხსადით, კეთილო ადამიანებო?“

— დიახ, სწორედ ასეა, პანე ფელდკურატ, — სერიოზულად უპასუხა შვეიკმა და ალალბედს მიენდო — რაც იქნება, იქნებაო. — ვაღიარებ ყოველისშემძლე ღმერთის წინაშე და თქვენს წინაშე, ღირსეულო მამაო, რომელიც აქ ღვთის ნაცვლად ხართ მოვლენილი, რომ მხოლოდ იმიტომ ავტირდი, სიცილი გამომეწვია. მე მივხვდი, რომ თქვენს ქადაგებას მონანიე ცოდვილი აკლდა, რომელსაც უშედეგოდ ეძიებდით, და აი, გადავწყვიტე, თქვენთვის მესიამოვნებინა, რომ არ გეფიქრათ, თითქო ამქვეყნად წესიერი ადამიანები სულ მთლად გადაშენებულანო. თანაც, მართალი გითხრათ, მინდოდა გული გადამეყოლებინა ამაზე, ცოტათი შეც გავმხიარულებულიყავი.

ფელდკურატი გამომცდელი თვალით დააკვირდა შვეიკის ფიზიონომიას. მზის სხივი ათამაშდა ფრანტიშეკ სალესელის პირქუშ ხატზე და ამავე დროს თავისი შუქით შეათბო განცვიფრებული წამებული მოპირდაპირე მხარეზე.

— ეფიქრობ, საინტერესო პიროვნება უნდა იყოთ, მომწონხართ, — თქვა ფელდკურატმა და ისევ მაგიდაზე ჩამოჯდა. — რომელი პოლკიდან ხართ? — ჰკითხა და თან დაასლოკინა.

— მაქვს პატივი მოგახსენოთ, პანე ფელდკურატ, ვეკუთვნი და არც ვეკუთვნი 91-ე პოლკს, და საერთოდ წარმოდგენა არა მაქვს, რა ამბავია ჩემს თავზე.

— ნაობახტში რისთვის ზიხართ? — ჰკითხა ფელდკურატმა და ისევ დაასლოკინა.

სამლოცველოდან ფისჰარმონიის ხმა ისმოდა, რომელიც ორღანოს ცვლიდა მუსიკის მასწავლებელი, რომელიც დაპატიმრებული იყო დეზერტირობისთვის, მთელ თავის გულს აქსოვდა ნაღვლიან ეკლესიურ მელოდიებში. ფისჰარმონიის ხმები ფელდკურატის სლოკინს უერთდებოდა და აქამდე უცნობ დორიულ გამად* იქცეოდა.

— მაქვს პატივი მოგახსენოთ, პანე ფელდკურატ, მართალი გითხრათ, არ ვიცი, რისთვის ვზივარ. მაგრამ არ ვჩივი. უბრალოდ რომ ვთქვათ, ბედი არ მწყალობს. ყოველ ღონეს ვხმარობ, როგორმე კარგად გამოვიდეს ჩემი საქმე, მაგრამ, არ შეგეშამოთ ჭირმა, არაფერი გამომდის, მთლად ისე, როგორც აი იმ წამებულს, ხატზე რომ არის.

ფელდკურატმა ხატს შეხედა, გაეღიმა და თქვა:

— ღმერთმანი მომწონხართ! ერთი გამოვკითხავ თქვენს შესახებ გამომძიებელს. მაშ ასე, მეტი ლაყბობის თავი თქვენთან აღარ მაქვს. ბარემ მოვრჩე ერთი ამ წმიდა მესას! Kehrt euch! Abtreten! [1]

ამბიონთან თავშეყრილ ნიფხვიანების ოჯახში რომ დაბრუნდა, შეკითხვებზე, ფელდკურატს შენგან რა უნდოდაო, შვეიკმა ძალიან უგულოდ და მოკლედ მოუჭრა:

— ღვინითაა გახეთქილი!

პროგრამის მეორე ნომერს — წმიდა მესას — პატიმრები დაძაბული ყურადღებითა და აშკარა სიმპათიით ადევნებდნენ თვალყურს. ერთ-ერთმა პატიმარმა ნაძლევიც კი დადო, რომ ფელდკურატს ხელიდან გაუვარდებოდა ბარძიმი წმიდა ნაწილებით. თავის მხრივ იგი პურის მთელ თავის ულუფას დებდა, ხოლო თუ მოიგებდა, მოპირდაპირეს მისგან ორი მაგარი სილა უნდა ეწვნია, — და მან მოიგო.

არ შეიძლება ითქვას, რომ ის გრძნობა, რომლითაც აღვსილი იყვნენ ფელდკურატის წირვის ცქერით გატაცებული სამლოცველოში მორეკილი პატიმრები, მორწმუნეთა მისტიციზმი ან ჭეშმარიტი კათოლიკების ღვთისმოსაობა ყოფილიყო, ეს უფრო იმ გრძნობას გავდა, რომელიც გვეუფლება თეატრში, როცა პიესის შინაარსი არ ვიცით, მოქმედებანი კი სულ უფრო და უფრო იხლართებიან და მოუთმენლად ველოდებით კვანძის გახსნას. ყველა გატაცებული იყო ფელდკურატის მიერ საკურთხეველის წინ გამართული სანახაობით. პატიმრები თვალს არ აშორებდნენ სამოსელს, რომელიც ფელდკურატს უკულმა გადაეცვა. ყველა აგზნებული და გატაცებული იყო საკურთხეველთან გათამაშებული წარმოდგენით, რომელიც მათ ესთეტიკურ სიამოვნებას ჰგვრიდა: მწითური მინისტრანტი, ეს გაკრეჭილი ყოფილი ხუცესი, რომელიც 28-ე პოლკში წვრილ ქურდობაში იყო შემჩნეული, პატიოსნად ცდილობდა მეხსიერებით აღედგინა წმიდა მესის მთელი მსვლელობა, ტექნიკა და ტექსტი. ფელდკურატისთვის იგი ერთდროულად მინისტრანტიც იყო და სუფლიორიც, მაგრამ ეს სრულებით ხელს არ უშლიდა ფელდკურატს გასაოცარი სიადვილით მთელი ფრაზები ერთიმეორის ადგილას გადაესვ-გადმოესვა. მან გადაფურცლა კურთხევანი და ნაცვლად ჩვეულებრივი მესისა, საშობაო მესის შესრულებას შეუდგა, რამაც უაღრესად აღაფრთოვანა დამსწრე საზოგადოება. მას არც ხმა გააჩნდა და არც სმენა, ამის გამო სამლოცველოს თაღებქვეშ გაისმოდა ჭყივილი და ღრიალი, თითქოს საღორეაო.

---

[1] ზურგისაკენ, იარ! გასწით! (გერ.)

— ძალიან კი უყლაპავს, რაც მართალია, მართალია, — დიდი კმაყოფილებით ალაპარაკდნენ პატიმრები. — ალბათ, ქუჩის გოგოებთან გამოთვრა.

აგერ უკვე მესამეჯერ გაისმოდა საკურთხეველთან ფელდკურატის გალობა: „Ite, missa est!“, რომელიც ინდიელების საბრძოლო ყიჟინასავით ისეთი ძლიერი იყო, რომ ფანჯრის მინებს ზანზარი გაუდიოდათ. ფელდკურატმა ერთხელ კიდევ ჩაიხედა ბარძიმში, იქნებ ერთი ყლუპი ღვინო მაინც ჩარჩაო, მოიშმუხნა და მსმენელებს მიმართა:

— ახლა კი, თქვე არამზადებო, შეგიძლიანთ წახვიდეთ. დასრულდა. მე შევამჩნიე, რომ თქვენ არ იჩენთ იმ ჭეშმარიტ ღვთისმოშიშობას, რომლის გამოჩენაც გმართებთ სამლოცველოში წმიდა საკურთხეველის წინ. ყურუმსაღებო, არავითარ მოწიწებას თქვენ არ გრძნობთ უფლის წინაშე, უტიფრად როხროხებთ და ახველებთ; წაძდაუწუმ იფურთხებით და ფეხებს აფრატუნებთ... ჩემს წინაშეც კი სჩადიხართ ამას, მიუხედავად იმისა, რომ მე აქ წმიდა მარიამის, იესო ქრისტეს და მამა ღმერთის წარმომადგენელი ვარ, თქვე ბრიყვებო, თქვენ! კიდევ ერთხელ ასეთი რამ რომ გაიმეოროთ, თვალის სეირს გაჩვენებთ. მე თქვენ გაგაგებინებთ, რომ არსებობს არა მარტო იმქვეყნიური ჯოჯოხეთი, რომლის შესახებ ამას წინათ გიქადაგეთ, არამედ ამქვეყნიურიც! შეიძლება იმ ჯოჯოხეთისგან კი იხსნათ თავი, მაგრამ ამ მეორეს ვერასგზით ვერ გადაურჩებით... Abtreten!

ასე კარგად და ორიგინალურად ჩაატარა ფელდკურატმა ძველი, გაცვეთილი წირვის წესი პატიმართა სამლოცველოში, მერე სამოსაცავში შეავიდა, ტანსაცმელი გამოიცვალა, მსახურს კალათწნულში ჩადგმული უზარმაზარი ბოციდან საეკლესიო ღვინო გადმოასხმევინა, გადაჰკრა და მწითური მინისტრანტის დახმარებით შეჯდა თავის საფერხე ცხენზე, რომელიც ეზოში ჰყავდა დაბმული. მაგრამ ამ დროს შვეიკი გაახსენდა, ჩამოხტა ცხენიდან და გამომძიებელ ბერნისის კანცელარიაში შევიდა.

სამხედრო გამომძიებელი ბერნისი, უპირველეს ყოვლისა მაღალი საზოგადოებიდან იყო, მომჯადოებელი მოცეკვავე და ერთი აშაღლარი ვინმე. სამსახურში მოწყენილობის გამო თავის სამახსოვრო წიგნაკში გერმანულ ლექსებს იწერდა, რომ მუდამ ხელთ ჰქონოდა ლექსების მარაგი. იგი დიდმნიშვნელოვან რგოლს წარმოადგენდა სამხედრო სასამართლოს აპარატში, რადგან მის ხელში თავმოყრილი იყო იმდენი ოქმები და უთავბოლო დახლართული აქტები, რომ ჰრადჩანის სამხედრო-საველე სასამართლო მას მორიდებით ეპყრობოდა. ბერნისს სულ მუდამ ავიწყდებოდა საბრალმდებლო მასალა

და იძულებული ხდებოდა ახალი მასალა შეეთხზა; სახელებსა და გვარებს ერთმანეთში ურევდა, ეკარგებოდა ბრალდების თანამიმდევრობის ძაფი და ახალს ურთავდა, რომელზეც აცმული ჰქონდა ყველაფერი, რაც კი რამ თავში მოუვიდოდა: დეზერტირებს ქურდობის ბრალდებას უყენებდა, ქურდებს კიდევ დეზერტირობაში დებდა ბრალს; პოლიტიკურ პროცესებს ჰქმნიდა მოგონილი მასალების საფუძველზე; ათასნაირ ფოკუსებს მიმართავდა, რომ გამოეტეხა ბრალდებული ისეთ დანაშაულში, რომელიც ამ უკანასკნელს სიზმრადაც არ ენახა, თხზავდა მისი უდიდებულესობის შეურაცხმყოფელ სიტყვებს და ამ გამოგონილ სიტყვებს აწერდა იმ ბრალდებულებს, რომელთა შესახებ მასალები სამსახურებრივი აქტებისა და სხვა ოფიციალური ქაღალდების ქაოსში ისე იყო გაბნეული, რომ მათ ასავალ-დასავალს კაციშვილი ვერ გაიგებდა.

— Servus! [1] — მიესალმა ფელდკურატი და ხელი გაუწოდა. — როგორაა საქმეები?

— არც ისე კარგად, — უპასუხა სამხედრო გამომძიებელმა ბერნისმა. — მთელი მასალები ისე ამიწეწ-დამიწეწეს, რომ ეშმაკიც კი ფეხს მოიტეხს. გუშინ უფროსებს გავუგზავნე მასალა ერთ ვაებატონზე, რომელსაც ამბოხების მოწყობაში ბრალი ედება. ეს მასალა აიღესდა, უკან გამოგზავნეს, საქმე ამბოხებას კი არ ეხება, არამედ უბრალოდ კონსერვების ქურდობასო. გარდა ამისა, საქმეზე, თურმე, სულ სხვა ნომერი დამისვამს. ანკი როგორ გაერკვნენ ყოველივე ამაში, ეერასგზით ვერ გამიგია!

სამხედრო გამომძიებელმა გადააფურთხა.

— კიდევ დადიხარ ბანქოს სათამაშოდ? — ჰკითხა ფელდკურატმა.

— წავაგე კარტში. უკანასკნელად პოლკოვნიკს ვეთამაშე მაკაო, აი იმ პოსლიკას, და იმასთან წავაგე მთელი ფული. სამაგიეროდ ერთ გოგონას თვალი დავადგი... შენ რასა იქ, წმიდაო მამაო?

— მე დენშჩიკი მჭირდება, — უპასუხა ფელდკურატმა. — უკანასკნელი ჩემი დენშჩიკი მოხუცი ბუხჰალტერი იყო, რომელსაც უმაღლესი განათლება არ ჰქონდა, და თანაც დიდი პირუტყვი ვინმე იყო. სულ მუდამ ლოცულობდა და წუწუნებდა, ღმერთო მიხსენ განსაცდელისა და უბედურებისაგანო. ავიღედა, სალაშქრო ბატალიონით ფრონტზე ვუკარი თავი. ამბობენ, ამ ბატალიონისთვის ისეთი დღე დაუყენებიათ, რომ ერთი კაციც არ გადარჩენილა. მერე გამომიგზავნეს ერთი ვაებატონი, რომელიც არაფერს აკეთებდა, მარტო იჯდა

[1] სალამი! (ლათ.)

ხოლმე სამიკიტნოში და ჩემს ხარჯზე მაგარ სასმელებს შეექცეოდა. ამას კიდევ მოითმენდა ადამიანი, მაგრამ ფეხები მეტისმეტად უოფლიანდებოდა. მომიხდა მისი გამწესებაც სალაშქრო ბატალიონში. დღეს კი ერთ ტიპს წავაწყდი, რომელიც ქადაგების დროს, სიცილი რომ გამოეწვია, გულამოსკვნით აქვითინდა, აი სწორედ ასეთი მჭირდება. მისი გვარი შეეიკია, ზის „მეთექვსმეტეში". მაინტერესებს, რისთვის ჩასვეს და ხომ არ მოხერხდებოდა როგორმე იქიდან მისი გამოთრევა?

გამომძიებელი შეუდგა მაგიდის უჯრების გადაქოთებას, შვეიკის საქმეს ეძებდა, მაგრამ როგორც ყოველთვის, ვერაფერი იპოვა.

— უთუოდ, კაპიტან ლინჰარტთან არის, — თქვა მან დიდი ხნის ძებნის შემდეგ. — დალახვროს ეშმაკმა, სად მეკარგება ეს საქმეები! ჩანს, ლინჰარტთან გადავგზავნე. დაეურეკავ ერთი მას... ჰალო! გელაპარაკებათ გამომძიებელი პორუჩიკი ბერნისი. პანე კაპიტან, გეთაყვა, მითხარით, თქვენთან ხომ არ არის ქაღალდები ვინმე შვეიკზე? მე უნდა მქონდეს?!.. უცნაურია... თვითონ მე პირადად ჩავიბარე თქვენგან?! მართლაც რომ უცნაურია... „მეთექვსმეტეში" ზის... დიახ, ვიცი, პანე კაპიტან, რომ „მეთექვსმეტე" ჩემთანაა. მაგრამ მეგონა, ქაღალდები შვეიკზე თქვენთან იყო სადმე მიგდებული... თქვენ მთხოვთ ასეთი სიტყვებით არ გელაპარაკოთ? თქვენთან მიგდებული არაფერი არის ხოლმე?.. ჰალო! ჰალო!..

სამხედრო გამომძიებელი ბერნისი დაღონებული მიუჯდა მაგიდას და დაიწყო საგამომძიებლო საქმეების წარმოებაში არსებული არევ-დარეულობის განსჯა. მას და კაპიტან ლინჰარტს შორის დიდი ხანია უთანხმოება იყო ჩამოვარდნილი, და არც ერთი და არც მეორე დათმობაზე არ ფიქრობდა. თუ ლინჰარტის რომელიმე საქმის ქაღალდები ბერნისს მოხვდებოდა ხელში, ბერნისი ისე შორს გადამალავდა, რომ მერე მისი მოძებნა ეშმაკსაც აღარ შეეძლო. ასევე ეპყრობოდა ლინჰარტი ბერნისის საქმეებს. უგზო-უკვლოდ იკარგებოდა აგრეთვე საქმეებზე დანართი ქაღალდებიც [1].

შვეიკის საქმე ნაპოვნი იქნა სამხედრო-საველე სასამართლოს არქივში მხოლოდ გადატრიალების შემდეგ ასეთი წარწერით: „განზრახვა ჰქონდა ჩამოეხსნა ფარისეველური ნიღაბი და აშკარად გამოსულიყო ჩვენი ხელმწიფე-იმპერატორისა და ჩვენი სახელმწიფოს წინააღმდეგ". იოზეფ შვეიკის საქმე ჩაჩრილი იყო ვიღაც იოზეფ კოუდელის ქაღალდებში. საქმის გარეკანზე ჯვარი იყო დასმული და მის

---

1 საგარნიზონო ნაობახტის პატიმრების ოცდაათი პროცენტი არც ერთხელ არ ყოფილა დაკითხული მთელი ომის განმავლობაში (ავტორის შენიშვნა).

ქვეშ ეწერა: „მოყვანილია სისრულეში“ და თარიღიც ჰქონდა დასმული).

— მაშ ასე, დამეკარგა შვეიკი, — თქვა ბერნისმა. — ვუბრძანებ მომგვარონ აქ და თუ არაფერში გამოტყდა, შენ გამოგიგზავნი, დანარჩენი თვითონვე მოაგვარე პოლკში.

ფელდკურატის წასვლის შემდეგ გამომძიებელმა ბერნისმა ბრძანა, შვეიკი მომიყვანეთო. მაგრამ სწორედ ამ დროს გადმოსცეს ტელეფონოგრამა საპოლიციო სამმართველოდან და ამიტომ შვეიკს კარგა ხანს მოუხდა ყურყუტი კარებთან. ტელეფონოგრამაში ნათქვამი იყო: „გამოთხოვილი მასალა საბრალმდებლო საქმეზე № 7267, რომელიც ეხება ქვეით ჯარისკაცს მაიქსნერს, მიღებულია № 1 კანცელარიის მიერ კაპიტან ლინჰარტის ხელმოწერით“

ამასობაში შვეიკი სამხედრო გამომძიებლის კანცელარიას ათვალიერებდა.

არ შეიძლება ითქვას, რომ აქაურობა დიდად საინტერესო შთაბეჭდილებას სტოვებდა ადამიანზე, განსაკუთრებით ფოტოგრაფიები იმ მრავალნაირი ეკზეკუციებისა, რომელთაც ავსტრიის არმია ახდენდა ჰალიციასა და სერბიაში. ეს იყო მხატვრული ფოტოგრაფიები გადამწვარ-გადაბუგული ქოხებისა და იმ ხეების, რომელთა ტოტები მიწას ჩასცქეროდნენ მათზე ჩამოკიდებულ ადამიანთა გვამებით დამძიმებული. მეტად შეშზარავი გახლდათ ფოტო სერბიიდან, რომელზეც აღბეჭდილი იყო ჩამოხრჩობილთა მთელი ოჯახი: პატარა ბიჭუნა, მამა და დედა. მეორე სურათზე ორი შეიარაღებული ჯარისკაცი ცაცავდა ხეს, რომელზეც ჩამოეხრჩოთ რამდენიმე კაცი, წინა პლანზე კი კმაყოფილებით აღსავსე გამომეტყველებით იდგა ოფიცერი და პაპიროსს აბოლებდა. მოშორებით მოჩანდა საველე სამზარეულო, რომლიდანაც კვამლი ამოდიოდა.

— მაშ ასე, როგორ მოვიქცეთ, შვეიკ? — მიმართა გამომძიებელმა ბერნისმა და თან ტელეფონოგრამას აკერებდა საქმეში. — რა ჩაიდინეთ ასეთი? გამოტყდებით თუ დაელოდებით, სანამ საბრალმდებლო აქტს შეგიდგენდეთ? ასე არ ივარგებს! არ გეგონოთ, რომ რომელიღაც სასამართლოს წინაშე ხართ, სადაც საქმეს ვიღაც სამოქალაქო დოყლაპიები აწარმოებენ. ჩვენი სასამართლო სამხედროა, k. und k. militärgericht.[1] ერთადერთი, რაც გიხსნით მკაცრი და სამართლიანი დასჯისგან, ეს არის დანაშაულის სრული აღიარება.

გამომძიებელ ბერნისს საბრალმდებლო მასალის დაკარგვის შემთხვევისთვის „თავისი საკუთარი მეთოდი“ ჰქონდა. მაგრამ, როგორც

[1] საიმპერატორო-სამეფო სამხედრო სასამართლო (გერმ.).

ხედავთ, ამ მეთოდში განსაკუთრებული არაფერი იყო, ამიტომ არც უნდა გაგვიკვირდეს, რომ ასეთი კვლევა-ძიებისა და დაკითხვის შედეგები ყოველთვის ნულს უდრიდა.

გამომძიებელი ბერნისი თავის თავს იმდენად გამჭრიახ ადამიანად თვლიდა, რომ, მიუხედავად ბრალდებულის წინააღმდეგ მასალების უქონლობისა (ბევრ შემთხვევაში არც ის იცოდა, რაში ედებოდა ბრალი, ან საერთოდ რატომ იჯდა ესა თუ ის ჯარისკაცი საგარნიზონო ნაობახტში), ეგონა თითქოს დაკავებული პიროვნების მარტო ყოფაქცევისა და სახის გამომეტყველების დაკვირვებით შეეძლო დასკვნა გამოეტანა, თუ რისთვის ჰყავდათ ესა და ეს ადამიანი ციხეში დამწყვდეული. მისი გამჭრიახობა და ადამიანთა ცოდნა იმდენად ღრმა იყო, რომ ერთ ბოშას, რომელიც თავისი პოლკიდან საგარნიზონო ნაობახტში მოხვდა რამდენიმე დუჟინი საცვლის მოპარვისთვის (იგი კაპტენარმუსის დამხმარე ხელქვეითი იყო), ბერნისმა ბრალდება წაუყენა პოლიტიკურ დანაშაულში: რომელიღაც ტრაქტირში აგიტაციას ეწეოდი ჯარისკაცებთან დამოუკიდებელი ჩეხოსლოვაკიის სახელმწიფოს შექმნის შესახებ, რომელსაც სათავეში სლავი მეფე ჩაუდგებაო.

„ჩვენს ხელთ არის დოკუმენტები, — უთხრა მან უბედურ ბოშას, — თქვენ დაგრჩენიათ მხოლოდ გამოტყდეთ, რომელ ტრაქტირში ლაპარაკობდით ამას, რომელი პოლკის სალდათები იყვნენ ისინი, ვინც თქვენ გისმენდათ და როდის მოხდა ეს“.

საბრალო ბოშამ გამოიგონა თარიღიც, ტრაქტირიც, პოლკიც, რომელსაც ვითომდა მისი მსმენელები ეკუთვნოდნენ, მაგრამ, როცა დაკითხვიდან ბრუნდებოდა, აიღო და გაიქცა, რითაც ამდენ დავიდარაბას გადარჩა.

— თქვენ არ გსურთ გამოტყდეთ? —შეეკითხა ბერნისი, რომელიც ხედავდა, რომ შვეიკი ხმის ამოღებას არ აპირებდა და სამარცხებურ სიჩუმეს არ არღვევდა.—თქვენ არ გინდათ თქვათ, როგორ მოხვდით აქ, რისთვის ჩაგსვეს? შეგეძლოთ ჩემთვის მაინც გეთქვათ. სანამ მე თვითონ მოგაგონებდეთ. გაფრთხილებთ კიდევ ერთხელ, გამოტყდით. თქვენთვის უკეთესი იქნება, რადგან ეს გააადვილებს კვლევა-ძიებას და შეამსუბუქებს თქვენს სასჯელს. ამ მხრივ ჩვენთან იგივე მდგომარეობაა, რაც სამოქალაქო სასამართლოში.

— მაქვს პატივი მოგახსენოთ, — გაისმა, როგორც იქნა, ბოლოს შვეიკის უწყინარი ხმა, — მე აქ, საგარნიზონო ნაობახტში, ნაპოვნი ბავშვივით ვარ.

— მაგით რა გინდათ, რომ თქვათ?

— მაქვს პატივი მოგახსენოთ, რომ ამის ახსნა სულ უბრალოდ

შემიძლია... ჩვენს ეუჩაზე ერთი მენახშირე ცხოვრობდა. მას ჰყავდა სრულიად უდანაშაულო ორი წლის ბიჭუნა. ერთხელ ამ ბიჭუნამ დაიღირა თავი და ფეხით ავიდა ვინოპრადიდან ლიბენში * და ტროტუარზე ჩამოჯდა. აქ იგი პოლიციელმა იპოვნა, საპოლიციო უბანში წაიყვანა და ორი წლის ბავშვი, — წარმოგიდგენიათ, — საკანში დაამწყვდიეს. ხედავთ, სრულიად უდანაშაულო იყო ბავშვი, ის კი მაინც დაამწყვდიეს. მისთვის რომ ეკითხათ, რისთვის ხარ დამწყვდეულიო, სულ ერთია, ლაპარაკიც რომ ცოდნოდა, ვერაფერს უპასუხებდა. და აი, დაახლოებით მეც ასეთი რამ დამემართა. მეც ნაპოვნი ბავშვივით ვარ.

გამომძიებელმა სწრაფად შეაელო თვალი შვეიკის ფიგურასა და სახეს და რაღაცნაირად შეცბუნდა. შვეიკის მთელი არსება ისეთი უდარდელობითა და ისეთი უმანკოებით სუნთქავდა, რომ ბერნისმა გაჯავრებით იწყო სიარული კანცელარიაში და ფელდკურატს რომ არ შეპირებოდა — შვეიკს გამოგიგზავნით, ეშმაკმა იცის, რით გათავდებოდა საქმე.

ბოლოს გამომძიებელი თავის მაგიდასთან შეჩერდა.

— გამიგონეთ, — უთხრა მან შვეიკს, რომელიც არხეინად აქეთ-იქით იყურებოდა, — თუ კიდევ ერთხელ მომხვდით თვალში, იცოდეთ, კარგი ღეზარ დაგადგებათ... გაიყვანეთ!

სანამ შვეიკი „მეთექვსმეტე"ში" მიყავდათ, ბერნისმა ზედამხედველ სლავიკს გამოუძახა.

— ახალი მითითების მიღებამდე, შვეიკი ფელდკურატ კატცის განკარგულებაში იქნება, — მოკლედ უბრძანა მან. — დაამზადეთ საშვები. მიჰგვარეთ პან ფელდკურატს შვეიკი ორი ბადრაგის ხლებით.

— მიბრძანებთ, პანე ობერ-ლეიტენანტ, ბორკილგაყრილი წავიყვანოთ იგი თუ?...

გამომძიებელმა მუშტი დაჰკრა მაგიდას:

— ვირო! მე ხომ გარკვევით გითხარით: გაამზადეთ საშვები-მეთქი!

და ყველაფერი, რაც დღის განმავლობაში დაგროვდა გამომძიებლის გულში — კაპიტან ლინჰარტისა და შვეიკის გამო — აბობოქრებული ნიაღვარივით ეძგერა ზედამხედველს და დასრულდა შემდეგი სიტყვებით:

— გაიგეთ თუ არა, ბოლოს და ბოლოს, რომ თქვენ ნამდვილი გვირგვინოსანი ვირი * ხართ!

გვირგვინოსანს უწოდებდნენ მხოლოდ მეფეებსა და იმპერატო-

რებს. მაგრამ უბრალო ზედამხედველიც კი, პიროვნება, რომელსაც გვირგვინოსნობის არაფერი ეცხო, ასეთი მიმართვით მაინცდამაინც არ დარჩა კმაყოფილი და, როცა საძხედრო გამომძიებლის კანცელარიიდან გამოვიდა, პანღური ამოჰკრა ტუსაღს, დერეფანში იატაკს რომ რეცხდა. რაც შეეხება შეეიკს, ზედამხედველმა გადაწყვიტა მისი კიდევ ერთი ღამით მაინც დატოვება საგარნიზონო ნაობახტში, რათა შესაძლებლობა მიეცა მისთვის საბოლოოდ დამტკბარიყო ნაობახტის მთელი სიმშვენიერით.

საგარნიზონო ნაობახტში გატარებული ღამე სამუდამოდ დარჩება სასიამოვნო მოგონებად ყველას, ვისაც კი ეს წილად ხვდა.

„მეთექვსმეტეს“ გვერდით იყო ერთი კაცისთვის განკუთვნილი შემზარავი საკანი, საიდანაც ამ ღამითაც, რომელსაც ჩვენ აღვწერთ, გაისმოდა ტუსაღი ჯარისკაცის ღმუილი, — რაღაც დისციპლინარული დანაშაულისთვის ზედამხედველ სლავიკის განკარგულებით ჯალათი რეპა მას ნეკნებს უმტვრევდა. როცა ღმუილი შეწყდა, „მეთექვსმეტეში“ ისმოდა მხოლოდ პატიმართა ფრჩხილებს შორის მომწყვდეული ტილების წკაპაწკუპი.

კარებზე, კედლის სიღრმეში, იდგა ნავთის ლამპა დამცველი ბადურათი, კედლებზე ის მქრქალ სინათლეს აფრქვევდა და ხრჩოლავდა. ნავთისა და ტანდაუბანელ ადამიანთა ოფლის მძიმე ანაორთქლი შერეული პარაშას სიმყრალესთან, ყოველი ხმარების დროს თავისი პირდაბჩენილი წიაღიდან გულისამრევ სუნს რომ უშვებდა, ბინძურ ტალღასავით ტრიალებდა „მეთექვსმეტეში“.

ცუდი საკვები საჭმლის მონელებას აძნელებდა, ამის გამო ტუსაღთა უმრავლესობას მუცლის ბერვა აწუხებდა. დაგროვილი ქარები მუცლის გვრემას იწვევდა და ხშირად ირღვეოდა ღამის სიწყნარე, რასაც ერთვოდა საპასუხო სიგნალები და უწმაწური ოხუნჯობანი.

დერეფნიდან მოისმოდა გუშაგთა გამოზომილი ნაბიჯები, დროდადრო გაიხსნებოდა კარების „თვალი“ და „მთავარანგელოზი“ საკანში შეიჭვრიტავდა.

შუათანა საწოლიდან ვიღაცა ხმადაბლა ჰყვებოდა:

— მე აქ იმის შემდეგ გადმომიყვანეს, რა რომ გაქცევა ვცადე. წინათ „მეთორმეტეში“ ვიჯექი. იქ, ასე ვთქვათ, უფრო იოლ საქმეებზე სხედან. ერთხელ ჩვენთან ერთი სოფლელი მოიყვანეს. მას მისჯილი ჰქონდა თოთხმეტი დღით პატიმრობა, რადგან თავის ქოხში ღამეს ათევინებდა სალდათებს. ჯერ ეგონათ, — პოლიტიკური შეთქმულებაა, მერე გამოირკვა, რომ ის სოფლელი ამას

ფულის გამო აკეთებდა. იგი უნდა მჯდარიყო წვრილფეხა დამნა-შავეებთან, მაგრამ ის საკანი ხალხით გაჭედილი იყო, ამიტომ ჩვენ-თაი მოხვდა. რა არ წამოეღო სახლიდან და რას არ უგზავნიდნენ, სულო და გულო! როგორღაც ნება დართეს გარდა სატუსაღო ულუფისა თავისი სურსათ-სანოვაგითაც ესარგებლა. თამბაქოს მო-წევის ნებაც მისცეს. თან ძოიტანა ორი ნაჭერი ლორი, ვეებერთე-ლა პურის კვერი, კვერცხები, კარაქი, სიგარეტები, თამბაქო... ერ-თი სიტყვით, ყველაფერი, რაზედაც კი შეიძლება ადამიანმა იოცნე-ბოს. მთელ ამ ავლადიდებას იგი ორ ტომარაში ინახავდა, და რატომ-ღაც გადაეწყვიტა, — რომ ყველაფერი ეს მარტო მას უნდა შეეთ-ქვლიფა. ადამიანურად ვთხოვეთ, რაკი თვითონ ვერ მიხვდა, ჩვენ-თვისაც ეწილადებინა, რასაც ყოველი ჩვენგანი აკეთებდა, როცა გარედან რამეს მივიღებდით. იგი კი, ისეთი წუწურაქი ვინმე იყო, რომ სულ „არას“ გაიძახოდა: მე აქ რაღაც ორი კვირა უნდა ვიჯდე და კუჭი რად უნდა გავიფუჭო კომბოსტოთი და დამპალი კარტო-ფილით, რასაც კერძად გვაძლევენო. მე ჩემს სატუსაღო სადილსა და პურის ულუფას გითმობთ, ამის საწინააღმდეგო არაფერი მაქვს, შეგიძლიათ ერთიმეორის შორის თანაბრად გაინაწილოთ, ანდა რიგ-რიგობით აიღოთ... ფაქიზი გემოვნების ადამიანი გახლდათ, რას იზამთ, — პარაშაზე დაჯდომასაც არ კადრულობდა, მეორე დღემდე ითმენდა, რომ სეირნობის დროს გაეთავისუფლებინა კუჭი ეზოს ფეხისადგილში. ისეთი განებივრებული ვინმე იყო, რომ საპირფა-რეშოს ქაღალდიც კი თან ჰქონდა წამოღებული. ჩვენ ვუპასუხეთ, მიგვიფურთხებია მაგ შენი ულუფისთვის-თქო, და ვითმინეთ ერთი დღე, ორი, სამი... ის ვაკბატონი კი ხეთქავდა შაშხს, მადიანად უსვამდა პურზე კარაქს, ამტვრევდა კვერცხებს, ერთი სიტყვით, ცხოვრობდა როგორც საჭირო იყო. სწევდა სიგარეტებს და ერთხე-ლაც არავისთვის შეუთავაზებია. თქვენ მოწევის უფლება არა გაქვთ და „მთავარანგელოზმა“ თვალი რომ შეგვასწროს, როგორ გაწევინებთ სიგარეტს, იზოლატორში ჩამსვამენო. ერთი სიტყვით, ვიმეორებ, სამი დღე ვითმინეთ. მეოთხე დღეს, ღამით დადგა გან-კითხვის ჟამი. იმ კაცმა დილით გაიღვიძა... ჰო, მართლა, დამავიწყ-და მეთქვა, რომ იგი ყოველდღე, დილით, სადილობისას და საღა-მოთი, ჭამის წინ, ყოველთვის ლოცულობდა, დიდხანს ლოცულობდა ხოლმე. ჰოდა, ლოცვით გული რომ იჯერა, შეძვრა საწოლის ქვეშ თავისი ტომრების გამოსაღებად. ტომრები კი აღმოჩნდა ადგილზე, მაგრამ დაჩუტულიყო, დამჭკნარი ქლიავივით დანაოჭებულიყო. ერთი ალიაქოთი ასტეხა, გამქურდეს, მარტო საპირფარეშოს ქა-

ღალდები დაუტოვებიათო, მაგრამ მერე გაჩუმდა, ხუთი წუთი რაღაცას ფიქრობდა, ბოლოს იმ დასკვნამდე მივიდა, ალბათ მეხუმრნენ და ყველაფერი სადღაც გადამიმალესო. და აი მოგვმართა მხიარულად: „ჰეი, თქვე ეშმაკებო, თქვენა. ცხადია, ყველაფერს დამიბრუნებთ. ძალიან ზორბად კი გამაპამპულეთო". ჩვენ იქ ერთი გვყავდა, ლიბენელი, და ის ეუბნება: „იცით რა, თავზე საბანი გადაიხურეთ, ათამდე დათვალეთ, მერე თქვენს ტომრებში ჩაიხედეთო". იმ კაცმა, გამგონე ბავშვივით, თავზე საბანი გადაიხურა და თვლას შეუდგა: „ერთი, ორი, სამი..." ლიბენელი კი ეუბნება: „ასე რად ჩქარობთ, დინჯად დაითვალეთო!" იმ კაცმა საბნიდან ისევ დაიწყო თვლა, ნელ-ნელა, გაჭიანურებით: „ერთი... ორი... სამი"... როცა ათამდე დათვალა, გადმოძვრა საწოლიდან და ტომრებში ჩაიხედა: „ღმერთო ჩემო, ხალხნო! — აყვირდა იგი, — ტომრები ისევ ცარიელია!" ერთი უნდა გენახათ მაშინ მისი სულელური სახე. სიცილისაგან კინაღამ ერთმანეთს შევასკდით. ლიბენელი ეუბნება: „აბა, ერთხელ კიდევ სცადეთო!" და არ დაიჯერებთ, ის კაცი მთელი ამ ამბით იმდენად გამოთაყვანებულიყო, რომ ერთხელ კიდევ სცადა, მაგრამ, როცა ტომრებში ისევ ვერაფერი ნახა, გარდა საპირთარეშოს ქაღალდებისა, კარებს მივარდა, მუშტები დაუშინა და ღრიალი მორთო. „გამქურდეს! გამქურდეს! მიშველეთ! არიქა, გააღეთ კარები! გააღეთ, ღვთის გულისათვის!" თვალის დახამხამებაზე მოცვივდნენ მეთვალყურეები, დაუძახეს ზედამხედველსა და ფელდფებელ რეპპას. ჩვენ ყველამ პირი შევკარით და ერთხმად განვაცხადეთ, ეგ კაცი ალბათ ჭკუაზე თუ შეიშალა, გუშინ მთელი ღამე თქვლეფავდა მარტოკა და, რაც გაიჩნდა, სუყველაფერი შესანსლა-თქო. იგი კი ცხარე ცრემლით მოთქვამდა და გაიძახოდა: „ნამცეცები ხომ მაინც უნდა დარჩენილიყო". დაუწყეს ნამცეცებს ძებნა და, რა თქმა უნდა, ვერაფერი იპოვეს. განა სულელები ვიყავით! რასაც ვერ მოვერიეთ, მეორე სართულზე ფოსტით გავგზავნეთ თოკის საშუალებით. ჩვენთან ვერაფერი აღმოაჩინეს, მაგრამ ის დოყლაპია მაინც განაგრძობდა წუწუნს: „ნამცეცები ხომ მაინც უნდა დარჩენილიყო სადმეო!" მთელი დღე პირში არაფერი ჩაუდევს, სულ იმას უთვალთვალებდა, ხომ არავინ ჭამს რამეს, ჩუმად ხომ არ ქაჩავს პაპიროსსო. მეორე დღეს სადილადაც არაფერს მიკარებია, საღამოთი კი დამპალი კარტოფილიც კომბოსტოთი გემრიელად მიირთვა. მაგრამ წინანდებურად აღარ ლოცულობდა, როცა შაშხსა და კვერცხებს შეექცეოდა. მერე რომელიღაც ერთ ჩვენგანს საიდანღაც ბლომად წეკო გაუჩნდა და აი მაშინ კი პირველად იკადრა

ჩვენთან დალაპარაკება, ცოტა მეც მომაქაჩვინეთო. ზედაც არ დავასუნებინეთ!

— მე კი სულ. იმას ვშიშობდი, რომ მოაქაჩვინებდით, — შენიშნა შვეიკმა. — ამით მთელ თქვენს ნაამბობს გააფუჭებდით. ასეთ კეთილშობილებას მხოლოდ რომანებში თუ შეხვდებით, საგარნიზონო ნაობახტში კი ეს უბრალოდ დიდი სიბრიყვე იქნებოდა.

— „გამოიცან, ვინა გცემა“ არ მოუწყვეთ? — იკითხა ვიღაცამ.

— არა. ეგ სულ გადაგვავიწყდა.

„მეთექვსმეტეში“ ხმადაბლა დაიწყეს კამათი, საჭირო იყო თუ არა ყოველივე მომხდარის შემდეგ „გამოცანის“ მოწყობაო. უმრავლესობა მხარს უჭერდა, უნდა მოგეწყოთო.

კამათი თანდათან მინელდა. პატიმრები ძილს ეძლეოდნენ, თან ძალუმად იქექებოდნენ იღლიის ქვეშ, გამწარებით იფხანდნენ გულმკერდსა და მუცელს, სადაც ყველაზე მეტი გროვდება ხოლმე მკბენარი საცლებში. იძინებდნენ, თავზე იხურავდნენ დატილიანებულ საბნებს, რომ ნავთის ლამპის მბეუტავი სინათლით არ შეწუხებულიყვნენ.

დილის რვა საათზე შვეიკს გამოუძახეს და უბრძანეს კანცელარიაში წასულიყო.

— ხელმარცხნივ, კანცელარიაში შესასვლელთან, საფურთხი დგას. იქ ნამწვები ჰყრია ხოლმე, — არიგებდა შვეიკს ერთ-ერთი პატიმარი. — მეორე სართულზე კიდევ ერთი დგას. კიბეს ჰგვიან ცხრა საათზე, ასე რომ ახლა იქ რაღაც უთუოდ მოიძებნება.

შვეიკმა მათი იმედები არ გაამართლა. „მეთექვსმეტეში“ იგი აღარ დაბრუნებულა. ცხრამეტი ნიფხვიანი საგონებელში ჩავარდა, რა არ გაიფიქრეს, რა არ თქვეს.

ჭორფლიანმა ჯარისკაცმა, შეუზღუდავი ფანტაზიის პატრონმა, განაცხადა, შვეიკმა რევოლვერი ესროლა ოფიცერს და ახლა მოტოლის მოედანზე დასახვრეტად წაიყვანესო.

თავი X

შვეიკი — ფელდკურატის დენშჩიკი

შვეიკის ოდისეა შემდგომ ხიშტებიანი შაშხანებით შეიარაღებული ორი ჯარისკაცის საპატიო ექსკორტით წარიმართა, რომლებსაც იგი ფელდკურატისთვის უნდა ჩაებარებინათ.

შვეიკის მცველი ჯარისკაცები ერთმანეთს ავსებდნენ: ერთი გამხდარი იყო და აყლაყუდა, მეორე, პირიქით, დაბალი ტანისა და სქელი; აყლაყუდა მარჯვენა ფეხით კოჭლობდა, ტანდაბალი — მარცხენათი. ორივე ჯარის ზურგში მსახურობდა, რადგან ომამდე სრულებით გათავისუფლებული იყვნენ მოქმედ ჯარში სამსახურიდან. ორივეს სერიოზული სახე მიეღო და ქვაფენილზე ფეხების ბაკუნით მიდიოდნენ. ხანდახან შვეიკს შეხედავდნენ, რომელიც მათ შორის ჩამდგარი მიაბიჯებდა და დროდადრო სამხედრო სალამს აძლევდა, ვისაც ეს სამხედრო წესდებით ეკუთვნოდა. შვეიკის სამოქალაქო ტანსაცმელი საგარნიზონო ნაობახტის ცეიხჰაუზში გაჰქრა, აღარ იყო მისი სამხედრო ქუდიც, რომელიც გასაწვევ პუნქტზე მისვ-

ლისას ეხურა. ყოველივე ამის ნაცვლად ძველი მუნდირი მისცეს, — წინათ ეს მუნდირი უთუოდ ვინმე ღიპიან, ზორბა მამაკაცს ეკუთვნოდა, რომელიც შვეიკზე ალბათ მთელი თავითაც მაღალი იყო. იმ შარვალში კი, რომელიც მას ჩააცვეს, კიდევ სამი შვეიკი ჩაეტეოდა. უსასრულო ნაოჭები, ფეხებიდან მოყოლებული თითქმის კისრამდე, — შარვალი ნამდვილად კისრამდე სწვდებოდა, — ძალაუნებურად უქნარების ყურადღებას იქცევდნენ. უზარმაზარი, ჭუჭყიანი და გაქონიანებული გიმნასტურა, ნიდაყვებზე საკერებელდადებული ისე ეკიდა შვეიკზე, გეგონებოდათ, ეს ადამიანი კი არა, ბოსტნის საფრთხობელაა. შარვალი ცირკის მასხარასავით ჩამოჩაჩოდა. ფორმის ქუდი, რომელიც ასევე საგარნიზონო ნაობახტში შეაჩეჩეს, ყურებზე ჰქონდა ჩამოფხატული.

უქნარების ირონიულ ჩაცინებაზე შვეიკი რბილად იღიმებოდა და თავისი კეთილი თვალებით ალერსიანად უყურებდა მათ.

ასე მიემართებოდნენ ისინი კარლინისკენ, სადაც ფელდკურატი ცხოვრობდა.

პირველი გამოელაპარაკა შვეიკს ტანდაბალი სქელი ჯარისკაცი. ამ დროს ისინი მალა სტრანაზე მიდიოდნენ გალერეაზე გავლით.

— სადაური ხარ?

— პრაღიდან ვარ.

— არ გაგვექცევი?

საუბარში აყლაყუდა ჩაერია. პირდაპირ გასაოცარია: თუ ტანმორჩილი და ჩასუქებული ადამიანები მეტწილად გულკეთილი ოპტიმისტები არიან, გამხდარნი და აწოწილნი, პირიქით, უმეტესად სკეპტიკოსებად გვეელინებიან. ამ კანონის მიხედვით, აყლაყუდამ უთხრა ტანდაბალს:

— რომ შეეძლოს, განა არ გაიქცევა!

— რად უნდა გაიქცეს? — უპასუხა ტანდაბალმა. — მაგი ისედაც თავისუფალია, საგარნიზონო ნაობახტში ხომ აღარ ზის. აი, პაკეტში მაქვს ფელდკურატისთვის...

— მერედა, რა არის მაგ პაკეტში ფელდკურატისთვის? — ჰკითხა ოყლაყმა.

— არ ვიცი.

— აი, ხომ ხედავ, არ იცი და ლაპარაკობ...

კარლოსის ხიდი სრულ დუმილში გაიარეს. მაგრამ კარლოსის ქუჩაზე რომ გავიდნენ, ტანდაბალი ისევ გამოელაპარაკა შვეიკს:

— ხომ არ იცი, რისთვის უნდა მიგიყვანოთ ფელდკურატთან?

— აღსარების სათქმელად, — გულგრილად უპასუხა შვეიკმა. —

ხვალ უნდა ჩამომახრჩონ. ყოველთვის ასე ხდება. ამბობენ, ეს სულიერი სიმშვიდისთვისაა საჭიროო.

— მერედა, რისთვის უნდა... იმას გიქნან? — ფრთხილად შეეკითხა აყლაყუდა, ტანდაბალმა კი თანაგრძნობით შეხედა შვეიკს.

შვეიკის მცველები სოფლელი ხელოსნები იყვნენ, — ოჯახის პატრონები.

— არ ვიცი, — უპასუხა შვეიკმა გულკეთილი ღიმილით. — არაფერი ვიცი. ჩანს — ასეთი ბედი მქონია.

— გამოდის, რომ უბედურ ვარსკვლავზე ყოფილხარ დაბადებული, — მცოდნის კილოთი თანაგრძნობით შენიშნა ტანდაბალმა. — ჩვენთან სოფელ იასენში, იოზეფოვეს მახლობლად, ჯერ კიდევ პრუსიის ომის დროს სწორედ ასე ჩამოახრჩეს ერთი კაცი. მოაკითხეს, არაფერი უთხრეს და იოზეფოვეში ჩამოახრჩეს.

— მე ვფიქრობ, — სკეპტიკურად შენიშნა აყლაყულმა ჯარისკაცმა, — რომ სრულიად არაფრისთვის ადამიანს არასგზით არ ჩამოახრჩობენ. მიზეზი უნდა იყოს რაიმე. ასეთი საქმე უბრალოდ არ ხდება.

— მშვიდობიან დროს, — შეესიტყვა შვეიკი, — შეიძლება ასედაც იყოს, მაგრამ როცა ომიანობაა, ერთი კაცი მხედველობაში არ მიიღება. იგი ან ბრძოლის ველზე უნდა დაეცეს, ანდა მას შინ ჩამოახრჩობენ! ამაზე იტყვიან, გინდ მგელს შეეუჭამივარ, გინდ მგლისფერ ძაღლსაო.

— გამიგონე, შენ ვინმე პოლიტიკური ხომ არა ხარ? — ჰკითხა ახმახმა. ხმაზე ეტყობოდა, რომ მასაც გული მოულბა შვეიკზე.

— პოლიტიკური ვარ, და ისიც ძალიან მაგარი, — გაეღიმა შვეიკს.

— შეიძლება შენ ნაციონალ-სოციალისტი * ხარ?

მაგრამ ახლა ტანდაბალმა გამოიჩინა სიფრთხილე და საუბარში ჩაერია.

— მერედა, ჩვენ რა გვესაქმება, — თქვა მან. — გარდა ამისა, ერთი შეხედე, ირგვლივ უამრავი ხალხია და ყველა ჩვენ მოგვჩერებია. რომ მოგვახერხებინა სადმე ყრუ შესახვევში ხიშტების მოხსნა, ყველაფერი ეს, იცით... თვალში რომ არ ხვდებოდეს. შენ ხომ არ გაგვექცევი? თორემ, იცი, ამისთვის მაგრად მოგვხვდება. ხომ ასეა, ტონიკ? — მიუბრუნდა იგი აყლაყუდას.

მან ხმადაბლა უპასუხა:

— ხიშტებს კი მოვხსნიდით. რაც უნდა იყოს, ეს ჩვენი კაცია. — იგი უკვე სკეპტიკურად აღარ იყო განწყობილი, და გული შვეიკისადმი სიბრალულით აღევსო.

გამონახეს შესაფერისი შესახვევი, მოხსნეს შაშხანებს ხიშტები და ტანდაბალმა ნება დართო შვეიკს, შეგიძლია ჩემს გვერდით იაროო.

— ალბათ, მოწევაც გინდა? ხომ? — ჰკითხა მან. — ვინ იცის...

მას უნდოდა ეთქვა: „ვინ იცის, ჩამოხრჩობის წინ იქნებ არც შოგაწევინონ“. მაგრამ სათქმელი არ დაუმთავრებია, რადგან მიხვდა, ეს უტაქტობა იქნებაო.

ყველამ გააბოლა, და მცველებმა უამბეს შვეიკს თავის ოჯახებზე, რომლებიც კრალოვეჰრადში ცხოვრობდნენ, თავის ცოლშვილზე, ერთ გოჯა მიწაზე, ერთადერთ ძროხაზე...

— მომწყურდა, — თქვა შვეიკმა.

აყლაყუდამ და ტანდაბალმა ერთმანეთს გადახედეს.

— ერთ ტოლჩაზე არც ჩვენ ვიტყოდით უარს, — თქვა ტანდაბალმა, რომელმაც იგრძნო, რომ აყლაყუდაც თანახმა იყო. — მაგრამ სადმე ისეთ ადგილას შევიდეთ, სადაც ჭყეტას არ დაგვიწყებენ.

— წავიდეთ „კუკლიკში“ — შესთავაზა შვეიკმა, — იქ შეგიძლიათ შაშხანები სამზარეულოში დატოვოთ. „კუკლიკშის“ პატრონი სერაბონა — შევარდენია *, სავსებით სანდო კაცია. უკრავენ იქ ვიოლინოსა და გარმონს, არიან გოგოები და სხვა წესიერი ადამიანები, რომელთაც „რეპრეზენტიაკში“ * არ უშვებენ.

აყლაყუდამ და ტანდაბალმა ისევ გადახედეს ერთმანეთს და აყლაყუდამ გადაწყვიტა:

— კარგით, წავიდეთ, კარლინამდე ჯერ მაინც შორსაა.

გზაში შვეიკი სხვადასხვა ანეკდოტებს უამბობდა. „კუკლიკშს“ რომ მიაღწიეს, მცველები შესანიშნავ გუნებაზე იყვნენ. ისინი მოიქცნენ ისე, როგორც შვეიკმა ურჩია: თოფები სამზარეულოში დამალეს და საერთო დარბაზში შეაბიჯეს, სადაც ვიოლინოსა და გარმონზე ამოჩემებულ სიმღერას: „ჩვენს პანკრაცზე, ჩვენს გორაკზე, ოჰ, რა ხეივანია“, — ამღერებდნენ და მუსიკის ხმებით მთელი დარბაზი გაყრუებული იყო.

ერთი ქუჩის ქალი მუხლებზე უჯდა კოხტად თმაგადავარცხნილ, შაგრამ გამოფიტული სახის ჭაბუკს, და ხრინწიანი ხმით გაჰკიოდა.

მყავდა ერთი ცუგრუმელა, —
დაათრევდა, თურმე, ყველა...

ერთ მაგიდასთან რომელიღაც თევზით ხელზე მოვაჭრეს, მაგრად გალეშილს ეძინა. დროგამოშვებით გაიღვიძებდა, მუშტს დაჰ-

კრავდა მაგიდას და წამოაყრანტალებდა: „არაფერი გამოგივათ!“ — და ისევ იძინებდა.

ბილიარდის უკან სარკის ქვეშ სამი როსკიპი იჯდა და რკინიგზის კონდუქტორს გასძახოდნენ:

— ახალგაზრდავ, დაგვპატიჟეთ ვერმუტზე!

მუსიკოსებთან ორი ჭაბუკი იდგა და ვიღაც მარჟენკაზე დავობდნენ, რომელიც გუშინ ალყაში მომწყვდეულიყო და პატრულს „გაეძაგრა“. ეს საკუთარი თვალით დაკინახეო, ამბობდა ერთი, მაგრამ მეორე ირწმუნებოდა, მარჟენკა გუშინ ერთ სალდათს გაჰყვა სასტუმრო „ვალშუმში“ გამოსაძინებლადო.

ზედ კარებთან, სამოქალაქოების კომპანიაში ერთი ჯარისკაცი ჩამჯდარიყო და უამბობდა, როგორ დასჭრეს იგი სერბიაში. ხელი შეხვეული ჰქონდა, ჯიბეები კი თანამოსაუბრეებისგან ნათავაზები სიგარეტებით გამოეტენა. იგი გამუდმებით იმეორებდა, სმა უკვე აღარ შემიძლიაო, ერთ-ერთი თანამოსაუბრე, თავმოტყლეპილი ბერიკაცი, ყოველ წუთში აწყვეტინებდა:

— დალიეთ, გეხვეწებით, ჩემო კეთილო! ვინ იცის, იქნებ აღარც შევხვდეთ ერთმანეთს? გინდათ, თქვენთვის რაში დავაკერევინო? „ობოლი ბავშვი“ გიყვართ?

ეს პოსლიკა ბერიკაცის საყვარელი სიმღერა იყო და ერთი წუთის შემდეგ ვიოლინოსა და გარმონზე აზუზუნდა „ობოლი ბავშვი“. ბერიკაცს თვალებზე ცრემლი მოადგა და გაბა სიმღერა ჟღრიალა ხმით:

. როცა მოეცა გონება,
სულ დედიკოს იგონებდა,
სულ დედიკოს იგონებდა.

მეორე მაგიდიდან გაისმა:

— კმარა! ეშმაკსაც წაუღიხართ! მოწყდით თავიდან თქვენი „ობოლით“.

და მტრულად განწყობილი მაგიდიდან უკანასკნელ ყუმბარასავით იგრიალა:

ო, განშორება, ო, განშორება. —
გულისთვის არის ტანჯვა-წამება.

— ფრანტა, — დაუძახეს იმათმა დაჭრილ ჯარისკაცს, როცა თავისი „განშორებით“ „ობოლი“ ჩაახშვეს და სიმღერა დასრულეს. — ფრანტა, თავი დაანებე მაგათ, ძოდი, ჩვენთან დაჯექი. მოდი და

შენი სიკვარეტებიც მოიტა. მიაფურთხე, მოეშვი მაგათ გართობას, შე სულელო!

შვეიკი და მისი მცველები ინტერესით ათვალიერებდნენ ყველაფერს. შვეიკი, რომელსაც აქ ბევრჯერ გაუტარებია დრო ჯერ კიდევ ომამდე, მოგონებას მიეცა: მოულოდნელად გამოჩნდებოდა ხოლმე აქ პოლიციის კომისარი დრაშნერი პატრულის თანხლებით და შიშის ზარს სცემდა ქუჩის ქალებს, რომლებმაც სიმღერაც კი შეთხზეს მასზე.

ერთხელ მათ გუნდურად იმღერეს:

პან დრაშნერის შიშითა
სუყველა კანკალებდა, —
მარტო ლოთი მარტენკა
მას არაფრად აგდებდა.

ამ დროს კარები გაიღო და თავისი ამალით მრისხანე და ულმობელი დრაშნერი შემოვიდა. ამას მოჰყვა სცენა, რომელიც კაკაბზე ნადირობა გეგონებოდათ: პოლიციელები გარს შემოერტყენ დამფრთხალ სტუმრებს და ერთ კუთხეში მირეკეს. შვეიკიც ალყაშემორტყმულთა შორის მოხვდა, რადგან, რაღაც ეშმაკად, როცა კომისარმა დრაშნერმა მას პირადობის მოწმობა მოსთხოვა, შვეიკმა სიტყვა შეუბრუნა: „კი, მაგრამ თქვენ ამის მოთხოვნის უფლება თუ გაქვთ საპოლიციო სამმართველოდანო?“ მერე შვეიკს გაახსენდა კიდევ ერთი პოეტი, რომელიც აი იქ, სარკის ქვეშ იჯდა ხოლმე და ხმაურსა და ღრიანცელში, გარმონის ჭყვიტინში ლექსებს თხზავდა და იქვე უკითხავდა როსკიპ ქალებს.

შვეიკის მხლებელ ჯარისკაცებს არავითარი ამდაგვარი მოგონება არ გააჩნდათ. მათთვის ყველაფერი ახალი იყო. აქაურობა უკვე ჭკუაშიც კი დაუჯდათ. ტანდაბალმა ჯარისკაცმა პირველმა იგრძნო აქ თავი, ვით თევზმა წყალში. ჩასუქებული ადამიანები, როგორც ცნობილია, გარდა ოპტიმიზმისა, მიდრეკილებას იჩენენ ეპიკურეიზმისადმი. ახმახი ჯარისკაცი ცოტა ხანს ებრძოდა თავს, მაგრამ რაკი სკეპტიციზმზე ხელი აიღო, თანდათან ეკარგებოდა თავდაჭერა და გონიერების უკანასკნელი ნატამალიც ეცლებოდა.

— მოდი ერთი ვიცეკვებ, — თქვა მან, როცა მეხუთე ტოლჩა ლუდი გადაჰკრა და დაინახა, სხვები წყვილ-წყვილად როგორ ცეკვავდნენ „შლაპაკს“ *.

ტანდაბალი მთლად ჩაეფლო დროსტარების ნეტარებაში. გვერდით რომელიღაც მეძავი ქალი უჯდა და უწმაწურ სიტყვებს გაი-



ძახოდა. თეალები უბრწყინავდა ტანდაბალ, ჩასუქებულ ჯარისკაცს.

შვეიკი ლუდს შეექცეოდა.

აულაუუდამ დაამთავრა ცეკვა და თავისი ქალით მაგიდას დაუბრუნდა. მერე აულაუუდამ და ტანდაბალმა სიმღერა წამოიწყეს, ისევ იცეკვეს, თან განუწყვეტლივ სვამდნენ და თავის გოგოებს ბეკნებზე ხელებს უტყაპუნებდნენ. ავხორცი სიყვარულის, ნიკოტინისა და ალკოჰოლის ამ ატმოსფეროში უხილავად ჰაერში ტრიალებდა ძველი დევიზი: „თუ მე არ ვიქნები, ქვა ქვაზედ ნუ დარჩენილაო“.

სადილის შემდეგ მათ ვიღაც ჯარისკაცი მიუჯდა და შესთავაზა, ხუთ კრონად ფლეგმონასა და სისხლის მოწამვლას მოგიწყობთო.

შპრიცი კანქვეშ შესაშხაპუნებლად თან მაქვს, და შემიძლია ფეხში ან ხელში ნავთი შეგიშხაპუნოთო [1].

აულაუუდა, რომელმაც ყოველგვარი სულიერი წონასწორობა დაჰკარგა, ჯარისკაცს საპირფარეშოში გაჰყვა და კანქვეშ ფეხში ნავთი შეიშხაპუნა.

როცა მოსაღამოდა, შვეიკმა ჯარისკაცებს მოაგონა, დროა ფელდკურატთან წავიდეთო. მაგრამ ტანდაბალი ჯარისკაცი, რომელსაც სიმთვრალისგან ენა ებმოდა, შვეიკს შეეხვეწა, ცოტა ხანს კიდევ დავრჩეთო. აულაუუდაც იმ აზრისა იყო, რომ ფელდკურატი, არა უშავს, მოითმენსო. მაგრამ შვეიკს „კუკლიკში“ უკვე მოსწყინდა და თავის მცველებს დაემუქრა, ავიღებ და, მარტო წავალო.

გაუდგნენ გზას, მაგრამ შვეიკს სიტყვა ჩამოართვეს, კიდევ ერთხელ სადმე უთუოდ შევისვენებთო. გაჩერდნენ „ფლორენციის“ პატარა კაფეში, სადაც სქელმა ჯარისკაცმა თავისი ვერცხლის საათი გაყიდა, რომ დროსტარებით საბოლოოდ გული ეჯერებინა.

იქიდან უკვე შვეიკს მოუხდა თავისი მცველების ხელიხელგაყრილი წაყვანა. მას დიდი ჯაფა დაადგა. ფეხები წამდაუწუმ ეკვეთებოდათ გამობრუჟებულ ჯარისკაცებს და განუწყვეტლივ მიიწევდნენ, სადმე კიდევ შევიდეთო.

---

[1] ეს დიდად ნაცადი საშუალებაა ჰოსპიტალში მოსახვედრად. მაგრამ სახიფათოა სიმსივნეში დარჩენილი ნავთის სუხი. უკეთესია ბეხზინი, რადგან მისი სუნი უფრო სწრაფად ქროლდება. უფრო მოგვიანებით იშხაპუნებდნენ ეთერისა და ბენზინის ნარევს; კიდევ უფრო გვიან სხვა გაუმჯობესებებსაც მიაღწიეს (ავტორის შენ.)

ტანდაბალს კინაღამ დაეკარგა პაკეტი ფელდკურატის სახელზე და შვეიკი იძულებული გახდა თვითონ მოეარა ამ პაკეტისთვის. ყოველთვის, როგორც კი შვეიკი შეამჩნევდა, რომ ოფიცერი ან რომელიმე უნტერი მოდიოდა, იგი აფრთხილებდა თავის მთვრალ მხლებლებს. დიდი ჭაპანწყვეტით, როგორც იქნა, ბოლოს მიათრია მან თავისი მცველები კარლინამდე, სადაც ფელდკურატი ცხოვრობდა. შვეიკმა თავისი ხელით ჩამოაცო ხიშტები მათ შაშხანებს და ფერდებში მუჯლუგუნებით მიაღწია იმას, რომ მცველებს წაეყვანათ იგი და არა მას მცველები.

მეორე სართულზე, სადაც კარებზე მიკრული იყო სადარბაზო ბარათი „ოტო კატცი-ფელდკურატი“, კარი ვიღაც სალდათმა გაუღოთ. მეზობელ ოთახიდან მოისმოდა ხმები, ბოთლებისა და ჭიქების წკარუნი.

— Wir... melden... gehorsam... Herr... Feldkurat, — ძლივს წარმოთქვა აყლაყუდამ და სამხედრო სალამი მისცა სალდათს, — ein... Paket... und ein Mann gebracht! [1]

— შემოდით, შემოდით, — უთხრა სალდათმა. — ასე უსაშველოდ სად გალეშილხართ? ბატონი ფელდკურატიც ღვინითაა გახეთქილი... — და სალდათმა გადააფურთხა.

სალდათმა გამოართვა პაკეტი და ოთახში შევიდა. მოსეულებს დიდხანს დასჭირდათ ლოდინი, სანამ ბოლოს, კარი არ გაიღო და წინ ოთახში კი არ შემოვიდა, ბომბივით შემოვარდა ფელდკურატი. იგი ქილეტს ამარა იყო და ხელში სიგარა ეჭირა.

— მაშ თქვენ უკვე აქა ხართ, — მიმართა მან შვეიკს. — ახ, ეს თქვენ მოგიყვანეს. ე-ე... ასანთი ხომ არა გაქვთ?

— არა მაქვს, პანე ფელდკურატ, — უპასუხა შვეიკმა.

— კი, მაგრამ რატომ არა გაქვთ ასანთი? ყოველ სალდათს უნდა ჰქონდეს ასანთი პაპიროსის მოსაკიდებლად. სალდათი, რომელსაც ასანთი არა აქვს, წარმოადგენს... წარმოადგენს... აბა!..

— მაქვს პატივი მოგახსენოთ, წარმოადგენს უასანთოს, — უკარნახა შვეიკმა.

— სავსებით სწორია, წარმოადგენს უასანთოს და ვერავის პაპიროსს ვერ მოაკიდებინებს. ეს ერთი. ახლა მეორე. ფეხები გიყართ?

— არა, არ მიყარს.

---

[1] გვაქვს პატივი... მოგახსენოთ... რომ უნდა ჩაგაბაროთ... ბატონო ფელდკურატ... პაკეტი... და ერთი კაცი (გერმ.).

— ასე. ეს მეორე, ახლა მესამე. არაყს სვამთ?

— არა, არაყს არა ვსვამ, მხოლოდ რომს.

— შესანიშნავია! აი, შეხედეთ ამ სალდათს, მე ერთი დღით ვინათხოვრე იგი პორუჩიკ ფელდჰუბერისგან, ეს მისი დენშჩიკია. იგი ღვინო-არაყს არ ეტანება, მსმელი არ არის. ამიტომ სამარშო ასეულში ამოყოფს თავს. იმ...იტომ, რომ ასეთი კაცი მე არაფრად მარგია. ეს დენშჩიკი კი არა, ძროხაა. ძროხაც წყლის მეტს არაფერს სვამს და ხარივით ღმუის.

— ჰეი, შენ! — მოუბრუნდა იგი სალდათს. — არა...ა გრცხვენია! შე ბოთე! იმასაც მოესწრები, რომ ერთი მაგრად ჩაგაფარებ მაგ სიფათში!

ამ დროს ფელდკურატმა ყურადღება მიაქცია იმ ჯარისკაცებს, რომლებმაც შვეიკი მოიყვანეს; ისინი ყოველ ღონეს ხმარობდნენ სწორად მდგარიყვნენ, ცდილობდნენ თავი დაეჭირათ თოფებზე დაყრდნობით, მაგრამ უშედეგოდ, აქეთ-იქით ქანქარასავით ქანაობდნენ

— თქვენ მ... მთვრალები ხართ!.. — თქვა ფელდკურატმა. — თქვენ დათვერით სამსახურებრივი მოვალეობის აღსრულების დროს! ამისთვის ჩაგ... სვამთ! შვეიკ, ჩამოართვით მაგათ თოფები, წაიყვანეთ სამზარეულოში და უყარაულეთ, სანამ პატრული არ მოვა მათ წასაყვანად. მე ახლავე ყაზარმაში დავ...რეკავ.

ამრიგად, ნაპოლეონის სიტყვები „ომში სიტუაცია ყოველ წამში იცვლებაო“ აქ ერთხელ კიდევ ბრწყინვალედ დადასტურდა: დილით ამ ჯარისკაცებს ბადრაგათი მოყავდათ შვეიკი და შიშობდნენ, არ გაგვექცესო, მაგრამ აღმოჩნდა, რომ მათ კი არ მოიყვანეს შვეიკი, არამედ შვეიკმა მოიყვანა ისინი დანიშნულების ადგილას და ბოლოს და ბოლოს შვეიკს მოუხდა მათი ყარაულობა. აყლაყუდამ და ტანდაბალმა ერთბაშად ვერ გაიგეს, საქმე როგორ შეტრიალდა, მაგრამ როცა ცოტა ხანს სამზარეულოში ისხდნენ და კარებში შვეიკი დაინახეს ხიშტჩამოცმული თოფით ხელში, ყველაფერს მიხვდნენ.

— მე რამეს დავლევდი, — ამოიხვნეშა ჩასუქებულმა ოპტიმისტმა.

ახმახს კი ისევ სკეპტიციზმი დაეუფლა. მან განაცხადა, ყველაფერი ეს საეჭვოდ გამცემლობაოო და შვეიკს დაუწყო ხმამაღლა ლანძღვა, შენი გულისთვის ჩავვარდით ამ დღეშიო. იგი უსაყვედურებდა შვეიკს, შენ არ იყავი, რომ გვარწმუნებდი, ხვალ ჩამომახრჩობენო, ახლა კი გამოდის, რომ აღსარებაცა და სახრჩობელაც მტკნარი სიცრუე ყოფილა.

შვეიკი ხმაამოუღებლივ მიდიმოდიოდა კარებთან.

— ვირები ვიყავით, ვირები, — ღრიალებდა აყლაყუდა.

შვეიკმა მოისმინა ყველა ბრალდება და შემდეგ განაცხადა:

— ახლა მაინც ხედავთ, რომ სამხედრო სამსახური სახუმარო საქმე როდია! მე მხოლოდ ჩემს მოვალეობას ვასრულებ. მე თქვენსავით სრულიად შემთხვევით გავები ამ ხათაბალაში, მაგრამ, როგორც იტყვიან ხოლმე, მე ბედმა გამიღიმა.

აყლაყუდა წამოდგა და ბარბაცით მივიდა კარებთან.

— გაგვიშვი შინ, — უთხრა შვეიკს, — გეყოფა პამპულაობა, ძმობილო!

— ჩამომეცალე! — შეუტია შვეიკმა. — მე თქვენ უნდა გიყარაულოთ, ახლა ჩვენ ერთმანეთს არ ვიცნობთ.

კარებში ფელდკურატი გამოჩნდა.

— მე... მე ვერასგზით ვერ დავუკავშირდი ტელეფონით ყაზარმას. ამიტომ წადით შინ, ოღონდ გახსოვდეთ, რომ სამსახურში სიმთვრალე არ შეიძლება! ნაბიჯით იარ!

ბატონ ფელდკურატის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ ყაზარმაში მას არც დაურეკავს, რადგან ტელეფონი არ ჰქონდა, და უბრალოდ საბაგიდო ელექტრონის ლამპაში ჩასძახოდა.

II

უკვე მესამე დღე იყო, რაც შვეიკი ფელდკურატ ოტო კატცთან მსახურობდა და ამ ხნის განმავლობაში მხოლოდ ერთხელ ნახა იგი.

მესამე დღეს მოვიდა პორუჩიკ ჰელმიხის დენშჩიკი და შვეიკს უთხრა, წამოდი, შენი ფელდკურატი წაიყვანეო.

გზაში დენშჩიკმა უამბო შვეიკს, რომ ფელდკურატს ჩხუბი მოუვიდა პორუჩიკ ჰელმიხთან; ფელდკურატი ღვინით გახეთქილია, პიანინო დაგვიმტვრია და შინ წამოსვლას არ აპირებსო. პორუჩიკმა, რომელიც აგრეთვე მთვრალია, გამოაგდო კიბეზე, ახლა იგი იატაკზე კარებთან ზის და თვლემსო.

მივიდა თუ არა შვეიკი შემთხვევის ადგილას, ერთი მაგრად შეანჯღრია ფელდკურატი. მან დაიღმუვლა და თვალები გაახილა. შვეიკმა სამხედრო სალამი მისცა და უპატაკა:

— მაქვს პატივი მოგახსენოთ, მე გეახელით, პანე ფელდკურატ!

— მერე... რა გინდათ... თქვენ აქ?

— მაქვს პატივი მოგახსენოთ, რომ თქვენი გულისთვის მოვედი, პანე ფელდკურატ.

— ჩემი გულისთვის მოხვედით? მერედა, სად უნდა წავიდეთ?

— შინ, პანე ფელდკურატ!

— შინ რად უნდა წავიდე? განა შინ არა ვარ?

— არა, შინ არ ბრძანდებით, პანე ფელდკურატ, თქვენ სხვისი ბინის კიბეზე იმყოფებით...

— აქ როგორ... რანაირად... მოვხვდი?

— მაქვს პატივი მოგახსენოთ, თქვენ სტუმრად იყავით.

— სტუმრად... სტუ...მრად მე არ ვყო...ფილვარ. თქვენ სცდებით...

შვეიკმა ფეხზე წამოაყენა ფელდკურატი და კედელს მიაყრდნო. ფელდკურატი აქეთ-იქით ქანაობდა, შვეიკს თავზე ეცემოდა, სულელურად ღიმებოდა და თან სულ ერთსა და იმავეს იმეორებდა:

— აი ახლა ხელიდან გაგიცურდებით და ძირს დავვარდები...

ბოლოს, როგორც იქნა, შვეიკმა გააჩერა იგი კედელზე მიბჯენილი, მაგრამ ამ ახალ მდგომარეობაში ფელდკურატს ისევ დაეძინა.

შვეიკმა გააღვიძა იგი.

— რა გნებავთ? — ჰკითხა ფელდკურატმა, თან შეეცადა კედელზე ჩამოცოცებულიყო და იატაკზე დამჯდარიყო, მაგრამ შვეიკს მაგრად ეჭირა. — ვინა ხართ თქვენ?

— მაქვს პატივი მოგახსენოთ, პანე ფელდკურატ, — უპასუხა შვეიკმა და ისევ მიაყრდნო იგი კედელს, — მე თქვენი დენშჩიკი ვარ.

— არავითარი დენშჩიკი მე არა მყავს, — ძლივს წარმოთქვა ფელდკურატმა და შეეცადა შვეიკს თავზე დამხობოდა. — მე ფელდკურატი არა ვარ. მე ღორი ვარ!... — დაუმატა მან მთვრალი ადამიანის გულღიაობით. — ხელი გამიშვით, ბატონო ჩემო, მე თქვენ არ ვიცნობთ!

ხანმოკლე შებრძოლება შვეიკის გადამწყვეტი გამარჯვებით დამთავრდა, რომლითაც შვეიკმა ისარგებლა და ფელდკურატი კიბიდან სადარბაზო კარებთან ჩაათრია, მაგრამ აქ ფელდკურატმა სერიოზული წინააღმდეგობა გაუწია და არასგზით არ დანებდა შვეიკს, რომელიც ცდილობდა ახლა აქედან ქუჩაში გაეყვანა იგი.

— მე თქვენ არ გიცნობთ, ბატონო ჩემო, — არწმუნებდა შვეიკს და თავგამოდებით ებრძოდა. — იცნობთ ოტო კატცს? ეს მე ვარ.

— მე არქიეპისკოპოსთან ვიყავი! — ღრიალებდა იგი ცოტა ხანის შემდეგ უკვე კარებს გარეთ. — ჩემი პიროვნებით თვით ვატიკანია დაინტერესებული, გესმით?!

შვეიკმა მობოდიშებას თავი მიანება, უკუაგდო „მაქვს პატივი მოგახსენოთო“ და ფელდკურატს ინტიმური კილოთი დაუწყო ლაპარაკი.

— ხელი უშვი, მე შენ გეუბნები, — უთხრა მან, — თორემ ერთი

ისეთს ჩაგაფარებ, რომ... წამოდი შინ — მორჩა და გათავდა! ხმა, კრინტი-მეთქი!

ფელდკურატმა ხელი გაუშვა კარებს და მთელი სხეულით გადაეყუდა შვეიკს.

— სადაც გინდა წავიდეთ, ოღონდ „შუპიში“ * არ წამოვალ, იქ ვალი მაქვს გადასახდელი.

სადარბაზო კარებთან შვეიკმა მუჯლუგუნებით გამოაგდო ფელდკურატი ტროტუარზე და თრევა-თრევით წაიყვანა შინისკენ.

— ნეტავი ვინაა? — ცნობისმოყვარეობით იკითხა ერთმა გამვლელმა.

— ჩემი ძმა გახლავთ, — განუმარტა შვეიკმა. — შეებულება აიღო, ჩემ სანახავად ჩამოვიდა, და აი, სიხარულისგან გამოთვრა — არ ეგონა, თუ კიდევ მნახავდა ცოცხალს, მკვდარი ვეგონე.

უკანასკნელი ფრაზა რომ გაიგონა, ფელდკურატმა ჩაიდუდუნა: რომელიღაც ოპერეტიდან მოტივი, თან საშინლად ამაბინჯებდა. მერე წელში გასწორდა და გამვლელებს მიმართა:

— რომელი თქვენგანიც უკვე მკვდარია, სამი დღის განმავლობაში გამოცხადდით კორპუსის შტაბში, რათა თქვენი ცხედარი ნაკურთხი წყლით ვაპკუროთ... — და გაჩუმდა, თან ცხვირით ტროტუარს უმიზნებდა.

შვეიკი მხარში შეუდგა და ისე წაათრია. ფელდკურატს წელმოწყვეტილ კატასავით წინ თავი წაეშვირა და ფეხებს ძლივს მიაფლატუნებდა, თან ცხვირში დუდღუნებდა: Dominus vobiscum — et cum spiritu tuo. Dominus vobiscum [1].

ეტლების გაჩერებასთან შვეიკმა ფელდკურატი ტროტუარზე დასვა და კედელზე მიაყრდნო, თვითონ კი ეტლის დასაჭერად წავიდა. ერთმა მეეტლემ განაცხადა, მაგ პაშს ძალიან კარგად ვიცნობ, ერთხელ უკვე ვატარე ჩემი ეტლით და მეტი სურვილი აღარ მაქვსო.

— მთლად ყველაფერს გადაარწყია ეტლში, — განმარტა მეეტლემ, — და თანაც არაფერი მომცა. ორ საათზე მეტი ვატარე, სანამ მაგის ბინას მივაგნებდი. სამჯერ მივაკითხე და მხოლოდ ერთი კვირის შემდეგ მომცა მარტო ხუთი კრონი.

ბოლოს, ხანგრძლივი მოლაპარაკების შემდეგ, რომელიღაც მეეტლემ იკისრა, მე წაგიყვანთო, შვეიკი დაბრუნდა ფულდკურატთან. მას ეძინა. ვიღაცას მისთვის თავიდან შავი ქვაბურა ქუდი წაეძრო და წაეღო (ფელდკურატი ჩვეულებრივ სამოქალაქო ტანსაცმელში

---

[1] კურთხევა ღვთისა იყოს თქვენზედა და სულისა შენისათა. კურთხევა ღვთისა (ლათ.).

გამოწყობილი დადიოდა). შვეიკმა გაღვიძა ფელდკურატი და მეეტ-ლეს დახმარებით დახურულ ეტლში შეათრია. ეტლში ფელდკურატ-მა ყოველგვარი გონიერება დაკარგა და სრულ გამოთაყვანებამდე მივიდა. შვეიკი სამოცდამეთხუთმეტე ქვეითი პოლკის პოლკოვნიკ იუსტად მიიჩნია და რამდენჯერმე განიმეორა:

— ნუ გამიჯავრდები, მეგობარო, რომ „შენობით“ გელაპარაკე-ბი. მე ღორი ვარ!

წამით გეგონებოდათ, რომ ქვაფენილზე ეტლის რახრახს ფელდ-კურატი გონზე მოჰყავსო. იგი წელში გაიმართა, სწორად დაჯდა და უცნობი სიმღერიდან რომელიღაც ნაწყვეტი წამოიწყო. უნდა ვი-ფიქროთ, ეს მისი საკუთარი იმპროვიზაცია იყო.

მახსოვს ის დრო სანეტარო,
რომ მხვდებოდა ღიმით ყველა,
და მერკლინში დომაელიცთან,
ჩვენ ვცხოვრობდით უდარდელად.

მაგრამ ერთი წუთის შემდეგ მას ყოველგვარი მოსაზრების უნა-რი დაეკარგა, ცალი თვალი მოუტა და შვეიკს ჰკითხა:

— როგორ ცხოვრობთ, ქალბატონო? საგარაკოდ არსად მიბრ-ძანდებით?

მას ყველაფერი ორად ეჩვენებოდა, ცოტა ხანს გაჩუმდა და შემდეგ ჰკითხა:

— უკვე მოზრდილი ვაჟი გყოლიათ? — და თითით შვეიკზე უჩ-ვენა.

— მოისვენებ თუ არა შენს ადგილზე! — უყვირა შვეიკმა, რო-ცა დაინახა, რომ ფელდკურატმა დააპირა დასაჯდომზე ფეხებით შედგომა. — მე შენ მიგაჩვევ წესიერებას!

ფელდკურატი დაწყნარდა, მხოლოდ გაშტერებული იყურებოდა ეტლიდან გოჭივით წვრილი თვალებით და ვერ გაეგო, რა ხდებოდა მის თავზე.

მერე, ისევ ყველაფერი გადაავიწყდა ამ ქვეყანაზე, შვეიკს მიუბ-რუნდა და ნაღვლიანი ხმით უთხრა:

— პანი, მომეცით პირველი კლასი,* — და შარვლის ჩასახდელად მოემზადა.

— ახლავე შეიკარი შარვალი, შე მართლა ღორო, შენა! — დაუღ-რიალა შვეიკმა. — უნდა გახსოვდეს, რომ ყველა მეეტლე ისედაც კარგად გიცნობს. ერთხელ ნარწყევით მოაბინძურე ყველაფერი და ახლა კიდევ ეგეც გინდა დაუმატო. არ იფიქრო, რომ ისევ არაფერს გადაიხდი, როგორც მაშინ.

ფელდკურატმა თავზე ხელი შემოიდო და მელანქოლიურად აღიღინდა:

მე უკვე არავის ვუყვარვარ...

მაგრამ უეცრად შეწყვიტა სიმღერა და შენიშნა: Entschuldigen sie, lieber kamerad, sie sind ein Trottel! ich kann singen, was ich will [1].

აქ მას, როგორც ჩანს, რომელიღაც მელოდია სტვენით უნდოდა გადმოეცა, მაგრამ სტვენის ნაცვლად ყანყრატოდან ისეთი ძლიერი „ტპრფუ" აღმოხდა, რომ ეტლი გაჩერდა.

შვეიკმა განკარგულება გასცა და ეტლი ისევ დაიძრა. ფელდკურატმა ახლა ცარიელი მუნდშტუკი ამოიღო და ქაჩვა დაუწყო.

— არ ეკიდება, — თქვა მან, როცა მთელი კოლოფი ასანთი მიალია. — თქვენ ალბათ სულს უბერავთ და ასანთს მიქრობთ.

მაგრამ უეცრად აზროვნების ძაფი გაუწყდა და გაიცინა.

— აი სასაცილო ამბავი! ჩვენ მარტონი ვართ ტრამვაიში. მართალს არ ვამბობ, კოლეგა?

მერე ჯიბეების ქექვა დაიწყო.

— ბილეთი დავკარგე! — დაიყვირა მან. — გააჩერეთ ვაგონი, ბილეთი უნდა ვიპოვოთ!

მერე მორცხვილად ჩაიქნია ხელი და შესძახა:

— გასწი!

და უეცრად აბუტბუტდა:

— მეტწილად... დიახ, ყველაფერი რიგზეა... ყოველ შემთხვევაში... თქვენ სცდებით... მესამე სართულზე? ეს — საბაბია... ლაპარაკი თქვენზეა, მოწყალეო ქალბატონო, და არა ჩემზე... ანგარიში! ერთი ფინჯანი შავი ყავა...

მერე ძილმა თავი წაართვა, თან ვიღაც მოჩვენებით მოწინააღმდეგეს ეკამათებოდა, რომელიც თითქოს რესტორანში ფანჯარასთან ადგილს არ უთმობდა. უცბად ეტლი მატარებლად მიიჩნია, თავი გარეთ გაჰყო და ქუჩაში გაჰყვიროდა ჩეხურად და გერმანულად:

— ნიმბურკი, გადასხედით!

შვეიკმა თავისკენ ლონივრად მოსწია იგი. ფელდკურატს გადააუაწყდა მატარებელი და დაიწყო სხვადასხვა ცხოველებისა და ფრინ-

---

[1] უკაცრავად, ძვირფასო ამხანაგო, თქვენ ვიღაც ბოთე ხართ! მე ვიმღერებ იმას, რაც მსურს! (გერმ.).

ველების გამოჯავრება. უფრო მეტხანს აჯავრებდა მაშალს და მისი „ყიყლიყო“ ძალუმად გაისმოდა ეტლიდან.

რამდენიმე ხნით იგი საერთოდ არაჩვეულებრივად მოქმედი და დაუდეგარი გახდა. შეეცადა ეტლიდან გადამხტარიყო, თან. ყველა გამვლელს ხულგანს უწოდებდა. მერე ეტლიდან ცხვირსახოცი გადააგდო და დაიყვირა, შეჩერდით, ბარგი დავკარგეო. მერე ამბავის მოყოლა დაიწყო:

— ბუდეიოვიცეში ერთი მედოლე ცხოვრობდა. მან ცოლი შეირთო და ერთი წლის შემდეგ მოკვდა. — ფელდკურატმა უეცრად გადაიხარხარა: — განა ცუდი ანეკდოტია?

მთელი ამ ხნის განმავლობაში შვეიკი შეუბრალებელი სიმკაცრით ეპყრობოდა ფელდკურატს. მის ყოველ ცდაზე, რაიმე ოინბაზობა ჩაედინა, როგორც, მაგალითად, ეტლიდან გადმომხტარიყო ან დასაჯდომი დაემტვრია, შვეიკი ფერდებში მუშტებს უბაგუნებდა, რაზედაც ფელდკურატი მხოლოდ ლენჩივით აღებდა პირს. მარტო ერთხელ შეეცადა ფელდკურატი აჯანყებულიყო და ეტლიდან გადმოხტომა მოინდომა, აქაოდა, ნაცვლად ბუდეიოვიცისა პოდმოკლში მივდივართ, ეს კი მე არა მსურსო. მაგრამ შვეიკმა უმალვე ჩააქრო ჯანყი და ფელდკურატი აიძულა დაბრუნებოდა თავის პირვანდელ მდგომარეობას დასაჯდომზე, ოღონდ თვალყურს ადევნებდა, როგორმე არ დასძინებოდა.

ყველაზე თავაზიანი, რაც ამ დროის განმავლობაში შვეიკმა ფელდკურატის მიმართ წარმოთქვა, შემდეგი გახლდათ:

— არ დაიძინო, შე ძძრო!

უეცრად ფელდკურატი დანაღვლიანდა და ცრემლები წასკდა, თან შვეიკს ეკითხებოდა, დედა თუ გყავდაო.

— ობლად ვარ, ძმებო, ამქვეყნად, — მოთქვამდა იგი, — დამეხმარეთ, ჩემს თავს ნურავის დააჩაგვრინებთ, ტკბილი სიტყვა მაინც მითხარით!

— საქვეყნოდ თავი ნუ მომჭერი, ადამიანო, — ჭკუას არიგებდა შვეიკი, — გაჩუმდი, თორემ ხალხი იფიქრებს, გალეშილიაო.

— მე სრულებით არაფერი დამილევია, მეგობარო, — უპასუხა ფელდკურატმა. — სავსებით ფხიზელი ვარ!

უცბად წამოიწია, სამხედრო სალამი მისცა და წარმოთქვა: Ich melde gehorsam, Herr Oberst, ich bin besoffen. [1] მე ღორი ვარ! — ათჯერ მაინც გაიმეორა მან სასოწარკვეთილებით აღსავსე

---

1. მაქვს პატივი მოგახსენოთ, ბატონო პოლკოვნიკო, მთვრალი ვარ. (გერმ.)

გულახდილობით. შემდეგ შვეიკს მიუბრუნდა და ხელწნა დაუწყო, ავტომობილიდან გადამაგდეთ, თან რად მიგყავართო?

მერე დაჯდა და ადუდუნდა:

— „მთვარის ოქროს სხივებში“... თქვენ გწამთ, პანე კაპიტან, სულის უკვდავება? შეუძლია ცხენს ზეცაში მოხვდეს?

ფელდკურატმა ხმამაღლა გადაიხარხარა, მაგრამ ერთი წუთის შემდეგ ისევ მოიწყინა, აპათიურად შეხედა შვეიკს და წარმოთქვა:

— შაპატიეთ, ბატონო ჩემო, ჩვენ ერთმანეთს სადღაც შევხვედრივართ. ვენაში ხომ არ ყოფილხართ? სემინარიიდან მახსოვხართ.

ერთხანს ერთობოდა ლათინური ლექსების დეკლამაციით:

Aurea prima satast aetas, quae vindice nullo.[1]

— მერე აღარ გამომიდის, — თქვა მან. გადამაგდეთ აქედან, გეხვეწებით. რატომ არ გინდათ გადამაგდოთ? არაფერი მომივა! — მე მინდა ცხვირით დავეცე, — გადაჭრით განაცხადა მან. — ბატონო ჩემო, ძვირფასო მეგობარო, — განაგრძო მუდარით, წამითაქეთ ერთი თავში.

— ერთი გეყოფა, თუ რამდენიმე გინდა? — შეეკითხა შვეიკი.

— ორჯერ წამითაქეთ, ორჯერ.

— აჰა, მიიღე.

ფელდკურატი ხმამაღლა ითვლიდა, რამდენჯერ წაუთაქეს და ნეტარებით ილიმებოდა.

— ეს ძალიან უწყობს ხელს საჭმლის მონელებას, — თქვა მან.— ახლა სახეში მთხლიშეთ... დიდად გმადლობთ! — წამოიძახა მან, როცა შვეიკმა დაუყოვნებლივ შეუსრულა სურვილი. — მე სავსებით კმაყოფილი ვარ. ახლა ქილეტი შემომახიეთ.

იგი ათასნაირ სურვილს გამოთქვამდა. მოისურვა: ფეხი კოჭში მომტეხეთო, ხელი ყელში წამიჭირეთ და ცოტათი გამგუდეთო, ფრჩხილები დამაჭერითო, წინა კბილები დამაძერეთო, ერთი სიტყვით, მოწამეობისადმი უდიდესი მისწრაფება გამოამჟღავნა — მოითხოვდა, თავი წამაცალეთ, ტომარაში ჩააგდეთ და ვლტავაში * გადაუძახეთო.

— მე თავის ირგვლივ ძალიან მომიხდებოდა შარავანდედად შემოვლებული ვარსკვლავები *. კარგი იქნებოდა ათიოდე ცალი, — აღტაცებით წარმოთქვა მან.

მერე ლაპარაკი გაბა დოღის შესახებ, მაგრამ მალე ბალეტზე გადავიდა, ოღონდ ამაზეც დიდხანს არ შეჩერებულა.

---

[1] პირველი იყო ხანა ოქროსი, თავისუფალი ძალმომრეობისგან. (ოვიდიუს ნაზონი— „მეტამორფოზები“, წიგნი 1.)

— ჩარდაშს ცეკვავთ? — ჰკითხა შვეიკს. — იცით „დათვის ცეკვა“? აი ასე...

მან დააპირა შეხტომა, მაგრამ შვეიკს თავზე დაეცა. შვეიკმა საპასუხოდ ლაზათიანად ჩასცხო ფერდებში და დასაჯდომზე დააწვინა.

— მე რაღაცა მინდა, — ყვიროდა ფელდკურატი, — მაგრამ არ ვიცი, რა. თქვენ ხომ არ იცით, რა მინდა?

და ჩაჰკიდა თავი, თითქოს ბედისწერას სავსებით დაემორჩილაო.

— რაში მესაჭიროება ვიცოდე, თუ რა მინდა! — თქვა მან უეცრად სერიოზულად. — და თქვენც, ბატონო ჩემო, რა თქვენი საქმეა, მე რა მსურს. მე თქვენ არ გიცნობთ, როგორ ბედავთ, ასე დაშტერებით რომ მიყურებთ? ხმალში გიწვევთ!

იგი შეტევაზე გადავიდა და შეეცადა შვეიკი დასაჯდომიდან გადმოეგდო. მერე, როცა შვეიკმა დაამშვიდა და მოურიდებლად აგრძნობინა თავისი ფიზიკური უპირატესობა, ფელდკურატმა ჰკითხა:

— დღეს ორშაბათია თუ პარასკევი?

მერე მოისურვა გაეგო, ახლა დეკემბერი იყო თუ ივნისი. ერთი სიტყვით, არაჩვეულებრივი ნიჭი გამოიჩინა სულ ნაირნაირი კითხვების მიცემაში.

— ცოლიანი ხართ? გიყვართ გორგონზოლა? * ბაღლინჯოები თუ გყავთ ბინაში? როგორ ცხოვრობთ? თქვენს ძაღლს ქეცი თუ სჭირდა?

მერე, რაც გულში ედო, ყველაფერი წამოაყრანტალა: თქვა, რომ ნისიად მაქვს წამოღებული საცხენოსნო ჩექმები, მათრახი და უნაგირი, რომ ამ რამდენიმე წლის წინათ ჰონორეა სჭირდა და ჰიპერმანგანუმით მკურნალობდა.

— სხვა არაფერზე მიფიქრია, და არც დრო მქონდა... — თქვა მან სლოკინით. — იქნებ თქვენ ეს მეტისმეტად ძნელად გეჩვენებათ, მაგრამ ერთი მითხარით — ჰიკ! რა ვქნა! — ჰიკ! გთხოვთ, მაპატიოთ!

— ... თერმოსი, — განაგრძო მან, ის კი გადაავიწყდა, რაზე ლაპარაკობდა ამ ერთი წუთის წინ, — ეწოდება ჭურჭელს, რომელიც საჭმელს ან სასმელს უნარჩუნებს პირვანდელ ტემპერატურას... როგორია თქვენი შეხედულება, კოლეგა, რომელი თამაში უფრო პატიოსნურია — „ცხრის თამაში“ თუ „ოცდა ერთი“? ყველაფერს გეფიცებით, სადღაც მინახავხართ! — წამოიძახა მან, თან შეეცადა, მოხვეოდა შვეიკს და თავისი დორბლიანი ტუჩებით გადაეკოცნა. — ჩვენ ხომ სკოლაში ერთად დავდიოდით... შენ შესანიშნავი ყმაწვილი ხარ! — ლაპარაკობდა იგი და ხელით ნაზად ეფერებოდა საკუთარ ფეხს. — მერედა, რამოდენა გაზრდილხარ მას შემდეგ, რაც არ მინა-

ხაეხარ! როცა შენ დაგინახე, მთელი განვლილი ჭირ-ვარამი გადამავიწყდა.

ამ დროს პოეტურ გუნებაზე დადგა და ლაპარაკი დაიწყო ბედნიერ ქმნილებათა და მხურვალე გულთა მზის სინათლისადმი ლტოლვაზე. მერე მუხლებზე დაეცა და ლოცვას შეუდგა: „გიხაროდეს მიმადლებულო მარიამ“ და თან, რაც ძალა და ღონე ჰქონდა, ხარხარებდა.

როცა ეტლი გაჩერდა, ვერასგზით ფელდკურატი იქიდან ვერ გამოათრიეს.

— ჯერ არ მივსულვართ! — ყვიროდა იგი. — მიშველეთ! ჩემი მოტაცება სურთ! მინდა გზა განვაგრძო, ესენი კი არ მანებებენ!

საჭირო შეიქნა მისი, თუ შეიძლება ასე ითქვას, ეტლიდან გამოჩიჩქნა ისე, როგორც მოხარშულ ლოკოკინას გამოჩიჩქნიან ხოლმე ნიჟარიდან. კინაღამ შუაში გახლიჩეს ფელდკურატი, რადგან იგი მაგრად იყო მობღაუჭებული ფეხებით დასაჯდომს.

ფელდკურატი ხმამაღლა ხარხარებდა, დიდად კმაყოფილი იმით, რომ შვეიკი და მეეტლე ყინულზე გავაცურეო.

— თქვენ შუაში გამხლეჩთ, ბატონებო!

რის ვაივაგლახით იგი კიბეზე აიყვანეს, ოთახში შეათრიეს და ტომარასავით დააგდეს დივანზე. ფელდკურატმა განაცხადა, რომ მას ავტომობილი არ უქირავებია და ამიტომ არც ფულს გადავიხდიო. თხუთმეტ წუთზე მეტი დასჭირდათ დასარწმუნებლად, რომ მან ეტლით იმგზავრა და არა ავტომობილით. მაგრამ მაშინაც უარზე დადგა, ფულს არ გადავიხდი, რადგან მე მხოლოდ კარეტით მგზავრობას ვარ ჩვეულიო.

— თქვენ ჩემი მოტყუება გინდათ, — განაცხადა ფელდკურატმა, თან მრავალმნიშვნელოვნად თვალი ჩაუკრა შვეიკსა და მეეტლეს, — ჩვენ ხომ ფეხით მოვდიოდით.

უეცრად გულუხვობა გამოიჩინა და მეეტლეს ქისა გადაუგდო:

— სულ წაიღე! მე საშუალება მაქვს, რომ გადავიხადო. ჩემთვის ზედმეტი ერთი კრეიცერი არაფერს ნიშნავს!

უფრო სწორი იქნებოდა ეთქვა, რომ მისთვის ოცდათექვსმეტი კრეიცერი არაფერს ნიშნავს, რადგან ქისაში მეტი არ ჰქონდა. მეეტლემ ყველა ჯიბე გაუჩხრიკა ფელდკურატს, თან სილის გაწვნაზე ჩამოუგდო ლაპარაკი.

— შენც აიღე და, გამაწანი! — ურჩია ფელდკურატმა. — იქნებ გგონია, ვერ გავუძლებ? ხუთიოდე სილასაც გავუძლებ.

ჟილეტის ჯიბეში ფელდკურატს ხუთიანი აღმოაჩნდა, მეეტლემ ისიც წაიღო, თან გაჩენის დღეს იწყევლიდა და ფელდკურატს კრუ-

ლავდა, რომლის გულისთვის ტყუილუბრალოდ ამდენი დრო დაეკარგე და საშოვარსაც მოვცდიო.

ფელდკურატს ძილი ერეოდა, თან ათასნაირ გეგმებს აწყობდა. რა არ მოისურვა: როიალზე დაკვრა, ცეკვის გაკვეთილზე წასვლა და, ბოლოს, მოდი ერთი, თეატრს შევიწვავო.

მერე შვეიკს შეპირდა, ჩემს დას ცოლად მოგათხოვებო, და კი არასოდეს არ ჰყოლია. ბოლოს, სურვილი გამოთქვა, ჩემს საწოლზე გადამიყვანეთო და, სანამ დაიძინებდა, განაცხადა — ძალიან მინდა ჩემში იცნოთ ადამიანი — ღორის ტოლფასოვანი არსებაო.

III

დილით, როცა შვეიკი ფელდკურატის ოთახში შევიდა, დაინახა, რომ იგი, ღრმად დაფიქრებული, დივანზე იწვა. ეს რანაირად მოხდა, ვიღაცას ისე მაგრად გავუწუწივარ, რომ ტყავის დივანზე მიეწებებულვარო.

— მაქვს პატივი მოგახსენოთ, პანე ფელდკურატ, — უთხრა შვეიკმა, — თქვენ ღამით...

მან ფელდკურატს რამდენიმე სიტყვით გააგებინა, რომ იგი საზიკად ცდება, თუ ფიქრობს, ვიღაცას გავუწუწივარო.

ფელდკურატს გამოღვიძებისთანავე საშინელი თავის ტკივილი აუვარდა და ახლა უგუნებოდ იყო.

— ვერ გამიხსენებია, — თქვა მან, — რანაირად მოვხვდი საწოლიდან დივანზე?

— თქვენ არც ყოფილხართ საწოლზე. როგორც მოვედით, დივანზე დაგაწვინეთ — საწოლამდე ვეღარ მიგათრიეთ.

— რა ჩავიდინე? ხომ არ ამირეევია? მთვრალი ხომ არ ვიყავი?

— მთვრალიო?! ისეთი მთვრალი იყავით, რომ მუტრუკები კამეჩებად გეჩვენებოდათ და კამეჩები ბუზებად, როგორც იტყვიან ხოლმე. ისე გატიალებულიყავით ღვინით, რომ პირში ენა აღარა

გქონდათ. ჩემის აზრით, უკეთესი იქნება, თუ ტანთ გამოიცვლით და პირსაც დაიბანთ...

— მე ისეთი შეგრძნება მაქვს, თითქოს საშინლად ნაცემ-ნაბეგვი ვარ, — წუწუნებდა ფელდკურატი, — მერე კიდევ, ეს საშინელი წყურვილი რომ მკლავს... ხომ არავისთან მიჩხუბნია გუშინ?

—ჩხუბამდე საქმე არ მისულა, პანე ფელდკურატ. წყურვილი კი გამოწვეულია გუშინდელი წყურვილით. მისგან გათავისუფლება არც ისე იოლი ამბავია. მე ვიცნობდი ერთ ხუროს, ჰოდა, ეს ხურო ერთხელ, პირველად თავის სიცოცხლეში, საახალწლოდ დათვრა, ეს იყო ათას ცხრაას ათ წელს, პირველ იანვარს კი, დილიდანვე ისეთ წყურვილს გრძნობდა და ისე ცუდად შეიქნა, რომ იძულებული გახდა ქაშაყი ეყიდა და ისევ დამთვრალიყო; აქედან მოყოლებული იგი ყოველდღე, გადაბმით, მთელი ოთხი წელიწადი სულ სვამდა და სვამდა. ვერავინ ვერაფერი უშველა, რადგან შაბათობით წინასწარ ყიდულობდა ხოლმე ქაშაყს მთელი ერთი კვირის სამყოფს, ეს ნამდვილი კარუსელი გახლავთ, როგორც იტყოდა ხოლმე ჩვენი ოთხმოცდამეთერთმეტე პოლკის ძველი ფელდფებელი.

ნაქეიფარი ფელდკურატი საძაგელ ხასიათზე იყო, გულზე ნაღველი ჰქონდა შემოწოლილი. ამ დროს ვინმეს მისი მსჯელობა რომ მოესმინა, ეგონებოდა დოქტორ ალექსანდრ ბეტეკის * ლექციაზე მოვხვდიო, რომელიც შემდეგ თემას ანვითარებდა: „სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლა გამოვუცხადოთ ალკოჰოლის დემონს, რომელიც მუსრს ავლებს ჩვენს საუკეთესო ადამიანებს“, ანდა ეგონებოდა მის წიგნს „ეთიკის ას ნაპერწკალს“ ვკითხულობო, — თუმცა, რა თქმა უნდა, ზოგიერთი ცვლილებებით.

— მე მესმის, — ლაქლაქებდა ფელდკურატი, — როცა ადამიანი კეთილშობილ სასმელებს სვამს, ვთქვათ, არაყს, მარასკინს ან კონიაკს, თორემ ის რაა, გუშინ რომ ღვინის არაყს ვსვამდი! საზიზღარი გემო აქვს! ალუბლის ნაყენი მაინც ყოფილიყო. გამოიგონებს ადამიანი რაღაც სისაძაგლეს და წყალივით სვამს. ამ ღვინის არაყს არც გემო აქვს და არც ფერი, მხოლოდ ყელსა სწვავს ადამიანს. ნამდვილი ღვინის ნაყენი მაინც ყოფილიყო, ერთხელ მორავიაში რომ დამალევინეს. გუშინდელი კი რაღაც ხის სპირტზე თუ ხის ზეთზე იყო დაყენებული... ხედავთ, როგორ მაბოყინებს! არაყი — საწამლავია — გადაჭრით განაცხადა მან. — არაყი ნატურალური უნდა იყოს, ნამდვილი, და არავითარ შემთხვევაში ფაბრიკაში ნაწვალებ-ნაჯახირები, როგორც ეს ებრაელებმა იციან. ამ მხრივ არაყის მდგომარეობა ისეთივეა, როგორიც რომის, კარგი რომი კი — იშვიათია... ახლა ხელთ რომ მქონდეს ნამდვილი ნიგვზის ნაყენი, — ამოიხვნეშა

მან, — კუპს დამიამებდა. აი ისეთი ნიგვზის ნაყენი, კაპიტანი შნაბელი რომ შოულობს ხოლმე ბრუსკაში.

მან დაიწყო თავის ქისაში ქექვა.

— მე სულ ოცდათექვსმეტი კრეიცერი მაქვს. რა მოხდება, დივანი რომ გავყიდო... — მსჯელობდა იგი. — თქვენ როგორ ფიქრობთ, შვეიკ? იყიდის ვინმე? სახლის პატრონს ვეტყვი, სხვას ვათხოვე-თქო, ან მოუპარავთ-თქო. არა, დივანს ხელს არ ვახლებ. უკეთესი იქნება, კაპიტან შნაბელთან გაგაგზავნოთ, ას კრონს ვესესხები. გუშინწინ ბანქოს თამაშში მოიგო. თუ იქ არაფერი გამოგივიდათ, ვრშოვიცეში წადით, ყაზარმაში, პორუჩიკ მალერთან. თუ იქაც არაფერი გამოგივიდათ, მაშინ ჰრადჩანში * წახვალთ კაპიტან ფიშერთან. უთხარით, ცხენების საალაფო ფული აქვს დასაფარავი, რომელიც შემოეხარჯა-თქო. თუ, ღმერთი გაუწყრა, და იქაც ვერაფერს მიაღწიეთ, მაშინ როიალი დავაგირაოთ. რაც იქნება — იქნება! ორორ სიტყვას თვითეულ მათგანთან მიგიწერთ. შეეცადეთ დაარწმუნოთ. ყველას უთხარით, მეტისმეტად უპირს, უკაპიკოდ არის-თქო. ერთი სიტყვით, რაც გინდათ, ის უთხარით, ხელცარიელი კი არ გაბედოთ უკან მოსვლა, თორემ ფრონტზე გიკრავთ თავს. თან კაპიტან შნაბელს ჰკითხეთ, სად ყიდულობს იმ ნიგვზის ნაყენს, და ორი ბოთლი მიყიდეთ.

შვეიკმა ბრწყინვალედ შეასრულა ეს დავალება. მისი გულწრფელობა და პატიოსანი ადამიანის გამომეტყველება სრულ ნდობას იწვევდა და რასაც ლაპარაკობდა, ყველაფერს უჯერებდნენ. შვეიკმა უფრო ხელსაყრელად ჩათვალა არაფერი ეთქვა არც კაპიტან შნაბელისთვის, არც კაპიტან ფიშერისთვის, არც პორუჩიკ მალერისთვის იმის შესახებ, თითქოს ფელდკურატს ცხენების საალაფო ფული ჰქონდა დასაფარავი, გაცილებით უკეთესი იქნება, — გადაწყვიტა მან, — თუ ვიტყვი, რომ ფელდკურატს ალიმენტები აქვს გადასახდელი-თქო.

ფული მან ყველგან მიიღო.

როცა შვეიკი ასე ღირსეულად დაბრუნდა ექსპედიციიდან და ფელდკურატს, რომელსაც უკვე ტანსაცმელიც გამოეცვალა და ხელპირიც დაებანა, სამასი კრონი აჩვენა, იგი გაოცებული დარჩა.

— მე ერთბაშად წამოვიღე სულ მთლიანად, — უთხრა შვეიკმა, — რომ ხვალ ან ზეგ კიდევ არ დაგვჭირდეს ფულის საძებრად წანწალი. ყველაფერი კარგად მიდიოდა, მაგრამ კაპიტან შნაბელის წინაშე მუხლების მოდრეკა და ხვეწნა მომიხდა. ისეთი მამაძაღლი ვინმეა! საკმარისი იყო მეთქვა ალიმენტები გვაქვს გადასახდელი-თქო...

— ალიმენტები?! — თავზარდაცემული შეეკითხა ფელდკურატი

— დიახ, ალიმენტები, პანე ფელდკურატ, პირგასამცელელო ფული გოგოებს. თქვენ აკი მითხარით, რაც გინდათ, ისა თქვითო. სხვა არაფერი მომადგა ენაზე, და რა მექნა. ჩვენთან ერთი მკერავი ერთბაშად ხუთ გოგოს უხდიდა ალიმენტს. იგი პირდაპირ სასოწარკვეთილებაში იყო ჩავარდნილი და მასაც უხდებოდა ფულის სესხება. და წარმოიდგინეთ, ყველა შედიოდა მის მძიმე მდგომარეობაში... ჩვენმა ოფიცრებმა მკითხეს, როგორი გოგოაო. ძალიან კარგი, ჯერ თხუთმეტი წლისაც არაა-მეთქი, ყველას ასე ვეუბნებოდი. მისამართიც მკითხეს.

— კარგი მოუვიდა თქვენს თავს, კარგად კი მოგიგვარებიათ ეს საქმე! — ამოიოხრა ფელდკურატმა და ოთახში ბოლთას ცემა დაიწყო. — ვაი სირცხვილო! — წამოიძახა მან და თავზე ხელი იტაცა. — ეს ოხერი თავიც რომ მისკდება ტკივილისგან!

— მე ერთი ყრუ დედაბრის მისამართი მივეცი მათ. ის დედაბერი ჩვენს ქუჩაზე ცხოვრობს, — განუმარტა შვეიკმა. —მე მინდოდა საფუძვლიანად ჩამეტარებინა საქმე: ბრძანება — ბრძანებაა. არ შემეძლო ხელცარიელი წამოსვლა, ამიტომ რაღაც უნდა მეღონა. აი კიდევ რა: იქ, წინოთახში მოსული არიან როიალის ლომბარდში წასაღებად, პანე ფელდკურატ. ურიგო არ იქნება, თუ როიალს წაიღებენ. ადგილიც გათავისუფლდება, ფულიც მოგვემატება — ყოველ შემთხვევაში ცოტა ხნით მაინც ვიქნებით უზრუნველყოფილი. თუ სახლის პატრონი გამოკითხვას დაგვიწყებს, სად მიგაქვთ როიალიო, ვეტყვი, ინსტრუმენტს სიმები გაუწყდა და ფაბრიკაში ვაგზავნით სარემონტოდ-თქო. მეკარე ქალს ასედაც ვუთხარი, რომ არ გაუკვირდეს, როცა სახლიდან გატანილ როიალს საზიდარზე დაინახავს... მე დივანის მუშტარიც მყავს. ძველი ავეჯით მოვაჭრეა, ჩემი ნაცნობი გახლავთ. ნასადილევს შემოიელის. ამჟამად ტყავის დივანი დიდად ფასობს.

— სხვა კიდევ რა მამაძაღლობა გააკეთეთ, შვეიკ? — ჰკითხა სასოწარკვეთილებით ფელდკურატმა, თან ორივე ხელი თავზე ჰქონდა მიჭერილი.

— მაქვს პატივი მოგახსენოთ, პანე ფელდკურატ, სწორედ ისეთი ნიგვზის ნაყენი, რომელსაც კაპიტანი შნაბელი ყიდულობს ხოლმე, ნაცვლად ორი ბოთლისა ხუთი ვიყიდე, რომ ყოველთვის პატარა მარაგი მაინც გაგვაჩნდეს და დასალევი ხელში მოგვყვეს... ვეტყვი იმათ, წინოთახში როიალის წასაღებად რომ გველოდებიან, შემოვიდნენ, თორემ საცაა ლომბარდს დაკეტავენ...

ფელდკურატმა უიმედოდ ჩაიქნია ხელი, და რამდენიმე წუთის შემდეგ როიალს უკვე საზიდარზე ტვირთავდნენ.

როცა შვეიკი ლომბარდიდან დაბრუნდა, ფელდკურატი მაგიდას უჯდა და ნიგვზის ნაყენს შეექცეოდა, თან იგინებოდა, სადილად შეუწვავი შნიცელი შემომაჩეჩესო. ფელდკურატი ისევ ზარხოშად იყო. მან შვეიკს განუცხადა, ხვალიდან ახალ ცხოვრებას ვიწყებო, რადგან ალკოჰოლის სმა — დასაძრახისი მატერიალიზმია, ადამიანი კი სულიერ ცხოვრებას უნდა ეწეოდესო.

იგი დაახლოებით ნახევარ საათს ფილოსოფოსობდა. როცა მესამე ბოთლი გახსნა, ძველი ავეჯით მოვაჭრეც მოვიდა. და ფელდკურატმა ჩალის ფასად მიყიდა მას დივანი, ამასთანავე ეხვეწებოდა ვაჭარს, დაჯექით და ვიმუსაიფოთო, მაგრამ ვაჭარმა მოიმიზეზა, ღამის პატარა მაგიდის საყიდლად მივდივარ და არა მცალიანო, რითაც ფელდკურატი დიდად ნაწყენი დარჩა.

— სამწუხაროა, რომ ასეთი ავეჯი არა მაქვს! — გულდაწყვეტით წარმოთქვა ფელდკურატმა. — ძნელია, ადამიანმა ყველაფერზე წინასწარ იზრუნოს.

ძველი ავეჯით მოვაჭრის წასვლის შემდეგ, ფელდკურატმა მეგობრული ბაასი გაუბა შვეიკს, და მასთან ერთად მეოთხე ბოთლი შესვა. საუბრის ნაწილი მიეძღვნა ფელდკურატის დამოკიდებულებას ქალებისა და ბანქოსადმი. დიდხანს ისხდნენ. უკვე საღამომ მოატანა შვეიკისა და ფელდკურატის მეგობრულ მუსაიფში.

მაგრამ ღამით მათი ურთიერთობა შეიცვალა. ფელდკურატი გუშინდელ მდგომარეობაში ჩავარდა შვეიკი ვიღაცა სხვად შეიცნო და უთხრა:

— ოღონდ არ წახვიდეთ. გახსოვთ საინტენდანტოს ის მწითური ბუნკერი?

ეს იდილია გაგრძელდა, სანამ შვეიკმა არ უთხრა ფელდკურატს:

— კმარა! ახლა შეძვერი შენს ლოგინში და ხვრინვა ამოუშვი! გასაგებია?

— შევძვრები, გენაცვალე, შევძვრები... აბა, როგორ არ შევძვრები? — ბუტბუტებდა ფელდკურატი. — გახსოვს, ერთად რომ ესწავლობდით მეხუთე კლასში და შენს მაგივრად ბერძნულ სამუშაოებს ვასრულებდი? თქვენ ხომ ვილა გაქვთ ზბრასლავში *. იქ შეგიძლიათ ვლტავაზე ხომალდით მიხვიდეთ. იცით, რა არის ვლტავა?

შვეიკმა აიძულა ფელდკურატი გაეხადა ფეხსაცმელები და ტანსაცმელი. ფელდკურატმა პროტესტით მიმართა უხილავ მსმენელებს, მაგრამ ბოლოს მაინც დამორჩილდა.

— ხომ ხედავთ, ბატონებო, — მიმართა მან კარადასა და ფიკუსს, — როგორ მეპყრობიან ნათესავები!

— არავითარ ნათესავებს მე არა ვცნობ! — უეცრად გადაჭრით განაცხადა მან, როცა ლოგინში წვებოდა. — მთელი ზეცა და დედამიწა ჩემს წინააღმდეგ რომ აღსდგეს, მაშინაც უარს ვიტყოდი ძათ-ზე!

და ოთახში გაისმა ფელდკურატის მაგარი ხვრინვა.

IV

ამ პერიოდს ეკუთვნის შვეიკის ვიზიტი საკუთარ ბინაში თავისი მოხუცი მსახური ქალის პანი მიულერის მოსაკითხავად. შვეიკს შინ დახვდა პანი მიულერის ბიძაშვილი, რომელმაც ტირილით აცნობა, პანი მიულერი იმ დღესვე დააპატიმრეს, როცა თქვენ ხელურიკათი გასაწვეე პუნქტში წაგიყვანათო. დედაბერი სამხედრო სასამართლომ გაასამართლა და ვინაიდან ვერაფერი დაუმტკიცეს, შტეინპოფის საკონცენტრაციო ბანაკში მოათავსესო. მისგან უკვე წერილიც მივიღეთო. შვეიკმა ხელში აიღო ეს საოჯახო წმიდა ნივთი და წაიკითხა:

„ძ ვ ი რ ფ ა ს ო ა ნ უ შ კ ა!

ჩვენ აქ კარგად ვართ, და ყველანი ჯანმრთელად ვგრძნობთ თავს. ჩემს მეზობლად წევს ერთი ქალი პარტახტით... არის შავითაც... დანარჩენი ყველაფერი თავის რიგზეა. საუმელი საკმაოდ გვაქვს და სუპისთვის ვაგროვებთ კარტოფილის... გავიგე, რომ პან შვეიკი უკვე... როგორმე მოახერხე იმის გაგება, სად არის მიბარებული მაწას, რომ ომის შემდეგ შევძლოთ მისი საფლავის მორთვა. დამავიწყ-

და შენთვის მეთქვა, რომ სხვენზე ბნელ კუნჭულში ყუთში დარჩა ფოკსტერიერის ლეკვი. აი აგერ უკვე რამდენი კვირა იქნება, ლეკვს არაფერი უჭამია, — იმის შემდეგ, რაც ჩემს... მოვიდნენ. მე მგონია, უკვე გვიანღაა და ლეკვმა... გაჭიმა".

მთელი ფურცელი გადასერილი იყო ვარდისფერი შტემპელით:

„შემოწმებულია ცენზურის მიერ. შტეინჰოფის საიმპერატორო-სამეფო საკონცენტრაციო ბანაკი".

— და მართლაც, ლეკვი უკვე მომკედარიყო! — სლუკუნებდა პანი მიულერის ბიძაშვილი. — თქვენს ოთახს ვეღარც იცნობთ. იქ ახლა მკერავი ქალები ცხოვრობენ. ქალების სალონი გახსნეს, კედლებზე ყველგან მოდებია ჩამოკიდებული, ფანჯრებზე ყვავილები დგას ქოთნებით.

პანი მიულერის ბიძაშვილი ვერასგზით ვერ დამშვიდდა. სლუკუნითა და წუწუნით ბოლოს, გამოთქვა შიში, რომ შვეიკი უთუოდ გამოქცეულია სამხედრო სამსახურიდან და ახლა ხათაბალაში გახვევს და დაღუპავს მას. შემდეგ ლაპარაკი დაუწყო შვეიკს, როგორც გაქნილ ავანტიურისტს.

— სეირი თუ გნებავთ, ესაა! — თქვა შვეიკმა. — ამას არ უყურებთ, რა ამბებია ყოველივე ეს ძალიან მომწონს. აი რა, პანი კეირეოვა, თქვენ სავსებით მართალი ბრძანდებით, მე გამოქცეული ვარ. მაგრამ ამისთვის დამჭირდა თხუთმეტი ვახმისტრისა და ფელდფებლის მოკვლა. ოღონდ ამის შესახებ სიტყვა არავისთან დაგცდეთ.

და შვეიკმა დატოვა თავისი კერა, რომელიც მას ასე ცივად შეხვდა, წასვლის წინ დაიბარა:

— პანი კეირეოვა, საცვლების კარადაში საყელოები და პერანგის გულისპირები მიწყვია; ისინი როგორმე შემინახეთ, სამხედრო სამსახურიდან დაბრუნების შემდეგ სამოქალაქო ტანსაცმელში გამოწყობის შესაძლებლობა რომ მომეცეს. თვალყური ადევნეთ აგრეთვე, ტანსაცმლის კარადაში დაკიდებული ჩემი კოსტიუმები არ დაირჩილოს. იმ ქალიშვილებს კი, ჩემს ლოგინში რომ სძინავთ, გთხოვთ ჩემი სალამი გადასცეთ.

შვეიკმა სამიკიტნო „უ კალიხაშიც" შეიხედა. პალიეეცის ცოლმა როგორც კი დაინახა, განუცხადა, ლუდს არ ჩამოგისხამ, რადგან შენ, უთუოდ, დეზერტირი ხარო.

— ჩემი ქმარი, — შეუდგა იგი ძველი ამბის ღეჭვას, — ისეთი ფრთხილი იყო, მაგრამ ის ბედშავი მაინც ჩასვეს სულ ტყუილუბრალოდ. თქვენისთანები კი თავისუფლად დასეირნობენ ამქვეყნად, სამხედრო სამსახურიდან იპარებიან. გასულ კვირას თქვენ ისევ გეძებდნენ... ჩვენ თქვენზე უფრო ფრთხილი ვართ, — დაასრულა მან.

თავისი სიტყვა, — მაგრამ მაინც გავებით ხიფათში. ყველას თქვენ-საკით როდი წყალობს ბედი.

ამ ლაპარაკს უსმენდა ერთი ხანში შესული მამაკაცი, სმიხოველი ზეინკალი. იგი მივიდა შვეიკთან და უთხრა:

— გეთაყვა, პანე, ქუჩაში დაჰელოდეთ, თქვენთან საქმე მაქვს.

ქუჩაში იგი შვეიკს გამოელაპარაკა, რადგან, როგორც პალივეცის ცოლის ნათქვამიდან დაასკვნა, შვეიკი დეზერტირი უნდა ყოფილიყო. მან აცნობა შვეიკს, ვაკი მყავს. რომელიც თქვენსავით სამხედრო სამსახურიდან გამოიპარა და ახლა იპსენში, იოზეფოვეს მახლობლად ბებიასთან იმყოფებაო. შვეიკი არწმუნებდა, არავითარი დეზერტირი მე არა ვარო, მაგრამ ზეინკალმა მის ნათქვამს ყურიც არ ათხოვა და ხელში ათი კრონი ჩაუბღუჯა.

— ეს პირველ ხანებში გამოგადგებათ, — უთხრა მან შვეიკს და კუთხეში მდებარე ღვინის სარდაფში ჩაიყვანა. — მე თქვენ სავსებით გითანაგრძნობთ, ჩემი შიში სრულებით ნუ გექნებათ.

შვეიკი შინ გვიან ღამით დაბრუნდა. ფელდკურატი ჯერ არ მოსულიყო. იგი მხოლოდ გათენებისას დაბრუნდა, გაღვიძა შვეიკი და უთხრა:

— ხვალ საველე წირვის გადასახდელად მივდივართ. გამიმზადეთ შავი ყავა რომით... თუმცა არა, უკეთესი იქნება, გროგი მომიხარშოთ.

თავი XI

შვეიკი და ფელდკურატი საველე წირვა-ლოცვის გადასახდელად მიდიან

I.

ადამიანთა საიქიოს გასასტუმრებლად სამზადისი ყოველთვის ღვთის ან ადამიანის ფანტაზიით შექმნილი რომელიმე სხვა უზენაესი არსების სახელით ხდებოდა.

ძველი ფინიკიელები, ვიდრე ტყვეს ყელს გამოღადრავდნენ, საზეიმო წირვა-ლოცვას გადაიხდიდნენ ხოლმე. ზუსტად ასევე იქცეოდნენ რამდენიმე ათასი წლის შემდეგ ახალი თაობები, როცა ომში მიდიოდნენ ცეცხლითა და მახვილით მოწინააღმდეგის გასანადგურებლად.

გვინეის კუნძულებზე და პოლინეზიაში კაციჭამიები ტყვეების ანდა არადმაქნისი ადამიანების: მისიონერების, მოგზაურების, სხვადასხვა ფირმის კომივოიაჟერებისა და უბრალოდ ცნობისმოყვარეების საზეიმოდ შესაჭმელად მსხვერპლს სწირავენ თავის ღმერთებს და ამ დროს მრავალნაირ რელიგიურ წესს ასრულებენ. მაგრამ რამდენადაც ისინი ჯერ არ ზიარებულან საეკლესიო შესამოსელის

კულტურას, ასეთ ზეიმურ შემთხვევებში უკანალები მორთული აქვთ ხოლმე გარეულ ფრინველთა ფერად-ფერადი ფრთებისგან ცოცხისებრ შეკრული თაიგულებით.

წმიდა ინკვიზიცია, ვიდრე თავის გაუბედურებულ მსხვერპლს ცეცხლზე დასწვავდა, საზეიმო წირვას გადაიხდიდა, დიდ მესას შეასრულებდა საგალობელით.

სიკვდილმისჯილს ყოველთვის მიაცილებს ხოლმე სიკვდილის კარამდე მღვდელი, რომელიც მსჯავრდადებულს უკანასკნელ წუთებს უშხამავს.

პრუსიაში პასტორი თავს ადებინებდა უბედურ ბრალდებულს საჯალათო კუნძზე, ავსტრიაში კათოლიკეთა მღვდელს აყავდა იგი სახრჩობელაზე, საფრანგეთში კი — გილიოტინაზე, ამერიკაში მღვდელი ელექტრონის სკამზე სვამდა ბედშავს, ესპანეთში კი — სავარძელში, რომელიც ბრალდებულის გასაგუდავად უცნაური ხელსაწყოებით იყო აღჭურვილი, რუსეთში — წვეროსანი ხუცესი მიაცილებდა რევოლუციონერებს სასჯელის ადგილამდე და ა. შ. ამასთანავე მღვდელმსახურები ცხვირში ჩრიდნენ მსჯავრდადებულს ჯვარცმას, და ამით თითქოს ეუბნებოდნენ: „შენ, სულ ბევრი, თავს მოგკვეთენ, ან მხოლოდ ჩამოგახრჩობენ, გაგგუდავენ, ანდა შენს სხეულში თხუთმეტი ათას ვოლტს გაატარებენ, — მაგრამ ყოველივე ეს განა შეედრება იმას, რაც ჩვენმა ქრისტე-ღმერთმა განიცადაო!“

დიდ ხოცვა-ჟლეტასაც — მსოფლიო ომს — მღვდელმსახურთა ლოცვა-კურთხევა ახლდა თან. ყველა არმიის პოლკის მღვდლები ეევედრებოდნენ ღმერთს და ლოცულობდნენ იმათ გამარჯვებაზე, ვისგანაც დაქირავებული იყვნენ. მღვდელი ესწრებოდა ავსტრიის არმიაში აჯანყებულ ჯარისკაცთა სიკვდილით დასჯას; მღვდელს დაინახავდით ჩეხ ლეგიონერების დასჯის დროსაც.

არაფერი გამოცვლილა იმის შემდეგ, რაც ყაჩაღი ვოიტეხი „წმიდანად“ შერაცხული, მახვილით — ერთ ხელში და ჯვარცმით — მეორეში, მუსრს ავლებდა ბალტიისპირა სლავებს.

მთელს ევროპაში ადამიანები პირუტყვებივით მიდიოდნენ სასაკლაოზე, საითაც მათ ყასაბ-იმპერატორების, მეფეების, პრეზიდენტების, სარდლებისა და სხვა მბრძანებლების მხარდამხარ ერეკებოდნენ ყველა რჯულის მღვდელმსახურები, რომლებიც ლოცვა-კურთხევით აიძულებდნენ ყალბი ფიცის დადებას „ხმელეთზე, ჰაერში, ზღვაზე“ და ა. შ...

საველე წირვა-ლოცვას ორჯერ იხდიდნენ: როცა სამხედრო ნაწილი ფრონტზე იგზავნებოდა და შემდეგ მოწინავე ხაზზე, სისხლიანი ხოცვა-ჟლეტის წინადღით, სიკვდილის წინ.

მახსოვს, ერთხელ პოზიციებზე საველე წირვის დროს მტრის თვითმფრინავმა ბომბი გადმოაგდო. ბომბი პირდაპირ სალაშქრო საკურთხეველს მოხვდა და ჩვენი სამხედრო ხუცესისგან სისხლში ამოთხვრილი ჩერებიღა დარჩა. გაზეთები მის შესახებ წერდნენ, როგორც წამებულზე, ამ დროს კი ჩვენი თვითმფრინავები იმავე ხერხით ცდილობდნენ გაეთქვათ სახელი მტრის მღვდლებისთვის.

ჩვენ ბოროტად დავცინოდით ყოველივე ამას. მიწაში დროებით ჩასობილ ჯვარზე, რომლის ქვეშ დაკრძალული იყო ის, რაც ჩვენი ხუცესისგან დარჩა, მეორე დილით ვაჩნდა ასეთი ეპიტაფია:

ვაი, რომ აგვისრულდა, ჩვენი წერა რაც იყო:
ზენამ ასე განსაჯა, და ბედმაც ეს რა გიყო,
შენს მელოტს გადმოეფრქვა, ღვთის წყალობა ყოველი,
შენგან კი მარტოოდენ ლაქა დარჩა სოველი.

II

შვეიკმა შესანიშნავი გროგი მოხარშა, გაცილებით უკეთესი, ვიდრე ძველი მეზღვაურები ხარშავდნენ. ასეთ გროგს მეთვრამეტე საუკუნის მეკობრეც კი სიამოვნებით გაუსინჯავდა გემოს.

ფელდკურატი ოტო კატცი აღტაცებული იყო.

— სად და როდის ისწავლეთ ასეთი შესანიშნავი სასმელის დამზადება? — ჰკითხა მან.

— ჯერ კიდევ უგზო-უკვლოდ რომ დავეხეტებოდი ამქვეყნად, — უპასუხა შვეიკმა. — ეს ერთმა გალოთებულმა მატროსმა მასწავლა ბრემენში. იგი იტყოდა ხოლმე, გროგი მაგარი უნდა იყოს. ვინც იმას დალევს და გამოთვრება, ლა-მანშს ისე გადასცურავს, ვერც კი გაიგებსო. სუსტი გროგით დამთვრალი ლეკვივით დაიხრჩობაო.

— ასეთი გროგის შემდეგ, შვეიკ, სასიამოვნო იქნება საველე წირვის გადახდა, — მსჯელობდა ფელდკურატი. — მე ვფიქრობ, წირვის წინ რამდენიმე გამოსათხოვარი სიტყვით გზა დავულოცო ჯარს. საველე წირვა — ხუმრობა როდია. არ გეგონოთ, რომ ეს იგივეა, თითქოს საგარნიზონო საპატიმროში წირვა გადაგეხადოს, ან იმ გაიძვერებისთვის ქადაგება წაგეკითხოს. აქ თავი უნდა გებას მხრებზე! მომცრო, ასე ვთქვათ, დასაკეცი, საკურთხეველი ჩვენ გვაქვს.... ღმერთო ჩემო! — თავზე იტაცა ხელი. — მთლად გამოგვაჩერჩეტა გამჩენმა! იცით, სად მქონდა შენახული ის დასაკეცი საკურთხეველი? დივანში, რომელიც გაყიდეთ!

— აი, ხათაბალა თუ გინდათ, ესაა, პანე ფელდკურატ! — უთხრა შვეიკმა. — მართალია, ძველი ავეჯით იმ მოვაჭრეს მე ვიცნობ, მაგრამ გუშინწინ მისი მეუღლე შემხვდა და მითხრა, — განჯინის მოპარვა დასწამეს და ჩასვესო. ჩვენი დივანი კი ვრშოვიცელ ერთ მასწავლებელს შეუძენია. დიახ, ამ საკურთხევლის გამო რაღაც დიდი დავიდარაბა მოგველის. მოდით, დავლიოთ კიდევ გროგი და წავიდეთ ამ საკუთხეველის საძებრად, ვინაიდან, უიმისოდ, ვფიქრობ, წირვის გადახდა შეუძლებელია.

— მარტო სალაშქრო საკურთხეველი გვაკლია, — წარმოთქვა შეფიქრიანებულმა ფელდკურატმა. — ყველაფერი დანარჩენი სასწაველო. მოედანზე უკვე მზადაა. ხუროებმა უკვე შეკრეს ფიცარნაგი. სანაწილეს ბრეკენში გვათხოვებენ. ბარძიმი სადღაც უნდა მქონდეს, მაგრამ სად უნდა იყოს ის?..

იგი ჩაფიქრდა.

— დავუშვათ, რომ დამეკარგა... ამ შემთხვევაში ვინათხოვრებთ საპრიზო თასს სამოცდამეთხუთმეტე პოლკის პორუჩიკ ვიტინგერისგან. რამდენიმე წლის წინათ იგი კლუბ „სპორტ-ფავორიტისგან“ სირბილში მონაწილეობდა და ეს თასი მოიგო. შესანიშნავი მორბენალი იყო! ორმოცი კილომეტრი — მანძილი ვენა-მედლინგი — ერთ საათსა და ორმოცდარვა წუთში დაფარა. ამით მას ყოველთვის თავი მოჰქონდა. გუშინ ყოველ შემთხვევისათვის მოველაპარაკე მას ამ თასის შესახებ... მე, სულელი, მუდამ უკანასკნელი წუთებისთვის გადავდებ ხოლმე საქმეს! ეს როგორ მოხდა, რომ მე, ტუტუცმა, დივანში არ ჩავიხედე! — და ლოთი მატროსის რეცეპტით დამზადებული გროგით შეზარხოშებული ფელდკურატი შეუდგა თავისი თავის ლანძღვას უკანასკნელი სიტყვებით და თავისი ვინაობა სულ რჩეულ-რჩეული გამოთქმებით დაასურათა.

— ბოლოს და ბოლოს აღარ უნდა წავიდეთ იმ სალაშქრო საკურთხეველის საძებრად! — ხმა აღიმაღლა მოთმინებიდან გამოსულმა შვეიცმა. — უკვე დილაა. ჩავიცვათ სამხედრო ფორმა, გადავკრათ კიდეე თითო სასმისი წასვლის წინ და გავსწიოთ.

ბოლოს, როგორც იქნა, წავიდნენ. გზაში, ძველი ავეჯით მოვაჭრის ცოლთან რომ მიდიოდნენ, ფელდკურატმა უამბო შვეიცს, გუშინ „ღვთის წყალობით“ ბევრი ფული მოვიგე და შემდეგშიც ბედმა თუ ასე გამიღიმა, ლომბარდიდან როიალს გამოვისყიდიო. ეს ნათქვამი გავდა წარმართების დაპირებას მსხვერპლის შეწირვაზე.

ძველი ავეჯით მოვაჭრის ცოლისგან, რომელიც ლოგინიდან წამოაყენეს, ფელდკურატმა და შვეიცმა გაიგეს ვრშოვიცელი მასწავლებლის, დივანის ახალი პატრონის მისამართი. ფელდკურატმა არაჩვეულებრივი თავაზიანობა გამოიჩინა: ქალს ლოყაზე უჩქმიტა და ნიკაპზე ხელი მოუცაცუნა.

ვრშოვიცამდე ფელდკურატი და შვეიკი ფეხით მიდიოდნენ, რადგან ფელდკურატმა განაცხადა, სუფთა ჰაერზე მინდა გავიარო, რომ ცოტათი გული გადავაყოლოო.

ვრშოვიცეში ღვთისმოშიში მოხუცი მასწავლებლის ბინაში მათ არასასიამოვნო სიურპრიზი ელოდათ. მოხუცმა დივანში სალაშქრო საკურთხეველი რომ ნახა, გაიფიქრა, ეს ღვთის განგებაოო, და საკურთხეველი ვრშოვიცეს ეკლესიას შეწირა, ოღონდ იმ პირობით, რომ საკურთხეველის შიგნითა მხარეზე გაეკეთებინა შემდეგი წარწერა:

„შეწირულია ღვთის სადიდებლად სამსახურიდან გადამდგარ მასწავლებლის კოლარჟიკის მიერ 1914 წელს ქრისტეს დაბადებიდან“.

მასწავლებელი ჯერ ისევ ქვედა საცვლების ამარა იყო, როცა შვეიკი და ფელდკურატი თავს წაადგნენ. მოხუცი მთლად დაიბნა. მასთან საუბრიდან გამოირკვა, რომ ნაპოვნ ნივთს იგი სასწაულად თელიდა და მასში ღვთის განგებას ხედავდა. როცა მან დივანი იყიდა, რომელიღაც შინაგანმა ხმამ ჩასძახა მას: „ერთი ჩაიხედე, ხომ არაფერია დივნის ყუთშიო?“ ძილში კი მას თითქოს ანგელოზი გამოეცხადა და უბრძანა: „დივნის ყუთს თავი ახადეო! „მასწავლებელი დაემორჩილა. როცა მან მინიატიურული დასაკეცი საკურთხეველი დაინახა სანაწილეს ნიშნით, ბუხლი მოიყარა დივანთან და დიდხანს მხურვალედ ლოცულობდა და ღვთის სახელს ადიდებდა. მასწავლებელმა ამაში უზენაესი ძალის მითითება დაინახა — შეემკო ნაპოვნი საკურთხეველით ვრშოვიცეს ეკლესია.

— ყოველივე ეს ჩვენ ნაკლებად გვაინტერესებს, — განაცხადა ფელდკურატმა. — ეს ნივთი თქვენ არ გეკუთვნოდათ და ვალდებული იყავით ის პოლიციისთვის ჩაგებარებინათ და არა რომელიღაც წყეულ სამოსსაცავში შეგეჩხირათ.

— ამ სასწაულმა უსიამოვნება კი არ დაგატეხოთ თავს, — ჩაურთო შვეიკმა.—თქვენ დივანი იყიდეთ და არა საკურთხეველი. საკურთხეველი — სამხედრო ქონებაა. ეგ ღვთის ნიშანი შეიძლება ძვირად დაგიჯდეთ! საჭირო არ იყო რაღაც ანგელოზებისთვის ყურადღების მიქცევა. ერთმა კაცმაც, ზჰორჟელმა გლეხმა, ხვნის დროს მიწაში ჩაფლული ბარძიმი იპოვა. ვიღაცას მოეპარა და დროებით, ალიაქოთი სანამ მიწყნარდებოდა, მიწაში ჩაემალა. და აი, ამ ზჰორჟელმაც ნაპოვნ ბარძიმში ღვთის განგება დაინახა და ნაცვლად იმისა, რომ ბარძიმი გადაედნო, მღვდელს წაუღო, — ეკლესიას ვინდა შეეწიროო. მღვდელმა კი გაიფიქრა, მკრეხელი ჩემთან სინდისის ქენჯნამ მოიყვანაო, და მამასახლისი იხმო, მამასახლისმა ჟანდარმებს გამოუძახა და უდანაშაულო გლეხს მკრეხელობა წაუყენეს ბრალდებად, ვინაიდან სასამართლოში სულ რაღაც სასწაულზე ლაყბობდა. მას უნდოდა თავი გაემართლებინა და რომელიღაც ანგელოზზე ლაპარაკობდა, მერე ღვთისმშობელიც ზედ მიაყოლა; ყოველივე ამის შემდეგ კი მას ათი წელი აჰკიდეს. ყველაზე უკეთესი იქნება, თუ აქაურ მღვდელთან წამოხვალთ და სახაზინო ქონების უკან დაბრუნებაში დაგეხმარებით. საველე საკურთხეველი კატის კნუტი ან ბაჭია არ გეგონოთ, რომელსაც, ვისაც გინდათ, იმას უთაევაზებთ.

მოხუცი ტანთ იცვამდა და თან მთელი სხეულით კანკალებდა, კბილს კბილზე აცემინებდა.

— ყველაფერს ვფიცავ, ცუდი რამ აზრადაც არ მომსვლია. მეგონა, ამ ღვთიური საჩუქრით ხელს შეეუწყობდი ჩვენი ღარიბი ეკლესიის შემკობას ვრშოვიცეში.

— ცხადია, სამხედრო ხაზინის ხარჯზე! — შეაწყვეტინა შვეიცმა მკაცრად და მოურიდებლად. — დიდი მადლობა მომიხსენებია ასეთი ღვთიური საჩუქრისთვის! ერთმა ვიღაც ხოტებეორეელ პიეონკამაც ღვთის მიერ ნაბოძებ საჩუქრად ჩათვალა თოკი და მასზე გამობმული სხვისი ძროხა, როცა ამ თოკს მაგრად ჩაავლო ხელი.

ბედშავ მოხუცს რეტი დაასხა ასეთმა ლაპარაკმა, იგი თავს აღარ იცავდა და ცდილობდა სასწრაფოდ ჩაეცვა, რომ ამ საქმეს რაც შეიძლება მალე გადარჩენილიყო.

ვრშოვიცელ ფარარს * ჯერ ისევ ეძინა და, როცა გააღვიძეს, წყევლა-კრულვას მოჰყვა, რადგან ნამძინარევზე ეგონა მომაკვდავის საზიარებლად მეძახიანო.

— მოსვენებას არ მოგცემენ ადამიანს ამ ზეთის კურთხეეით! — ბუზღუნებდა იგი და უხალისოდ იცვამდა. — რაღა იმ დროს მოუნდებათ სიკვდილი, როცა ეს-ესაა კაცს გემრიელად ჩაგეძინება! მერე ადექი და, ეღრიტინე მათ გასაძრჯელოზე.

ამრიგად, წინოთახში ერთმანეთს შეხვდნენ ვრშოვიცელ კათოლიკ ერისკაცთა მრევლზე მიმაგრებული ღვთის წარმომადგენელი, ერთის მხრივ, და სამხედრო უწყებაზე მიმაგრებული ღვთის წარმომადგენელი, მეორეს მხრივ.

კაცმა რომ თქვას, ეს იყო დავა სამოქალაქოსა და სამხედროს შორის. თუ სამრევლო ხუცესი ამტკიცებდა, რომ სალაშქრო საკურთხეველს არ შეეფერება დივანში მოთავსებაო, სამხედრო ხუცესი მიუთითებდა, რომ მით უმეტეს სრულებით საჭირო არ იყო დივნიდან მისი ამოღება და იმ ეკლესიის სამოსსაცავში გადატანა, რომელშიც მხოლოდ სამოქალაქოები დადიანო.

შვეიკი აქა-იქ ჩაურთავდა ხოლმე თავის შენიშვნებს, მაგალითად, ძალიან ადვილი გახლავთ ღატაკი ეკლესიის გამდიდრება სახაზინო სამხედრო ქონების ხარჯზეო, ამასთანავე, სიტყვა „ღატაკს“ იგი თითქოს ბრჭყალებში ამბობდა.

ბოლოს, შევიდნენ სამოსსაცავში, და ფარარმა ფელდკურატს სალაშქრო საკურთხეველი გადასცა შემდეგი შინაარსის ხელწერილის ქვეშ:

„მივიღე სალაშქრო საკურთხეველი, რომელიც შემთხვევით მოხ-

ედა ვრშოვიცეში მდებარე ეკლესიაში. ფელდკურატი ოტო კატეი".

უბადაღებული სალაშქრო საკურთხეველი ვენის ებრაული ფირმის მორიც მალერის ნახელავი იყო; ეს ფირმა ღვთის მსახურებისა და რელიგიური ყამნგულანისთვის ყოველგვარ საჭირო ნივთს ამზადებდა, როგორიცაა: კრიალოსნები, წმიდანთა პატარა ხატები. საკურთხეველი ყალბი ვარაყით დაფარული სამი დარაბისგან შედგებოდა, ისეთივე ყალბით, როგორი ყალბიც და მოჩვენებითი იყო წმიდა ეკლესიის მთელი სახელი და დიდება. მხოლოდ მოკარბებული ფანტაზიის პატრონს შეეძლო დაედგინა, სახელდობრ, რა იყო გამოსახული ამ სამ დარაბაზე. ცხადი იყო მხოლოდ ერთი, — ეს საკურთხეველი თავისუფლად შეეძლოთ გამოეყენებინათ ზამბეზის წარმართებსაც, ან ბურიატებისა და მონღოლების მოგვებსაც. მყვირალა საღებავებით შეთითხნილი ეს საკურთხეველი შორიდან ფერადი ცხრილი გეგონებოდათ, რომელსაც რკინიგზელთა მხედველობის შესამოწმებლად იყენებენ.

გამოიყოფოდა მხოლოდ რომელიღაც ტანშიშველი მამაკაცის ერთი ფიგურა, რომელსაც შარავანდედით ჰქონდა მოსილი თავი და სხეული ისე გალურჯებოდა, თითქოს თქვენს წინ აყროლებული და გახრწნილი ბატის გავა იდო. თუმცა ამ წმიდანს არავინ არაფერ ცუდს არ უპირებდა, პირიქით, ორთავე მხრიდან ორი ფრთიანი არსება ყავდა გამოსახული, რომლებიც ალბათ, ანგელოზები თუ იყვნენ, — და მაინც მაყურებელზე სურათი ისეთ შთაბეჭდილებას ახდენდა, თითქოს შიშველი წმიდანი საშინელებისგან ბღაოდა, როცა ირგვლივ თავის კომპანიონებს ხედავდა: საქმე ისაა, რომ ანგელოზები ზღაპრულ ურჩხულებს წააგავდნენ, რაღაც საშუალოს — ფრთიან გარეულ კატასა და აპოკალიფსურ ურჩხულს შორის.

საკურთხეველის მოპირდაპირე სადგულზე ხატი იყო, რომელსაც უნდა გამოესახა სამება. მტრედის გაფუჭება საერთოდ მხატვარს მაინცდამაინც ვერ მოეხერხებინა. მხატვარს დაეხატა რომელიღაც ფრინველი, რომელიც მტრედსაც გავდა და ტყის თეთრ ქათამსაც.

სამაგიეროდ მამა ღმერთი ტყვედ გავარდნილ ყაჩაღსა გავდა, — აი ისეთს, ამერიკული ფილმები რომ სთავაზობენ სენსაციის მოყვარულ, დაბალი გემოვნების მაყურებელს.

ძე ღმერთი, პირიქით, გამოსახული იყო მხიარულ ახალგაზრდად, საკმაოდ შესამჩნევი ღიპით, რომელიც დაფარული ჰქონდა რაღაც საბანაო ტრუსების მაგვარი სამოსით. საერთოდ ძე ღმერთი სპორტსმენსა გავდა: ჯვარი ისე მოხდენილად ეჭირა ხელში, თითქოს ის ჩოგბურთის ჩოგანი ყოფილიყოს. შორიდან მთელი სამება ბუნდოვ-

ნად მოჩანდა და ისეთი შთაბეჭდილება იქმნებოდა, თითქოს გადახურულ სადგურში მატარებელი შემოდისო.

თუ რას წარმოადგენდა მესამე ხატი — კაციშვილი ვერ გაარკვევდა. ჯარისკაცები წირვის დროს ყოველთვის დაობდნენ ამ რებუსის ამოხსნაზე. ვიღაცამ ხატზე თავისი თანასოფლელი გოგონაც კი შეიცნო პრისაზავის მხარედან. მიუხედავად ამისა ამ ხატს ასეთი წარწერა ამშვენებდა: „წმიდაო ღვთისმშობელო მარიამ, შეგვიწყალე ჩვენ!“.

შვეიკმა უხიფათოდ მოათავსა სალაშქრო საკურთხეველი ეტლში, თვითონ კი მეეტლეს გვერდით მიუჯდა კოფოზე. ფელდკურატი რაც შეიძლება მოხერხებულად მოეწყო და ფეხები წმიდა სამებაზე დაწყო.

შვეიკმა მეეტლეს ომზე ჩამოუგდო ლაპარაკი. მეეტლე მეამბოხე აღმოჩნდა: მან ზოგიერთი შენიშვნები შეიტანა ავსტრიის იარაღის უძლეველობის საკითხში, სახელდობრ: „მაშ, სერბიაში კუდით ქვა გასროლინეს, არა?“ — და ასე შემდეგ.

როცა სასურსათო საყარაულოს მიადგნენ, შვეიკმა დარაჯის კითხვაზე, რა მიგაქვთო, უპასუხა:

— წმიდა სამება და ქალწული მარიამი ფელდკურატითურთ.

ამასობაში სასწავლო მოედანზე მათ მოუთმენლად ელოდებოდნენ სამარშო ასეულები. ლოდინი დიდხანს დასჭირდათ. შვეიკი და ფელდკურატი ჯერ საპრიზო თასისთვის წავიდნენ პორუჩიკ ვიტინგერთან, შემდეგ — ბრეევნოვის მონასტერში სანაწილესა და მესისთვის აუცილებელ სხვა საგნებზე, მათ რიცხვში, ერთი ბოთლი ზედაშეს წამოსაღებადაც.

აბა როგორ გეგონათ — განა ასე ადვილი საქმეა საველე წირვის გადახდა.

— დავწანწალებთ მთელს ქალაქში! — უთხრა შვეიკმა მეეტლეს, და ეს სრული სიმართლე გახლდათ.

როცა ისინი სამეცადინო მოედანზე მივიდნენ და ხის მოაჯირიან ფიცარნაგსა და მაგიდას მიადგნენ, რომელზეც სალაშქრო საკურთხეველი უნდა მდგარიყო, გამოირკვა, რომ ფელდკურატს მინისტრანტი დავიწყებოდა.

წირვის დროს ფელდკურატს ყოველთვის ერთი ქვეითი ჯარისკაცი ემსახურებოდა, რომელსაც სწორედ ახლა მოპრიანებოდა ტელეფონისტად გახდომა და ფრონტზე წასვლა.

— ამ საქმეს ეშველება, პანე ფელდკურატ, — განუცხადა შვეიკმა. — მე შემიძლია მისი მაგივრობა გავწიო.

— თქვენ შეგიძლიათ მინისტრანტობა?

— ამ საქმიანობას სრულებით არ ვიცნობ, — უპასუხა შვეიკ-მა — მაგრამ შეიძლება სინჯოს კაცმა. ახლა ხომ ომია, ომის დროს კი ადამიანი ისეთ რამესაც ჰკიდებს ხელს, რაც წინათ სიზმრადაც არ უნახავს. როგორმე მივაწებებ ამ სულელურ „et cum spitu tuo“ [1] თქვენს „dominus vobiscum“, [2] ბოლოს და ბოლოს არც ისე ძნელი უნდა იყოს თქვენს ირგვლივ სიარული იმდაგვარად, როგორც კატა უტრიალებს ხოლმე გარშემო ცხელ ფაფას. ხოლო თქვენი ხელის დაბანა და დოქიდან ღვინის დასხმა...

— კეთილი! — უთხრა ფელდკურატმა. — ოღონდ ბარძიმში წყალი არ ჩამისხათ. აი რა: უკეთესი იქნება თქვენ ახლავე მეორე დოქშიც ჩაასხათ ღვინო. გარდა ამისა, მე თვითონ გიკარნახებთ, როდის მარჯვნივ უნდა წახვიდეთ და როდის — მარცხნივ. ერთხელ რომ დაეუსტვენ — მაშასადამე, „მარჯვნივ“, ორჯერ—მაშასადამე, „მარცხნივ“. კურთხევანს მაინცადამაინც ხშირად ნუ მომაჩეჩებთ ხელში. საერთოდ ყველაფერი ეს უბრალო ამბავია. ხომ არ გეშინიათ?

— მე არაფრის მეშინია, პანე ფელდკურატ, მინისტრანტობისაც კი არ მეშინია.

ფელდკურატმა მართალი თქვა, რომ საერთოდ ყველაფერი ეს უბრალო ამბავიაო. საქმე კარგად მიდიოდა.

ფელდკურატის სიტყვა ძალზე ლაკონიური იყო.

— სალდათებო! ჩვენ აქ თავი მოვიყარეთ იმისათვის, რომ ბრძოლის ველზე გამგზავრების წინ ჩვენი სული და გული ღვთისაკენ მივმართოთ; მოგანიჭოთ ზეციერმა გამარჯვება და გფარვიდეთ ყოველი გაჭირვებისგან. დიდხანს აღარ გაგაჩერებთ, გისურვებთ ყოველივე კარგს.

— Ruht! [3] — გაისმა მოხუცი პოლკოვნიკის ბრძანება მარცხენა ფრთაზე.

საველე წირვას იმიტომ ეწოდება საველე, რომ იმავე კანონებს ემორჩილება, რასაც სამხედრო ტაქტიკა ბრძოლის ველზე. ოცდაათწლიან ომში ჯარების ხანგრძლივი მანევრების დროს საველე წირვაც არაჩვეულებრივად ხანგრძლივი, გაჭიანურებული იყო ხოლმე.

თანამედროვე ტაქტიკის დროს, როცა ჯარების ადგილმონაცვლეობა სწრაფად მიმდინარეობს, საველე წირვაც სწრაფად უნდა იქნას გადახდილი.

---

[1] და სულითა შენისათა (ლათ.).

[2] კურთხევა უფლისა თქვენზედა (ლათ.).

[3] თავისუფლად! (გერმ.).

წირვა ზუსტად ათი წუთი გრძელდებოდა. იმათ, ვინც ახლო იდგნენ, ძალზე უცნაურად ეჩვენებოდათ და გაოცებული იყვნენ, ფელდკურატი წირვის დროს რატომ უსტვენსო.

შვეიკი სწრაფად იჭერდა სიგნალებს, ტრაპეზს ხან მარჯენა მხრიდან მოექცეოდა, ხან მარცხენა მხრიდან და წამოისროლიდა მხოლოდ „et cum spiritu tuo". გეგონებოდათ, სამსხვერპლოს ირგვლივ ინდიელები თავის ცეკვას ასრულებენო. მაგრამ საერთოდ მთელმა ამ სანახაობამ ძალიან კარგი შთაბეჭდილება მოახდინა და განფანტა მტვრიანი, პირქუში სასწავლო მოედნის მოწყენილობა, რომელსაც ქლიავის ხეების ხეივანი და უკანა პლანზე მოქცეული ფეხისადგილები ამკობდნენ. ფეხისადგილების სუნს ცვლიდა გოტიკური ტაძრებისთვის ჩვეული საკმევლის მისტიკური კეთილსურნელება. ყველა შესანიშნავ გუნებაზე იყო. პოლკოვნიკის ირგვლივ თავშეყრილი ოფიცრები ერთმანეთს ანეკდოტებს უამბობდნენ. ასე რომ ყველაფერი თავის რიგზე იყო. ხან აქ, ხან იქ ჯარისკაცებში გაისმოდა: „ერთი მომაქაჩვინე, ძმობილო". სამსხვერპლო კვამლივით ადიოდა ზეცაში თამბაქოს მოლურჯო კვამლის ბოლქვები. თითქმის ყველა უნტერ-ოფიცერმა გააბოლა, როცა დაინახეს, რომ თვით პოლკოვნიკმაც მოუკიდა პაპიროსს.

ბოლოს გაისმა: „Zum Gebet" [1], ავარდა მტვერი და სამხედრო მუნდირთა რუხმა კვადრატმა მუხლი მოიყარა პორუჩიკ ვიტინგერის სპორტული თასის წინაშე, რომელიც მან ვენა-მედლინგის რბენაში შეჯიბრების დროს მოიგო.

ბარძიმი საესე იყო, ფელდკურატის ყოველ მანიპულაციას თან სდევდა ჯარისკაცთა თანაგრძნობით აღსავსე ყრუ შეძახილები.

— აი, ყლუპი მესმის! — გაირბენდა ხოლმე რიგებს შორის.

წესი ორჯერ იქნა განმეორებული. შემდეგ ისევ გაისმა ბრძანება: „ლოცვად დადექით!" მგალობელთა გუნდმა დააგუგუნა: „ფარვიდე, უფალო, ჩვენს ხელმწიფეს". შემდეგ ამას მოჰყვა: „დაეწყვეთ! და „ნაბიჯით იარ!"

— აკრიფე ბარგი-ბარხანა, — უთხრა შვეიკს ფელდკურატმა და სალაშქრო საკურთხეველზე თავით ანიშნა. — ყველაფერი უნდა ჩამოვარიგოთ, საიდანაც რა წამოვიღეთ.

ისინი იმავე ეტლით წავიდნენ და კეთილსინდისიერად ყველას თავ-თავისი დაუბრუნეს, გარდა ერთი ბოთლი ზედაშესი.

როცა შინ მივიდნენ და ნელი სვლისთვის სამაგიეროს გადასახდელად იმის გამო, რომ ნელა ატარა ეტლი საწყალი მეეტლე საკო-

---

[1] ლოცვად დადგეთ! (გერმ.).

მენდანტო სამმართველოში გაისტუმრეს, ანგარიშს იქ გაგისწორებენო, შვეიკმა მიმართა ფელდკურატს:

— მაქვს პატივი მოგახსენოთ, პანე ფელდკურატ, მინისტრანტი თავისი მღვდლის სარწმუნოებას უნდა აღიარებდეს თუ არა?

— რასაკვირველია, — უპასუხა ფელდკურატმა. — წინააღმდეგ შემთხვევაში წირვა ნამდვილ წირვად არ ჩაითვლება.

— პანე ფელდკურატ! დიდი შეცდომა მოხდა, — განაცხადა შვეიკმა. — მე ხომ ყოველგვარი სარწმუნოების გარეშე ვდგავარ. ბედი არ მწყალობს, არა და არა.

ფელდკურატმა შეხედა შვეიკს, ცოტა ხანს დუმდა, მერე ხელი მოუბარტყუნა ბეჭებზე და უთხრა:

— გადაჰკარით ზედაშე, რომელიც ბოთლში ჩამრჩა და ჩათვალეთ, რომ ახალმოღებული ხართ ეკლესიის წიაღსა შინა.

თავი XII

რელიგიური პაექრობა

ზოგჯერ მთელი დღეები ისე გავიდოდა, რომ შვეიკი ვერ ხედავდა ჯარისკაცთა სულიერ მამას. თავისი სულიერი მოვალეობანი ფელდკურატ ოტო კატცს გადანასკვული ჰქონდა ქეიფსა და დროსტარებაზე და იშვიათად ბრუნდებოდა შინ, და მაშინაც ისე ამოსვრილი და ამოგანგლული იყო, თითქოს ხვადი კატა სახურავებზე გასეირნებიდან დაბრუნდაო.

როცა შინ მივიდოდა, თუ საერთოდ ენა კიდევ ერჩოდა, ფელდკურატი დაძინების წინ შვეიკს ესაუბრებოდა მაღალ მატერიებზე, სულიერ ექსტაზზე და აბსტრაქტული სჯა-ბაასით მოგვრილ სიხარულზე, ზოგჯერ ჰაინეს ციტირებასაც ლამობდა.

შვეიკმა და ფელდკურატმა კიდევ ერთი საველე წირვა გადაიხადეს მესანგრეებთან, სადაც შეცდომით მიწვეული იყო მეორე ფელდკურატიც, რომელიღაც სკოლის ყოფილი საღვთო სჯულის მასწავლებელი, მეტისმეტად ღვთისმოსავი და მორწმუნე ხუცესი. მან ძალიან გაკვირვებულმა შეხედა თავის კოლეგა კატცს, როცა ამ უკა-

ნასკნელმა შვეიკის მათარიდან ერთი ყლუპი კონიაკი შესთავაზა, — ამ მათარას შვეიკი განუშორებლად თან ატარებდა რელიგიური ცერემონიების აღსრულების დროს.

— ვერ დამიწუნებთ, ისეთი კონიაკია, — უთხრა ოტო კატცმა, — გადაჰკარით და შინ წაბრძანდით. მე ყველაფერს მოვაგვარებ. დღეს ჩემთვის აუცილებელია სუფთა ჰაერზე ყოფნა, ცოტათი თავის ტკივილი მაწუხებს.

ღვთისმოსავმა ფელდკურატმა თავი გადააქნია და წავიდა, კატცმა კი, როგორც ყოველთვის, ბრწყინვალედ შეასრულა თავისი როლი. ამჯერად მან სოდიანი წყლით შეზავებული ღვინო აქცია უფლის სისხლად, ქადაგებაც ჩვეულებრივზე უფრო მეტად გაუჭიანურდა. ამასთანავე მისი ყოველი მესამე სიტყვა იყო: „და ასე შემდეგ“ და „უეჭველია“.

— სალდათებო! დღეს თქვენ ფრონტზე მიემგზავრებით, და ასე შემდეგ. მიაპყრეთ გულნი თქვენნი უფალსა ჩვენსა, და ასე შემდეგ. უეჭველია, და ასე შემდეგ.

საკურთხეველთან რიგრიგობით გრგვინავდა: „და ასე შემდეგ“, „უეჭველია“, „უფლისა ჩვენისა და შეწევნითა ყველა წმიდანისა“.

საკუთარი მჭევრმეტყველებით აღტაცებულმა ფელდკურატმა წმიდანად შერაცხა პრინც ევგენი სავოიელი, რომელიც ნავტიკის ხიდების დაგების დროს მესანგრეებს მფარველობას გაგიწევთო.

და მაინც საველე წირვა-ლოცვა მშვიდად ჩატარდა — სიამტკბილობითა და მხიარულებით. მესანგრეებმა გული იჯერეს ხალისიანი ვართობით.

უკან რომ ბრუნდებოდნენ, შვეიკსა და ფელდკურატს ტრამვაიში არ უშვებდნენ დასაკეცი საკურთხეველით. მაგრამ შვეიკმა კონდუქტორს შეუტია:

— შენთვის მითქვამს, მიფრთხილდი, თორემ ავიღებ და, ამ წმიდა საკურთხეველს მაგ გოგრაში გთხლიშავ.

ბოლოს, როგორც იქნა, მიაღწიეს თავის ბინას, მაგრამ ახლა აღმოჩნდა, გზაში თურმე სანაწილე დაკარგვოდათ.

— მერედა, რა ბედენაა, — თქვა შვეიკმა. — პირველმა ქრისტიანებმა არც კი იცოდნენ სანაწილე რა იყო, მაგრამ წირვა მაინც გამოჰყავდათ. გაზეთში რომ გამოვაცხადოთ სანაწილეს დაკარგვის შესახებ, მპოვნელი ჯილდოს მოგვთხოვს. ფული რომ იყოს, მაინცადამაინც თავს არავინ შეიწუხებდა მის დაბრუნებაზე... თუმცა, ასეთებიც არიან. ჩვენთან პოლკში, ბუდეიოვიცეში ერთი ჯარისკაცი გვყავდა, თავისებური და კარგი ყმაწვილი იყო, მაგრამ ძალზე ბრიყვი. ერთხელ ქუჩაში ექვსასი კრონი იპოვნა და პოლიციას ჩაბა-

რა. ამ ამბით გაზეთები ააჭრელეს: აი, ხედავთ, რა პატიოსანი კაციაო. მაგრამ სირცხვილით იმ პატიოსან კაცს თავი აღარსად გამოეყოფოდა! მასთან ლაპარაკიც აღარავის სურდა. ყველა ერთხმად იმეორებდა: „კაი ბრიყვი ვინმე ყოფილხარ, ეს რა სისულელე ჩაიდინეო? მთელი შენი სიცოცხლე სირცხვილით უნდა იწვოდე, თუ სინდისის ნატამალი კიდევ გაგაჩნიაო“. წინათ მას შეყვარებული გოგოც ყავდა, და აი, ამ გოგომაც ზურგი შეაქცია, შენისთანასთან საერთო არაფერი მაქვსო. შინ, შვებულებაში როცა წავიდა, მისმა ამხანაგებმა, სწორედ ამ ამბის გამო, იგი სამიკიტნოდან გამოაგდეს გახურებული ცეკვა-თამაშის დროს. საწყალი ბიჭი ჩამოხმა, დანაღვლიანდა და, ბოლოს, მატარებელს ბორბლებში შეუვარდა... აი კიდევ ერთი შემთხვევა. ჩვენ ქუჩაზე მცხოვრებმა მკერავმა ოქროს ბეჭედი იპოვნა. იგი გააფრთხილეს—პოლიციას არ ჩააბაროო, მაგრამ მან თავისი არ დაიშალა. პოლიციაში მეტად თავაზიანად მიიღეს, ბრილიანტის თვლიან ოქროს ბეჭდის დაკარგვაზე განცხადება უკვე შემოსულიაო. მაგრამ მერე ქვას დახედეს და ეუბნებიან: „ეს ხომ უბრალო შუშაა, კეთილო ადამიანო, დიახ, შუშა და არა ბრილიანტი. რამდენი აიღეთ ბრილიანტში? კარგად ვიცნობთ თქვენისთანა „პატიოსან მპოვნელებსო“! ბოლოს გამოირკვა, რომ თურმე კიდევ ერთ კაცს დაკარგვოდა ბეჭედი. ყალბი ბრილიანტის თვალით (რომელიღაც საოჯახო წმიდა ნივთი). მაგრამ მკერავი სამი დღით მაინც ჩასვეს, ვინაიდან ძარღვები ისე მოეშალა, რომ პოლიციას შეურაცხყოფა მიაყენა. ხოლო კანონიერი ჯილდო კი მისცეს, ათი პროცენტი, ესე იგი ერთი კრონი და ოცჰალერი, — ამ ხარახურის ფასი სულ თორმეტ კრონს შეადგენდა. მაგრამ მკერავმა აიღო და, ეს კანონიერი ჯილდო სახეში მიახალა ბეჭდის პატრონს, იმან უჩივლა — შეურაცხყოფა მომაყენაო, და მკერავი ათი კრონით დააჯარიმეს პიროვნების შეურაცხყოფისათვის. ამის შემდეგ მკერავი სულ იმას გაიძახოდა, ყოველ პატიოსან მპოვნელს, ნაპოვნ ნივთზე ხმას რომ ამოიღებს, ოცდახუთი კრონი ჯარიმა უნდა გადახდესო, ასეთებს ცემისგან ძვალი და რბილი უნდა გაუერთო და საქვეყნოდ გამოაჭენო, რომ ყველამ იცოდეს, თუ როგორ უნდა მოიქცნენ ასეთ შემთხვევაშიო... ჩემის აზრით, სანაწილეს არავინ დაგვიბრუნებს, თუმცა უკან მას პოლკის ბეჭედი აქვს დასმული. სახაზინო ქონებასთან საქმის დაჭერას ყველა ერიდება. საქმე რომ არ გაგიჯანჯლდეს ადამიანს, უმჯობესია, წყალში გადაუძახო ასეთი ნივთი. გუშინ სამიკიტნო „უ ზლატეჰო ვენცეში“ ერთ პროვინციელს გამოველაპარაკე, იგი უკვე ორმოცდათექვსმეტი წლის კაცია. ნოვე პაკიში ჩამოსულიყო, სამხარეო სამმართველოში სურდა გაეგო, ბრიჩკა რად ჩამომართვესო. უკან რომ ბრუნდებო-

და, — სამხარეო სამმართველოდან, რა თქმა უნდა, კინწისკვრით გამოაგდეს, — იგი, თურმე, მოედანზე გაჩერდა და ცქერა დაუწყო სამხედრო აღალს, რომელიც ეს-ესაა მოსულიყო და ისვენებდა. ვიღაც ჯეელმა, — მას ჯარისთვის კონსერვები მიჰქონდა, — სთხოვა, ერთი წუთით ცხენებს მიმიხედეო, წავიდა და უკან მოსვლა აღარც უფიქრია. როცა აღალი დაიძრა, ჩემი ნაცნობი იძულებული შეიქნა ყველასთან ერთად უნგრეთამდე ეჩანჩალნა, უნგრეთში კი ახლა თვითონ სთხოვა ვიღაცას, ცოტა ხნით ცხენებს მიმიხედეო, და მხოლოდ ამით დაუძვრა ხელიდან, თორემ სერბიაში ამოყოფდა თავს. გიჟივით დაბრუნდა შინ და ახლა, თურმე, სათოფეზე აღარ ეკარება სახაზინო ქონებას...

საღამოთი ისინი ღვთისმოსავმა ფელდკურატმა მოინახულა, აი იმან, დილით მესანგრეებთან საველე წირვის ჩატარებას რომ აპირებდა. იგი ფანატიკოსი იყო, და ცდილობდა ყოველი ადამიანი ღმერთთან დაეახლოვებინა. ჯერ კიდევ იმ დროს, როცა რომელიღაც სკოლაში საღვთო სჯულის მასწავლებლად იყო, ბავშვებს რელიგიურ გრძნობებს მუჯლუგუნებითა და თავში წატიალებით უნვითარებდა. გაზეთები ზოგჯერ ბეჭდავდნენ მის შესახებ ცნობებს შემდეგი სათაურებით: „საღვთო სჯულის მკაცრი მასწავლებელი“, ან „საღვთო სჯულის მასწავლებელი, რომელიც მუჯლუგუნებით ასწავლის“. მაგრამ საღვთო სჯულის მასწავლებელი დარწმუნებული იყო, რომ ბავშვი ყველაზე უკეთესად ავსტრიული სისტემით შეითვისებდა კატეხიზმოს. ღვთისმოსავი ფელდკურატი ცალი ფეხით კოჭლობდა, — ეს ბნელ შესახვევში ერთი მისი მოწაფის მამასთან პირისპირ შეხვედრის შედეგი გახლდათ. საღვთო სჯულის მასწავლებელმა მის ვაჟს მაგრად უთაქა თურმე იმიტომ, რომ ყმაწვილს ეჭვი შეეპარა წმიდა სამების არსებობაში. ბიჭს სამი მჯიღი წაჰკრა: ერთი — მამა ღმერთისა, მეორე—ძე ღვთისა და მესამე—სული წმიდისათვის. დღეს ყოფილი საღვთო სჯულის მასწავლებელი მოვიდა თავისი კოლეგის კატცის ჭეშმარიტების გზაზე დასაყენებლად და მის გულში ღვთიური ნაპერწკლის ჩასასახავად. მან ასე დაიწყო სულის გასანათლებელი საუბარი:

— ძალიან მიკვირს, რომ ჯვარცმა არსად გიკიდიათ. სად ლოცულობთ, და ან სად არის თქვენი ლოცვანი? არც ერთი წმიდანის ხატი არ ამშვენებს თქვენი ოთახის კედლებს. ეს რა ჩამოგიკიდიათ საწოლთან?

კატცს გაეღიმა.

— ეს „მობანავე სუსანაა“, შიშველი ქალი კი მის ქვემოთ—ერთი ჩემი ძველი შეყვარებულია. მარჯვნივ — იაპონური აკვარელია, რო-

შელიც ხანში შესულ იაპონელ სამურაისა და გეიშას სექსუალურ აქტს გამოხატავს. თქვენ რას იტყვით, ძალიან ორიგინალურია, არა? ლოცვანი კი სამზარეულოში მაქვს. შვეიკ, მომიტანეთ ლოცვანი და გადაშალეთ მესამე გვერდზე.

შვეიკი სამზარეულოში გავიდა და იქიდან ზედიზედ გახსნილი ბოთლების საცობთა სამჯერი ტკაცანი მოისმა.

— ეს მსუბუქი ზედაშეა, კოლეგა, — უთხრა კატცმა. — ძალიან კარგი რისლინგია. გემოთი მოზელის ღვინოს მოგაგონებთ.

— არასგზით არ დავლევ, — ჯიუტად განაცხადა ღვთისმოსავმა ფელდკურატმა. — მე მოვედი თქვენი სულის გასანათლებლად.

— მაგრამ თქვენ, კოლეგა, ყელი გაგიშრებათ, — უთხრა კატცმა. — დალიეთ, მე კი მოგისმენთ. მე დიდად მომთმენი ადამიანი გახლავართ, შემიძლია სხვისი აზრიც მოვისმინო.

ღვთისმოსავმა ფელდკურატმა ცოტა მოსვა და თვალები გადმოკარკლა.

— ამაზე რაღას იტყვით, ხომ ძალიან კარგი ღვინოა, კოლეგა? — ჰკითხა კატცმა.

ფანატიკოსმა მტკიცედ უთხრა:

— მე ვამჩნევ, რომ თქვენ უკადრის სიტყვებს ხმარობთ საუბარში.

— მიჩვეეაა, — უპასუხა კატცმა. — ხანდახან ღვთის გმობაც წამომცდება ხოლმე. შვეიკ, დაუსხით პან ფელდკურატს. გარწმუნებთ, რომ ხშირად აუგად მიხსენებია ღმერთი, და ხელი არ დამიკლია რჯულისა და ზიარებისათვისაც. აბა ერთი ჩემდენი იმსახურეთ სამხედროში და მაშინ ნახავთ, სადამდე მიხვალთ. და განა ძნელია, თან სასულიერო პირებისთვის ესოდენ ახლობელიცაა ყველა ეს — ღმერთი, რჯული, ზიარება. ძალიან ლამაზად კი ჟღერს, ხომ მართალია? ყველაფერი ჩვენს პროფესიასთან არის დაკავშირებული. დალიეთ, კოლეგა!

საღვთო სჯულის ყოფილმა მასწავლებელმა ანგარიშმიუცემლად გადაჰკრა. ეტყობოდა, რაღაცა უნდოდა ეთქვა, მაგრამ ვერ ახერხებდა. აზრებს იკრებდა.

— პატივცემულო კოლეგა, — განაგრძო კატცმა, — მხნედ იყავით, ცხვირპირი ნუ ჩამოგტირით, თითქოს ხუთი წუთის შემდეგ უნდა ჩამოგახრჩონ. თქვენზე მსმენია, ერთხელ პარასკევს, ხუთშაბათი რომ გეგონათ თურმე, შეცდომით ერთ სამიკიტნოში ღორის კატლეტი გიჭამიათ, მერე საპირფარეშოში გაქცეულხართ და ორი თითი პირში გიტაცნიათ, რომ ყველაფერი უკან გადმოგერწყიათ იმის შიშით, ვაითუ ღვთის რისხვა თავს დამატყდესო. პირადად მე სრულე-

ბით არ ვერიდები მარხვაში ხორცის ჭამას და არავითარი ჯოჯოხეთი მე არ მაშინებს... პარდონ! ცუდად ხომ არა ხართ? აბა ერთი დალიეთ ღვინო, გულს გიპოვით! ახლა ხომ უკეთ გრძნობთ თავს?.. ან იქნებ თქვენ უფრო პროგრესული თვალსაზრისი გაქვთ ჯოჯოხეთურ ქვესკნელზე, შეიძლება ფეხდაფეხ მისდევთ დროების სულისკვეთებასა და რეფორმისტებს? სხვანაირად რომ ვსთქვათ, თქვენ იქნებ გგონიათ, რომ ჯოჯოხეთში ცოდვილთა საწამებლად კუპრით სავსე უბრალო ქვაბების ნაცვლად ავტოკლავებს იყენებენ, ესე იგი მაღალი წნევის ქვაბებს, აგრეთვე იქნებ დარწმუნებული ხართ, რომ ცოდვილთ მარგარინში ხრაკავენ, შამფურებს კი ელექტრონის მამოძრავებლებით ატრიალებენ? მილიონი წლების მანძილზე ბეკნიან ბედკრულ ცოდვილებს გზატკეცილების ორთქლის საბეკნელებით, ღრეიალი გაუდით მათ კბილებს საგანგებო მანქანებით შეჭურვილ დანტისტების ხელში, ცოდვილთა ღაღადისი იწერება გრამოფონის ფირფიტებზე, შემდეგ ეს ფირფიტები ზემოთ, სამოთხეში იგზავნება უცოდველთა გასამხიარულებლად? სამოთხეში კი ოდეკოლონის სასხურებელი მოქმედებს და სიმფონიური ორკესტრები ბრამს ისე დაუსრულებლად და გულგამაწვრილებლად უკრავენ, რომ ასეთ სამოთხეში ყოფნას ჯოჯოხეთსა და სალხინებელს ამჯობინებ? იქნებ ფიქრობთ, რომ ანგელოზებს უკანალში სათითაოდ პროპელერი აქვთ გამოჩრილი, მათ ფრთებს ჯაფა რომ არ დაადგეთ?.. ცოტა მოსვით, კოლეგა! შვეიკ, დაუსხით პან ფელდკურატს კონიაკი. მგონი, გული შეუღონდა.

როცა გონს მოვიდა, ღვთისმოსავმა ფელდკურატმა ჩურჩულით წარმოთქვა:

— რელიგია გონებრივი რწმენაა... ვისაც წმიდა სამების არსებობა არა წამს...

— შვეიკ, — გააწყვეტინა კატცმა ფანატიკოს მღვდელს, — დაუსხით პან ფელდკურატს კიდევ ერთი ჭიქა კონიაკი, იქნებ მოსულიერდეს. ერთი უამბეთ მას რამე, შვეიკ.

— ელაშიმეში, მაქვს პატივი მოგახსენოთ, პანე ფელდკურატ,— დაიწყო შვეიკმა, — იყო ერთი წინამძღვარი. როცა წინანდელი მოახლე ქალი ბავშვითა და გატაცებული ფულით გაექცა, წინამძღვარმა ახალი მოსამსახურე დაიქირავა. ეს სულიერი მამა მოხუცებულობის ჟამს წმიდა ავგუსტინის შესწავლას შეუდგა, რომელიც ეკლესიის წმიდა მამების დასს არის მიკუთვნებული. ამოიკითხა მის წიგნებში, რომ ყველა, ვისაც ანტიპოდები სწამს, შეჩვენების ღირსია. იხმო თავისი მოახლე ქალი და უთხრა: „თქვენ როგორღაც ერთხელ მითხარით, რომ ვაჟი გყავთ, ზეინკალი-მექანიკოსი, რომელიც ავსტრა-

ლიაში წავიდა. თუ ეს ასეა, გამოდის, რომ იგი ანტიპოდი გახდა, წმიდა ავგუსტინე კი გვიბრძანებს — შევაჩვენოთ ყველა, ვისაც ანტიპოდების არსებობა წამს". — „მამაო, — უპასუხა დედაკაცმა, — კი, მაგრამ, ჩემი ვაჟი სინამდვილეში ხომ წერილებსაც მიგზავნის და ფულსაც." — „ეს ბოროტი სულის ცთუნებაა, — სიტყვა მოუჭრა მოძღვარმა. — წმიდა ავგუსტინის მოძღვრების თანახმად, არავითარი ავსტრალია არ არსებობს. თქვენ ანტიქრისტეს მახეში ხართ გაბმული". კვირა დღეს ეკლესიაში ამ მოძღვარმა საქვეყნოდ დასწყევლა ქალი, და გაჰყვიროდა, არავითარი ავსტრალია არ არსებობსო. რაღა ეშველებოდა, აიღეს და ეკლესიიდან პირდაპირ საგიჟეთში წაიყვანეს. ურიგო არ იქნებოდა, რა თქმა უნდა, ზოგიერთი სხვებიც რომ გამოამწყვდიონ იმ საგიჟეთში. ურსულელ ქალთა მონასტერში არის თურმე ერთი ბოთლი ქალწულ მარიამის რძით სავსე, ბენეშოვოს მახლობლად მდებარე ობოლთა თავშესაფარში კი, როცა იქ ლურდის * ნაკურთხი წყალი მიიტანეს, ობლები ფაღარათმა ისე. მოაქცია, რომ ყველანი გაჩენის დღეს იწყევლიდნენ.

ღვთისმოსავ ფელდკურატს თვალთ აუჭრელდა. მან მოიხედა მხოლოდ მაშინ, როცა კიდევ ერთი ჭიქა კონიაკი გადაჰკრა, რომელიც ერთბაშად თავში აუვარდა. თვალები მოჭუტა და კატცს ჰკითხა:

— თქვენ არა გწამთ ქალწულ მარიამის უხრწნელად მუცლადღებაზ? არა გწამთ, რომ წმიდა იოანე ნათლისმცემლის თითი, რომელიც პიარისტებთან ინახება, ნამდვილია? ანდა საერთოდ ღმერთი გწამთ კი? და თუ არა გწამთ, ფელდკურატი რადა ხართ?

— ძვირფასო კოლეგა, — უპასუხა კატცმა და მოწყალებით მოუთათუნა ხელი ზურგზე, — სანამ სახელმწიფო დარწმუნებულია, რომ ჯარისკაცები, რომლებიც სასიკვდილოდ მიდიან ბრძოლის ველზე, ლოცვა-კურთხევას საჭიროებენ, ფელდკურატის თანამდებობა საკმაოდ სარფიანია და არც ისე დამქანცველი. მე ეს უფრო მეტად დამიჯდა ჭკუაში, ვინემ სასწავლო მოედანზე რბენა და მანევრებზე სიარული. წინათ უფროსების ბრძანებებისგან გული მქონდა გაწყალებული, ახლა კი იმას ვაკეთებ, რაცა მსურს. მე იმის წარმომადგენელი ვარ, ვინც არ არსებობს, და თვითონ ვასრულებ ღმერთის როლს. თუ არ მოვისურვებ ვინმეს ცოდვები მივუტევო, არ მივუტევებ, ჩოქვითაც რომ შემომიაროს გარშემო და ათასი მემუდაროს. თუმცა ასეთები, სამწუხაროდ, არც ისე ბევრნი მოიძებნებიან.

— მიყვარს უფალი ჩვენი, — წარმოთქვა ღვთისმოსავმა ფელდკურატმა, რომელსაც სლოკინი აუტყდა, — ძალიან მიყვარს!.. მომეცით ცოტა ღვინო. პატივსა ვცემ უფალსა ჩვენსა, — განაგრძო მან.

— დიდად, დიდად პატივსა ვცემ და შევტრფი. არავინ ისე არ მიმაჩნია, როგორც იგი!

მან მუშტი დაჰკრა მაგიდას, და ისე ძალუმად, რომ ბოთლები აყირავდნენ.

— მრწამს ერთი ღმერთი, მამა ყოვლისა-მპყრობელი, შემოქმედი ცათა და ქვეყნისა, ხილულთა ყოველთა და არა ხილულთა, და ამაში ვერავინ გადამარწმუნებს! წმიდა იოსებსაც პატივსა ვცემ, და ყველა წმიდანსაც პატივსა ვცემ, და წარმოიდგინეთ წმიდა სერაპიონსაც... ეს რა საძაგელი სახელი აქვს იმ დალოცვილს!

— დიახ, კარგი იქნებოდა როგორმე გამოეცვალა ასეთი უმსგავსი სახელი, — შენიშნა შვეიკმა.

— მიყვარს წმიდა ლუდმილა და წმიდა ბერნარდი, — განაგრძო ყოფილმა საღვთო სჯულის მასწავლებელმა. — ბევრი მგზავრი გადაურჩენია ს‍ენ-გოტჰარდზე. კისერზე მას შებმული აქვს ბოთლი კონიაკით და ეძებს თრვლით დაფარულ...

საუბარი სულ სხვა მიმართულებით წარიმართა. ღვთისმოსავმა ფელდკურატმა დაიწყო მიეთ-მოეთობა და რას არ ჩმახავდა:

— ჩვილ ყრმებს პატივსა ვცემ, მათი დღე ოცდარვა დეკემბერია. იროდი მძაგს... როცა ქათამს სძინავს, ახალი კვერცხის შოვნა ძნელია. ქათამმა უთხრა კვერცხსაო, მაგრე ვიყავი მეცაო; იმდენს გავედრებ ღმერთსაო, ჩემსავით გაგხდი შენცაო.

მერე გაიცინა და გალობა წამოიწყო:

— წმიდაო ღმერთო, წმიდაო ძლიერო...

მაგრამ უეცრად გალობა შეწყვიტა, მიუბრუნდა კატცს და მკვახედ შეეკითხა:

— თქვენ არა გწამთ, რომ თხუთმეტი აგვისტო ღვთისმშობლის მიძინების დღეა?

მხიარულება ღრეობად იქცა. კიდევ გაჩნდა ბოთლები, თავში ღვინო შეუჯდათ. დროდადრო გაისმოდა კატცის სიტყვები:

— თქვი „არ მწამს ღმერთი", თორემ ადარ დაგისხამ.

გეგონებოდათ, პირველ ქრისტიანთა დევნის ჟამი დაბრუნდაო. ყოფილი საღვთო სჯულის მასწავლებელი გაჰკიოდა რომის ცირკის არენის წამებულთა რომელიღაც სიმღერას:

— მრწამს ერთი ღმერთი, მამა ყოვლისა მპყრობელი, და მასზე უარს არ ვიტყვი! არ მინდა თქვენი ღვინო! მე თვითონაც შემიძლია მოვატანინო!

ბოლოს, დიდის ვაი-ვაგლახით ჩააწვინეს იგი ლოგინში. მაგ-

რამ ვიდრე დაიძინებდა, საღვთო სჯულის ყოფილმა მასწავლებელმა ასწია ხელი, თითქოს ფიცის წარმოსათქმელადო და განაცხადა:

— მრწამს ერთი ღმერთი, და ერთი უფალი იესო ქრისტე, ძე ღვთისა, და სული-წმიდა ჩვენი! მომეცით ლოცვანი!

შვეიკმა აიღო ოტო კატცის ღამის მაგიდიდან რომელიღაც წიგნი და ხუცესს მიაჩეჩა. ღვთისმოსავ ფელდკურატს ჩაეძინა ბოკაჩოს „დეკამერონით“ ხელში.

თავი XIII

შვეიკი ზეთის კურთხევაზე მიდის

ფელდკურატი ოტო კატცი ჩაფიქრებული იჯდა და ცირკულარს ჩაშტერებოდა, რომელიც ეს-ესაა ყაზარმიდან მოეტანათ. ეს იყო სამხედრო სამინისტროს მოწერილობა:

„ამით სამხედრო სამინისტრო აუქმებს, ვიდრე სამხედრო მოქმედებანი წარმოებს, აქამდე მოქმედ ყველა მოწერილობას, რომელიც ჯარისკაცთა ზეთისცხებას შეეხება. ცნობად და აღსასრულებლად ეუწყება სამხედრო სამღვდელოებას შემდეგი წესები:

§ 1. ზეთის კურთხევა ფრონტზე გაუქმებულია.

§ 2. მძიმე ავადმყოფთ და დაჭრილებს ეკრძალებათ ზეთისცხების მისაღებად ჯარის ზურგში გადასვლა. სამხედრო სამღვდელოების პირთ ევალებათ ამის დამრღვევნი დაუყოვნებლივ გადასცენ სათანადო სამხედრო დაწესებულებას დამნაშავეზე შესაფერისი მსჯავრის დასადებად.

§ 3. ზურგის სამხედრო ჰოსპიტლებში ზეთისცხება შეიძლება

მოხდეს ჯგუფური წესით სამხედრო ექიმთა დასკვნის საფუძველზე, რამდენადაც მითითებული წესი არ დაარღვევს ხსენებულ დაწესებულებათა მუშაობის მიმდინარეობას.

§ 4. გამონაკლის შემთხვევაში ზურგის სამხედრო ჰოსპიტალების სამმართველოს შეუძლია ზურგში მყოფ ცალკეულ პირთ ზეთისცხების ნება დართოს.

§ 5. სამხედრო სამღვდელოების პირნი ვალდებულნი არიან სამხედრო ჰოსპიტლების სამმართველოს გამოძახებით ზეთისცხება შეასრულონ სამმართველოს მიერ შერჩეულ პირებზე".

ფელდკურატმა კიდევ ერთხელ გადაიკითხა სამხედრო ჰოსპიტლის მომართვა, რომლითაც წინადადება ეძლეოდა ხვალ გამოცხადებულიყო კარლოვის მოედანზე მდებარე ჰოსპიტალში მძიმე დაჭრილების ზეთის საცხებად.

— გესმით, შვეიკ, — დაუძახა ფელდკურატმა, — აბა ერთი მითხარით, განა ეს ღორობა არაა? თითქოს მთელს პრაღაში ჩემს შეტი ფელდკურატი აღარ მოიძებნება! რატომ იქ თუნდაც იმ ღვთისმოშიშს არ გაგზავნიან, რომელმაც ამას წინათ ჩვენთან ღამე გაათია? მოგვიხდება კარლოვის მოედანზე წასვლა ზეთის კურთხევაზე. აღარც კი მახსოვს, ეს როგორ ხდება.

— რა გაეწყობა, შევიძინოთ კატეხიზმო, პანე ფელდკურატ. იქ ამის შესახებ არის ნაამბობი, — უთხრა შვეიკმა. — კატეხიზმო სულიერი მამებისთვის იგივეა, რაც გზის მაჩვენებელი უცხოელთათვის... აი, მაგალითად, ემაუზის მონასტერში მუშაობდა ერთი კაცი მებაღის თანაშემწედ. გადაწყვიტა მორჩილად შემდგარიყო, — ანაფორას ჩაიცვამ და ჩემს ტანსაცმელს აღარ გავცვითავო. ამისთვის იყიდა კატეხიზმო და შეუდგა იმის შესწავლას, როგორ უნდა გამოისახოს წმიდა ჯვარი, ვინ იყო ის ერთადერთი ადამიანი, რომელმაც თავიდან აიშორა პირველჩენილი ცოდვა, რას ნიშნავს, ადამიანი სუფთა სინდისის პატრონი იყო და სხვა ამგვარი წვრილმანების დაზეპირებას. მერე ჩუმად გაყიდა მონასტრის ბოსტნის კიტრების მთელი მოსავლის ნახევარი და თავლაფდასხმული და შერცხვენილი მონასტრიდან გამოაპანღურეს. ერთმანეთს როცა შევხვდით, ასე მითხრა: „კატეხიზმო რა ეშმაკად მინდოდა, კიტრების გაყიდვას უიმისოდაც შევძლებდიო".

როცა შვეიკმა კატეხიზმო შეიძინა და ფელდკურატს მოუტანა, მან გადაფურცლა წიგნი და თქვა:

— აი ხედავ, ზეთისცხება შეუძლია მხოლოდ მღვდელს, და ისიც მხოლოდ ეპისკოპოსის ნაკურთხი ზეთით. გამოდის, რომ თქვენ,

შვეიკ, ზეთისცხების უფლება არა გაქვთ. წამიკითხეთ ერთი, როგორ ხდება ეს ზეთისცხება.

შვეიკმა წაიკითხა:

„... ხდება ასე: მღვდელი ზეთს აცხებს ავადმყოფის გრძნობის ორგანოებს და ერთდროულად წარმოთქვამს ლოცვას: „ამ წმიდა ზეთისცხებითა და თვისი გულმოწყალებით, მოგიტევოს უფალმა შეცოდებანი ესრე სმენისა, მხედველობისა, ყნოსვისა, გემოსი, მეტყველებისა, შეხებისა და სიარულისა თვისისა“.

— ერთი მინდა ვიცოდე, — თქვა ფელდკურატმა, — როგორ შეუძლია ადამიანმა შესცოდოს შეხებით. თქვენ ხომ ვერ მეტყოდით, შვეიკ?

— ყოველნაირად, პანე ფელდკურატ, — უპასუხა შვეიკმა. — მაგალითად, ხელის მოფათურებით სხვის ჯიბეში ანდა სამიკიტნოში ცეკვა-თამაშის დროს... თვითონაც იცით, იქ რა ოინებს სჩადიან.

— სიარულით, შვეიკ?

— თუ, მაგალითად, კოჭლობით დაიწყებთ სიარულს, რომ ხალხმა შეგიცოდოს.

— ყნოსვით?

— თუ სიმყრალეს ცხვირს არიდებთ.

— გემოთი?

— როცა გოგოების დანახვაზე ენით ტუჩებს აილოკავთ.

— მეტყველებით?

— ეს უკვე სმენასთანაა დაკავშირებული, პანე ფელდკურატ, როცა ერთი ლაყბობს და მეორე ყურს უგდებს...

საქმის ვითარების ამგვარი ფილოსოფიური გააზრების შემდეგ ფელდკურატი გაჩუმდა. მერე ისევ შვეიკს მიუბრუნდა.

— მაშასადამე, ჩვენ გვესაჭიროება ეპისკოპოსის ნაკურთხი ზეთი. აი თქვენ ათი კრონი, იყიდეთ ერთი ბოთლი ზეთი. საინტენდანტოში ასეთი ზეთი, რა თქმა უნდა, არ ექნებათ.

შვეიკი გაუდგა გზას ეპისკოპოსის მიერ ნაკურთხი ზეთის საშოვნელად. მისი შოვნა არც ისე იოლი საქმე აღმოჩნდა. ბოჟენა ნემცოვას * ზღაპრების უკვდავების წყალს უფრო ადვილად მიაგნებდა ადამიანი, ვიდრე ამ ზეთს. შვეიკმა რამდენიმე სააფთიაქო მაღაზიაში შეიარა, მაგრამ როგორც კი იტყოდა: „გეთაყვა, მომეცით ეპისკოპოსის ნაკურთხი ერთი ბოთლი ზეთი“, ყველგან ან სიცილს დააყრიდნენ მას, ანდა ზარდაცემულნი დახლქვეშ იმალებოდნენ. შვეიკს სერიოზულად ეპირა თავი. მან გადაწყვიტა, მოდი ერთი აფთიაქებშიც შევიხედავო. პირველ აფთიაქში ლაბორანტს უბრძანეს, გაიყვანეთ აქედან ეგ დამთხვეულიო. მეორეში ტელეფონით სასწრაფო

დახმარების გამოძახება დააპირეს, მესამეში პროვიზორმა უთხრა, დლოუჰეს ქუჩაზე პოლაკის ფირმას, რომელიც ზეთითა და ლაქებით ვაჭრობს, თქვენთვის საჭირო ზეთი უთუოდ ექნება საწყობშიო.

დლოუჰეს ქუჩაზე მდებარე პოლაკის ფირმა მოქნილად ვაჭრობდა. არასოდეს არც ერთი მუშტარი იქედან დაუკმაყოფილებელი არ წასულა. თუ მუშტარი კოპაის ბალზამს * მოითხოვდა, მას სკიპიდარს ჩაუსხამდნენ და ყველაფერი რიგზე იყო.

როცა შვეიკმა მოთხოვა, ეპისკოპოსის ნაკურთხი ზეთი ჩამომისხით, ათ კრონად რაც მომივაო, ფირმის პატრონმა ნოქარს უბრძანა:

— პანე ტაუხენ, ჩამოუსხით ასი გრამი კანაფის ზეთი ნომერი სამი.

ნოქარმა კი, ბოთლს ქაღალდში რომ უხვევდა, შვეიკს უთხრა, როგორც ეს ნოქრებს სჩვევიათ:

— უმაღლესი ხარისხის საქონელი გახლავთ. ვინიცობაა დაგვირდეთ ფუნჯი, ლაქი, სელის ზეთი — გთხოვთ მოგვაკითხოთ. კმაყოფილი დარჩებით. ფრიად სანდო ფირმაა.

ფელდკურატი კი ამ დროს შინ იჯდა და კატეხიზმოთი იმეორებდა იმას, რაც სემინარიაში ვერ დაიმახსოვრა.

მას ძალიან მოეწონა ზოგიერთი მეტად ჭკუამახვილური გამოთქმა და გულიანადაც იცინა.

„ზეთისცხებას სხვანაირად უკანასკნელი წაცხება ეწოდება. ეს სახელწოდება „უკანასკნელი წაცხება“ წარმოიშვა იქედან, რომ ჩვეულებრივ ის ყველა წაცხებათა შორის უკანასკნელი არის ხოლმე, რომელსაც ეკლესია ადამიანზე ახდენს“.

„ზეთისცხება შეიძლება მიიღოს ყველა მძიმედ დაავადებულმა ქრისტიანმა-კათოლიკემ, რომელმაც შეგნებულ ასაკს მიაღწია“.

„ავადმყოფი მიიღებს ზეთისცხებას, როცა მას ჯერ კიდევ, შესაძლებლობის ფარგლებში, სრული ცნობიერება და კარგი მეხსიერება აქვს.“

მოვიდა შიკრიკი და ფელდკურატს პაკეტი მოუტანა ცნობით, რომ ხვალ ზეთის კურთხევას ჰოსპიტალში „რიგითი ჯარისკაცების რელიგიური აღზრდის დიდგვაროვან ქალთა კავშირის“ წარმომადგენლები დაესწრებიან. კავშირი შედგებოდა ისტერიით შეპყრობილი ქალებისაგან, რომლებიც ჰოსპიტლებში სალდათებს ურიგებდნენ წშიდანთა პატარა ხატებს და „თქმულებას კათოლიკე მეომარზე, რომელმაც თავი შესწირა ხელმწიფე-იმპერატორს“. წიგნაკის ყდაზე ფერადი სურათი იყო, რომელიც ბრძოლის ველს ასახავდა. ყველგან ადამიანებისა და ცხენების გვამები ეყარა, ერთმანეთზე დახორავე-

ბული იყო საზიდრები—სამხედრო შეპურვილობით და ქვემეხებით—ამოყირავებული ლაფეტებით. ჰორიზონტზე სოფელი იწვოდა და შრაპნელები ფეთქდებოდა. სურათის წინა პლანზე მომაკვდავი ჯარისკაცი ეგდო მიწაზე, რომლისთვისაც ცალი ფეხი ყუმბარას წაეგლიჯა, მას ანგელოზი გამოცხადებოდა გვირგვინით ხელში, გვირგვინზე კი ლენტი იყო წარწერით: „ამიერიდან ჩემთან იქნები სამოთხეში“. მომაკვდავი ნეტარებით იღიმებოდა, თითქოს ეს-ესაა ნაყინი შესთავაზესო.

პაკეტის შინაარსს რომ გაეცნო, ოტო კატცმა გადააფურთხა და გაიფიქრა: „აბა, ხვალ კი გვექნება სასეირო სანახაობა!“

ფელდკურატი იცნობდა ამ „ნაყარ-ნუყარ ხალხს“, როგორც იგი უწოდებდა „კავშირს“, იცნობდა ჯერ კიდევ იმ დროიდან, როცა წმიდა იგნატეს ეკლესიაში მსახურობდა, სადაც ამ რამდენიმე წლის წინათ ჯარისკაცებს ქადაგებანს უკითხავდა. იმ ხანებში იგი დიდ იმედებს ამყარებდა ქადაგებებზე და თვითეულ ქადაგებას მთელი მონდომებით კითხულობდა, „კავშირის“ წარმომადგენლები კი ჩვეულებრივ ამ დროს პოლკოვნიკის უკან ისხდნენ. ერთხელ, ქადაგების შემდეგ, ოტო კატცთან მივიდა ორი აწოწილი, გამხდარ-გამხდარი ქალი, შავ ტანსაცმელში გამოწყობილნი და კრიალოსანიანი ხელში. მათ მთელი ორი საათი ალაქლაქეს ენა ჯარისკაცთა რელიგიური აღზრდის შესახებ. რომ აღარ მოეშვნენ, გულგაწვრილებულმა ოტო კატცმა ბოლოს უთხრა: „მაპატიეთ mesdames [1], კაპიტანი მელოდება „ცხრის თამაშის“ პარტიაზეო.

— მაშ ასე, ზეთი უკვე გვაქვს, — ზეიმურად განაცხადა შვეიკმა, რომელიც პოლაკის მაღაზიიდან დაბრუნდა, — კანაფის ზეთი ნომერი სამი, პირველი ხარისხისა. მთელ ათასეულს ეყოფა. ფრიად სანდო ფირმაა. მოეპოვება აგრეთვე გასასყიდად — სელის ზეთი, ლაქი და ფუნჯები. ახლა ჩვენ ერთი პატარა ზარი გვაკლია, და ყველაფერი მორჩა.

— ზარი რაღად გვინდა, შვეიკ?

— გზაში დავარაწკუნოთ, რომ ხალხმა ქუდი მოიხადოს, უფალ ღმერთითა და ნომერ სამი კანაფის ზეთით მიმავალთ როცა დაგვინახავს. ასეა საჭირო. ბევრი შემთხვევა ყოფილა, როცა აპატიმრებდნენ ყველას, ვინც ამას არაევითარ ყურადღებას არ აქცევდა და ქუდს არ იხდიდა. ჟიჟკოვეში ერთხელ ფარარმა ბრმას სცემა, რომელმაც თურმე ქუდი არ მოიხადა. იმ საცოდავს ცემა როდი აკმარეს, ჩასვეს კიდეც, რადგან სასამართლო პროცესზე დამტკიცდა, რომ იგი ყრუ-

[1] ქალბატონებო (ფრანგ.).

ძუნჯი არ იყო, მხოლოდ ბრმა იყო, მაშასადამე, ზარის რეკა ესმოდა და თავისი მაგალითით სხვებსაც აცთუნებდა, თუმცა მთელი ეს ამბავი ღამით ხდებოდა. ყველა ამ წესის შესრულება აქაც საჭიროა, როგორც ღელესასწაულზე წმიდა ხორცისა უფლისა * სხვა დროს ხალხი ყურადღების ღირსადაც არ ჩაგვთვლიდა, ახლა კი მოწიწებით მოგვიხდიან ქუდს. თუ თქვენ, პანე ფელდკურატ, საწინააღმდეგო არაფერი გექნებათ, თვალის დახამხამებაში გავაჩენ ზარს.

ფელდკურატმა ნება დართო და შვეიკმა ნახევარ საათში მოარბენინა ზარი.

— ეს ბაკების „უ კრჟიჟკუს“ ჭიშკარს ავაძვრე, — თქვა მან. — ამის გამო მთელი ხუთი წუთი სულ შიშის კანკალში ვიყავი, გარდა ამისა, დიდხანს ლოდინიც მომიხდა, რადგან ხალხი განუწყვეტლივ მიდიმოდიოდა.

— მე კაფეში წავალ, შვეიკ. თუ ვინმე მოვიდეს, დაძელოდოს.

ფელდკურატის წასვლის შემდეგ დაახლოებით ერთი საათი იქნებოდა გასული, რომ ვიღაც ხანში შესული მამაკაცი მოვიდა, ჭაღარა, მკაცრი გამომეტყველებისა და სარგადაყლაპულივით გაჯგიმული. აშკარად ეტყობოდა, რომ ეს კაცი რაღაცაზე ძალზე გამწყრალი იყო. ყველაფერს ისე უყურებდა, თითქოს ბედისწერას გამოეგზავნოს იგი ჩვენი საწყალი პლანეტის გასანადგურებლად, სამყაროში დედამიწის კვალის ძირფესვიანად აღმოსაფხვრელად. ლაპარაკობდა მკვახედ, ცივად და მკაცრად:

— შინაა? კაფეში წავიდა? დამელოდოსო? კეთილი, დაველოდები, თუნდაც დილამდე რომ მომიხდეს აქ ჯდომა. კაფეში სასიარულო ფულები მოეპოვება, ვალის გადასახდელად კი არაფერი გაჰქონია, — ასეა არა? მერედა, მღვდელი მაინც არ იყოს! ფუი!

და იატაკზე დააფურთხა სამზარეულოში.

— პანე, აქ ნუ აფურთხებთ, — უთხრა შვეიკმა, რომელიც ინტერესით ათვალიერებდა უცნობს.

— კიდევ დავაფურთხებ, აი შეხედეთ, ესეც თქვენ! — ჯიუტად წარმოთქვა მკაცრმა პანმა და კიდევ დააფურთხა იატაკზე. — როგორ არა რცხვენია! მერედა, სამხედრო მღვდელი მაინც არ იყოს! ნამუსი სადა აქვს?

— თუ თქვენ ზრდილი ადამიანი ხართ, — შენიშნა შვეიკმა, — უნდა გადაეჩვიოთ სხვის ბინაში ფურთხებას. ან იქნებ გგონიათ, რაკი მსოფლიო ომმა იფეთქა, შეგიძლიათ აღარაფერს მოერიდოთ, ყველაფერში წრეს გადახვიდეთ? წესიერად უნდა გეჭიროთ თავი და არა ქუჩის მაწანწალასავით. თავაზიანი სიტყვა-პასუხი უნდა ამშვენებდეს

ადამიანს, ზრდილობიანი და თავმდაბალი უნდა იყოთ და არა თავაწყვეტილი ავარა ვინმე, გესმით თქვენ, ყეყეჩო და გამოტვინებულო!

მკაცრი პანი ფეხზე წამოიჭრა სავარძლიდან და სიბრაზისგან აკანკალებულმა დაიყვირა:

— როგორ მიბედავთ? მე ვარ უზრდელი?! ვინა ვარ მე, ვინ? აბა ერთი მითხარით!

— სიბინძურე! აი ვინა ხართ თქვენ, — უპასუხა შვეიკმა და თვალი თვალში გაუყარა — აფურთხებთ იატაკზე, თითქოს ტრამვაიში იყოთ, მატარებელში ან რომელიმე საზოგადოებრივ დაწესებულებაში. მე ყოველთვის მიკვირდა, როცა ასეთ ადგილებში დავინახავდი წარწერებს: „აქ დაფურთხება აკრძალულია“, მაგრამ ახლა კარგად მესმის, რომ ეს თურმე თქვენ გეხებოდათ. ჩანს, ყველგან მშვენივრად გიცნობენ.

სისხლი თავში აუვარდა მკაცრ პანს და მოჰყვა შვეიკისა და მისი ფელდკურატის ლანძღვა-გინებას.

— მორჩით? — მშვიდად ჰკითხა შვეიკმა, როცა სტუმარმა ასე დაასკვნა: „ორთავე გაიძვერები ხართ; როგორიც ბერიო, ისეთიც ერიო“.

— ან იქნებ გსურთ კიდევ რაიმეს დამატება, სანამ კიბიდან კინწისკვრით გადაგიშვებდეთ?

ვინაიდან მკაცრმა პანმა იმდენად ამოწურა თავის სიტყვათა მარაგი, რომ არც ერთი მაგარი საგინებელი სიტყვა აღარ მოაგონდა, გაჩუმება ამჯობინა, მაშინ შვეიკმა გადაწყვიტა, რაკი სტუმარი აღარაფერს უმატებს, მეტ ლოდინს აზრი აღარ აქვსო. გააღო კარი, დააყენა მკაცრი პანი კარებში პირით კიბისკენ... და ისეთი დარტყმა აგემა, რომ სპორტის ოსტატთა საერთაშორისო ფეხბურთის გუნდის საუკეთესო მოთამაშესაც კი შეშურდებოდა.

კიბეზე კისრისტეხით დაგორებულ მკაცრ პანს შვეიკმა მიაძახა:

— ამიერიდან, როცა პატიოსან ადამიანებს ესტუმრებით, წესიერად მოიქცევით.

მკაცრი პანი დიდხანს დადიოდა სახლის ახლო-მახლო და ფელდკურატს ელოდებოდა. შვეიკმა ფანჯარა გააღო და თვალს ადევნებდა მას.

როგორც იქნა ეღირსა მკაცრი პანი ფელდკურატის მოსვლას. ოტო კატცმა შეიყვანა იგი ოთახში, სკამზე დასვა და პირისპირ დაუჯდა.

შვეიკმა ხმაამოუღებლად მოიტანა საფურთხი და წინ დაუდო სტუმარს.

— რას სჩადიხართ, შვეიკ?

— მაქვს პატივი მოგახსენოთ, პანე ფელდკურატ, ამ პანთან აქ უკვე შემემთხვა პატარა უსიამოვნება იმის გამო, რომ იატაკზე იფურთხებოდა.

— დაგეტოვეთ მარტოკა, შვეიკ. მოსაგვარებელი გვაქვს ზოგიერთი საკითხები.

შვეიკი მხედრულად გამოეკიმა.

— არის, პანე ფელდკურატ, დაგტოვოთ მარტოკა, — და გავიდა საშხარეულოში.

ოთახში ამ დროს ძალზე საინტერესო საუბარი გაიმართა.

— თქვენ, თუ არა ვცდები, თამასუქით ფულის მისაღებად ხართ მოსული? — ჰკითხა ფელდკურატმა სტუმარს.

— დიახ, და ვიმედოვნებ...

ფელდკურატმა ამოიხვნეშა.

— ადამიანი ხშირად ვარდება ისეთ მდგომარეობაში, როცა იმედის მეტი აღარაფერი რჩება. ო, რა ლამაზად ჟღერს სიტყვა „ვიმედოვნებ“ იმ სამყაროში, რომელიც ადამიანს ცხოვრების ქაოსზე აღამაღლებს: რწმენა, იმედი და სიყვარული...

— იმედი მაქვს, პანე ფელდკურატ, რომ თანხა...

— ვინ გედავებათ, დიდად პატივცემულო,—გააწყვეტინა ფელდკურატმა. — შემიძლია კიდევ ერთხელ გავიმეორო, რომ სიტყვა „ვიმედოვნებ“ ადამიანს ძალ-ღონეს მატებს არსებობისთვის ბრძოლაში. ნუ დაჰკარგავთ თქვენც ამ იმედს. რა კარგია, როცა ადამიანს გაგაჩნია შენი იდეალი, ხარ უმანკო, წმინდა ქმნილება და ფულს თამასუქით აძლევ ყველას, მერე იმედი გაქვს, რომ დათქმულ ვადაზე ამ ფულს უკანვე მიიღებ, განა ამ განცდის სიამეს რამე შეედრება! ღმერთმა იმედი ნუ მოგიშალოთ, მუდამ გქონდეთ იმედი, რომ გადაგიხდით ათას ორას კრონს თუმცა ჯიბეში ასიანიც არა მაქვს.

— მაშასადამე, თქვენ... — ენის ბორძიკით ჩაილაპარაკა სტუმარმა.

— მაშასადამე მე, — უპასუხა ფელდკურატმა.

სტუმრის სახეზე ისევ სიმტკიცე და გულისწყრომა აღიბეჭდა.

— ბატონო ჩემო, ეს თაღლითობაა, — თქვა მან და წამოდგა.

— დამშვიდდით, პატივცემულო!

— ეს თაღლითობაა, — იყვირა გაკერპებულმა სტუმარმა. — თქვენ ბოროტად იყენებთ ჩემს ნდობას.

— ჩემო ბატონო, — უთხრა ფელდკურატმა, — თქვენ, ჩემის აზრით, ახლა ძალიან გარგებთ ჰაერის გამოცვლა. აქ ძალზე შეხუთუ-

ლი ჰაერია... შვეიკ! — დაუძახა მან. — ამ ჩვენს სტუმარს სუფთა ჰაერი ესაჭიროება.

— მაქვს პატივი მოგახსენოთ, პანე ფელდკურატ, — მოისმა სამზარეულოდან, — ერთხელ უკვე გავიყვანე ჰაერზე.

— გაიმეორეთ! — უბრძანა ფელდკურატმა, და ბრძანება შესრულებულ იქნა სწრაფად, ფიცხლად და უბოდიშოდ.

შვეიკი კიბიდან რომ დაბრუნდა, თქვა:

— კიდევ კარგი, პანე ფელდკურატ, ეგ კაცი თავიდან რომ მოვიშორეთ, სანამ აყალმაყალს ატეხდა... მალეშიცაში ერთი მიკიტანი ცხოვრობდა, კაცი დიდად ნაკითხი. მას ყველაფერზე მზად ჰქონდა გამონათქვამი საღვთო წერილიდან. როცა ვინმეს გამათრახება მოუხდებოდა, ყოველთვის თან დააყოლებდა ხოლმე: „ვინც წკეპლას ზოგავს, მას არ უყვარს ძე თვისი, და ვისაც უყვარს, იგი დროზე სჯის მას. მე შენ გაჩვენებ, როგორ უნდა ჩხუბი ჩემს სამიკიტნოშიო.“

— აი, ხომ ხედავთ, შვეიკ, რა მოელის იმათ, ვინც პატივს არა სცემს მოძღვარს, — გაეღიმა ფელდკურატს. — წმიდა იოანე ზლატოუსტმა თქვა: „ვინც პატივსა სცემს მოძღვარს თვისსა, იგი პატივსა სცემს ქრისტეს თავისი მოძღვრის სახით. ვინც წყენას მიაყენებს მოძღვარს, იგი წყენას მიაყენებს უფალს თვისსა, მისი წარმომადგენელი ესე არს მოძღვარი“... ხვალისთვის ჩვენ კარგად უნდა მოვემზადოთ. გააკეთეთ ერბო-კვერცხი, მოხარშეთ პუნშ-ბორდო, მერე შევუდგეთ სჯა-ბაასსა და აზრთა გაცვლა-გამოცვლას, ვინაიდან, როგორც მწუხრის ლოცვაში არის ნათქვამი: „წყალობითა ღმერთისა მრავალ-მოწყალისა აცილებულია მზაკვრობა მტრისა ამა სახლისა მიმართ“.

ქვეყანაზე არიან უტეხი ადამიანები. მათ რიცხვს ეკუთვნოდა ის ბაბაკაციც, რომელიც ორჯერ გამოაპანღურეს ფელდკურატის ბინიდან. შვეიკი და ფელდკურატი ის-იყო ვახშმად უნდა დამსხდარიყვნენ, რომ ამ დროს ვიღაცამ დარეკა. შვეიკი წავიდა კარის გასაღებად, მალე დაბრუნდა და მოახსენა:

— ისევ აქაა იგი, პანე ფელდკურატ, ჯერჯერობით საბაზანოში ჩავკეტე, რომ წყნარად ვივახშმოთ.

— ცუდად მოქცეულხართ, შვეიკ, — უთხრა ფელდკურატმა. — სტუმარი ღვთისაო. ძველად ქეიფის დროს ტაკიმასხარებს ართობინებდნენ ხოლმე თავს. მომიყვანეთ აქ, გაგვართოს ერთი.

წუთსაც არ გაუვლია, შვეიკმა მოიყვანა ჯიუტი პანი. იგი დაღვრემილი იყურებოდა.

— დაბრძანდით, — თავაზიანად მიიპატიჟა ფელდკურატმა. — ჩვენ უკვე ვამთავრებთ ვახშმობას. გიახელით ასთაკვი და ორაგული, ახლა ტაფამწვარს ვაყოლებთ. რად მოვიკლოთ რამე და არ წავიქეიფოთ ხოლმე, როცა ამქვეყნად მოიპოვებიან ადამიანები, რომლებიც სიამოვნებით იძლევიან ფულს სესხად.

— ბატონო ჩემო, მე აქ სამასხროდ არ მოვსულვარ, — თქვა პირქუშმა სტუმარმა. — დღეს უკვე მესამედ მოვდივარ. ივედი მაქვს, რომ ახლა მაინც ყველაფერი გაირკვევა.

— მაქვს პატივი მოგახსენოთ, პანე ფელდკურატ, — შენიშნა შვეიკმა, — ეს რა ურჩხული ვინმე ყოფილა! მთლად ლიბნელ ბოუშეკს არა ჰგავს! მარტო ერთი საღამოს განმავლობაში თვრამეტჯერ გამოაგდეს იგი სალუდე „ექსნერიდან“ და ყოველთვის უკან ბრუნდებოდა — „ჩიბუხი დამრჩაო“. იგი მოძვრებოდა ფანჯარაში, კარებში, შემოძვრა სამზარეულოდან, გადმოძვრა სამიკიტნოს ღობეზე, ამოძვრა სარდაფიდან ზედ დახლთან, სადაც ლუდს ასხამენ და, ალბათ, საკვამლე მილითაც ჩამოძვრებოდა, რომ მეხანძრეებს სახურავიდან არ ჩამოეყვანათ. ისეთი უტიფარი ვინმე იყო, რომ ადვილად შეიძლებოდა მინისტრი ან დეპუტატიც გამხდარიყო! ცხელი დღე კი დააყენეს!

მკაცრმა სტუმარმა, თითქოს არც გაუგონიაო, რასაც ამბობდნენ, ჯიუტად გაიმეორა:

— მე მინდა საბოლოოდ გავარკვიო ჩვენი საქმეები და გთხოვთ მომისმინოთ.

— ამის სრული უფლება გაქვთ, — უთხრა ფელდკურატმა. — ილაპარაკეთ, პატივცემულო, სანამ არ მოგწყინდეთ, ჩვენ კი განვაგრძობთ ქეიფს. ეფიქრობ, ეს თქვენ ხელს არ შეგიშლით ლაპარაკში. შვეიკ, მოიტანეთ სუფრაზე საჭმელი!

— როგორც თქვენთვის ცნობილია, — თქვა უტეხმა პანმა, — ამჟამად ომი მძვინვარებს. მე ეს ფული ომამდე გასესხეთ, და ომი რომ არ ყოფილიყო, ასე დაჟინებით არც მოვითხოვდი მის გადახდას. მაგრამ მე მწარე გამოცდილება მაქვს ამ საქმეში.

ჯიბიდან უბის წიგნაკი ამოიღო და განაგრძო:

— ამაში ყველაფერი ჩაწერილი მაქვს. ობერ-ლეიტენანტ იანატას ჩემი შვიდასი კრონი ემართა, მაგრამ იმდენად უსინდისო აღმოჩნდა, რომ დრინაზე ბრძოლაში დაიღუპა. ლეიტენანტი პრაშეკი ტყვედ დანებდა რუსებს, ჩემგან კი ორი ათასი კრონი ჰქონდა წაღებული. კაპიტანმა ვინტერლემ, რომელსაც ამდენივე ვასესხე, თავი მოაკვლევინა თავისივე სალდათებს რუსკოე რაეოუსთან. ობერ-

ლეიტენანტმა მახეკმა ათას ხუთასი კრონი გამომართვა და სერბიელებს ჩაუვარდა ტყვედ. ასეთები ჩემს წიგნაკში ბლომადაა. ერთი მოვალე კარპატებში იღუპება, მეორე ტყვედ უვარდება ხელში მტერს, მესამე, თითქოს ჯიბრზეო, სერბიის რომელიღაც მდინარეში იხრჩვება, მეოთხე უნგრეთის ერთ-ერთ ჰოსპიტალში კვდება. ახლა თქვენთვის გასაგები უნდა იყოს ჩემი შიში. ეს ომი ნამდვილად დამღუპავს, თუ ჩემს საქმეს ენერგიულად არ მოვკიდე ხელი და ყოველგვარი დაბრკოლება შეუბრალებლად არ გადავლახე. თქვენ შეგიძლიათ შემესიტყვოთ და რწმუნება დამიწყოთ, რომ არავითარი საშიშროება თქვენ, როგორც ფელდკურატს, არ მოგელით. . მაშინ ინებეთ და ეს ნახეთ!

მან შეჩარა ცხვირში ფელდკურატს თავისი უბის წიგნაკი.

— ხედავთ: ფელდკურატი მატიაში ერთი კვირის წინათ გარდაიცვალა ბრნოს გადამდებ სნეულებათა ჰოსპიტალში. მოდი და, თავი ქვას ახალე! ჩემი ათას რვაასი კრონი არ გადაუხდია და ხოლერიანთა ბარაკში კი მიდის მომაკვდავის ზეთის საცხებად, რაც მას სრულებით არ ეკითხებოდა!

— ეს ფისი ვალი იყო, ჩემო კეთილო, — უთხრა ფელდკურატმა. — მეც მივდივარ ხვალ ზეთის კურთხევაზე.

— და ისიც ხოლერიანთა ბარაკში, — დასძინა შვეიკმა. — შეგიძლიათ ჩვენთან ერთად წამოხვიდეთ, რათა თქვენი თვალით დაინახოთ, რას ნიშნავს თავის განწირვა.

— პანე ფელდკურატ, — განაგრძო ჯიუტმა მამაკაცმა, — მერწმუნეთ, რომ გამოუვალ მდგომარეობაში ვარ! ნუთუ ომი იმისთვისაა, რომ საიქიოს გაისტუმროს ყველა ჩემი მოვალე?

— როცა თქვენ სამხედრო სამსახურში გაგიწვევენ და ფრონტზე მოხვდებით, — შენიშნა შვეიკმა, — მე და ჩემი ბატონი ფელდკურატი მესას გადავიხდით, რომ ღმერთმა ინებოს და თქვენ პირველივე ყუმბარამ შეგმუსროთ.

— ბატონო ჩემო, მე თქვენთან სერიოზული საქმე მაქვს, — დაეინებით მიმართა იმ კაცმა ფელდკურატს, — მოვითხოვ, რომ თქვენი დენშჩიკი არ ერეოდეს ჩვენს საქმეებში და საშუალება მოგვცეს დღესვე მოვაგვაროთ ყველაფერი.

— მაპატიეთ, პანე ფელდკურატ, — გამოეხმაურა შვეიკი, — ინებეთ თვითონვე მიბრძანოთ, რომ მე არ ვერეოდე თქვენს საქმეებში, წინააღმდეგ შემთხვევაში მომავალშიც დავიცავ თქვენს ინტერესებს, როგორც ეს ყოველ პატიოსან ჯარისკაცს შეეფერება. ეს კაცი საკუთარი მართალი გახლავთ — მას სურს აქედან თვითონ წავიდეს,

სხვის დაუხმარებლად. მეც არა ვარ აურზაურის მოყვარული — წესიერი ადამიანი გახლავართ.

— მე უკვე მომბეზრდა ყოველივე ეს, შვეიკ, — თქვა ფელდკურატმა, რომელიც თითქოს სტუმარს ვერც ამჩნევსო. — მეგონა, ეს ადამიანი გაგვართობდა, რაღაც ანეკდოტებს გვიამბობდა, მაგ კი მოითხოვს გიბრძანოთ თქვენ არ ჩაერიოთ მის საქმეებში, მიუხედავად იმისა, რომ ორჯერ უკვე გქონდათ მასთან შეხლა-შემოხლა. ასეთ საღამოს, ესოდენ სერიოზული რელიგიური აქტის წინადღით, როცა მთელი ჩემი გულის ზრახვები ღმერთს უნდა მივანდო, იგი შემომიჩნდა რაღაც საცოდავი ათას ორასი კრონის ირგვლივ წარმოშობილი სულელური ამბით, საშუალებას არ მაძლევს მთელი გულისყური ჩემი სინდისის გამოცდასა და მაღალ ღმერთს მივაპყრო, და ყოველ ღონეს მიმართავს კიდევ ერთხელ ვუთხრა, რომ ამჟამად არაფრის მიმცემი მე არა ვარ. მასთან ლაპარაკი აღარ მსურს, რომ არ წავრყვნა ეს ღვთაებრივი საღამო! თვითონ თქვენ უთხარით მას, შვეიკ: „პან ფელდკურატისგან ვერაფერს მიიღებთ-თქო“.

შვეიკმა შეასრულა ბრძანება. მივიდა და ეს სიტყვები ყურში ჩასძახა სტუმარს.

მაგრამ უტეხი სტუმარი უჯიათობის ცხენზე შემჯდარიყო, რომ იტყვიან, და ადგილიდან არ იძვროდა.

— შვეიკ, — მიმართა ფელდკურატმა, — ერთი ჰკითხეთ მაგ პატივცემულ გვამს, კიდევ დიდხანს აპირებს აქ ჯდომას.

— აქედან ფეხს არ მოვიცვლი, სანამ ვალს არ გადამიხდით, — ჯიბრზე დადგა ურჩხული.

ფელდკურატი ადგა, ფანჯარასთან მივიდა და თქვა:

— თუ ასეა, მაშინ თქვენთვის მომინდვია, შვეიკ, ამ ვაკბატონის ბედი, — რაც გინდათ, ის უყავით.

— წავიდეთ, პანე, — უთხრა შვეიკმა და ხელი დაავლო მხარზე დაუპატიჟებელ სტუმარს. — ღმერთი სამებითაა.

და გაიმეორა თავისი ვარჯიში სწრაფად და მოხერხებულად, ფელდკურატი კი ამ დროს ფანჯრის მინაზე თითებით სამგლოვიარო მარშს უკრავდა.

საღამომ, რომელიც მთლიანად მიეძღვნა ღვთისმოსავ სჯა-ბაასს, რამდენიმე ფაზა გაიარა. ფელდკურატი ისე გულმხურვალედ შეღაღადებდა ღმერთს, რომ შუაღამემდე გაისმოდა მისი ბინიდან სიმღერა:

როცა ომში მივდიოდით რიხითა და მონდომებით, —
გაწმორებით გულმოკლულნი ცრემლებს ღვრიდნენ გოგონები.

მას ბანს აძლევდა ყოჩაღი ჯარისკაცი შვეიკი.

სამხედრო ჰოსპიტალში მოუთმენლად ელოდნენ ზეთის კურთხევას ორნი: მოხუცი მაიორი და თადარიგის ოფიცერი, ბანკის ყოფილი მოხელე. ორთავეს კარპატებში ტყვია მოხვედროდათ მუცელში და ახლა გვერდიგვერდ იწვნენ. თადარიგის ოფიცერი თავის მოვალეობად თვლიდა ზეთისცხება მიეღო, ვინაიდან მისმა უფროსმა, მოხუცმა მაიორმა მოისურვა ზეთისცხების მიღება, ოფიცერი კი, ხელქვეითი იყო და თვლიდა, მორჩილებას დავარღვევ, თუ ზეთისცხებაზე უარს ვიტყვიო. ღვთისმოსავმა მაიორმა ზეთისცხება მოისურვა იმ იმედით, რომ ლოცვა-კურთხევა მას განკურნავდა. მაგრამ ზეთის კურთხევის წინა ღამეს მათ განუტევეს სული და დილით, როცა ჰოსპიტალში ფელდკურატი შვეიკთან ერთად გამოცხადდა, ორივე მეომარი ზეწარგადაფარებული იწვა. მათ სახეები ჩაშავებოდათ, თითქოს გაგუდვისგან მომკვდარიყვნენ.

— რა ზარზეიმითა და დიდის ყოფით მოვდიოდით, პანე ფელდკურატ, პირში თითგამოვლებული კი დავრჩითl — ბედის სამდურავი გამოთქვა შვეიკმა, როცა კანცელარიაში მათ აცნობეს, რომ იმ ორს ამქვეყნიური უკვე აღარაფერი ესაჭიროებათო.

მართლაცდა, არ იკითხავთ, რა ამბით მოდიოდნენ. ეტლში ისხდნენ, შვეიკი ზარს რეკდა, ფელდკურატს კი ხელში ხელსახოცში გახვეული ზეთიანი ბოთლი ეჭირა და სერიოზული გამომეტყველებით ლოცავდა გამვლელებს, რომლებიც ქუდს იხდიდნენ. მართალია, ასეთები არც ისე ბევრნი იყვნენ, მიუხედავად იმისა, რომ შვეიკი ძალიან ცდილობდა თავისი ზარით რაც შეიძლება დიდი ხმაური აეტეხა. ეტლს ბიჭბუჭები მისდევდნენ, ერთი უკან ჩამოკიდებოდა, დანარჩენები ყიჟინას აყრიდნენ:

— უკან, უკან, ძიაl

შვეიკი ზარს აწკარუნებდა, მეეტლე უკან ჩამოკონწიალებულ ბიჭს მათრახს უტყლაშუნებდა. ვოდიჩკოვეს ქუჩაზე ეტლს ვიღაც ქალი დაეწია, წმიდა ღვთისმშობლის მარიამის კონგრეგაციის წევრი. მან მიიღო ფელდკურატისგან კურთხევა ისე, რომ ეტლის სვლა არ შეუნელებიათ. ქალმა პირჯვარი გადაისახა, მერე გადააფურთხა:

— ქაჯებივით მიაჭენებენ ამ უფალ ღმერთს. მაგათ ხელში ჭლექი დაგემართება ადამიანს, აბა რა იქნებაl — და ქოშინით დაბრუნდა თავის ადგილზე.

ყველაზე მეტად ზარის რეკა აწუხებდა მეეტლის ფაშატს, რომელსაც ამ ხმასთან, ჩანს, წარსულის რაღაც მოგონებანი აკავშირებ-

და. ის წამდაუწუმ უკან იხედებოდა და დროგამოშვებით ლამობდა შუა ქვაფენილზე აცეკვებულიყო.

აი ეს იყო მთელი ის ზეიმურობა, რომლის შესახებაც შვეიკი ლაპარაკობდა.

ფელდკურატი კანცელარიაში შეეიდა ზეთის კურთხევის ფინანსიური მხარის დასაზუსტებლად და ჰოსპიტლის მოანგარიშეს ანგარიში წარუდგინა, რომლის მიხედვით სამხედრო უწყებას მისთვის, ფელდკურატისთვის, უნდა გადაეხადა დაახლოებით ას ორმოცდაათი კრონი ნაკურთხი ზეთის საფასურად და გზის ხარჯების ასანაზღაურებლად. ჰოსპიტლის უფროსსა და ფელდკურატს მთელი დავა შეექმნათ ამ თემაზე. ფელდკურატმა მუშტი დაჰკრა მაგიდას და განაცხადა: — ტყუილა ნუ ფიქრობთ, კაპიტან, რომ ზეთის კურთხევა მუქთად ხდება. როცა დრაგუნთა ოფიცერს ცხენთსაშენში მიაკლინებენ ცხენებზე, მას ხომ სამივლინებოს აძლევენ! სულითა და გულით ვწუხვარ, რომ იმ ორ დაჭრილს ვერ მოვუსწარით, თორემ მათი ზეთის კუთხევა ორმოცდაათი კრონით მეტი დაგიჯდებოდათ.

შვეიკი ფელდკურატს ქვემოთ ელოდებოდა, საყარაულოში. ხელში ბოთლი ეჭირა ნაკურთხი ზეთით, რომელმაც სალდათებში გულწრფელი ინტერესი აღძრა. ერთმა გამოთქვა აზრი, რომ ეს ზეთი სავსებით გამოსადეგია შაშხანებისა და ხიშტების საწმენდად. ახალგაზრდა ჯარისკაცმა, ჩეხომორავიის მთებიდან ჩამოსულმა, რომელსაც ჯერ ისევ წამდა ღმერთი, ამხანაგებს სთხოვა, ასეთ რამეებს ნუ ლაპარაკობთ და დავასაც ნუ გამართავთ წმიდა საიდუმლოებებზე: ჩვენ, როგორც ქრისტიანებმა, იმედი არ უნდა დავკარგოთო.

ხანში შესულმა სათადარიგო ჯარისკაცმა შეხედა გამოუცდელ ახალგაზრდას და თქვა:

— კარგი იმედია, როცა შრაპნელი თავს წაგაწყვეტს! გვაპამპულებდნენ მხოლოდ! ომამდე ჩვენთან ერთი კლერიკალი დეპუტატი მოვიდა და გველაპარაკებოდა ცათა სასუფეველზე, რომელიც დედამიწაზე დამკვიდრდებაო. ღმერთს ომი არ სურსო, მას სურს ყველამ ძმურად ვიცხოვროთო. მაგრამ როგორც კი ომმა იფეთქა, ყველა ეკლესიაში გაიმართა წირვა-ლოცვები ჩვენი იარაღის გამარჯვებისთვის, ღმერთს კი ახსენებდნენ ვითარცა გენერალური შტაბის უფროსს, რომელიც სამხედრო მოქმედებებს ხელმძღვანელობს. რამდენი მიცვალებული გაიტანეს ამ ჰოსპიტალიდან, ჩემი თვალით მაინც არ მენახა! მოკვეთილი ხელები და ფეხები პირდაპირ საზიდრებით გაჰქონდათ!

— ჯარისკაცს დედიშობილად ასაფლავებენ, — თქვა მეორემ, — მიცვალებულის ტანსაცმელს კი ცოცხალს აცმევენ. და ასე მიდის რიგრიგობით.

— სანამ ომს არ მოვიგებთ, — დასძინა შვეიკმა.

— ომს ასეთი ტუტუცი დენშჩიკი მოიგებს! — გამოეხმაურა კუთხიდან ათისთავი. — ფრონტზე უნდა უკრა თავი ასეთებს, სანგრებში ჩარეკო, მაგათი დედა ავატირე, ხიშტებზე წამოაგო, მავთულხლართებზე მიაჟლიტო, სამგლე ორმოებში ჩაყარო, ნაღმსატყორცნებზე მიუშვა. ზურგში ნებივრად ცხოვრება ყველას ეხერხება, ფრონტზე სიკვდილი კი არავის ეხალისება.

— მე კი ვფიქრობ, ალბათ ძალიან ზორბა რაღაცაა, როცა ხიშტს მკერდში გატაკებენ! — თქვა შვეიკმა. — არც ის იქნება ცუდი, როცა მუცელში ტყვიას დაგახლიან, ამაზე უკეთესი კი, უთუოდ, ისაა, როცა ადამიანს ყუმბარა შუაზე გაგლეჯს და იგი ხედავს, რომ მისი ფეხები მუცელთან ერთად მისგან მოშორებით აგდია. ეს მას იმდენად უცნაურად მოეჩვენება, რომ გაოცებისგან უმალ კვდება, სანამ საქმის ვითარებას განუმარტავდნენ.

ახალგაზრდა ჯარისკაცმა მთელი გულით ამოიოხრა. მას შეეცოდა თავისი სიახალგაზრდავე. რა ეშმაკად დავიბადე ამ სულელურ საუკუნეშიო? განა იმისათვის, რომ ძროხასავით დამკლან სასაკლაოზე? რატომ, თორემ კი?

ერთმა ჯარისკაცმა, პროფესიით მასწავლებელმა, თითქოს მისი ფიქრები წაიკითხაო, შენიშნა:

— ზოგიერთი მეცნიერები ომის წარმოშობას მზეზე ლაქების გაჩენით ხსნიან. როგორც კი მზეზე ის ლაქები გაჩნდება, დედამიწაზე ყოველთვის უთუოდ რაღაც უბედურება დატრიალდება. კართაგენის დაცემა...

— თქვენი სწავლულობა თქვენთვის შეინახეთ, — შეაწყვეტინა მას ათისთავმა. — უკეთესი იქნება, იატაკი დაჰგავოთ, დღეს თქვენი ჯერია. რა გვესაქმება იმ სულელურ ლაქასთან, რომელიც მზეზე ჩნდება! თუნდაც ოციც რომ გაჩნდეს იქ ის ლაქა, ქურქს იმათგან ვერ შეიკერავთ!

— მზის ლაქებს ნამდვილად დიდი მნიშვნელობა აქვთ, — ჩაერია ლაპარაკში შვეიკი. — ერთხელ მზეზე გაჩნდა ლაქა და სწორედ იმ დღეს მწარედ მომბეგვეს ნუსლეს სამიკიტნოში „უ ბანზეტუ“. ამის შემდეგ, როცა სადმე წასვლას დავაპირებ ხოლმე, გაზეთში ჩავიხედავ — ლაქა ხომ არ გამოჩენილა-თქო. და თუ გავიგე, რომ ლაქა გამოჩენილა, თქვენც არ მომიკვდეთ, ფეხს არსად გავადგამ და მის

გაქრობას ველოდები. როცა ვულკანმა მონპელემ მთელი კუნძული მარტინიკი გაანადგურა, ერთმა პროფესორმა „ნაციონალურ პოლიტიკაში“ დასწერა, დიდი ხანია ვაფრთხილებდი ჩვენს მკითხველებს მზეზე უზარმაზარი ლაქის გამოჩენის შესახებო. მაგრამ „ნაციონალური პოლიტიკა“, ჩანს, დროზე არ მიუტანიათ იმ კუნძულზე. და აი აუგუგუნდათ მათ ფეხქვეშ ცეცხლისმფრქვეველი მთა!

ამ ხანობაში ფელდკურატი ზემოთ კანცელარიაში წააწყდა ერთ ქალს „რიგითი ჯარისკაცების რელიგიური აღზრდის დიდგვაროვან ქალთა კავშირიდან“, ბებერ, საძაგელ ყაჩაღანას, რომელიც დილიდანვე ჰოსპიტალში დადიოდა და მარჯვნივ და მარცხნივ არიგებდა წმიდანთა პატარა ხატებს. დაჭრილი და ავადმყოფი ჯარისკაცები ამ ხატებს საფურთხეში ჰყრიდნენ.

იგი ყველას ძარღვებს უშლიდა თავისი ბრიყვული ლაყბობით იმის შესახებ, რომ საჭიროა გულწრფელად მოინანიოთ თქვენი შეცოდებანი და გამოსწორდეთ, რათა სიკვდილის შემდეგ ყოვლად მოწყალე უფალმა საუკუნო ნეტარება მოგანიჭოთო.

იგი ფერდაკარგული იყო, როცა ფელდკურატს ელაპარაკებოდა.

— ეს ომი, ნაცვლად იმისა, რომ გააკეთილშობილოს სალდათები, ამხეცებს მათ.

ქვედა პალატაში ავადმყოფებმა მას ენა გამოუყვეს და პირში მიახალეს: — შე მაიმახო, შე თხის ღმერთო, ვალააბის ჭაკო სახედაროო.

— Das ist wirklich, schrecklich, Herr Feldkurat, das Volk ist verdorben! [1] და მან გაბა ლაქლაქი იმის შესახებ, თუ როგორ აქვს წარმოდგენილი ჯარისკაცის რელიგიური აღზრდა. ჯარისკაცი მხოლოდ მაშინ იბრძვის გულადად თავისი ხელმწიფე-იმპერატორისთვის, როცა მას წამს ღმერთი და აღსავსეა რელიგიური გრძნობებითო. მხოლოდ მაშინ არ ეშინია მას სიკვდილის, როცა იცის, რომ საიქიოს სამოთხე მოელისო.

ყბედმა ქალმა კიდევ ბევრი რაღაცა იჩერჩეტა და ეტყობოდა, ფელდკურატის გაშვებას არ აპირებდა. მაგრამ ფელკურატი სრულებით უბოდიშოდ გამოემშვიდობა მას.

— წავედით შინ, შვეიკ! — შესძახა მან საყარაულოში.

უკან ბრუნდებოდნენ ყოველგვარ ზეიმს მოკლებულნი.

— სხვა დროს, ვისაც სურს, ის წაბრძანდეს ზეთის კურთხევა-

---

1 მართლაც, ეს საშინელებაა, პანე ფელდკურატ. ხალხი ისე გაფუჭდა (გერმ.).

ზე, — თქვა ფელდკურატმა. — თვითეული ადამიანის სულის საცხონებლად ვაჭრობა და ღიჯინი გიხდება კაცს. ბუხჰალტერიის მეტი არაფერი სწამთ ამქვეყნად! არამზადები!

შვეიკის ხელში ბოთლი რომ დაინახა „ნაკურთხი ზეთით“, იგი მოიღუშა.

— ყველაზე კარგს იზამთ, შვეიკ, თუ მაგ ზეთით ჩემსა და თქვენს ჩექმებს გაპოხავთ.

— გარდა ამისა, ეცდი კარის საკეტი და ანჯამაც გავზეთო, — დასძინა შვეიკმა, — თორემ საშინლად ჭრიალებს, ღამით გვიან რომ მოდიხართ შინ.

ასე დამთავრდა ზეთის კურთხევა, რომელიც არც შემდგარა.

თავი XIV

შვეიკი — პორუჩიკ ლუკაშის დენშჩიკი

I

დიდხანს არ გაგრძელებულა შვეიკის ბედნიერება. მკაცრმა ხვედრმა შესწყვიტა მისი მეგობრული დამოკიდებულება ფელდკურატთან. თუ აქამდე ფელდკურატი სიმპათიური პიროვნება ჩანდა, მისმა უკანასკნელმა საქციელმა მას ნიღაბი ჩამოხადა.

ფელდკურატმა შვეიკი პორუჩიკ ლუკაშს მიჰყიდა, უფრო სწორად რომ ვთქვათ, წააგო იგი ბანქოს თამაშში: ასე ოდესღაც რუსეთში ყმებსა ჰყიდდნენ.

ყოველივე ეს სრულიად შემთხვევით მოხდა. პორუჩიკ ლუკაშთან ერთხელ თავი მოიყარა სასიამოვნო კომპანიამ. თამაშობდნენ „ოცდაერთს“. ფელდკურატმა ყველაფერი წააგო და განაცხადა:

— რამდენი შეგიძლიათ მასესხოთ ჩემი დენშჩიკის გირაოში? საშინელი ყეყეჩი ვინმეა, მაგრამ ძალიან საინტერესო გარეგნობა აქვს

რაღაც non plus ultra [1]. ნაძლევს დავდებ, რომ ასეთი დენშჩიკი არც ერთ თქვენგანს ჯერ არ ჰყოლია.

— ვიძლევი ას კრონს, — შესთავაზა პორუჩიკმა ლუკაშმა.—თუ ზეგამდე ფულს არ დამიბრუნებ, იმ იშვიათ ეგზემპლარს მაახლებ. ჩემი დენშჩიკი საძაგელი ვინმეა — გამუდმებით ოხრავს, წერილებს წერს შინ და ამასთანავე იპარავს ყველაფერს, რასაც წააწყდება. ერთხელ ცემით გავასავათე — არ იმოქმედა. ახლა სადაც წამოვეწევი, სილას ვუთავაზებ ხოლმე, მაგრამ ესეც არ შველის. წინა ორი კბილი ჩავუმტვრიე, ამანაც არ გამოასწორა.

— ხელს მაძლევს, — თავქარიანად დაეთანხმა ფელდკურატი.

— ზეგ ან ას კრონს მიიღებ, ან შვეიკს გაახლებ.

მან ეს ასი კრონიც წააგო და გულდაწყვეტილი ბანცალით გაუდგა გზას შინისაკენ. ოტო კატცმა მშვენივრად იცოდა, რომ ზეგამდე იგი ფულს ვერსად იშოვნიდა, რომ შვეიკს საზიზღრად მოექცა და ამასთანავე იაფადაც გაჰყიდა იგი.

„ორასი კრონი უნდა მეთხოვა შვეიკში“, — უსაყვედურებდა იგი თავის თავს. როცა ტრამვაიში ჯდებოდა, რომლითაც რამდენიმე წუთში შინ უნდა მისულიყო, სინდისის ქენჯნა იგრძნო და სენტიმენტალურ გუნებაზე დადგა.

„ლამაზად ვერ გამომივიდა, — ფიქრობდა იგი, როცა თავისი ბინის ზარს რეკდა. — როგორ გავუსწორო ახლა თვალი მის მიამიტურ, კეთილ თვალებს...“

— ძვირფასო შვეიკ, — თქვა მან, როცა ოთახში შედიოდა, — დღეს მე უცნაური ამბავი შემემთხვა. თამაშში არც ერთმა ხელმა არ გამიმართლა. იცით, გადავედი ვა-ბანკი, ხელში ტუზი მქონდა, ავიღე ათიანი. ბანქოს დამრიგებელს ხელზე მხოლოდ ვალეტი ჰქონდა და მაინც მოაგროვა „ოცდაერთამდე“. მერე რამდენიმეჯერ ვითამაშე ხან ტუზზე, ხან ათიანზე და ბანქოს დამრიგებელს ყოველთვის იმდენივე აღმოაჩნდა. წავაგე მთელი ფული...

მას სიტყვა გაუწყდა.

—...და ბოლოს წავაგე თქვენი თავიც. თქვენს გირაოში სესხად ასი კრონი ავიღე, და ზეგამდე თუ არ დავაბრუნე, თქვენ უკვე ჩემი კუთვნილება კი აღარ იქნებით, არამედ პორუჩიკ ლუკაშის. მართალი გითხრათ, ძალიან ვწუხვარ...

— ასი კრონი მე მექნება, — თქვა შვეიკმა. — შემიძლია გასესხოთ.

— რას ამბობთ, თქვენი პირიმე, მიშველეთ, მომეცით ეგ ფუ-

[1] განუმეორებელი (ლათ.).

ლი, — გამოცოცხლდა ფელდკურატი. — ახლავე წავუღებ ლუკაშს. მართალი გითხრათ, ძალიან არ მინდა თქვენთან განშორება.

ლუკაში ცოტა არ იყოს გაოცდა, როცა თავის სახლში კვლავ დაინახა ფელდკურატი.

— მოვედი, ვალი უნდა გადაგიხადო, — განუცხადა ფელდკურატმა გამარჯვებულის სახით. — მეც მომეცით კარტი.

— აბა ერთი... — წარმოთქვა მან, და როცა მისი ჯერი დადგა, დაუმატა — მარტო ერთი ქულით გადამიცილდა; როცა შემდეგმა წრემ მოაწია, მან თქვა: მაშ ასე, ვთამაშობ. მერე წამოიძახა: — ვყიდულობ! შესდექ!

— ოცი, — განაცხადა ბანქოს დამრიგებელმა.

— მე ცხრამეტი მაქვს, — წყნარად წარმოთქვა ფელდკურატმა და ბანკში უკანასკნელი ორმოცი კრონი ჩადო იმ ასიანისგან, რომელიც მას შვეიკმა ასესხა ახალი მონობისგან თავის გამოსასყიდად.

როცა ფელდკურატი შინ ბრუნდებოდა, იმ დასკვნამდე მივიდა, რომ ყველაფერი დაიღუპა, რომ შვეიკს ვერაფერი უშველიდა და მას, ალბათ, ბედად ასე უწერია—პორუჩიკ ლუკაშთან იმსახუროსო. როცა შვეიკმა კარები გაუღო, ფელდკურატმა თქვა:

— ყველაფერმა ტყუილად ჩამიარა, შვეიკ. ბედისწერას ვერ აცდება ადამიანი. წავაგე თქვენი თავიცა და თქვენი ასი კრონიც. ყველაფერი გავაკეთე, რაც შემეძლო, მაგრამ ბედისწერა ჩემზე ძლიერია. ბედმა ჩაგაგდოთ თქვენ ამიერიდან პორუჩიკ ლუკაშის ბრძყალებში... დადგა ჟამი ჩვენი განშორებისა.

— როგორ მოხდა, ბანკი მოგიხსნეს, თუ ბანქოობაში გაგშვლიპეს? — მშვიდად შეეკითხა შვეიკი. — ცუდია, როცა კარტი არ მოდის, მაგრამ უარესია, თუ მეტისმეტად გიჭრით კარტი... ზდერაზეში ცხოვრობდა ერთი ბეთუნუქე, გვარად ვეივოდა, ხშირად თამაშობდა „მარიაშს“ ტრაქტირ „სტოლეტოუ კავარნოუში“. ერთხელ რაღაც ეშმაკმა უბიძგა და მოთამაშეებს შესთავაზა: „ხომ არ ვითამაშოთ ოცდაერთი ხუთ-ხუთ კრეიცერზე?“ დასხდნენ სათამაშოდ. კარტს არიგებდა თვითონ მეთუნუქე. ყველამ წააგო, ბანკი გაიზარდა, ათეული კრონები დაგროვდა. მოხუც ვეივოდას უნდოდა თითო ხელი მაინც სხვებსაც მოეგო და ყოველთვის ჩაილაპარაკებდა ხოლმე: „აბა, პატარავ და უხეიროვ ჩემკენ“. ვერ წარმოიდგენთ, როგორ არ უმართლებდა: პატარა და უხეირო არასგზით არ მოდიოდა! ბანკი იზრდებოდა, იქ უკვე ასეულები იყრიდა თავს. მოთამაშეებს არც ერთს იმდენი არ ჰქონდა, რომ ვა-ბანკი ჩასულიყო. ვეივოდა მთლად ოფლში გაიწურა. მხოლოდღა გაისმოდა: „პა-

ტარავ, უხეიროვ, აქეთ". მოთამაშეები დებდნენ ხუთ-ხუთს და ყოველთვის აგებდნენ. ერთმა მოთამაშემ, ბუხრის მწმენდელმა, ისე აიწყვიტა, რომ შინ გაიქცა ფულის მოსატანად და როცა ბანკში ერთნახევარ ასეულზე მეტი დაგროვდა, ვა-ბანკი ჩავიდა. ვეივოდას უნდოდა თავი დაეღწია ბანკისგან და, როგორც მერმის ჰყვებოდა, გადაწყვიტა შეეძინა კარტი თუნდაც ოცდაათამდე, ოღონდ კი არ მოეგო, მაგრამ ერთბაშად ორი ტუზი ამოუვიდა. ეს არ შეიმჩნია, ისე მოაჩვენა, თითქოს არაფერი ჰქონდა და განგებ თქვა: „თექვსმეტი". ბუხრის მწმენდელს კი სულ რაღაც თხუთმეტი თუ ჰქონდა. აი ეს განა ხელის გაუმართლებლობა არ არის! ბედშავ მოხუც ვეივოდას ფერი ეცვალა, საცოდავი შესახედავი გახდა, ირგვლივ კი ბუზღუნი, ლანძღვა-გინება გაისმა, ერთმანეთს უჩურჩულებდნენ, ვეივოდა ბანქოში თაღლითობსო და ერთხელ უკვე სცემეს კიდეც უპატიოსნო თამაშისთვისაო, ნაბდვილად კი ძალიან პატიოსანი მოთამაშე იყო. ბანკში მოდიოდა და მოდიოდა კრონი კრონზე. იქ უკვე ხუთასი კრონი იყო. ამას ახლა მიკიტანმაც ველარ გაუძლო. შემონახული ჰქონდა ფული ლუდსახდელი ქარხნისთვის გადასახდელად. ამოიღო ეს ფული, მიუჯდა მაგიდას, პირველად წაგო ორი ხელი ას-ასი კრონი, მერე მოხუჭა თვალები, გადაატრიალა სკამი ბედნიერების მოსატანად და განაცხადა, რომ ვა-ბანკს ჩადის. „ეთამაშობთ აშკარად!" — თქვა მან. მოხუცი ვეივოდა, მგონი, მზად იყო ყველაფერი მიეცა, რაც ებადა, ოღონდ წაეგო. ყველას გაუკვირდა, როცა შვიდიანი მოუვიდა და დაიტოვა. მიკიტანმა ულვაშებში ჩაიცინა — მას ოცდაერთი ჰქონდა. მოხუც ვეივოდას მეორე შვიდიანი ამოუვიდა, და ისიც დაიტოვა. „ახლა ტუზი ან ათიანი მოუვა, — შენიშნა მიკიტანმა ნიშნის მოგებით. — თავს დავდებ მოსაჭრელად, პანე ვეივოდა, თქვენი აღსასრული უკვე დადგა". ყველამ სუნთქვა შეიკრა. ვეივოდა აძრობს ნელ-ნელა კარტს და... ისევ შვიდიანი გამოდის. მიკიტანს მკვდრის ფერი დაედო (ეს მისი უკანასკნელი ფული იყო) და სამზარეულოში გავიდა. ერთი წუთის შემდეგ მოირბინა ბიჭუნამ, რომელიც მიკიტანს შეგირდად ჰყავდა, და იყვირა, არიქა, ჩამოხსენით მიკიტანი, ფანჯრის სახელურზეა ჩამოკიდებულიო. გამოაძვრეს მარყუჟიდან, მკვდრეთით აღადგინეს და ისევ სათამაშოდ დასხდნენ. ფული უკვე აღარავის ჰქონდა, მთელი ფული ვეივოდასთან იდო ბანკში დახვავებული, ვეივოდა კი თავისას გაიძახის: „პატარავ, უხეიროვ, ჩემკენ" და მის ბედნიერებას საზღვარი არ ექნებოდა, ხელიდან რომ

ყველაფერი გამოცლოდა, მაგრამ კარტი ხომ უნდა გაეშალა და მაგიდაზე გადმოელაგებინა, არ შეეძლო ეთაღლითა და განგებ შეეცვალა. ყველა გაოცებული იყო, ბანქოში ასეთი რა ბედი სწყალობდა ამ კაცს. მოილაპარაკეს: თუ ნაღდი ფული შემოგველია, ხელწერილებით ვითამაშოთო. თამაში რამდენიმე საათს გრძელდებოდა, და მოხუცი ვეივოდას წინ ათასები ათასებზე ეწყობოდა, ფული მთასავით დგებოდა. ბუხრის მწმენდელს ბანკის უკვე მილიონნახევარზე მეტი ემართა, ზდერაზელ მენახშირეს დაახლოებით ერთი მილიონი, „სტოლეტოუ კავარნოუს“ მეკარეს — რვაასი ათასი კრონი, ფერშალს კი — ორ მილიონზე მეტი. მარტო იმ ჯამში, რომელშიც მიკიტნის სასარგებლოდ მოგების ნაწილი იდებოდა, ქაღალდის ნაგლეჯზე სამას ათასზე მეტი იყო აღნიშნული. მოხუცი ვეივოდა სხვადასხვა ოინებს მიმართავდა: წამდაუწუმ საპირფარეშოში მირბოდა და თავის ნაცვლად სხვა ვინმეს არიგებინებდა ბანქოს, მაგრამ, როცა უკან დაბრუნდებოდა, აცნობებდნენ, მოიგეო, ოცდაერთი ამოგვიდიო. მოიტანეს კარტის სხვა დასტა, მაგრამ ამანაც არ უშველა. როცა ვეივოდა თხუთმეტზე შეჩერდებოდა, პარტნერს თოთხმეტი აღმოაჩნდებოდა. ბრაზმორეულ მებანქოვეებს დანა პირს არ უხსნიდა, ხოლო ქვაფენილის მკირწყლავი, რომელმაც ნაღდ ფულად სულ რაღაც რვა კრონი თუ წააგო, თავშეუკავებლად იგინებოდა. მან აშკარად განაცხადა, რომ ვეივოდასთანა ადამიანების სინსილა ქვეყანაზე უნდა გაწყდესო, ერთი მაგრად უნდა დააპანღურო, კარში გააგდოთ და ლეკვივით მდინარეში დაახრჩოთო. ვერ წარმოიდგენთ, მოხუცი ვეივოდა რა დღეში ჩავარდა. ბოლოს, თავში ერთმა აზრმა გაუელვა. „საპირფარეშოში უნდა წავიდე, — მიუბრუნდა იგი ბუხრის მწმენდელს. — ჩემ მაგივრად ითამაშეთო“ და ასე უქუდოდ პირდაპირ მისლიკის ქუჩაზე გავარდა პოლიციის საძებრად, წააწყდა პატრულს და აცნობა, ამა და ამ ტრაქტირში აზარტული თამაშია გამართულიო. პოლიციელებმა უბრძანეს, ტრაქტირში დაბრუნდი და ჩვენც ფეხდაფეხ მოგყვებითო. როცა ვეივოდა უკან მოვიდა, აცნობეს, შენს აქ არ ყოფნაში ფერშალმა ორ მილიონზე მეტი წააგო, მეკარემ კი — სამზე მეტიო. მიკიტნის ჯამში ახლა უკვე ხუთას ათასიანი ხელწერილი იდო. მალე პოლიციელებიც შემოიჭრნენ ოთახში. მკირწყლავმა დაიყვირა: „აბა, თავს უშველეთ, ვისაც შეგიძლიათ!“ — მაგრამ უკვე გვიანღა იყო. ბანკს ყადაღა დაადეს და ყველანი პოლიციაში წარეკეს. ზდერაზელი მენახშირე გაუძალიანდა და იგი კალათათი წაათრიეს. ბანკში აღმოჩნდა ნახევარ მილიარდზე მეტი სესხის ბა-

რათი და ათას ხუთასი კრონი ნაღდ ფულად. „ამის მსგავსი ჩემს სიცოცხლეში არაფერი მინახავს, — თქვა პოლიციის იმსპექტორმა, როცა ასეთი თავბრუდამხვევი თანხები დაინახა. — მონტე-კარლო მიჰქარავს ამასთან შედარებით“. ყველანი, გარდა მოხუცი ვეივოდასი, პოლიციის კომისარიატში დილამდე აყურყუტეს. ვეივოდა, როგორც დამბეზღებელი, გაუშვეს და დაპირდნენ, ჯილდოდ მიიღებ ჩამორთმეული ბანკის კანონიერად კუთვნილ მესამედს, ას სამოც მილიონ კრონზე მეტსო. მოხუცი ყოველივე ამისგან ღამით ჭკუაზე შეირყა და დილით მთელ პრაღაში დარბოდა, დუჟინობით ცეცხლგამძლე კარადებს უკვეთავდა... ამას ჰქვია — კარტში ბედმა გაუღიმაო!

შვეიკმა დაამთავრა თავისი ამბავი და გროგის დასამზადებლად გავიდა. ღამით ფელდკურატს, რომელიც შვეიკმა ძლივს დააწვინა ლოგინში, ცრემლი მოერია და აღრიალდა.

— გაგყიდე, ჩემო მეგობარო, გაგყიდე, — ზლუქუნებდა იგი, — უსინდისოდ გაგყიდე. მწყევლე, ფეხქვეშ ჩამიგდე და მცემე, ყველაფრის ღირსი ვარ, მე უნამუსო! სხვის საძიძგნად გაგიმეტე. თვალებში ვეღარ გიყურებ. ერთი თავში ჩამაფარე, კბილებში ჩამცხე, ნეკნები ჩამიმტვრიე. ეს დავიმსახურე შენს წინაშე. იცი, მე ვინა ვარ?

ნამტირალევი პირისახე ბალიშში ჩარგო და წყნარი, ნაზი ხმით, გაჭიანურებით წარმოთქვა:

— უკანასკნელი ფლიდი და გაიძვერა... — და ძილმა თავი წაართვა.

მეორე დღეს სულ პირს არიდებდა შვეიკს და ადრე გავიდა სახლიდან. დაბრუნდა მხოლოდ ღამით და თან ერთი სქელი ქვეითი ჯარისკაცი მოიყვანა.

— შვეიკ, — უთხრა მან, თან ისევ თვალს ვერ უმართავდა, — აჩვენეთ ამას, სად რა არის, რომ საქმის კურსში იყოს, ამასთანავე გროგის დამზადებაც ასწავლეთ. თქვენ კი დილით პორუჩიკ ლუკაშთან გამოცხადდებით.

შვეიკმა და მისმა შემცველმა სასიამოვნო ღამე გაატარეს გროგის დამზადებაში. გათენების ხანს ჩასუქებული ქვეითი ჯარისკაცი ძლივსღა იდგა ფეხზე და ცხვირში ბუბუნებდა ერთმანეთში არეულ-დარეულ სხვადასხვა ხალხურ სიმღერებს: „ხოდოვის ახლო ღელე მოწანწკარებს, წითელ ლუდს მაწოდებს ჩვენი გოგო.

მთაო, მთაო მაღალო, ბილიკ-ბილიკ მიდიოდნენ გოგოები, ბელა გორაზე გლეხი კაცი მიწასა ხნავს...“

— შენი იმედი ნამდვილად მაქვს, — უთხრა შვეიკმა. — ასეთი ნიჭის პატრონი ფელდკურატთან გაძლებ.

ამრიგად, პირველი, რაც ამ დილით პორუჩიკმა ლუკაშმა დაინახა, ეს იყო პატიოსანი, გაბადრული სახე ყოჩაღ ჯარისკაც შვეიკისა, რომელმაც უპატაკა:

— მაქვს პატივი მოგახსენოთ, პანე ობერ-ლეიტენანტ, გახლავართ სწორედ ის შვეიკი, პან ფელდკურატმა კარტში რომ წამაგო.



II

• დენშჩიკის ინსტიტუტი ძველისძველი წარმოშობისაა. ამბობენ, ჯერ კიდევ ალექსანდრე მაკედონელს ჰყავდა დენშჩიკიო. ყოველ შემთხვევაში, სრულებით საეჭვო არაა, რომ ფეოდალიზმის ეპოქაში ამ როლში გამოდიოდნენ რაინდების საჭურველთმტვირთველნი. ვინ იყო, ვთქვათ, დონ კიხოტის სანჩო პანსა? პირდაპირ საკვირველია, რომ დენშჩიკების ისტორია აქამდე არავის დაუწერია. თორემ იქ შეგვეძლო წაგვეკითხა, შიმშილისაგან გამწარებულმა ალმავირის ჰერცოგმა ალყაშემორტყმულ ტოლედოში როგორ შეჭამა თავისი დენშჩიკი, და ისიც უმარილოდ; ამის შესახებ ჰერცოგი თვითონ წერს თავის მოგონებებში და გვაუწყებს, ჩემი მსახურის ხორცი ნაზი, რბილი და ნოყიერი იყო, გემოთი ქათმის ხორცსა და ჭაკი ვირის ხორცს შორის რაღაც საშუალოს წარმოადგენდაო.

ერთ ძველ შვაბურ წიგნში სამხედრო ხელოვნების შესახებ ჩვენ, სხვათა შორის, გვხვდება დენშჩიკის დარიგებანი. ძველ დროში დენშჩიკი უნდა ყოფილიყო ღვთისმოშიშარი, სათნო, ალალმართალი, მოკრძალებული, გულადი, თავგამოდებული, პატიოსანი და

შრომისმოყვარე, — ერთი სიტყვით, ადამიანის იდეალი. ჩვენმა ეპოქამ ბევრი რამ შესცვალა ამ ტიპის ხასიათში. თანამედროვე დენშჩიკი ჩვეულებრივ არაა ღვთისმოშიში, არც სათნოა, და არც ალალმართალი. სცრუობს, ატყუებს თავის უფროსს და ხშირად ჯოჯოხეთად აქცევს მის სიცოცხლეს. ეს მლიქვნელი მონაა, რომელიც ათასნაირ მზაკვრულ ოინებს მიმართავს, რომ სიცოცხლე მოუწამლოს თავის ბატონს.

დენშჩიკთა ახალ თაობაში უკვე აღარ მოიძებნებიან თავგანწირული არსებანი, ალმაცერის ჰერცოგის დენშჩიკის, კეთილშობილ ფერნანდოს მსგავსნი; არა მგონია, რომ მათ გააჩნდეთ იმდენი თავგანწირვა, თავის უფროსებს მოკრძალებით შესთავაზონ — ინებეთ, უმარილოდ შეგვჭამეთო. მეორეს მხრივ ჩვენ ვხედავთ, რომ უფროსები თავისი ავტორიტეტის შესანარჩუნებლად სამკვდრო-სასიცოცხლოდ ებრძვიან ახალი დროის დენშჩიკებს და ამისათვის ყოველგვარ აღმკვეთ ზომებს მიმართავენ. ზოგჯერ საქმე ნამდვილ ტერორამდე მიდის. ასე, მაგალითად, 1912 წელს შტირიის ჰრადცში ერთი ვიღაც კაპიტნის პროცესი მიმდინარეობდა, რომელსაც ცემით სიკვდილის პირამდე მიეყვანა თავისი დენშჩიკი. კაპიტანი იმ პროცესზე გაამართლეს, რადგან ასეთი რამ სულ ორჯერ ჰქონია ჩადენილი. ამ ვაებატონების აზრით, დენშჩიკის სიცოცხლე ჩალადაც არა ღირს. დენშჩიკი — ნივთია, ხშირად იგი მხოლოდ ფიტულია მუჯლუგუნის წასაკრავად, მონაა, მსახური, რომელსაც აურაცხელი მოვალეობანი აკისრია. და სრულებით არაა გასაკვირი, თუ ასეთ მდგომარეობაში მონა გაქნილი და ქლესა ადამიანი ხდება. მისი ტანჯვა-წვალება ჩვენს პლანეტაზე შეიძლება შევადაროთ მხოლოდ ძველი დროის რესტორან-სამიკიტნოების ხელზე მსახურ ბიჭების გვემას, რომელთაც წესიერების გრძნობას თავში წათაქებითა და შეუბრალებელი ცემით უნერგავდნენ. თუმცა არის ხოლმე ისეთი შემთხვევებიც, როცა დენშჩიკი იმდენად მაღლდება თავისი ოფიცრის თვალში, რომ იგი უფროსის სიყვარულს იმსახურებს და მთელი ასეულის და ზოგჯერ მთელი ათასეულის რისხვად იქცევა. ყველა უნტერი ცდილობს მისი გულის მოგებას. მისგანაა დამოკიდებული შვებულება, მას შუძლია შუამავლობა გასწიოს, რომ პატაკის დროს ყველაფერმა ჯეროვნად ჩაიაროს.

ომის დროს ამ ფავორიტებს ხშირად დიდი და მცირე ვერცხლის მედლებით აჯილდოებდნენ გულადობისა და მამაცობისთვის.

ოთხმოცდამეთერთმეტე პოლკში მე რამდენიმე ასეთ დენშჩიკს ვიცნობდი. ერთმა დიდი ვერცხლის მედალი მიიღო იმისათვის, რომ მარჯვედ იცოდა ბატის მოპარვა, — და ისე გემრიელად შებრა-

წავდა, ადამიანს პირში ნერწყვი მოადგებოდა. მეორე — მცირე ვერცხლის მედლით დააჯილდოეს იმისათვის, რომ შინიდან შესანიშნავ სურსათ-სანოვაგეს ღებულობდა დროდადრო: მისი უფროსი საშინელი შიმშილის დროს ჭამად გადაიქცა, და ისე გასუქდა, რომ ძლივს დაბაჯბაჯებდა.

როცა ამ უფროსმა თავისი დენშჩიკი მედლით დაჯილდოებაზე წარადგინა, პატაკში ასე აღნიშნა:

„ჯილდოზე ვადგენ იმისათვის, რომ ბრძოლებში გამოიჩინა არაჩვეულებრივი გულადობა და მამაცობა, არ ზოგავდა თავის სიცოცხლეს და ერთი ნაბიჯითაც არ სცილდებოდა თავის უფროსს, მიუხედავად შეტევაზე გადმოსული მტრის საშინელი ცეცხლისა“.

ის დენშჩიკი კი ამ დროს ჯარის ზურგში დათარეშობდა და საქათმეებს აცარიელებდა. ომმა შესცვალა ოფიცრისა და მისი დენშჩიკის ურთიერთობა; დენშჩიკი ყველაზე საძაგელ არსებად იქცა სალდათების თვალში. დენშჩიკს მთელი ერთი ქილა კონსერვი ჰქონდა ხოლმე მაშინ, როცა ასეულში ერთი ქილა ხუთ კაცს ეძლეოდა. მისი მათარა ყოველთვის სავსე იყო რომით ან კონიაკით. მთელი დღე ეს პირუტყვი შოკოლადს წუწნიდა, ოფიცრის ტკბილ ორცხობილებს ხეთქავდა, თავისი უფროსის სიგარეტებს წევდა, მთელი საათობით რაღაც-რაღაცებს ხარშავდა და ხრაკავდა; ატარებდა გიმნასტურას, რომელიც სწორედ მის ტანზე იყო შეკერილი.

დენშჩიკი კეთილმეგობრულად იყო განწყობილი შიკრიკთან, რომელსაც უხვად უწილადებდა თავის ნასუფრალს და თავის პრივილეგიებსაც ძმურად უყოფდა. ტრიუმვირატს ჩვეულებრივ ავსებდა უფროსი მწერავი. ეს სამეული, რომელიც მეთაურის ახლო ტრიალებდა, ყოველთვის ყველა ოპერაციისა და სტრატეგიული გეგმის კურსში იყო ხოლმე.

ქვედანაყოფი, რომლის მეთაური ასეულის მეთაურის დენშჩიკთან მეგობრობდა, ყველაზე უკეთესად იყო ხოლმე ინფორმირებული. თუ დენშჩიკი იტყოდა: „ორ საათსა და ოცდათხუთმეტ წუთსე გუდა-ნაბადს ავიკრეფთო“, მართლაც ზუსტად ორ საათსა და ოცდათხუთმეტ წუთზე ავსტრიის ჯარის ნაწილები იწყებდნენ უკან დახევას მტრის პოზიციებიდან.

დენშჩიკი ინტიმურად, კეთილმეგობრულად იყო განწყობილი საველე სამზარეულოს მზარეულთანაც და სულ ქვაბთან იყო ატუზული, ამასთანავე უკვეთავდა თავისთვის სხვადასხვა საჭმელებს, თითქოს რესტორანში იჯდა და კერძების სია ეჭირა ხელში.

— მე მკერდის ხორცი მიყვარს, — ეუბნებოდა მზარეულს, —

შენ კი გუშინ კუდუსუნი მომეცი. ჩამიდევი სუპში ღვიძლი; ხომ იცი, რომ ტყირპი დასანახავად მეზარება.

დენშჩიკი პანიკის შექმნის დიდი ოსტატი იყო. როცა მტერი სანგრებს უყმბარებს დაუშენდა, დენშჩიკს შიშის ქარი აიტანდა ხოლმე. ასეთ შემთხვევაში იგი საკუთარი და თავისი უფროსის ხელბარგით თავს აფარებდა ყველაზე უსაშიშრო ბლინდაჟში და საბნის ქვეშ ძვრებოდა, რომ ქვემეხის ყუმბარას არ მიეგნო. ამ წუთში მას მხოლოდ ერთი სურვილი ჰქონდა: მისი ოფიცერი დაჭრილიყო და მასთან ერთად ზურგში მოხვედრილიყო, და რაც შეიძლება შორს ფრონტიდან.

თავისი „საიდუმლოებებით“ იგი ერთი ათად აძლიერებდა პანიკას. „მგონი, უკვე ხსნიან ტელეფონს“ — აუწყებდა იგი კონფიდენციალურად ქვედანაყოფებს და მის სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა, თუ შემდეგ შეეძლო ეთქვა: „უკვე მოხსნესო“.

არავინ ისეთი სიამოვნებით უკან არ იხევდა, როგორც დენშჩიკი. ამ წუთებში მას აღარც ახსოვდა, რომ მის თავზე ტყვიებს ზუზუნი გაჰქონდათ და ახლომახლო შრაპნელები სკდებოდა. მან არ იცოდა, რა იყო დაღლა, როცა ხელბარგით შტაბისკენ იკვლევდა გზას, სადაც აღალი იდგა. უდიდესი სიმპათიით იყო გამსჭვალული ავსტრიის აღალისადმი და დიდი სიამოვნებით კუდში დასდევდა მას. ჩვეულებრივ, სანიტარული ორთვალა საზიდარით კმაყოფილდებოდა. მაგრამ ვინიცობაა ფეხით მოუხდებოდა ჩანჩალი, მაშინ უნდა გენახათ მისი საცოდაობა. იგი უპატრონოდ სტოვებდა სანგარში ოფიცრის ხელბარგს და მხოლოდ თავისას მიათრევდა.

თუ ისე მოხდებოდა, რომ ოფიცერი თავს აღწევდა დატყვევებას გაქცევით, დენშჩიკი კი ტყვედ ვარდებოდა, მაშინ ეს უკანასკნელი არასოდეს არ ივიწყებდა თან წაეღო და მიეთვისებინა ოფიცრის ნივთებიც, რომლებიც ამიერიდან მის საკუთრებად იქცეოდა და ამიტომ თვალისჩინივით უვლიდა.

მე ვიცნობდი ერთ დენშჩიკს, რომელმაც სხვებთან ერთად ფეხით გაიარა გზა დუბნოდან* თვით დარნიცამდე კიევზე გაელით. გარდა საკუთარი სალაშქრო ჩანთისა და თავისი ოფიცრის (რომელმაც გაქცევით თავს უშველა) ბარგისა, მას კიდევ ხუთი ხელის ჩემოდანი ჰქონდა, სულ სხვადასხვანაირი, კიდევ ორი საბანი და ბალიში. თუ არ ჩავთვლით ბოხჩას, რომელიც თავზე შემოდგმული დაჰქონდა. მან შემომჩივლა, ამათ გარდა კიდევ ორი ჩემოდანი მქონდა და კაზაკებმა წამართვესო.

ჩემს სიცოცხლეში არ დამავიწყდება ეს ადამიანი, რომელიც თავის ბარგს ჭაპანწყვეტით დაათრევდა მთელს უკრაინაში. ეს

ცოცხალი საექსპედიციო საზიდარი იყო. ჩემთვის აქამდე გაუგებარი რჩება, როგორ შესძლო მან ყველაფერი ამის ზიდვა რამდენიმე ასეულ კილომეტრზე, მერე ტაშკენტში ჩატანა, თვითეული ნივთის ფხიზლად თვალყურის დევნება... და ყოველივე ეს იმისათვის, რომ ბოლოს პარტახტიანი ტიფი შეჰყროდა საშხედრო ტყვეების ბანაკში და ძაღლივით დაკვდომოდა თავის ჩემოდნებს.

ამჟამად დენშჩიკები მიმოფანტული არიან მთელს ჩვენს რესპუბლიკაში და თავის გმირულ საქმეებზე ლაქლაქებენ. ჩვენ იერიში მიკიტანეთ და სოკალი,* დუბნო, ნიში* ავიღეთ, პიავა*გადავლახეთო. თვითეულ მათგანს ნაპოლეონად მოაქვს თავი. „და აი ვეუბნები ჩვენს პოლკოვნიკს, ინებეთ, შტაბს დაურეკეთ, შეიძლება შეტევის ღაწყება“.

მეტწილად დენშჩიკები რეაქციონერები იყვნენ, და ჯარისკაცებს ისინი ეზიზღებოდათ. ზოგიერთი დენშჩიკი დამბეზღებელი იყო და სიამოვნებით უყურებდა, როგორ უბორკავდნენ დასასჯელად ჯარისკაცს ხელფეხს.

დენშჩიკები განსაკუთრებულ კასტას შეადგენდნენ. მათ ეგოიზმს საზღვარი არ ჰქონდა.

III

პორუჩიკი ლუკაში ავსტრიის დახავსებული მონარქიის ტიპიური კადრის ოფიცერი იყო. კადეტთა კორპუსმა მისგან ნამდვილი ქამელეონი შეჰქმნა. საზოგადოებაში იგი გერმანულად ლაპარაკობდა. წერდა გერმანულად, მაგრამ კითხულობდა ჩეხურ წიგნებს, და როცა ნებითგანწესებულთა სკოლაში ასწავლიდა, რომელიც მთლიანად ჩეხებისაგან შესდგებოდა, კონფიდენციალურად ეუბნებოდა მათ: „დავრჩეთ ჩეხებად, მაგრამ ამის შესახებ არავინ არაფერი უნდა იცოდესო. მეც ჩეხი ვარ...“

ჩეხ ხალხს იგი თავისებურ საიდუმლო ორგანიზაციად თვლიდა, რომლის თავის არიდება საჭიროდ მიაჩნდა.

მაგრამ ყველაფერ დანარჩენში იგი შესანიშნავი ადამიანი იყო: უფროსების არ ეშინოდა და მანევრების დროს, როგორც ამას საჭიროება მოითხოვდა, თავის ასეულზე ზრუნავდა, კარვებში მოხერხებულად აბინავებდა და ხშირად, მიუხედავად ხელმოკლეობისა, თავის სალდათებს თითო კასრი ღვინით უმასპინძლდებოდა.

ლუკაშს უყვარდა, როცა ჯარისკაცები მწყობრად სვლის დროს მღეროდნენ. მათ უნდა ემღერათ, როცა სამეცადინოდ მიდიოდნენ,

უნდა ემღერათ მაშინაც, მეცადინეობიდან რომ ბრუნდებოდნენ. იგი ასეულს გვერდით მიჰყვებოდა და სიმღერას ხმას აყოლებდა:

სალდათი ვარ ნაფიციო,
სად მოვკვდები არ ვიციო...
დელი ოდელიასაო.

ჯარისკაცებში ლუკაში კარგი უფროსის სახელით სარგებლობდა, რადგან იგი ზედმიწევნით სამართლიანი იყო და ტყუილუბრალოდ ახირება არ უყვარდა. უნტერ-ოფიცრებს კი მისი შიშით სული ხდებოდათ. ყველაზე მრისხანე ფელდფებელს ერთი თვის განმავლობაში უმანკო კრავად აქცევდა ხოლმე.

ყვირილი იცოდა, მაგრამ არასდროს უწმაწურ სიტყვებს არ ხმარობდა, — სიტყვებსა და გამოთქმებს არჩევდა და ისე ლაპარაკობდა:

— იცის ღმერთმა, ჩემო ძვირფასო, რომ თქვენი დასჯა სრულებითაც არ მსურს, მაგრამ სხვა გზა არა მაქვს, რადგან დისციპლინაზეა დამოკიდებული არმიის ბრძოლისუნარიანობა. უდისციპლინო არმია მერყეობს და ქანაობს „ვით ლერწამი ქარში". თუ თქვენი მუნდირი წესრიგში არაა მოყვანილი, ღილები ცუდადა გაქვთ მიკერებული, ან რომელიმე ღილი გაკლიათ, ეს იმის მაჩვენებელია, რომ გავიწყდებათ თქვენი მოვალეობანი არმიის წინაშე. იქნებ თქვენთვის გაუგებარია. რადა გსჯიან რაღაც ერთი ღილის გულისათვის, რომელიც გიმნასტურაზე არ აღმოგაჩნდათ, რას გემართლებიან ასეთი უბრალო რამესთვის, ასეთი წვრილმანისთვის, რომელსაც, სამხედრო სამსახური რომ არ იყოს, ყურადღებასაც არავინ მიაქცევდა. მაგრამ სამხედრო სამსახურში საკუთარი გარეგნობის მიმართ ასეთი დაუდევრობისთვის ადამიანი ისჯება. რატომ? საქმე ის კი არაა, რომ თქვენ ღილი გაკლიათ, საქმე ისაა, წესიერებას მიგაჩვიონ. დღეს ღილი არ მიიკერეთ და, მაშასადამე, იყალთაბანდეთ. ხვალ უკვე შაშხანის დაშლა და გაწმენდა დაგეზარებათ, ზეგ რომელიმე სამიკიტნოში ხიშტი დაგრჩებათ, ბოლოს, საგუშაგოზეც დაგეძინებათ — და ყველაფერი ეს იმ ბედკრული ღილის გამო, რომლითაც სიზარმაცეს თავი მიეცით. ასეა ეს, ჩემო ძვირფასო! მე ახლა იმიტომ გსჯით, რომ აგაცდინოთ უფრო მძიმე სასჯელი იმ დანაშაულისთვის, რომელიც შესაძლოა მომავალში ჩაიდინოთ, რაკი ერთხელ უკვე ხელი შეუშვით და ზერელედ მოეპყარით თქვენს მოვალეობებს. მე თქვენ ხუთი დღით ჩაგსვამთ და გულწრფელად გისურვებთ, რომ ხმელ პურსა და წყალზე დარჩენილი დაფიქრდეთ და შეიგნოთ, რომ სასჯელი შურისძიება კი არაა, არამედ მხოლოდ აღზრდის საშუალება გახლავთ, რასაც გარკვეული მიზანი აქვს დასახული, სახელდობრ, დასასჯელი ჯარისკაცის გამოსწორება.

ლუკაში უკვე კარგა ხანია კაპიტანი უნდა ყოფილიყო, მაგრამ მას ნაციონალურ საკითხში სიფრთხილემაც კი ვერ უშველა, რადგან უფროსების მიმართ მეტისმეტ პირდაპირობას იჩენდა და არავის ელაქუცებოდა.

იგი დაიბადა დაბურული ტყეებითა და ტბებით გარშემორტყმულ სამხრეთ ჩეხეთის ერთ სოფელში, ამ მიდამოების გლეხკაცის ურჩი ხასიათი დაჰყვა და ეს ხასიათი ბოლომდეც შერჩა.

მაგრამ ლუკაში ჯარისკაცებს თუ სამართლიანად ეპყრობოდა და არასდროს არ უხირდებოდა, სამაგიეროდ თავისი დენშჩიკების მიმართ სულ სხვა იყო: მას სძულდა თავისი დენშჩიკები, რადგან არც ერთი არ გამოადგა, ყველა გაიძვერა და გათახსირებული აღმოჩნდა.

ლუკაში არც თვლიდა მათ ჯარისკაცებად, წამდაუწუმ ცხვირპირში სცემდა, აპანღურებდა და სიტყვით თუ საქმით ცდილობდა მათ გამოსწორებას. იგი უშედეგოდ ებრძოდა თავის დენშჩიკებს წლების მანძილზე, სულ მუდამ იცვლიდა და ყოველთვის ერთსა და იმავე დასკვნამდე მიდიოდა: „ისევ და ისევ ფლიდი და ყურუმსაღი პირუტყვი შემხვდაო!“ დენშჩიკებს იგი საერთოდ დაბალ საფეხურზე მდგომ სულდგმულებად თვლიდა.

ლუკაშს გაგიჟებით უყვარდა ცხოველები. მას ყავდა ჰარცის იადონი, ანგორული კატა და პინჩერი. დენშჩიკები, რომელთაც ლუკაში ხშირად იცვლიდა, ამ ცხოველებზე იყრიდნენ ხოლმე გულისჯავრს, როცა პორუჩიკი რაიმე დანაშაულისთვის დასჯიდა მათ. ისინი იადონს აშიმშილებდნენ, ანგორულ კატას ცალი თვალიც კი ამოაგდებინეს, პინჩერს, როგორც კი დაიმარტოხელებდნენ, უწყალოდ სცემდნენ და, ბოლოს, ერთმა დენშჩიკმა, შვეიკის წინამორბედმა, საცოდავი ძაღლი პანკრაცზე წაიყვანა სამტყავებლოში, რომ იქ ცოცხლად ტყავი გაეძროთ; ამისათვის მან ათი კრონიც კი არ დაიშურა საკუთარი ჯიბიდან, ხოლო პორუჩიკს მოახსენა, ძაღლი სეირნობის დროს გამექცაო. მეორე დღეს ეს დენშჩიკი უკვე პლაცზე მიაბიჯებდა, ასეულის რიგებში ჩამდგარი.

როცა შვეიკი ლუკაშს ეახლა და მოახსენა, ამ წუთიდან მზადა ვარ ჩემი მოვალეობის შესრულებას შევუდგეო, პორუჩიკმა იგი თავის ოთახში გაიხმო და ასე უთხრა:

— თქვენ რეკომენდაცია გაგიწიათ ბატონმა ფელდკურატ კატცმა. დარწმუნებული ვარ, მის რეკომენდაციას არ შეარცხვენთ. მე უკვე მთელი დუჟინი დენშჩიკები გამოვიცვალე და ვერც ერთმა მათგანმა დიდხანს ჩემთან ვერ მოათია. გაფრთხილებთ, მკაცრი ვარ და დაუზოგავად ვსჯი დენშჩიკს ყოველგვარი სიცუღლუტისა და სიცრუის გამოვლინებისთვის. მოვითხოვ, ყოველთვის მხოლოდ სიმართლე



ილაპარაკოთ და ყველა ჩემი ბრძანება სიტყვაშეუბრუნებლად შეასრულოთ: თუ ცეცხლში ჩავარდნა გიბრძანეთ, უნდა ჩავარდეთ, ძალიანაც რომ არ გინდოდეთ. საით იყურებით?

შვეიკი დიდი ინტერესით განზე იყურებოდა, კედელს მისჩერებოდა, სადაც გალია ეკიდა და შიგ იადონი ფრთხიალებდა. პორუჩიკის შეკითხვა რომ გაიგონა, თავისი კეთილი თვალები მას მიაპყრო და სათნო ხმით უპასუხა:

— მაქვს პატივი მოგახსენოთ, პანე ობერ-ლეიტენატ, ეს ჰარცის იადონია.

ამრიგად, შვეიკმა შეაწყვეტინა პორუჩიკს ლაპარაკი, მხედრულად გამოეჭიმა და თვალის დაუხამხამებლად მიაშტერდა.

პორუჩიკს უნდოდა რაღაც მკვახე ეთქვა, მაგრამ, როგორც კი შვეიკის სახის კეთილი, გულუბრყვილო გამომეტყველება დაინახა, მხოლოდ ესღა თქვა:

— როგორც ბატონმა ფელდკურატმა გადმომცა, თქვენ იშვიათი დოყლაპია უნდა იყოთ. ვფიქრობ, იგი არც შემცდარა.

— მაქვს პატივი მოგახსენოთ, ბატონი ფელდკურატი არ შემცდარა, როცა საკალდებულო სამხედრო სამსახურში ვიყავი, იდიოტიზმის გამო გამანთავისუფლეს, რადგან ყველა დარწმუნებული იყო ჩემს იდიოტობაში. პოლკიდან ამ მიზეზით ორი კაცი გამოგვეს-

ტუმრეს: მე და ერთი კაპიტანი ფონ კაუნიტცი. ქუჩაში სიარულის დროს, უკაცრავად პასუხია, იგი მარცხენა ხელის თითით მარცხენა ნესტოს იჩიჩქნიდა, მარჯვენა ხელის თითით — მარჯვენა ნესტოს. მეცადინეობის დროს ისე დაგვაწყობდა, თითქოს ცერემონიალური მარშისთვის გვამზადებდა, და გვეტყოდა: „სალდათებო... ე-ე ... იცოდეთ... ე-ე... რომ დღეს... ოთხშაბათია, იმიტომ, რომ... ხვალ ხუთშაბათი იქნება... ე-ე...“

პორუჩიკმა ლუკაშმა მხრები აიჩეჩა, საპასუხოდ სიტყვაც ვერ იპოვა, და ბოლთას ცემას შეუდგა — კარებიდან ფანჯრისკენ და ფანჯრიდან კარებისკენ, — აუვლიდა და ჩაუვლიდა შვეიკს, ხოლო შვეიკი იმის მიხედვით, რომელ მხარეს მოექცეოდა ლუკაში, ხან „rechtsschaut“-ს აკეთებდა, ხან „linksschaut“-ს [1] — და ისეთი თვინიერი სახით, რომ პორუჩიკმა თვალები დახარა, ხალიჩას დააშტერდა და თქვა ის, რასაც არავითარი კავშირი არ ჰქონდა შვეიკის შენიშვნებთან ბრიყვი კაპიტნის შესახებ.

— დიახ! ჩემთან ყველაფერი რიგზე უნდა იყოს, სისუფთავე უნდა დაიცვათ, ტყუილის თქმა არ გაბედოთ. მე პატიოსნება მიყვარს. მძაგს სიცრუე, სიცრუისთვის შეუწყნარებლად დაგსჯით. გასაგებია, რაც გითხარით?

— მაქვს პატივი მოგახსენოთ, პანე ობერ-ლეიტენანტ, ყველაფერი გასაგებია. იმაზე ცუდი არაფერია, როცა ადამიანი ცრუობს. თუ კაცმა სიცრუეში შესტოპა, უნდა იცოდეს, რომ ბოლოს უეჭველად დაიღუპება. პელჰრშიმოვას მახლობელ სოფელში იყო ერთი მასწავლებელი, გვარად მარეკი. ეს მასწავლებელი კუდში დასდევდა ვეტყეევე შპერის გოგოს. მეტყეევემ შეუთვალა, თუ ჩემს გოგოს თავს არ დაანებებ და მასთან ტყეში პაემანს არ მოიშლი, მაშინ ჩანს, შენს წერას აუტანიხარ, და ნურას უკაცრავად, როგორც კი წაგასწრებთ, მარილნარევი წვრილად დაჭრილი ჯაგრით გატენილი თოფით უკანალს აგიწვავო. მასწავლებელმა უპასუხა, მთელი ეგ ამბავი მოჭორილიაო. მაგრამ, ერთხელ, როცა იგი თავის გულის სატრფოს ელოდებოდა, მეტყეევე თავს წაადგა და ის-იყო თავისი მუქარა სისრულეში უნდოდა მოეყვანა, რომ უცბად მასწავლებელმა თავი მოიკატუნა: აბა, რას გიშავებთ, ტყის ყვავილებს ვკრეფო. მეორედ მოიმიზეზა, კოლექციისთვის ხოჭოებს ვაგროვებო; ერთ ტყუილს მეორე მოჰყვა, მეორეს მესამე, ტყუილს ტყუილი ემატებოდა. ბოლოს, შეშინდა მასწავლებელი და დაიფიცა, კურდღლებისთვის მხოლოდ მახეების დაგებას ვაპირებდიო. ასე არ უნდაო, — თქვა მეტყეევემ, — ჩაავლო ხელი მასწავლებელს და ჟანდარმებს მიჰგვარა,

[1] „სწორება მარჯვნივ“, „სწორება მარცხნივ“ (გერმ.).

აქედან სასამართლოს გადასცეს და მასწავლებელმა კინაღამ საპყრობილეში ამოჰყო თავი. ხომ ერჩივნა თავის დროზე სიმართლე ეთქვა, მაშინ მხოლოდ ერთ ულუფა ჯაგარსა და მარილს აგემებდნენ და ამით ყველაფერი მორჩებოდა. მე იმ აზრისა ვარ, უმჯობესია მოვიდე და გითხრათ: მაქვს პატივი მოგახსენოთ, ესა და ეს ჩავიდინე-თქო. თუ პატიოსნებაზე ვილაპარაკებთ, პატიოსნება, რაღა თქმა უნდა, შესანიშნავი რამაა, პატიოსანი ადამიანი შორს წავა. სწორედ ისე, როგორც სიარულში შეჯიბრების დროსაა ხოლმე. როგორც კი იცულლუტებ და სიარულიდან სირბილზე გადახვალ, უმალ დისტანციას ასცდები. აი, მაგალითად, ჩემი ბიძაშვილი. პატიოსანი ადამიანია, ყველგან პატივსა სცემენ, თვითონაც კმაყოფილია და ჩვილი ბავშვივით გრძნობს თავს, როცა დაძინების წინ სრული უფლებით შეუძლია თქვას: „დღევანდელი დღეც პატიოსნად გავატარეო“.

ამ ხანგრძლივი ლაპარაკის დროს პორუჩიკი სავარძელში იჯდა. შვეიკს ჩექმებზე უყურებდა და ფიქრობდა: „ღმერთო ჩემო, მეც ხომ ხშირად ასეთ სისულელეებს ვჩმახავ ხოლმე. განსხვავება მხოლოდ ამ სისულელის გამოთქმის ფორმაშია“.

მიუხედავად ამისა, როგორც კი შვეიკმა ლაპარაკი დაასრულა, თავისი ავტორიტეტი რომ არ შეელახა, ასე უთხრა:

— თქვენ ყოველთვის გაწმენდილი უნდა გქონდეთ ჩექმები, მუნდირი წესიერად უნდა გეცვათ, ყველა ღილი თავის ადგილზე უნდა იყოს მიკერებული. უნდა სტოვებდეთ ჯარისკაცის შთაბეჭდილებას და არა ვიღაც მაწანწალისას. პირდაპირ გასაოცარია, რომ არც ერთ თქვენგანს სამხედრო იერი არ გააჩნია. ჩემს მსახურებს შორის მხოლოდ ერთს ეჭირა თავი ყოჩაღად, და იმანაც კი ბოლოს ნამუსი შეირცხვინა, საპარადო მუნდირი მომპარა და ებრაელთა კვარტალში გაყიდა.

პორუჩიკი დადუმდა. მაგრამ მერე ისევ ალაპარაკდა და შვეიკს ჩამოუთვალა ყველა მისი მოვალეობა, განსაკუთრებით ჩასჩიჩინებდა იმას, რომ შვეიკი საიმედო მსახური ყოფილიყო და შინაურ ამბებზე არსად ელაყბა.

— ჩემთან ქალები დადიან ხოლმე, — ხაზი გაუსვა მან. — ზოგჯერ რომელიმე მათგანი ღამითაც რჩება, თუ, რა თქმა უნდა, მეორე დღეს სამსახურში არა ვარ წასასვლელი. ასეთ შემთხვევაში საწოლში ყავას მოგვართმევ, მაგრამ მხოლოდ მაშინ, როცა დაგირეკავთ, გასაგებია?

— სწორედ აგრეა, გასაგებია, პანე ობერ-ლეიტენანტ. მოულოდნელად თავი რომ შემოვყო ოთახში, შეიძლება ზოგიერთ მანდილოსანს ეს არ ეჭაშნიკოს. მე თვითონ ერთხელ შინ ერთი ქალიშვი-

ლი მივიყვანე. ჩემმა მსახურმა დედაკაცმა ყავა შემოგვიტანა, როცა ლოგინში ვიწექით; სწორედ იმ დროს შემოვიდა, ხვევნა-კოცნაში რომ ვიყავით გართული. ჩვენს დანახვაზე დედაკაცს ისეთი ელეთ-მელეთი დაემართა, რომ ცხელი ყავა ზედ ზურგზე გადამასხა, თან „დილა მშვიდობისაო!“ დააყოლა. დიახ, ძალიან კარგად ვიცი, როგორ უნდა მოვიქცე, როცა ქალი მამაკაცთან რჩება ღამით.

— დიახ, შვეიკ! ქალებთან განსაკუთრებული თავდაჭერა გმართებთ, — თქვა პორუჩიკმა. იგი კარგ გუნებაზე დადგა, რადგან საუბარი ისეთ საგანს შეეხო, რომელიც მთელ მის თავისუფალ დროს ავსებდა, თუ ან ყაზარმაში არ იყო, ან პლაცზე არ ამეცადინებდა ჯარისკაცებს, ან კიდევ თუ ბანქოს არ თამაშობდა.

ქალები პორუჩიკის ცხოვრების სულსა და გულს შეადგენდნენ. ისინი ოჯახური კერის სიამტკბილობას უქმნიდნენ მას. ლუკაშს დუეინობით ჰყავდა ქალები და ბევრი მათგანი ცდილობდა სხვადასხვა იაფფასიანი ნივთებით დაემშვენებინა მისი ბინა. .

კაფეს პატრონის ცოლმა მთელი ორი კვირა გაატარა პორუჩიკთან, სანამ ქმარმა არ მიაკითხა, ამ ხნის განმავლობაში ლუკაშს შესანიშნავი ვიწრო საფენი ამოუქარგა სუფრისთვის, ყველა საცვალზე მონოგრამები გაუკეთა და, ალბათ, კედლის პატარა ხალიჩასაც მოათავებდა, ქმარს რომ არ შეეწყვიტა ეს იდილია.

მეორემ, რომელსაც სამი კვირის შემდეგ მშობლებმა მიაკითხეს, განიზრახა პორუჩიკის საწოლი ოთახი ქალის ბუდუარად გადაექცია და ყველგან სხვადასხვა იაფფასიანი ნივთები და ლარნაკები ჩამოამწკრივა, საწოლის თავით კი მფარველი ანგელოზის სურათი ჩამოკიდა.

ქალის ხელი, რომელიც საწოლისა და სასადილო ოთახების ყოველ კუნჭულს ეტყობოდა, სამზარეულოშიც შეიჭრა, სადაც შეგეძლოთ გეხილათ სულ ნაირნაირი ჭურჭლეულობა, რომლებიც პორუჩიკზე შეყვარებული ერთი მეფაბრიკის ცოლის შესანიშნავი საჩუქარი გახლდათ. ამ ქალმა, გარდა თავისი ვნებისა, პორუჩიკის სახლში შემოიტანა მწვანილისა და კომბოსტოს საკეპი მანქანა, ფუნთუშის საჭრელი ხელსაწყო, ღვიძლის საფხეკი, ქვაბები, ტაფები, ქაფქირები და, ღმერთმა უწყის, კიდევ რამდენი რამ სხვა საოჯახო ნივთი!

მაგრამ მეფაბრიკის ცოლმა ერთი კვირის შემდეგ აქაურობა მიატოვა, რადგან ვერ შეურიგდა იმ აზრს, რომ ლუკაშს კიდევ ოციოდე სხვა საყვარელი ჰყავდა, რის გამოც, ყოველ ეჭვს გარეშეა, მუნდირში გამოწყობილი ეს ჯიშიანი ხვადი ასეთი ვნებით ველარ აკმაყოფილებდა მეფაბრიკის ცოლის ტრფიალს, როგორც ეს მისთვის სასურველი იყო..

პორუჩიკ ლუკაშს დიდი სატრფიალო მიმოწერა ჰქონდა გაჩაღებული, გაიკეთა საყვარლების ფოტოსურათების ალბომი, შექმნა სხვადასხვა რელიკვიების კოლექცია, რადგან უკანასკნელი ორი წლის განმავლობაში ფეტიშიზმისადმი მიდრეკილება დასჩემდა. ნივთებს შორის ჰქონდა რამდენიმე ცალი ქალის სულ ნაირნაირი წვივსაკრავი, ოთხი წყვილი ამოქარგული ფაქიზი ქვედა საცვალი, ქალის სამი გამქვირვალე, სიფრიფანა პერანგი, ბატისტის კაბა და, ბოლოს, ერთი კორსეტი და რამდენიმე ჩულქი.

— დღეს მორიგე ვარ, — უთხრა პორუჩიკმა შვეიკს, — შინ ვხოლოდ ღამით დაებრუნდები. ოთახები დაალაგეთ, უკანასკნელ ჩემს დენშჩიკს სიზარმაცისთვის სალაშქრო ასეულში ვუკარი თავი და დღეს ფრონტზე წაბრძანდა.

მერე იადონისა და ანგორული კატის შესახებ გასცა განკარგულება. კარებში რომ გადიოდა, კიდევ ერთხელ თქვა რამდენიმე სიტყვა პატიოსნებასა და წესიერებაზე.

პორუჩიკის წასვლის შემდეგ შვეიკმა ისეთ მკაცრ წესრიგში მოიყვანა ყველა ოთახი, რომ, როცა ღამით ლუკაში შინ დაბრუნდა, მის დენშჩიკს შეეძლო თამამად ეპატაკნა.

— მაქვს პატივი მოგახსენოთ, პანე ობერ-ლეიტენანტ, ყველაფერი წესრიგშია, ოღონდ კატა ცოტა უწესოდ მოიქცა: თქვენი იადონი შესახსლა.

— რაო?! — დაიღრიალა პორუჩიკმა.

— მაქვს პატივი მოგახსენოთ, პანე ობერ-ლეიტენანტ, აი როგორ იყო საქმე. მე დიდი ხანია ვიცი, რომ კატებს იადონი არ უყვართ და სჩაგრავენ მას. ამიტომ გადავწყვიტე დამეახლოვებინა ისინი ერთმანეთთან; და ვინიცობაა, ის გაიძვერა რაიმე ოინს განიზრახავდა, ერთი ისე მაგრად გამებერტყა, რომ სიკვდილამდე დამახსოვრებოდა, თუ როგორ უნდა იადონთან თავის დაჭერა. უნდა გამოგიტყდეთ, ცხოველები ძალიან მიყვარს!.. ჩვენთან სახლში ერთმა მექუდემ აკი მოახერხა კატის ჭკუის სწავლება. პირველ ხანებში, მართალია, სამიოდე იადონი შეუყლაპა, სამაგიეროდ ახლა აღარც ერთს არ ერჩის, და იადონს შეუძლია კატას ზურგზეც კი დაასკუპდეს. მეც მინდოდა მესინჯა, გამოვიყვანე გალიიდან იადონი და გავუწოდე კატას დასაყნოსად, იმ საძაგელმა კი, თვალიც ვერ შევასწარი, ისე წაგლიჯა თავი. მართალი გითხრათ, მისგან ასეთ უზრდელობას არ მოველოდი! ეს უბრალო ბეღურა რომ ყოფილიყო, კიდევ ჰო, პანე ობერ-ლეიტენანტ, მაგრამ — წარმოგიდგენიათ — შესანიშნავი იადონი, ჰარცის იადონი ჩავარდა ამ დღეში! მერე არ იკითხავთ, რა მადიანად ახრამუ-

ნებდა ის ოჯახქორი და თან მომეტებული სიამოვნებისაგან როგორ კრუტუნებდა?! კატებს, როგორც იტყვიან ხოლმე, არავითარი მუსიკალური განათლება არ მიუღიათ და იადონის სიმღერას ვერ იტანენ. ეს იმიტომ, რომ იმ საძაგლებს ამისი არაფერი გაეგებათ... ჩვენი კატა, რასაკვირველია, საკადრისად გამოვლანძღე, მაგრამ ღმერთმა დამიფაროს, თითიც არ დამიკარებია, თქვენ გელოდებოდით, — როგორც გადაწყვეტთ, ისე მოვიქცევი: რა ვუყოთ იმ საზიზღარ მაიმახს?

შვეიკი ამას უამბობდა და თან ისე მიამიტად შესცქეროდა თვალებში პორუჩიკს, რომ გაცოფებული ლუკაში ცოტათი მოლბა, სავარძელში ჩაჯდა და ჰკითხა:

— მისმინეთ, შვეიკ, თქვენ მართლა ასეთი ღვთის გლახა ხართ?

— სწორედ ასე გახლავთ, პანე ობერ-ლეიტენანტ, — ხალისით უპასუხა შვეიკმა. — პატარაობიდანვე დაწყეველილი ბედისა ვარ. ყოველთვის ვცდილობ საქმის ისე მოგვარებას, რომ ყველაფერი კარგად იყოს, მაგრამ აქედან არასოდეს არაფერი არ გამოდის, გარდა უსიამოვნებისა როგორც ჩემთვის, ისე სხვებისთვის. მე მინდოდა, რომ ისინი გაცნობოდნენ და შეჩვეოდნენ ერთმანეთს. განა მე დამნაშავე ვარ, რომ კატამ იადონი შეჭამა და ამით დამთავრდა მათი ნაცნობობა. ამ რამდენიმე წლის წინათ სასტუმრო „უ შტუპარტუში" კატამ თუთიყუშიც კი შეჭამა იმისთვის, რომ ფრინველი მას აჯავრებდა და კატასავით კნაოდა... მერე არ იტყვით, როგორი გამძლეებ-არიან ეს კატები! თუ მიბრძანებთ, პანე ობერ-ლეიტენანტ, იმ კატას ბოლო მოვუღო, საპირო იქნება კარებში გამოვჭეჭყო, სხვანაირად არაფერი გამოვა.

შვეიკმა უმანკო გამომეტყველებით და მომხიბლავი ღიმილით გადმოულაგა პორუჩიკს ყველა ის ხერხი, რომლითაც ჰკლავენ ხოლმე კატებს. მისი თხრობა ცხოველთა დაცვის საზოგადოებაში რომ მოესმინათ, ალბათ ყველა ჭკუაზე შეიშლებოდა.

შვეიკმა ამ დარგში ისეთი ცოდნა გამოიჩინა, რომ პორუჩიკ ლუკაშს მთლად გადაავიწყდა თავისი რისხვა და ჰკითხა:

— თქვენ გემარჯვებათ ცხოველების მოვლა? გიყვართ ისინი?

— ყველაზე მეტად ძაღლები მიყვარს, — უპასუხა შვეიკმა, — რადგან ეს დიდად შემოსაელიანი წყაროა იმათთვის, ვინც უნარს გამოიჩენს ძაღლებით ვაჭრობაში. მაგრამ მე თავი ვერ მოვაბი საქმეს, რადგან ყოველთვის მეტისმეტად პატიოსნად ვიქცეოდი, თუმცა შეყიდველები პრეტენზიებს მაინც აცხადებდნენ, აქაოდა, ნაცვლად ჯანსაღი და ჯიშიანი ძაღლისა მძორი შემოგიტყუებიაო. თითქოს ყველა ძაღლი აუცილებლად ჯიშიანი და ჯანსაღი უნდა იყოს! ვინ გიწევთ ანგარიშს, გინდათ არ გინდათ, ყველას უნდა მიართვა შთა-

ჰომავლობის მოწმობა, და აი მიხდებოდა ამ მოწმობების ბეჭდვა: რომელიმე კოშირჟელი ეზოს ძაღლი, აგურის ქარხნის ეზოში მოგდებული, უნდა მომენათლა წმინდა სისხლის, ჯიშიან ძაღლად, რომელიც თვით არმინ ფონ ბარჰაიმის ბავარულ საძაღლედან იყო თითქოს გამოყვანილი. ამ ხერხით მყიდველების გული მოვინადირე; ისინი ფიქრობდნენ, რომ მართლაც წმინდასისხლა ძაღლის პატრონნა ხდებოდნენ. ადვილად შემეძლო ხელში შემეჩეჩებინა ერშოვიტული შპიცი ნაცვლად ტავსისა, — მათ მხოლოდ ის უკვირდათ, ასეთ იშვიათ ძაღლს, შუაგულ გერმანიიდან გამოყვანილს, ბანჯგვლიანი ბალანი რატომ ჰქონდა, ფეხები კი სწორი და არა მოგრეხილი. ასეთი ამბები ხდება ყველა დიდ საძაღლეში. ერთი განახათ, პანე ობერლეიტენანტ, რა გაიძვერულ ხერხებს არ მიმართავენ ძაღლების შთამომავლობის მოწმობების შესათხზავად. ისეთი ძაღლი, რომელსაც შეეძლოს თავის თავზე თქვას: „მე წმინდა სისხლისა ვარო“, — მართალი გითხრათ, ცოტაა; ან დედამისი, ან ბებია გადაეკიდებოდა უთუოდ რომელიმე მახინჯს, ანდა მამა ეყოლებოდა რამდენიმე, და მემკვიდრეობით თვითეულისგან რაღაც მაინც გამოყვებოდა: ერთისაგან — ყურები, მეორესგან — კუდი, რომელიმესგან — ბალანი დრუნჩზე, მესამესგან — დრუნჩი, მეოთხესგან — მრუდი ფეხები, მეხუთეს კი სიმაღლით დაემსგავსებოდა. და თუ მამები ერთ დუჟინამდე მაინც ყავდა, მაშინ ადვილი წარმოსადგენია, პანე ობერ-ლეიტენანტ, რა სახე ექნებოდა ძაღლს. აი ერთხელ ვიყიდე ასეთი ხვადი. ბალაბანი ერქვა; ის, იმ თავისი მამების წყალობით, ისეთი უმსგავსი რაღაც იყო, რომ ყველა ძაღლი თავს არიდებდა. ვიყიდე იმიტომ, რომ მისმა საცოდაობამ გული დამითუთქა. ყველასგან მოძულებული, სულ ოთახში იწვა, კუთხეში მიცუცქული და დადარდიანებული. ის საცოდავი პინჩერად გავასაღე. დიდი მუშაობა კი დამჭირდა, როცა მარილიანი წიწაკის ფერად ვღებავდი. გაყიდვის შემდეგ პატრონთან ერთად ის მორავიაში მოხვდა, მერე აღარც მინახავს.

პორუჩიკი ძალიან გაართო ამ მოხსენებამ კინოლოგიის დარგში და შეეიკი შეუფერხებლად განაგრძობდა:

— ძაღლებს არ შეუძლიათ ქალებივით თავიანთი თავის შეღებვა, ამაზე უნდა იზრუნონ იმათ, ვისაც მათი გაყიდვა სურთ. თუ, მაგალითად, ძაღლი ბებერია და გაჭაღარავებული, თქვენ კი გსურთ ის ერთწლიან ლეკვად გაასაღოთ, ანდა ასეთი გადაღძუებული ბეხრეკი ცხრათვიანად მოაჩვენოთ, ყველაზე უკეთესია იყიდოთ ლაპისი, გახსნათ ის და ძაღლი შავად შეღებოთ — ბალანი ახალივით აუბზინდება. ძალა რომ მოემატოს, დიდი რაოდენობით მიეცით საკვებში დარიშხანა, კბილები ზუმბარას ქაღალდით გაუსუფთავეთ,

რომლითაც დაჟანგულ დანებს სწმენდენ. გასაყიდად როცა წაიყვანთ, სლივოვიცე გადააყლურწვინეთ, რომ ძაღლი ცოტა გუნებაზე დადგეს. ის უმალ გამხნევდება, გამოცოცხლდება, მხიარულად აყეფდება და ყველას ლოშნას დაუწყებს, ვით შეზარხოშებულ გუნებაზე მყოფი ქალაქის სამმართველოს რომელიმე წევრი. მთავარი კი აი რა არის: მყიდველს, პანე ობერ-ლეიტენანტ, უნდა ელაპარაკოთ, და ელაპარაკოთ იმდენ ხანს, სანამ სულ მთლად არ გამოათაყვანებთ. თუ, ვთქვათ, ვინმეს სურს იყიდოს ოთახის ძაღლი, თქვენ კი არავითარი სხვა ძაღლი არ მოგეპოვებათ, გარდა მონადირე ძაღლისა, მყიდველს იმდენი უნდა ეჩიჩინოთ, რომ მან ნაცვლად ოთახის ძაღლისა მონადირე ძაღლი წაიყვანოს. თუ შემთხვევით ხელზე აღმოგაჩნდათ მარტო ფოქსტერიერი, ხოლო სურთ ბრაზიანი გერმანული დოგი იყიდონ, სახლს რომ უდარაჯოს, პირი უნდა მოიხიოთ და, მყიდველს იმდენი ელაპარაკოთ, სანამ თავრეტი არ დაესხმება და ნაცვლად დოგისა თქვენს ჯუჯა ფოქსტერიერს არ ჩაისვამს ჯიბეში... როცა თავის დროზე მე ცხოველებით ვვაჭრობდი, ერთხელ ჩემთან ერთი მანდილოსანი მოვიდა. ბაღში თუთიყუში გამიფრინდაო, იქ კი, ვილის მახლობლად, ამ დროს ბიჭები თამაშობდნენ — თითქო ინდიელები იყვნენ. დაიჭირეს ჩემი თუთიყუში, კუდიდან გაფცქვნეს და ფრთები ქუდებში გაირჭვეს პოლიციელებივითო. თუთიყუშმა თურმე იუკადრისა, აქაოდა, უკუდოდ როგორ დავრჩიო, და ავად გახდა, ხოლო ბეითალმა რაღაც ფხვნილებით მთლად ბოლო მოუღო. ჰოდა, იმ მანდილოსანმა მითხრა, სხვა თუთიყუში მინდა შევიძინოო, მაგრამ ზრდილობიანი უნდა იყოს და არა უხეში, რომელმაც უშვერი სიტყვების მეტი არაფერი იცისო. რა უნდა გამეწყო, როცა არც ერთი თუთიყუში არ გამაჩნდა და არც არსად მეგულებოდა. მყავდა მხოლოდ ერთი ავზე ავი ბულდოგი, ორთავ თვალით დაბრმავებული. ჰოდა, პანე ობერ-ლეიტენანტ, ამ მანდილოსანთან დღის ოთხი საათიდან საღამოს შვიდ საათამდე ლაპარაკი დამჭირდა და, როგორც იქნა, დავიყოლიე, თუთიყუშის ნაცვლად ბრმა ბულდოგი ეყიდნა. ეს მანევრი გაცილებით უკეთესი გამოდგა, ვიდრე რომელიმე დიპლომატიური გართულება. როცა მანდილოსანი მიდიოდა, დავძინე: „აი ახლა სცადონ იმ ბიჭებმა ამასაც მოაგლიჯონ-მეთქი კუდი“. ამის შემდეგ მე ის მანდილოსანი თვალით აღარ მინახავს: ბულდოგის გამო იგი იძულებული გახდა პრაღა დაეტოვებინა, რადგან იმ ძაღლმა, თურმე, მთელ ეზოში კაცი არ გაუშვა, რომ არ დაეკბინა... მერწმუნეთ, პანე ობერ-ლეიტენანტ, კარგი ცხოველის შოვნა ძალიან, ძალიან ძნელია...

— მე თვითონ მიყვარს ძაღლები, — თქვა პორუჩიკმა. — ზოგიერთმა ჩემმა ამხანაგმა თან წაიყვანა ძაღლი ფრონტზე. ეს ამხა-

ნაგები მწერენ, რომ ასეთი ერთგული და თავდადებული მეგობრის გვერდით ფრონტული ცხოვრება შეუმჩნეველიაო. თქვენ, როგორც ვხედავ, საკმაოდ ერკვევით ძაღლების ყველა ჯიშში და მჯერა, ძაღლი რომ მყავდეს, კარგად მოუვლიდით. თქვენის აზრით, რომელი ჯიშის ძაღლია ყველაზე უკეთესი; ესე იგი, მე მხედველობაში მყავს მეგობარი ძაღლი? ოდესღაც მყავდა პინჩერი, მაგრამ არ ვიცი...

— ჩემის აზრით, პანე ობერ-ლეიტენანტ, პინჩერი ძალიან სასიამოვნო ძაღლია. მართალია, ყველას როდი მოსწონს პინჩერი, რადგან ჯაგარა ბალნით არის შემოსილი, დრუნჩზე ისეთი ხეშეში ბალანი აქვს, თითქოს ახლახან გათავისუფლებული კატორღელიაო. პინჩერები შესახედავად უმსგავსონი არიან, მაგრამ სამაგიეროდ ჭკვიანები გახლავთ. აბა, სად მივა მასთან გამოლენჩებული სენ-ბერნარი! პინჩერი ფოქსტერიერზეც ჭკვიანია. მე ვიცოდი ერთი...

პორუჩიკმა ლუკაშმა საათს დახედა და შვეიკს სიტყვა შეაწყვეტინა:

— უკვე გვიანაა, უნდა გამოვიძინო. ხვალ ისევ მორიგე ვარ. თქვენ შეგიძლიათ მთელი დღე მოანდომოთ ჩემთვის რომელიმე პინჩერის გამოძებნას.

იგი დასაძინებლად წავიდა, ხოლო შვეიკი სამზარეულოში დივანზე წამოწვა და გაზეთის კითხვას შეუდგა, რომელიც პორუჩიკს ყაზარმიდან მოეტანა.

„ერთი ამას უყურეთ, — გაივლო გულში შვეიკმა, რომელიც ინტერესით კითხულობდა დღის ამბებს. — სულთანს იმპერატორი ვილჰელმი სამხედრო მედლით დაუჯილდოებია, მე კი აქამდე მცირე ვერცხლის მედალსაც ვერ ვეღირსე".

შვეიკი ჩაფიქრდა და ანაზდად ფეხზე წამოიჭრა:

„კინაღამ არ დამავიწყდა!" — და პორუჩიკის ოთახისაკენ გასწია.

ლუკაშს მაგრად ეძინა. შვეიკმა გაღვიძა.

— მაქვს პატივი მოგახსენოთ, პანე ობერ-ლეიტენანტ, კატის შესახებ თქვენი ბრძანება არ მიმიღია.

ძილში პორუჩიკი მეორე გვერდზე გადაბრუნდა და ჩაიბუტბუტა: „სამი დღით პატიმრობა!" — და ისევ ჩაიძინა.

შვეიკი ოთახიდან ფეხაკრეფით გამოვიდა. საწყალი კატა დივნის ქვეშიდან გამოათრია და უთხრა:

— სამი დღით პატიმრობა მოგესაჯა, abtreten! [1]

და ანგორული კატა ისევ უკან დივნის ქვეშ შეძვრა.

---

[1] გასწი (გერმ.).

IV

შვეიკი ის-იყო პინჩერის საძებრად უნდა წასულიყო, რომ ამ დროს ზარის ხმა გაისმა. კარებთან ვიღაც ახალგაზრდა ქალი იყო: მან განაცხადა, პორუჩიკ ლუკაშთან მსურს ლაპარაკი. ქალის გვერდით ორი დიდი ჩემოდანი იდგა, და შვეიკმა თვალი მოჰკრა კიბეზე ჩამავალი მებარგულის ქუდს.

— არაა შინ, — გადაჭრით უთხრა შვეიკმა, მაგრამ ახალგაზრდა ქალი უკვე დერეფანში შეიჭრა და კატეგორიული ტონით უბრძანა შვეიკს: — შეიტანეთ ჩემოდნები ოთახში.

— პან ობერ-ლეიტენანტის ნებადაურთველად არ შეიძლება, — უპასუხა შვეიკმა. — პან ობერ-ლეიტენანტს ნაბრძანები აქვს — უჩემოდ არაფერი გააკეთოო.

— თქვენ ჭკუაზე ხომ არ შეშლილხართ! — წამოიყვირა ახალგაზრდა ქალმა. — მე სტუმრად ჩამოვედი პან პორუჩიკთან.

— ამის შესახებ მე არაფერი ვიცი, — უპასუხა შვეიკმა. — პან ობერ-ლეიტენანტი სამსახურშია და მხოლოდ ღამით დაბრუნდება, მე კი ნაბრძანები მაქვს როგორმე პინჩერი ვეუშოვო. არავითარი ჩემოდნები და არავითარი ქალები მე არ ვიცი. ახლავე კარებს

ვკეტავ და უმორჩილესად გთხოვთ წაბრძანდეთ. არავითარი განკარგულება მე არ მიმიღია თქვენს შესახებ და არ შემიძლია უცხო, ჩემთვის უცნობი პიროვნება მარტოკა დავტოვო ბინაში. ჩვენთან ქუჩაზე, მეფუნთუშე ბილჩიცკისთან, აი ასე დატოვეს გარეშე ადამიანი სახლში, მან გააღო, თურმე, გარდერობი და მიიმალა... რა თქმა უნდა, ამით მე არ მსურს თქვენზე რაიმე ცუდი ვთქვა, — განაგრძო შვეიკმა, როცა დაინახა, რომ ქალს სასოწარკვეთილებისგან სახე ეცვალა და ატირდა, — მაგრამ თქვენი აქ დატოვება ყოვლად დაუშვებელია. თქვენ თვითონ დამეთანხმებით, რომ რაკი ჩემთვის ჩაუბარებიათ ბინა, მე პასუხს ვაგებ ყოველ წვრილმანზე. ამიტომ კიდევ ერთხელ უმორჩილესად გთხოვთ ტყუილუბრალოდ თავს ნუ შეიწუხებთ და აქ დარჩენაზე ნუ იფიქრებთ. სანამ პან ობერ-ლეიტენანტისგან ბრძანება არ მიმიღია, ჩემთვის, ღვიძლი ძმა რომ ძმაა, ისიც არ არსებობს. გარწმუნებთ, ძალიან უხერხულად ვთვლი, რომ ასე გელაპარაკებით, მაგრამ სამხედრო სამსახურში უპირველეს ყოვლისა წესრიგი უნდა იყოს.

ამასობაში ახალგაზარდა ქალი ცოტათი უკვე გონს მოვიდა, ხელჩანთიდან სადარბაზო ბარათი ამოიღო, რამდენიმე სტრიქონი დაწერა ფანქრით, ჩასდო პაწია კოხტა კონვერტში და შეწუხებულმა უთხრა შვეიკს:

— წაუღეთ ეს პან პორუჩიკს, მე კი აქ დაველოდები პასუხს. აი თქვენ ხუთი კრონი გზაში.

— არაფერი გამოვა, — უპასუხა მოულოდნელი სტუმრის აკვიატებით გაჯავრებულმა შვეიკმა. — თქვენთვის დაიტოვეთ ეს ხუთი კრონი, ფული აგერაა, სკამზე, და თუ გნებავთ ჩემთან ერთად ყაზარმაში წამოდით, დამელოდეთ იქ, თქვენს ბარათს გადავცემ და პასუხსაც მოგიტანთ. ხოლო თქვენი აქ ლოდინი — არასგზით არ შეიძლება! ამ სიტყვების შემდეგ მან წინკარში შეათრია ჩემოდნები, მერე სასახლის მეკუჭნაესავით გასაღებების რაჩხუნით კარებში გაჩერდა და მრავალმნიშვნელოვნად წარმოთქვა:

— კარებს ვკეტავთ...

ახალგაზრდა ქალი უმწეო სახით გამოვიდა კიბეზე. შვეიკმა დაკეტა კარები და წინ წავიდა. სტუმარი ქალი ფინია ძაღლივით მისდევდა მას და დაეწია მხოლოდ მაშინ, როცა შვეიკმა დუქანში შეუხვია სიგარეტების საყიდლად. ახლა ქალი მის გვერდით მიდიოდა და ცდილობდა საუბრის გაბმას:

— თქვენ ნამდვილად გადასცემთ ბარათს?

— გადავცემ, რაკი ვთქვი.

-- მერედა, იპოვით პან პორუჩიკს?

— არ ვიცი.

ისინი მდუმარედ მიდიოდნენ, სანამ ქალმა ისევ არ წამოიწყო:

— მაშ თქვენ ფიქრობთ, რომ პან პორუჩიკს ვერ ვიპოვით?

— არა, არ ვფიქრობ.

— მაგრამ, როგორ ფიქრობთ, სად იქნება იგი?

— არ ვიცი.

ამაზე საუბარი დიდი ხნით შეწყდა, ვიდრე ახალგაზრდა ქალმა ისევ არ განაახლა შეკითხვით:

— ბარათი ხომ არ დაგკარგვიათ?

— ჯერჯერობით არა.

— მაშ თქვენ ნამდვილად გადასცემთ ბარათს პან პორუჩიკს?

— დიახ.

— მაგრამ იპოვით კი პორუჩიკს?

— მე უკვე მოგახსენებთ, რომ არ ვიცი, — უპასუხა შვეიკ-მა. — ძალიან მიკვირს, როგორ შეიძლება ადამიანი ასეთი ცნობის-მოყვარე იყოს და წარამარა გეკითხებოდეს სულ ერთსა და იგივეს! ეს იგივეა, მე რომ ახლა ქუჩაში ყოველ გამვლელ-გამომვლელს და-ვუწყო გაჩერება და თვითეულს შევეკითხო: გეთაყვა, მითხარით ერთი, დღეს რა რიცხვია.

ამაზე დამთავრდა შვეიკთან მოლაპარაკების ყოველგვარი ცდა და ყაზარმისკენ დანარჩენი მთელი გზა სრულ დუმილში გაიარეს. მხოლოდ როცა ყაზარმასთან გაჩერდნენ, შვეიკმა ქალს უთხრა, აქ მომიცადეთო, თვითონ კი ჭიშკარში მდგარ ჯარისკაცებთან მივიდა და ლაპარაკი გაბა ომის ამბებზე. ეს საუბარი ქალს უკანასკნელ იმედს ხელიდან აცლიდა; იგი გაუბედურებული ადამიანივით მიდი-მოდიოდა ტროტუარზე და ნერვიულობდა, როცა ხედავდა, შვეიკი ენას როგორ იქავლებდა ლაპარაკით, რომელიც ფრონტზე შექმნილ მდგომარეობას შეეხებოდა. ამ დროს შვეიკს ისეთი ბრიყვული სახე ჰქონდა, როგორიც შეიძლებოდა გეხილათ მხოლოდ ფოტოსურათზე, რომელიც იმ ხანებში გამოქვეყნებული იყო „მსოფლიო ომის ქრო-ნიკაში“ შემდეგი წარწერით: „ავსტრიის ტახტის მემკვიდრე ესაუბ-რება ორ მფრინავს, რომლებმაც რუსების აეროპლანი ჩამოაგდეს“.

შვეიკი სკამზე ჩამოჯდა ჭიშკართან და უამბობდა, რომ კარპა-ტების ფრონტზე ჩვენი ჯარების შეტევა ჩაიფუშა, მაგრამ, მეორეს მხრივ, პერემიშლის კომენდანტი გენერალი კუსმანეკი კიევში ჩავი-და, აგრეთვე სერბიაში ჯერ კიდევ ჩვენს ხელშია თერთმეტი საყრ-დენი პუნქტი და სერბიელები დიდხანს ვეღარ შეძლებენ ჩვენების დევნასო.

შემდეგ შვეიკი ზოგიერთი ცნობილი ბრძოლის გაკრიტიკებას

შეუდგა და, თითქოს ამერიკა აღმოაჩინაო, თქვა: ქვედანაყოფი, რომელიც გარემოცვაშია მომწყვდეული, აუცილებლად უნდა დანებდესო.

ამრიგად, როცა გული მოიოხა ლაპარაკით, საჭიროდ დაინახა მისულიყო ქალთან და ეთქვა, ახლავე დავბრუნდები — ოღონდ აქედან ფეხი არ მოიცვალოთო, თვითონ კი ზემოთ, კანცელარიაში ავიდა, სადაც მოძებნა ლუკაში. პორუჩიკი ლუკაში ამ დროს რომელიღაც პოდპორუჩიკს სანგრების ერთ-ერთ სქემას უხსნიდა და თან უსაყვედურებდა, თქვენ არაფერი გაგეგებათ ხაზვაში და გეომეტრიაზე ხომ ოდნავი წარმოდგენაც არა გაქვთო.

— აი შეხედეთ, ეს როგორ კეთდება. თუ მოცემული სწორი ხაზისადმი საჭიროა პერპენდიკულარის გაყვანა, უნდა დავხაზოთ ისეთი სწორი ხაზი, რომელიც პირველ სწორ ხაზთან შექმნის მართკუთხეს. გასაგებია? მაშინ თქვენ სწორად გაიყვანთ სანგარს, არ შეიჭრებით ამ თქვენი სანგრით მოწინააღმდეგის განლაგებაში და მისგან ექვსასი მეტრის მანძილზე მოთავსდებით. მაგრამ თუ იმ ხაზს გავყვებით, რომელიც თქვენ დაგიხაზავთ, მაშინ ჩვენი პოზიციებით მოწინააღმდეგის ხაზს გადავცდებით და ჩვენი სანგრებით მტრის პერპენდიკულარულად დავდგებით. თქვენ კი გჭირდებათ ბლაგვი კუთხე. ეს ხომ სულ იოლი საქმეა, მართალს არ ვამბობ?

თადარიგის პოდპორუჩიკი, რომელიც მშვიდობიანობის დროს ბანკის მოლარედ მუშაობდა, გამოლენჩებული დაჰყურებდა ნახაზებს და არაფერი გაეგებოდა. მას გულზე მოეშვა და თავისუფლად ამოისუნთქა, როცა პორუჩიკთან შვეიკი მოვიდა და უპატაკა:

— მაქვს პატივი მოგახსენოთ, პანე ობერ-ლეიტენანტ, ვიღაც ქალმა მომცა ეს წერილი და მთხოვა გადმომეცა თქვენთვის. ქალი პასუხს ელოდება, — და შვეიკმა მრავალმნიშვნელოვნად და ფამილარულად თვალი ჩაუკრა.

პორუჩიკს მაინცდამაინც სასიამოვნოდ არ დარჩა წერილი.

„Lieber Heinrich! Mein Mann verfolgt mich. Ich muss unbedingt bei Dir ein paar Tage gastieren. Dein Bursch ist ein grosses Mistvieh. Ich bin unglücklich. Deine katy.“ [1]

პორუჩიკმა ლუკაშმა ამოიხვნეშა, გაიყვანა შვეიკი თავისუფალ მეზობელ ოთახში, კარები დაკეტა და ბოლთის ცემა დაიწყო მაგიდებს შორის. ბოლოს შვეიკის წინ გაჩერდა.

---

[1]. ძვირფასო ჰაინრიხ! ქმარი ფეხდაფეხ დამსდევს. ჩემთვის აუცილებელია შენთან ორიოდე დღე დავყო. შენი დენშჩიკი—პირუტყვია. მე უბედური ქალი ვარ. შენი კატი.

— ეს ქალი წერს, რომ თქვენ პირუტყვი ხართ. რა ჩაიდინეთ ასეთი?

— მაქვს პატივი მოგახსენოთ, მე არაფერი ჩამიდენია, პანე ობერ-ლეიტენანტ. თავი მეჭირა, როგორც საჭიროა, მაგრამ მან მოინდომა ახლავე მოკალათებულიყო ბინაში. მე, რა თქმა უნდა, არ დავტოვე იგი ჩვენს ბინაში, რადგან თქვენგან არავითარი ბრძანება არ მქონდა. ამასთანავე ორი ჩემოდანიც მოიტანა, თითქოს საკუთარ სახლში მოსულიყოს.

პორუჩიკმა კიდევ ერთხელ ხმამაღლა ამოიხვნეშა, შვეიკმაც ამოიხვნეშა.

— რა იყო?! — მრისხანედ დაუყვირა პორუჩიკმა.

— მაქვს პატივი მოგახსენოთ, პანე ობერ-ლეიტენანტ, ეს ცოტა რთული საქმეა. ამ ორი წლის წინათ ვოიტეშის ქუჩაზე ერთ შპალერის გამკვრელს ახალგაზრდა ქალი შეუსახლდა და ვერასგზით ვერ მოიშორა თავიდან. ბოლოს იძულებული გახდა ეს ქალიცა და თავისი თავიც სანათი აირით მოეწამლა, და ამით დასრულდა ეს ოინბაზობა! — პირდაპირ ხათაბალაა ქალებთან საქმის დაჭერა! მათ ჩემი ხუთი თითივით ვიცნობ, ვერაფერს გამომაპარებენ!

— რთული საქმეა! — გაიმეორა პორუჩიკმა შვეიკის ნათქვამი, და ჯერ არაოდეს ასეთი ჭეშმარიტება მის ბაგეებს არ წარმოუთქვამს.

„ძვირფასი ჰაინრიხი“ მართლაც საძაგელ დღეში იყო. ქალი, რომელსაც ფეხდაფეხ დასდევს ქმარი, ჩამოდის მასთან სტუმრად რამდენიმე დღით სწორედ მაშინ, როცა ტრშებონოდან უნდა ესტუმროს პანი მიცეკოვა, რომ სამი დღე დაჰყოს მასთან და გაიმეოროს ის, რასაც რეგულარულად აკეთებს ხოლმე სამ თვეში ერთხელ, როცა პრაღაში საყიდლებზე ჩამოდის. გარდა ამისა, ზეგ პორუჩიკი ერთ ქალიშვილს ელოდება. მთელი ერთი კვირა ყოყმანობდა ეს ქალიშვილი და ბოლოს გადაწყვიტა — დავნებდები ოფიცერს, რადგან სულ ერთია, ერთი თვის შემდეგ ხომ მაინც ვთხოვდები ვიღაც ინჟინერზეო.

პორუჩიკი თავჩაქინდრული ჩამომჯდარიყო მაგიდაზე, დუმდა, და ფიქრობდა, მაგრამ სხვა უკეთესი ვერაფერი მოიფიქრა, მიუჯდა მაგიდას, აიღო კონვერტი და სამსახურებრივ ბლანკზე დაწერა შემდეგი:

„ძ ვ ი რ ფ ა ს ო კ ა ტ ი!

საღამოს 9 საათამდე სამსახურში ვიქნები. მოვალ ათზე. გთხოვ თავი ისე იგრძნო, როგორც საკუთარ სახლში. რაც შეეხება შვეიკს, ჩემს დენშჩიკს, მე უკვე ნაბრძანები მაქვს ყოველგვარი შენი სურვილი შეასრულოს.

შ ე ნ ი ი ნ დ რ ჟ ი ხ ი“.

— ეს წერილი ქალბატონს გადაეცით. — უთხრა შვეიკს პორუ-ჩიკმა. — გიბრძანებთ მოეპყრათ თავაზიანად, თავდაჭერილად და ყველა სუოვილი შეუსრულოთ, რაც თქვენთვის კანონი უნდა იყოს. თავი უნდა გეჭიროთ მასთან გალანტურად. ემსახურეთ სინდისით და არა შიშით. აი თქვენ ასი კრონი, ანგარიშს მერე ჩამაბარებთ. უთუოდ რამეს მოგატანინებს; შეუკვეთეთ მისთვის სადილი, ვახშამი და ასე შემდეგ. გარდა ამისა, იყიდეთ სამი ბოთლი ღვინო და ერთი კოლოფი „მემფისი“. ჯერჯერობით, მგონი, სულ ესაა. შეგიძლიათ წახვიდეთ. კიდევ ერთხელ მოგაგონებთ, რომ თქვენ უნდა შეასრულოთ ქალბატონის თვითეული სურვილი, რომელსაც კი მის თვალებში ამოიკითხავთ.

ახალგაზრდა ქალს უკვე ყოველგვარი იმედი დაეკარგა შვეიკის დაბრუნებისა და ძალიან განცვიფრებული დარჩა, როცა იგი ყაზარმიდან მისკენ წერილით ხელში მომავალი იხილა.

შვეიკმა მხედრული სალამი მისცა ქალს, გადასცა წერილი და მოახსენა:

— თანახმად პან ობერ-ლეიტენანტის ბრძანებისა, ვალდებული ვარ მოგეპყრათ თქვენ, ქალბატონო, ზრდილობიანად და თავდაჭერილად, გემსახუროთ სინდისით და არა შიშით, ავასრულო თვითეული თქვენი სურვილი, რომელსაც კი თქვენს თვალებში ამოვიკითხავ. ნაბრძანები მაქვს გასადილოთ და გავახშმოთ, გიყიდოთ ყველაფერი. რასაც კი მოისურვებთ. ხარჯებისთვის პან ობერ-ლეიტენანტმა ასი კრონი მომცა, მაგრამ ამ ფულიდან მე კიდევ უნდა ვიყიდო სამი ბოთლი ღვინო და ერთი კოლოფი სიგარეტი „მემფისი“.

როცა ქალმა წერილი წაიკითხა, მას დაუბრუნდა გამბედაობა, რაც გამოიხატა იმაში, რომ შვეიკს უბრძანა, ეტლი დაიქირავეო. შვეიკმა ბრძანება აასრულა. ქალმა უბრძანა, მეეტლის გვერდით კოფოზე დაჯექიო.

წავიდნენ შინ. როცა ბინაში მივიდნენ, ქალმა მშვენიერად გაითამაშა დიასახლისის როლი. შვეიკს მოუხდა ჩემოდნების საწოლ ოთახში გადატანა და ეზოში ნოხების გაბერტყვა. სარკის უკან აღმოჩენილმა ოდნავ შესამჩნევმა ობობას ქსელმა ქალის უდიდესი აღშფოთება გამოიწვია.

ყველაფერი ეს იმას მოწმობდა, რომ მას გადაწყვეტილი ჰქონდა კარგა ხნით დაეკავებინა აქ საბრძოლო პოზიციები.

შვეიკს ოფლი ღვარად მოსდიოდა. ნოხების ბერტყვას რომ მორჩა, ქალს ფარდების ჩამოხსნა მოეპრიანა და შვეიკს ახლა მათი დაბერტყვა მოუხდა. მერე შვეიკს უბრძანეს დაეწმინდა ოთახებისა და სამზარეულოს ფანჯრები. ამის შემდეგ ქალი ავეჯის გადადგმა-

გადმოდგმას შეუდგა. იგი ყოველ წვრილმანზე ნერვიულობდა, და როცა შვეიკმა ყველაფერი ერთი კუთხიდან მეორეში გადაათრია, ქალს აღარ მოეწონა და კვლავ მოინდომა ნივთების ახალი გადაადგილება.

მთელი ბინა ყირაზე დააყენა, მაგრამ ბოლოს მყუდრო საბუდრის მოსაწყობად ამოქმედებული მისი ენერგია ნელ-ნელა დაცხრა და ნგრევამაც თანდათანობით იკლო.

კომოდიდან სუფთა ზეწრები და ბალიშის პირები ამოიღო და თავისი ხელით გააწყო ლოგინი. ამას დიდი მონდომებითა და სიყვარულით აკეთებდა, და ამ დროს ავხორცული ვნებით უთრთოდა ნესტოები.

მერე შვეიკი სადილისა და ღვინის მოსატანად გაგზავნა. თვითონ კი ამასობაში ტანისამოსი გამოიცვალა და დილის გამქვირვალე ხალათში გამოეწყო, რომელშიც ძალზე მაცთუნებლად გამოიყურებოდა.

სადილად ერთი ბოთლი ღვინო შესვა, უამრავი „მემფისი“ მოსწია და ლოგინში ჩაწვა. შვეიკი კი სამზარეულოში იჯდა და სალდათურ პურს შეექცეოდა, რომელსაც შეტკბილებულ არაყში ალბობდა.

— შვეიკ! — გაისმა უეცრად საწოლი ოთახიდან. — შვეიკ!

შვეიკმა გააღო კარები და დაინახა ბალიშებზე მომხიბლავად და მაცთურად წამოწოლილი ახალგაზრდა ქალი.

— შემოდით.

შვეიკი მივიდა საწოლთან. ქალმა რაღაცნაირი ღიმილით შეათვალიერა მისი ჩასკვნილი ფიგურა და ხორციანი ბარძაყები. გადასწია ნაზი ქსოვილი, რომელიც გადაფარებული ჰქონდა შიშველ ტანზე და მკაცრად უბრძანა: „გაიხადეთ ფეხსაცმელი და შარვალი. მაჩვენეთ...“

როცა პორუჩიკი ყაზარმიდან დაბრუნდა, ყოჩაღ ჯარისკაც შვეიკს შეეძლო სუფთა სინდისით ეპატაკნა:

— მაქვს პატივი მოგახსენოთ, პანე ობერ-ლეიტენანტ, თანახმად თქვენი ბრძანებისა, ქალბატონის ყველა სურვილი შევასრულე, ვემსახურებოდი სინდისით და არა შიშით.

— მადლობელი ვარ, შვეიკ, — უთხრა პორუჩიკმა. — ბევრი ჰქონდა ქალბატონს სურვილები?

— ასე, ექვსიოდე იქნებოდა, — უპასუხა შვეიკმა. — ახლა მკვდარივით ძინავს ამდენი დავიდარაბისგან. შევუსრულე ყველა სურვილი, რომელიც კი მის თვალებში ამოვიკითხე.

V

იმ დროს, როცა ავსტრიის ჯარები, მტრის მიერ მდინარე დუნაეცისა და რაბეს ტყეებში მიმწყვდეული, ყუმბარების თავსხმაში იდგნენ, მსხვილყალიბიანი ქვემეხები კი ნაკუწ-ნაკუწად ჰგლეჯდნენ და მიწაში ცოცხლად მარხავდნენ ავსტრიელთა მთელ ასეულებს კარპატებში, იმ დროს, როცა სამხედრო მოქმედებათა ყველა ფრონტზე ხანძრის ალში გახვეული სოფლები და ქალაქები ცისკიდურზე წითლად ლაპლაპებდნენ — პორუჩიკი ლუკაში და შვეიკი არცთუ სასიამოვნო იდილიას განიცდიდნენ ქმარსგამოქცეული ქალბატონისგან. რომელიც ამჟამად აქ სრულუფლებიანი დიასახლისის როლის შესრულებას შესდგომოდა.

ერთხელ, როცა დიასახლისი გასასეირნებლად წასულიყო, პორუჩიკმა ლუკაშმა შვეიკთან სამხედრო ბჭობა გამართა, თავი როგორ დავაღწიოთ ამ ქალსო.

— ყველაზე კარგი იქნებოდა, პანე ობერ-ლეიტენანტ, — უთხრა შვეიკმა, — მის მეუღლეს ამ ქალის ასავალ-დასავალი რომ გაეგო, გვეცნობებინა, სად იმყოფება ამჟამად, და ჩამოსულიყო ცოლის წასაყვანად. თქვენ ხომ თქვით, რომ მას ქმარი დაეძებს, ამის შესახებ ქალი გწერდათ კიდეც იმ წერილში, რომელიც გადმოგეცით. უნდა გა-

უგზავნოთ დეპეშა, თქვენი ცოლი ჩემთან არის, მობრძანდით და წაიყვანეთ-თქო, მორჩა და გათავდა. ეშენორეში * ერთ ვილაში შარშან ასეთივე ამბავი მოხდა. მაგრამ მაშინ დეპეშა ქმარს თვითონ ცოლმა გაუგზავნა, ჩამოვიდა ქმარი და გვერდები დაუზილა ცოლსაცა და მის საყვარელსაც. მაგრამ ეს შეყვარებული სამოქალაქო იყო, ოფიცერს კი ამას ვერ გაუბედავენ. ბოლოს და ბოლოს, თქვენ ხომ არაფერში ხართ დამნაშავე, არავინ თქვენ არ მოგიწვევიათ, და თუ იგი ქმარს გამოექცა, თავის თავს დააბრალოს, რაც მოუვა. აი ნახავთ, დეპეშა საუცხოოდ მოაგვარებს ამ საქმეს. ქმარმა ერთი-ორიც რომ უთავაზოს...

— ქმარი ინტელიგენტი ადამიანია, — შეაწყვეტინა შვეიკს პორუჩიკმა ლუკაშმა, — მე მას ვიცნობ. იგი ფშალათი ვაჭრობას ეწევა ნარდად. მას მართლაც უნდა მოველაპარაკო. დეპეშას გაუგზავნი.

ლუკაშის დეპეშა, როგორც ეს კომერციულ დეპეშას შეეფერება, ლაკონიური იყო.

„ამჟამად თქვენი მეუღლის მისამართია...“ შემდეგ მოყვანილი იყო ლუკაშის ბინის მისამართი.

და აი, ერთ მშვენიერ დღეს პანი კატი სახტად დარჩა, როცა ბინაში შემოგორდა მისი მეუღლე, რომელიც ფშალათი ვაჭრობას ეწეოდა ნარდად. მას თავაზიანად ეჭირა თავი და მზრუნველ მეუღლედ გამოიყურებოდა, როცა კატიმ, რომელიც ამ მომენტში არ დაიბნა, წარუდგინა ისინი ერთმანეთს.

— ჩემი მეუღლე... პან პორუჩიკი ლუკაში.

უკეთესი არაფერი მოუვიდა თავში.

— დაბრძანდით, გეთაყვა, პანე ვენდლერ, — ტკბილად შესთავაზა პორუჩიკმა სტუმარს, ამოიღო პორტსიგარი და ფშალათი მოვაჭრეს მიაწოდა: — ხომ არ ინებებთ?

ფშალათი მოვაჭრე ინტელიგენტმა ზრდილობიანად აიღო სიგარეტი, გააბოლა და ფრთხილად ჰკითხა:

— მალე მიემგზავრებით ფრონტზე, პანე პორუჩიკ?

— პატაკი მაქვს მიცემული ბუდეიოვიცეში დაბანაკებულ ოთხმოცდამეთერთმეტე პოლკში გადაყვანის შესახებ. ალბათ, გადავალ კიდეც, როგორც კი საქმეებს დავამთავრებ ნებითგანწესებულთა სკოლაში. ჩვენ უამრავი ოფიცერი გვესაჭიროება, მაგრამ, გულისტკივილით უნდა აღვნიშნო, რომ ამჟამად სამწუხარო მოვლენას ვამჩნევთ: ახალგაზრდები, რომლებსაც უფლება აქვთ შევიდნენ ნებითგანწესებულთა სკოლაში, მაინცადამაინც არ ცდილობენ ისარგებლონ ამ უფლებით. რიგით ჯარისკაცებად დარჩენას ამჯობინებენ, ვიდრე იუნკრობას.

— ომმა დიდი ზიანი მიაყენა ფშალათი ვაჭრობის საქმეს, მაგრამ ვფიქრობ ის დიდხანს არ გასტანს, — შენიშნა ვაჭარმა და ხან თავის ცოლს შეხედავდა, ხან კიდევ პორუჩიკს.

— ჩვენი მდგომარეობა ძალზე ხელსაყრელია, — თქვა პორუჩიკმა ლუკაშმა. — ახლა უკვე ეჭვი აღარავის ეპარება, რომ გაიმარჯვებს ცენტრალურ სახელმწიფოთა კოალიცია. საფრანგეთი, ინგლისი და რუსეთი მეტისმეტად სუსტნი არიან და ავსტრია-თურქეთ-გერმანიის ძლევამოსილებას ვერ გაუმკლავდებიან. მართალია, ზოგიერთ ფრონტზე ჩვენ მარცხი განვიცადეთ, მაგრამ ეს მარცხი უმნიშვნელოა. ეჭვს გარეშეა, ომი დამთავრდება, როგორც კი კარპატების ქედსა და შუა დუნაეცს შორის რუსების ფრონტს გავარღვევთ, სწორედ ასევე ფრანგებსაც უახლოეს ხანში მოელით საფრთხე, რომ დაჰკარგავენ მთელ აღმოსავლეთ საფრანგეთს, და ამასთანავე გამორიცხული არაა, რომ გერმანიის ჯარი პარიზში შეიჭრება. ეს ყველასათვის აშკარაა. აგრეთვე ანგარიში უნდა გავუწიოთ იმასაც, რომ სერბიაში ჩვენი მანევრები დიდი წარმატებით მიმდინარეობს. ჩვენი ჯარების უკან დახევას, რომელიც ფაქტიურად მხოლოდ ძალთა გადაჯგუფებას წარმოადგენს, ბევრი სულ სხვაგვარად ხსნის, ვიდრე ამას მოითხოვს უბრალო აუშფოთებლობა ოპინიონის პირობებში. სულ მალე დავინახავთ, რომ მკაცრად გაანგარიშებული ჩვენი მანევრები სამხრეთ ფრონტზე თავის ნაყოფს გამოიღებენ. აი შეხედეთ...

პორუჩიკმა ლუკაშმა თავაზიანად მოკიდა ხელი მხარზე ფშალათი მოვაჭრეს, მიიყვანა კედელზე დაკიდებულ სამხედრო მოქმედებათა რუკასთან, უჩვენა ცალ-ცალკე პუნქტები და განაგრძო ახსნა-განმარტება:

— აღმოსავლეთ ბესკიდები — ეს ჩვენი ყველაზე საიმედო საყრდენი პუნქტია. როგორც ხედავთ, კარპატების უბანზეც ძლიერი საყრდენი გვაქვს. ერთი მძლავრი დარტყმა ამ ხაზზე — და ჩვენ ვეღარაფერი შეგვაჩერებს თვით მოსკოვამდე: ომი გაცილებით ადრე დამთავრდება, ვიდრე ჩვენ ვფიქრობთ.

— თურქეთი როგორღაა? — ჰკითხა ფშალათი ნარდად მოვაჭრემ, თან იმას ფიქრობდა, საიდან დავიწყო ის საქმე, რომლისთვისაც აქ ჩამოვედიო.

— თურქებს მედგრად უჭირავთ თავი, — უპასუხა პორუჩიკმა და სტუმარი ისევ მაგიდასთან მიიყვანა. — თურქეთის პარლამენტის თავმჯდომარე ჰალი ბეი და ალი ბეი* ვენაში ჩამოვიდნენ. თურქეთის დარდანელის არმიის სარდლად დანიშნულია მარშალი ლიმან ფონ ზანდერსი *. გოლტც-ფაშა კონსტანტინოპოლიდან ბერლინს ჩამოვიდა. ჩვენმა იმპერატორმა ორდენებით დააჯილდოვა ენვერ-ფაშა, ვი-

ცეადმირალი უსედონ-ფაშა და გენერალი ჯეკად-ფაშა. საკმაოდ ბევრმა დაჯილდოებამ მოიყარა თავი დროის ასეთ მცირე მონაკვეთში.

ოტა ხანს ყველანი უჩუმრად ისხდნენ ერთიმეორის პირდაპირ, სანამ პორუჩიკმა საჭიროდ არ სცნო დაერღვია უხერხული დუმილი შემდეგი სიტყვებით:

— როდის ჩამობრძანდით, პანე ვენდლერ?

— დღეს დილით.

— დიდად მოხარული ვარ, რომ მომაგენით და შინაც მომისწარით: სადილის შემდეგ მე ყოველთვის ყაზარმაში მივდივარ და იქ მთელი ღამე ვრჩები. ღამის სამსახური მაქვს. და ვინაიდან, სწორედ რომ ვთქვათ, ბინა მთელი დღეობით ცარიელი რჩება, ადვილად შემეძლო თქვენი მეუღლისთვის მასპინძლობა გამეწია. ვიდრე იგი პრაღაშია, აქ არავინ შეაწუხებს. ძველი ნაცნობობის გულისათვის...

ფშალათი მოვაჭრემ ჩაახველა.

— კატი — უცნაური ქალია, პანე პორუჩიკ. მიიღეთ ჩემი გულითადი მადლობა ყოველივე იმისათვის, რაც თქვენ ჩემს მეუღლეს გაუკეთეთ. რატომღაც მოეხასიათა პრაღაში ჩამოსვლა — ნერვებს უნდა ვუმკურნალოო. ნიადაგ გზაში ვარ გაბმული, და აი მოვდივარ შინ, — არავინ მხვდება. კატი არ არის...

თვალთმაქცურად თითით დაემუქრა და დაღმეჭილი ღიმილით ჰკითხა:

— შენ, რა თქმა უნდა, იფიქრე, რომ რაკი მე საქმეებზე წავედი, შენც შეგიძლია მიატოვო სახლი და წახვიდე. შენ, რა თქმა უნდა, არც კი ასწონ-დასწონე...

პორუჩიკმა ლუკაშმა შეატყო, რომ საუბარი არასასურველი გზით წარიმართა; წამოდგა და ფშალათი მოვაჭრე ისევ სამხედრო მოქმედებათა რუკასთან მიიყვანა, ხაზგასმული ადგილები უჩვენა და უთხრა:

— წელან დამავიწყდა თქვენი ყურადღება მიმექცია ერთ ძალზე საინტერესო გარემოებაზე. შეხედეთ აი ამ დიდ, სამხრეთ-დასავლეთისკენ მიმართულ რკალს, სადაც მთების ჯგუფი ბუნებრივ სიმაგრეს ქმნის. აქ გვიტეეენ მოკავშირეები. თუ ამ გზას გადაეკრით, რომელიც მტრის თავდაცვის მთავარ ხაზთან გამაგრებულ ადგილს აკავშირებს, ამით ვწყვეტთ ურთიერთკავშირს მის მარჯვენა ფრთასა და ჩრდილოეთ არმიას შორის ვისლაზე. ახლა ხომ გასაგებია ეს თქვენთვის?

ფშალათი ნარდად მოვაჭრემ უპასუხა, რომ ახლა მისთვის ყველაფერი გასაგებია, მაგრამ მერე, მისთვის ჩვეული ტაქტიანობით გაი-

ფიქრა, რომ ეს ნათქვამი გადაკრულ სიტყვად არ ჩამომარჩენო და, როცა თავის ადგილზე ჯდებოდა, შენიშნა:

— ამ ომის გამო ჩვენს ფშალას გზა ჩაეკეტა და საზღვარგარეთ ველარ გადის. საფრანგეთი, ინგლისი, რუსეთი და ბალკანეთი ჩვენი ფშალასთვის დღესდღეობით დაკარგულია. ჯერხნობით კიდევ ვაგზავნით მას იტალიაში, მაგრამ ვშიშობ. რომ იტალიაც ჩაებმება ამ ორომტრიალში. აი, როცა გავიმარჯვებთ, მაშინ კი, გიყვარდეთ, ჩვენს ფასებს დავადებთ საქონელს!

— იტალია მკაცრ ნეიტრალიტეტს დაიცავს, — ამშვიდებდა ვაჭარს პორუჩიკი. — ეს სავსებით...

— კი, მაგრამ იტალიას რატომ არა სურს აღიაროს, რომ იგი სამთა კავშირშია ავსტრო-უნგრეთთან და გერმანიასთან? — განრისხდა უეცრად ფშალათი მოვაჭრე, რომელსაც ყველაფერი ერთბაშად აუვარდა თავში: ფშალაც, ცოლიცა და ომიც. — მე ველოდებოდი, რომ იტალია საფრანგეთისა და სერბიის წინააღმდეგ გაილაშქრებდა. ასეთ შემთხვევაში ომი ახლა თითქმის დამთავრებული იქნებოდა. საწყობებში ფშალა მილეპება. სავაჭრო გარიგების საქმე ქვეყნის შიგნით უხეიროდ მიდის, ექსპორტი ნულს უდრის, იტალია კი ნეიტრალიტეტს ინარჩუნებს! მაშინ რაღა საჭირო იყო ჯერ კიდევ ათასცხრაას თორმეტ წელს ჩვენთან სამთა კავშირი რომ განაახლა. რას ფიქრობს იტალიის საგარეო საქმეთა მინისტრი მარკიზი დი სან ჯულიანო? რას აკეთებს ეს პატივცემული გვამი? ძილს ხომ არ მისცემია? იცით, როგორი წლიური საქონლის ბრუნვა მქონდა ომამდე და როგორია ის ახლა?

— არ გეგონოთ, მოვლენათა კურსში არ ვიყო, — განაგრძო მან და მრისხანედ შეხედა პორუჩიკს, რომელიც პირიდან თამბაქოს კვამლს ბოლქვა-ბოლქვად გულმშვიდად უშვებდა. პანი კატი დიდი ინტერესით ადევნებდა თვალს, ერთი ბოლქვი როგორ ეწეოდა მეორეს, ეჯახებოდა და შლიდა მას. — გერმანელებმა რად დაიხიეს უკან, თავისი საზღვრებისკენ, როცა უკვე პარიზის კარიბჭეზე იყვნენ მისული? რატომაა, რომ მაასსა და მოზელს * შორის მდებარე ტერიტორიაზე კვლავ შეუსვენებლივ გრგვინავენ არტილერიის ყუმბარები? ცნობილია თუ არა თქვენთვის, რომ კომბრ-ა-ვევრ უ მარშეში* სამი ლუდსახდელი ქარხანა დაიწვა, რომელთაც ყოველწლიურად ხუთას ტომარაზე მეტ ფშალას ვაბარებდი? ეოგეზაშიც დაიწვა ჰარტმანსვეილერის ლუდსახდელი ქარხანა.* უზარმაზარი ლუდსახდელი ქარხანა ნიდერსბახში „უ მილჰუზი* მიწასთანაა გასწორებული. და აი, ინებეთ საბოლოო ჯამში ყოველწლიურად ათას ორასი ტომარა ფშალა ზარალი, რაც ჩემ ფირმას თავს დაატყდა.

ექვსჯერ შეებრძოლენ გერმანელები ბელგიელებს კლოსტერპეკის* ლუდსახდელი ქარხნის ხელში ჩასაგდებად — ესეც კიდევ ერთი ზარალი — სამასორმოცდაათი ტომარა ფშალა წელიწადში!

მღელვარებისგან ლაპარაკს თავი ვეღარ გაართვა, წამოდგა, ცოლთან მივიდა და უთხრა:

— კატი, შენ ახლავე წამოხვალ ჩემთან ერთად სახლში. ჩაიცვი!

— მთელი ეს ამბები ძალზე მაშფოთებენ და წონასწორობას მაკარგვინებენ, — წარმოთქვა მან ერთი წუთის შემდეგ თავის გასამართლებლად. — წინათ ძალიან დინჯი ხასიათი მქონდა.

როცა მისი ცოლი ჩასაცმელად გავიდა, ფშალათი მოვაჭრემ ხმადაბლა უთხრა პორუჩიკს:

— ასეთ რამეს პირველად როდი მიკეთებს: შარშან ერთ მასწავლებელს გაჰყვა და მხოლოდ ზაპრებეში მივაკვლიე. მე მაშინ შემთხვევით ვისარგებლე და ხელშეკრულება დავუდევი ზაპრების ქალაქის ლუდსახდელ ქარხანას ექვსასი ტომარა ფშალას მიწოდების შესახებ. არ უნდა ლაპარაკი, რომ სამხრეთი საერთოდ ოქროს მადანი იყო. ჩვენი ფშალა კონსტანტინოპოლამდე აღწევდა. ახლა კი სანახევროდ განადგურებული ვართ. თუ მთავრობაც შიგნით, თავის ქვეყანაში შეზღუდავს ლუდის წარმოებას, ამით უკანასკნელ დარტყმას გვაგებებს და ძირფესვიანად ამოგვაგდებს.

მოსწია პორუჩიკის მიერ მიწოდებული სიგარეტი და სასოწარკვეთილებით წამოიძახა:

— მარტო ვარშავა ჩვენგან ორი ათას სამასსამოცდაათ ტომარა ფშალას ყიდულობდა. ყველაზე დიდი ლუდსახდელი ქარხანა იქ ავგუსტინის ქარხანაა. მისი წარმომადგენელი ყოველ წელიწადს მოდიოდა ჩემთან სტუმრად. მოდი და, ამის შემდეგ ჭკუას ნუ დაჰკარგავ, კიდევ კარგი, ბავშვები არა მყავს!

ამ ლოგიკურმა დასკვნამ ვარშავიდან ავგუსტინის ქარხნის წარმომადგენლის ყოველწლიურად ჩამოსვლის შესახებ პორუჩიკს ოდნავ შესამჩნევი ღიმი მოჰგვარა, რომელიც ფშალათი მოვაჭრეს არ გამოეპარა, და ამიტომ გადაწყვიტა განეგრძო თავისი სიტყვა:

— უნგრეთის ლუდსახდელი ქარხნებიც შოპრონსა და ველე კანიჟეში იძენდნენ ჩემგან ფშალას თავისი საექსპორტო ლუდისთვის, რომელიც თვით ალექსანდრიაში გაჰქონდათ, — წელიწადში დაახლოებით ათას ტომარას მისაღებდნენ. ახლა ბლოკადის გამო არავითარ შეკვეთას აღარ მაძლევენ. შევთავაზე ფშალა ოცდაათი პროცენტის ფასდაკლებით, მაინც არ მიაქვთ, არც ერთი ტომარა... ვაჭრობის შენელება და დაცემა, გაღატაკება, და ამასთან კიდევ ეს ოჯახური უსიამოვნებანიც!

ფშალათი მოვაჭრე გაჩუმდა. დუმილი პანი კატიმ დაარღვია, რომელიც სამგზავროდ მომზადებულიყო.

— ჩემს ჩემოდნებს რა ვუყო?

— მე შემოვიელი მათ წასაღებად, — თქვა ფშალათი მოვაჭრემ, რომელიც ფრიად კმაყოფილი იყო იმით, რომ ცოლისგან მოსალოდნელ ყოველგვარ უსაქციელობასა და არასასიამოვნო სცენებს გადარჩა. — თუ რამე გაქვს საყიდელი, მაშინ უკვე დროა წავიდეთ. მატარებელი ორსა და ოც წუთზე გადის.

ცოლ-ქმარი მეგობრულად გამოემშვიდობენ პორუჩიკს. ფშალათი მოვაჭრე ცას ეწია სიხარულით, რომ მთელ ამ აფორიაქებას ბოლო მოეღო და გამოთხოვებისას დერეფანში პორუჩიკს ასე უთხრა:

— ეინიცობაა, ღმერთმა დაგიფაროთ და, ომში დაიჭერით, ჩვენთან ჩამობრძანდით მოსაკეთებლად. ზრუნვასა და ხელის შეწყობას არ მოგაკლებთ.

როცა პორუჩიკი საწოლ ოთახში შევიდა, სადაც კატიმ სამგზავროდ ტანთ ჩაიცვა, პირსაბანზე ოთხასი კრონი და პატარა ბარათი ნახა:

„პანე პორუჩიკ, თქვენ ვერ დამიცავით ამ მაიმუნისგან, ჩემი ქმრისგან, უმაღლესი მარკის იდიოტისგან. ჩემი თავი მას დაუთმეთ, თითქოს თქვენს ოთახში მივიწყებული ნივთი რამ ვყოფილიყო. გარდა ამისა, თქვენ ინებეთ იმის თქმაც, რომ მასპინძლობა გამიწიეთ. ვიმედოვნებ, რომ თქვენს მიერ ჩემზე გაწეული ხარჯები არ აღემატება ოთხას კრონს, რომელსაც ამ ბარათთან ერთად გიტოვებთ და გთხოვთ, ფული თქვენს დენშჩიკსაც უწილადოთ“.

პორუჩიკი ლუკაში ერთხანს უძრავად იდგა ბარათით ხელში, მერე ნელა დახია ის, ღიმილით შეხედა პირსაბანზე შემოდებულ ფულს, თვალი მოჰკრა მაგიდაზე სარკესთან სავარცხელს, რომელიც პანი კატის თმის დავარცხნის შემდეგ მღელვარებისგან დავიწყებოდა, აიღო ის და თავის ფეტიშ-რელიკვიების კოლექციას დაურთო.

სადილის შემდეგ დაბრუნდა შვეიკი. იგი წასული იყო პორუჩიკისთვის პინჩერის საძებრად.

— შვეიკ, — მიმართა პორუჩიკმა, — თქვენ ბედი გწყალობთ. ქალი, რომელიც ჩემთან ცხოვრობდა, წავიდა. ქმარმა წაიყვანა. მთელი იმ მომსახურებისთვის, რომელიც მას გაუწიეთ, პირსაბანზე ოთხასი კრონი დაგიტოვათ. თქვენ, როგორც წესი და რიგია, მადლობა უნდა გადაუხადოთ მას, აგრეთვე მის ქმარს, რადგან ეს ფული, კაცმა რომ თქვას, მისი ფულია, რომელიც ცოლმა სამგზავროდ წამოიღო. წერილს მე გიკარნახებთ.

„მოწყალეო ხელმწიფევ! ნება მიბოძეთ თქვენი საშუალებით გულითადი მადლობა გამოვუცხადო თქვენს ცოლს იმ ოთხასი კრონისა-

თვის, რომელიც სიჩუქრად დაუტოვებია ჩემთვის. ეს, ალბათ, გასამრჯელოა იმ მოვსახურეობის, რომელსაც მას ვუწევდი, ვიღრე ოგი პრაღაში იმყოფებოდა. მაგრამ, მერწმუნეთ, ყველაფერი, რასაც მისთვის ვაკეთებდი, ჩემთვის სასიამოვნო იყო, ამიტომ არ შეშიძლია დავიტოვო ეს ფული და მას გიგზავნით...“ განაგრძეთ წერა, შვეიკ! რას ცმუკავხართ! რაზე შეეჩერდი?

— „...და მას გიგზავნით...“ — წყვეტილი, ტრაგიკული ხმით წაიჩურჩულა შვეიკმა.

— ასე, კარგია! „...მას გიგზავნით უკან თქვენდამი სრული პატივისცემით. მოწიწებით გიძღვნით სალამს და ვეამბორები ხელზე თქვენს ცოლს. იოზეფ შვეიკი, პორუჩიკ ლუკაშის დენშჩიკი...“ ვზადაა?

— ჯერ არა, პანე ობერ-ლეიტენანტ, თარიღი აკლია.

— „ათასცხრაასა თოთხმეტი წლის ოცი დეკემბერი“. ესეც ასე. ახლა კონვერტზე დააწერეთ მისამართი, აიღეთ ეს ოთხასი კრონი, წაიღეთ ფოსტაში და იმავე მისამართით გადაგზავნეთ.

და პორუჩიკმა ლუკაშმა „ქმარგაყრილი ცოლის“ ოპერეტიდან მხიარული არიის სტვენა წამოიწყო.

— აი, კიდევ რა, შვეიკ, — უთხრა პორუჩიკმა, როცა შვეიკმა ფოსტაში წასვლა დააპირა. — როგორაა ძაღლის საქმე, რომლის საძებრადაც იყავით წასული.

— არის ერთი შესაფერისი, პანე ობერ-ლეიტენანტ. ძალზე ლამაზი ძაღლია. ოღონდ მისი ხელში ჩაგდება ცოტა ძნელია. მაგრამ ხვალ, შეიძლება, მაინც მოვიყვანო. იკბინება!

VI

უკანასკნელი სიტყვები პორუჩიკ ლუკაშს არ გაუგონია, მათ კი დიდი მნიშვნელობა ჰქონდათ. „პირს იქ წაგავლებს, ის ძაღლიშვილი, სადაც კი მოგწვდება“, — კიდევ უნდოდა გაემეორებია შვეიკს, მაგრამ ბოლოს გადაიფიქრა: „კაცმა რომ თქვას, პორუჩიკს რაში ენაღვლება, რანაირად ვიშოვი ძაღლს? მას სურს ყავდეს ძაღლი და ამ ძაღლს იგი მიიღებს“.

ადვილად იტყვიან ხოლმე: „ძაღლი მომიყვანეთო“. იმას კი ანგარიშს არ უწევენ, რომ ყოველი პატრონი ფხიზლად ადევნებს თვალყურს თავის ძაღლს, თუნდაც არა წმინდა სისხლისა იყოს ის. პატარა მურიკელაც კი, რომელიც მხოლოდ დედაბრის ფეხების გასათბობად გამოდგება, დიასახლისს უყვარს, თავს ევლება და არავის დაარჩაგვრინებს.

თვით ძაღლი, მით უმეტეს თუ ის ჯიშიანია, ინსტინქტით გრძნობს, რომ ერთ მშვენიერ დღეს მას მოიპარავენ. მაგალითად, ქუჩაში ძაღლი მიატოვებს ხოლმე პატრონს, და პირველ ხანებში მხიარულობს, დახტის, დანავარდობს, ეთამაშება სხვა ძაღლებს,

აჯდება მათ და არავითარი მორალი მისთვის არ არსებობს, ისინიც თავის მხრივ ეღლაბუცებიან მას; ასე ამჩატებული, უთავბოლოდ დაძუნძულებს: აგერ კუნძს დაეჯახა', ეგერ სახლის კუთხეს მიადგება, ცალ თათს ასწევს და კედელს დაასველებს, ან ბაზარში გასასყიდად გამოდგმულ კარტოფილიან ალაოთასთან ერთი წუთით შეჩერდება და იქაც ცალ თათს ასწევს — ერთი სიტყვით, ცხოვრების ნეტარებას ეძლევა თავშეუკავებლად. ქვეყნიერება მას წარმტაც სანახაობად ეჩვენება, ვით ჭაბუკს, რომელმაც წარმატებით ჩააბარა გამოცდები სიმწიფის მოწმობაზე.

მაგრამ ანაზდად თქვენ შეამჩნევთ, რომ მთელი მისი სიმკვირცხლე სადღაც გაქრა: ძაღლი უკვე ატყობს, რომ იღუპება. ის სასოწარკვეთილებაში ვარდება. შიშატანილი დაძრწის ქუჩაში ხან აღმა, ხან დაღმა, ჰაერს ყნოსავს, საცოდავად ყმუის, კუდი ამოძუებული აქვს, ყურები უკან გაშვერილი, თავგზააბნეული აქეთ-იქით აწყდება.

ლაპარაკი რომ შეეძლოს, უთუოდ დაიყვირებდა: „დედაო ღვთისა, ნამდვილად მომიპარავენ"!

ყოფილხართ ოდესმე ძაღლების ბაზარში, გინახავთ იქ შიშნაჭამი ძაღლები? ისინი ყველანი მოპარულნი არიან. დიდმა ქალაქმა ქურდბაცაცების საგანგებო სახეობა წარმოშვა, რომელთა ხელობა ძაღლების ქურდობაა. არსებობს სალონის პაწია ძაღლების ჯიში — ჯუჯა ტერიერები, ხელთათმანის ოდენები, რომლებიც შეგიძლიათ პალტოს ჯიბეში ჩაისვათ, ანდა ქალის ხელსათბურში მოათავსოთ, სადაც ჩვეულებრივ ჰყავთ კიდევაც ისინი. აი იქიდანაც კი აგაწაპნიან ქურდები იმ პაწაწკინტელა ძაღლს! ბრაზიან გერმანულ ხალიან დოგს, რომელიც ქალაქგარეთა ცალკე აგარაკს გულმოდგინედ დარაჯობს, ჩვეულებრივ ღამით იპარავენ. საპოლიციო ძაღლს ცხვირწინ ააცლიან პოლიციის აგენტს. თუ ძაღლი თოკით მიგყავთ, თოკს გადაგიჭრიან და ძაღლიანად მიიმალებიან, თქვენ დგახართ და ლენჩიკით ათვალიერებთ ხელში შერჩენილ თოკს. ძაღლების ორმოცდაათ პროცენტს, რომელთაც ქუჩაში ხვდებით, უკვე რამდენჯერმე ჰყავთ გამოცვლილი პატრონი. თქვენ ხშირად საკუთარ ძაღლს ყიდულობთ, რომელიც რამდენიმე წლის წინათ სეირნობის დროს მოგპარეს, ჯერ კიდევ მაშინ, როცა ეს ძაღლი ლეკვი იყო.

მაგრამ მოპარვის ყველაზე დიდი საფრთხე ძაღლს მოელის მაშინ, როცა იგი მცირე და დიდი ფიზიოლოგიური საჭიროების დასაკმაყოფილებლად გამოყავთ. განსაკუთრებით ბლომად იკარგება ძაღლები უკანასკნელი აქტის დროს. აი რატომაა, რომ ყოველი ძაღლი ამ დროს აქეთ-იქით დიდი სიფრთხილით იცქირება.

ცნობილია ძაღლის მოპარვის რამდენიმე მეთოდი. იპარავენ ძაღლს ან პირდაპირ, უშუალოდ, სხვანაირად რომ ვთქვათ, ჯიბგირულად, ანდა ამ ბედშავ ქმნილებას მზაკვრული ხერხით მიიტყუებენ ხოლმე. ძაღლი ერთგული პირუტყვია... მაგრამ ერთგულია მხოლოდ საბუნებისმეტყველო ქრესტომატიებსა და სასკოლო სახელმძღვანელოებში. აბა ერთი დააყნოსვინეთ ყველაზე ერთგულ ძაღლს მოხრაკული ცხენის ხორცის ძეხვი, და ის დაღუპულად შეგიძლიათ ჩათვალოთ. პატრონი უმალ ავიწყდება, რომლის გვერდით ახლახან მიძუნძულებდა, შემოტრიალდება და თქვენ აგედევნებათ. ამასთანავე პირიდან ნერწყვი მოსდის, ძეხვის მოლოდინში კუდს აქიცინებს და ნესტოებს ბერავს, ვით აბორგებული ულაყი, როცა ის ფაშატის დასაგრილებლად მიყავთ.

მალა სტრანაში „უ ზამეცკიხ ხოდუ“ მიყუჟულა პატარა სალუდე. ერთხელ ამ სალუდეში, ჩაბნელებულ კუთხეში, ორი კაცი იჯდა: ჯარისკაცი და სამოქალაქო. ისინი ერთმანეთისკენ გადახრილიყვნენ და იდუმალად ჩურჩულებდნენ. ვენეციის რესპუბლიკის დროინდელი შეთქმულები გეგონებოდათ.

— ყოველდღე დილის რვა საათზე, — უჩურჩულებდა სამოქალაქო ჯარისკაცს, — მოსამსახურეს დაჰყავს ის ჰავლიჩეკის მოედნის კუთხეში მდებარე პატარა ბაღში. მაგრამ იკბინება, ის ოხერი, დაუზოგავად. თავზე ხელი არ გადამასმევია.

კიდევ უფრო გადაიხარა ჯარისკაცისკენ და ყურში ჩასჩურჩულა:

— კუპატს არ ეკარება.

— მოხრაკულს?

— არც მოხრაკულს.

ორთავემ გადააფურთხა.

— მა, რა ჯანდაბას ჭამს ის ყურუმსაღი?

— ეშმაკმა იცის მისი თავი და ტანი! არიან ხოლმე დედოფალივით განაზებული და განებივრებული ძაღლები.

ჯარისკაცმა და სამოქალაქომ ერთმანეთს ჭიქები მიუჯახუნეს, და სამოქალაქომ ისევ ჩურჩულით წამოიწყო:

— ერთხელ ერთი შპიცი, რომელიც მეტისმეტად მჭირდებოდა კლამოვკის საძაღლესთვის, კუპატს ახლოსაც არ გაეკარა. სამი დღე დაესდევდი, ბოლოს მოთმინება აღარ მეყო და პირდაპირ შევეკითხე დიასახლისს, რომელსაც სასეირნოდ გამოყავდა ძაღლი, ეს თქვენი შპიცი რას მიირთმევს-თქო. ძალიან ლამაზი ძაღლია-მეთქი. დიასახლისს ეამა მისი ძაღლის შექება და მითხრა, შპიცს ყველაზე უფრო დაბეგვილი კატლეტი უყვარსო. ვუყიდე შნიცელი. შპიცმა.

იმ უნამუსომ, ზედაც არ დახედა შნიცელს, რადგან ხბოს ხორცისა იყო, შპიცი კი, თურმე, გარდა ღორის ხორცისა, არაფერს ეკარებოდა. მომიხდა ღორის კატლეტის ყიდვა. დავაყნოსეინე და მოვუსვი. ძაღლი უკან მომდევს. დიასახლისმა ყვირილი მორთო: „პუნტიკ! პუნტიკ!“ მაგრამ, თქვენც არ მომიკვდეთ, პუნტიკი უკანაც არ იყურება! პუნტიკი მოსდევს ჩემს კატლეტს, შემოუხვია კუთხეში, აქ ძეწკვი გადავაცვი კისერზე და მეორე დღესვე ძაღლი კლამოვკის საძაღლეში იყო. მკერდზე მას რამდენიმე თეთრი ნიშანი ჰქონდა, შავად შეეუღებე, კაციშვილი ვეღარ იცნობდა. სხვა ძაღლები (და ასეთები ბლომად იყვნენ) ყველანი ხალისით ეტანებოდნენ მოხრაკულ ცხენის ხორცის კუპატს. კარგი იქნება, შვეიკ, მოსამსახურეს გამოჰკითხო, მის ძაღლს რა უყვარს უფრო მეტად. შენ ჯარისკაცი ხარ, გარეგნობაც ხელს გიწყობს, — შენ უფრო ადვილად გეტყვის. მე ერთხელ შევეკითხე, მაგრამ ისეთი თვალით გადმომხედა, თითქოს გულში დანა დამცაო: „თქვენ რა გესაქმებათო?“ შესახედავად ვერაფერი შვილია, უბრალოდ რომ ვთქვათ, ჯოჯოხეთის მაშხალაა, მაგრამ ჯარისკაცს თავს გაუყადრებს და გამოელაპარაკება.

— ერთი ეს მითხარი, ნამდვილად თუ წმინდა სისხლიანია ის პინჩერი? ჩემს ობერ-ლეიტენანტს სხვა ძაღლზე ლაპარაკიც არ სურს.

— ძალზე ლამაზი პინჩერია! მისი ცქერით ვერ გაძღები — ნამდვილად წმინდა სისხლიანია! ეს ისეთივე სიმართლეა, რომ შენ შვეიკი ხარ და მე ბლაჰნიკი. ჩემთვის მთავარია გავიგო, ის რას ჭამს. მიეუტანდი იმ საჭმელს და ძაღლს მოგგერიდი.

მეგობრებმა ისევ მიუჯახუნეს ერთმანეთს ჭიქები. როცა შვეიკი ომამდე ძაღლებით ვაჭრობდა, მას ბლაჰნიკი ამარაგებდა. იგი თავისი საქმის სპეციალისტი იყო. ამბობდნენ, რომ ბლაჰნიკი გამტყავებლისგან ფარულად ყიდულობდა ცოფიანობაზე ეჭვმიტანილ ძაღლებს და მერე ასაღებდა. ერთხელ მას თვითონ გადაედო ცოფი და ვენის პასტერის ინსტიტუტში გაიარა მკურნალობის მთელი კურსი. ახლა იგი თავის ვალად თვლიდა უანგაროდ დახმარებოდა შვეიკს, რომელიც ჯარში იყო წაყვანილი. იგი პრაღასა და მის მიდამოებში ყველა ძაღლს იცნობდა, სალუდეში კი ჩურჩულით ლაპარაკობდა იმიტომ, რომ მიკიტანს ხმაზე არ ეცნო, რომელსაც ნახევარი წლის წინათ ტაკსის ლეკვი მოპარა, კალთის ქვეშ ამოიდო და ბავშვის საწოვარა მისცა მოსაწოვად. უჭკუო ლეკვს იგი თავისი დედა ეგონა და ერთხელაც არ დაუწკმუვლია პალტოს უბიდან.

ბლაჰნიკი პრინციპულად მარტო ჯიშიან ძაღლებს იპარავდა და, საქმე საქმეზე რომ მიმდგარიყო, სასამართლოს ექსპერტად თამამად გამოდგებოდა. იგი ძაღლებს აწოდებდა საძაღლეებსა და კერძო პი-

რებს, როგორც საჭიროება მოითხოვდა. როცა ქუჩაში მიდიოდა, მის მიერ ოდესღაც მოპარული ძაღლები მრისხანედ უღრენდნენ. ანდა საკმარისი იყო რომელიმე ვიტრინასთან შეჩერებულიყო, იმწამსვე შურისმაძიებელი ძაღლი მიადგებოდა, ასწევდა თათს და შარვალს სულ ერთთავად გაულუმპავდა.

მეორე დღეს დილის რვა საათზე შეგეძლოთ დაგენახათ, ყოჩაღი ჯარისკაცი შვეიკი როგორ მიდიმოდიოდა ბაღთან ჰავლიჩეკის მოედნის კუთხეში. იგი ელოდებოდა მსახურ ქალს თავისი პინჩერით; როგორც იქნა, ეღირსა მათ მოსვლას. მას ცხვირწინ ჩაურბინა აბურძგვნილ-აჩეჩილმა ძაღლმა, რომელსაც ჭკვიანური, შავი თვალები ჰქონდა; ის ხალისიან გუნებაზე იყო, როგორც ყველა ძაღლი, როცა თავის მოთხოვნილებას მოილევს ხოლმე. ძაღლი დასდევდა ბეღურებს, რომლებიც ცხენის ფუნაში იქექებოდნენ.

მერე შვეიკს ჩაუარა იმ ქალმა, რომლის მზრუნველობას მინდობილი ჰყავდა ძაღლი. ეს იყო შინაბერა ქალი, თმა წესიერად ჰქონდა დაწნული და ნაწნავები გვირგვინივით ადგა თავზე. იგი ხანგამოშვებით უსტვენდა ძაღლს და ძეწკვსა და კოხტა შოლტს აქნევდა.

შვეიკი გამოელაპარაკა ამ შინაბერას.

— უკაცრავად, ქალიშვილო, როგორ შემიძლია გავიდე ჟიჟკას ქუჩაზე?

ქალი გაჩერდა, შეხედა შვეიკს — აქ რამე ხრიკი არ იყოსო, მაგრამ შვეიკის კეთილმა სახემ დაარწმუნა გულწრფელობაში. შინაბერა მოლბა და თავაზიანად განუმარტა რანაირად გასულიყო ჟიჟკას ქუჩაზე.

— მე ამ ცოტა ხნის წინათ გადმომიყვანეს პრაღაში, — უთხრა შვეიკმა, — აქაური არა ვარ. მგონი, თქვენც არ უნდა იყოთ პრაღელი?

— მე ვოდნანიდან ვარ.

— მაშ ჩვენ თითქმის თანამემამულეები ვყოფილვართ: მე პროტივინელი ვარ.

სამხრეთ ჩეხეთის გეოგრაფიის ცოდნამ, რომელიც შვეიკმა ამ მხარეში სამხედრო მანევრების დროს შეიძინა, შინაბერას გული მშობლიური კუთხის სითბოთი აღავსო.

— მაშინ, თქვენ იქნებ იცნობთ პროტივინეში მოედანზე მობინადრე ყასაბ პეიხარას?

— როგორ არ ვიცნობ! ჩემი ძმაა. იგი ყველას ძალიან უყვარს.

SK

კარგი კაცია, ხათრიანი, ყველას მასიამოვნებელი, კარგ ხორცს იძლევა, არაოდეს წონაში არ მოგატყუებს.

— თქვენ იარეშეს ვაჟი ხომ არა ხართ?—ჰკითხა შინაბერამ, რომელსაც სიმპათია აღეძრა უცნობი სალდათისადმი.

— სწორედ მისი ვაჟი გახლავარ.

— ეგ რომლის, რომელი იარეშესი, პროტივინეს მახლობლად მდებარე კორჩაში რომ ცხოვრობს, თუ რაჟიცელი იარეშესი?

— რაჟიცელის

— რასა იქს? როგორაა? ლუდს ისევ დაატარებს?

— როგორ არა, დაატარებს.

— მაგრამ მან, მგონი, სამოც წელს უკვე გადააბიჯა.

— გაზაფხულზე სამოცდარვამ მიუკაკუნა, — წარბშეუხრელად უპასუხა შვეიკმა. — ამ ცოტა ხნის წინათ ძაღლი გაიჩინა და ახლა უფრო მხიარულად დაატარებს ლუდს. ძაღლი საზიდარზე უზის ხოლმე. მთლად ისეთი ძაღლია, აი აგერ ბეღურებს რომ აფრთხობს... ერთი შეხედეთ, რა ლამაზი ძაღლია, პირდაპირ თვალი ვერ მოშიშორებია!

— ეს ჩვენი ძაღლია, — აუხსნა შვეიკს მისმა ახალმა ნაცნობმა.— აქ მე ბატონ პოლკოვნიკთან ვმსახურობ. იცნობთ ჩვენს პოლკოვნიკს?

— ვიცნობ. ძალიან განათლებული ადამიანია, — უპასუხა შვეიკმა. — ჩვენთან ბუდეიოვიცეში იყო ერთი პოლკოვნიკი...

— ჩვენი პოლკოვნიკი მკაცრი ადამიანია. როცა ამას წინათ ხმა დაირხა, თითქოს სერბიაში ჩვენებს მაგრად მოარტყეს, იგი ცოფიანივით დაბრუნდა შინ, მილეწ-მოლეწა ჭურჭელი სამზარეულოში და ჩემი დათხოვნაც უნდოდა.

— მაშ, ეს თქვენი ძაღლია? — გააწყვეტინა შვეიკმა. — სამწუხაროდ, ჩემს ობერ-ლეიტენანტს ჭირივით ეჯავრება ძაღლები. მე კი ძალიან მიყვარს.

შვეიკი ცოტა ხნით გაჩუმდა და მერე ერთბაშად წამოისროლა:

— ძაღლი რომ ძაღლია, ყველაფერს როდი ჭამს.

— ჩვენი ფოქსი ძალიან წუნიაა. ერთ ხანობას ხორცი თვალის დასანახავად ეზარებოდა, მაგრამ ახლა ისევ დაიწყო ჭამა.

— რა უყვარს უფრო მეტად?

— ღვიძლი, მოხარშული ღვიძლი.

— ხბოის თუ ღორის?

— ეს მისთვის სულ ერთია, — გაეღიმა შვეიკის „თანამემამულეს“, რომელმაც მისი შეკითხვა ოხუნჯობის უხეირო ცდად ჩათვალა.

ისინი ერთხანს კიდევ დასეირნობდნენ. მერე მათ შეუერთდა პინჩერი, რომელსაც მსახურმა ძეწკვი გამოაბა. პინჩერი ძალზე ფამილარულად ექცეოდა შვეიკს, ახტებოდა მას და, თუმცა დრუნჩშეკრული იყო, მაინც ცდილობდა სალდათისთვის შარვალი შემოეხია. მაგრამ უეცრად, თითქოს შვეიკის განზრახვა იგრძნოო, თავი დაანება ხტომას, მოიბუზა და დაღონებული, დაბეჩავებული შეაჩერდა მას, თითქოს უნდოდა ეთქვა: „მაშ, მეც ის მომელის, არა?“

შინაბერამ უამბო შვეიკს, რომ იგი აქ ყოველდღე საღამოს ექვს საათზე გამოდის ხოლმე ძაღლით სასეირნოდ და რომ იგი პრაღაში არც ერთ მამაკაცს არ ენდობა. ერთხელ განცხადება მივეცი გაზეთში, რომ გათხოვება მსურს-თქო. მოვიდა ერთი ზეინკალი, გამომტყუა რვაასი კრონი, რომელიღაც გამოგონებაზე ხარჯის გასაწევად და მიიმალა. პროვინციაში გაცილებით უფრო პატიოსანი ხალხია. თუ ქალი გათხოვებას განიზრახავ, მხოლოდ სოფელზე უნდა გათხოვდე, და ისიც ომის შემდეგ. ომის დროს გათხოვება კი სისულელედ მიმაჩნია — სხვებივით ქვრივ-ოხრად და ქვეყნის სამოწყალოდ დარჩები.

შვეიკმა განუზომელი იმედი ჩაუნერგა მას გულში, უთხრა, ექვს საათზე მოვალო და გასწია თავის მეგობარ ბლაჰნიკთან შესატყობინებლად, რომ ძაღლი ყოველგვარ ღვიძლს მიირთმევსო.

— გავუმასპინძლდები ძროხის ღვიძლით,—გადაწყვიტა ბლაჰნიკმა — ძროხის ხორცმა ფაბრიკანტ ვიდრას მეტად ერთგული ძაღლი სენ-ბერნარი მიიტყუა, — ხვალ მოგგვრი ძაღლს სრულ წესრიგში.

ბლაჰნიკმა სიტყვა შეასრულა. დილით, როცა შვეიკმა ოთახების დალაგება მოათავა, კარებთან გაისმა ყეფა, და ბლაჰნიკმა ბინაში გაძალიანებული ძაღლი შეათრია, რომელიც კიდევ უფრო აბურძგნილიყო. ვიდრე ის ბუნებამ აბურძგნა. ძაღლი გარეული ნადირივით აბრიალებდა თვალებს, და იბღვირებოდა გალიაში დამწყვდეული მშიერი ვეფხვივით, რომელიც ჩასუქებულ მაყურებელს უცქერის. ის კბილებს აკაწკაწებდა და ღრინავდა, თითქოს ამბობდა: „დაგგლეჯ, შეგთქვლეფო!“

ძაღლი სამზარეულოს მაგიდას მიაბეს, და ბლაჰნიკმა დალაგებით უამბო მისი ხელში ჩაგდების მთელი მსვლელობა.

— განგებ ჩავუარე მას გვერდით, ხელში კი ქაღალდში გახვეული მოხარშული ღვიძლი მიჭირავს. ძაღლმა სუნი იკრა და ჩემს ირგვლივ ხტომა დაიწყო. მე არ ვაძლევ, გზას განვაგრძობ. ძაღლი უკან მომდევს. მაშინ ბაღიდან ბრედოვის ქუჩაზე შევუხვიე და იქ მივეცი პირველი ნაჭერი. იგი ჭამდა და თან მომდევდა, არსად დაჰეკარგოსო. გადავუხვიე ინდრეიხის ქუჩაზე და მეორე ნაჭერი გადავუგდე. როცა

გამოძღა, ძეწკვი ჩავაბი და ვაცლავის მოედნით ვინოჰრადზე წავათრიე თვით ვრშოვიცემდე. გზაში ძაღლი პირდაპირ საკვირველ ამბებს ჩადიოდა. როცა ტრამვაის საზზე გადავდიოდით, რელსებზე გაწვა და არასგზით ადგილიდან არ იძვროდა: ალბათ ფიქრობდა, დაე, ვაგონმა გადავჭრასო... ჰო, მართლა, მე სუფთა ბლანკიც მოგიტანე ატესტატისთვის, ფუქსის საკანცელარიო ნივთების მაღაზიაში ვიყიდე. შენ ხომ ძაღლების ყალბი ატესტატების კეთებაში ბადალი არა გყავს!

— ატესტატი შენი ხელით უნდა იყოს შევსებული, — უთხრა შვეიკმა. — დაწერე, რომ ძაღლი წარმოშობით ლაიპციგიდანაა, ფონ ბიულოვის საძაღლედან. მამა — არნჰეიმ ფონ კლასბერგი, დედა — ემა ფონ ტრაუტენსდორფი, რომელიც წარმოშობით ზიგფრიდ ფონ ბუზენტალს ეკუთვნის. მამამ პირველი პრიზი ბერლინის საჯინიბოს პინჩერების გამოფენაზე მიიღო ათას ცხრაასთორმეტ წელს. დედა დაჯილდოებულია ჯიშიანი ძაღლების მოშენების ნიურნბერგის საზოგადოების ოქროს მედლით. შენის აზრით, რა ხნისაა?

— კბილების მიხედვით ორი წლისა უნდა იყოს.

— ჩასწერე წლინახევრის.

— ყურები ცუდად აქვს მოჭრილი, შეხედე, შვეიკ.

— მაგის გამოსწორება ადვილია. მერე შევუსწოროთ, როცა შეგვეჩვევა. ახლა კი ძაღლი კიდევ უფრო გაავდება.

მოტაცებული ძაღლი ცოფიანივით იღრინებოდა, ქშინავდა, აქეთ-იქით აწყდებოდა და, ბოლოს, დაწვა დაღლილ-დაქანცული, ენაგადმოგდებული და ლოდინი დაუწყო, კიდევ რა მომივაო. ნელ-ნელა ის დამშვიდდა და მხოლოდ დროგამოშვებით წკმუოდა.

შვეიკმა ძაღლს დარჩენილი ღვიძლი მიაწოდა, რომელიც ბლაჰნიკმა გადასცა. მაგრამ ძაღლმა პირიც არ დააკარა. მხოლოდ დახედა ღვიძლს და თვალი შეაელო ორთავეს ისეთნაირად, თითქოს უნდოდა ეთქვა: „ამაზე ერთხელ უკვე დავიწვი პირი — ახლა თქვენ თვითონ თქვლიფეთო!“

ძაღლი მორჩილად დაწვა და თავს იმძინარებდა, მაგრამ უეცრად წამოიწია, დადგა უკანა თათებზე და წინა თათებით რაღაცას ითხოვდა. ეტყობოდა ძაღლი ურიგდებოდა თავის ბედს.

მაგრამ შვეიკზე ამ გულამაჩუყებელმა სცენამ სრულებითაც არ იმოქმედა.

— დაწექი, — უყვირა მან ძაღლს.

საბრალო პირუტყვი დაწვა, თან საცოდავად წკმუტუნებდა.

— რა სახელი შევიტანოთ მის ატესტატში? — იკითხა ბლაჰნიკმა. — წინათ ფოქსს ეძახდნენ. რაღაც მსგავსი უნდა შევარჩიოთ, რომ ერთბაშად მიხვდეს.

— დავარქვათ თუნდაც მაქსი. შეხედე, ბლაჰნიკ, ყურები როგორ ცქვიტა. ადექი, მაქს.

საწყალი პინჩერი, რომელსაც საკუთარი სახლიცა და საკუთარი სახელიც წაართვეს, წამოდგა და ელოდებოდა, რას მიბრძანებენო.

— ვფიქრობ შეგვიძლია ავუშვათ ძაღლი, — გადაწყვიტა შვეიკმა. — ვნახოთ, რას იზამს.

როგორც კი აუშვეს, ის უმალ კარებს მიადგა. სამჯერ ნაწყვეტ-ნაწყვეტად შეჰყეფა კარების კაუჭს უთუოდ იმ იმედით, იქნებ ამ შეუბრალებელ ადამიანებს გული მოვულბოო. მაგრამ როცა დაინახა, რომ ამ ადამიანებს არ ესმით მისი სურვილები და გარეთ გაშვება აზრადაც არა აქვთ, კარებთან ტბორე დააყენა — ახლა კი ნამდვილად კარში გამაგდებენო, როგორც ეს მისი ახალგაზრდობის პერიოდში ხდებოდა ხოლმე, როცა პოლკოვნიკი მთელი მხედრული სიმკაცრით სისუფთავის დაცვას აჩვევდა.

მაგრამ ნაცვლად გაგდებისა, შვეიკმა შენიშნა:

— ე-ე, კარგი ეშმაკი ყოფილა, პირდაპირ იეზუიტური ნომერი არ გაგვიკეთა!

შვეიკმა ერთი მაგრად გადაუცხუნა ზურგზე ღვედი და დრუნჩი ჩააკრეკინა ტბორეში, ისე, რომ ძაღლს დიდხანს დასჭირდა ტუჩების ლოკვა, სანამ საბოლოოდ გასუფთავდებოდა.

ძაღლი სირცხვილისგან აწკმუტუნდა, ძუნძული დაიწყო სამზარეულოში და სასოწარკვეთილებით ყნოსავდა საკუთარ ნაკვალევს. მერე სრულიად მოულოდნელად მაგიდასთან მივიდა, იატაკზე დადებული ღვიძლის ნარჩენები შესანსლა, მიწვა ღუმელთან და მთელი ამოდენა ვაი-ვაგლახის შემდეგ დაიძინა.

— რამდენი უნდა მოგცე? — ჰკითხა შვეიკმა ბლაჰნიკს გამოთხოვებისას.

— ამაზე ნუ ვილაპარაკებთ, შვეიკ! — რბილად უთხრა ბლაჰნიკმა. — ძველი ამხანაგისთვის მზად ვარ ყველაფერი გავაკეთო, მით უმეტეს, თუ იგი სამხედრო სამსახურშია გაწვეული. კარგად იყავი, ძმობილო, ოღონდ ერთი გახსოვდეს, არასდროს... ეგ ძაღლი ჰავლიჩეკის მოედანზე არ გაიყვანო, ფათერაკს არ გადაეკიდო. თუ კიდევ რომელიმე ძაღლი დაგჭირდეს, მომაკითხე. შენ იცი, სადაც ვცხოვრობ.

შვეიკმა საშუალება მისცა მაქსს კარგად გამოეძინა, თვითონ კი, ყასაბთან წავიდა, ერთი მეოთხედი კილო ღვიძლი იყიდა, შოხარშა, მერე ცხვირთან დაუდო ძაღლს თბილი ხორცის ნაჭერი და დაუწყო ლოდინი, როდის გაიღვიძებსო. მაქსმა ჯერ კიდევ ნამძინარევზე

ტუჩების ლოკვა დაიწყო, კისერი წაიგრძელა, დაყნოსა ღვიძლს და გადაყლაპა. მერე მივიდა კარებთან და ისევ შეჰყეფა კაუჭს.

— მაქსიკ, — დაუძახა შვეიკმა, — აქ მოდი!

მაქსი უნდობლად მივიდა. შვეიკმა მუხლებზე დაისვა და ხელი გადაუსვა. მაქსმა პირველად იყო რომ მეგობრულად ააქიცინა თავისი წაჭრილი კუდი და ფრთხილად დაუწყო შვეიკს ხელზე პირის წავლება. მერე ნაზად დაიჭირა და პირში გააჩერა ხელი, თან შვეიკს უყურებდა თავისი ჭკვიანი თვალებით, თითქოს ეუბნებოდა: „რა გაეწყობა, ჩემო ძმაო, ვხედავ, თავი წავაგეო“.

შვეიკი ხელს უსობდა ზურგზე და ნაზი ხმით უამბობდა ზღაპარს: — იყო და არა იყო რა, იყო ერთი ძაღლი, სახელად ფოქსი. ცხოვრობდა ის ერთ პოლკოვნიკთან და სასეირნოდ დაჰყავდა მის მსახურ ქალს. მაგრამ ერთხელ მოვიდა ერთი კაცი და ჩვენი ფოქსი მოიპარა. ფოქსი მიჰგვარეს ერთ ობერ-ლეიტენანტს და მაქსი დაარქვეს... მაქსიკ, მომეცი თათი! მაშ ასე, ამიერიდან, შე ძაღლიშვილო, შენა, ვიყოთ მეგობრები, თუ, რა თქმა უნდა, წესიერად მოიქცევი და ყველაფერს გამიგონებ. თორემ, იცი, აქ სამხედრო სამსახურია და ბარე ორი მოგხვდება!

მაქსი ჩამოხტა შვეიკის მუხლებიდან და ლაქუცი დაუწყო. საღამოთი, როცა პორუჩიკი ყაზარმიდან მოვიდა, შვეიკი და მაქსი უკვე გულითადი მეგობრები იყვნენ.

შვეიკი უყურებდა მაქსს და ფილოსოფოსობდა:

— ჩვენთვის რომ ვთქვათ, თვითეული სალდათიც ხომ მოპარულია თავისი სახლიდან.

პორუჩიკი ლუკაში გაოცდა და თანაც ძალიან გაეხარდა, მაქსი რომ დაინახა; თავის მხრივ მაქსსაც გაეხარდა, როცა კვლავ ხმლიანი კაცი დაინახა.

პორუჩიკის შეკითხვაზე, ძაღლი სად იშოვე და რამდენი მიეცი, შვეიკმა სრული გულდამშვიდებით მოახსენა, ძაღლი ერთმა ჩემმა მეგობარმა მაჩუქა, რომელიც ახლახან ჯარში გაიწვიესო.

— ძალიან კარგი, შვეიკ, — უთხრა პორუჩიკმა, თან ძაღლს ეთამაშებოდა. — პირველ რიცხვში ჩემგან ორმოცდაათ კრონს მიიღებთ ამ ძაღლისთვის.

— ვერ ავიღებ, პანე ობერ-ლეიტენანტ.

— შვეიკ, — მკაცრად უთხრა პორუჩიკმა, — როცა თქვენ სამსახურს შეუდექით ჩემთან, მე გითხარით, ყოველ ჩემს სიტყვას უნდა დაემორჩილოთ-მეთქი. რაკი გეუბნებით, რომ ჩემგან მიიღებთ ორმოცდაათ კრონს, თქვენ ის უნდა აიღოთ და ღვინოში დახარჯოთ. მაშ ასე, რას უზამთ თქვენ იმ ორმოცდაათ კრონს?

— მაქვს პატივი მოგახსენოთ, პანე ობერ-ლეიტენანტ, ღვინოში დაეხარჯავ თანახმად ბრძანებისა.

— მაგრამ ვინიცობაა დამავიწყდეს ამის შესახებ, გიბრძანებთ, შვეიკ, მომაგონოთ, რომ მე ამ ძაღლისთვის უნდა მოგცეთ ორმოცდაათი კრონი. გასაგებია? რწყილები ხომ არა ჰყავს? უკეთესი იქნება აბანაოთ და გაასუფთაოთ. ხვალ სამსახურში ვარ, ზეგ კი სასეირნოდ წავიყვან.

იმ დროს, როცა შვეიკი ძაღლს აბანავებდა, პოლკოვნიკი, ძაღლის ყოფილი პატრონი, თავის სახლში იგინებოდა და იწყევლებოდა, უცნობ ქურდს ემუქრებოდა, სამხედრო-საველე სასამართლოს გადავცემ და ვუბრძანებ დახვრიტონ, ჩამოახრჩონ, ოცი წლით ციხეში გამოალპონ და ასო-ასო აკუწონო.

— Der Teufel soll den kerl buserieren[1], — გაისმოდა პოლკოვნიკის ბინაში ისე ძალუმად, რომ ფანჯრის მინებს ზანზარი გაუდიოდათ.

— Mit solchen Meuchelmördern werde ich bald fertig.[2]

შვეიკსა და პორუჩიკ ლუკაშის თავზე შავი ღრუბლები ჩამოწვა, მათ დიდი მარცხი მოელოდა.

---

[1] უხეში გერმანული გინება (გერმ.).

[2] ამ ბანდიტებს მე ფიცხლად გავუსწორდები (გერმ.).

თავი XV

დიდი მარცხი

პოლკოვნიკი ფრიდრიხ კრაუს ფონ ცილერგუტი (ცილერგუტი ზალცბურგის * ერთ-ერთი სოფლის სახელწოდებაა; ეს სოფელი პოლკოვნიკის წინაპრებმა ჯერ კიდევ მეთვრამეტე საუკუნეში ლოთობაში გაფლანგეს) გასაოცრად ყეყეჩი ვინმე იყო. როცა იგი სრულიად ჩვეულებრივ საგნებზე ლაპარაკობდა, ყოველთვის ეტყოდა ხოლმე მოსაუბრეს, რაც გითხარით, ხომ კარგად გამიგეთო, თუმცა საქმე უმარტივეს ცნებებს ეხებოდა, მაგალითად: „აი ეს, ბატონებო, ფანჯარაა. იცით, რა არის ფანჯარა?“ ანდა: „გზას, რომელსაც ორივე მხრიდან თხრილი მისდევს, შარაგზა ეწოდება. დიახ, ასეა, ბატონებო. იცით, რა არის თხრილი? თხრილი — ეს არის საკმაოდ მნიშვნელოვანი რაოდენობის მუშახელის მიერ გათხრილი ღრმული. დიახ. თხრილს წალკატით თხრიან. იცით, რა არის წალკატი?“

პოლკოვნიკს აკვიატებული ჰქონდა ის აზრი, რომ იგი ვალდებულია ყველას აუხსნას ყველაფერი, და ამას ისეთი აღფრთოვანებით

აკეთებდა, როგორითაც გამომგონებელი თავის გამოგონებაზე ლაპარაკობს ხოლმე.

„წიგნი, ბატონებო, გახლავთ სხვადასხვა ფორმატის ქაღალდისგან დიდი რაოდენობით ოთხკეცად დაჭრილი ნაბეჭდი ფურცლები, რომლებიც ერთადაა შეგროვილი, აკინძული და სახამებლის წებოთი დაწებებული. დიახ. იცით, ბატონებო, რა არის სახამებლის წებო? სახამებლის წებო არის წებო“.

პოლკოვნიკი ისეთი აუტანელი სულელი იყო, რომ ოფიცრები როგორც კი შორიდანვე თვალს მოჰკრავდნენ მას, გვერდზე გადაუხვევდნენ, მისგან რომ არ მოესმინათ, მაგალითად, ასეთი ჭეშმარიტება: ქუჩა შესდგება ქვაფენილისა და ტროტუარისგან, ტროტუარი წარმოადგენს სახლის ფასადის გასწვრივ გაჭიმულ პანელს, რომელიც ქვაფენილზე მაღლა მდებარეობს. ფასადი კი არის სახლის ის ნაწილი, რომელიც მოჩანს ქვაფენილიდან ან ტროტუარიდან. სახლის უკანა ნაწილის დანახვა ტროტუარიდან შეუძლებელია, რაშიაც შეგვიძლია დავრწმუნდეთ, თუ ქვაფენილზე გადავალთ.

ერთხელ ასეთი ჭეშმარიტების დასადასტურებლად მან მოინდომა ადგილზევე მოეხდინა ამ საინტერესო ცდის დემონსტრაცია, მაგრამ, საბედნიეროდ, ეტლის ბორბლების ქვეშ მოჰყვა. ამ დროიდან უფრო მეტად გამოთაყვანდა. იგი ქუჩაში რომ შეხვდებოდა ოფიცრებს, გააჩერებდა და დაუსრულებელ ლაპარაკს გაუბამდა ერბო-კვერცხის, მზის, თერმომეტრის, ხავიწების, ფანჯრებისა და საფოსტო მარკების შესახებ.

პირდაპირ უცნაური იყო, როგორ ახერხებდა ეს იდიოტი, ასე სწრაფად დაწინაურებას სამხედრო სამსახურში და დიდად გავლენიანი პირების მფარველობის ქვეშ მოკალათებას. მაგალითად, ამ ყოვლად უნიჭო პოლკოვნიკს დიდად წყალობდა კორპუსის გენერალი. მანევრებზე პოლკოვნიკი თავის პოლკს საარაკო ოინებს უწყობდა: ვერსად ვერასოდეს ვერ ასწრებდა მისვლას და პოლკს კოლონებად პირდაპირ ტყვიამფრქვევებზე მიერეკებოდა. რამდენიმე წლის წინათ სამხრეთ ჩეხეთში წარმოებულ მანევრების დროს, რომელსაც თვით იმპერატორი ესწრებოდა, იგი უეცრად გაჰქრა და თავისი პოლკით მორავიაში ამოჰყო თავი, აქ რამდენიმე დღე უგზო-უკვლოდ დაეხეტებოდა მაშინ, როდესაც მანევრები უკვე დამთავრებული იყო და მოქანცული ჯარისკაცები ყაზარმებში ეყარნენ დასასვენებლად. მაგრამ ამ ამბავმაც იოლად ჩაუარა.

კორპუსის გენერალთან და ძველი ავსტრიის სხვა სამხედრო დიდკაცებთან მეგობრული განწყობილების შემწეობით, რომლებიც თვითონაც არ ჩამოუვარდებოდნენ მას უნიჭობაში, იგი სხვადასხვა

ჯილდოებსა და ორდენებს ღებულობდა, რითაც დიდად ამაყობდა; იგი თავის თავს საუკეთესო სამხედრო პირად თვლიდა მთელ დედამიწის ზურგზე, სტრატეგიის საუცხოო თეორეტიკოსად და ყველა სამხედრო მეცნიერებათა ჩინებულ მცოდნედ.

პოლკის დათვალიერების დროს მას უყვარდა სალდათებთან გამოლაპარაკება და მათ ყოველთვის ერთსა და იმავე შეკითხვას აძლევდა: ჯარში შემოღებულ შაშხანებს რად ეწოდება „მანლიჰეროვკაო"?*

პოლკში მასზე დაცინვით ლაპარაკობდნენ: „აი, წამოიწყო თავისი მანლიჰერობიანა!"

იგი ძალიან გულღრძო ადამიანი იყო და არ ინდობდა თავის იმ ხელქვეით ოფიცრებს, რომლებიც ამა თუ იმ მიზეზით თვალში არ მოუვიდოდა. თუ, მაგალითად, რომელიმე ოფიცერი ცოლის შერთვას დააპირებდა, პოლკოვნიკი ასეთის განცხადებას უმაღლეს ინსტანციაში გადაგზავნიდა, თან არ ივიწყებდა, თავის მხრივ, რაც შეიძლება საძაგელი რეკომენდაცია დაერთო.

პოლკოვნიკს მარცხენა ყური ნახევრად მოჭრილი ჰქონდა, რომელიც მას ახალგაზრდობაში მოწინააღმდეგემ დუელში ჩამოათალა. დუელი ფაქტის უბრალო აღნიშვნის ნიადაგზე მოხდა, — ფრიდრიხ კრაუს ფონ ცილერგუტი დიდი რეგვენი ვინმეაო.

თუ მისი ჭკუა-გონების ავლა-დიდებას განვიხილავთ, იმ დასკვნამდე მივალთ, რომ იგი იმავე ჭკუის პატრონი იყო, რომლითაც სახელი გაითქვა დინგიანმა ფრანც იოსებ ჰაბსბურგმა, როგორც საყოველთაოდ ცნობილმა იდიოტმა: იგივე შეუკავებელი სიტყვის ფრქვევა; იგივე უკიდურესი მიამიტობა.

ერთხელ ბანკეტზე, ოფიცერთა შეკრებულობაში, როცა საუბარი შილერზე ჩამოვარდა, პოლკოვნიკმა კრაუს ფონ ცილერგუტმა არც აცივა, არც აცხელა და განაცხადა:

— მე, ბატონებო, გუშინ ორთქლის გუთანი ვნახე, რომელიც ლოკომოტივის საშუალებით მოძრაობდა. წარმოიდგინეთ, ბატონებო, ლოკომოტივით, მერედა, განა ერთით, ორი ლოკომოტივით! ვხედავ — კვამლია, მივდივარ ახლოს — თურმე ლოკომოტივია, მეორე მხრიდანაც ლოკომოტივია. აბა ერთი მითხარით, ბატონებო, განა ეს სასაცილო არ არის? ორი ლოკომოტივი, თითქოს ერთი არ კმაროდა!

ცოტა ხანს შეჩერდა, მერე დასძინა:

— როცა მთელი ბენზინი გამოელია, ავტომობილი იძულებული გახდა, გაჩერებულიყო. ესეც ჩემი თვალით ვნახე გუშინ. და ამის შემდეგ კიდევ ბევრს ლაყბობენ ინერციის შესახებ, ბატონებო! აღარ

მიდის, დგას, ადგილიდან არ იძვრის! არაა ბენზინი, მოდი და, ადამიანს ნუ გაგეცინება!

მიუხედავად მთელი თავისი სიჩლუნგისა, პოლკოვნიკი მეტისმეტად ღვთისმოშიში იყო. ბინაში საშინაო საკურთხეველი ჰქონდა. პოლკოვნიკი ხშირად დადიოდა აღსარებაზე საზიარებლად წმიდა იგნატის ეკლესიაში და ომის დაწყების დღიდანვე გულმხურვალედ ეევედრებოდა ღმერთს ავსტრიისა და გერმანიის იარაღის გამარჯვებაზე. მას ერთმანეთში ერეოდა ქრისტიანობა და ოცნებანი გერმანიის ჰეგემონიაზე. მისი ღრმა რწმენით, ღმერთს დახმარება უნდა გაეწია დამარცხებულთა ქონებისა და მიწების მიტაცებაში.

იგი ცოფიანივით დორბლებსა ჰყრიდა, როცა გაზეთებში ამოიკითხავდა — ტყვეები კიდევ ჩამოიყვანესო.

— რა ეშმაკად მოჰყავთ აქ ტყვეები? — ამბობდა იგი. — უნდა დახვრიტონ ყველანი! დაუზოგავად! გვამებზე უნდა ეიცეკვოთ! სერბიაში მთელი სამოქალაქო მოსახლეობა უნდა დასწვან, ყველანი — უკანასკნელ კაცამდე. ბავშვები ხიშტებზე უნდა წამოაგონ.

იგი არაფრით ჩამოუვარდებოდა გერმანელ პოეტ ფირორდტს *, რომელმაც ომის დროს გამოაქვეყნა ლექსები მოწოდებით — გერმანია უნდა აღინთოს მილიონობით წყეული ფრანგების მიმართ სიძულვილით და მათი სისხლი შეუბრალებლად დაღვაროსო:

> დე მთებზე მაღლა, ღრუბლებამდის იყოს აწვდილი
> ადამიანთა შებოლილი ძვლები და ლეში...

პორუჩიკი ლუკაში მორჩა მეცადინეობას ნებითგანწესებულთა სკოლაში, ჩივიდა შინ და მაქსი სასეირნოდ წაიყვანა.

— თავს ნებას ვაძლევ გაგაფრთხილოთ, პანე ობერ-ლეიტენანტ, — მზრუნველად უთხრა შვეიკმა, — თვალი გეჭიროთ ძაღლზე, არ გაგექცეთ. შეიძლება ძველი პატრონი მოენატროს და მოძურწოს, თუ აუშვით. არ გირჩევდით აგრეთვე გაატაროთ ის ჰავლიჩეკის მოედანზე. იქ „მარიამის ხატის“ * სახლში ერთი საყასბოა, ჰოდა, ამ საყასბოს ძალზე ბრაზიანი ძაღლი ჰყავს, რომელიც მუდამ მოედანზე დაწანწალებს. საშინელი კბენიაა. როგორც კი თავის რაიონში უცხო ძაღლს დაინახავს — მზადაა დაგლიჯოს, შიშობს, ვაითუ რამე შემიჰამოსო, მთლად წმიდა ჰაშტალის ეკლესიის მათხოვარივითაა *.

აცუნცრუკებული მაქსი მხიარულად ხტოდა, ფეხებში ებლანდებოდა პორუჩიკს, თავისი ძეწკვით მის ხმალს შემოეხვია და ერთ-ორჯერ შეჰყეფა კიდეც—ერთი სიტყვით ყოველნაირად ცდილობდა თავისი სიხარულის გამოხატვას, რაკი სასეირნოდ მიყავდათ.

გამოვიდნენ ქუჩაში და პორუჩიკი ლუკაში პრშიკოპისკენ გაემართა, სადაც მას პაემანი ჰქონდა დანიშნული ერთ ქალთან პანის* ქუჩის კუთხეში. პორუჩიკი სამსახურებრივი საქმეების ფიქრში წავიდა. ხვალ რაზე წავიკითხო ლექცია ნებითგანწესებულთა სკოლაშიო? როგორ აღვნიშნავთ რომელიმე მთის სიმაღლეს? რანაირად შეიძლება დავადგინოთ ზღვის დონედან სიმაღლის მიხედვით თვით მთის სიმაღლე ფუძიდან?.. რა ეშმაკად შეაქვს სამხედრო სამინისტროს ასეთი საკითხები სასკოლო პროგრამაში?! ეს მხოლოდ არტილერისტებისთვისაა საჭირო. ბოლოს და ბოლოს ხომ არსებობს გენერალური შტაბის რუკები. როცა მოწინააღმდეგე აღმოჩნდება სიმაღლეზე 312, აქ უკვე ბევრი ფიქრის დრო აღარაა — ამა და ამ ბორცვის სიმაღლე რადაა ნაჩვენები ზღვის დონიდან, ანდა ვიღას ცხელა მაშინ სიმაღლის გამოსაანგარიშებლად. საკმარისია რუკას დახედოთ — და ყველაფერი ნათელი გახდება.

პანის ქუჩის მახლობლად პორუჩიკ ლუკაშის ფიქრები ერთბაშად შეწყვიტა მკაცრმა შეძახილმა „Halt!“ [1]

ამ შეძახილთან ერთად ძაღლი ხელიდან გაუსხლტა პორუჩიკს და მხიარული ყეფით მიიჭრა კაცთან, რომელმაც ეს მკაცრი „Halt!“ დასჭყივლა.

პორუჩიკის პირისპირ იდგა პოლკოვნიკი კრაუს ფონ ცილერგუტი. ლუკაშმა სამხედრო სალამი მისცა, გაჩერდა და თავის მართლებას შეუდგა, ვერ დაგინახეთო.

პოლკოვნიკი კრაუსი ცნობილი იყო ოფიცრებში იმით, რომ თუ რომელიმე მათგანი არ მიესალმებოდა, შავ დღეს დააყენებდა.

სამხედრო სალამს იგი დიდ ამბავად თვლიდა, რომელზეც, მისი აზრით, დაფუძნებული იყო ავსტრიის მთელი სამხედრო ძლევამოსილება და გამარჯვებაც მასზე იყო დამოკიდებული.

„როცა სალდათი სამხედრო სალამს აძლევს უფროსს, მან ამაში მთელი თავისი სული და გული უნდა ჩააქსოვოს“, — იტყოდა ხოლმე იგი. ეს სიტყვები აღსავსე იყო ღრმა ფელდფებლური მისტიციზმით.

პოლკოვნიკი მკაცრად მოითხოვდა, რომ სამხედრო სალამი ყველა წესის დაცვით ყოფილიყო შესრულებული, დახვეწილად, აბსოლუტურად ზუსტად და სერიოზულად. იგი ყველას თვალყურს ადევნებდა, რიგითი ჯარისკაცისგან დაწყებული პოდპოლკოვნიკამდე, ვინც კი გვერდზე გაუვლიდა. რიგით ჯარისკაცებს, რომლებიც ჰაიჰარად ხელს აიქნევდნენ სამხედრო სალამის მისაცემად, თითქოს ამით

---

[1] შესდექ! (გერმ.).

ძმაბიჭურად ესალმებოდნენ: „თქვენი გამარჯვებისა იყოსო“, — თვითონვე მიათრევდა ყაზარმაში სასჯელის დასადებად.

მისთვის არავითარი თავის გამართლება — „არ დამინახავსო“ — არ არსებობდა.

„სალდათი, — ამბობდა იგი, — ვალდებულია ხალხის ბრბოშიც კი ეძებოს თავისი უფროსი და მხოლოდ იმაზე იფიქროს, რომ წესდებით გათვალისწინებული თავისი მოვალეობანი შეასრულოს. როცა ჩტრის ტყვიით სასიკვდილოდ განგმირული იგი ბრძოლის ველზე დაეცემა, სიკვდილის წინაც კი ვალდებულია სამხედრო სალამი მისცეს უფროსსო. ვინც არ იცის სამხედრო სალამის მიცემა, ან მოაჩვენებს, რომ უფროსებს ვერ ხედავს, ანდა სალამს იძლევა უგულოდ, ჩემს თვალში ასეთი სამხედრო პირი ადამიანი კი არა, პირუტყვია“.

— პანე პორუჩიკ, — მრისხანედ მიმართა პოლკოვნიკმა კრაუსმა, — უმცროსი ოფიცრები ვალდებული არიან მიესალმონ უფროსებს. ეს წესი გაუქმებული არ გახლავთ. მერე, ერთი ეს მითხარით, როდის შემოიღეთ მოდად ბატონმა ოფიცრებმა მოპარული ძაღლებით სეირნობა? დიახ, მოპარულით! ძაღლი, რომელიც ეკუთვნის სხვას, — მოპარული ძაღლია!

— ეს ძაღლი, პანე პოლკოვნიკ... — ის-იყო შეესიტყვა პორუჩიკი ლუკაში.

— ...მეკუთვნის მე, პანე პორუჩიკ! — უხეშად მოუჭრა პოლკოვნიკმა. — ეს ჩემი ფოქსია.

ფოქსმა ანუ მაქსმა, რომელმაც იცნო თავისი ძველი პატრონი, მთლად გულიდან ამოირეცხა ახალი პატრონი, ზედ ახტებოდა პოლკოვნიკს და აღტყინებული იყო, ვით უფროსკლასელი გიმნაზიელი, რომელმაც მისთვის სატრფიალო ადამიანის თვალებში ეს-ესაა ახლა ამოიკითხა დასტური.

— მოპარული ძაღლით სეირნობა, პანე პორუჩიკ, სრულებით არ ეგუება ოფიცრის ღირსებას. თქვენ არ იცოდით? ოფიცერს უფლება არა აქვს იყიდოს ძაღლი, სანამ წინასწარ არ დარწმუნდება, რომ ამას ცუდი შედეგი არ მოჰყვება! — ღრიალებდა პოლკოვნიკი კრაუსი და თან ფოქს-მაქსს ეფერებოდა, რომელიც იმდენად ვერაგი ქმნილება აღმოჩნდა, რომ პორუჩიკს დაუწყო ღრენა და კბილების კრეჭა, თითქოს პოლკოვნიკი უსასინებდა: „მიდი, მიდი, ეცი პორუჩიკსო!“

— პანე პორუჩიკ, — განაგრძობდა პოლკოვნიკი, —თქვენ ოფიცრისთვის მისაღებად მიგაჩნიათ თუ არა მოპარული ცხენით ჯირითი? წაიკითხეთ თუ არა ჩემი განცხადება „ბოჰემიაში“ და „ტაგებლატში“ იმის შესახებ, რომ მე პინჩერი დავკარგე?.. ან იქნებ თქვენ

ზედმეტად მიგაჩნიათ იკითხოთ განცხადებები, რომელთაც თქვენი უფროსი გაზეთებში აქვეყნებს?

პოლკოვნიკმა ხელი ხელს შემოჰკრა.

— აი რანაირ ახალგაზრდა ოფიცრებს შეეესწარით! სადაა დისციპლინა! პოლკოვნიკი აქვეყნებს განცხადებებს, პორუჩიკი მათ არ კითხულობს!

„ერთი მაგ სიფათში მათხლეშინა სილა, შე ბებრუხანა!"—გულში გაივლო პორუჩიკმა, და პოლკოვნიკის ქილვაშს დააშტერდა, რომლითაც ეს გადაღეჟუებული გასაოცრად ემსგავსებოდა ორანგუტანგს.

— წამობრძანდით, ცოტა ხანს ერთად გავიაროთ, — უთხრა პოლკოვნიკმა, და ტკბილი საუბრით გაუყვნენ გზას.

— ფრონტზე, პანე პორუჩიკ, ასეთი ამბავი მეორედ აღარ შეგემთხვევათ. მოპარული ძაღლებით ჯარის ზურგში სეირნობა, რაღა თქმა უნდა, ძალზე ულამაზოა. დიახ. უფროსის ძაღლით სეირნობა. შაშინ, როცა ყოველდღე ჩვენ ასეულობით ოფიცერს ვკარგავთ ბრძოლის ველზე... მერედა, განცხადებებს თურმე არც კითხულობთ. მე შემეძლო ძაღლის დაკარგვის შესახებ განცხადებები მექვეყნებინა მთელი ასი წელიწადი, ორასი წელიწადი! სამასი წელიწადი!

პოლკოვნიკმა დიდის ხმაურით მოიხოცა ცხვირი, რაც ყოველთვის იმის მაჩვენებელი იყო, რომ მას ძალზე მოშლილი ჰქონდა ძარღვები, და პორუჩიკს მწყრალად უთხრა:

— შეგიძლიათ განაგრძოთ სეირნობა! — უთხრა პოლკოვნიკმა, შეტრიალდა და წავიდა თავისი გზით, თან გაჯავრებული შოლტს უტყლაშუნებდა თავისი ოფიცრული ფარაჯის კალთებს.

პორუჩიკი ლუკაში ქუჩის მოპირდაპირე მხარეზე გადავიდა და ისევ მოესმა „Halt!" პოლკოვნიკმა რომელიღაც ბედშავი სათადარიგო ქვეითი ჯარისკაცი დააკავა, რომელიც შინ დარჩენილ დედის ფიქრში იყო წასული და პოლკოვნიკი ვერ დაინახა.

პოლკოვნიკმა ერთი ლაზათიანად შეუკურთხა ჯარისკაცს და ყაზარმისკენ გაიგდო სასჯელის დასადებად.

„რა ვუყო შვეიკს! — ფიქრობდა პორუჩიკი, — ცემით გავხეთქავ! არა, ეს არ კმარა. ზურგზე ცოცხლად ტყავი რომ ავაძრო, ესეც ცოტაა იმ გაიძვერასთვის".

ქალთან დანიშნულ პაემანის გუნებაზე პორუჩიკი, ცხადია, აღარ იყო, და განრისხებული შინისკენ გაემართა.

„ჩემი ხელით დავახრჩობ იმ ნამუსგარეცხილს!" — თავისთვის ჩაილაპარაკა პორუჩიკმა, როცა ტრამვაიში ჯდებოდა.

ყოჩაღი ჯარისკაცი შვეიკი ამ დროს გართული იყო ყაზარმიდან მოსულ შიკრიკთან საუბრით. შიკრიკმა ქაღალდები მოუტანა პორუჩიკს ხელმოსაწერად და მას ელოდებოდა.

შვეიკი შიკრიკს ყავით გაუმასპინძლდა. საუბარი ავსტრიის მძიმე მდგომარეობას ეხებოდა, მათი აზრით ავსტრია გაკოტრების გზას ადგა.

ამის შესახებ ისე ლაპარაკობდნენ, თითქოს აქ საეჭვო აღარაფერი იყო. გაუთავებლად გაისმოდა ბრძნული გამოთქმები. სასამართლოს რომ მოესმინა ამ გამოთქმების თვითეული სიტყვა, მათში უეჭველად სახელმწიფო ღალატს დაინახავდა, და ორთავეს ულაპარაკოდ ჩამოხრჩობას მიუსჯიდა.

— ხელმწიფე-იმპერატორი ყოველივე ამისგან, ალბათ, მთლად გამოსულელდა, — განაცხადა შვეიკმა. — თუმცა ჭკვიანი არასოდეს არ ყოფილა, მაგრამ ეს ომი ნამდვილად ბოლოს მოუღებს.

— ბოთეა! — მხიარულად წამოიძახა შიკრიკმა. — მთლად გამოჩერჩეტებულია! უთუოდ არც იცის, რომ ომია. მისი მოერიდებოდათ და არც ეტყოდნენ. ხალხის მიმართ მანიფესტზე მისი ხელისმოწერა — მამაძაღლობაა, და შეტი არაფერი. უიმისოდ დაბეჭდეს — მას ხომ ამქვეყნის არაფერი გაეგება.

— იგი იცი... — ექსპერტის ტონით დაუმატა შვეიკმა, — შარუს ვერ იკავებს, თურმე, და პატარა ბავშვივით უხდებათ კვება. ამას წინათ სალუდეში ერთი კაცი ჰყვებოდა, რომ ხელმწიფე-იმპერატორს ორი ძიძა ყავს და შას დღეში ათჯერ ძუძუს აწოვებენო.

— ეხ! — ამოიხვნეშა ყაზარმიდან მოსულმა ჯარისკაცმა. — ერთი მალე მაინც დაგვიზილონ კისერი, რომ ავსტრია დამშვიდდეს.

საუბარი გრძელდებოდა. შვეიკმა რამდენიმე თბილი სიტყვა შეაწია ავსტრიას, სახელდობრ, რომ ასეთი იდიოტური მონარქია ქვეყანაზე არ უნდა არსებობდესო. ჯარისკაცმა ამ გამოთქმიდან პრაქტიკული დასკვნა გააკეთა და დასძინა:

— როგორც კი ფრონტზე მოვხვდები, იმწამსვე ავითესები.

ასე განაგრძობდნენ ისინი ჩეხების შეხედულების გამოთქმას მსოფლიო ომზე. ყაზარმის შიკრიკმა თქვა, რომ დღეს პრაღაში ხმა დაირხა, თითქოს „უ ნახოდასთან“ * უკვე ისმოდა ქვემეხების სროლა და რომ თითქოს რუსეთის მეფე მალე კრაკოვში იქნებაო.

შემდეგ ლაპარაკობდნენ, რომ ჩეხეთის პური გერმანიაში გააქვთ და რომ გერმანელ ჯარისკაცებს სიგარეტები და შოკოლადი ეძლევათო.

მერე მოიგონეს გარდასულ ჟამთა ომები და შვეიკი სერიოზულად ამტკიცებდა, რომ, როცა ძველ დროში ალყაშემორტყმულ ქალაქში მტერი სიბინძურით საესე ქილებს ისროდა, ასეთ სიმყრალეში მაინც-დამაინც სასიამოვნო არ იყო ბრძოლა. მე თვითონ წამიკითხავსო, თქვა შვეიკმა, რომ ერთი ქალაქი ალყაშემორტყმული იყო მთელი სამი წელიწადი და მტერი ყოველდღე მხოლოდ ამნაირად ირთობდა თავსაო.

შვეიკი უთუოდ კიდევ რამეს უამბობდა, არანაკლებ საინტერესოსა და ჭკუისსასწავლს, რომ მუსაიფი არ შეეწყვიტა პორუჩიკ ლუკაშის მოსვლას. პორუჩიკმა ისე მრისხანედ შეხედა თავის დენშჩიკს, თითქოს აქვე მისი გაჭრობა სურსო, ხელი მოაწერა ქაღალდებს, გაუშვა ჯარისკაცი და თავით ანიშნა შვეიკს, ოთახში შემოდიო.

პორუჩიკი თვალთაგან ნაპერწკლებსა ჰყრიდა. დაჯდა სკამზე, თვალი თვალში გაუყარა შვეიკს, თან ფიქრობდა, როდის შევუდგე ცემასო.

„ჯერ ერთი-ორჯერ კბილებში ჩავცხებ, — გადაწყვიტა პორუჩიკმა, — მერე ცხვირიდან სისხლს ვადენ და ყურებს დავაგლეჯ, შემდეგ ვნახოთ, რაც იქნებაო“.

პორუჩიკს გულღიად და ალალმართლად უყურებდა შვეიკის კეთილი, უმანკო თვალები; მან გაბედა და პირველმა დაარღვია ჭარიშხლის წინ ჩამოწოლილი სიჩუმე.



— მაქვს პატივი მოგახსენოთ, პანე ობერ-ლეიტენანტ, რომ თქვენ დაჰკარგეთ კატა. ფეხსაცმლის საცხი შეთქვლიფა და ფეხები ფშიკა. მე ის სარდაფში ჩავაგდე, მაგრამ ჩვენსაში კი არა, მეზობლის სარდაფში. ასეთ კარგ ანგორულ კატას თქვენ ვეღარ იშოვით!

— „რა ვუყო ამ ოჯახქორს! — გაუელვა თავში პორუჩიკს. — ღმერთო ჩემო, რა ბრიყვული სახე აქვს!“

შვეიკის კეთილი, უმანკო თვალები კი ნაზად აფრქვევდნენ სითბოს, რაც მეტყველებდა მის სულიერ წონასწორობაზე: „ყველაფერი რიგზეაო, არაფერიც არ მომხდარა, მაგრამ თუ რამე მოხდა, ესეც არაფერია, რადგან ზოგჯერ რაღაცა ხომ მაინც უნდა მოხდესო“.

პორუჩიკი ლუკაში წამოხტა, მაგრამ არ შემოკრა შვეიკს, როგორც განზრახული ჰქონდა. მუშტი ცხვირთან მიუღირა და უყვირა:

— შვეიკ! თქვენ ძაღლი მოიპარეთ!

— მაქვს პატივი მოგახსენოთ, პანე ობერ-ლეიტენანტ, ამ უკანასკნელ ხანებში ასეთი რამე არ მომხდარა. ნებას მივცემ ჩემს თავს, პანე ობერ-ლეიტენანტ, მოგაგონოთ, რომ ნასადილევს თქვენ მაქსთან ერთად სასეირნოდ ინებეთ წაბრძანება, და მე არავითარ შემთხვევაში არ შემეძლო მისი მოპარვა. მე ერთბაშად მივხვდი, რომ საქმე ვერაა კარგად, როცა თქვენ უძაღლოდ დაბრუნდით შინ. ეს, როგორც იტყვიან ხოლმე, სიტუაციაა... სპალენის ქუჩაზე ერთი ოს-

ტატი ცხოვრობს, რომელიც ტყავის ჩანთების მოხელეა, გვარად კუნეში. როგორც კი იგი ძაღლს სასეირნოდ გაიყვანს, იმწამსვე დაეკარგება. უფრო ხშირად მას ძაღლი სალუდეში რჩება, ან პარავენ ხოლმე, ანდა ინათხოვრებენ და მერე აღარ უბრუნებენ.

— ხმა გაიკმიდე, პირუტყვო, ეშმაკმა დალახვროს! თქვენ ან ჯიბიდან გავარდნილი არამზადა ხართ, ან ღვთის გლახა, ტუტუცი, ტაკიმასხარა! ჩემთან ლაზღანდარობა არ გაგივათ! საიდან მოიყვანეთ ძაღლი? სად იპოვეთ? იცით თუ არა თქვენ, რომ ის ჩვენი პოლკის მეთაურის არის? ეს-იყო ახლა წამართვა ქუჩაში. საქვეყნოდ თავი მომეჭრა! სიმართლე მითხარით — მოიპარეთ თუ არა ძაღლი?

— არა, არ მომიპარავს, პანე ობერ-ლეიტენანტ.

— მაგრამ ხომ იცოდით, რომ მოპარული იყო?

— მაქვს პატივი მოგახსენოთ, პანე ობერ-ლეიტენანტ, ვიცოდი.

— დედაო ღვთისა! შვეიკ! Himmelherrgott! ტყვიას გესვრით! პირუტყვო! მხეცო! ვირო! ნეხვო! ნუთუ ასეთი იდიოტი ხართ?

— სწორედ აგრეა, პანე ობერ-ლეიტენანტ, ასეთი ვარ.

— რად მომიყვანეთ მოპარული ძაღლი? რა ეშმაკად მინდოდა!

— თქვენთვის რომ მესიამოვნებინა, პანე ობერ-ლეიტენანტ.

და შვეიკმა გულკეთილად და ალერსით შეხედა პორუჩიკს. პორუჩიკი სავარძელში ჩაეშვა და გმინვა აღმოხდა:

— ღმერთო, ასეთი რა შეგცოდე, ეს პირუტყვი რომ მარგუნე?!

გასავათებული იჯდა პორუჩიკი სავარძელში და გრძნობდა, რომ აღარაფრის ძალა აღარ ჰქონდა, სიგარეტის გახვევაც აღარ შეეძლო. თვითონაც არ იცოდა, თუ რატომ, — შვეიკი გაზეთებზე „ბოჰემიასა“ და „ტაგებლატზე“ გაგზავნა და უბრძანა, მოიტანე და წამიკითხე პოლკოვნიკის განცხადებები ძაღლის დაკარგვის შესახებო.

შვეიკი დაბრუნდა გაზეთებით ხელში, რომლებიც განცხადებების გვერდზე ჰქონდა გადაშლილი. სახე სულ ერთთავად უბრწყინავდა და სიხარულით მოახსენა:

— არის, პანე ობერ-ლეიტენანტ! ბატონი პოლკოვნიკი ისე ჩინებულად აგვიწერს ამ მოპარულ პინჩერს, რომ უკეთესად აღარ შეიძლება, თან ჯილდოდ ას კრონს აღუთქვამს ძაღლის მიმყვანს. საკმაოდ კარგი ჯილდოა. ჩვეულებრივ ასეთ შემთხვევაში ორმოცდაათ კრონზე მეტს არ იმეტებენ ხოლმე. ვინმე კოშირეელი ბოქეტეხი მხოლოდ ამით ირჩენდა თავს. მოიპარავდა ძაღლს, მერე გაზეთის განცხადებებში ეძებდა, რომელი ძაღლი დაიკარგა, და უმალ მიდიოდა აღნიშნული მისამართით. ერთხელ შესანიშნავი შავი შპიცი მოიპარა და იმის გამო, რომ პატრონი არსად არაფერს აცხადებდა, სცადა თვითონ გამოექვეყნებინა განცხადებანი. განცხადებებზე

მთელი ხუთი კრონი დაეხარჯა. ბოლოს, გამოჩნდა პატრონი და უთხრა, ეს ნამდვილად ჩემი ძაღლიაო, დამეკარგა, მაგრამ მისი ძებნა უიმედო საქმედ მიმაჩნდა, რადგან ადამიანის პატიოსნების დიდი ხანია აღარაფერი მწამსო, მაგრამ ახლა თვალნათლივ ვხედავ, რომ ამქვეყნად კიდევ ყოფილან პატიოსანი ადამიანები, და ეს ძალიან მახარებსო. მე პრინციპულად წინააღმდეგი ვარ პატიოსნებისთვის ადამიანს ჯილდო მიეცეს, სამაგიეროდ სახსოვრად მიიღეთ ეს ჩემი პატარა წიგნი — ოთახისა და ბაღის ყვავილების მოვლის შესახებო. ბედკრულმა ბოჟეტეხმა ხელი დაავლო შავ შპიცს უკანა თათებში და თავში სთხლიშა იმ კაცს; ამის შემდეგ ფიცი დასდო, რომ არასოდეს გაზეთებში განცხადებებს აღარ მოათავსებდა. გაცილებით უკეთესია ძაღლი რომელიმე საძაღლეს მიჰყიდო, თუ თვითონ პატრონი არ მოაკითხავს...

— შვეიკ, მომშორდით აქედან, გემუდარებით, წადით და დაიძინეთ. თქვენ წისქვილის სარეკელასავით დილამდე შეგიძლიათ ასე ირაკუნოთ.

პორუჩიკიც წავიდა დასაძინებლად, და იმ ღამით მას დაესიზმრა, რომ შვეიკმა ტახტის მემკვიდრეს ცხენი მოპარა და მას, ლუკაშს, მიუყვანა, ტახტის მემკვიდრემ ჯარის დათვალიერებაზე იცნო თავისი ცხენი, როცა იგი, ბედუკულმართი პორუჩიკი ლუკაში, თავისი ასეულის წინ ამ ცხენს დააგელვებდა.

განთიადზე პორუჩიკი თავს ისე საძაგლად გრძნობდა, თითქოს ღამე ღრეობაში გაეტარებინოს და ვიღაცას თავში მაგრად ეცემნოს. ძილში მაჯლაჯუნა აწვა. საშინელი სიზმრებით ღონემიხდილ პორუჩიკს დილით ის-იყო ჩაეძინა, რომ კარებზე კაკუნმა გააღვიძა. კარებში გამოჩნდა შვეიკის უწყინარი სახე და იკითხა, რომელ საათზე გნებავთ გაგაღვიძოთო.

პორუჩიკმა ყრუდ დაიკვნესა:

— გაეთრიე, პირუტყვო! ღმერთო, ამას რას შევესწარი!..

როცა პორუჩიკი ადგა, შვეიკმა საუზმე მიართვა და ახლა ახალი შეკითხვით გააოცა:

— მაქვს პატივი მოგახსენოთ, პანე ობერ-ლეიტენანტ, ხომ არ მიბრძანებდით, თქვენთვის მეორე ძაღლი მეშოვნა?

— იცით, რა გითხრათ, შვეიკ! მე ძალიან დიდი სურვილი მაქვს საველე სასამართლოს გადაგცეთ, — უთხრა პორუჩიკმა და ამოიოხრა. — მაგრამ მოსამართლენი, საუბედუროდ, გაგამართლებენ, რადგან თქვენზე უფრო სულელს ამქვეყნად, სანთლით რომ ეძებონ, ვერ იპოვნიან. ერთი ჩაიხედეთ სარკეში. გული არ გერევათ, როცა თქვენს იდიოტურ სახეს უყურებთ? თქვენ ბუნების გასაოცარი

ოინბაზობის ნაყოფს წარმოადგენთ. თქვენი მსგავსი ჩემს სიცოცხლეში არაფერი შემხვედრია. აბა ერთი გულახდილად მითხარით, შვეიკ: თქვენი თავი მოგწონთ?

— არავითარ შემთხვევაში, პანე ობერ-ლეიტენანტ, სრულებით არ მომწონს. ამ სარკეში კინკრიჟა მგონია ჩემი თავი. აი ჩინელ სტანეკს* გამოდგმული ჰქონდა გამოზნექილი სარკე.* ვინც არ ჩაიხედავდა ამ სარკეში, გული ერეოდა: პირი გახლეჩაზე ჰქონდა, თავი — სარეცხის ვარცლივით და მუცელი — ლუდით გათრიაქებული ხუცესივით — ერთი სიტყვით, ფიგურა იყო თქვენი მოწონებული. ერთხელ ამ სარკეს გენერალ-გუბერნატორმა გვერდი ჩაუარა, შეხედა თავის თავს... და მყისვე აიღეს სარკე ვიტრინიდან.

პორუჩიკმა ზურგი შეაქცია და ამოიხვნეშა, გადაწყვიტა შვეიკისთვის ყური აღარ ეთხოვებინა და ნაღებიანი ყავის სმას შეუდგა.

შვეიკი უკვე სამზარეულოში ფუსფუსებდა და პორუჩიკს შემოესმა მისი სიმღერა:

გრენეიერი * პრაშნა ბრანთან * მიისწრაფის
სასეირნოდ,
ხმალი ელავს, ხოლო მწარედ ქვითინებენ
გოგონები.

და შემდეგ: ჩვენ ვართ ყოჩაღი ჯარისკაცები,
ლამაზთა ტრფობით განატაცები.
მუდამ ბლომად გვაქვს ჯიბეში ფული,
ყველგან გვხვდებიან ჩვენ სიხარულით.

„შენ, ალბათ, ყველგან მხიარულად გრძნობ თავს, შე არამზადა!“ — გაიფიქრა პორუჩიკმა და გადააფურთხა.

კარებში შვეიკის თავი გამოჩნდა.

— მაქვს პატივი მოგახსენოთ, პანე ობერ-ლეიტენანტ, ყაზარმიდან მოგაკითხეს, დაუყოვნებლივ ბატონ პოლკოვნიკთან უნდა გამოცხადდეთ. შიკრიკი აქაა.

და ფამილარულად დასძინა:

— ეს, ალბათ, იმ ძაღლის შესახებაა.

როცა შიკრიკმა, რომელიც დერეფანში ელოდებოდა, დააპირა მოეხსენებინა თავისი მოსვლის მიზანი, პორუჩიკმა ყრუ ხმით თქვა:

— უკვე ვიცი.

და წავიდა, თან შვეიკს საშინელი თვალებით გადახედა.

როცა პორუჩიკი პოლკოვნიკის კაბინეტში შეეიდა, დაინახა, რომ იგი პირქუშად იჯდა სავარძელში.

— ორი წლის წინათ, პორუჩიკ, — უთხრა მან, — თქვენ ითხოვდით ბუდეიოვიცეში დაბანაკებულ ოთხმოცდამეთერთმეტე პოლკში

გადაყვანას. იცით, სად არის ბუდეიოვიცე? ვლტავაზე მდებარეობს, ვლტავაზე და იქ ჩადის ოჰრეე ან რაღაც ამის მსგავსი. ქალაქი დიდია, მე ვიტყოდი — სტუმართმოყვარეც და, თუ არ ვცდები, იქ სანაპიროც არის. იცით, რა არის სანაპირო? სანაპირო — წყლის პირას აგებული ქვის ჯებირია. დიახ. თუმცა ეს საქმეს არ შეეხება. ჩვენ იქ მანევრებს ვატარებდით.

პოლკოვნიკი გაჩუმდა და სამელნეს დააშტერდა, მერე სწრაფად გადავიდა სხვა თემაზე:

— ჩემს ძაღლს თქვენთან მთლად გამოუცვლია ნირი. აღარაფერს ჭამს... აი; ბუზი სამელნეში ჩავარდა. უწესრიგობაა!

„თქვი რაღა, ბოლოს და ბოლოს შე ბებრუხანა!" — გაიფიქრა პორუჩიკმა.

პოლკოვნიკი წამოდგა და კაბინეტში რამდენჯერმე გაიარ-გამოიარა.

— მე დიდხანს ვფიქრობდი, პანე პორუჩიკ, რა ვიღონო თქვენს ჰიმართ, მსგავსი ფაქტები რომ აღარ განმეორდეს, და ამ დროს გამახსენდა, რომ თქვენ სურვილი გქონდათ ოთხმოცდამეთერთმეტე პოლკში გადასულიყავით. მთავარმა შტაბმა ამას წინათ გვაცნობა, რომ ოთხმოცდამეთერთმეტე პოლკი ოფიცერთა დიდ ნაკლებობას განიცდის, რადგან სერბიელებმა მთლად ამოგვიწყვიტესო. პატიოსან სიტყვას გაძლევთ, რომ სამ დღეში თქვენ ბუდეიოვიცეში იქნებით გამწესებული და ოთხმოცდამეთერთმეტე პოლკში ჩაირიცხებით, სადაც სამარშო ბატალიონები ყალიბდება. სამადლობელი არაფერია, თავს ნუ შეიწუხებთ. არმიას ოფიცრები სჭირდება, რომლებიც...

აღარ იცოდა კიდევ რა ეთქვა, საათს დახედა და წამოიძახა:

— ო, უკვე თერთმეტისნახევარია, დროა პოლკის პატაკი მოვისმინო.

ამით დამთავრდა ფრიად სასიამოვნო საუბარი და პორუჩიკს გულზე მოეშვა, როცა კაბინეტიდან გამოვიდა. პორუჩიკი ნებითგანწესებულთა სკოლაში წავიდა და აცნობა, უახლოეს ხანში ფრონტზე მიედივარ და ამის გამო ნეკაზანკაში* გამოსათხოვარ საღამოს ვმართავო.

შინ რომ დაბრუნდა, ლუკაშმა მრავალმნიშვნელოვნად ჰკითხა შვეიკს:

— თქვენთვის ცნობილია თუ არა, შვეიკ, რას წარმოადგენს სამარშო ბატალიონი?

— მაქვს პატივი მოგახსენოთ, პანე ობერ-ლეიტენანტ, სამარშო ბატალიონი — ეს „მარშბატიკაა", სამარშო ასეული კი — „მარშკუმპაჩკაა". ჩვენ ამ სახელებს ყოველთვის ვამოკლებთ ხოლმე.

— მაშ ასე, გიცხადებთ, შვეიკ, — ზეიმურად წარმოთქვა პორუჩიკმა, — მე და თქვენ ერთად წავალთ „მარშბატიაკით“, რაკი ძალიან მოგწონთ ასეთი შემოკლებული სახელი. მაგრამ არ გეგონოთ, რომ ფრონტზე თქვენი სულელური ოინბაზობანი შეგრჩებათ ისე, როგორც აქ. გიხარიათ, არა?

— მაქვს პატივი მოგახსენოთ, პანე ობერ-ლეიტენანტ, დიდად მოხარული ვარ — უპასუხა ყოჩაღმა ჯარისკაცმა შვეიკმა. — რა მშვენიერი რამ იქნება, როცა მე და თქვენ ხელმწიფე-იმპერატორისა და მთელი მისი უაეგუსტოესი ოჯახისთვის გულგანგმირული დავეცემით ბრძოლის ველზე.

ბოლოსიტყვაობა პირველი ნაწილისა „ზურგში“

დავასრულე „ყოჩაღი ჯარისკაცი შვეიკის თავგადასავლის“ პირველი ნაწილი („ზურგში“) და ვაუწყებ მკითხველებს, რომ მალე გამოვა დანარჩენი ორი ნაწილი — „ფრონტზე“ და „ტყვეობაში“. ამ ნაწილებშიც ჯარისკაცებიცა და სამოქალაქოებიც ილაპარაკებენ და იმოქმედებენ ისეთნაირადვე, როგორც ლაპარაკობენ და მოქმედებენ სინამდვილეში.

ცხოვრება — მაღალი წრის საზოგადოებაში თავის დაჭერისა და მიხრა-მოხრის სწავლების სკოლა არ გახლავთ. ყველა ლაპარაკობს ისე, როგორც ემარჯვება. ცერემონიიმეისტერი დოქტორი გუთი* სულ სხვანაირად ლაპარაკობს, ვიდრე სამეკიტნო „უ კალიხას“ პატრონი პალიეეიი. ჩვენი რომანი კი სალონის ფრატუნებისთვის სახელმძღვანელოს როდი წარმოადგენს, რომელიც კეთილშობილთა საზოგადოების წევრებს სიტყვა-პასუხს ასწავლის. ეს წიგნი გარკვეული ეპოქის ისტორიული სურათის ამსახველია.

თუ საჭიროა უხამსი, უხეში გამოთქმის ხმარება, რომელიც სინამდვილეში იყო წარმოთქმული, მე უყოყმანოდ მომყავს ის. გამოთქმის შერბილება, ან მრავალწერტილით მისი შეცვლა ფრიად სულელურ ფარისეველობად მიმაჩნია. ამ უხამს სიტყვებს ხომ.პარლამენტშიც ხმარობენ.

სწორად იყო ოდესღაც ნათქვამი, რომ იმ ადამიანს, რომელსაც ჯანსაღი აღზრდა აქვს მიღებული, შეუძლია ყველაფერი წაიკითხოსო, იმის მსჯავრის დადება, რაც ბუნებრივია, ემარჯვებათ მხოლოდ სულიერად ურცხვ ადამიანებს, მურტლობაში გაწაფულთ, რომლებიც იცავენ რა საზიზღარ ყალბ მორალს, შინაარსს კი არ უყურებენ, ცალკეულ სიტყვებს ესხმიან თავს დორბლმორეულნი.

ამ რამდენიმე წლის წინათ რეცენზია წავიკითხე ერთ მოთხრობაზე. კრიტიკოსი ცოფსა ჰყრიდა იმის გამო, რომ ავტორს თურმე დაუწერია: „მან ცხვირი მოიხოცა და მოიწმინდაო“. ესაო, ყოველგვარ ესთეტიკურსა და ამაღლებულს ეწინააღმდეგება, რასაც ლიტერატურა უნდა აძლევდესო ხალხს“.

ეს მხოლოდ ერთი, და ამავე დროს არც ისეთი თვალსაჩინო მაგალითია იმისა, რანაირი ვირები იბადებიან ამქვეყნად.

ადამიანები, რომელთაც ასეთი მაგარი გამოთქმები ეჩოთირებათ, უბრალოდ რომ ვთქვათ, ლაჩრები არიან, მათ ნამდვილი ცხოვრებისა ეშინიათ, ასეთი გულსუსტი ადამიანები კი უდიდეს ვნებას აყენებენ კულტურასა და საზოგადოებრივ მორალს. მათი სურვილია მთელი ჩეხი ხალხი გადააქციონ წმიდა ალოისის ტიპის სენტიმენტალურ კაცუნებად, პსევდოკულტურის ონანისტებად. ბერი ევსტახი თავის წიგნში გვიამბობს, რომ, როცა წმიდა ალოისს შემოესმა, ერთმა კაცმა ხმაურით როგორ გაუშვა მუცლის ქარი, ტირილი აუვარდა და მხოლოდ ლოცვამ დააშშვიდაო.

ასეთი ტიპები საშინლად გამწყრალნი არიან ადამიანებზე, თვითონ კი საზოგადოებრივ საპირფარეშოებში დადიან კედლებზე უხამსი წარწერების წასაკითხავად.

ჩემს წიგნში გამოვიყენე რამდენიმე მაგარი გამოთქმა და ამით უბრალოდ აღვბეჭდე ის, თუ როგორ ლაპარაკობენ ადამიანები სინამდვილეში.

არ შეიძლება მოვთხოვოთ მიკიტან პალიეეცს, რომ მან ისეთნაირადვე დახვეწილად ილაპარაკოს, როგორც ლაპარაკობენ ქალბატონი ლაუდოვა *, დოქტორი გუთი, ქალბატონი ოლღა ფასტროვა * და მთელი რიგი სხვა პირები, რომლებიც, საშუალება რომ მიეცეთ, სიამოვნებით გადააქცევდნენ მთელი ჩეხოსლოვაკიის რესპუბლიკას დიდ სალონად, სადაც ყველანი ფრაკებსა და თეთრ ხელთათმანებში გამოწყობილნი პარკეტდაგებულ დარბაზებში მედიდურად დადიან, დახვეწილი ენით ლაპარაკობენ და სალონურ გაფაქიზებულ მორალს ნერგავენ, ამ მორალის ზურგს უკან კი სალონის დიდკაცობა საძაგელ და არაბუნებრივ გარყვნილებას ეწევა.

ვსარგებლობ შემთხვევით და გაცნობებთ, რომ მიკიტანი პალიეეცი ცოცხალია. ომის მთელი პერიოდი ციხეში გაატარა და ისეთივე დარჩა, როგორიც იყო იმპერატორ ფრანც იოსების პორტრეტის ირგვლივ ატეხილი ამბის დროს.

როცა ჩემს წიგნში თავისი ამბავი წაიკითხა, მომინახულა, მერე იყიდა ოცი ეგზემპლარი, მგონი მეტიც, და სულ თავის ნაცნობებს ჩამოურიგა, რითაც ხელი შეუწყო ამ წიგნის გავრცელებას.

მას დიდი სიამოვნება მიანიჭა ყოველივე იმან, რაც მასზე დაწერე, როგორც ყველასთვის ცნობილ უკმეხ ადამიანზე.

„მე ვეღარაფერი გამომცვლის, — მითხრა მან. — მთელი ჩემი სიცოცხლე უხეში ვიყავი და ვლაპარაკობდი იმას, რასაც ვფიქრობდი,

შემდეგშიც ასე ვილაპარაკებ. ენას არ ჩავიგდებ მუცელში ვოღაც გაუხედნავი ვირის გულისთვის. ამიერიდან ცნობილი ადამიანი ვარ“.

საკუთარი თავისადმი პატივისცემა მას კიდევ უფრო გაეზარდა. მის დიდებასა და სახელს საფუძველად უდევს რამდენიმე მაგარი გამოთქმა. ამით იგი სავსებით კმაყოფილია. დაეუშვათ, რომ მე ზუსტად და სწორად ავსახე მისი სიტყვა-პასუხის მანერა მხოლოდ იმისათვის, რომ მესაყვედურებინა ასეთი გამოთქმების შეუფერებლობა (რაც, რა თქმა უნდა, აზრადაც არ მქონია), ამით უდავოდ შეურაცყოფას მივაყენებდი ამ წესიერ ადამიანს.

ლაპარაკობს, რაც ენაზე მოადგება და ამით ისე, რომ თვითონაც არ იცის, უბრალოდ და პატიოსნად გამოხატავს ჩეხი ადამიანის პროტესტს ყოველგვარი მლიქვნელობის წინააღმდეგ. უპატივცემლობა იმპერატორისა და ფაქიზი გამოთქმებისადმი მას ძვალსა და რბილში ჰქონდა გამჯდარი.

ოტო კატციც ცოცხალია. იგი ფელდკურატის ნამდვილი პორტრეტია. გადატრიალების შემდეგ მან თავი გაანება თავის საქმიანობას, დასტოვა კათოლიკური ეკლესიის წიაღი და ახლა ჩრდილოეთ ჩეხეთში მუშაობს ბრინჯაოსა და საღებავების ფაბრიკის რწმუნებულად. მან ძალიან გრძელი წერილი მომწერა, რომელშიც მემუქრებოდა, არ გეგონოს ყოველივე ეს შეგარჩინოო. საქმე ისაა, რომ ერთმა გერმანულმა გაზეთმა ჩემი წიგნის ერთი თავის თარგმანი გამოაქვეყნა, რომელშიც ოტო კატცი აღწერილია ისეთად, როგორიც არის სინამდვილეში. მე შევეიარე მასთან, და ყველაფერი შესანიშნავად დამთავრდა. ნაშუალამევის ორმა საათმა რომ მოატანა, იგი უკვე ფეხზე ვეღარ დგებოდა, მაგრამ შეუსვენებლად ქადაგებდა და ბოლოს განაცხადა: „ჰეი, თქვენ, თაბაშირის თავებიანო! მე — ოტო კატცი ვარ, ფელდკურატი!“

ძველი ავსტრიის სახელმწიფო საიდუმლო პოლიციის აგენტის, განსვენებული ბრეტშნაიდერის ტიპის მრავალი ადამიანი ახლაც დაძრწის რესპუბლიკის სხვადასხვა კუთხეში. მათ მეტისმეტად აინტერესებთ, ვინ რას ლაპარაკობს.

არ ვიცი, მოვახერხებ თუ არა ამ წიგნით ჩემი მისწრაფების მიღწევას. ერთხელ გავიგონე, ერთი კაცი როგორ ლანძღავდა მეორეს: „შეეიკივით ბოთე ხარო“, — უკვე ეს ჩემი მიზანდასახულების საწინააღმდეგოს ამტკიცებს. მაგრამ თუ სიტყვა „შეეიკ“ ახალ ლანძღვა-გინებად შეემატება სალანძღავი სიტყვების თაიგულს, მაშინ მხოლოდ ისღა დამრჩენია, რომ დავკმაყოფილდე ჩეხური ენის ასეთი გამდიდრებით.

იაროსლავ ჰაშეკი

ნაწილი მეოთხე

ფერიანერმე

თავი I

შვეიკის ფათერაკი მატარებელში

ჩქარი მატარებლის პრაღა-ჩესკე ბუდეიოვიცეს II კლასის ერთ-ერთ კუპეში სამი მგზავრი იყო: ერთ მხარეს პორუჩიკი ლუკაში იჯდა, მის პირდაპირ — ხანშიშესული, სრულიად მელოტი მამაკაცი და, ბოლოს—შვეიკი, რომელიც მორჩილად იდგა კარებში და მოთმინებით ისმენდა პორუჩიკის თავშეუკავებელ ლანძღვა-გინებას. ლუკაში არ მორიდებია სამოქალაქო ტანსაცმელში გამოწყობილ მელოტ მგზავრს და მთელი გზა შვეიკს უყვიროდა, შე პირუტყვო, შე ასეთო, შე ისეთოო.

ეს ლანძღვა-გინება სულ უბრალო რამით იყო გამოწვეული. საქმე შეეხებოდა ჩემოდნებს, რომლებიც შვეიკს ჰქონდა მიბარებული.

— ჩემოდანი მოგვპარესო! — უყვიროდა შვეიკს პორუჩიკი. — ან კი როგორ მოგიბრუნდა ეგ ენა, შე გაიძვერავ, ამას რომ მეუბნები.

— მაქვს პატივი მოგახსენოთ, პანე ობერ-ლეიტენანტ, — წყნა-

რად უპასუხა შვეიკმა, — ჩემოდანი მართლაც მოგვპარეს. სადგურებზე ყოველთვის დაეხეტება უამრავი ქურდ-ბაცაცა. როგორც ჩანს, რომელიღაც მათგანს უ თ უ ო დ თვალში მოუვიდა თქვენი ჩემოდანი, და მან უ თ უ ო დ დრო იხელთა, როცა ერთი წუთით ჩემოდნებს მოვცილდი, — მინდოდა თქვენთვის მომეხსენებინა, რომ ჩვენი ბარგი სრულ წესრიგში იყო. იმ ვაგბატონს სწორედ ასეთ ხელსაყრელ დროს შეეძლო მოეპარა ჩვენი ჩემოდანი. ისინი სულ იმას უთვალთვალებენ, რომ მსგავსი შემთხვევა ხელიდან არ გაუშვან. ორი წლის წინათ ჩრდილოეთ-დასავლეთ სადგურზე ერთ ქალს საბავშვო ურიკა მოპარეს, რომელშიც საბანში გახვეული პატარა გოგონა იწვა. მაგრამ ქურდები იმდენად კეთილშობილნი აღმოჩნდნენ, რომ გოგონა პოლიციას ჩააბარეს (ეს ჩვენს ქუჩაზე მოხდა) და განაცხადეს, ბავშვი ეზოს ჭიშკართან მიგდებული ვიპოვეთ და მოვიყვანეთო. ამის შემდეგ გაზეთებმა ის საწყალი ქალი უსულგულო დედად მონათლეს, გალანძღეს და გათათხეს.

შვეიკმა, გულდაჯერებულმა, ასე დაასრულა: — სადგურებზე ყოველთვის იპარავდნენ და კვლავაც მოიპარავენ — უამისოდ არ იქნება.

— ღრმად დარწმუნებული ვარ, შვეიკ, — უთხრა პორუჩიკმა, — რომ ცუდად დაასრულებთ თქვენს ცხოვრებას. დღემდე ვერ გამიგია. თავს ისულელებთ, თუ ასე ვირეშმაკად ხართ დაბადებული. რა გექონდა იმ ჩემოდანში?

— თითქმის არაფერი, პანე ობერ-ლეიტენანტ, — უპასუხა შვეიკმა და პორუჩიკის პირდაპირ მჯდომი მგზავრის მოტვლეპილ თავს დააცქერდა, მგზავრი კი თითქოს არავითარ ყურადღებას არ აქცევდა, მის ირგვლივ რა ხდებოდა და „Neue Freie Presses“ *-ს კითხულობდა. — მარტო სარკე წამოვიღეთ თქვენი ოთახიდან და ტანისამოსის საკიდი წინკარიდან, ასე რომ, თითქმის არავითარი ზარალი არ მოგვსვლია, — სარკეცა და საკიდიც ხომ სახლის პატრონს ეკუთვნოდა...

შვეიკმა თვალი მოჰკრა, მუშტით როგორ დაემუქრა პორუჩიკი და ტკბილმოუბრად განაგრძო:

— მაქვს პატივი მოგახსენოთ, პანე ობერ-ლეიტენანტ, მე ხომ წინასწარ არ ვიცოდი, მოიპარავდნენ თუ არა ჩემოდანს, რაც შეეხება სარკესა და საკიდს, სახლის პატრონისთვის ნათქვამი მაქვს, რომ ყველაფერს დავუბრუნებთ, როცა ფრონტიდან ჩამოვალთ. მტრის მიწა-წყალზე სარკეცა და საკიდიც რამდენიც გნებავთ, იმდენია, ასე რომ არც ჩვენ, არც სახლის პატრონი საბოლოოდ არაფერს ვკარგავთ. როგორც კი რომელიმე ქალაქს დავიკავებთ...

— ხმა! კრინტი! — ცივი ხმით დასჭყიალა პორუჩიკმა. — მე თქვენ საველე სასამართლოს გადაგცემთ! დაფიქრდით, როცა რამეზე ლაპარაკობთ, თუ მაგ თავში ჭკუის ნამცეცი მაინც გაგაჩნიათ! თქვენს ადგილზე სხვა ვინმე რომ ყოფილიყო, ათას წელიწადშიც ვერ ჩაიდენდა იმდენ სისულელეს, რაც თქვენ ამ რამდენიმე კვირის განმავლობაში ჩაიდინეთ. ვფიქრობ, ამას თქვენ თვითონაც კარგად ამჩნევთ.

— სწორედ ასეა, პანე ობერ-ლეიტენანტ, რასაკვირველია, ვამჩნევ. მე, როგორც იტყვიან ხოლმე, დაკვირვების უნარი ძალიან განვითარებული მაქვს, ყველაფერს ვამჩნევ, მაგრამ ამ ჩემს უნარს დაგვიანებით ვიშველიებ, როცა უსიამოვნება უკვე მომხდარია. პირდაპირ ბედი არა მწყალობს, იმ ეიღაც ნეკაზანკელ ნეხლებას მსგავსად, რომელიც ტრაქტირ „ჩუბჩი ჰაიში“ დადიოდა. იგი სულ იმაზე ოცნებობდა, როგორმე სათნო ადამიანი გამხდარიყო და ყოველ შაბათს თავიდან იწყებდა ახალ ცხოვრებას, მეორე დღეს კი დამსწრეთ უამბობდა: „გავიღვიძე დილით და რას ვხედავ, ძმებო, თურმე ისევ ნაობახტში გამითევია ღამე“. ბედი სწორედ მაშინ უმუხთლებდა ამ კაცს, როცა მტკიცედ გადაწყვეტდა — აი ახლა შინ წავალ ჩემთვის წყნარად და მშვიდადო. მაგრამ, თქვენც არ მომიკვდეთ, უთუოდ სადმე ან ღობეს გამოამტვრევდა, ან მეეტლეს ცხენს გამოუხსნიდა ეტლიდან, ან კიდევ მოეპრიანებოდა და თავისი ჩიბუხის გასაწმენდად პოლიციელს მუზარადის სამკაულიდან მაშლის ფრთას გამოაძრობდა. ყველაფერი ეს სასოწარკვეთილებაში აგდებდა ნეხლებას, მაგრამ უფრო მეტად ის აწუხებდა, რომ მთელი მისი გვარეულობა ასეთი უღიბლო იყო. ერთხელ ბაბუამისი გზას გაუდგა — ქვეყნიერება უნდა შემოვიაროო...

— შომასვენეთ, შვეიკ, მაგ თქვენი ლათაიებისგან...

— მაქვს პატივი მოგახსენოთ, პანე ობერ-ლეიტენანტ, ყველაფერი ეს, რასაც გიამბობთ, სრული ჭეშმარიტებაა. მაშ ასე, ერთხელ ბაბუამისი გზას გაუდგა — ქვეყნიერება უნდა შემოვიაროო...

— შვეიკ, — განრისხდა პორუჩიკი, — კიდევ ერთხელ გიბრძანებთ, შეწყვიტოთ ლაყბობა. თქვენგან ერთი სიტყვის მოსმენაც არა მსურს. ბუდეიოვიცეში რომ ჩავალთ, ისე როგორ მოვკვდები, თქვენი ჯავრი არ ამოვიყარო. უმალ სატუსაღოში გიკრავთ თავს. იცით თუ არა ეს თქვენ?

— მაქვს პატივი მოგახსენოთ, პანე ობერ-ლეიტენანტ, ეგ მე არ ვიცოდი, — რბილად უპასუხა შვეიკმა. — თქვენ ამის შესახებ არაფერი გითქვამთ.

პორუჩიკმა უნებლიეთ კბილები გააკრაჭუნა, ამოიხვნეშა, ფარაჯის ჯიბიდან „ბოჰემია“ ამოიღო და გერმანიის წყალქვეშა „E“ ნა-

ვის კოლოსალური გამარჯვებებისა და ხმელთაშუა ზღვაში მისი მოქმედების ამბების კითხვას შეუდგა. როცა იგი გერმანელების ახალი გამოგონების შესახებ ცნობის კითხვაზე გადავიდა, — ქალაქების ასაფეთქებლად სპეციალურ ბომბებს თვითმფრინავებიდან ჰყრიან და ეს ბომბები ზედიზედ სამჯერ ფეთქდებიანო, — კითხვა შეაწყვეტინა შვეიკმა, რომელიც თავმოტვლეპილ მგზავრს გამოელაპარაკა:

— მაპატიეთ, ბატონო, პურკრაბეკი ხომ არ ბრძანდებით, ბანკ „სლავიას“ აგენტი?

რაკი მელოტ მგზავრისგან პასუხი ვერ მიიღო, შვეიკი ახლა პორუჩიკს მიუბრუნდა:

— მაქვს პატივი მოგახსენოთ, პანე ობერ-ლეიტენანტ, ერთხელ გაზეთებში წავიკითხე, რომ ნორმალურ ადამიანს თავზე საშუალოდ სამოციდან სამოცდაათი ათასამდე ღერი თმა უნდა ჰქონდეს, შავგვრემანებს ჩვეულებრივ უფრო თხელი თმა აქვთ, ამის მრავალი მაგალითია ცნობილი... ერთი ფერშალი კი, — შეუბრალებლად განაგრძობდა შვეიკი, — კაფე „უ შპირკუში“ ამბობდა, რომ ადამიანს თმა სცვივა დიდი ნერვიული დაძაბულობისგან დაბადების პირველ ექვს კვირაშიო...

ამ დროს მოხდა რაღაც საშინელება. მელოტი მგზავრი წამოხტა და შვეიკს დაუღრიალა:

— Marsch heraus, sie sweinkerl![1]

და ისეთი პანღური ამოჰკრა, რომ ორთავენი დერეფანში გავარდნენ. მერე მელოტი მგზავრი ისევ კუპეში დაბრუნდა და პორუჩიკს თავისი ვინაობა გააცნო, რითაც იგი დიდად გააოცა.

შვეიკი ცოტათი მოტყუვდა: მელოტი მგზავრი არ იყო პან პურკრაბეკი, ბანკ „სლავიას“ აგენტი, იგი მხოლოდ გენერალ-მაიორ ფონ შვარცბურგი გახლდათ. გენერალ-მაიორი გარნიზონების საინსპექციოდ სამოქალაქო ტანსაცმელში გადაცმული დადიოდა და ამჯერად ბუდეიოვიცე ჰქონდა ამოღებული მიზანში.

გენერალ-ინსპექტორებს შორის, რომლებსაც ოდესმე გაუჭაჭანებიათ ქვეყანაზე, შვარცბურგი ყველაზე საშინელი იყო. შეამჩნევდა თუ არა სადმე უწესრიგობას, იგი მაშინვე ასეთ საუბარს გაუმართავდა გარნიზონის უფროსს:

— რევოლვერი გაქვთ?

— მაქვს.

— ძალიან კარგი. ვფიქრობ, მშვენივრად იცით, როგორ უნდა

---

[1] გაეთრიე აქედან, შე ღორო! (გერმ.)

გამოიყენოს ეს იარაღი თქვენ ადგილზე მყოფმა ადამიანმა. ეს გარნიზონი კი არა, ღორების ხროვაა.

და მართლაც, მისი საინსპექციო შემოვლის შემდეგ ხან აქ, ხან იქ ვიღაც უთუოდ სამუდამოდ უნდა გამოთხოვებოდა სიცოცხლეს.

ასეთ შემთხვევაში გენერალი ფონ შვარცბურგი ყოველთვის კმაყოფილებით ადასტურებდა:

— სწორეა! აი ასეთებს შეიძლება ეუწოდოთ ნამდვილი ჯარისკაცი.

თითქოს არასასიამოვნოდაც კი რჩებოდა, თუ მისი რევიზიის შემდეგ ვინმე თავს არ მოიკლავდა. გარდა ამისა, ერთი ახირებული თვისება ჰქონდა — ყოველთვის ცდილობდა რაც შეიძლება ცუდ ადგილას გაემწესებინა ოფიცრები. სულ უბრალო დანაშაული საკმარისი იყო, რომ ოფიცერი თავის გარნიზონს გამოთხოვებოდა და ჩერნოგორიის საზღვარზე გადაბარგებულიყო, ან ჰალიციის მიყრუებულ მხარეში რომელიმე წყალწაღებულ, ლოთობაში ჩამხრჩვალ გარნიზონში ამოეყო თავი.

— პანე პორუჩიკ, — მიმართა გენერალმა, — რომელ სამხედრო სასწავლებელში სწავლობდით?

— პრაღის.

— მაშ ასე, თქვენ სამხედრო სასწავლებელში სწავლობდით და არც კი იცით, რომ ოფიცერი პასუხისმგებელია თავისი ხელქვეითის ყოფაქცევაზე? კარგია! გარდა ამისა, დენშჩიკთან მასლაათობთ ისე, თითქოს თქვენი ახლო მეგობარი იყოს. ეს მთლად უკეთესი! უფრო მეტიც, ნებას აძლევთ მას შეურაცხყოს უფროსები. ჩინებულია! ყოველივე აქედან, მე გამომაქვს ზოგიერთი დასკვნა... რა გვარი ხართ, პანე პორუჩიკ?

— ლუკაში.

— რომელი პოლკიდან?

— მე ვმსახურობდი...

— დიდად გმადლობთ. მე იმას კი არ გეკითხებით, სად მსახურობდით. მე მინდა ვიცოდე, ახლა სად მსახურობთ?

— № 91 ქვეითა პოლკში, ბატონო გენერალ-მაიორო. გადმომიყვანეს...

— გადმოგიყვანეს? ძალიან კარგად მოქცეულან. ურიგო არ იქნებოდა, უახლოეს დროში № 91 პოლკთან ერთად თქვენი თვალით გენახათ ბრძოლის ველი.

— ფრონტზე ჩვენი გაგზავნის გადაწყვეტილება უკვე არის, ბატონო გენერალ-მაიორო.

გენერალ-მაიორმა მთელი ლექცია წაუკითხა ლუკაშს. — ჩემი

დაკვირვებითო, — თქვა მან, — უკანასკნელ დროს ოფიცრები ხელქვეითებს ამხანაგურად ესაუბრებიან, რაც სხვადასხვა დემოკრატიული პრინციპების განვითარებისკენ საშიშ გადახრას წარმოადგენსო. სალდათი შიშის ქვეშ უნდა გყავდეთ, იგი თავისი უფროსის წინაშე შიშისგან უნდა თრთოდეს, სალდათმა ათ ნაბიჯზე უფრო ახლო ვერ უნდა გაბედოს ოფიცერთან მისვლა, მას საკუთარი აზრი არ უნდა გააჩნდეს და საერთოდ ფიქრის უფლებაც არ უნდა მიეცეს. ამაში მდგომარეობს უკანასკნელი წლების ტრაგიკული შეცდომა. ხელქვეითებს წინათ ცეცხლივით ეშინოდათ ოფიცრების, ახლა კი... — გენერალ-მაიორმა ხელი უიმედოდ ჩაიქნია. — ახლა ოფიცრების უმრავლესობას ნებაზე ყავთ მიშვებული თავისი სალდათები, — აი სადამდე მივიდა საქმე.

გენერალ-მაიორმა გაზეთი აიღო და ისევ კითხვას შეუდგა.

ფერდაკარგული პორუჩიკი ლუკაში დერეფანში გავიდა იმ განზრახვით, რომ ერთი მაგრად შეეხურებინა შვეიკ. იგი ფანჯარასთან იდგა ისეთი ნეტარი და კმაყოფილი სახით, თითქოს დედის ძუძუთი დანაყრებული და ტკბილ ძილს მიცემული ოთხი კვირის ბუნჩულა ბავშვი ყოფილიყოს.

პორუჩიკი შეჩერდა და შვეიკს ცარიელ კუპეზე თვალით ანიშნა. მერე თვითონაც შიგ შევიდა და კარი ჩაკეტა.

— შვეიკ, — მიმართა მან ტრაგიკული ხმით, — დადგა დრო, როცა, სულ ცოტა, ორი ისეთი სილა უნდა გაგაწნათ, როგორიც არა კაციშვილს ჯერ არ უგემნია დედამიწის ზურგზე. როგორ გაბედეთ, რომ იმ მელოტ მგზავრს აუხირდით? იცით, იგი ვინ არის? გენერალ-მაიორი ფონ შვარცბურგი ბრძანდება!

შვეიკმა წამებულის სახე მიიღო.

— მაქვს პატივი მოგახსენოთ, პანე ობერ-ლეიტენანტ, ჩემს სიცოცხლეში აზრად არ მომსვლია ვინმეს წყენინება და არც არავითარ გენერალ-მაიორზე არ მქონია წარმოდგენა. ღვთის წინაშე, ძალიან კი გავს პან პურკრაბეკს, ბანკ „სლავიას“ აგენტს. ეს პანი ჩვენს ტრაქტირში დადიოდა და ერთხელ, როცა მაგიდაზე ჩამოეძინა, რომელიღაცა კეთილისმყოფელმა მოტვლეპილ თავზე ქიმიური ფანქრით დააწერა: „ამით ნებას ვაძლევთ ჩვენს თავს შემოგთავაზოთ, თანახმად თანდართული ტარიფისა № III c, ჩვენი სამსახური და დაგეხმაროთ მზითევის მოგროვებასა და სიცოცხლის დაზღვევაში თქვენი წერილშვილის უზრუნველსაყოფად“. მერე ადგნენ და ყველანი წავიდწამოვიდნენ. იმ კაცთან მარტო მე დავრჩი. ჰოდა, მოგეხსენებათ, რა დაწყეველილი ბედისა ვარ. როცა იმ კაცმა გაიღვიძა და სარკეში ჩა-

იხედა, გაბრაზდა; ეპვი ჩემზე მოიტანა, ალბათ, ეს დამაწერდაო და იმანაც მოინდომა, ორი მაგარი სილა გაეწნა ჩემთვის.

სიტყვა „იმანაც“ ისე შესაბრალისად და ისეთი გულამაჩუყებელი სამდურავით მოწყდა შვეიკს ბაგეთაგან, რომ პორუჩიკმა ხელები უმწეოდ დაუშვა.

შვეიკი განაგრძობდა:

— ასეთ უმნიშვნელო შეცდომას სრულებით არ უნდა აეღელვებინა ბატონი გენერალ-მაიორი. წესითა და რიგით, მას სამოცდან სამოცდაათი ათასამდე ღერი ომი უნდა გააჩნდეს. ასე ეწერა იმ სტატიაში, რომლის სათაური იყო: „რა უნდა ჰქონდეს ნორმალურ ადამიანს“. არასდროს აზრად არ მომსვლია, რომ ქვეყანაზე არსებობს ვიღაც ქაჩალი გენერალ-მაიორი. მოხდა, როგორც იტყვიან ხოლმე. საბედისწერო შეცდომა, რაც ყველას შეიძლება მოუვიდეს, თუკი ადამიანის ყოველ ნათქვამს კუდს გამოაბამენ. რამდენიმე წლის წინათ მკერავმა ჰივლმა ერთი ასეთი ამბავი გადმომცა: ერთხელ იგი შტირიიდან *, სადაც მკერავად მუშაობდა, პრაღაში მიემგზავრებოდა ლეობენზე * გავლით და თან მარიბორში * ნაყიდი დაშაშხული ღორის ხორცი მიჰქონდა. იჯდა თურმე იგი მატარებელში და ფიქრობდა — აი მე ერთადერთი ჩეხი ვარ მთელ ამ მგზავრებს შორისო. როცა წმიდა მარიცს გასცდნენ, მკერავმა ამოიღო თავისი შაშხი და ჭამას შეუდგა, ნათალს ნათალზე იღებდა და ილუკმებოდა. მის პირდაპირ ერთი მგზავრი იჯდა, რომელიც მსუნაგ თვალებს არ აშორებდა შაშხს და ნერწყვს ყლაპავდა. მკერავმა ჰივლმა შეამჩნია ეს და თავისთვის ხმამაღლა ჩაილაპარაკა: „შე ქეციანო, ალბათ, შენც სიამოვნებით ჩახეთქავდიო!“ ამაზე იმ კაცმა ჩეხურად უპასუხა! „რა თქმა უნდა, ჩავხეთქავდი, რომ მომცემდეო“. ჰოდა, ასე ორთავემ შესანსლეს მთელი შაშხი, სანამ ჩესკე-ბუდეიოვიცემდე მივიდოდნენ. იმ თანამგზავრის გვარი ვოიტეხ როუსი იყო.

პორუჩიკმა ლუკაშმა შეხედა შვეიკს და კუპედან გავიდა, მაგრამ თავის ადგილზე დაჯდომაც ვერ მოასწრო, რომ უეცრად კარებში შვეიკის გაბადრული სახე გამოჩნდა.

— მაქვს პატივი მოგახსენოთ, პანე ობერ-ლეიტენანტ. ხუთი წუთის შემდეგ ტაბორში ვიქნებით. მატარებელი ხუთ წუთს გაჩერდება. ხომ არ მიბრძანებდით, საუზმისათვის რამე გვეყიდნა? ოდესღაც იქ შეიძლებოდა საკმაოდ კარგი...

პორუჩიკი გველნაკბენივით წამოხტა და შვეიკს დერეფანში ასე უთხრა:

— კიდევ ერთხელ გაფრთხილებთ: რაც უფრო ნაკლებად შემეჩხირებით თვალში, მით უკეთესი იქნება. უბედნიერეს ადამიანად

ჩავთვლიდი თავს, რომ სულაც არ გხედავდეთ, დარწმუნებული უნდა ბრძანდებოდეთ, თქვენს უნახობას ოდნავადაც არ ვინაღვლებდი. მომწყდით თავიდან, დამეკარგეთ, პირუტყვო, ყეყეჩო!

— მესმის, პანე ობერ-ლეიტენანტ!

შვეიკმა სამხედრო სალამი მისცა, ქუსლებზე მხედრულად შემოტრიალდა და ვაგონის ბოლოსკენ წავიდა. იქ კუთხეში გამყოლის ადგილზე დაჯდა და რომელიღაც რკინიგზელს საუბარი გაუბა.

— ნებას მომცემთ, შეგეკითხოთ?...

რკინიგზელმა ზანტად თავი დაუქნია, ეტყობოდა, მაინცადამაინც ლაპარაკის გუნებაზე არ იყო.

— ჩემთან ხშირად სტუმრობდა ერთი ნაცნობი,—დაიწყო შვეიკმა. — შესანიშნავი ყმაწვილი იყო, გვარად ჰოფმანი. ჰოდა, ეს ჰოფმანი მიმტკიცებდა, რომ აი ვაგონის მუხრუჭები სწორედ ხიფათის დროს არ მოქმედებენო; ერთი სიტყვით, სახელური რომ მოსწიოთ, არაფერიც არ იქნებაო. ასეთი რამით, სიმართლე გითხრათ, არა დროს არ დავინტერესებულვარ, მაგრამ რაკი დღეს ჩემი ყურადღება ამ მუხრუჭმა მიიპყრო, მაინტერესებს ვიცოდე, რაშია აქ საქმე, თორემ ხომ შეიძლება ერთ ᲘᲨვენიერ დღეს მოულოდნელად მეც დამჭირდეს.

შვეიკი წამოდგა და რკინიგზელთან ერთად მივიდა მუხრუჭთან, რომელზეც ასეთი წარწერა იყო: „საშიშროების შემთხვევაში"

რკინიგზელმა თავისი თავი მოვალედ ჩათვალა შვეიკისთვის აეხსნა საავარიო აპარატის მთელი მექანიზმი.

— ეს მართალი უთქვამს იმ თქვენ სტუმარს, რომ სახელური უნდა მოსწიოთო, მაგრამ ის კი ტყუილია, რომ არაფერიც არ იქნებაო. მატარებელი აუცილებლად გაჩერდება, რადგან მუხრუჭით ყველა ვაგონი შეერთებულია ორთქლმავალთან.

ამ ლაპარაკში რომ იყვნენ, ორთავეს მუხრუჭის სახელურზე ედო ხელი და კაცმა არ იცის, სახელური როგორ გადმოიწია და მატარებელი გაჩერდა.

ისინი ერთმანეთს აბრალებდნენ — არა შენ და არა შენ მიეცი განგაშის სიგნალიო. შვეიკი ამტკიცებდა, მე ამას, აბა, როგორ ჩავიდენდი, ქუჩის ბიჭი ხომ არ ვარო.

— მე თვითონ მიკვირს, — დინჯად ეუბნებოდა იგი კონდუქტორს, რომელსაც განგაშზე მოერბინა, — ასე უეცრად რად გაჩერდა მატარებელი. მიდიოდა, მიდიოდა და, ერთიც ვნახოთ, უცბად გაჩერდა! ეს ამბავი, მერწმუნეთ, თქვენზე უფრო მეტად მე მაწუხებს.

ვიღაც დარბაისელი მგზავრი რკინიგზელს გამოექომაგა და ამტ-

კიცებდა, ჩემი ყურით გავიგონე, სალდათმა პირველმა როგორ ჩამოაგდო საავარიო მუხრუჭზე ლაპარაკი.

შვეიკი კი თავისაზე იდგა და სულ იმას გაიძახოდა, აბსოლუტურად პატიოსანი ადამიანი ვარ და მატარებლის სვლის შეფერხებაში სრულებით არა ვარ დაინტერესებული, რადგან ფრონტზე მივდივარო.

— სადგურის უფროსი ყველაფერში გაგარკვევთ, — უთხრა კონდუქტორმა, — და ეს ოც კრონად დაგიჯდებათ.

ამასობაში მგზავრები ვაგონებიდან ჩამოსულიყვნენ.

გაისმა ობერ-კონდუქტორის სასტვენის ხმა. რომელიღაც დაფეთებულმა დედაკაცმა რკინიგზის ლიანდაგზე გადაირბინა ჩემოდნით ხელში და მინდორს მიაშურა.

— განა არ ღირს! — სრულიად მშვიდად უპასუხა შვეიკმა. — ოცი კრონი — ეს არც ისე ბევრია. ერთხელ, როცა ჩვენი ხელმწიფე—იმპერატორი ჟიჟკოვეში ჩამოვიდა, ვინმე ფრანტა შნორძა მისი კარეტა გააჩერა: გზა გადაუკრა და შუა ქვაფენილზე ხელმწიფე-იმპერატორის ეტლის წინ მუხლებზე დაეცა. შემდეგ ამ რაიონის პოლიციის კომისარი ტირილით ეუბნებოდა შნორს — რაღა ჩემს რაიონში მოგეხასიათა, შე კაი კაცო, მუხლების მოდრეკა, მეზობელ ქუჩაზე გასულიყავი, რომელიც კომისარ კარუსის რაიონს ეკუთვნის და იქ გამოგეხატა შენი ერთგულქვეშევრდომული გრძნობებიო. მერე ეს შნორი ციხეში ჩასვეს.

შვეიკმა სწორედ იმ დროს მოავლო თვალი ირგვლივ, როცა მის გარშემო თავშეყრილ ხალხს ობერ-კონდუქტორი მიუახლოვდა.

— რაც მოხდა, მოხდა, — თქვა შვეიკმა, — დავიძრათ. მატარებლის დაგვიანებაში კარგი არაფერია. ეს რომ მშვიდობიან დროში მომხდარიყო, კიდევ ჰო, არა უშავდა რა, მაგრამ რაკი ომია, უნდა ვიცოდეთ, რომ ყოველ მატარებელში სამხედრო პირები არიან: გენერალ-მაიორები, ობერ-ლეიტენანტები, მათი დენშჩიკები. ყოველი ასეთი დაგვიანება საბედისწეროა. ნაპოლეონმა ვატერლოოს ბრძოლაში ხუთი წუთი დაიგვიანა და მთელი მისი დიდება გაცამტვერდა.

ამ დროს ხალხში პორუჩიკი ლუკაში შეიჭრა, მას მკვდრის ფერი ედო და ძლივს მხოლოდ ერთი სიტყვა წარმოთქვა:

— შვეიკ!

შვეიკმა სამხედრო სალამი მისცა და უპატაკა:

— მაქვს პატივი მოგახსენოთ, პანე ობერ-ლეიტენანტ, მე ბრალს მდებენ მატარებლის გაჩერებაში. უცნაური პლომბები დაუდევს რკინიგზის უწყებას საავარიო მუხრუჭებზე! უმჯობესია მათ ახლო-

საც არ გაეკაროს ადამიანი, თორემ მთელ ხათაბალაში გაეხვევა, და ოც კრონსაც წააგლეჯენ, როგორც მე ახლა მიპირებენ.

ამ დროს ობერ-კონდუქტორმა სასტვენით სიგნალი მისცა და მატარებელი დაიძრა.

მგზავრები თავთავიანთ კუპეში შეეიდნენ. ლუკაშს ხმა აღარ ამოუღია და თავის ადგილზე დაბრუნდა. შვეიკი, რკინიგზელი და კონდუქტორი მარტონი დარჩნენ.

კონდუქტორმა უბის წიგნაკი ამოიღო და მომხდარ ამბავზე ოქმის წერას შეუდგა. რკინიგზელი მტრულად მისჩერებოდა შვეიკს. შვეიკმა ჰკითხა:

— დიდი ხანია რაც რკინიგზაზე მსახურობთ?

რადგან რკინიგზელმა არაფერი უპასუხა, შვეიკმა უამბო ერთი შემთხვევა, რომელიც თავს გადახდენოდა პრაღის მახლობლად მის ერთ ნაცნობს, ვინმე უჰრჟინეველელ ფრანტიშეკ მლიჩეკს. მაინც, თურმე, რაღაც ეშმაკად, სააკარიო მუხრუჭის სახელური ჩამოსწია და შიშისგან ენა ჩაუვარდა. მეტყველება მხოლოდ ორი კვირის შემდეგ დაუბრუნდა, როცა ერთხელ სტუმრად წავიდა ჰოსტივარში მეგობრისტნე ვანეკთან, იქ ჩხუბში ჩაერია და ისე მაგრად მიბეგვეს, რომ ნაღველა ჩაუქციეს.

— ეს მოხდა, — დაუმატა შვეიკმა, — ათას ცხრაას თორმეტი წლის მაისის თვეში.

რკინიგზელი საპირფარეშოში ჩაიკეტა. შვეიკთან მარტო კონდუქტორი დარჩა, რომელიც არ ეშვებოდა, ოცი კრონი ჯარიმა გადაიხადე, თორემ ტაბორში სადგურის უფროსს გადაგცემო.

— ძალიან კარგი, — უპასუხა შვეიკმა, — განათლებულ ადამიანთან გასაუბრების საწინააღმდეგო არაფერი მაქვს. დიდად მოხარული ვიქნები გავეცნო ტაბორის სადგურის უფროსს.

შვეიკმა გიმნასტურის გულის ჯიბიდან ჩიბუხი ამოიღო, მოუკიდა, პირიდან სალდათური თამბაქოს მხრჩოლავი ბოლი გამოუშვა და განაგრძო:

— ამ რამდენიმე წლის წინათ სადგურ სვიტავას უფროსად მუშაობდა ერთი უსულგულო კაცი, ვინმე პან ვაგნერი. სულ უბრალო რამეზე აუხირდებოდა ხოლმე რომელიმე თავის ხელქვეითს და სადაც კი მისწვდებოდა, გასაქანს არ აძლევდა. ყველაზე მეტად მეისრე იუნგვირტი ყავდა ამოჩემებული და ბოლოს იქამდე მიიყვანა, რომ იმ უბედურმა წყალში თავი დაიხრჩო. მაგრამ, სანამ ამ ტანჯულ ცხოვრებას გამოეთხოვებოდა, იუნგვირტმა წერილი დასწერა სადგურის უფროსის სახელზე: ღამღამობით მოსვენებას არ მოგცემო. ყველაფერს გეფიცებით, არა ვტყუი! ასედაც მოიქცა. აი ზის ღამით სად-

G VÝCHOD

გურის უფროსი ტელეგრაფის აპარატთან და ანაზდად გაისმის ზარი. სადგურის უფროსი ღებულობს ტელეგრამას: „როგორ ცხოვრობ. ძაღლიშვილო? იუნგვირტ“. ასე გრძელდებოდა მთელი ერთი კვირა. სადგურის უფროსი საპასუხოდ ყოველი მიმართულებით უგზავნიდა მოჩვენებას შემდეგი შინაარსის სამსახურებრივ დეპეშას: „მაპატიე, იუნგვირტ“. ერთხელ ღამით აპარატმა ასეთი პასუხი მოუტანა: „ჩამოიხრჩე თავი სემაფორზე ხიდთან. იუნგვირტ“. სადგურის უფროსი დაემორჩილა ამ განაჩენს. მერე ამისათვის მეზობელი სადგურის ტელეგრაფისტი დააპატიმრეს. ხედავთ, ქვეყნიერებაზე რა არ ხდება, ჩვენ კი ამაზე წარმოდგენაც არა გვაქვს.

მატარებელი სადგურ ტაბორს მიადგა. შვეიკმა, ვიდრე კონდუქტორის თანხლებით მატარებლიდან ჩავიდოდა, პორუჩიკ ლუკაშს მოახსენა, როგორც ამას სამხედრო სამსახურის წესი მოითხოვდა:

— მაქვს პატივი მოგახსენოთ, პანე ობერ-ლეიტენანტ, იძულებული ვარ გამოვეცხადო ბატონ სადგურის უფროსს.

პორუჩიკმა ლუკაშმა არაფერი უპასუხა. იგი ეთლად მოეშვა და ყველაფრის ხალისი დაჰკარგა.

„მიმიფურთხებია ყველაფრისთვის, გაურბინა მას თავში, — ამ შვეიკისთვისაც და ამ გენერალ-მაიორისთვისაც, აგერ ჩემს პირდაპირ რომ ზის. ვიჯდომები ასე ჩემთვის გაუნძრეველად, ბუდეიოვიცეში ჩამოვალ მატარებლიდან, გამოვცხადდები ყაზარმაში და პირველ სალაშქრო ასეულთან ერთად ფრონტზე წავალ. ფრონტზე შუბლს მივუშვერ მტრის ტყვიას და გამოვეთხოვები ამ უბადრუკ ქვეყანას, სადაც შვეიკის მსგავსი არამზადები დაეთრევიან“.

მატარებელი რომ დაიძრა, პორუჩიკმა ლუკაშმა ფანჯარაში გაიხედა და ბაქანზე შვეიკი დაინახა, რომელიც სერიოზულ სჯა-ბაასში იყო ჩაბმული სადგურის უფროსთან. შვეიკს გარშემო ხალხი შემოხვეოდა, მათ შორის ბლომად იყვნენ რკინიგზელთა ფორმაში გამოწყობილი ადამიანებიც.

პორუჩიკმა ლუკაშმა ამოიხვნეშა, მაგრამ ეს სინანულის ოხვრა როდი იყო: რაკი დარწმუნდა, რომ შვეიკი ბაქანზე დარჩა, გულს ეფონა, თვით თმაგაცვენილი გენერალ-მაიორიც კი აღარ ეჩვენებოდა ისეთ საძაგელ ურჩხულად.

* * *

მატარებელი უკვე კარგა ხანია ქშენით მიჰქროდა ჩესკე ბუდეიოვიცესკენ. ტაბორის ვაგზლის ბაქანზე კი შვეიკის ირგვლივ თავშეყრილი ხალხი ადგილიდან არ იძვროდა.

შვეიკი თავის უდანაშაულობას ამტკიცებდა და ამაში იმდენად დაარწმუნა დამსწრენი, რომ ვიღაც ქალმა კიდევაც თქვა:

— ისევ საწყალ სალდათს გადაეკიდნენ.

ხალხმა მხარი დაუჭირა ამ აზრს, ერთმა პანმა კი სადგურის უფროსს განუცხადა, — მზად ვარ გადავიხადო შვეიკის ჯარიმა ოცი კრონის რაოდენობით. დარწმუნებული ვარ, ამ სალდათს ბრალი არაფერში მიუძღვისო.

— აბა, ერთი შეხედეთ ამ ადამიანს, — და ხელი შვეიკის უწყინარი სახისკენ გაიშვირა, რომელიც თითქოს მეტყველებდა: „კეთილო ადამიანებო, მერწმუნეთ, უდანაშაულო ვარო!“

მერე მოვიდა ჟანდარმთა ვახმისტრი, ხალხის ჯგუფიდან გამოიყვანა ვიღაც მოქალაქე, დააპატიმრა და წაიყვანა, თან ასე ეუბნებოდა: „მე თქვენ გიჩვენებთ, როგორ უნდა ხალხის წაქეზება. მე თქვენ გიჩვენებთ, როგორ „არ შეიძლება სალდათებს მოვთხოვოთ ავსტრიის გამარჯვებისათვის იბრძოლონ, როცა მათ ასე ეპყრობიანო“.

ბედკრულ მოქალაქეს, რომელიც თურმე „სტარე ბრანი“ უბნის ყასაბი იყო, ისღა დარჩენოდა, რომ თავისი ვინაობა გაემეღავნებინა და თავის სიტყვებზე უარი ეთქვა — „სრულებით არ მინდოდა ასე ვეთქვაო“.

ამასობაში კეთილმა პანმა, რომელსაც შვეიკის უდანაშაულობა სჯეროდა, სადგურის კანცელარიაში მისი ჯარიმა გადაიხადა, მერე მესამე კლასის ბუფეტში წაიყვანა, ლუდზე დაპატიჟა და გაიგო თუ არა, რომ შვეიკის ყველა საბუთი და სამხედრო სარკინიგზო ბილეთი პორუჩიკ ლუკაშთან დარჩა, დიდსულოვნობა გამოიჩინა და კიდევ ხუთი კრონი მისცა ბილეთისა და სხვა ხარჯებისთვის.

გამოთხოვებისას შვეიკს ნდობით უთხრა:

— ჯარისკაცო, თუ ტყვედ მოხვდეთ რუსებთან, მომიკითხეთ სლადეკ ზემანი ზდოლბუნოვეში. აი თქვენ ჩემი გვარი. გამოიჩინეთ კეთილგონიერება და ფრონტზე დიდხანს ნუ დარჩებით.

— დამშვიდებული ბრძანდებოდეთ, — უპასუხა შვეიკმა, — ურიგო როდია უცხო ქვეყნების ნახვა, და ისიც მუქთად.

შვეიკი მარტო დარჩა მაგიდასთან, ლუდს შეექცეოდა და ნელ-ნელა ხარჯავდა კეთილისმყოფელისგან მიღებულ ხუთ კრონს.

ბაქანზე კი ამ დროს ისინი, ვინც სადგურის უფროსთან შვეიკის გაბაასებას არ დასწრებია და მხოლოდ შორიდან დაინახეს თავშეყრილი ხალხი, ერთმანეთს უამბობდნენ — ჯაშუში დაუჭერიათ, რომელიც თურმე ვაგზლის ფოტოსურათებს იღებდაო. მაგრამ ამას უარყოფდა ერთი ქალი და ამბობდა — არავითარი ჯაშუში არ ყოფილა; როგორც ყური მოვკარი, ერთმა დრაგუნმა ქალების საპირფარეშოსთან ოფიცერი დასჩეხა ხმლით; ეს ოფიცერი თურმე ცდი-

ლობდა საპირფარეშოში დრაგუნის სატრფოსთან შეჭრას, რომელიც თავისი მიჯნურის გასაცილებლად მოსულიყო.

ამ ფანტასტიკურ მითქმა-მოთქმებს, რაც დამახასიათებელი იყო ომიანობის დროის ნერვიული ვითარებისათვის, ბოლო მოუღეს ქანდარმებმა, რომლებმაც გარეშე ხალხისგან გასწმინდეს ბაქანი.

შვეიკი განაგრძობდა სმას და გულაჩუყებული თავის პორუჩიკზე ფიქრობდა. „ნეტავ, რა მოუვა, ჩესკე-ბუდეიოვიცეში რომ ჩავა და მთელ მატარებელში თავის დენშჩიკს ველარ იპოვისო?“

სამგზავრო მატარებლის მოსვლის წინ მესამე კლასის რესტორანი სალდათებითა და მოქალაქეებით გაივსო. ჭარბად იყენენ სხვადასხვა პოლკის, საბრძოლო სახეობისა და მრავალნაირი ეროვნების ჯარისკაცები. ომის ქარიშხალმა ყველა ისინი ტაბორის ლაზარეთებში შემორეკა და ახლა ისევ ფრონტზე მიემგზავრებოდნენ. მიდიოდნენ ახალი ჭრილობების, დასახიჩრებისა და დაავადებათა მისაღებად, მიდიოდნენ, რომ სადმე აღმოსავლეთ ჰალიციის პირქუშ ველებზე საფლავის უბრალო ხის ჯვარი მოეპოვებინათ, რომელზეც შემდეგში. ქარსა და წვიმაში დიდხანს იფარფატებს დაჟანგულკოკარდიანი. გამოხუნებული სამხედრო ავსტრიული ქუდი, დროდადრო ამ ქუდზე დასკუპდება დანაღვლიანებული ბებერი ყორანი და მოიგონებს განვლილი წლების არა ერთსა და ორ მაძღარ ღრეობას, როცა აქ მისთვის გაშლილი იყო დახოცილ ადამიანთა გვამებითა და ცხენების ლეშით მადის აღმძვრელი სავსე სუფრა. მოაგონდება, რომ სწორედ ისეთი ქუდის ქვეშ, რომელზეც ახლა ზის, ყველაზე გემრიელი ლუკმა — ადამიანის თვალები იყო.

ამ ჯოჯოხეთური ტანჯვა-წამების ერთ-ერთი კანდიდატი შვეიკს მიუჯდა. ეს იყო ოპერაციის შემდეგ ლაზარეთიდან გამოწერილი, შლამითა და სისხლით დალაქავებულ, ჭუჭყიან სალდათურ ფარაჯაში გამოწყობილი სუსტი აგებულების, ჩამოფხაევებული და დაღვრემილი ჯარისკაცი. მაგიდაზე პატარა ფუთა დადო, საიდანაც ძველი გაცვეთილი ქისა ამოიღო და თავისი აცლა-დიდების დათვლას შეუდგა. მერე შვეიკს შეხედა და ჰკითხა:

— Magyarúl? [1].

— მე ჩეხი ვარ, ამხანაგო, — უპასუხა შვეიკმა, — ხომ არ დალევდი?

— Nem tudom, barátom.[2]

— ეგ არაფერია, ამხანაგო, — უთხრა შვეიკმა და დანაღვლიანე-

---

[1] მადიარი ხარ? (უნგრ.)

[2] ვერ გავიგე, ამხანაგო (უნგრ.)

ბულ ჯარისკაცს თავისი სავსე ტოლჩა მიუჩოჩა. — დალიე, შეგერგოს.

იგი მიხვდა, დალია და მადლობა გადაუხადა:

— Köszönöm szivesen.[1]

მერე ისევ თავისი ფული გადაითვალა და ამოიხვნეშა. შვეიკი მიხვდა, რომ მადიარი სიამოვნებით მოითხოვდა ლუდს, მაგრამ ფული არ ჰყოფნიდა. შვეიკმა მოატანინა მისთვის ერთი ტოლჩა ლუდი. მადიარმა ისევ მადლობა გადაუხადა, იგი ხელების საშუალებით რაღაცას უამბობდა შვეიკს, თან ნატყვიარ მკლავს აჩვენებდა, ბოლოს საერთაშორისო ენაზე დაუმატა:

— ბახ, ბუხ, ბაც!

შვეიკმა თანაგრძნობის ნიშნად თავი დაუქნია, ჯანსუსტმა ჯარისკაცმა კი მარცხენა ხელით იატაკიდან ნახევარ შეტრ სიმაღლეზე აჩვენა, ასწია სამი თითი და ასე აცნობა შვეიკს, სამი წვრილი შვილის პატრონი ვარო.

— Nincs ham, nincs ham,[2] — განაგრძობდა იგი, რითაც უნდოდა ეთქვა, რომ ამ პატარებს ლუკმაპური არა აქვთ შინაო. ცრემლი წასკდა და ჭუჭყიანი სახელოთი ამოიწმინდა თვალები. სახელო გახვრეტილი ჰქონდა ტყვიით, უნგრეთის შეფის სასახელოდ სისხლი რომ დაღვრევინა.

გასაკვირი არაფერია, რომ ამ გართობაში შვეიკის „ხუთიანი“ თანდათან დნებოდა და იგი ნელ-ნელა, მაგრამ უტყუარად იღობავდა ჩესკე ბუდეიოვიცესკენ მიმავალ გზას. ყოველი ტოლჩა ლუდი, რომელსაც ლაზარეთიდან გამოსული მადიარი ჯარისკაცი და შვეიკი შეექცეოდნენ, სულ უფრო და უფრო ამცირებდა სამგზავრო ბილეთის შეძენის შესაძლებლობას.

სადგურს კიდევ ერთმა მატარებელმა ჩაუარა ჩესკე ბუდეიოვიცეს მიმართულებით, შვეიკი კი ისევ მაგიდას უჯდა და უსმენდა, როგორ იმეორებდა უნგრელი:

— ბახ, ბუხ, ბაც! Három gyermek, nincs ham, éljen![3]

ეს უკანასკნელი სიტყვა მადიარმა წამოიძახა, როცა შვეიკის ტოლჩას თავისი ტოლჩა მიუჯახუნა.

— მიდი, შესვი, მადიარების ნაშიერო, ნუ გერიდება, — ეუბნებოდა შვეიკი. — ჩვენიანებს თქვენ განა ასე გაუმასპინძლდებით!

მეზობელი მაგიდიდან ამ სიტყვებზე ერთი ჯარისკაცი გამოეხმა-

---

[1] დიდად გმადლობთ. (უნგრ.).

[2] არაფერი აქვს საჭმელი, არაფერი (უნგრ.).

[3] სამი ბავშვი, მშიერ-მწყურვალი, ვაშა! (უნგრ.).

ურა და თქვა: როცა ფრონტზე მიმავალ'ა ჩვენმა 28-ე პოლკმა სეგედინში გაიარა, მადიარები ქუჩებში ხელებს მაღლა სწევდნენ, სასაცილოდ რომ ავეგდეთო.

ეს სრულ სიმართლეს შეიცავდა. მაგრამ, ეტყობოდა, ჯარისკაცი ამით შეურაცხყოფილი იყო. შემდეგში ეს ჩეხ ჯარისკაცებს შორის ჩვეულებრივ სახუმარო ამბავად იქცა; თვით მადიარებიც მერმის, როცა მათ უნგრეთის მეფის გულისთვის ხოცვა-ჟლეტამ თავი მოაბეზრა, ყოველივე ამას ასევე ხუმრობად თვლიდნენ.

ჯარისკაცი შვეიკის მაგიდაზე გადმოჯდა და უამბო, სეგედინში ჩეხებმა ცხვირ-პირი და გვერდები როგორ დაულილავეს უნგრელებს და რამდენიმე რესტორნიდან კინწისკვრით როგორ გამოყარეს. მაგრამ აქვე აღიარა, რომ უნგრელებსაც ზორბად სცოდნიათ ჩხუბი და ერთხელ ისე მაგრად ჩამცეს დანა ზურგში, რომ ლაზარეთში ამოვყავი თავიო.

ახლა ჩემს ნაწილში ვბრუნდები და ბატალიონის მეთაური, უთუოდ, ჩამსვამს, რადგან მადიარის დანის დარტყმაზე საკადრისი პასუხის გაცემა ვერ მოვასწარი, „სამახსოვრო“ ნიშანი რომ დამედო და ამით საკუთარი პოლკის ღირსება დამეცვაო.

— Jhre Dokumenten,[1] ტკვენი დოკუმენტი? — მიმართა შვეიკ

[1] თქვენი დოკუმენტები (გერმ.).

პატრულის უფროსმა, ფელდფებელმა, რომელსაც ოთხი ხიშტიანი ჯარისკაცი ახლდა.

— მე ტკვენ გიკურე, სულ იჩეკი, nicht fahren [1], იჩეკი, სულ სვი, მარტო სვი, ზოლდატ!

— არა მაქვს დოკუმენტები, გენაცვა, — უპასუხა შვეიკმა. — № 91 პოლკის ბატონმა პორუჩიკმა ლუკაშმა ისინი თან წაიღო, მე კი აქ ვაგზალზე დავრჩი.

— Was ist das Wort [2]: „გენაცვა“? — ჰკითხა ფელდფებელმა გერმანულად ერთ-ერთ თავის მხლებელ ჯარისკაცს, ძველ მოლაშქრეს. ამ უკანასკნელმა, როგორც ჩანდა, განგებ გადაუსხვაფერა თავის ფელდფებელს სიტყვის მნიშვნელობა და მშვიდად უპასუხა:

— „გენაცვა“ — das ist wie: „Herr Feldwebl [3]“.

ფელდფებელი კვლავ შვეიკს მიუბრუნდა:

— დოკუმენტი უნდა ყოველ ზოლდატს. დოკუმენტი არ არის,

---

[1] არ გაემგზავრეთ (გერმ.).

[2] რას ნიშნავს სიტყვა: (გერმ.).

[3] „გენაცვა“ ეს იგივეა რაც „ბატონი ფელდფებელი“ (გერმ.).

დაამწყვდიეთ auf Bahnhofs-Militär kommando den lausigen Bursch, wie einen tollen Hund [1].

შვეიკი წაიყვანეს სადგურის კომენდატურაში. საყარაულოში მას მთელი ოცეული დახვდა. აქ ისეთივე ძველ მოლაშქრეებს შეეყარათ თავი, როგორიც ის ჯარისკაცი იყო, ასე მოხერხებულად რომ გადაუთარგმნა ფელდფებელს, — თავის უფროსსა და დაუძინებელ მტერს, — სიტყვა „გენაცვა“.

საყარაულო ლითოგრაფიებით იყო მორთული, რომლებსაც იმ ხანებში სამხედრო სამინისტრო უგზავნიდა ყველა ყაზარმასა და სამხედრო სასწავლებელს, საერთოდ ყველა დაწესებულებას, სადაც კი თავს იყრიდნენ ჯარისკაცები.

პირველი, რაც ყაზარმაში შესვლისას თვალში მოხვდა ჩვენს ყოჩაღ ჯარისკაც შვეიკს, ეს იყო სურათი, რომელიც, მის ქვემოთ მოთავსებულ წარწერას თუ დავუჯერებდით, გამოსახავდა მისი უდიდებულესობის 21-ე მსროლელთა პოლკის ოცეულის უფროსს ფრანტიშეკ ჰამელს და ათეულის უფროსებს პაულჰარტსა და ბახმაიერს, როცა ისინი ჯარისკაცებს შეუდრეკელი ვაჟკაცობისკენ მოუწოდებდნენ. მეორე კედელზე გაკრული იყო ერთი უხეირო სურათი წარწერით:

ᲐᲝᲜᲕᲘᲔᲜᲘᲡ ᲛᲔ-5 ᲐᲣᲡᲐᲠᲗᲐ ᲞᲝᲚᲙᲘᲡ ᲣᲤᲠᲝᲡᲘ ᲝᲤᲘᲪᲔᲠᲘ ᲘᲐᲜ ᲓᲐᲜᲙᲝ ᲨᲕᲔᲠᲐᲛᲡ ᲛᲢᲠᲘᲡ ᲑᲐᲢᲐᲠᲔᲘᲡ ᲑᲐᲜᲚᲐᲒᲔᲑᲐᲡ“.

ქვემოთ, მარჯვნივ, ეკიდა პლაკატი შემდეგი მრავალმეტყველი წარწერით:

„ᲑᲐᲜᲡᲐᲙᲣᲗᲠᲔᲑᲣᲚᲘ ᲡᲘᲛᲐᲛᲐᲪᲘᲡ ᲛᲐᲒᲐᲚᲘᲗᲔᲑᲘ“.

ჯარში გაწვეული გერმანელი ჟურნალისტები ამ პლაკატებისთვის თხზავდნენ გასაოცარი სიმამაცის მაგალითებით აღსავსე ტექსტებს. ასეთი პლაკატებით ძველი, ხავსმოდებული ავსტრია ცდილობდა ჯარისკაცების გამხნევებას, მაგრამ ჯარისკაცები არაფერს კითხულობდნენ: როცა ფრონტზე მათ ამგვარი სიმამაცის ნიმუშებს ბროშურების სახით უგზავნიდნენ, ისინი ამ ბროშურებს თამბაქოს გასახვევად ან უფრო შესაფერისად გამოიყენებდნენ ხოლმე იმისდა მიხედვით, თუ რა მხატვრული ღირებულებისა იყო ან ჯარისკაცის რა გუნება-განწყობილებას დაემთხვეოდა ეს „სიმამაცის მაგალითები“.

---

1. ...ეს ტილიანი კაცუნა ცოფიანი ძაღლივით სადგურის სამხედრო კომენდატურაში (გერმ.).

სანამ ფელდფებელი ოფიცრის საძებრად დადიოდა, შვეიკმა პლაკატზე წაიკითხა:

„რიბითი მეალალე იოზეფ ბონგი".

სანიტრები მძიმე დაჭრილებს ეზიდებოდნენ სანიტარულ ფორნებისკენ, რომლებიც ერთ მუუდრო ხევში იდგნენ სრულ მზადყოფნაში. როგორც კი რომელიმე ფორანი დაიტვირთებოდა, მძიმე დაჭრილებს სახვევ პუნქტისკენ აგზავნიდნენ. რუსებმა აღმოაჩინეს სანიტარული რაზმის აღალის ადგილსამყოფელი და უმალ ხელყუმბარები დაუშინეს. მისი იმპერატორობის მე-3 სანიტარული ესკადრონის აღალის მზიდავის იოზეფ ბონგის ცხენი მოკლულ იქნა ფეთქადი ყუმბარით. „საბრალო ჩემო ლურჯავ, მოგკლეს განა ამ უღმერთოებმა!" — მწარედ მოსთქვამდა იოზეფ ბონგი. ამ დროს იგიც დაიჭრა ხელყუმბარის ნამსხვრევით. მაგრამ მიუხედავად ამისა, იოზეფ ბონგმა გამოხსნა მოკლული ცხენი და ეეება მძიმე ფორანი მოფარებულ ადგილისკენ გაგორა. მერე დაბრუნდა მოკლულ ცხენის აკაზმულობის წასაღებად. რუსები განაგრძობდნენ სროლას. „ისროლეთ, ისროლეთ, თქვე წყეულებო, სულ ერთია აკაზმულობას არ დაგიტოვებთო!" — და ბუზლუნით განაგრძო აკაზმულობის მოხსნა. ბოლოს, როგორც იქნა, გაბრუნდა უკან და აკაზმულობით ხელში მიაღწია ფორნებს. სანიტრები მიცეიედნენ მას ლანძღა-გინებით, სად წახვედი, სად დაიკარგეო. „არ მინდოდა აკაზმულობა დამეტოვებინა — ის ხომ თითქმის მთლად ახალია. დამენახა, ვიფიქრე, გამოვადგება-მეთქი", — თავს იმართლებდა მამაცი ჯარისკაცი, მერე სახვევ პუნქტში წავიდა. მხოლოდ იქ გაამხილა, რომ დაჭრილი იყო. ცოტა ხანმაც გაიარა და, როტმისტრმა მკერდი დაუმშვენა იოზეფ ბონგს ვერცხლის მედლით „მამაცობისთვის".

შვეიკმა წაიკითხა პლაკატი და რაკი ფელდფებელი ჯერ არ აპირებდა დაბრუნებას, საყარაულოში მყოფ მოლაშქრეებს მიმართა:

— მამაცობის შესანიშნავი მაგალითია! ასე რომ წავიდეს საქმე, არმიაში ყოველთვის ახალი აკაზმულობანი გვექნება. ერთხელ როგორღაც პრაღაში „პრაღის ოფიციალურ გაზეთში" წავიკითხე ამის მაგვარი ამბავი, რომელიც არაფრით ჩამოუვარდება აქ მოთხრობილ შემთხვევას. გაზეთში ლაპარაკი იყო მოხალისე დოქტორ იოზეფ ვოიანზე, რომელიც ჰალიციაში მეშვიდე ეგერთა პოლკში მსახურობდა. როცა საქმე ხიშტით ბრძოლაზე მიდგა, ვოიანს თაეში ტყვია მოხვდა. იმწამსვე სახვევ პუნქტში წაიყვანეს, მაგრამ იქ ერთი ამბავი დააწია, ნებას არ მოგცემთ რაღაც გაკაწრული შემიხვიოთო, და თავის ოცეულთან ერთად ისევ იერიშზე გადავიდა. ამ დროს ყუმბარამ ტერფი მოაგლიჯა; ისევ უნდოდათ წაეყვანათ შესახვევად, მაგრამ მან ხელში ჯოხი დაიჭირა და კოჭლობით გასწია ბრძოლის ხაზისკენ, იმ ჯოხით იქ მტერს დაერია. საიდანღაც ახალი ყუმბარა გამოხტა და ხელი წააწყვიტა, სწორედ ის, რომელშიც ჯოხი ეჭირა! მან აიღო და, ჯოხი მეორე ხელში გადაინაცვლა, თან ყვირილი მორთო: „მე თქვენ ფასად დაგისვამთ ამასო"! ღმერთმა უწყის, ყოველივე ეს რით გათავდებოდა, მისთვის შრაპნელს ბოლო რომ არ მოეღო.

ადვილი შესაძლებელია, მამაცობისთვის ისიც მიიღებდა ჟერ-ცხლის მედალს, მაგრამ შრაპნელმა უდროოდ გაისტუმრა საა-ქიოს. როცა ყუმბარამ თავი წააწყვიტა, ეს თავი მიწაზე ცოტა ხანს კიდევ მიგორავდა და გაჰყვიროდა: „ჯარისკაცო, ისწრაფე შენი მოვალეობა მოიხადო, თუნდაც სიკვდილი დაგტრიალებდეს თავ-საო“.

— აბა, რას არ დაწერენ ხოლმე ამ გაზეთებში, — შენიშნა რო-მელიღაც იქ მყოფმა ჯარისკაცმა. — თვითონ შემთხზველმა, ვინ იცის, ჭკუა დაკარგოს კიდეც, თავისი თვალით რომ ნახოს ყველაფერი ის, რაც აქ ხდება.

მოლაშქრემ გადააფურთხა.

— ჩასლავში რომ ვიდექით, ჩვენს პოლკში ერთი რედაქტორი გვყავდა ვენიდან, გერმანელი. პრაპორშჩიკი იყო. ჩეხურად არ კად-რულობდა ჩვენთან ლაპარაკს. მაგრამ, როცა ფრონტზე მიმავალ სალაშქრო ასეულს მიამგრეს, სადაც სულ ერთთავად ჩეხები იყვნენ, ერთბაშად ჩეხურად ალაპარაკდა.

— კარებში გაგულისებული ფელდფებლის სახე გამოჩნდა:— — Wenn man soll drei Minuten weg, da hört man nichts anderes, als: „ცესკი, ცესი“ [1].

მერე ისევ უკან გაბრუნდა, ალბათ, ბუფეტში თუ წავიდა და მო-ლაშქრე უნტერ-ოფიცერს დაუბარა, ეს ტილიანი გაიძვერა (შვეიკზე მიუთითა) ლეიტენანტთან შეიყვანე, როგორც კი მოვაო.

— ბატონი ლეიტენანტი, ალბათ, ისევ სადგურის ტელეგრაფისტ გოგოს ეკურკურება, — თქვა უნტერ-ოფიცერმა ფელდფებლის წასვლის შემდეგ. — შეუჩნდა იმ გოგოს აგერ ორი კვირა იქნება, ტელეგრაფიდან ყოველდღე დამთხვეულივით ბრუნდება და ამბობს: Das ist aber eine Hure. sie will nicht mit mir schlafen.[2]

ლეიტენანტი ამჯერადაც გაბოროტებული დაბრუნდა, ისმოდა, წიგნებს როგორ ახეთქებდა მაგიდაზე:

— არაფერი გეშველება, ძმაო, მასთან მისვლა მოგიხდება, — უთანაგრძნო შვეიკს უნტერმა. — ბევრ ჯარისკაცს გაუვლია მის ხელში, ხნიერსა და ახალგაზრდას.

უნტერმა კანცელარიაში წაიყვანა შვეიკი. იქ მიყრილ-მოყრილი

---

[1] საკმარისია, სამი წუთით გავიდე, რომ იმწამსვე გაისმის: „ჩეხურად, ჩეხ-ბი“.

[2] აი, ის როსკიპი ისა, ჩემთან დაწოლას კი იმადლება (გერმ.).

ქაღალდებით მოფენილ მაგიდას უჯდა მკაცრი შესახედაობის ახალგაზრდა ლეიტენანტი.

შვეიკი რომ დაინახა უნტერის თანხლებით, ლეიტენანტმა მრავალმნიშვნელოვნად გააგრძელა:

— აჰაა!

უნტერ-ოფიცერმა უპატაკა:

— მაქვს პატივი მოგახსენოთ, პანე ლეიტენანტ, ეს კაცი დაკავებული იქნა სადგურზე, საბუთები არ აღმოაჩნდა.

ლეიტენანტმა ისეთი სახით დააქნია თავი, თითქოს ჯერ კიდევ ამ რამდენიმე წლის წინათ წინასწარ იცოდა, რომ სწორედ ამ დღესა და ამ საათზე სადგურზე დააკავებდნენ შვეიკს, რომელსაც საბუთები არ ექნებოდა.

სხვათა შორის, ყველა, ვინც ამწუთას შვეიკს შეხედავდა, უთუოდ დაასკვნიდა, რომ ასეთი გარეგნობის ადამიანს ყოველად შეუძლებელია რაიმე საბუთი გააჩნდესო. შვეიკს ისეთი სახე ჰქონდა, თითქოს ესაა ციდან ჩამოვარდნილიყოს, ან რომელიღაც სხვა პლანეტიდან, და გულუბრყვილო გაკვირვებით ათვალიერებს ახალ, მისთვის უცნობ ქვეყანას, სადაც რაღაც სულელურ საბუთებს თხოვენ.

ლეიტენანტი შვეიკს დააკვირდა, ერთი წუთით ჩაფიქრდა, რა ვუთხრაო და ბოლოს ჰკითხა:

— ვაგზალზე რას აკეთებდით?

— მაქვს პატივი მოგახსენოთ, პანე ლეიტენანტ, ჩესკე ბუდეიოვიცესკენ მიმავალ მატარებელს ველოდებოდი, ჩემს № 91 პოლკში რომ მოვხვედრილიყავი ობერ-ლეიტენანტ ლუკაშთან, რომლის დენშჩიკი გახლავართ და რომელსაც, ჩემდა უნებურად, იძულებული გავხდი დავშორებოდი, რადგან სადგურის უფროსთან გამგზავნეს ჯარიმის გადასახდელად, — აქაოდა, ჩქარი მატარებელი შენ გაიჩერე საავარიო მუხრუჭის მეშვეობითო.

— თავს ნუ იგდებთ! — უყვირა ლეიტენანტმა. — დალაგებით და მოკლედ ილაპარაკეთ, სისულელეებს ნუ როშავთ!

— მაქვს პატივი მოგახსენოთ, პანე ლეიტენანტ, უკვე იმავე წუთიდან, როცა მე და ბატონი ობერ-ლეიტენანტი ლუკაში ჩქარ მატარებელში ვსხდებოდით, რომელსაც რაც შეიძლება სწრაფად უნდა მივეყვანეთ ჩვენს № 91 ქვეითთა პოლკში, თითქოს ვიღაცამ გზა დაგვიწყეელაო: ჯერ იყო და, ჩემოდანი მოგვპარეს, მერე, — ძალიან მინდა თანამიმდევრობა არ ამერიოს, — ვიღაც პან გენერალ-მაიორი, სულ მთლად პოსლიკა...

— Himmelherrgott! — ამოიოხრა ლეიტენანტმა.

— მაქვს პატივი მოგახსენოთ, პანე ლეიტენანტ, საჭიროა ჩემგან ყველაფერი ისე თანდათანობით გამოდიოდეს, როგორც ძველი გამოხეული დოშაკიდან მატყლი, რათა ნათლად წარმოიდგინოთ, რაც მოხდა; ესე იტყოდა ხოლმე განსვენებული მეჩექმე პეტრლიკი, როცა უბრძანებდა თავის შეგირდს შარვლის ჩახდას, რომ ქამრით მისთვის საჯდომი აეჭრელებინა.

ლეიტენანტი სიბრაზისგან ქშინავდა, შვეიკი კი განაგრძობდა:

— ბატონ ქაჩალ გენერალ-მაიორს რატომღაც არ მოვეწონე, ამიტომ პან ობერ-ლეიტენანტმა ლუკაშმა, რომელსაც მე ვემსახურები, დერეფანში გამისტუმრა. მერე იქ ბრალი დამდვეს, რაზედაც უკვე მოგახსენეთ. სანამ საქმე ირკვეოდა, ბაქანზე მიტოვებული აღმოვჩნდი. მატარებელი წავიდა, ბატონი ობერ-ლეიტენანტი ჩემოდნითა და ყველა თავისი და ჩემი საბუთებით აგრეთვე წავიდა, მე კი დავრჩი უსაბუთოდ, ღვთის ანაბარად მიგდებული.

შვეიკმა ისეთი ნაზი თვალებით შეხედა ლეიტენანტს, რომ იგი დარწმუნდა, ყოველივე ის, რაც ამ ღვთის გლახასგან მოისმინა, სრულ სიმართლეს შეიცავდა.

ლეიტენანტმა ჩამოუთვალა შვეიკს ყველა მატარებელი, რომლებმაც ბუდეიოვიცესკენ გაიარეს ჩქარი მატარებლის შემდეგ და ჰკითხა, ამ მატარებლებს რად ჩამორჩიო.

— მაქვს პატივი მოგახსენოთ, პანე ლეიტენანტ, — უპასუხა შვეიკმა კეთილი ღიმილით, — სანამ შემდეგ მატარებელს ველოდე-

ბოდი, ერთი ამბავი შემემთხვა: დავჯექი ლუდის სასმელად და შევუევი — ერთ ტოლჩას მეორე მოჰყვა, მეორეს — მესამე...

„ასეთი ბოთე ვინმე ჩემს სიცოცხლეში არ მინახავს, — გაიფიქრა ლეიტენანტმა, — ყველაფერში გამოტყდა. რამდენს გაუელია ჩემს ხელში და ყველა ცდილობდა, რითაც კი შეეძლო, თავი დაეძვრინა, არაფერში გამომტყდარიყო. ეს კი გულდამშვიდებით აცხადებს: „ყველა მატარებელს ჩამოვრჩი, რადგან ლუდსა ვსვამდი, ერთ ტოლჩას მეორე მოჰყვა, მეორეს-მესამეო“.

მთელი თავისი მოსაზრებანი მან ერთ წინადადებად შეაჯამა, რომლითაც შვეიკს მიმართა:

— თქვენ, ჩემო კეთილო, დეგენერატი ხართ. იცით, რა არის „დეგენერატი“?

— მაქვს პატივი მოგახსენოთ, ჩვენთან ბოიშტსა და კატერჟინსკის ქუჩების კუთხეში, პანე ლეიტენანტ, ერთი დეგენერატი ცხოვრობდა. მამამისი პოლონელი გრაფი იყო, დედა — ბებია ქალი. დღისით ეს კაცი ქუჩებსა ჰგვიდა, სამეკიტნოში კი საყოველთაოდ ნათქვამი ჰქონდა, გრაფი მიწოდეთ, სხვანაირად მომართვა არ გამიბედოთო.

ლეიტენანტმა გადაწყვიტა, უკეთესი იქნება ამ საქმეს მოერჩეო და კბილებში გამოსცრა:

— აი, რა, დოყლაპიავ, ლენჩო, ახლავე წახვალთ სალაროში, აიღებთ ბილეთს და ბუდეიოვიცეში გაემგზავრებით. თუ კიდევ დაგინახეთ აქ, ისე მოგექცევით, როგორც დეზერტირს. Abtreten!

მაგრამ რადგან შვეიკი ადგილიდან არ იძვროდა და წამდაუწუმ ხელს უღებდა, ლეიტენანტმა უყვირა:

— Marsch hinaus[1], არ გესმით, abtreten! პალანეკ, წაიყვანეთ ეს გამოტვინებული სალაროში და ჩესკე ბუდეიოვიცემდე ბილეთი აუღეთ.

უნტერ-ოფიცერმა პალანეკმა ერთი წუთის შემდეგ ისევ მოირბინა კანცელარიაში. ნახევრად გაღებულ კარებში მის უკან შვეიკი მოჩანდა თავისი თვინიერი სახით.

— კიდევ რა მოხდა?

— მაქვს პატივი მოგახსენოთ, პანე ლეიტენანტ, — იდუმალად ალაპარაკდა უნტერი პალანეკი, — მას გზის ფული არა აქვს, არც მე მაქვს. უბილეთოდ კი არავის მიყავს, რადგან არ მოეპოვება სამხედრო საბუთები იმის შესახებ, რომ პოლკში მიემგზავრება.

---

[1] გაეთრიეთ (გერმ.).

ლეიტენანტს მაინცდამაინც თავი არ უტეხია, რომ სოლომონის სიბრძნით გადაეჭრა ეს საკითხი.

— ადგეს და, ფეხით წავიდეს, — გადაწყვიტა მან. — დაე, პოლკში დაადონ სასჯელი დაგვიანებისთვის. გვეყოფა მისი ამდენი ლოლიავი.

— რა გაეწყობა, ჩემო ძმობილო, — უთხრა პალანეკმა შვეიკს, როცა კანცელარიიდან გავიდა. — გინდა არ გინდა, ბუდეიოვიცემდე ფეხით უნდა იარო. საყარაულოში ერთი პურის ყუა მოიძებნება, საგზლად მოგცემთ.

ნახევარი საათის შემდეგ, შვეიკს შავი ყავა რომ დაალევინეს და გარდა პურის ნატეხისა, სალდათური თამბაქოს ულუფაც უთავაზეს, იგი ტაბორიდან გავიდა და უკუნ ღამეში გზას გაუდგა, თან ძველ სალდათურ სიმღერას ღიღინებდა.

იარომერში მივალთ, მარა —
გინდ გეჯეროს, გინდა არა...

ეშმაკმა დალახვროს, ეს როგორ მოხდა, — ჩვენმა ყოჩაღმა ჯარისკაცმა შვეიკმა, ნაცვლად იმისა, რომ სამხრეთისკენ ბუდეიოვიცეში წასულიყო, თავი დააღირა და დასავლეთისკენ წავიდა.

იგი მიაბიჯებდა თოვლით დაფარულ გზატკეცილზე, მიდიოდა

სუსხსა და ყინვაში, ფარაჯაში გახვეული, ვით მოსკოვის ლაშქრობიდან უკან გამობრუნებული ნაპოლეონის უკანასკნელი გრენადერი. განსხვავება მხოლოდ ის იყო, რომ შვეიკი მხიარულად მიიმღეროდა:

მე წავალ და ვისეირნებ
ამწვანებულ ტყის პირას...

თოვლით დაბურულ ყრუ ტყეში ისე შორს და ისე ძლიერად გაისმოდა ეხო, რომ სოფლებში ძაღლები აყეფდნენ.

როცა შვეიკს სიმღერა მოსწყინდა, გზის პირას ღორღის გროვაზე ჩამოჯდა, ჩიბუხი გააბოლა, დაისვენა და ისევ განაგრძო გზა ბუდეიოვიცეს ანაბაზისის * ფათერაკთა პირისპირ შესახვედრად.

თავი II

შვეიკის გუდეიოკვიცეს ანაბაზისი

ქსენოფონტემ, ანტიკური ეპოქის სარდალმა, გაიარა მთელი მცირე აზია, ღმერთმა იცის, რა ადგილებში არ ყოფილა, და თუმცა გეოგრაფიული რუკა რა იყო, არ იცოდა, უიმისოდ იოლად გადიოდა. ძველი გოტები თავს ესხმოდნენ და აწიოკებდნენ მეზობლებს, მაგრამ ამისთვის ტოპოგრაფიის ცოდნა არ დასჭირვებიათ. დაუღალავად იარო წინ, შეიჭრა უცხო მხარეში, გამუდმებით იტრიალო მტრის გარემოცვაში, რომელიც გითვალთვალებს პირველი ხელსაყრელი შემთხვევისთანავე კისერი მოგიგრიხოს, მაგრამ მაინც სულ წინ იარო, წინ უშიშრად და შეუპოვრად — აი რას ეწოდება ანაბაზისი.

ვისაც მხრებზე თავი ება, — როგორც ქსენოფონტეს და სხვადასხვა ტომების ყაჩაღებს, რომლებიც, კაცმა არ იცის, ევროპაში საიდან მოვიდნენ — კასპიის თუ აზოვის ზღვების ნაპირებიდან, — ისინი პირდაპირ სასწაულებს ახდენდნენ ლაშქრობის დროს.

კეისრის მეთაურობით რომის ლეგიონები ღრმად შეიჭრნენ (ასევე ყოველგვარი რუკების გარეშე) ჩრდილოეთში და გალის ზღვას

მიადგნენ, აქ გადაწყვიტეს, უკან, რომში, სხვა გზით დაებრუნდეთ, რომ კიდევ ერთხელ ეცადოთ ბედიო, და მშვიდობით მიაღწიეს რომს. უთუოდ სწორედ ამ დროიდან ფეხი მოიკიდა თქმამ:

— ყველა გზა რომში მიდისო.

სწორედ ასევე ყველა გზა ჩესკებუდეიოვიცეში მიდის. ყოჩაღი ჯარისკაცი შვეიკი ამაში ღრმად იყო დარწმუნებული, როცა ნაცვლად ბუდეიოვიცეს მიდამოებისა სოფელი მილევსკო დაინახა. და, მიმართულების შეუცვლელად, განაგრძო გზა, ვინაიდან ვერავითარი მილევსკო ხელს ვერ შეუშლიდა ყოჩაღ ჯარისკაცს ბუდეიოვიცეში მისულიყო.

ამრიგად, ცოტა ხნის შემდეგ შვეიკი კვეტოვოს რაიონში აღმოჩნდა, მილევსკოს დასავლეთით. მან უკვე ამოწურა სალდათური სალაშქრო სიმღერების მთელი თავისი მარაგი და, კვეტოვოს რომ უახლოვდებოდა, იძულებული გახდა თავიდან გაემეორებინა თავისი რეპერტუარი:

როცა ომში მიედიოდით რიხითა და მონდომებით,
განშორებით გულმოკლულნი ცრემლებს ღვრიდნენ გოგონები.

კვეტოვოდან ვრიჟესკენ მიმავალ გზაზე, რომელიც განუხრელად დასავლეთისკენ მიემართება, შვეიკს ეკლესიიდან შინ მიმავალი ერთი დედაბერი გამოელაპარაკა:

— გამარჯობა შენი, ჯარისკაცო. საითკენ მიდიხარ?

— მე, დედილო, პოლკში მივდივარ, ბუდეიოვიცეში, ომში მივდივარ.

— ღმერთო ჩემო, თქვენ მხარი შეგცვლიათ, ჯარისკაცო! — შეეშინდა დედაბერს. — ასე რომ იაროთ, თქვენს სიცოცხლეში იქ ვერ მიხვალთ. ეს გზა ვრაჟეზე გაივლის და კლატოვში მიგიყვანს.

— ჩემის აზრით, თუ კაცს თავი აქვს, კლატოვოდანაც მოხვდება ბუდეიოვიცეში, — მოკრძალებით უპასუხა შვეიკმა. — მართალია, შორი გზაა, მეტადრე იმ ადამიანისთვის, რომელსაც პოლკში ეჩქარება და ცოტა არ იყოს შიშობს კიდეც, რომ მიუხედავად მთელი თავისი მონდომებისა, დროზე ვერ მივა ადგილზე და ამის გამო უსიამოვნებანი შეხვდება.

— გვყავდა ჩვენ ერთი ასეთი თავგასული ყმაწვილი, — ამოიხვნეშა ბებიამ. — ტონიჩეკ მაშეკი ჰქვიოდა. ჯარში წასვლამ მოუწია, პლზენში უნდა წასულიყო. ჩემს ძმისწულს ნათესავად ეკუთვნის, დიახ... ჰოდა, წავიდა, მაშასადამე. მაგრამ არ გასულა ერთი კვირაც და უკვე ჟანდარმები დაეძებდნენ. გამოდიოდა, რომ პოლკში არ მისულა. კიდევ ერთი კვირა რომ გავიდა, თვითონ მოვიდა ჩვენთან, უბრალო ტანსაცმელში გამოწყობილი, არასამხედროში. „შვებულე-

ბაში ვარ წამოსულიო“. მამასახლისი ჟანდარმებთან გაიქცა, იმათმა კიდევ აჩვენეს, რას ნიშნავს შვებულება... ახლა წერილიც მივიღეთ მისგან, ფრონტიდან გამოგზავნა, დაჭრილა, ცალი ფეხი დაუკარგავს.

დედაბერი გულშემატკივრად შესცქეროდა თვალებში შვეიკს.

— აი, იმ ტყეში შეაფარეთ ცოტა ხანს თავი, გეთაყვა, დამელოდეთ, კარტოფილის შეჭამანდს მოგიტანთ, სული რომ მოიბრუნოთ და გათბეთ. აქედან ჩვენი ქოხი მოჩანს, სწორედ ამ ტყის უკანაა, მარჯვნივ. ჩვენს სოფელზე არ გირჩევთ გავლას, ჟანდარმები დაგეშილი ძაღლებით დაძრწიან. ამ ტყიდან პირდაპირ მალჩინისკენ წადით. ჩიჟოვოს გვერდი აუარეთ, გეთაყვა, — ჟანდარმები იქ დეზერტირებს მუსრს ავლებენ. იარეთ პირდაპირ ტყით სედლეცისა და ჰორაჟდოვიცისკენ, იქ კარგი ჟანდარმია, სოფელზე ყველას ატარებს, ქაღალდები ხომ გაქვს?

— არა, დედილო.

— მაშინ იქაც ნუ შეივლი, უკეთესია რადომიშლით წახვიდეთ. ოღონდ იცოდეთ, საღამოთი უნდა მოხვდეთ იქ, ჟანდარმები ამ დროს სამიკიტნოში იქნებიან. იქ ქუჩაზე, ფლორიანის* უკან პატარა სახლია, ქვემო ნაწილი ლურჯად აქვს შეღებილი. იკითხეთ სახლის პატრონი მელიხარკა, ჩემი ძმაა. გადაეცით ჩემი მოკითხვა და იგი დაგაყენებთ გზაზე, ბუდეიოვიცეში რომ მოხვდეთ.

შვეიკი ნახევარ საათზე მეტი ელოდა ტყეში. მერე მიუჯდა კარტოფილის შეჭამანდს, რომელიც საწყალმა დედაბერმა ქოთნით მოუტანა, ქოთანი ბალიშში გაეხვია, რომ არ გაცივებულიყო. შვეიკი შეთბა; დედაბერმა ფუთიდან ამოალაგა პურის ყუა, ერთი ნაჭერი ქონი, და ყველაფერი ეს შვეიკს ჩაუდო ჯიბეში, პირჯვარი გადასახა და უთხრა, ბუდეიოვიცეში ორი შვილიშვილი მყავსო. მერე დედაბერმა კიდევ ერთხელ დაწვრილებით გაუმეორა, რა სოფლებზე შეუძლია გაიაროს და რომელ სოფლებს გვერდი უნდა აუაროს; ბოლოს ამოიღო კოფთის ჯიბიდან ერთი კრონი და შვეიკს მისცა, მალჩინში არაყი გადაჰკარი, თორემ რადომიშლამდე დიდი გზა გიძევსო.

დედაბრის რჩევით შვეიკი რადომიშლში წავიდა ჩიჟოვოს გვერდის ავლით, წავიდა აღმოსავლეთით. დარწმუნებული იყო, რომ ბუდეიოვიცეში, სულ ერთია, მოვხვდები, ქვეყნის რომელი მხრიდანაც არ უნდა წავიდეო.

მალჩინიდან ერთი შოხუცი გარმონისტი აეკიდა თანამგზავრად; შვეიკი მას სამიკიტნოში წააწყდა, სადაც არაყის გადასაკრავად შეიარა, ვიდრე რადომიშლის შორი გზას დაადგებოდა.

გარმონისტს იგი დეზერტირი ეგონა და ურჩია, ჩემთან ერთად

პორაკდოევიცეში წამოდიო: იქ ჩემი ქალიშვილი ცხოვრობს, რომლის ქმარიც დეზერტირიაო.

სჩანდა გარმონისტს, მილჩინში ზორბად გადაეყლურწა.

— თავის ქმარს ჩემი ქალიშვილი აგერ მეორე თვეა ბოსელში მალავს და შენც იქ დაგმალავს, — არწმუნებდა იგი შვეიკს. — ისხედით იქ, სანამ ომი გათავდებოდეს. ორნი იქნებით, აღარ მოგწყინდებათ.

მაგრამ, როცა შვეიკმა ზრდილობიანად უარი უთხრა გარმონისტს მის წინადადებაზე, იგი გაბრაზდა და მარცხნივ გაუხვია, მინდორზე გადავიდა, თან დაემუქრა შვეიკს, ჩიკოვოში წავალ და ჟანდარმებთან დაგაბეზღებო.

საღამოთი შვეიკმა რადომიშლს მიაღწია. ქვედა ქუჩაზე ფლორიანის უკან იპოვა სახლის პატრონი მელიხარკა. შვეიკმა გადასცა დის მოკითხვა, მაგრამ ეს მოკითხვა მის გულს არ მიჰკარებია. შვეიკს ჩააცივდა, დოკუმენტები სადა გაქვსო. იგი აშკარად წინასწარშეგონებული ადამიანი იყო. ენაზე ეკერა ყაჩაღები, მაწანწალები და ქურდები, — რომლებიც მთელს პისეკის მხარეში დაეხეტებიანო.

— სამხედრო სამსახურიდან გარბიან. ომიანობა არ მოსწონთ, და აი დაყიალობენ მთელს მხარეში. თუ რამე უპატრონოდ დაინახეს — უსათუოდ ხელს წამოკრავენ, — ამბობდა მელიხარკა და შვეიკს

თვალებში მისჩერებოდა. — თვითეული მათგანი ისე მოგაჩვენებთ თავს, თითქოს აბრაამის ბატკანი იყოს... სიმართლე თვალს სჩხვლეტსო, — დაუმატა მან, როცა დაინახა, რომ შვეიკი წამოდგა წასასვლელად.—ადამიანს სინდისის ქენჯნა რომ არ აწუხებდეს, არ ადგებოდა და წასვლას არ დააპირებდა, იჯდებოდა მშვიდად თავის ადგილზე და დოკუმენტებს გვაჩვენებდა. მაგრამ დოკუმენტები თუ არა აქვს...

— კარგად იყავი, ბაბუა...

— კარგად იყავი. წადი ახლა და, ისეთი ვინმე მონახე, ადვილად რომ მოატყუო...

და კიდევ დიდხანს, როცა შვეიკი უკვე ბნელ ღამეში უგზო-უკვლოდ მიაბიჯებდა, მოხუცი განაგრძობდა ბუზღუნს:

— ამას არ უყურებთ, ბუდეიოვიცეში მივდივარ, პოლკშიო. ტაბორიდან ბუდეიოვიცეში მიდის, ამისთვის, ამ თვალდათვალ მატყუარას დასჭირდა ჯერ ჰორაჟდოვეიცეში შეელა, აქედან კი პისეკში ჩასვლა. ეს ხომ იგივეა, კაცმა მთელ დედამიწას ირგვლივ შემოუარ-ოს.

შვეიკი მთელი ღამე მიდიოდა და მხოლოდ პუტიმაოთან წააწყდა მინდორში თივის ზვინს. ის-იყო თივაში უნდა მოკალათებულიყო, რომ ამ დროს ზემოდან შემოესმა ხმა:

— რომელი პოლკისა ხარ? საით მიდიხარ?

— ოთხმოცდამეთერთმეტესი, მივდივარ ბუდეიოვიცეში.

— იქ ვინ დაგრჩენია?

— იქ ჩემი ობერ-ლეიტენანტია.

გაისმა სიცილი. მაგრამ ერთი კი არ იცინოდა — სამნი იცინოდნენ.

როცა სიცილი მიწყნარდა, შვეიკმა იკითხა, რომელი პოლკიდან ხართო. აღმოჩნდა, რომ ორნი ოცდამეხუთმეტე პოლკიდან იყვნენ, ერთი კი, არტილერისტი, ბუდეიოვიცედან იყო. ოცდამეხუთმეტე პოლკის ბიჭები გამოქცეულიყვნენ ამ ერთი თვის წინათ სამარშო ბატალიონიდან ფრონტზე გაგზავნის დღეს, არტილერისტი კი მობილიზაციის დღიდანვე იყო გამოქცეული. იგი პუტიმელი გლეხი იყო, და ზვინი მას ეკუთვნოდა. ღამეს ყოველთვის აქ ატარებდა, გუშინ ეს ორნი იპოვა ტყეში და თავის საფარში წამოიყვანა.

მათი ანგარიშით, ომი ერთ-ორ თვეში დამთავრდებოდა. ისინი დარწმუნებული იყვნენ, რომ რუსებმა უკვე ბუდაპეშტზე გაიარეს და ახლა მორავიას იკავებენ. პუტიმაში ყველა ამაზე ლაპარაკობდა. ხვალ დილით, ალიონზე, არტილერისტის დედა საჭმელს მოიტანს, მერე ოცდამეხუთმეტე პოლკის ბიჭები სტრაკონიცეში წავლენ, იქ ერთი მათგანის ბიცოლა ცხოვრობს, ამ ბიცოლას ნაცნობი ყავს სუშიცეს გადაღმა მთებში, ამ ნაცნობს კი ხე-ტყის სახერხი აქვს, სადაც შეიძლება დამალვა.

— ჰეი შენ, ოთხმოცდამეთერთმეტედან, თუ გინდა, ჩვენთან წამოდი,—შესთავაზეს ბიჭებმა შვეიკს. — მოდი, შეაფურთხე ეშმაკს, იმ შენს ობერ-ლეიტენანტსაც, და წამოდი.

— არა, ეს ასე უბრალოდ არ ხდება, — უპასუხა შვეიკმა, და თივაში გაეხვია.

როცა დილით გაიღვიძა, უკვე აღარავინ იყო. რომელიღაცას (უთუოდ, არტილერისტს) შვეიკის ფეხებთან პურის ნატეხი დაედო.

შვეიკი ტყე-ტყე გაუდგა გზას. შტეკნას მახლობლად ერთ ბებერ მაწანწალას შეხვდა, რომელიც ძველი მეგობარივით მიესალმა მას და ერთი ყლუპი არაყი გადააკვრევინა.

— ამ ტანისამოსით რად დადიხარ. შენმა სამხედრო ფორმამ ხიფათში კი არ ჩაგაგდოს, — არიგებდა მაწანწალა შვეიკს. — ახლა ყველგან ჟანდარმები დაწანწალებენ და ასე სიარული არ გარგებს. ჟანდარმები ჩვენ აღარ გვერჩიან, ახლა თქვენზე მიიტანეს იერიში, დეზერტირებს ეძებენ და იჭერენ. მარტო თქვენ გიჭერენ, — გაიმეორა მან ისეთი რწმენით, რომ შვეიკმა გადაწყვიტა, უკეთესი იქნება სულაც არ ვახსენო ოთხმოცდამეთერთმეტე პოლკი. რაც უნდა, ის იფიქროს ამ ბერიკაცმა ჩემზეო. რად დაურღვიო ილუზია ამ კარგ მოხუცსო?

— საით გაქვს ახლა გეზი აღებული? — შეეკითხა მაწანწალა ცოტა ხნის შემდეგ, როცა ორთავემ ჩიბუხი გააბოლა და აუჩქარებლად სოფლის გვერდით მიმავალ გზას გაუყვნენ.

— ბუდეიოვიცესკენ.

— ღვთისმშობელო მარიამ! — შეეშინდა მათხოვარს. — იქ შენ ერთ წუთში აგაორთქლებენ. სულის მოთქმასაც ვერ მოასწრებ ისე. სამოქალაქო ტანსაცმელია შენთვის საჭირო, და რაც შეიძლება, გაცვეთილი. დაგჭირდება, კოჭლ ხეიბარად გადაიქცე... ნუ შეშინდები; წავიდეთ სტრაკონიცეთი, ვოლინით და დუბით, და ხელს ვერავინ შეგვიშლის სამოქალაქო ტანსაცმლის შოვნაში, სტრაკონიცეში ჯერ ისევ ბლომად არიან პატიოსანი ბრიყვები, რომლებიც, ზოგჯერ, ღამით კარებს არ კეტავენ, დღისით კი იქ საერთოდ არაფერი იკეტება. რომელიმე მათგანი გადავა მეზობელთან ენის მოსაქავებლად — და აი სამოქალაქო ტანსაცმელიც შენს ხელშია. მერედა, განა ბევრი რამ გჭირდება? ჩექმები გაქვს... წამოსასხამი რომ გაშოვნინა. შენი ფარაჯა ძველია?

— ძველია.

— მაშინ შეგიძლია დაიტოვო. სოფლელებს ჩვეულებრივ ფარაჯები აცვიათ. დაგჭირდება შარვალი და პიჯაკი. როცა სამოქალაქოს ვიშოვნით, შენი შარვალი და გიმნასტერა შეიძლება მივყიდოთ

ებრაელ გერმანს ვოდნიანში. იგი სახაზინო ნივთებს ყიდულობს, მერე სოფელ-სოფელ დადის და ჰყიდის. დღეს სტრაკონიცეში წავალთ. აქედან ოთხი საათის სავალი გზაა ძველი შვარცენბერგის ფარეხამდე, — ავითარებდა მაწანწალა თავის გეგმას.—იქ ნაცნობი მოხუცი მწყემსი მყავს. ღამეს მასთან გავათევთ, დილით კი დავიძვრებით სტრაკონიცესკენ და იქ სადმე ავწაპნით სამოქალაქო ტანსაცმელს.

ფარეხში შვეიკი გაეცნო სიმპათიურ ბერიკაცს, რომელსაც ჯერ კიდევ ახსოვდა საფრანგეთის ლაშქრობათა ამბები, რომელნიც თავისი პაპისგან ჰქონდა მოსმენილი. მწყემსი ოცი წლით უფროსი იყო ბებერ მაწანწალაზე, ამიტომ მას, და მასთან ერთად შვეიკსაც, „ყმაწვილოს“ უწოდებდა.

— ჰოდა ასე, ყმაწვილებო, — დაიწყო მოხუცმა მწყემსმა მოყოლა, როცა ყველანი ღუმელს შემოუსხდნენ, სადაც კარტოფილი იხარშებოდა. — იმ ხანებში პაპაჩემი, ამ შენი სალდათივით, დეზერტირად იყო გავარდნილი. მაგრამ ვოდნიანში ხელი სტაცეს და ისე მაგრად გაჯოხეს, რომ საჯდომზე სულ ტყავი ააძვრეს. იგი კიდევ კარგად გადარჩა. აი, იარეშის ვაჟიშვილი კი, მოხუცი იარეშის პაპა, პროტივინესთან მდებარე რაჟიცის თევზის ჭყორვილის დარაჯად რომ იყო პისეკში, დახვრიტეს გაქცევისთვის, დახვრეტის წინ კი მწყობრში გაატარეს და ექვსასი დარტყმა აგემეს ჯოხებით, ასე რომ სიკვდილი მისთვის პირდაპირ შვებაც იყო და ცოდვის მონანიებაც. შენ როდის გამოიქეცი? — მიმართა თვალებზე ცრემლმომდგარმა მწყემსმა შვეიკს.

— მობილიზაციის შემდეგ, როცა ყაზარმაში წაგვიყვანეს, — უპასუხა შვეიკმა, რომელსაც კარგად ესმოდა, რომ არ შეიძლებოდა მუნდირის ღირსების დაქვეითება მოხუცი მწყემსის თვალში.

— კედელზე გადაძვერი, არა? — ცნობისმოყვარეობით შეეკითხა მწყემსი, რომელსაც უთუოდ გაახსენდა თავისი პაპის ნაამბობი, თუ როგორ გადაძვრა იგი ყაზარმიდან კედელზე.

— სხვანაირად არ შეიძლებოდა, ჩემო ბაბუა.

— ძლიერი ყარაული იყო, არა? ალბათ, გესროლეს კიდეც?

— მესროლეს, ჩემო ბაბუა.

— ახლა საით მიდიხარ?

— ჭკუა-გონება მთლად აბნეული აქვს! გინდა თუ არა, ბუდეიოვიცეში უნდა წავიდეო, — უპასუხა შვეიკის მაგივრად მაწანწალამ. — ცხადია, ახალგაზრდა კაცია, ჭკუა არ ეკითხება, მგელს პირდაპირ ხახაში უვარდება. ხელი უნდა მოვკიდო მაგის ჭკუის სწავლებას. ავწაპნით სადმე ტანისამოსს და მერე ყველაფერი მოგვარდება!

გაზაფხულამდე როგორმე იოლად წავალთ ამ წანწალში, გაზაფხულზე კი გლეხებთან რაიმე სამუშაოს ვიშოვით. ახლა მუშახელი ძალიან ჭირს. შიმშილობაა. ყველა მაწანწალას, ამბობენ, მინდვრის სამუშაოებზე გარეკავენო. უკეთესი იქნება ამიტომ ჩვენი ნებით წავიდეთ. ხალხი, ამბობენ, ძალიან შემცირდებაო. ყველას ამოხოცავენო.

— შენი ფიქრით, წელს არ დამთავრდება? — ჰკითხა მწყემსმა. — შენ, უმაწვილო, მართალი ხარ, გრძელი ომები წინათაც ყოფილა. ნაპოლეონის, მერე, გადმოცემით ვიცი, შვედების ომი, შვიდწლიანი. თვითონ ხალხმა დაიმსახურა ეს ომები. ახია მის თავზე: უფალ ღმერთს მეტი აღარ შეეძლო ეცქირნა, როგორ გაამპარტავდნენ ადამიანები. უკვე ცხვრის ხორცს აღარ კადრულობენ, არ გვინდა, მაგას როგორ ვჭამთო! წინათ ერთიმეორეზე მორბოდნენ ჩემთან, ცხვრის ხორცი ჩუმ-ჩუმად რომ მიმეყიდნა, ამ უკანასკნელ წლებს კი რაღაც ეშმაკი შეუჯდათ თავში — ღორის ხორცი ან ფრინველი მოიტაო, ისიც კარაქზე ან ქონზე მოხრაკულები, და აი, უფალი ჩვენი განარისხა ადამიანთა ამ უზომო ყოყოჩობამ. აი ისევ თათაბოს მხალს რომ დაუწყებენ ხარშვას, როგორც ნაპოლეონის ომების დროს იყო, მაშინ მოვლენ ჭკუაზე. ჩვენი ბატონები კი — ისინი ხომ კანში ვეღარ ეტევიან. მოხუცი თავადი შვარცენბერგი მხოლოდ შარაბანით დაბრძანდებოდა, ახალგაზრდა თავადმა კი, იმ ცინგლიანმა, თავისი ავტომობილით ირგვლივ ყველაფერი ააქოთა. დაგვაცა, უფალი ღმერთი ამოგივსებს მაგ დრუნჩს ბენზინით.

ქოთანში კარტოფილი იხარშებოდა, წყალი თუხთუხებდა. მოხუცი მწყემსი ცოტა ხანს სდუმდა, მერე წინასწარმეტყველურად წარმოთქვა:

— ვერ მოიგებს ჩვენი ხელმწიფე-იმპერატორი ამ ომს. ხალხს რა მეომრული სულისკვეთება უნდა გაეჩნდეს, როცა მეფე არც კი დაგვირგვინებულა, როგორც სტრაკონიცელი მასწავლებელი ამბობს. დაე, ახლა თვალები აუხვიოს, ვისაც მოუხერხებს. ფუი, შე მუდრეგო, შენა, დაგვპირდი დაეგვირგვინდებიო *, შეასრულე, რაღა, შენი სიტყვა!

— იქნებ ახლა მაინც როგორმე მოახერხმიკოს ეგ საქმე? — შენიშნა მაწანწალამ.

— ახლა, უმაწვილო, გვიანღაა, — გაცხარდა მწყემსი, — ერთი შეხედე გლეხებს, ქვემოთ სკოჩიცეში თავს რომ მოიყრიან ხოლმე. ყოველ მათგანს ვიღაცა მაინც ყავს ომში. ერთი მოგასმენინა, რას ლაპარაკობენ! ომის შემდეგ თავისუფლება იქნებაო, აღარ იქნება არც მეფის სასახლეები, არც თვით იმპერატორებიო, თავადებს

ადგილ-მამულს ჩამოართმევენო. ასეთი ლაპარაკისთვის უკვე ერთ ვიღაც კორეანკას ჟანდარმებმა ხელი მოუსვეს: ნუ აქეზებ ხალხსაო. რა გვეთქმის! ახლა ჟანდარმები თავის ნებაზე იქცევიან.

— წინათაც ასე იყო, — თქვა მაწანწალამ. — მახსოვს, კლადნოში ჟანდარმთა როტმისტრი იყო ვინმე როტერი. ერთხელ წამოუარა და შეუდგა, რა ჰქვია იმათ, ჰო, საპოლიციო ძაღლების მოშენებას, მგლის ჯიშისა, რომლებიც ყველაფერს მიაკვლევენ, როცა მათ დაგეშაავენ. აუარებელი ჰყავდა ამ კლადნოელ როტმისტრს ეს დაგეშილი ძაღლები. სპეციალურად ძაღლებისთვის სახლი ჰქონდა აგებული; ცხოვრობდნენ იქ ეს ძაღლები თავადიშვილებივით. ამ როტმისტრმა გადაწყვიტა, მოდი ერთი ჩემს ძაღლებს მაწანწალებზე დავეგეშავო. აიღო და, ბრძანება გასცა, ყველგან, მთელ კლადნოს მხარეში ჟანდარმებმა შეიპყრონ მაწანწალები და პირდაპირ ჩემთან მორეკონო. როგორც ეს გავიგე, ლანიდან მოვკურცხლე, რაც შეიძლება ღრმად შევიჭერი ტყის სიღრმეში, მაგრამ თქვენც არ მომიკვდეთ! ჭალისკენ მქონდა გეზი აღებული, და სანამ იქ მივიდოდი, წამავლეს ხელი და ბატონ როტმისტრს მიმგვარეს. ჩემო კეთილებო! ვერ წარმოიდგენთ, რა წვალება ვნახე იმ ძაღლებისგან! ჯერ იყო და, ძაღლები შემომახვიეს და ყველამ დამყნოსა, მერე მიბრძანეს, კიბეზე აძვერიო და, როცა უკვე თითქმის ზედა საფეხურს მივაღწიე, მოუშვეს ჩემზე ერთი მხეცი. იმ საძაგელმა თვალის დახამხამებაზე კიბიდან ქვემოთ ჩამომათრია, მერე თავზე დამადგა, ზედ ცხვირზე დამადო თავისი დრუნჩი და დამიწყო ღრენა და კბილების კრეჭა. მერე ის საზიზღარი მომაცილეს, მე კი მითხრეს, დაიმალე, სადაც გინდა, იქ წადიო. წავედი კაჩაკას ხეობისკენ, ტყეში, და ხეეში დავიმალე. ნახევარ საათსაც არ გაუელია, მგელზე მონადირე ორმა ნაგაზმა მოირბინა, წამაქციეს მიწაზე, და სანამ ერთს წაყრონჭილი ვყავდი, მეორე კლადნოში გაიქცა. ერთი საათის შემდეგ მოვიდა თვით პანი როტმისტრი ჟანდარმების თანხლებით, მომაშორა ძაღლი, მე ხუთიანი მომცა და ნება დამრთო ორი დღე მემათხოვრა კლადნოს მიდამოებში. მაგრამ რის მათხოვრობა, რა მათხოვრობა! მოვუსვი პირდაპირ ბეროუნკოვის რაიონისკენ თითქოს ფეხქვეშ მიწა მეწვოდა, და კლადნოს აღარც მივკარებივარ. მთელი ჩემი ამფსონები ამ ადგილებს გვერდს უქცევდნენ, რადგან როტმისტრი ყველაზე აწარმოებდა თავის ცდებს... გაგაჟეებით უყვარდა იმ ოჯახჭორს თავისი ძაღლები! ჟანდარმთა განყოფილებებში ამბობდნენ, რომ როტმისტრს რევიზიის დროს თუ სადმე მგელზე მონადირე ძაღლს წააწყდებოდა, სიხარულისგან რე-

ვიზია ავიწყდებოდა და მთელი დღე ვახმისტრთან ერთად არაყს ულურწავდა.

სანამ მწყემსი კარტოფილს წყლიდან იღებდა და საერთო ჯამში მაწონს ასხამდა, რომელიც ცხვრის რძიდან იყო შედედებული. მაწანწალა განაგრძობდა ჟანდარმთა თავგასულობის შემთხვევების გახსენებას.

— ლიპნიცეში* ჟანდარმთა ვახმისტრი ზედ სასახლესთან ცხოვრობდა, ბინა შიგ ჟანდარმთა ეანყოფილებაში ჰქონდა გაჩენილი. მე კი, გამოჩურჩუტებულს, მეგონა, რომ ჟანდარმთა განყოფილება ყოველთვის ღია ადგილზე უნდა იყოს-მეთქი მოთავსებული და არავითარ შემთხვევაში რომელიმე ყრუ შესახვევში. ერთხელ გარეუბანში ჩამოვუარე სახლებს. აბრებს არ ვუყურებდი. სახლიდან სახლში გადავდიოდი. ბოლოს, ერთი სახლის კარი შევაღე მეორე სართულზე და ვაცნობე ჩემი მისვლა: „ღვთის გულისათვის მიწყალობეთ საბრალო მწირს...“ ღმერთო ჩემო, ამას რას ვხედავ! მუხლი მომეკვეთა და კინაღამ იქვე ჩავიკეცე. თურმე ჟანდარმთა განყოფილებაში არ შევრგავი თავი! კედლების გასწვრივ შაშხანებია ჩამწკრივებული, მაგიდაზე ჯვარცმა დგას, შკაფზე რეესტრებია, მაგიდის ზემოთ ხელმწიფე-იმპერატორია და პირდაპირ მე მომშტერებია. კრინტის დაძვრა ვერ მოვასწარი, მომვარდა ვახმისტრი და ერთი ისეთი მთხლიშა სიფათში, რომ კიბიდან დავგორდი. ეს კი მოვასწარი, რომ კიბის ძირში წამოვხტი და კეიულიცამდე უკან აღარ მომიხედავს. აი, ჩემო ძმაო, რა უფლებები ჰქონდათ ჟანდარმებს!

ყველანი ჭამას შეუდგნენ, და მალე თბილ ქოხში სკამლოგინებზე დაწვნენ დასაძინებლად.

ღამით შვეიკი ადგა, წყნარად ჩაიცვა და წავიდა. აღმოსავლეთით მთვარე ამოდიოდა, და მის მკრთალ სინათლეში შვეიკმა იმ მხარეს გასწია, თან გულში იმეორებდა: „ყოვლად შეუძლებელია, რომ ბუდეიოვიცეში არ მოვხვდე!“

ტყიდან რომ გავიდა, შვეიკმა მარჯვნივ რომელიღაც ქალაქი დაინახა, ამიტომ ჩრდილოეთისკენ გაუხვია, მერე ისევ სამხრეთს მიაშურა და კვლავ რომელიღაც ქალაქს მიადგა. ეს ვოდნიანი იყო. შვეიკმა მოხერხებულად აუარა მას გვერდი და მინდორ-მინდორ გაუყვა გზას. პროტივინეს მახლობლად თოვლით დაფარულ მთის კალთებიდან მზის პირველი სხივები მიესალმნენ ყოჩაღ ჯარისკაცს.

— წინ! — უბრძანა თავის თავს ყოჩაღმა ჯარისკაცმა შვეიკმა. — სამხედრო ვალი მიხმობს. მე ბუდეიოვიცეში უნდა მოვხვდე.

მაგრამ მას ბედი არ წყალობდა და ნაცვლად იმისა, რომ პრო-

ტივენიდან სამხრეთით ბუდეიოვიცესკენ წასულიყო, შვეიკი ჩრდილოეთისკენ გაემართა — პისეკისკენ.

შუადღე იქნებოდა, როცა მის თვალწინ ერთი პატარა სოფლის მიდამოები გადაიშალა. ბორცვიდან რომ ჩამოდიოდა, შვეიკმა გაიფიქრა: „ასე საქმე არ გამოვა. ვიკითხავ ბუდეიოვიცეს გზას“.

სოფელში რომ შედიოდა, შვეიკი დიდად გაოცდა, როცა განაპირა ქოხთან დასობილ ბოძზე წაიკითხა წარწერა: „სოფელი პუტიმა“.

— აი, ესეც შენ! — ამოიოხრა შვეიკმა, — ისევ პუტიმაში მოვხვდი. აქ არ იყო, ღამე რომ გავათიე ზვინში!

ამის შემდეგ უკვე აღარაფერი გაკვირვებია. გუბურას მეორე მხრიდან, თეთრად შეფეთქილ სახლიდან, რომელსაც ამშვენებდა „ქათამი“ (ზოგან ასე უწოდებდნენ სახელმწიფო გერბის გამოსახულებას — არწივს), გამოვიდა ჟანდარმი — თითქოს ობობა გამოძვრა თავისი ქსელის შესამოწმებლადო.

ჟანდარმი ახლო მივიდა შვეიკთან და მხოლოდ ეს ჰკითხა:

— საით?

— ბუდეიოვიცეში, ჩემს პოლკში.

ჟანდარმს სარკასტულად ჩაეცინა.

— თქვენ ხომ ბუდეიოვიცედან მოდიხართ! ბუდეიოვიცე უკან დაგრჩათ.

და შვეიკი განყოფილებაში წაათრია.

პუტიმელი ჟანდარმთა ვახმისტრი ცნობილი იყო მთელს მხარეში იმით, რომ მოქმედებდა სწრაფად და ტაქტიკურად. იგი არასოდეს არ ლანძღავდა და უდიერად არ ეპყრობოდა დაკავებულ პირებს ან დაპატიმრებულთ, სამაგიეროდ ისეთ მარჯვე ჯვარედინ დაკითხვას გაუჩაღებდა, რომ თვით უდანაშაულოც კი აღიარებდა, დამნაშავე ვარო. ამ მიზნისთვის მას გამოყენებული ჰყავდა ორი ჟანდარმი, და ჯვარედინ დაკითხვას ყოველთვის თან ახლდა ჟანდარმთა მთელი პერსონალის ირონიული ჩაცინება.

— კრიმინალისტიკაში დახელოვნებული ადამიანი ეშმაკიც უნდა იყოს და თან ტკბილი მოსაუბრეც, — არიგებდა ხოლმე ვახმისტრი თავის ხელქვეითებს. — ყვირილი, საერთოდ, ფუჭი საქმეა. ბრალდებულს ან ეჭვმიტანილს დელიკატურად და ფაქიზად უნდა მოექცეთ, მაგრამ ამავე დროს უნდა ცდილობდეთ კითხვა კითხვაზე დააყაროთ, კითხვების ნიაღვარში ჩაახრჩოთ.

— კეთილი იყოს თქვენი მობრძანება, ჯარისკაცო, — უთხრა ჟანდარმთა ვახმისტრმა შვეიკს. — დაბრძანდით, გზაში, უთუოდ, დაიღლებოდით. ერთი გვიამბეთ, სად მიდიხართ?

შვეიკმა გაიმეორა — ჩესკებუდეიოვიცეში მივდივარ, ჩემს პოლკშიო.

— თქვენ ნამდვილად გზა აგერიათ, — ღიმილით უთხრა ვახმისტრმა. — საქმე ისაა, რომ თქვენ ჩესკებუდეიოვიცედან მოდიხართ, და მე ადვილად შემიძლია ეს დაგიმტკიცოთ. თქვენს თავით ჩეხეთის რუკაა დაკიდებული. დახედეთ: სამხრეთით ჩვენგან პროტივენია, პროტივენის სამხრეთით — ჰლუბოკა, კიდევ უფრო სამხრეთით — ჩესკებუდეიოვიცე. მაშასადამე, თქვენ ბუდეიოვიცეში კი არ მიდიხართ, არამედ ბუდეიოვიცედან მობრძანდებით.

ვახმისტრმა ალერსიანად შეხედა შვეიკს, რომელმაც მშვიდად და ღირსებით უპასუხა:

— მე მაინც ბუდეიოვიცეში მივდივარ.

ეს სიტყვები გაცილებით უფრო ძლიერად გაისმა, ვიდრე გალილეის სიტყვები: „ის მაინცა ბრუნავს!“, ვინაიდან გალილეი, ეჭვგარეშეა, დიდად განრისხებული იყო, როცა ეს ფრაზა წარმოთქვა.

— იცით რა, ჯარისკაცო! — კვლავ ტკბილად უთხრა შვეიკს ვახმისტრმა. — უნდა გაგაფრთხილოთ (და თქვენ თვითონ ბოლოს და ბოლოს ამავე დასკვნამდე მიხვალთ), რომ ყოველგვარი უარყოფა გააძლიერებს გულახდილ აღიარებას.

— თქვენ უეჭველად მართალი ხართ, — უპასუხა შვეიკმა. —

ყოველგვარი უარყოფა გააძნელებს გულახდილ აღიარებას, — და პირიქით.

— აი, თქვენ თვითონ, ჯარისკაცო, უკვე ეთანხმებით ჩემს აზრებს. მითხარით გულახდილად, საიდან წამოხვედით, როცა თქვენი ბუდეიოვიცესკენ დაადექით გზას. ვამბობ „თქვენი-მეთქი", რადგან, როგორც ჩანს, კიდევ არსებობს რომელიღაც სხვა ბუდეიოვიცე, რომელიც სადღაც პუტიმას ჩრდილოეთით მდებარეობს და აქამდე არც ერთ რუკაზე არაა აღნიშნული.

— მე გამოვედი ტაბორიდან.

— ტაბორში რას აკეთებდით?

— ბუდეიოვიცეს მიმავალ მატარებელს ველოდებოდი.

— რად არ წახვედით მატარებლით ბუდეიოვიცეში?

— რადგან ბილეთი არ მქონდა.

— თქვენ ხომ ჯარისკაცი ხართ. რად არ მოგცეს უფასო სამხედრო სამგზავრო ბილეთი?'

— იმიტომ, რომ არავითარი დოკუმენტი თან არ მქონდა.

— აჰა, ხომ ხედავთ! — გამარჯვებულის სახით მიუბრუნდა ვახმისტრი ერთ-ერთ თავის ჟანდარმს. — ეს ყმაწვილი არც ისე სულელია, როგორც თავს გვაჩვენებს. ცდილობს კვალის დაფარვას.

ვახმისტრმა დაიწყო თავიდან, თითქოს არ მოესმინოს უკანასკნელი სიტყვები დოკუმენტების შესახებ.

— მაშ ასე, თქვენ გამოდით ტაბორიდან. სად მიდიოდით?

— ჩესკებუდეიოვიცეში.

ვახმისტრმა ცოტა მკაცრი გამომეტყველება მიიღო და რუკას შეხედა.

— შეგიძლიათ თუ არა რუკაზე გვიჩვენოთ, რა გზით მიდიოდით ბუდეიოვიცეში?

— მე ყველა ადგილი არ მახსოვს. მახსოვს მხოლოდ, რომ პუტიმაში ერთხელ უკვე ვიყავი.

ჟანდარმებმა ერთმანეთს მრავლისმეტყველად გადახედეს.

ვახმისტრი განაგრძობდა დაკითხვას:

— მაშ, თქვენ იყავით სადგურზე ტაბორში? რა გაქვთ ჯიბეებში? ამოიღეთ ყველაფერი.

როცა შვეიკი საფუძვლიანად გაჩხრიკეს და, ჩიბუხისა და ასანთის მეტი ვერაფერი უპოვეს, ვახმისტრმა ჰკითხა:

— ერთი ეს მითხარით, რატომ არაფერი გაქვთ, სრულებით არაფერი?

— იმიტომ, რომ მე არაფერი მჭირდება.

—ოჰ, ღმერთო ჩემო! — ამოიხვნეშა ვახმისტრმა. — პირდაპირ წამებაა თქვენთან ლაპარაკი!.. თქვენ თქვით, რომ ერთხელ უკვე იყავით პუტიმაში. რას აკეთებდით მაშინ აქ?

— პუტიმას გვერდის ჩავლით ბუდეიოვიცეში მივდიოდი.

— ხედავთ, რარიგ ურევთ. თქვენ თვითონ ლაპარაკობთ, რომ ბუდეიოვიცეში მიდიოდით, ჩვენ კი დაგიმტკიცეთ, რომ თქვენ ბუდეიოვიცედან მოდიხართ.

— ალბათ, წრე თუ დავარტყი.

ვახმისტრმა და ჟანდარმებმა ერთმანეთს მრავალმნიშვნელოვნად გადახედეს.

— ეს წრის დარტყმა გვაფიქრებინებს, რომ თქვენ დაძვრებით ყველგან მთელს ჩვენს მხარეში. რამდენ ხანს დაჰყავით ტაბორის სადგურზე:

— ბუდეიოვიცეს მიმავალ უკანასკნელი მატარებლის გასვლამდე.

— იქ რას აკეთებდით?

— ჯარისკაცებს ვესაუბრებოდი.

ვახმისტრმა ისევ მრავალმნიშვნელოვნად გადახედა ირგვლივ შეკრებილთ.

— მაგალითად, რაზე ბაასობდით მათთან? რას ეკითხებოდით?

— ვეკითხებოდი, რომელი პოლკიდან ხართ და სად მიდიხართ-თქო.

— ძალიან კარგი. ხომ არ გიკითხავთ რამდენი ხიშტია, მაგალითად, პოლკში და როგორაა დაყოფილი?

—ამის შესახებ არაფერი მიკითხავს. მე თვითონ დიდი ხანია ისედაც ზეპირად ვიცი ყველაფერი.

— მაშასადამე, თქვენ სრულყოფილად ინფორმირებული ხართ ჩვენი ჯარების შინაგანი წყობის შესახებ?

— რა თქმა უნდა, პანე ვახმისტრ.

ახლა ვახმისტრმა თავის უკანასკნელ ხერხს მიმართა და გამარჯვებულის სახით გადახედა ჟანდარმებს.

— რუსულად თუ ლაპარაკობთ?

— არა.

ვახმისტრმა თავით ანიშნა ეფრეიტორს. შვეიკი მეზობელ ოთახში გაიყვანეს. ვახმისტრმა, რომელიც აგზნებული იყო თავისი გამარჯვების შეგნებით, ხელების ფშვნეტითა და რწმენით წარმოთქვა:

— ხომ თქვენი ყურით მოისმინეთ? რუსულად არ ლაპარაკობ! ყმაწვილი, ჩანს, ცეცხლსა და წყალშია გამოვლილი. ყველაფერში გამოტყდა, მაგრამ ყველაზე მნიშვნელოვანს კი უარყოფს. ხვალვე გადავგზავნოთ საოლქოში, პისეკში. კრიმინალისტიკაში დახელოვნებული ადამიანი ეშმაკიც უნდა იყოს და თან ტკბილი მოსაუბრეც. ხომ ნახეთ, როგორ ჩავეხრჩვე შეკითხვების ნიაღვარში? ვინ რას იფიქრებდა? გამოიყურება, თითქოს სულელიაო. სწორედ ასეთ ტიპებთანაა საჭირო სიფრთხილე. დაამწყვდიეთ ჯერჯერობით, მე კი წავალ და ოქმს შევადგენ.

და სიამოვნების ღიმილით ტუჩებზე ჟანდარმთა ვახმისტრი საღამომდე წერდა ოქმს, რომლის თვითეულ ფრაზაში კიაფობდა სიტყვა „spionageverdächtig“[1].

რაც უფრო მეტს წერდა ჟანდარმთა ვახმისტრი ფლანდერკა ოქმს, მით უფრო ნათელი ხდებოდა მისთვის სიტუაცია. უცნაურ კანცელარულ გერმანულ ენაზე შედგენილი ოქმის წერა რომ დაამთავრა შემდეგი სიტყვებით: „So melde ich gehorsam, wird den feindlichen Offizier heutigen Tagas, nach Bezirksgendarmerienkommando Pisek, überliefert“ [2], — გაუღიმა თავის ნაწარმოებს და ჟანდარმთა ეფრეიტორს გამოუძახა.

---

[1] ეპემიტანილია ჯაშუშობაში (გერმ.).

[2] მოგახსენებთ მორჩილად, რომ მტრის ოფიცერი დღესვე იქნება გადაგზავნილი საოლქო ჟანდარმთა სამმართველოში ქალაქ პისეკში.

— თუ აკამეთ რამე მტრის იმ ოფიცერს?

— თანახმად თქვენი ბრძანებისა, პანე ვახმისტრ, კვებით უზრუნველვყოფთ მხოლოდ იმათ, ვინც მოყვანილია და დაკითხულია დღის თორმეტ საათამდე.

— მაგრამ ამ შემთხვევაში ჩვენ საქმე გვაქვს იშვიათ გამონაკლისთან, — მოუკრა ვახმისტრმა. — იგი უთუოდ უფროსი ოფიცერია, შტაბის ოფიცერი. თქვენთვისაც გასაგებია, ალბათ, რომ რუსები ჯაშუშად აქ არ გამოგზავნიან ვიღაც ეფრეიტორს. გაგზავნეთ ვინმე სამიკიტნოში, „ნა კოცოურკუ" მისთვის სადილის მოსატანად. თუ სადილად აღარაფერი აღმოჩნდეს, მოახარშვინეთ რამე. მერე მოუმზადეთ ჩაი რომით და ყველაფერი მიუტანეთ. სიტყვა არ დაგცდეთ — ვისთვისაა ყოველივე ეს. საერთოდ არ წამოგცდეთ სადმე, თუ ვინ დავაკავეთ. ეს სამხედრო საიდუმლოებაა. რას აკეთებს იგი ახლა?

— თამბაქო მოითხოვა, სამორიგეოში ზის. სავსებით მშვიდად უჭირავს თავი, თითქოს საკუთარ ოჯახში იყოს. თქვენთან ძალიან თბილაო. ღუმელი ხომ არ ბოლავსო? — შეგვეკითხა. შემდეგ აღნიშნა—თქვენთან ძალიან მომწონსო. ღუმელმა თუ ბოლვა დაიწყოსო, თქვა, მილის მწმენდელს დაუძახეთ, გააწმენდინეთ საკვამლე მილიო. ოღონდ გააწმენდინეთ საღამოთი, არამც და არამც მზე მილს წმენდის დროს არ უნდა დაჰყურებდეს, ღმერთმა დაგიფაროთო.

— ძალიან ეშმაკი ვინმეა, — აღფრთოვანებით წამოიძახა ვახმისტრმა. — თავს ისე გვაჩვენებს, თითქოს ყოველივე ეს სრულებით მას არ ეხება. ამავე დროს ძალიან კარგად იცის, რომ დახვრეტენ. ასეთი ადამიანი პატივისცემის ღირსია, თუნდაც მტერი იყოს. წარმოგიდგენიათ, ადამიანს უეცველი სიკვდილი ელოდება. მე არ ვიცი, რომელი ჩვენგანი დაიჭერდა ასე თავს? მის ადგილას ყოველი ჩვენგანი შედრკებოდა, ვაკაცობა უმტყუნებდა. იგი კი ზის თავისთვის მშვიდად: „თქვენთან აქ თბილა, ღუმელიც არ ბოლავსო..."

—. აი ეს გახლავთ მტკიცე ხასიათი, პანე ეფრეიტორ! ასეთ ადამიანს რკინის ნერვები უნდა გააჩნდეს, დიდი ენთუზიასტი უნდა იყოს, თავგანწირული და შეუდრეკელი. ჩვენთან ავსტრიაში ყველანი ასეთი ენთუზიასტები რომ იყვნენ!.. მაგრამ ამაზე ნუ ვილაპარაკებთ. ჩვენშიც არიან ენთუზიასტები. ხომ არ წაგიკითხავთ „ნაროდნი პოლიტიკეში" არტილერიის პორუჩიკ ბერგერის შესახებ, რომელიც მაღალ ნაძვზე ამძვრალიყო და იქ სათვალთვალო პუნქტი მოეწყო! ჩვენებმა უკან დაიხიეს და პორუჩიკს, რა თქმა

ულნდა, აღარ შეეძლო ძირს ჩამოსვლა, რადგან ტყვედ ჩავარდებოდა, და აი დაიწყო ლოდინი, ჩვენები როდის მოიგერიებდნენ მტერს. ელოდა მთელი ორი კვირა, და შიმშილისგან რომ არ მომკვდარიყო, ნაძვის ხის მთელი კენწერო შემოღრღნა: იკვებებოდა ნორჩი შტოებითა და ხავსით. როცა ჩვენები მოვიდნენ, იგი ისეთი დასუსტებული იყო, რომ ხეზე თავი ვეღარ დაიმაგრა, ჩამოვარდა და ქვე სული განუტევა. სიკვდილის შემდეგ დაჯილდოებულ იქნა ოქროს მედლით „მამაცობისთვის". და ვახმისტრმა სერიოზული კილოთი დასძინა: — აი, ეს მესმის! აი ეს გახლავთ, პანე ეფრეიტორ, თავგანწირვა, გმირობა! ჩვენ ძალიან გავაბით მუსაიფი, აბა გაიქეცით ერთი, მისთვის სადილი შეუკვეთეთ, თვითონ იგი კი მანამდე ჩემთან გამოგზავნეთ.

ეფრეიტორმა შემოიყვანა შვეიკი, ვახმისტრმა მეგობრულად სკამზე ანიშნა და შეუდგა დაკითხვას. პირველი მისი შეკითხვა იყო, გყავთ თუ არა მშობლებიო.

— არა მყავს.

„მით უკეთესი, — გაიფიქრა ვახმისტრმა, — აღარავის მოუხდება შენი გამოტირება". მერე შეხედა შვეიკის კეთილ სახეს და უეცრად გული აუჩუყდა, ხელი მოუთათუნა ბეჭებზე, გადაიხარა მისკენ და მამობრივი კილოთი ჰკითხა:

— როგორ მოგწონთ ჩვენთან ჩეხეთში?

— მე ჩეხეთის ყოველი კუთხე მომწონს, — უპასუხა შვეიკმა, — ყველგან მხვდებოდა კარგი ადამიანები.

ვახმისტრი თავს უკანტურებდა ნიშნად თანხმობისა.

— შესანიშნავი ხალხია ჩვენთან, სიმპათიური. ჩხუბი ან ქურდობა რა მხედველობაში მისაღებია. მე აქ უკვე თხუთმეტი წელიწადი ვარ და ჩემი ანგარიშით წელიწადში მხოლოდ სამი მეოთხედი მკვლელობა უწევს.

— ეს როგორ, ბოლომდე არა ჰკლავენ? სულ არ მოათავებენ?

— თქვენ ვერ გამიგეთ. მაგას კი არ ვამბობ. თხუთმეტი წლის მანძილზე ჩვენ დავითვალეთ სულ თერთმეტი მკვლელობა: ხუთი გაძარცვის მიზნით, დანარჩენი ექვსი ისე უბრალოდ... სალაპარაკოდაც არა ღირს.

ვახმისტრი გაჩუმდა, მერე ისევ დაუბრუნდა დაკითხვის თავის სისტემას:

— ბუდეიოვიცეში რისი გაკეთება გქონდათ განზრახული?

— განზრახული მქონდა შევდგომოდი ჩემს მოვალეობათა აღსრულებას ოთხმოცდამეთერთმეტე პოლკში.

ვახმისტრმა უკან გაგზავნა შვეიკი სამორიგეოში, თვითონ კი

გულზე რომ არ გადავარდნოდა, მიაწერა პისეკის საოლქო ჟანდარმთა სამმართველოში გადასაგზავნ თავის პატაკს: „ფლობს ჩეხურ ენას ზედმიწევნით. განზრახული ჰქონდა ბუდეიოვიცეში შეპარულიყო ოთხმოცდამეთერთმეტე ქვეითა პოლკში“.

მერე სიხარულით ხელები მოიფშვნიტა. ვახმისტრი კმაყოფილი იყო ამ მდიდარი მასალით და საერთოდ იმ შედეგებით, რომლებიც ძიების წარმოების მისმა მეთოდმა გამოიღო. მოაგონდა თავისი წინამოადგილე, ვახმისტრი ბიურგერი, რომელიც არც კი ელაპარაკებოდა დაკავებულ პირებს, არაფერს ეკითხებოდა, მოუსვამდა ხელს და დაუყოვნებლივ საოლქო სასამართლოში აგზავნიდა მოკლე პატაკით: „თანახმად ჟანდარმთა უნტერ-ოფიცრის ცნობისა ესა და ეს დაპატიმრებულია მაწანწალობისა და მათხოვრობისთვის“. და ამას უწოდებდა დაკითხვას!

ვახმისტრს თვითკმაყოფილებით გაეღიმა, როცა თავისი პატაკის ფურცლებს გადაავლო თვალი, ამოიღო საწერ მაგიდიდან პრაღის მთავარ ჟანდარმთა სამმართველოს საიდუმლო ცირკულარი ჩვეულებრივი წარწერით „სრულიად საიდუმლოდ“ და კიდევ ერთხელ გადაიკითხა:

„ჟანდარმთა ყველა განყოფილებას კანონის მთელი სიმკაცრით ევალებათ განსაკუთრებული სიფხიზლით ადევნონ თვალყური მათ რაიონში გამვლელ პირთ. აღმოსავლეთ ჰალიციაში ჩვენი ჯარების გადაჯგუფებამ შესაძლებლობა მისცა რუსების ზოგიერთ სამხედრო ნაწილებს გადმოელახათ კარპატები და ავსტრიის ძიწაწყალზე პოზიციები დაეკავებინათ, რის გამოც შეიცვალა ფრონტის ხაზი, რომელიც სახელმწიფო საზღვრებიდან ღრმად გადმოიწია დასავლეთით. ამ ახალმა სიტუაციამ საშუალება მისცა რუს მზვერავებს შემოჭრილიყვნენ ჩვენი ქვეყნის ღრმა ზურგში, განსაკუთრებით სილეზიასა და მორავიაში, საიდანაც, თანახმად საიდუმლო მონაცემებისა, რუსმა მზვერავებმა დიდი რაოდენობით შეაღწიეს ჩეხეთში. დადგენილია, რომ მათ შორის ბლომადაა რუსი ჩეხები, რუსეთის აკადემიის გენერალური შტაბის აღზრდილები, რომლებიც, სრულყოფილად ფლობენ რა ჩეხურ ენას, ყველაზე საშიშ მზვერავებს წარმოადგენენ, რადგან შეუძლიათ და უთუოდ გასწევენ კიდეც მოღალატურ პროპაგანდას ჩეხ მოსახლეობაშიც. ამის გამო, ჟანდარმთა მთავარი სამმართველო ბრძანებს დააკავოთ ყველა საეჭვო პირი და გააცხოველოთ სიფხიზლე მეტადრე იმ ადგილებში, რომელთა მახლობლად იმყოფება გარნიზონები, სამხედრო პუნქტები და რკინიგზის სადგურები, სადაც სამხედრო მატარებლები გაივლიან.

დაკავებულნი დაუყოვნებლივ უნდა გაჩხრიკოთ და გადააგზავნოთ ინსტანციის მიხედვით".

ჟანდარმთა ვახმისტრმა ფლანდერკამ ისევ თვითკმაყოფილებით გაიღიმა და საიდუმლო ცირკულარი წარწერით „საიდუმლო განკარგულებანი" საქაღალდეში ჩადო.

განკარგულებანი ბლომად იყო. მათ თხზავდა შინაგან საქმეთა სამინისტრო თავდაცვის სამინისტროსთან ერთად, რომელსაც ემორჩილებოდა ჟანდარმერია. პრაღის მთავარ ჟანდარმთა სამმართველოში მათ გამრავლებასა და გავრცელებას ვერ აუდიოდნენ.

საქაღალდეში იყო:

ბრძანება ადგილობრივ მცხოვრებთა სულიერი განწყობილების მეთვალყურეობაზე.

დარიგება იმის შესახებ, თუ როგორ უნდა დაადგინონ ადგილობრივ მცხოვრებლებთან საუბარში, რა გავლენას ახდენს აზროვნებაზე ფრონტიდან მოსული ამბები.

ანკეტა: როგორ უყურებს ადგილობრივი მოსახლეობა სამხედრო სესხებსა და შეწირულებათა შეგროვებას.

ანკეტა გაწვეულთა და გასაწვევთა სულისკვეთების შესახებ.

ანკეტა ადგილობრივი თვითმართველობის წევრებისა და ინტელიგენციის სულისკვეთების შესახებ.

განკარგულება: დაუყოვნებლივ დადგენილ იქნას, რა პოლიტიკურ პარტიებს ემხრობა ადგილობრივი მოსახლეობა; რამდენად ძლიერნი არიან ცალკეული პოლიტიკური პარტიები.

ბრძანება ადგილობრივი პოლიტიკური პარტიების ლიდერების მოღვაწეობის მეთვალყურეობაზე და ზოგიერთი პოლიტიკური პარტიების, რომელთაც ადგილობრივი მოსახლეობა ემხრობა, ლოიალობის განსაზღვრა.

ანკეტა: რა გაზეთებს, ჟურნალებსა და ბროშურებს ღებულობენ ამა და ამ ჟანდარმთა განყოფილების ზედამხედველობის რაიონში.

ინსტრუქცია: რანაირად უნდა დადგინდეს, ვისთან აქვს კავშირი არალოიალობაში შემჩნეულ პირებს და რაში გამოიხატება მათი არალოიალობა.

ინსტრუქცია: რანაირად უნდა ჩავითრიოთ მუშაობაში ადგილობრივ მოსახლეობიდან დაქირავებული დამბეზღებლები და ცნობების მომწოდებელნი.

ინსტრუქცია ადგილობრივ მოსახლეობიდან აყვანილ და ჟანდარმთა განყოფილების სამსახურში ჩარიცხულ ფასიან მაბეზღარებისთვის.

ყოველდღე მოდიოდა სულ ახალი და ახალი ინსტრუქციები, დარიგებანი, ანკეტები და განკარგულებანი.

ავსტრიის შინაგან საქმეთა სამინისტროდან გადმოგზავნილ მთელ ამ ზღვა ქაღალდებში ჩაფლულ ვახმისტრ ფლანდერკას, დიდძალი „კუდები“ ჰქონდა, და ანკეტებზე სტერეოტიპულ პასუხებს აგზავნიდა: ჩემთან ყველაფერი წესრიგშია და ადგილობრივი მოსახლეობის ლოიალობა II-a ხარისხს უდრის.

მონარქის მიმართ მოსახლეობის ლოიალობის შესაფასებლად ავსტრიის შინაგან საქმეთა სამინისტროს შედგენილი ჰქონდა კატეგორიების შემდეგი საფეხურები:

I = a	I = b	I = c
II = a	II = b	II = c
III = a	III = b	III = c
IV = a	IV b	IV = c

რომაული ოთხიანი შეერთებული „a“-სთან აღნიშნავდა სახელმწიფო მოღალატეს და სახრჩობელას, „в“-სთან შეერთებული — საკონცენტრაციო ბანაკს, „c“-სთან შეერთებული — საჭიროა კვალს მიაგნოთ და ჩასვათო.

ჟანდარმთა ვახმისტრის საწერ მაგიდაში ეწყო ყოველგვარი ნაბეჭდი განკარგულებანი და რეესტრები. ხელისუფლებას სურდა ცოდნოდა, რას ფიქრობდა თვითეული მოქალაქე თავისი მთავრობის შესახებ.

ვახმისტრი ფლანდერკა არაერთხელ ჩავარდნილა სასოწარკვეთილებაში მთელი ამ „ლიტერატურის“ გამო, რომელიც ყოველდღე მოჰქონდა და მოჰქონდა ფოსტას. როგორც კი დაინახავდა ნაცნობ პაკეტს შტემპელით „თავისუფალია გადასახადისგან“, „სამსახურებრივი“, მას გულისცემა აუტყდებოდა. ღამით, დიდი ხნის ფიქრის შემდეგ, იმ დასკვნამდე მიდიოდა, რომ იგი ომის დამთავრებას ვერ მოესწრებოდა, რომ სამხარეო ჟანდარმთა სამმართველო მის ჭკუაგონებას სულ ერთიანად გამოფიტავს, და არ დასცალდება ავსტრიის იარაღის გამარჯვებით გამოწვეული სიხარულის გაზიარება, რადგან იმ დროისთვის ისეთი ადამიანის მდგომარეობაში ჩავარდება, რომელზეც იტყვიან ხოლმე: ამ კაცს ნამდვილად ცხრიანი აკლიაო.

საოლქო ჟანდარმთა სამმართველო კი ყოველდღიურად უუმბარებივით უშენდა შეკითხვებს: აქამდე რად არაა პასუხი ანკეტაზე № $\frac{72\,345}{721\ a=f}$ d, როგორ სრულდება ინსტრუქცია № $\frac{88992}{822\ g/ch}$ z,

როგორია პრაქტიკული შედეგები დარიგების № $\frac{123456}{1292\,b=r}\,v$, და ა. შ.

ყველაზე მეტად საგონებელში ჩააგდო იგი ინსტრუქციამ იმის შესახებ, თუ რანაირად უნდა ჩავითრიოთ მუშაობაში ადგილობრივი მოსახლეობიდან ფასიანი დამბეზღებლები და ცნობების მიმწოდებელნი. ფლანდერკა იმ დასკვნამდე მივიდა, რომ ყოვლად შეუძლებელია მუშაობაში ჩათრევა იმ ადგილებიდან, სადაც ბლატა იწყება, რადგან იქ ხალხი შუბლმაგარია, ამიტომ მან, ბოლოს, გადაწყვიტა აეყვანა სამსახურში სათემო ჯოგის მწყემსი, ზედმეტ საპელად პეპიკ-ვისკოჩ! [1] ეს იყო კრეტინი, რომელიც ყოველთვის შეხტებოდა ხოლმე ადგილზე, როცა თავის შერქმეულ სახელს გაიგონებდა, ბუნებისა და ადამიანის მიერ დაჩაგრული არსება, გაუბედურებული, კუტი და ბეჩავი, რომელიც ორიოდე გროშისა და ერთი ჯამი შეჭამანდის გულისთვის სოფლის ჯოგს დილიდან საღამომდე მწყემსავდა.

ვახმისტრმა მოაყვანინა იგი ჟანდარმს და ასე უთხრა:

— იცი, პეპიკ, ვინ არის „სტარეი პროხაზკა?.." *

— მეეე...

— ნუ ღმუი. გახსოვდეს: ასე უწოდებენ ხელმწიფე-იმპერატორს. იცი, ვინ არის ხელმწიფე-იმპერატორი?

— ხენწიფე-ინპელატორია.

— ყოჩაღ, პეპიკ! მაშ გახსოვდეს: როცა რომელიმე გლეხთან სასადილოდ მიხვალ და იქ გაიგონებ, რომ ხელმწიფე-იმპერატორზე ლაპარაკობენ პირუტყვიაო, ან რაიმე ამის მსგავსს, უმალ მოირბენ ჩემთან და მეტყვი. ამისთვის ჩემგან ოც ჰალერს მიიღებ. და თუ ვინმესგან გაიგონებ, ჩვენ ომს წავაგებთო, ისევ მოხვალ ჩემთან, გასაგებია? მეტყვი, ვინ თქვა ეს, და კიდევ ოც ჰალერს მიიღებ. მაგრამ თუ გავიგე, რომ შენ რაღაცეები დამიმალე, — ცუდი დღე დაგადგება. ჩაგავლებ ხელს და პისეკში გაგაგზავნი. ახლა კი, აბა ერთი შეხტი! — პეპიკი შეხტა, ვახმისტრმა მას ორმოცი ჰალერი მისცა და, თავისი თავით დიდად კმაყოფილმა, პატაკი გააშანშალა საოლქო ჟანდარმთა სამმართველოს სახელზე, მუშაობაში ცნობების მომწოდებელი ჩავაბიო.

მეორე დღეს ვახმისტრთან ხუცესი მოვიდა და საიდუმლოდ აცნობა, დილით სოფლის გასადევარზე ჩვენი მწყემსი პეპიკ-ვისკოჩი შემხვდა და ასე მითხრა: „მამაო, გუშინ პან ვახმისტრმა თქვა,

---

[1] პეპიკ—შეხტი (ჩეხ.).

რომ ხენწიფე-ინპელატორი პირუტყვია და ომს ჩვენ წავაგებთო. მეე... ჰოპ!“

ვახმისტრმა კარგა ხანს ითათბირა ხუცესთან და გადაწყვიტა სოფლის მწყემსის დაპატიმრება. შემდგომ ჰრადჩანის სასამართლომ მწყემსს სახელმწიფო ღალატისთვის ოცი წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა. მას ბრალი ედებოდა საშიშ და გამცემლურ ბოროტებაში, წაქეზებაში, მისი უდიდებულესობის შეურაცხყოფაში და მთელ რიგ სხვა დანაშაულში.

პეპიკ-ვისკოჩის სასამართლოში ისე ეჭირა თავი, თითქოს მინდვრად საძოვარზე გარეკილ თავის ჯოგთან ერთად ყოფილიყოს, ან მეზობლებს შორის: ყველა შეკითხვაზე თხასავით კიკინებდა, განაჩენის გამოტანის შემდეგ წამოიძახა: „მეეე... ჰოპ!“ და შეხტა ადგილზე. ამისთვის დასჯილ იქნა დისციპლინარული წესით: ხმელი ლოგინი, განმარტოებული საკანი და კვირაში სამი დღე ცარიელ პურსა და წყალზე.

ამის შემდეგ ვახმისტრს აღარ ჰყოლია ცნობების მიმწოდებელი და იგი იძულებული გახდა დაკმაყოფილებულიყო იმით, რომ გამოიგონა ცნობების მიმწოდებელი, ინსტანციის მიხედვით აცნობა შეთხზული სახელი და ამრიგად გაზარდა თავისი ყოველთვიური შემოსავალი ორმოცდაათი კრონით, რომელსაც სამიკიტნო „ნა კოცოურ-

კუში“ ლოთობაში ფლანგავდა. მეათე ტოლჩის შემდეგ მას სინდისის ქენჯნა შემოაწვებოდა, ლუდი მწარე ეჩვენებოდა, თან მეზობლებისგან ყოველთვის ერთი და იგივე ფრაზა ესმოდა: „დღეს ჩვენი ვახმისტრი რაღაც გუნებაზე ვერ არის, თითქოს კალაპოტიდანაა ამოვარდნილი“. მაშინ დგებოდა და შინ მიდიოდა, მისი წასვლის შემდეგ კი ვინმე ყოველთვის იტყოდა ხოლმე: „ჩანს, ჩვენები სერბიაში ისევ მაგრად მიბეგვეს — ვახმისტრს დღეს დანა პირს არ უხსნიდა, ისეთი დადარდიანებული იყო“.

ვახმისტრი კი ამ დროს შინ იყო და ავსებდა ერთ-ერთ ანკეტას იმ მრავალთა შორის, რომლებიც საქაღალდეში ჰქონდა თავმოყრილი:

„სულისკვეთება მოსახლეობაში — I-a...“

ხშირად რევიზიისა და შემოწმების მოლოდინში ვახმისტრი მთელ ღამეებს თეთრად ათენებდა. მას სახრჩობელა ელანდებოდა: აი, აიყვანეს იგი სახრჩობელაზე, და უკანასკნელ წამებში თვით თავდაცვის მინისტრი, რომელიც სახრჩობელასთან დგას, უყვირის მას ქვემოდან: Wachmeister, wo ist die Antwort des Zirkulärs[1]

$$№ \frac{1789678}{23792} x, y, z, ?$$

მაგრამ ყველაფერმა ამან ჩაიარა, ახლა სულ სხვაა! ახლა ფლანდერკას ეჩვენებოდა, თითქოს ჟანდარმთა განყოფილების ყოველი კუთხიდან მას ეგებებიან ძველებური მონადირული მოლოცვით: „გიმრავლდეს უხვი ნანადირევიო!“ და ჟანდარმთა ვახმისტრ ფლანდერკას ეჭვი აღარ ეპარება, რომ საოლქო ჟანდარმთა სამმართველოს უფროსი ხელს მოუტყაპუნებს ბეჭებზე და ეტყვის: Ich gratuliere Ihnen, Herr Wachmeister[2]“.

ჟანდარმთა ვახმისტრი ოცნებობდა და მის თვალწინ იხატებოდა ერთიმეორეზე სულ უფრო და უფრო წარმტაცი სურათები. ფლანდერკას ჩინოვნიკური ტვინის ნაოჭებში თავს წამოყოფდა და ერთიმეორეს მისდევდნენ წარჩინებანი, დაწინაურებანი და, ბოლოს, კრიმინალისტიკაში განსაკუთრებული ნიჭის გამოჩენისათვის დიდი ხნის ნანატრი დაფასება, რაც ფართო გზას უხსნიდა მის კარიერას.

ვახმისტრმა გამოუძახა ეფრეიტორს და ჰკითხა:

— საღილი უშოვნეთ?

— მოვუტანეთ ღორის შაშხი კომბოსტოთი და კნედლიკით. სუპი აღარ იყო. ერთი ჭიქა ჩაი უკვე დალია და კიდევ მინდაო.

---

1 ვახმისტრ! სად არის პასუხი ცირკულარზე... (გერმ.).

2 მამილოცნია, ბატონო ვახმისტრო! (გერმ.).

— მიეცით! — დიდსულოვნად დართო ნება ვახმისტრმა. — ოოცა ჩაის დალევს, ჩემთან მოიყვანეთ.

ნახევარი საათის შემდეგ ეფრეიტორმა მოიყვანა შვეიკი, დანაყრებული და, როგორც ყოველთვის, კმაყოფილი.

— რას იტყვით? მოგეწონათ სადილი? — შეეკითხა ვახმისტრი.

— სადილი არ იყო დასაწუნი, პანე ვახმისტრ, ოღონდ, აი, ურიგო არ იქნებოდა, რომ კომბოსტო მეტი ყოფილიყო. მაგრამ რა გაეწყობა, ვაცი, მე არ მელოდით. ღორის ხორცი კარგი იყო, ჩანს, შინაური შაშხია, შინაური ღორისა. ჩაისაც არა უშავდა რა, რომით.

ვახმისტრმა შეხედა შვეიკს და დაიწყო:

— თუ მართალია, რომ რუსეთში ბევრ ჩაის სვამენ? რომი იქაც კრის?

— რომი მთელ ქვეყნიერებაზე ყველგან არის, პანე ვახმისტრ.

„აი, დაიწყო თავის დაძვრენა, — გაიფიქრა ვახმისტრმა. — ადრე უნდა გეფიქრა, ვაჟბატონო, რას ლაპარაკობდი. ახლა რაღას უშველი!“ მერე ინტიმურად გადაიხარა შვეიკისკენ და ჰკითხა:

— კარგი გოგოები თუ არიან რუსეთში?

— კარგი გოგოები მთელ ქვეყნიერებაზე ყველგან არიან, პანე ვახმისტრ.

„ამას არ უყურებთ, — ისევ გაიფიქრა ვახმისტრმა, — კი ღარ ხუმრობს, მართლაც ცდილობს თავის დაძვრენას!“ — და დაიქუხა ერთბაშად, თითქოს ორმოცდაორ სანტიმეტრიან ქვემეხიდან გაისროლესო:

— რა განზრახვით მიდიოდით ოთხმოცდამეთერთმეტე პოლკში?

— პოლკთან ერთად ფრონტზე უნდა წავსულიყავი.

ვახმისტრმა კმაყოფილებით შეხედა შვეიკს და გაიფიქრა: „სწორია. ყველაზე უტყუარი საშუალებაა რუსეთში მოსახვედრად“.

— მოფიქრებულია შესანიშნავად! — აღტაცებით წარმოთქვა მან, თან აკვირდებოდა, რა შთაბეჭდილებას მოახდენდა მისი სიტყვები შვეიკზე, მაგრამ შვეიკის თვალებში, გარდა სრული სიმშვიდისა, ვერაფერი ამოიკითხა.

„წარბიც არ შეურხევია, — გაოცდა ვახმისტრი. — აი რა გამძლეობის პატრონები არიან! მის ადგილზე რომ ვყოფილიყავი, ამ სიტყვების შემდეგ მთელი სხეული ამიკანკალდებოდა“.

— დილით პისეკში წაგიყვანთ, — თითქოს უცაბედად წამოცდაო ვახმისტრს. — ყოფილხართ როდისმე პისეკში?

— ათას ცხრაას ათ წელს საიმპერატორო დათვალიერების მანევრებზე.

ვახმისტრის სახეზე სიამოვნებისა და სრული კმაყოფილების

ღიმილი ათამაშდა. იგი გრძნობდა, რომ თავისი დაკითხვის სისტემით მან კულმინაციას მიაღწია.

— თქვენ იქ მანევრების დამთავრებამდე დარჩით?

— თავისთავად ცხადია, პანე ვახმისტრ. მე ქვეითა პოლკში ვიყავი.

შვეიკი თვალმოუშორებლად უყურებდა ვახმისტრს, რომელიც სიხარულისგან სკამზე ვეღარ ისვენებდა და მოთმინება აღარ ყოფნიდა, რომ ახლავე ყველაფერი არ შეეტანა პატაკში. გამოუძახა ეფრეიტორს, უბრძანა, შვეიკი წაიყვანეო, თვითონ კი დაურთო პატაკს.

„მას ასეთი გეგმა ჰქონდა: შეაღწევდა თუ არა ოთხმოცდამეთერთმეტე ქვეითა პოლკში, უნდა ეთხოვნა, დაუყოვნებლივ ფრონტზე გამგზავნეთო; იქ იგი პირველ შემთხვევისთანავე რუსეთში გადავიდოდა, რადგან ძალიან კარგად ხედავდა, რომ სხვა გზით უკან, რუსეთში დაბრუნებას ვერ გაახერხებდა ჩვენი ორგანოების სიფხიზლის გამო. ადვილი საფიქრებელია, რომ იგი წარმატებით გაატარებდა ცხოვრებაში თავის ზრახვებს, ვინაიდან, თანახმად მისი ჩვენებებისა, რომლებიც ჩვენ მივიღეთ ხანგრძლივი ჯვარედინი დაკითხვის შედეგად, იგი ჯერ კიდევ 1910 წელს რიგით ჯარისკაცად მონაწილეობდა პისეკის მიდამოებში ჩატარებულ საიმპერატორო დათვალიერების მანევრებში, საიდანაც აშკარად ჩანს, რომ მას ამ დარგში დიდი გამოცდილება მოეპოვება. თავს ნებას ვაძლევ ხაზი გავუსვა იმ გარემოებას, რომ ჩემს მიერ შეგროვილი საბრალმდებლო მასალა ჩემი ჯვარედინი დაკითხვის სისტემის შედეგს წარმოადგენს.“

კარებში ეფრეიტორი გამოჩნდა.

— პანე ვახმისტრ! იგი საპირფარეშოში წაყვანას მოითხოვს.

— Bajonett auf! [1] — გასცა ბრძანება ვახმისტრმა. — ანდა არა, მომგვარეთ აქ!

— თქვენ საპირფარეშოში გნებავთ? — თავაზიანად შეეკითხა ვახმისტრი შვეიკს. — ამაში უფრო დიდი რამ ხომ არ იმალება.

— სრული სიმართლეა. მჭირდება უფრო „დიდი მოსაქმება“, პანე ვახმისტრ, — უპასუხა შვეიკმა.

— იცოდეთ, სხვა არაფერი მოხდეს, — მრავალმნიშვნელოვნად უთხრა ვახმისტრმა, თან რევოლვერიან ბუდეს იკრავდა ქამარზე. — მე თვითონ წამოვალ თქვენთან ერთად.

გზაში მან შვეიკს უთხრა:

---

[1]. ჩამოაცვეთ ხიშტები თოფებს. (გერმ.)

მე კარგი რევოლვერი მაქვს, ექვსი ტყვია ჩადის, აბსოლუტურად ზუსტად ურტყამს მიზანში.

მაგრამ ვიდრე ეზოში გავიდოდნენ, ვახმისტრმა ეფრეიტორი იხმო და ჩუმად უთხრა:

— თოფზე ჩამოაცვით ხიშტი და როცა იგი შიგ შევა, საპირფარეშოს უკან დადექით. სანაგვე ორმოში ხვრელი არ გააკეთოს და არ გაძვრეს.

საპირფარეშო წარმოადგენდა ჩვეულებრივ პატარა ფიცრულ ბუდრუგანას, რომელიც საცოდავად გამოიყურებოდა შუა ეზოში ნაკელის გროვის მახლობლად. ეს იყო ძველი ვეტერანი, მასში იკმაყოფილებდნენ ბუნებრივ მოთხოვნილებებს მთელი თაობები. ახლა აქ ჩაცუცქულიყო შვეიკი და ერთი ხელით კარის თოკს ჩასჭიდებოდა, ამ დროს კი უკანა სარკმელიდან ეფრეიტორი მის უკანალს მისჩერებოდა და თვალყურს ადევნებდა, ხვრელი არ გათხაროსო.

ჟანდარმთა ვახმისტრი ქორივით უთვალთვალებდა კარებს; იგი დაძაბულად ფიქრობდა, რომელ ფეხში ვესროლო, ვინიცობაა შვეიკმა გაქცევა დააპიროსო.

მაგრამ კარები წყნარად გაიღო და საპირფარეშოდან დაკმაყოფილებული შვეიკი გამოვიდა. იგი ვახმისტრს შეეკითხა:

— დიდხანს დავყავი იქ? ბევრი ხომ არ გალოდინეთ?

— ო, არა, არა, როგორ გეკადრებათ, — უპასუხა ვახმისტრმა, და გაიფიქრა: „მაინც როგორი ზრდილობიანი და ალერსიანია ეს ხალხი. ხომ კარგად იცის, რაც ელოდება, მაგრამ თავაზიანობას არ ივიწყებს. სიმართლე უნდა თქვას კაცმა — უკანასკნელ წუთამდე ზრდილობას არ ღალატობს. განა რომელიმე ჩვენგანს მის ადგილზე შეეძლო თავის ასე დაჭერა?“

ვახმისტრი საყარაულოში დარჩა და შვეიკის გვერდით ჟანდარმ რამპის ცარიელ საწოლზე ჩამოჯდა, — ჟანდარმი მორიგე იყო და დილამდე უნდა ევლო ახლო მდებარე სოფლებში. ამჟამად იგი პროტივენენში იყო, სამიკიტნო „უ ჩერნეჰო კონეში“ და მეჩექმეებთან „მარიაშს“ თამაშობდა, თან დროდადრო ამტკიცებდა, ავსტრიამ უნდა გაიმარჯვოსო.

ვახმისტრმა ჩიბუხს მოუკიდა, შვეიკსაც მისცა თამბაქო ჩიბუხის გასატენად, ეფრეიტორმა შეშა შეუნთო ღუმელში, და ჟანდარმთა განყოფილება ყველაზე მყუდრო ადგილად გადაიქცა მთელი დედამიწის ზურგზე. ჩამოწვა ზამთრის საღამოს ბინდ-ბუნდი. დაღაბდა. დადგა გულითადი მეგობრული საუბრით შექცევის ჟამი.

ყველა დუმდა. ვახმისტრი რაღაცაზე დიდხანს ფიქრობდა და ბოლოს თავის თანაშემწეს მიმართა:

— ჩემის აზრით, არაა სწორი, ჯაშუშებს ჩამოხრჩობას რომ უსჯიან. ადამიანი, რომელიც თავს სწირავს მოვალეობას, თავის. ასე ვთქვათ, სამშობლოს, უფრო საპატიო სიკვდილის ღირსია, იგი ტყვიით უნდა მოკვდეს. თქვენ როგორ ფიქრობთ, პანე ეფრეიტორ?

— რა თქმა უნდა, უკეთესია ასეთი ადამიანი დახვრიტონ, ვიდრე ჩამოახრჩონ, — კვერი დაუკრა ეფრეიტორმა. — ვთქვათ, გამაგზავნეს და მითხრეს: „გეევალებათ გამოარკვიოთ, რუსებს რამდენი ტყვიამფრქვევი აქვთ მეტყვიამფრქვეევეთა დანაყოფშიო“. რას იზამთ, ბრძანება — ბრძანებაა, უნდა გადავიცვა და წავიდე. და ამის გულისთვის, აიღონ და, ავაზაკივით ჩამომახრჩონ?

ეფრეიტორი ისე გაგულისდა, რომ წამოდგა და განაცხადა:

— მოვითხოვ დამხვრიტონ და სამხედრო პატივით დამკრძალონ!

— ხათაც ეს არის! — თქვა შვეიკმა. — თუ უმაწვილი სულელი არაა, აბა სცადონ ერთი და, ამხილონ იგი. ვერასოდეს ვერ ამხელენ.

— არა, ამხელენ! — გაცხარდა ვახმისტრი. — ისინიც არ არიან

სულელები და მათაც აქვთ თავისი განსაკუთრებული სისტემა. ამაში თქვენ თვითონ დარწმუნდებით.

— დარწმუნდებით, დიახ, — გაიმეორა მან უფრო მშვიდად და თან ალერსიანად გაიღიმა. — ჩვენთან არავითარი ხრიკი არ გაგივათ რამდენიც არ უნდა იწრიალოთ. სწორს არ ვამბობ, პანე ეფრეიტორ?

ეფრეიტორმა თავი დაუქნია თანხმობის ნიშნად და თქვა, არიან ისეთებიც, რომელთაც საქმე დიდი ხანია წაგებული აქვთ, მაგრამ თავს ისე მოგაჩვენებენ, თითქოს ძალიან მშვიდად არიან. მერე რა ვუყოთ, დაე ასე მოიქცნენ, სანამ არ მოსწყინდებათ, სულ ერთია ეს მათ არ უშველით: რაც უფრო მშვიდად გამოიყურება ადამიანი, მით უფრო გასცემს თავის თავს.

— თქვენ ჩემი სკოლისა ხართ, ეფრეიტორ! — ამაყად განაცხადა ვახმისტრმა. — მშვიდად თავის დაჭერა — საპნის ბუშტივითაა, ნაძალადევი სიმშვიდე კიდევ — ეს გახლავთ corpus delicti [1].

მერე შეწყვიტა თავისი თეორიის ირგვლივ სჯა-ბაასი და ეფრეიტორს მიუბრუნდა:

— რა მოვიფიქროთ ვახშმისათვის?

— სამიკიტნოში დღეს აღარ წახვალთ, პანე ვახმისტრ?

უმალ ვახმისტრის წინაშე მთელი სიგრძე-სიგანით წამოიჭრა რთული პრობლემა, რომელიც გადაუდებლად მოითხოვდა ამოხსნას.

ერთიც ვნახოთ, ტუსაღმა ისარგებლოს ღამით ჩემი არ ყოფნით და გაიქცესო. ეფრეიტორი, მართალია, საიმედო და ფრთხილი ადამიანია, მაგრამ მას ერთხელ ორი მაწანწალა გაექცა (ფაქტიურად საქმე შემდეგნაირად წარიმართა: ეფრეიტორს არაფრად ეჭაშნიკებოდა მათთან ერთად ყინვაში პისეკამდე წანწალი, ამიტომ აიღო და კაუშვა ისინი მინდორში რაჟიცას მახლობლად, პროფორმისთვის კი ერთხელ გაისროლა თავისი შაშხანიდან).

— ვახშმის მოსატანად ჩვენი ბებო გავგზავნოთ, ლუდს კი კათხით მოგვიტანს ხოლმე, — ასე გადაწყვიტა ბოლოს ვახმისტრმა ეს რთული პრობლემა. — არა უშავს, ჩვენმა ბებომ ცოტა გაირბინ-გამოირბინოს — წელში გაიშლება.

და ბებია პეიზლერკას, რომელიც მათ ემსახურებოდა, კარგა გვარიანად მოუხდა აქეთ-იქით სირბილი იმ საღამოთი. ნავახშმევსაც არ შეწყვეტილა მიმოსვლა ხაზზე — ჟანდარმთა განყოფილება-სამიკიტნო „ნა კოცოურკუ“. დედაბრის მძიმე ჩექმებით თოვლზე დატოვებული უთვალავი ნაკვალევი მოწმობდნენ იმას, რომ ვახმისტრს

---

[1]. კორპუს დელიქტი — დანაშაულის შედგენილობა (ლათ.)

გადაეწყვიტა უკლებლივ აენაზღაურებინა სამიკიტნო „ნა კოცოურ-კუში“ იმ საღამოთი მიუსვლელობა.

და ბოლოს, როცა ბებია პეიზლერკა კიდევ ერთხელ გამოცხადდა სამიკიტნოში და თქვა, პან ვახმისტრმა მოგიკითხათ და გთხოვათ ერთი ბოთლი კონტუშოვკაც * გამომიგზავნეთო, ცნობისმოყვარე მიკიტანს მოთმინება აღარ ეყო.

— მეკითხებით ვინ არის მათთან? — უპასუხა ბებიამ. — აბა რა ვიცი, ვიღაც საეპვო პიროვნება უნდა იყოს. მე ახლა იქიდან მოვდივარ — ხელიხელგადახვეულნი სხედან, ბატონი ვახმისტრი თავზე ხელს უსობს და ეუბნება: „ჩემო თვალისჩინო, ჩემო საბრალო სლავო, ჩემო ჯაშუშო, საუნჯევ ჩემო!“

როცა შუაღამე უკვე კარგა ხნის გადასული იყო, ჟანდარმთა განყოფილება ასეთ სურათს წარმოადგენდა: ეფრეიტორი სრულ სამხედრო ფორმაში, როგორც იყო, გაუხდელად, საწოლის გარდიგარდმო გაშხლართულიყო და მაგრად ხვრინავდა; მის პირდაპირ იჯდა ვახმისტრი, წინ ედგა ბოთლი, რომლის ფსკერზე ცოტაღა დარჩენილიყო კონტუშოვკა, და შეეიკის კისერზე ჰქონდა ხელი შემოხვეული, ცრემლები ღვარად მოთქრიალებდა მას მზემოკიდებულ სახეზე, ულვაშები კონტუშოვკისგან დაწებიანებოდა და ასე ბუტბუტებდა:

— აბა, გამოტყდი და თქვი, რომ რუსეთში ასეთ კარგ კონტუ-

შოვკას ვერსად იშოვნი. თქვი რაღა, მოსვენებულად რომ დავიძინო. გამოტყდი, გამოიჩინე ვაჟკაცობა!

— ვერსად იშოვნი, — გაიმეორა შვეიკმა.

ვახმისტრი მიეყრდნო შვეიკს:

— აი ახლა კი დავმშვიდდი, ხომ გამოტყდი! ასე უნდა გამოტყდე ხოლმე დაკითხვაზე. თუ დამნაშავე ხარ, რაღა საჭიროა უარზე დადგომა!

წამოდგა და ცარიელი ბოთლით ხელში, ბარბაცით წავიდა თავისი ოთახისკენ, თან ბუტბუტებდა:

— ერთ... ბაშად სწორ გ....გზაზე რომ არ დავ...მდგა... რიყავი, სულ სხვა რ... რამე გამო... ვიდო... და.

სანამ ასე ტანგაუხდელად ლოგინზე მოსხლეტით დავარდებოდა, საწერ მაგიდიდან თავისი პატაკი ამოიღო და შეეცადა შეევსო ის შემდეგი მასალით: Jch muss noch dazu heizufügen, das die russische kontuszòwka § 56 საფუძველზე...“

ქაღალდს მელანი დააღვენთა, ენით ალოკა, და ტანისამოსიანად, გამოლენჩებული ღიმილით, მოცელილივით დავარდა ლოგინზე. და მკვდარივით დაეძინა.

დილით ჟანდარმთა ეფრეიტორმა, რომელსაც მოპირდაპირე კედელზე მიდგმულ საწოლზე ეძინა, ისეთი ხვრინვა და სტვენა ამოუშვა, რომ შვეიკს გაეღვიძა. იგი წამოდგა, ერთი მაგრად შეანჯღრია ეფრეიტორი და ისევ დაწვა. განთიადზე მამლებმა ყივილი გააბეს, მზე ამოვიდა. გუშინლამ სირბილისგან ილაჯგაწყვეტილი ბებია პეიზლერკას უკვე გამოეძინა და ღუმელის დასანთებად მოსულიყო. კარები ღია იყო, ყველაფერი ღრმა ძილში იყო შთანთქმული. ნავთის ჭრაქი საყარაულოში ჯერ ისევ ხრჩოლავდა. ბებიამ მთელი აურზაური ასტეხა, საწოლებიდან გადმოათრია ეფრეიტორი და შვეიკი. და ასე მიმართა ეფრეიტორს:

— არც-კი გრცხვენიათ, ტანგაუხდელს გძინავთ პირუტყვივით.

მერე შვეიკს მიუბრუნდა და შენიშვნა მისცა: შარვალი უნდა შეიკრათ, როცა თქვენ წინ ქალი დგასო.

ბოლოს აიძულა ეფრეიტორი წასულიყო, ვახმისტრი გაეღვიძებინა და ეთქვა: ეგ რა საქმეა, ამდენ ხანს ძილქუშობაო.

— კარგ კომპანიაში კი მოხვდით, თქმა არ უნდა, — ბუზღუნით ეუბნებოდა ბებია შვეიკს, სანამ ეფრეიტორი ვახმისტრს აღვიძებდა. — ერთი მეორეზე უარესი ლოთიბაშები არიან. რომ შეიძლებოდეს, საკუთარ თავს გაჰყიდიდნენ ღვინოში. აგერ მესამე წელიწა-

---

[1] აქვე უნდა დავსძინო, რომ რუსების კონტუშოვკა! (გერმ.).

დია ჩემი მართებთ, მაგრამ როგორც კი ენას დაეძრავ, უმალ ვახმისტრი ბურთს ჩამჩრის პირში! „ჩუმად იყავ, ბები, თორემ ჩაგსვამ. ჩვენთვის ნამდვილად ცნობილია, რომ თქვენი ვაჟი — ბრაკონიერია და ბატონის შეშას იპარავსო“. და აი, მეოთხე წელიწადია ასეთ ჭაპანწყვეტაში ვარ. — ბებიამ ღრმად ამოიხვნეშა და ბუზღუნი განაგრძო: — მოერიდეთ ყველაზე მეტად ვახმისტრს. მელიასავით გაიძვერაა და მამაძაღლი, რომლის ბადალი ქვეყნიერებაზე იშვიათად მოიძებნება. სულ იმას უძუძგურებს, ვინმეს ხელი წაავლოს და ჩასვას.

ვახმისტრი ძლივს გააღვიძეს. ეფრეიტორმა დიდის გაკვირვებით დაარწმუნა იგი, რომ უკვე დილა იყო.

ბოლოს, როგორც იქნა, ვახმისტრმა წაართვა ძილს თავი, მუშტით მოისრისა თვალები და თანდათან გაიხსენა გუშინდელი საღამო. ანაზდად საშინელმა აზრმა გაუელვა თავში, ბინდგადაკრული თვალები შეავლო ეფრეიტორს და შიშატანილმა ჰკითხა:

— გაიქცა?!

— ღმერთმა დაგვიფაროს, პატიოსანი. ყმაწვილია.

ეფრეიტორმა სიარული დაიწყო ოთახში, ფანჯარაში გაიხედა, უკან გამოტრიალდა, მაგიდაზე გაზეთის ქაღალდს ნაკუწი წაახია და დააგორგალა. ეტყობოდა, რაღაცის თქმა უნდოდა.

ვახმისტრი უნდობლად უყურებდა მას, უნდოდა ზუსტად გაეგო, რას ფიქრობდა მასზე ეფრეიტორი, ამიტომ ბოლოს უთხრა:

— კეთილი, მე თვითონ დაგეხმარებით, პანე ეფრეიტორ, გუშინ კიდეე ავურიე, ხომ?

ეფრეიტორმა საყვედურით შეხედა თავის უფროსს.

— რომ იცოდეთ, პანე ვახმისტრ, რას არ ლაპარაკობდით გუშინღამ. რა არ უთხარით ტუსაღს, ვინ მოთვლის.

დაიხარა ვახმისტრის ყურთან და ჩურჩულით უთხრა:

— ჩვენ ყველანი — ჩეხები და რუსები — ერთი სლავური სისხლისა ვართო. ნიკოლაი ნიკოლაევიჩი* მომავალ კვირას პრშეროვეში* იქნებაო; ავსტრია ვერასგზით ვერ გაუძლებსო, და ტუსაღს ურჩევდით, შემდგომ დაკითხვის დროს ყველაფერი ხელაღებით უარყავით, მოჩმახეთ, რაც ენაზე მოგადგებათო და იქამდე აკვიანურეთ, სანამ კაზაკები არ გიხსნიანო. თქვენ კიდეე უთხარით, რომ სულ მალე ყველაფერი ოხერტიალად წავა, ჰუსიტების ომები განმეორდება, გლეხები ჯაკვებით შეიარაღებულნი ვენაზე წავლენ, ხელმწიფე-იმპერატორი მიხრწნილია და მალე ჩაბარდება პატრონს, ვილჰელმი კი — მხეციაო. მერე დაპირდით, საპყრობილეში ფულს გამოგიგზავნი ხოლმე, რომ შიმშილით სული არ გაგძვრესო, და ათასი რამ ამდაგვარი.

ეფრეიტორი მოსცილდა ვახმისტრს.

— ყველაფერი ეს ძალიან კარგად მახსოვს, — დასძინა მან, — ვინაიდან თავდაპირველად არ ვეტანებოდი სასმელს, მერე კი, მართალი გითხრათ, თავში შემიჯდა და უკვე აღარაფერი მახსოვს.

ვახმისტრმა ცოტა ხანს უყურა ეფრეიტორს.

— მე კი მახსოვს თქვენ რასაც ამბობდით,—თქვა მან, — რუსებთან შედარებით ჩვენ ცხვირმოუხოცელი ბიჭ-ბუჭები ვართო. ბებიასთანაც კი გაპყვიროდით: „გაუმარჯოს რუ-ეთსო!“

ეფრეიტორმა ნერვიულად დაიწყო სიარული ოთახში.

— და ამას ისე გაპყვიროდით, თითქოს ყელს გლადრავდნენ დანით — უთხრა ვახმისტრმა. — მერე გაიშხლართეთ საწოლზე გარდიგარდმო და ხვრინვა ამოუშვით.

ეფრეიტორი ფანჯარასთან გაჩერდა, თითები ფინაზე აათამაშა და განაცხადა:

— თქვენც, პანე ვახმისტრ, ბებიასთან ენა არ გაგიჩერებიათ. მახსოვს, თქვენ იმ ბებერ დედაკაცს უთხარით: „ბები, კარგად იცოდეთ, რომ ყოველი იმპერატორი თუ მეფე მხოლოდ თავისი ჯიბისთვის ზრუნავს, ამიტომაცაა ომი. ასეთივეა ჩვენი ბეხრეკა „პროხაზკაც“, რომელიც ისე არ გამოვა ფეხისადგილიდან, რომ მთელი შონბრუნი * არ წაბილწოსო.

— ეს მე ვთქვი?!

— დიახ, პანე ვახმისტრ, სწორედ თქვენა თქვით, სანამ ეზოში გახვიდოდით პირიდან სასაქმებლად, ამასთანავე გაიძახოდით: „ბები, პირში თითი ჩამიყავითო!“

— თქვენც რომ მშვენივრად ბრძანეთ, — შეაწყვეტინა მას ვახმისტრმა. — რანაირად მოგვივიდათ თავში ასეთი სისულელე, რომ ნიკოლაი ნიკოლაევიჩი ჩეხეთის მეფე იქნებაო?

— ასეთი რამ რაღაც არ მახსოვს, — მერყეევად განაცხადა ეფრეიტორმა.

— აბა, რა გემახსოვრებათ, როცა უგონოდ მთვრალი იყავით. თვალები გოჭივით გქონდათ, და როცა გარეთ გასვლა მოგინდათ, ნაცვლად იმისა, რომ კარებში გასულიყავით, ღუმელზე აძვერით.

ორივე გაჩუმდა. სდუმდნენ დიდხანს. ბოლოს ვახმისტრმა დაარღვია დუმილი:

— ყოველთვის იმას გეუბნებოდით, პანე ეფრეიტორ, რომ ალკოჰოლი დამღუპველია. სმა თქვენ არ შეგიძლიათ, და მაინც სვამთ. რაღა გვეშველებოდა, ტუსაღი რომ გაქცეულიყო? რით ვი-

მართლებდით თავს? ოჰ, ღმერთო ჩემო, როგორ მისკდება თავი! მე თქვენ გარწმუნებთ, პანე ეფრეიტორ, — განაგრძო ვახმისტრმა, — სწორედ იმიტომ, რომ იგი არ გაიქცა, თვალცხადლივ ჩანს, თუ რა გაიძვერასთან გვაქვს საქმე და რარიგ საშიშია იგი. როცა მას გამოკითხვას დაუწყებენ იქ, განაცხადებს, რომ ჩვენ კარები დაკეტილი არ გვქონდა მთელი ღამე, რომ ჩვენ მთვრალები ვიყავით და მას ყოველ წუთში შეეძლო გაქცეულიყო, დამნაშავედ რომ თავს გრძნობდეს. ჩვენს იღბლად, ასეთ ადამიანს არ დაუჯერებენ, და თუ ჩვენც დავიფიცებთ, რომ მისი ნათქვამი გამოგონილია და თავხედური სიცრუეა, მას თვით ღმერთიც ვეღარ უშველის, ზედმეტად კიდევ ერთ პარაგრაფს მიაკერებენ — და მორჩა. მისთვის კი ზედმეტი პარაგრაფი არავითარ როლს აღარ თამაშობს... ეს ოხერი თავი მაინც არ მტკიოდეს ასე უწყალოდ!

ჩამოვარდა სიჩუმე. ერთი წუთის შემდეგ ვახმისტრმა ბრძანა, ბებიას მიხმეთო.

— გამიგონეთ, ბები, — მიმართა ვახმისტრმა პეიზლერკას და მკაცრად შეხედა. — სადაც გინდათ იშოვნეთ ჯვარცმა და მომიტანეთ.

ბებიამ გაკვირვებული შეხედა. ვახმისტრმა უპყივლა:

— სწრაფად! ერთ წუთში აქ იყოს!

მერე ვახმისტრმა მაგიდიდან ორი სანთელი ამოიღო, რომელთაც ოფიციალური ქაღალდების დალუქვის შემდეგ ლუქის ღერნთები შერჩენოდათ. როცა ბებია ჯვარცმით ხელში მოლასლასდა, ვახმისტრმა მაგიდის კიდეზე დადო ის ორ სანთელს შორის, აანთო სანთლები და ზეიმურად თქვა:

— დაბრძანდით, ბები.

გაოცებისგან გაშეშებული ბებია პეიზლერკა ნელა დაეშვა დივანზე და აბნეულად შეხედა ვახმისტრს, სანთლებს და ჯვარცმას. ბებია შიშის ქარმა აიტანა, ფეხები აუკანკალდა, მუხლებზე დაწყობილი ხელები აუთრთოლდა.

ვახმისტრმა ერთი-ორჯერ გაიარ-გამოიარა მის წინ, მერე გაჩერდა და ზეიმურად წარმოთქვა:

— გუშინ საღამოთი თქვენ დიდი ამბის მოწმე იყავით, ბები. ადვილი შესაძლებელია, თქვენი უტვინო თავი ამაში ვერ ერკვეოდეს. დაკავებული ჯარისკაცი — მზვერავია, ჯაშუშია, ჩემო ბები. გასაგებია?

— დედაო ქრისტეს ღვთისა! — წამოიძახა პეიზლერკამ. — წმიდაო ღვთისმშობელო მარია სკოჩიცკა!*

— ჩუმად, ბები! ჰოდა ასე: იმისათვის, რომ გამოგვეტეხა რაღაც-

რაღაცეებში, დაგვჭირდა ათასნაირი, შეიძლება ითქვას, ძალზე უცნაური ლაპარაკის ჩამოგდება, რომელიც თქვენ გუშინ მოისმინეთ. ხომ გესმოდათ, რა უცნაური საუბარი გვქონდა?

— მესმოდა, — აკანკალებული ხმით ჩაილუღლუღა ბებიამ.

— ასეთი საუბარი, ბები, იმიტომ გავუბით, რომ მისი ნდობა მოგვეხვეჭა და გამომტყდარიყო. და ეს ჩვენ მოვახერხეთ. ყველაფერი ამოვქაჩეთ. ჩვენი ხელიდან ვეღარ წავა.

ვახმისტრმა შეწყვიტა თავისი სიტყვა, ფთილები რომ გაესწორებინა სანთლებზე, მერე ისევ განაგრძო ზეიმური ხმით, თან მკაცრად ჩასცქეროდა სახეში პეიზლერკას:

— თქვენ, ბები, ესწრებოდით ამ ამბავს, და ამრიგად, ამ საიდუმლოების მონაწილე ხართ. ეს სახელმწიფო საიდუმლოებაა, და არავითარ შემთხვევაში არსად არ უნდა დაგცდეთ. ამაშია თქვენი მაღალი მოვალეობა. სიკვდილის სარეცელზეც კი სიტყვა არ უნდა დასძრათ ამის შესახებ, თორემ სასაფლაოზე დაკრძალვასაც ვერ ეღირსებით ქრისტიანულად.

— დედაო ქრისტეს ღვთისა! — მოთქმით ატირდა პეიზლერკა. — რა ეშმაკმა შემომაგდო აქ.

— ნუ ღრიალებთ! ადექით, მიდით წმიდა ჯვარცმასთან, შეატყუპეთ ორი თითი და ასწიეთ ხელი. ახლა შემომფიცავთ. გაიმეორეთ, რასაც ვიტყვი...

ბებია პეიზლერკა კოჭლობით წავიდა მაგიდისკენ, თან მოთქვამდა:

— დედაო წმინდაო ღვთისმშობელო, მარია სკოჩიცკა! ქვა ეშმაკსა, ჯვარი აქაურობასა!

ჯვრიდან მას ქრისტეს გატანჯული სახე უყურებდა, სანთლები ხრჩოლავდნენ, ბებიას კი ეს ეჩვენებოდა საშინელებად და არამიწიერად. იგი მთლად დაიბნა, მუხლები ერთმანეთზე ეხლებოდა, ხელები უცახცახებდა. მან ასწია ხელი შეტყუპული თითებით და ყანდარმთა ვახმისტრმა მკაფიოდ წარმოთქვა ფიცის სიტყვები, რომელთაც ბებია იმეორებდა:

— ეფიცავ ყოვლისშემძლე ღმერთს, ვფიცავ თქვენს წინაშეც, პანე ვახმისტრ, რომ რაც აქ ვნახე და გავიგონე, კუბოს ფიცრამდე არავის ვეტყვი, არამცთუ ჩემის ნებით, არამედ ძალაც რომ დამატანონ. დაე, ღმერთი იყოს ჩემი შემწე ამ საქმეში!

— ახლა ჯვარს ემთხვიეთ, — უბრძანა ვახმისტრმა, როცა ბებია პეიზლერკამ ხმამაღალი მოთქმით გაიმეორა ფიცი და ღვთისმოსაობით პირჯვარი გადაისახა.

— ესეც ასე. ახლა წაუღეთ ჯვარცმა იმას, ვისგანაც ინათხოვრეთ, და იქ უთხარით, რომ ჯვარი დამჭირდა მე ჩვენების ჩამოსართმევად.

გაშეთებული პეიზლერკა თითის წვერებზე გავიდა ჯვარცმით ხელში ოთახიდან, ფანჯარაში მოჩანდა, გზაზე როგორ მიდიოდა იგი და წამდაუწუმ უკან როგორ იხედებოდა ჟანდარმთა განყოფილებისკენ თითქოს უნდოდა დარწმუნებულიყო, რომ ყოველივე ეს სიზმარი არ იყო და მან ნამდვილად გადაიტანა ახლახან უსაშინელესი წუთები თავის ცხოვრებაში.

ვახმისტრი ამ დროს ხელახლა ათეთრებდა თავის პატაკს, რომელიც გუშინდამ სულ ერთთავად მელნის ლაქებით მოთხუპნა; ტექსტი ისე იყო მოსვრილი, თითქოს მარმელადი ყოფილიყოს პატაკის ფურცელში გახვეული.

მან ყველაფერი ხელახლა გადაწერა და მოაგონდა, რომ ერთი რამ გამორჩა, შვეიკისთვის უკითხავი. ბრძანა, შვეიკი მომგვარეთო, და ჰკითხა:

— ფოტო სურათის გადაღება შეგიძლიათ?

— შემიძლია.

— მაშ, რად არ ატარებთ აპარატს?

— არა მაქვს, და იმიტომ არ ვატარებ, — გულახდილად გამოუტყდა შვეიკი.

— აპარატი რომ გქონოდათ, ფოტოსურათებს გადაიღებდით? — შეეკითხა ვახმისტრი.

— ბადრიჯანს რომ ფრთები ესხას, მერცხალი იქნებოდა,—გულშეიდად უპასუხა შვეიკმა და უწყინარი მზერა შეახვედრა ვახმისტრის გამომცდელ ცქერას.

ვახმისტრს ამ დროს ისევ ისე ულმერთოდ ატკივდა თავი, ამიტომ უკეთესი აღარაფერი მოაგონდა და ეს ჰკითხა.

— ძნელია სადგურის ფოტოსურათის გადაღება?

— ყველაზე იოლია, — უპასუხა შვეიკმა. — ჯერ ერთი იმიტომ, რომ სადგური ერთ ადგილას დგას და არც ინძრეა, მეორეც იმიტომ, რომ მას არ სჭირდება ხვეწნა: „აბა, ერთი გაიღიმეთ, გეთაყვა“.

ახლა ვახმისტრს შეეძლო დამატებით შეევსო თავისი პატაკი. „Zu dem hericht, № 2172 melde ics...“ [1] დამატებაში ვახმისტრმა თავის აღმაფრენას სრული გასაქანი მისცა:

„ჯვარედინი დაკითხვის დროს პატიმარმა, სხვათა შორის, აჩვენა, რომ იცის ფოტოსურათების გადაღება და ყველაზე უფრო ემარჯვება სადგურების გადაღება. თუმცა გაჩხრეკის დროს მას არ აღმოაჩნდა ფოტოაპარატი, მაგრამ არის ეჭვი, ასეთი რამ სადღაც აქვს დამალული და თან არ ატარებს, ეჭვი რომ არ გამოიწვიოს; ეს დასტურდება

[1] ჩემი ცნობის № 2172-ისა დამატებით გაცნობებთ... (გერმ.).

მისივე აღიარებითაც, სურათებს გადავიღებდი, თან რომ მქონოდა აპარატი...“

ნამთერალევმა ვახმისტრმა ფოტოსურათების გადაღების შესახებ თავის ცნობაში მთლად აურია ყველაფერი და ორთავე ფეხით კაება. იგი წერდა:

„პატიმრის ჩვენებიდან ნათლად გამომდინარეობს, რომ აპარატის უქონლობამ ხელი შეუშალა მას რკინიგზის ნაგებობათა და საერთოდ სტრატეგიული მნიშვნელობის ადგილების გადაღებაში. ეჭვს გარეშეა, რომ თავის განზრახვას იგი სისრულეში მოიყვანდა, ზემოხსენებული ფოტოგრაფიული აპარატი ხელთ რომ ჰქონოდა, რომელიც სადღაც გადაუმალავს, მხოლოდ იმ გარემოების გამო, რომ აპარატი თან არ ჰქონდა ფოტოსურათიც არ აღმოაჩნდა“.

ვახმისტრი დიდად კმაყოფილი იყო თავისი ნაწარმოებით და თავმომწონედ წაუკითხა ის ეფრეიტორს.

— მშვენივრად გამომივიდა, — თქვა მან. — ხედავთ, როგორ უნდა მოხსენებებს შედგენა. აქ ყველაფერი უნდა იყოს. გამოძიება, ჩემო კეთილო, არც ისე უბრალო საქმეა, და რაც მთავარია — მოხერხებულად უნდა აღნუსხო მოხსენებაში ყოველივე, ისე რომ უმაღლეს ინსტანციაში გაოცებისგან პირი დააღონ. ერთი მომგვარეთ აქ იგი. დროა მოვრჩეთ ამ საქმეს.

— მაშ ასე, პან ეფრეიტორი წაგიყვანთ თქვენ პისეკში — საოლქო ჟანდარმთა სამმართველოში, — უთხრა მან მედიდურად შვეიკს. — ინსტრუქციის მიხედვით, ხელბორკილი უნდა გაგიყაროთ და ისე გაგისტუმროთ, მაგრამ ვინაიდან თქვენ, ჩემის აზრით, წესიერი ადამიანი ხართ, ბორკილს არ გაგიყრით. დარწმუნებული ვარ, რომ გზაშიც არ შეეცდებით გაქცევას. — ვახმისტრს, ეტყობოდა, გული აუჩუყდა, როცა შვეიკის სახეს შეხედა და დასძინა: — ცუდად ხუ მომიგონებთ. წაიყვანეთ, პანე ეფრეიტორ, ან ჩემი პატაკიც.

— ბედნიერად ბრძანდებოდეთ, — რბილად უთხრა შვეიკმა. — მადლობელი ვარ, პანე ვახმისტრ, ყველაფრისთვის, რაც გამიკეთეთ. თუ შესაძლებლობა მოვეცა, ორიოდე სიტყვას მოგწერთ. თუ თქვენ მხარეს მოვხვდი, უეჭველად გესტუმრებით.

შვეიკი და ეფრეიტორი გზატკეცილზე გამოვიდნენ; ვინც მათ დაინახავდა, თუ რა გულდასმით და გულითადად საუბრობდნენ, უთუოდ გაიფიქრებდა, — ძველი მეგობრები არიან, შემთხვევით შეხვდნენ ერთმანეთს გზაში და ახლა ქალაქში ერთად მიდიან ეკლესიაში წირვის მოსასმენადო.

— არ მეგონა, — ელაპარაკებოდა შვეიკი ეფრეიტორს, — რომ გზა ბუდეიოვიცესკენ ასე გამიძნელდებოდა. ეს მაგონებს კობილი-

სელ ყასაბ ხაურას ერთ შემთხვევას. ერთხელ იგი აღმოჩნდა პალაცკის* ძეგლთან მორანზე და მის ირგვლივ დილამდე იწრიალა, ეგონა კედლის გასწვრივ მივდივარო, კედელს კი დასასრული არ უჩანდა. ხაურა სასოწარკვეთილებაში ჩავარდა. დილით არაქათი აღარ ჰქონდა და მთლად ილაჯგაწყვეტილმა ერთი წამოიყვირა „მიშველეთო!“ მოცვივდნენ პოლიციელები, და ყასაბმა ჰკითხა მათ, როგორ გავიდე კობილისში, აგერ ხუთი საათი იქნება, რაც რომელიღაც კედელს მივყვები, მის ბოლოს კი, არ იქნა და არა, ვერასგზით ვერ მივაღწიეო. პოლიციელებმა მას ხელი ჩაავლეს და უბანში წაიყვანეს, იქ მან ყველაფერი მილეწ-მოლეწა.

ეფრეიტორს ხმა არ ამოუღია, მხოლოდ გაიფიქრა: „ნეტავი რად მიყვება ყოველივე ამას? ისევ თავისი ლათაიები წამოიწყო ბუდეიოეიცეს შესახებ.“

გვერდით გაუარეს გუბურს, და შვეიკი დაინტერესდა, ამ რაიონში ბევრნი თუ არიან ისეთი მეთევზეები, რომლებიც უნებართვოდ თევზს იჭერენო.

— აქაურობა ბრაკონიერებითაა სავსე, — უპასუხა ეფრეიტორმა. — წინანდელი ვახმისტრი კინალამ დაახრჩეს ამ გუბურაში. გუბურას დარაჯი ესვრის ხოლმე მათ წვრილად დაკეპილ ჯაგარით გატენილ თოფს ზედ უკანალში, მაგრამ ამაოდ — შარვალში თუნუქის ფურცელი აქვთ ჩადებული.

და ეფრეიტორი ოდნავ შეეხო პროგრესის თემას, იმას, თუ სადამდე მივიდა ხალხი, კვანტს როგორ უდებენ ერთიმეორესო, შემდეგ განაგითარა ახალი თეორია იმის შესახებ, რომ ომი დიდი სიკეთეა მთელი კაცობრიობისთვის, რადგან წესიერ ადამიანებთან ერთად საიქიოს ბევრ გაიძვერასა და თაღლითსაც ისტუმრებსო.

— ისედაც ბევრია ხალხი ქვეყანაზე, — ღრმააზროვნად დაასკვნა ეფრეიტორმა. — ეღარ ეტევიან დედამიწაზე, უსაშველოდ გამრავლდნენ!

სამიკიტნოს უახლოვდებოდნენ.

— დღეს მაგარი ქარბუქია, — თქვა ეფრეიტორმა. — ჩემის აზრით, ურიგო არ იქნებოდა ჭიქა არაყი გადაგვეკრა. არავისთან წამოგცდეთ, რომ პისეკში მიგაცილებთ დაპატიმრებულს. ეს სახელმწიფო საიდუმლოებაა.

ეფრეიტორს ამ დროს თვალწინ აუთამაშდა ცენტრიდან გამოგზავნილი ინსტრუქცია საეჭვო ადამიანების შესახებ და ჟანდარმთა თვითეული განყოფილების მოვალეობა „მოახდინონ ამ პირთა იზოლაცია ადგილობრივ მცხოვრებლებისგან და მკაცრად ადევნონ

თვალყური, რომ შემდგომ ინსტანციაში მათი გადაგზავნა ზედმეტი მითქმა-მოთქმის საბაბად არ გადაიქცეს მოსახლეობაში".

— არ გაბედოთ და არაფერი თქვათ, რა შეილიცა ბრძანდებით, — უთხრა მან. — არავის აინტერესებს თქვენი საქმიანობა. პანიკის საბაბი არ მისცეთ ხალხს. პანიკა ომის დროს საშინელი რამაა. ვინმე ერთ რაღაცას წამოაყრანტალებს და მთელ ქვეყანას მოედება! გასაგებია?

— პანიკის საბაბს მე არავის მივცემ, — თქვა შვეიკმა, და მართლაც ამ განცხადების შესაბამისად ეჭირა თავი.

როცა სამიკიტნოს პატრონი მას გამოელაპარაკა, შვეიკმა უბრალოდ უპასუხა:

— აი, ჩემი ძმა ამბობს, რომ ერთ საათში პისეკში ვიქნებითო.

— მაშ თქვენი ძმა შვებულებაშია? — ჰკითხა მიკიტანმა ეფრეიტორს.

მან წარბშეუხრელად უპასუხა:

— დღეს უთავდება შვებულება.

როცა მიკიტანი მათ მოსცილდა, ეფრეიტორმა თვალი ჩაუკრა შვეიკს და თქვა:

— ძალიან არ გავაცურეთ ყინვაზე! მთავარია: პანიკა არ ავტეხოთ — ომიანობაა.

სამიკიტნოში რომ შედიოდა, ეფრეიტორმა თქვა, ჭიქა არაყი ურიგო არ იქნებაო, მაგრამ ის კი აღარ გაითვალისწინა ეს ჭიქა რამდენი იქნებოდა. თორმეტი ჭიქა. რომ გადაყლურწა, ხმამაღლა და გადაჭრით განაცხადა, საოლქო ჟანდარმთა სამმართველოს უფროსი სამ საათზე საღილად ჯდება, ამიტომ აზრი არა აქვს ახლა იქ წასვლას, მით უმეტეს, რომ გარეთ ქარბუქია. საღამოს ოთხ საათზე რომ მივიდეთ, ლოდინი მაინც დაგვჭირდება. ასე რომ, ექვს საათამდე დრო გვაქვს. ეს კია, რომ სიბნელეში მოგვიხდება სიარული, ამინდზე ეტყობა. ახლა წავალთ, თუ უფრო გვიან რა განსხვავებაა: — პისეკი არსად გაგვექცევა.

— ჩვენ კმაყოფილი უნდა ვიყოთ, რომ სითბოში ვსხედვართ, — დაასკვნა მან. — იქ, სანგრებში ასეთ ამინდში გაცილებით უარესია, ვიდრე აქ, ღუმელთან.

კაფელის დიდი ღუმელი უხვად აფრქვევდა სითბოს და ეფრეიტორმა ბრძნული აზრი განავითარა — საჭიროა გარეგანი სითბო შინაგანი სითბოთი შევავსოთ სხვადასხვა ტკბილი და მაგარი ნაყენების საშუალებით, როგორც ჰალიციაში ამბობენო. მიკიტანს ამ ნაყენების რვა სახეობა აღმოაჩნდა, — როცა გარეთ ქარბუქი გუ-

ლისგამწყალებლად ზუზუნებდა, იგი რიგრიგობით მათ ჭაშნიკს უსინჯავდა და მოწყენილობას იქარვებდა.

ეფრეიტორი გამუდმებით ხმამაღლა აშურებდა მიკიტანს, აბა, აბა არ ჩამომრჩეო, და თვითონ სვამდა და სვამდა, თან მიკიტანს უკიჟინებდა, ცოტას სვამო. ეს აშკარა ცილისწამება იყო, რადგან მიკიტანი ძლივსღა იდგა ფეხზე, დაჟინებით მოითხოვდა „ცხრას“ თამაში გავმართოთო და მალე იმის მტკიცებასაც კი შეუდგა, რომ წუხელი აღმოსავლეთით ზარბაზნების ქუხილი ისმოდაო. ეფრეიტორმა ამის საპასუხოდ დაასლოკინა და განაცხადა:

— მაგეებს თავი დ-დაანებე! პანიკა არ ამიტეხო! ამის შესახებ ჩვენ ინსტრუქცია გვაქვს, — და შეუდგა იმის ახსნა-განმარტებას, რომ ინსტრუქცია უკანასკნელ განკარგულებათა კრებულს წარმოადგენსო.

ამასთანავე რამდენიმე საიდუმლო ცირკულარი გაამხილა და მათ შესახებ ბევრი ილაყბა. მიკიტანს ამქვეყნისა უკვე აღარაფერი ესმოდა. ერთადერთი, რისი ჩალუღლუღება მოახერხა, ეს იყო — ინსტრუქციებით ომს ვერ მოვიგებთო.

უკვე დაბნელებული იყო, როცა ეფრეიტორმა გადაწყვიტა შვეიკთან ერთად პისეკისკენ გადგომოდა გზას. ისეთი ბუქი იდგა, რომ ერთ ნაბიჯზე აბსოლუტურად არაფერი ჩანდა. ეფრეიტორი წამდაუწუმ გაიძახოდა:

— მიდი, მიდი, სულ პირდაპირ იარე პისეკამდე.

როცა ეს მესამეჯერ წამოიძახა, მისი ხმა უკვე გზატკეცილიდან კი არა, საიდანღაც ქვემოდან გაისმა, სადაც ჩაგორებულიყო. თოვლში შაშხანის დაბჯენით, ძლივძლივობით ამოძვრა გზაზე. შვეიკს შემოესმა მისი ყრუ სიცილი: „თითქოს ყინულის მთიდან დავცურდიო“. ერთ წუთსაც არ გაუვლია, ისევ ფერდობზე დაქანდა, თან ისე ძალუმად დაიღრიალა, რომ ქარის ძლიერი სტვენა დაფარა:

— გადავვარდი, პანიკა!

ეფრეიტორი ბეჯით და გამრჯელ ჭიანჭველას დაემსგავსა, რომელიც, ჩავარდება თუ არა სადმე ღრმულში, შეუპოვრად მიფორთხავს ისევ ზემოთ. ეფრეიტორმა ზედიზედ ხუთჯერ გაიმეორა ეს ვარჯიში და ბოლოს, როცა ფეხი მოიკიდა შვეიკის გვერდით, ნაღვლიანად წარმოთქვა:

— ადვილად შეიძლებოდა დამკარგვოდით!

— ნუ სწუხხართ, პანე ეფრეიტორ, — უთხრა შვეიკმა. — ყველაზე კარგს ვიზამთ, თუ ერთმანეთს გადავებმებით, მაშინ აღარ დავკარგავთ ერთიმეორეს. ხელბორკილები თანა გაქვთ?

— ყოველი ჟანდარმი, როგორც წესი, ხელბორკილებს თან ატა-

რებს, — რიხით უპასუხა ეფრეიტორმა, რომელიც თავს ძლივს იმაგრებდა და ქანქარასავით ირხეოდა. — ეს ჩვენი პური არსობისაა.

— მაშინ მოდი და, გადავებათ ერთმანეთს, — ურჩია შვეიკმა. — ცდა ბედის მონახევრეაო.

ეფრეიტორმა ჩვეული, დახელოვნებული მოძრაობით ხელბორკილის ერთი რგოლი შვეიკის ხელს შეაბა, მეორე — თავისას, ისინი სიამელი ტყუპებივით ერთ არსებად შეკავშირდნენ. ორივე ბორძიკობდა; ეფრეიტორი მიათრევდა შვეიკს ქვების ღორღზე და როცა დაეცემოდა, თან შვეიკსაც გადაიყოლებდა. ამ დროს ხელბორკილები საშინელ ტკივილს აყენებდა ერთსაც და მეორესაც. ბოლოს ეფრეიტორმა განაცხადა, რომ ასე არაფერი გამოვა, ხელბორკილები უნდა შევიხსნათო. მაგრამ ამაო იყო მისი ცდა ბორკილებისგან გაეთავისუფლებინა როგორც თავისი თავი, ისე შვეიკი, და მძიმედ ამოიხვნეშა:

— ჩვენ ერთმანეთს გადაბმული ვართ უკუნითი უკუნისამდე.

— ამინ, — დაასკვნა შვეიკმა, და ორთავემ განაგრძეს მძიმე გზა.

ეფრეიტორი უიმედო სასოწარკვეთილებაში ჩავარდა. დიდი ტანჯვა-წამების შემდეგ გვიან საღამოთი, როგორც იქნა, მიაღწიეს

პისეკს. ჟანდარმთა სამმართველოს კიბეზე დანაღვლიანებულმა ეფრეიტორმა უთხრა შვეიკს:

— ცუდადაა საქმე — ჩვენ ერთიმეორისგან ვერ განვთავისუფლდებით.

და მართლაც, საქმე ცუდად იყო. მორიგე ვახმისტრმა გაგზავნა შიკრიკი სამმართველოს უფროსის როტმისტრ კენიგის დასაძახებლად. პირველი, რაც როტმისტრმა თქვა, ეს იყო:

— აბა, ისუნთქეთ. ყველაფერი გასაგებია.

ნაცადი ალღოს მეოხებით მან სწრაფად და უტყუარად დასვა დიაგნოზი:

—აჰა! რომი, კონტუშოვკა, ჩერტი,* ჭნავზე, ნიგოზზე ალუბალზე და ვანილზე დაყენებული არაყი. პანე ვახმისტრ, — მიუბრუნდა იგი ხელქვეითს, — აი თქვენ მაგალითი, როგორ არ უნდა გაძოიყურებოდეს ჟანდარმი. ასეთი ოინბაზობა — დანაშაულია, რომელსაც გაარჩევს სამხედრო სასამართლო. ბორკილებით გადაეჯაჭვო პატიმარს და გალეშილი მოხვიდე სამმართველოში! ასეთი ღორული სახით შემოხვიდე აქ! აბა, მოხსენით ხელბორკილები! — უთხრა ვახმისტრს.

ეფრეიტორმა თავისუფალი მარცხენა ხელით სამხედრო სალამი მისცა როტმისტრს.

— კიდევ რაო? — ჰკითხა როტმისტრმა.

— მაქვს პატივი მოგახსენოთ, პანე როტმისტრ, მოვიტანე პატაკი.

— თვითონ თქვენს შესახებ გაიგზავნება პატაკი სასამართლოში, — მოკლედ მოუჭრა როტმისტრმა. — პანე ვახმისტრ, დაამწყვდიეთ ორთაევე! ხვალ დილით მომიყვანეთ დასაკითხავად, პუტიმიდან გამოგზავნილ პატაკს გაეცანით და ბინაზე გამომიგზავნეთ.

პისეცკელი როტმისტრი კენიგი ტიპიური მოხელე იყო: მკაცრი — ხელქვეითების მიმართ და მთელი თავისი არსებით ბიუროკრატი.

მის ხელქვეით მყოფ ჟანდარმთა განყოფილებებში არასოდეს არ შეეძლოთ შვებით ამოესუნთქათ და ეთქვათ: „ღვთის წყალობით, ქარიშხალმა გადაიარაო!“ ქარიშხალი კვლავ და კვლავ ბრუნდებოდა როტმისტრ კენიგის მიერ ხელმოწერილ ყოველ განკარგულებასთან ერთად. დილიდან საღამომდე როტმისტრი წერდა და წერდა საყვედურს, გაფრთხილებას, მუქარას, და მთელს მხარეში აგზავნიდა.

ომის დაწყებისთანავე მძიმე ღრუბლები ჩამოწვა პისეკის მხარის ჟანდარმთა ყველა განყოფილებაზე. ბიუროკრატიული რისხვა

ჰქუხდა ჟანდარმთა თავზე, დრო და დრო რომელიმე ვახმისტრს, ეფრეიტორს, რიგით ჟანდარმს ან კანცელარიის მოხელეს თავს ატყდებოდა ჭექა-ქუხილი. უბრალო რამისთვის დისციპლინარული სასჯელი არავის ასცდებოდა.

— თუ ჩვენ გვსურს გამარჯვება, — ამბობდა როტმისტრი კენიგი ჟანდარმთა განყოფილებების საინსპექციო შემოვლის დროს, — ყველაფერი თავის ადგილას უნდა იყოს, „ანი" უნდა იყოს „ანი", „ბანი" უნდა იყოს „ბანი".

ყველგან თავის გარშემო მას ღალატი და შეთქმულებანი ელანდებოდა. იგი სრული დარწმუნებული იყო, რომ მისი მხარის ყოველ ჟანდარმს პატარ-პატარა ცოდვები მაინც მიუძღვის, რომლებიც გამოწვეულია სამხედრო ვითარებით და რომ ყოველი მათგანი ამ სერიოზულ დროში დაუდევრად ეკიდება თავის სამსახურებრივ მოვალეობას.

ზევიდან კი, თავდაცვის სამინისტროდან, თვითონ მას უტევდნენ ბრძანებებით და მიუთითებდნენ, — სამხედრო სამინისტროს ცნობებით, პისეკის ოლქიდან გაწვეული ჯარისკაცები მტრის მხარეზე გადადიანო, და კენიგს ცეცხლს უკეთებდნენ, რათა უფრო ფხიზლად დაეჭირა თვალი მოსახლეობის ლოიალობაზე. ყველაფერი ეს საძაგლად გამოიყურებოდა. როცა გაწვეულ ჯარისკაცთა ცოლები აცილებდნენ ქმრებს ფრონტზე, ჯარისკაცები ამშვიდებდნენ ცოლებს, ნუ სწუხხართ, თავს არ დავიღუპავთ ხელმწიფეიმპერატორისთვისო. როტმისტრმა ყოველივე ეს კარგად იცოდა.

შავ-ყვითელ ჰორიზონტებს რევოლუციის ღრუბლები გადაეფარა. სერბიასა და კარპატებში ჯარისკაცები მთელ ბატალიონებად გადადიოდნენ მტრის მხარეზე, იარაღი დაყარეს ოცდამერვე და მეთერთმეტე პოლკებმა. უკანასკნელი შედგებოდა პისეკიდან გაწვეულებისგან. ამ მრისხანე წინარევოლუციურ ატმოსფეროში მოვიდნენ ახალწვეულები ვოდნიანიდან საკილოვეში გარეკილი ხელოვნური შავი მიხაკებით. პისეკის სადგურში გაიარეს ჯარისკაცებმა პრაღიდან; ესენი უკან ჰყრიდნენ სიგარეტებსა და შოკოლადებს, რომლებიც მათ, პირუტყვის ვაგონებში შერეკილთ, პისეკის დიდგვაროვანმა ქალებმა უთავაზეს. მეორეხელ, როცა პისეკის სადგურში გაიარა სამარშო ბატალიონმა, რამდენიმე ადგილობრივმა ებრაელმა მისასალმებლად წამოიძახა: „Heill Nieder mit den Serbien" [1].

მაგრამ მათ ამისთვის ისე დაუსისხლიანეს ცხვირპირი, რომ მთელი ერთი კვირა ქუჩაში ვეღარ გამოდიოდნენ.

[1]. ჰაილ! ძირს სერბიელები!

იმ დროს, როცა ეს ამბები ხდებოდა, რომლებიც ნათელს ხდიდნენ, რომ ეკლესიებში ავსტრიული ჰიმნის „ღმერთო შემიწყალე მეფეო!“ ორღანოზე ჩვეულებრივი შესრულება დრომოჭმული, ძველისძველი მოვარაყებული ნივთივით თვალს ატყუებდა და ფარისევლობის განსახიერებას წარმოადგენდა, ჟანდარმთა განყოფილებებიდან მოდიოდა a la პუტიმას ცნობილი პასუხები იმის შესახებ, რომ ყველაფერი რიგზეა, არავითარი აგიტაცია ომის წინააღმდეგ არ ხდება, მოსახლეობის სულისკვეთება შეესაბამება I-a-ს, აღფრთოვანება — I-a — I-в-ს.

—ჟანდარმები კი არა, ქუჩის პოლიციელები ხართ, — იგინებოდა როტმისტრი თავისი საინსპექციო შემოვლის დროს. — ნაცვლად იმისა, რომ სიფხიზლე ათჯაჯი პროცენტით ასწიოთ, თქვენ თანდათან პირუტყვებად იქცევით. — როცა როტმისტრი ასეთ ზოოლოგიურ აღმოჩენას გააკეთებდა, შემდეგ დაუმატებდა: — წამოწოლილხართ მხართეძოზე, ყველაფერი ფეხებზე დაგიკიდიათ და ფიქრობთ: „Mit ganzen Krieg kanu man uns Arsch lecken!“[1]

შემდეგ ამას მოჰყვებოდა საბრალო ჟანდარმების მოვალეობათა ჩამოთვლა, ზედ ერთვოდა ლექცია თანამედროვე პოლიტიკური მდგომარეობის შესახებ და რომ გვესაჭიროება მუშაობაში გაბეჯითება, რათა ყველაფერი წესრიგში იყოს.

ჟანდარმთა სრულყოფის ბრწყინვალე იდეალის ასეთი გაბედული და მკაფიო დასურათხატების შემდეგ, რაც მიმართული იყო ავსტრიის მონარქიის წელის გასამაგრებლად, იწყებოდა მუქარა, დისციპლინარული სასჯელი, ერთი ადგილიდან მეორეზე გადაყვანა და დატუქსვანი.

როტმისტრი მტკიცედ იყო დარწმუნებული, რომ იგი სახელმწიფო ინტერესების სადარაჯოზე დგას, რომელიღაც დიდ საქმეს მშველელად ეევლინება და რომ ყველა მისი ხელქვეითი ჟანდარმი ზარმაცია, გაიძვერა, ეგოისტი, იშკილბაზი, ყალთაბანდია, რომლებიც არაყის, ლუდისა და ღვინის მეტს არაფერს ცნობენ ამქვეყნად. და რადგან ფული არ უჭყიავით ჯიბეში, ქრთამებს იღებენ, რაც ნელა, მაგრამ ყოველ ეპვს გარეშე ძირს უთხრის ავსტრიას.

ერთადერთი ადამიანი, რომელსაც იგი ენდობოდა, იყო მისი ვახმისტრი საოლქო ჟანდარმთა სამმართველოდან, მაგრამ ისიც კი სამიკიტნოში ასე ამბობდა ხოლმე: „დღეს ერთხელ კიდევ გავათამაშე ის ჩემი ბებერი ბოთე უფროსიო“.

როტმისტრი ყურადღებით კითხულობდა პუტიმას ჟანდარმთა

[1] მთელი თქვენი ამ ომით შემთხვიეთ უკანალზეო! (გერმ.).

ვახმისტრის პატაკს შვეიკის შესახებ, მის წინ კი იდგა ვახმისტრი მატეიკა და თავის გულში ჯანაბამდე გზას უსურვებდა როტმისტრს მისი პატაკიანად, რადგან ქვემოთ სალუდეში „შნოპსის“ თამაში ელოდებოდა.

— ამას წინათ მე თქვენ გითხარით, მატეიკა, — უთხრა როტმისტრმა, — რომ ყველაზე დიდი ხეპრე, რომელიც ჩემ სიცოცხლეში შემხვედრია, ეს პროტივინელი ვახმისტრია-მეთქი. მაგრამ ამ პატაკის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, პუტიმელმა ვახმისტრმა ბევრად აჯობა მას სისულელეში. სალდათი, რომელიც ამ ლოთიბაშმა ეფრეიტორმა მოიყვანა (გახსოვთ, ისინი ძაღლებივით იყვნენ ერთმანეთზე გადაბმულნი), არავითარი ჯაშუში არ არის. იგი, ლაპარაკი არ უნდა, უბრალოდ ჩვეულებრივი დეზერტირია. ვახმისტრი თავის პატაკში მიედმოედება; ბავშვიც კი ერთბაშად მიხვდება, პაპის პრელატივით, * ღვინით გალეშილა ის გაიძვერა. ახლავე მომგვარეთ პატიმარი, ბრძანა მან, თან პუტიმადან მიღებულ პატაკს ეცნობოდა. — ჩემს დღეში არ შემხვედრია ამდენი იდიოტური სიტყვები. კიდევ მეტი: გიგზავნის ამ საეჭვო პიროვნებას ისეთი ხეპრე ბადრაგათი, როგორიცაა მისი ეფრეიტორი. კარგად ვერ მიცნობენ ეს ვაჟბატონები! სანამ ჩემს თვალწინ შიშისგან ერთი სამჯერ არ ჩაისვრებიან, მანამ ვერ მიხვდებიან, რომ ჩემთან ხუმრობა არ არგებთ!

და როტმისტრმა გააბა ლაპარაკი იმის შესახებ, რომ ჟანდარმერია ყურადღებას არ აქცევენ ბრძანებებს და იმის მიხედვით, როგორ ადგენენ პატაკებს, ჩანს, რომ ყოველი ვახმისტრი ყველაფერს სამასხროდ იგდებს და ცდილობს მხოლოდ ჩახლართოს საქმე.

როცა ზემოდან ვახმისტრების ყურადღებას მიაქცევენ ხოლმე, რომ გამორიცხული არაა მათ რაიონში მზვერავების გამოჩენის შესაძლებლობა, ჟანდარმთა ვახმისტრები იწყებენ ამ მზვერავების ბითუმად გამოგონებას. ომი რომ გაგრძელდეს, ყველა ჟანდარმთა განყოფილება სიგიჟეთად გადაიქცევა.

კანცელარიამ ახლავე გაგზავნოს ტელეგრამა პუტიმაში, რათა ვახმისტრი ხვალ პისეკში გამოცხადდეს. გამოვურეკავ მას გოგრიდან „ამ დიდი მნიშვნელობის მოვლენას“, რის შესახებაც თავის პატაკში წერს.

— რომელ პოლკიდან გამოიპარეთ? — შეაგება როტმისტრმა შეკითხვა შვეიკს.

— არც ერთ პოლკიდან მე არ გამოვპარულვარ.

როტმისტრმა შეხედა შვეიკს და მის სახეზე დაინახა სრული უდარდელობის გამომეტყველება.

— სად იშოვეთ სამხედრო ტანსაცმელი? — ჰკითხა როტმისტრმა.

— ყოველ ჯარისკაცს, როცა იგი სამხედრო სამსახურში შედის, ტანსაცმელს აძლევენ, — რბილი ღიმილით უპასუხა შვეიკმა. — ვმსახურობ ოთხმოცდამეთერთმეტე პოლკში და არათუ არ გამოვპარულვარ ჩემი პოლკიდან, პირიქით.

ეს სიტყვა „პირიქით“ ისეთი ხაზგასმით წარმოთქვა, რომ როტმისტრმა, გამოსახა რა თავის სახეზე ირონიული გულშემატკივრობა, ჰკითხა:

— როგორ თუ „პირიქით“?

— სრულიად უბრალოდ, — განუმარტა შვეიკმა. — მივეშურები ჩემს პოლკში, ვეძებ მას, ერთი სიტყვით, პოლკიდან კი არ გავრბივარ, პოლკში მივდივარ. ჩემი ფიქრი და სადარდებელი ახლა მხოლოდ ისღაა, რომ როგორმე და რაც შეიძლება სწრაფად მოვხვედე ჩემს პოლკში. ძალიან მანერვიულებს ის გარემოება, რომ, როგორც ვატყობ, თანდათან ვშორდები ჩესკე-ბუდეიოვიცეს. წარმოგიდგენიათ, მთელი პოლკი მე მელოდება! პუტიმელმა ვახმისტრმა რუკაზე მაჩვენა, რომ ბუდეიოვიცე სამხრეთით მდებარეობს, მე კი ჩრდილოეთით მაგზავნის.

როტმისტრმა მხოლოდ ხელი ჩაიქნია, თითქოს ამით თქვა:

„აბა, ეგ რა არის, ჩრდილოეთით ხალხის გაგზავნა, მაგაზე უარესი ოინები ჩაუდენია“.

— მაშ, ვერ გიპოვნიათ თქვენი პოლკი, არა? — უთხრა მან. — თქვენ იგი ეძებეთ?

შვეიკმა მთელი სიტუაცია განუმარტა. დაასახელა ტაბორი და ყველა ის ადგილი, რომელიც გზად გაიარა ბუდეიოვიცეს ძებნაში: მილევსკოკვეტოვი — ვრაკი — მალჩინი — ჩიკოვა — სედლეცი — ჰორაკდიევიცე — რადომიშლი — პუტიმი — შტეკნო — სტრაკონიცე — ვოლინი — დუბი — ვოდნიანი — პროტიევნი და ისევ პუტიმი. დიდი აღფრთოვანებით აღწერა მან თავისი ბრძოლა ბედთან, უამბო როტმისტრს, თუ როგორ, მთელი თავისი ძალითა და ღონით ცდილობდა გადაელახა ყველა დაბრკოლება და თავის ოთხმოცდამეთერთმეტე პოლკში მოხვედრილიყო ბუდეიოვიცეში, მაგრამ ყველაფერმა როგორ ფუჭად ჩაუარა.

შვეიკი გაცხარებით ლაპარაკობდა, როტმისტრი კი მაშინალურად ხაზავდა ფანქრით ქაღალდზე მოჯადოებულ წრეს, რომლიდანაც ყოჩაღ ჯარისკაც შვეიკს თავი ვერ დაეღწია თავისი პოლკის ძებნაში.

— რაც მართალია, მართალია, ჰერკულესის მუშაობაა ჩატარე-

ბული, — თქვა, ბოლოს, როტმისტრმა, რომელმაც სიამოვნებით მოუსმინა შვეიკს გულახდილი ჩვენება იმის შესახებ, რომ მას სტანჯავს ამდენი ხნით გზაში დაყოვნება და პოლკიდან მოწყვეტა. — ნამდვილად გასაოცარი სანახაობა იქნებოდა პუტიმის გარშემო თქვენი წრიალი!

— ყველაფერი გაირკვეოდა, — შენიშნა შვეიკმა, ეს ვახმისტრი რომ არ ყოფილიყო იმ ბედკრულ პუტიმში. მან არც სახელი მკითხა, არც პოლკის ნომერი; მას ყველაფერი ყირამალა ეჩვენებოდა. გაეგზავნე ბუდეიოვიცეში და იქ ყაზარმაში ეტყოდნენ, მე ნამდვილად ის შვეიკი ვარ, რომელიც თავის პოლკს ეძებს, თუ ვინმე საეჭვო პიროვნება. ახლა უკვე ორი დღის მისული ვიქნებოდი ჩემს პოლკში და ჩემი სამხედრო მოვალეობის შესრულების საქმიანობაშიც ჩაბმული.

— პუტიმში რად არ განაცხადეთ, რომ გაუგებრობას აქვს ადგილი?

— ვატყობდი, რომ მასთან ლაპარაკი წყლის ნაყვა იყო. იცით, ხდება ხოლმე, ადამიანი ისე გამოშტერდება, რომ ამქვეყნის აღარაფერი ესმის, თითქოს უგრძნობელი ჯირკი იყოს, როგორც ეს ვინოპრადელ მიკიტან რამპას ემართებოდა, როცა მას ფულის სასესხებლად მიმართავდნენ.

ცოტა ხნის ფიქრის შემდეგ როტმისტრი იმ დასკვნამდე მივიდა, რომ ადამიანი, რომელიც თავის პოლკში მოსახვედრად დაალერს თავს და მთელ ქვეყნიერებას შემოივლის, აშკარა დეგენერატია, ამიტომ აიღო და, ულამაზესი კანცელარული სტილით მემანქანეს უკარნახა ქვემოთმოყვანილი ტექსტი:

ჩეხკე ბუდეიოვიცეში დაბანაკებულ მისი უდიდებულესობის ოთხმოცდამეთერთმეტე პოლკის შტაბს

ამასთან ერთად გეგზავნებათ დანართის სახით იოზეფ შვეიკი, რომელიც, მისი განცხადების საფუძველზე, არის ზემოხსენებული პოლკის რიგითი ჯარისკაცი და დაკავებულია, მისივე ჩვენებით, ჟანდარმების მიერ პისეკის რაიონის პუტიმში დეზერტირობაში ეჭვის მიტანის ნიადაგზე. ზემოხსენებული იოზეფ შვეიკი ამტკიცებს, რომ მიდიოდა ზემოაღნიშნულ პოლკში. თქვენთან წარმოგზავნილი ტანდაბალია, სახის ნაკეთები ჩვეულებრივი აქვს, ცხვირი — ჩვეულებრივი, თვალები — ცისფერი, განსაკუთრებული ნიშნები — არავითარი. დანართში გეგზავნებათ ანგარიში ზემოხსენებულის სურსათით მომარაგებაზე, რაც, გთხოვთ, თავდაცვის სამინისტროს ანგარიშზე გადმორიცხოთ. უმორჩილესად გთხოვთ ასევე დაგვიდასტუროთ გადმოგზავნილის მიღება. დანართი cl-ში გეგზავნებათ აგრეთვე სია სახაზინო ნივთებისა, რომლებიც აღმოაჩნდა დაკავებულ პირს დაკავების მომენტში, რომელთა მიღება თქვენს მიერ, გთხოვთ, ასევე დაგვიდასტუროთ".

პისეკიდან ბუდეიოვიცემდე მატარებლით მგზავრობაში დროშ

შეუმჩნევლად გაირბინა. შვეიკს ბადრაგად ახლდა ახალგაზრდა გამოუცდელი ჟანდარმი, რომელიც თვალს არ აშორებდა პატიმარს და ძალიან ეშინოდა, არ გამექცესო. ერთი საშინელი საკითხი მოსვენებას არ აძლევდა ჟანდარმს: „რაღა ვქნა, საპირფარეშოში წასვლა რომ დამჭირდეს მცირე ან დიდი ფიზიოლოგიური მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლადო?"

საკითხი ასე გადაჭრა: როცა ეს საჭირო იქნება, შვეიკსაც თან წავიყვანო.

მთელი გზა, სადგურიდან ბუდეიოვიცეს მარინის ყაზარმამდე ჟანდარმი გამუდმებით უთვალთვალებდა შვეიკს და ყოველთვის, როცა ან მოსახვევს, ან გზაჯვარედინს მიუახლოვდებოდნენ, თითქოს სხვათა შორის ჩამოაგდებდა ლაპარაკს საბრძოლო ვაზნებზე, რომლებიც ბადრაგას ეძლევა. ამის საპასუხოდ შვეიკი გამოთქვამდა თავის ღრმა რწმენას, რომ არც ერთი ჟანდარმი თავს ნებას არ მისცემს ისროლოს შუა ქუჩაში, რადგან სულ ადვილად შეიძლება უბედურება დატრიალდესო.

ჟანდარმი ამაზე ეკამათებოდა, და ვერც კი შეამჩნიეს, ყაზარმამდე როგორ მივიდნენ.

პორუჩიკი ლუკაში უკვე მეორე დღე იყო, რაც ყაზარმაში მორიგეობდა. იგი კანცელარიაში მაგიდას უჯდა და არავითარი წინათგრძნობა არ აწუხებდა, როცა მასთან შვეიკი მიიყვანეს და თანდართული ქაღალდები ჩააბარეს.

— მაქვს პატივი მოგახსენოთ, პანე ობერ-ლეიტენანტ, მე ისევ აქა ვარ, — ზეიმურად განაცხადა შვეიკმა და ხელი აუღო სამხედრო სალამის მისაცემად.

ამ სცენის მოწმე პრაპორშჩიკი კოთიატკო იყო, რომელიც შემდეგში ჰყვებოდა, რომ, როგორც კი პორუჩიკმა შვეიკის ხმა გაიგონა, ერთი შეხედა, თავზე იტაცა ხელი და კოთიატკოს ხელებზე გადაესვენა. როცა გონს მოიყვანეს, შვეიკმა, რომელიც კვლავ მხედრულად გაჭიმული იდგა სამხედრო სალამით, კიდევ ერთხელ გაიმეორა:

— მაქვს პატივი მოგახსენოთ, პანე ობერ-ლეიტენანტ, მე ისევ აქა ვარ.

პორუჩიკმა ლუკაშმა, მთლად გაფითრებულმა, აკანკალებული ხელით აიღო თანდართული ქაღალდები, ხელი მოაწერა, უბრძანა ყველას, დაგვტოვეთო, ჟანდარმს უთხრა, ყველაფერი რიგზეაო, და შვეიკთან ერთად ჩაიკეტა კანცელარიაში.

ასე დასრულდა შვეიკის ბუდეიოვიცეს ანაბაზისი. ეუბნა გარეშეა, შვეიკისთვის საქმე რომ არ გაეჭირვებინათ და თავისუფალი მოგზაურობის საშუალება მიეცათ, იგი თვითონვე მიაღწევდა ბუდე-

ოვიცემდე. სამსახურის ადგილზე მისი მიყვანა სახელმწიფო დაწესებულებებმა თავის დამსახურებად თუ ჩათვალეს, ეს უბრალოდ შეცდომა გახლავთ. თუ მხედველობაში მივიღებთ შვეიკის ენერგიასა და მის დიდ სურვილს მიეღო ომში მონაწილეობა უნდა ითქვას, რომ ხელისუფლების ჩარევა ამ შემთხვევაში მხოლოდ ხელის შეშლა იყო, და მეტი არაფერი.

შვეიკი და პორუჩიკი ლუკაში ერთმანეთს უყურებდნენ. პორუჩიკის თვალებში იყო რისხვა, მუქარა და სასოწარკვეთილება. შვეიკი უყურებდა პორუჩიკს სიყვარულით აღსავსე ნაზი თვალებით, ვით დაკარგულ და კვლავ ნაპოვნ გულის სატრფოს.

კანცელარიაში სიწყნარე სუფევდა, ვით ეკლესიაში. ისმოდა მხოლოდ, დერეფანში როგორ დადიოდა ვიღაც წინ და უკან. რომელიღაც კეთილსინდისიერი ნებითგანწესებული, რომელიც სურდოს გამო, — ეს ხმაზე ეტყობოდა, — სამეცადინოდ არ გასულიყო, ცხვირში დუდუნით ზუთხავდა: „როგორ უნდა დავხვდეთ უავგუსტოესის ოჯახის წევრებს, როცა ისინი ციხე-სიმაგრეს ესტუმრებიან“. მკაფიოდ ისმოდა სიტყვები:“ Sobald die höchste Herrschaft in der Nähe der Festung anlangt, ist das Geschütz auf allen Bastionen

und werken abzufeurn, der Platzmajor empfängt dicelbe mit dem Degen in der Hand zu Pferde, und reitet. sodann vor“ [1].

— ხმა ჩაიწყვიტეთ, თქვენ ჰეი, მანდ! — გასძახა პორუჩიკმა დერეფანში. — გაეთრიეთ მაქედან! თუ სიცხე გაქვთ და აბოდებთ, ლოგინში ეგდეთ.

ბეჯითი ნებითგანწესებული განერიდა კანცელარიას და ახლა დერეფნის ბოლოდან ეხოსავით ისმოდა მისი დუდუნი: In dem Augenblicke, als der Kommandant salutiert, ist das Abfuern des geschützes zu wieder holen, welches bei dem Absteigen der höchsten Herrschaft zum drittenmale zu geschehen hat.“ [2]

პორუჩიკი და შვეიკი კვლავ მდუმარედ უყურებდნენ ერთმანეთს, სანამ, ბოლოს, პორუჩიკმა მწარე ირონიის კილოთი არ წარმოთქვა:

— კეთილი იყოს, შვეიკ, თქვენი მობრძანება ჩესკე ბუდეიოვიცეში! ვისაც ჩამოხრჩობა უწერია, ის არ დაიხრჩვება. ორდერი თქვენს დაპატიმრებაზე უკვე გამოწერილია, და ხვალ პატაკით პოლკში გამოცხადდებით. თქვენი გულისთვის ძარღვებს არ მოვიშლი. მეყო, რაც მაწამეთ. ჩემი მოთმინების ფიალა აივსო. გასაოცარია, ანკი ამდენ ხანს როგორ გაძელი ასეთი იდიოტის გვერდით!

პორუჩიკმა ბოლთას ცემა დაიწყო კანცელარიაში:

— არა, ეს პირდაპირ საშინელებაა! მიკვირს, რატომ აქამდე ტყვიით არ გაგიხვრიტეთ ეგ გოგრა. რას მიზამდნენ ამის გულისთვის? არაფერს. გამამართლებდნენ, დიახ, უთუოდ გამამართლებდნენ. გასაგებია?

— სწორია, პანე პორუჩიკ, სავსებით გასაგებია.

— მოეშვით თქვენს იდიოტურ ოინებს, თორემ მართლა თავს წააგებთ! ახლა უკვე საკადრისად გასწავლიან ჭკუას. თქვენმა სისულელეებმა ყოველგვარ საზღვარს გადააბიჯა და იფეთქებაც გამოიწვია.

პორუჩიკმა ლუკაშმა ხელები მოიფშვნიტა:

— ახლა კი დადგა თქვენი აღსასრულის ჟამი!

პორუჩიკი ლუკაში მივიდა მაგიდასთან, დაწერა ქაღალდის თაბახზე რამდენიმე სტრიქონი, გამოუძახა მორიგეს და უბრძანა —

---

[1] როგორც კი უმაღლესი პირნი სიმაგრის მახლობლად გამოჩნდებიან, ყველა ბასტიონისა და გამაგრებული ადგილების ზარბაზნებიდან მისცემენ სალუტს. სიმაგრის კომენდანტი ცხენზე ზის და წინ მიდის გაშიშვლებული ხმლით მათ შესაგებებლად.

[2] იმ მომენტში, როცა კომენდანტი ხმლით სამხედრო სალამს მისცემს უმაღლეს პირთ, გაისმის მეორე სალუტი; როცა უმაღლესი პირნი სიმაგრის ტერიტორიაზე შედგამენ ფეხს მესამედ გაისმის სალუტი (გერმ.).



შვეიკი პროფოსთან * წაიყვანეთ, პროფოსს კი ეს ქაღალდი გადაეცითო.

შვეიკი ეზოთი გაატარეს. პორუჩიკი დაუფარავი სიხარულით უყურებდა, როგორ გაიღო კარი, რომელზეც მიკრული იყო შავყვითელი ფირფიტა წარწერით: „Regimentsarrest“ [1], როგორ მიეფარა შვეიკი თვალს ამ კარს უკან და ერთი წუთის შემდეგ იქიდან მარტო პროფოსი როგორ გამოვიდა.

— მადლობა ღმერთს, — გაიფიქრა და ხმამაღლა წარმოთქვა პორუჩიკმა. — ბოლოს, როგორც იქნა, იგი იქაა!

მარიანის ყაზარმების ბნელ ჯურღმულში, სადაც შვეიკი შეაგდეს, მას გულითადი მისალმებით შეეგება ჩალის ნაალზე წამოწოლილი ჩასუქებული ნებითგანწესებული, რომელიც აქ აგერ მეორე დღე იყო მარტოდმარტო იჯდა და საშინლად მოწყენილად გრძნობდა თავს. შვეიკის შეკითხვაზე, რისთვის ჩაგსვესო, ნებითგანწესებულმა უპასუხა, სულ უბრალო საქმისთვისო. ღამით მოედანზე რომელიღაც შენობის დერეფნის ქვეშ სიმთვრალეში შემთხვევით კისერში წავუტიალე ერთ არტილერიის პორუჩიკს, უფრო სწორად

[1] პოლიის საპატიმრო (გერმ.)

რომ თქვას კაცმა, კისერში კი არ წავარტყი, ქუდი წავაძვრე თავზე და გადავუგდე. ეს ასე მოხდა: არტილერიის პორუჩიკი ღამით დერეფნის ქვეშ იდგა და, ჩანს, მეძავ ქალებზე ნადირობდა. ჩემკენ ზურგით იდგა და იგი ჩემი ნაცნობი — ნებითგანწესებული ფრანტიშეკ მატერნი მეგონა.

— ზუსტად ისეთივე ნალეკია, ჩია ტანის კაცია, — უამბობდა იგი შვეიკს. — მივეპარე ჩუმად უკნიდან, გადავუგდე ქუდი და ვეუბნები: „გამარჯობა, ფრანტა!“ ამ ხეპრემ კი სტვენა ასტეხა. ჰოდა, მოვიდა პატრული და წამიყვანა. ადვილი შესაძლებელია, — დაუშვა ნებითგანწესებულმა, — შემთხვევით ერთი-ორი კიდეც მოხვდა კისერში, მაგრამ საქმის ვითარებას ეს არ ცვლის, რადგან აქ აშკარად ჩანს, რომ შეცდომა იყო დაშვებული. იგი არ უარყოფს, რომ მე ვთქვი: „გამარჯობა, ფრანტა!“ მას კი ანტონი ჰქვია. ნათელი საქმეა. ერთადერთი, რაც მე ზიანს მომიტანს, ეს ის არის, რომ ჰოსპიტლიდან ვარ გამოქცეული, ამას კიდევ ერთი ხათაბალა ემატება, ვაითუ გამოაშკარავდა „ავადმყოფთა წიგნის“ ამბავი... როცა ჯარში გამიწვიეს, წინასწარ დავიქირავე ოთახი აქ, ბუდეიოვიცეში, და ვცდილობდი რევმატიზმი შემყროდა. სამჯერ ზედიზედ გამოვთვერი, მთვრალი ქალაქგარეთ მივდიოდი, ვწვებოდი თხრილში წვიმის ქვეშ, ჩექმებს ვიხდიდი. მაგრამ ვერაფერს მივაღწიე. მერე მთელი კვირა ზამთარში ღამღამობით მალიშეში * დავდიოდი საბანაოდ, მაგრამ სულ სხვა რამეს მივაღწიე: ისე გაკაჟდა, ძმაო, ჩემი სხეული, რომ შემდეგში მთელი ღამეები გარეთ მეძინა ხოლმე თოვლში, და როცა დილით შინაურები მაღვიძებდნენ, ფეხები ისე თბილად მქონდა, თითქოს თექურა მეცვა. ანგინა მაინც შემყროდა! არ შეგეპამოთ ჭირმა, არაფერი გამოდიოდა! კიდევ მეტი: სულ უბრალო ათაშანგსაც კი ვერსად წავაწყდი. ყოველ ცისმარე დღეს „პორტ-არტურში“ დავდიოდი, ვიღაც-ვიღაცეებმა ჩემმა კოლეგებმა მოასწრეს სათესლე ჯირკვლების ანთების მიღება, მათ ოპერაცია გაუკეთეს, მე კი იმუნიტეტი მქონდა, არაფერი მეკარებოდა. ბედი არა მაქვს, ჩემო ძმაო! ბოლოს, ერთხელ როგორღაც „უ რუჟეში“ გავეცანი ერთ ჰლუბოკელ ხეიბარს. მან მითხრა, კვირას შემოიარეთ ჩემთან ბინაზე სტუმრადო, და მარწმუნებდა, მეორე დღესვე ფეხები რუმბებივით გეკნებაო. შინ შპრიცი და ნემსი ჰქონდა კანქვეშ შესაშხაპუნებლად. და მართლაც, ჰლუბოკადან შინ ძლივ-ძლივობით მივაღწიე. არ მიმტყუნა, იმ მამაცხონებულმა, ამრიგად, როგორც იქნა, შევიძინე კუნთების რევმატიზმი. უმალ ჰოსპიტალში ამოვყავი თავი — და საქმე გაიჩარხა! მერე ბედმა კიდევ ერთხელ გამიღიმა: ეიკოვედან ბუდეიოვიცეს ჰოსპიტალში გადმოიყვანეს ჩემი ნათესავი ექიმი მასაკი. მას უნდა ვუმადლოდე, რომ ასე

დიდხანს დავრჩი ჰოსპიტალში. შეიძლებოდა, ასედაც შევრჩენოდი ჰოსპიტალს სამხედრო სამსახურიდან განთავისუფლებამდე, რომ თვითონ არ ჩამეფუშა ასე აწყობილი საქმე ამ ბედშავი „Krankenbuch-ით“.[1] შესანიშნავი ოინი კი მოვაწყე: გამოვძებნე ეეებერთელა კანტორის დავთარი, გადავაწებე ქაღალდის ნაჭერი და გულმოდგინედ დავაწერე: „Krankenbuch des 91 Reg.“, შევიტანე შიგ რუბრიკა და ყოველივე დანარჩენი, რაც საჭიროა. ამ წიგნში შემქონდა გამოგონილი სახელები, დაავადების სახე, ტემპერატურა. ყოველდღე ექიმის შემოვლის შემდეგ, მე თავხედურად ამოვიჩრიდი იღლიაში ამ წიგნს და მივდიოდი საავადმყოფოდან. ჭიშკართან ყოველთვის ძველი მოლაშქრეები მორიგეობდნენ, ასე რომ ამ მხრივაც დაზღვეული ვიყავი: დავანახვებდი წიგნს, ისინი კიდევ ხელს ამიღებდნენ სამხედრო სალამისთვის. ჩვეულებრივ მე მივდიოდი საბეგრო სამმართველოს ერთ ნაცნობ მოხელესთან, სამხედრო ტანისამოსს ვიცვლიდი სამოქალაქოზე და სალუდესკენ გავუტევდი. იქ, ჩემს ძმა-ბიჭებში „არაკეთილსაიმედო“ მუსაიფით ვერთობოდი. მალე იმდენად თავს გამივიდა, რომ ტანისამოსსაც აღარ ვიცვლიდი, სრულ სამხედრო ფორმაში დავდიოდი ქალაქში და ტრაქტირებში. ჰოსპიტალში, ჩემს საწოლს ვუბრუნდებოდი მხოლოდ გამთენიის ხანს. ღამით თუ პატრული გამაჩერებდა, საკმარისი იყო ოთხმოცდამეთერთმეტე პოლკის „Krankenbuch“ მეჩვენებინა, მეტი არაფერი იყო საჭირო, კაციშვილი არაფერს მეკითხებოდა. ჭიშკართან ისევ, უსიტყვოდ, ვაჩვენებდი წიგნს და ყოველთვის უხათაბალოდ ვაღწევდი ჩემს საწოლამდე... იმდენად გავთავხედდი, ჩემო ძმაო, რომ მეგონა კაცი ხელს არ მახლებდა, სანამ ის საბედისწერო შეცდომა არ მოხდა ღამით მოედანზე იმ დერეფნის ქვეშ. ამ შეცდომამ ნათლად დამიმტკიცა, რომ ყველა ხეს არ უწერია ცის თაღამდე აშოლტვა. სიამაყე რომ შეიპყრობს ადამიანს, ეს მისი დაცემის მომასწავებელია. რა არის სახელი და დიდება? კვამლი. იკაროსმაც კი დაიწვა ფრთები. ადამიანს სურს გიგანტი იყოს, ნამდვილად კი ნეხვია. ასეა, ჩემო ძმაო! სხვა დროს ეს კარგი გაკვეთილი იქნება ჩემთვის, რომ შემთხვევითობას არ დავენდო, და ამიერიდან გამუდმებით დღეში ორჯერ—დილით და საღამოთი — თავპირში ვიცემ და ვიმეორებ: სიფრთხილე არასდროს ზედმეტი არაა, ზედმეტობა კი მავნებელია. აღვირახსნილი ღრეობისა და დროსტარების შემდეგ ყოველთვის მორალური ნამთვრალობის პერიოდი დგება. ეს, ჩემო ძმაო, ბუნების კანონია. პირდაპირ ვერ მი-

1. საავადმყოფოს წიგნი (გერმ.)

პატიებია ჩემი თავისთვის, რომ ჩემივე საქმე მე გავიფუჭე! მე ახლა უკვე შემეძლო ვყოფილიყავი „Felddienstunfähig“[1], ასეთი პროტექციის პატრონი! სადმე სამხედრო ნაწილების შემვსები შტაბის კანცელარიაში ვიქნებოდი არხეინად... მაგრამ რაც მოგივა დავითაო, ყველა შენი თავითაო, ნათქვამია, საკუთარმა გაუფრთხილებლობამ გამომდო სარმა.

თავისი აღსარება ნებითგანწესებულმა ზეიმურად დაამთავრა:

— კართაგენიც დაემხო, ნინევიასგან ნანგრევებიღა დარჩა, ჩემო კარგო, მაგრამ არა უშავს რა — ასწი მაღლა თავი! ტყუილად ნუ იფიქრებენ, რომ, თუ ფრონტზე გამგზავნიან, თუნდაც ერთ ტყვიას გავისვრი. „Regimentsraport“.[2] სკოლიდან გარიცხვა! გაუმარჯოს! მისი იმპერატორობისა და ხელმწიფობის უდიდებულესობა კრეტინიზმს! როგორ გგონია, სკოლაში ჩაუჯდები და კირკიტს დავუწყებ საგნებს, გამოცდები რომ ჩავაბარო? კადეტი, იუნკერი, პოდპორუჩიკი, მერე პორუჩიკი... მიმიფურთხებია ყველასთვის! Offiziersschule! Behandlung jener schüler derselben welche einen Iahrgang repetieren müssen!“ [3]

მთელ არმიას დამბლა აქვს დაცემული! რომელ მხარეზე ატარებენ შაშხანას: მარცხენაზე თუ მარჯვენაზე? რამდენი ვარსკვლავი აქვს კაპრალს? Evidenzhaltung Militärreservemänner! Himmelherrgott![4] მოსაწევი არა გაქვს, ამხანაგო! გინდათ, გასწავლით ჭერში ფურთხებას? აი, უყურეთ, როგორ კეთდება ეს. სანამ ააფურთხებდეთ ჭერში, რამე ჩაიფიქრეთ და ყველაფერი აგისრულდებათ. ლუდი გიყვართ? შემიძლია შემოგთავაზოთ შესანიშნავი წყალი, აი იქ, დოქშია. თუ გინდათ გემრიელად ისადილოთ, გირჩევთ წახვიდეთ „მეშჩანსკა ბესედაში“ *. გარდა ამისა, მოწყენილობას რომ თავი გაართვათ, გირჩევთ ხელი მოკიდოთ ლექსების შეთხზვას. მე აქ უკვე მთელი ეპოპეა შევთხზე:

შინ თუ არი პროფესი? მაგრად ჩასძინებია,
სანამ არ დაესხმიან თავს ვერაგი მტრებია.
მაშინ კი წამოდგება, უმალ, ღამენათევი,
მისი აზრი და ფიქრი ცხადია და ნათელი:
მას მტრის არ ეშინია, გაქცევას არ იკადრებს,

---

1 უვარგისი სამწყობრო სამსახურისთვის (გერმ.)

2 პოლკის პატაკი. (გერმ.)

3 სამხედრო სასწავლებელი! მეცადინეობა მეორე წელს დარჩენილ მოსწავლეებთან! (გერმ.)

4 სათადარიგო ნაწილის ოფიცერთა შემადგენლობის აღრიცხვა! ღალატროს ეშმაკმა! (გერმ.)

მტერს შეუტევს, ააგებს ვეება ბარიკადებს, —
აღობილ-ჩაღობილად ტახტებით და მერხებით,
თან სიძღერას დასძახებს ავსტრიის მეფის ქებით:
„მტერი სულ გაეაშაოთ, —
იმპერატორს ეაშაო.!“

— ხედავთ, ამხანაგო, — განაგრძო ჩასუქებულმა ნებითგანწესებულმა, — თქვენ კი ამბობთ, რომ უკვე დაკარგა ყოველი პატივისცემა ხალხში ჩვენმა საყვარელმა მონარქიამ. პატიმარი, რომელსაც თამბაქოს ერთი მოქაჩვა სიცოცხლად ეღირს და რომელსაც ხვალ პოლკის პატაკი ელოდება, წარმოგვიდგენს ტახტისადმი ერთგულების უშესანიშნავეს მაგალითს და მთელ ოდებს უთხზავს ერთიან და განუყოფელ სამშობლოს, რომელსაც სულ კუდით ქვას ასროლინებენ ფრონტზე. პატიმარს თავისუფლება აღუკვეთეს, მაგრამ მის ბაგეთაგან გაისმის იმპერატორისადმი უსაზღვრო ერთგულების მღაღადებელი სიტყვები. Morituri te salutant, Caesar!“ * სასიკვდილოდ განწირულნი გესალმებიან შენ, კეისარ! პროფოსი კი ნაგავია. რა გეეთქმის, კარგი მსახური გვყავს, კარგი მოუვიდა მაგის ცხვირსა! გუშინწინ ხუთი კრონი მიეცი, ერთი, თუ კაცი ხარ, სიგარეტები მამიტანე-თქო, მან კი, ძაღლიშვილმა, ამ დილით განმიცხადა, აქ მოწევის უფლება არა გაქვს, შენი გულისთვის უსიამოვნება შემხვდებაო. იმ ხუთ კრონს კი, ახლა ჯამაგირს რომ ავიღებ, დაგიბრუნებო. დიახ, ამხანაგო, ახლა არავისი და არაფრის ნდობა არ შეიძლება. მორალის საუკეთესო პრინციპები დამახინჯებულია. პატიმრის გაქურდვა ვის გაუგონია, ა? და ეს ვაეგბატონი ამის შემდეგ ურცხვად მღერის მთელი დღე: „Wo man Singt, da leg' dich sicher nieder, böse Leute haben keine Lieder!„ [1] აი გაიძვერა, არამზადა, წუნკალი, მატყუარა!

ამის შემდეგ ნებითგანწესებულმა შვეიკს გამოკითხა, შენ რაღაში გედება ბრალიო.

— შენს პოლკს ეძებდი? — შეეკითხა ნებითგანწესებული. — არა უშავს, კარგი ტურნეა. ტაბორი — მილევსკო — კვეტოვი — ვრაჟი — მალჩინი — ჩიჟოვა — სედლეცი — ჰორაჟდიევიცე — რადომიშლი — პუტიმი — შტეკნო — სტრაკონიცი — ვოლინი — დუბი — ვოდნიანი — პროტივენი — პუტიმი — პისეკი — ბუდეიოვიცე...

---

[1] სადაც მღერიან — დაწექი და იძინე მშვიდად, ვინც მღერის, არის კაცი ღირსეული. (გერმ.)

ეკლიანი გზაა! ხვალ თქვენც უნდა წარდგეთ პატაკზე პოლკოვნიკთან? ო, ჩემო საყვარელო ძმაო! ჩვენ ერთმანეთს შევხვდებით დასაჯის ადგილზე! ხვალ ჩვენი პოლკოვნიკი დიდად ნასიამოვნები დარჩება. თქვენ ვერც კი წარმოიდგენთ, თუ როგორ მოქმედობს მასზე პოლკის ამბები. დაძრწის მთელ ეზოში პატრონდაკარგულ ქოფაკივით, აქეთ-იქით აწყდება ენაგადმოგდებული, ჩამღრძალი ჭაკი ცხენივით. ახლა არ იკითხავთ მის გაფრთხილებებს, ბრტყელ-ბრტყელ სიტყვებს! თან იფურთხება დორბლიანი აქლემივით. მის ლაპარაკს დასასრული არ უჩანს. და გეგონებათ აი, საცაა მისი ღრიალისგან მარიანის ყაზარმის კედლები ჩამოინგრევაო. კარგად ვიცნობ, რა ფრინველიც ბრძანდება, პატაკით ვყოფილვარ მასთან. გაწვევაზე მაღალყელიანი ჩექმებითა და ცილინდრით გამოვცხადდი, და იმის გამო, რომ მკერავმა სამხედრო ფორმის შეკერვა ვერ მომისწრო, სასწავლო მოედანზეც ამ სახით მივედი. დავდექი მარცხენა ფრთაზე და სხვებთან ერთად მივაბიჯებდი მწყობრში, პოლკოვნიკმა შრედერმა ცხენი ზედ ჩემზე მოაგდო, კინაღამ წამაქცია. „Was machen Sie hier, Sie zivilist!"[1] ისე მაგრად დამიღრიალა, რომ ალბათ შუმავაზე * ისმოდა მისი ღრიალი. მე თავაზიანად ვუპასუხე, ნებითგანწესებული ვარ და სამეცადინოდ მოვედიმეთქი. ერთი უნდა გენახათ მაშინ! ნახევარი საათი უბედობას მოანდომა და მხოლოდ მერე შეამჩნია, რომ სამხედრო სალამისთვის ხელი მიდებული მქონდა ცილინდრზე. ამაზე საშინლად აყვირდა, ხვალ პოლკის პატაკზე გამოცხადდებით ჩემთანო, და გიჟივით გააქენა ცხენი, კაცმა არ იცის — სად, ველური მხედარივით თვალის დახამხამებაზე გაქრა, მერე ისევ მოვარდა უკან, ისევ მორთო ღრიალი, ცოფიანივით აბრიალებდა თვალებს და მკერდზე იცემდა მუშტებს, ბრძანა, ახლავე აქედან მომაშორეთ ეს ვიღაც ოხერია, ნაობახტში ჩასვითო. პოლკის პატაკზე თოთხმეტი დღით შეებულება ჩამომართვა, ცეიხჰაუზიდან რაღაც ძონძები მოატანინა და ის ჩამაცვეს, თან დამემუქრა — მაგ ნიშნებს მოგხსნიო. „ნებითგანწესებული — ეს ხომ რაღაც ამაღლებულია, დიდების, სამხედრო ღირსების ემბრიონია, გმირი! — ღრიალებდა ეს ყეყეჩი პოლკოვნიკი. — ნებითგანწესებული — გვარად ვოლტატი, რომელსაც გამოცდების შემდეგ კაპრალობა მიანიჭეს, თავის ნებით წავიდა ფრონტზე და თხუთმეტი კაცი დაატყვევა. იმ დროს, როცა ისინი

1 შენ, ჰეი, დოყლაპიავ! აქ რას აკეთებ? (გერმ.)

ბოყავდა, ხელუუმბარა მოხვდა და ნაკუწ-ნაკუწად აქცია. და მერე? ხუთი წუთის შემდეგ მოვიდა ბრძანება ვოლტატისთვის უმცროსი ოფიცრის სახელწოდება მიენიშებინათ! აი თქვენც რომ ასეთი ბრწყინვალე მომავალი გელოდებოდეთ: დაწინაურება და წარჩინება. თქვენი სახელი პოლკის ოქროს წიგნში იქნებოდა შეტანილი!“ — ნებითგანწესებულმა გადააფურთხა. — აი, ჩემო ძმაო, რა ვირები იბადებიან ამქვეყნად. მიმიფურთხებია მათი ნიშნებისთვის და ყველა ისეთ პრივილეგიაზე, როცა, მაგალითად, ასე მეტყვიან: „თქვენ, ნებითგანწესებულო, — ვირი ხართ.“ დააკვირდით, რა ლამაზად ეღერს ასეთი გამოთქმა: „თქვენ ვირი ხართ“ ნაცვლად უხეში თქმისა: „შენ ვირი ხარ“, სიკვდილის შემდეგ კი შეგამკობენ Signum laudis * ან დიდი ვერცხლის მედლით. ასეთები არიან მისი იმპერატორობისა და ხელმწიფობისათვის ადამიანთა გვამების მიმწოდებელნი — ვარსკვლავებიანი თუ უვარსკვლავონი! ხარი რომ ხარია, ისიც კი ჩემსა და თქვენზე ბედნიერია. მას სიცოცხლეს გამოასალმებენ ერთბაშად, და წინასწარ არ ათრევენ საველე მეცადინეობაზე და სასროლო მოედანზე. — სქელ-სქელი ნებითგანწესებული მეორე ლეიბზე გადაგორდა და განაგრძო: — რა თქმა უნდა, ყოველივე ეს როდისმე გასკდება. მუდამ ასე არ შეიძლება იყოს. აბა, სცადეთ გაბეროთ გოჟი დიდებით — უეჭველად გასკდება. თუ ფრონტზე წავედი, ჩვენს ვაგონზე აუცილებლად დავაწერ:

ნაკელი სამი ტონა მტრის ყანებისთვის მოდის;
ეს... ორმოცი კაცუნა ანდა რვა ცხენი მოდის.

გაიღო კარი, შემოვიდა პროფოსი და შემოიტანა პურის მეოთხედი ულუფა ორივე ტუსაღისთვის და ახალი წყალი.

ნებითგანწესებული არც კი წამოწეულა თავისი ლეიბიდან, ისე მიესალმა პროფოსს შემდეგი სიტყვებით:

— როგორი სიდიადე, როგორი დიდსულოვნებაა შენის მხრივ საპატიმროში გამომწყვდეულთა მონახულება, ო, წმიდაო აგნესა* ოთხმოცდამეთერთმეტე პოლკისა! კეთილი იყოს შენი მობრძანება, სათნოების ანგელოზო, რომლის გული აღსავსეა სიბრალულით! შენ დატვირთული ხარ საჭმელ-სასმელით სავსე კალათებით, რამაც ნუგეში უნდა გვცეს ასეთ დღეში ჩავარდნილ უბედურ ადამიანებს! არასდროს ჩვენ არ დავივიწყებთ შენს დიდსულოვნებას. შენ — მზის სხივი ხარ, ჩვენს საპყრობილეში შემოჭრილი!

— პოლკოვნიკთან პატაკზე ლაზღანდარობის ხალისი დაგეკარგებათ, — აბუზღუნდა პროფოსი.

— ამას არ უყურებთ, როგორ აიფხორა, ეს უქნარა, ესა! — შე-

უტია ნებითგანწესებულმა.—უკეთესი იქნება ის მითხრა, როგორ მოიქცეოდი ათი ჩემისთანა ნებითგანწესებული რომ გყოლოდა დასამწყვდევი? რა ბრიყვული სახე მიიღე, მარიანის ყაზარმების დარაჯო! შენ ოცს დაამწყვდევდი, მერე ათს გამოუშვებდი, შე საცოდავო თრია, შენა! მე რომ სამხედრო მინისტრი ვიყო, გაჩვენებდი, რას წარმოადგენს სამხედრო სამსახური! ცნობილია თუ არა შენთვის, რომ დაცემის კუთხე უდრის არეკვლის კუთხეს? მხოლოდ ერთსა გთხოვ! მომეცი საყრდენი წერტილი და მთელს დედამიწას ავწევ შენიანად, შე ბაქია, შენა!

პროფოსმა თვალები გადმოკარკლა, მთლად აცახცახდა სიბრაზისგან, შეტრიალდა და კარების გაჯახუნებით საკანიდან გავიდა.

— პროფოსების თავიდან მოსაშორებელი ურთიერთდამხმარე საზოგადოება, — წარმოთქვა ნებითგანწესებულმა, თან პურს ანაწილებდა ორ თანასწორ ნატეხად. — დისციპლინარული წესდების მეთექვსმეტე პარაგრაფის თანახმად, პატიმრებს, განაჩენის გამოტანამდე, ეძლევათ ჯარისკაცის ულუფა, მაგრამ აქ, როგორც ჩანს, პრერიების კანონია გამეფებული: აბა მიდი, ვინ ვის მოასწრებს პატიმრის ულუფის შეჭმასო.

ორივენი ნაალზე ისხდნენ და ჯარისკაცურ პურს ღრნიდნენ.

— პროფოსის მაგალითზე საუკეთესოდ ჩანს, რარიგ გულქვას ხდის ადამიანს სამხედრო სამსახური, — განაახლა თავისი მსჯელობა ნებითგანწესებულმა. — ჩვენი პროფოსი, ეჭვს გარეშეა, სამხედრო სამსახურში გაწვევამდე იდეალებით აღსავსე ახალგაზრდა იყო. ეს იყო ქერათმიანი ქერუბინი, ნაზი და მგრძნობიარე ყველას მიმართ, უბედურთა დამცველი, იგი თავის მხარეში, ალბათ, თავს გამოიდებდა ხოლმე გოგოს გულისთვის ხატობაზე გამართულ ჩხუბში. მას, უთუოდ, ყველა პატივსა სცემდა, ახლა კი... ღმერთო ჩემო! რა დიდი სიამოვნებით დავულილავებდი ერთი მას ცხვირპირს, თავს დავუჩეჩქვავდი და კისრამდე ფეხისადგილში ჩავაყურყუმალავებდი! და აი ესეც, ჩემო ძმაო, თავის მხრივ იმის მაჩვენებელია, რომ სამხედრო ხელობამ გააუხეშა ჩვენი ზნეობა.

მან დააღიღინა:

მას ქაჯიც ვერ აშინებდა,
მაგრამ შეხვდა ჯარისკაცი...

— ძვირფასო მეგობარო, — განაგრძო მან, — ყველაფერ ამას თუ ჩვენი საყვარელი მონარქიის მასშტაბებში დავაკვირდებით, აუცილებლად მივალთ იმ დასკვნამდე, რომ ეს ჩვენი მონარქია პუშკინის ბიძის * დღეშია. პუშკინი წერდა, ბიძაჩემი ისეთი მძორია, რომ სულ იმას ვნატრობ,

ისევ გაისმა გასაღების ჩხარუნი კლიტეში, და პროფესორმა დერეფანში ნავთის ლამპა აანთო.

— სინათლის სხივი ბნელეთის სამეფოში! — გასძახა ნებითგანწესებულმა. — განათლება იკრება არმიის რიგებში! ღამე ნებისა, ბატონო პროფესორ! სალამი გადაეცით იქ ყველა უნტერს, გისურვებთ სასიამოვნო სიზმრებში გაგეტარებინოთ ღამე. გისურვებთ, მაგალითად, დაგესიზმრებოდეთ, რომ მე თქვენ დამიბრუნეთ ხუთი კრონი, ის ფული, რომელიც სიგარეტების საყიდლად გადმოგეცით და რომელიც შემოგეხარჯათ, ჩემს სადღეგრძელოებს რომ მიირთმევდით. ტკბილი ძილი, შე ურჩხულო!

ამას მოჰყვა პროფესორის ბურტყუნი ხვალინდელი პოლკის პატაკის შესახებ.

— კვლავ მარტო დავრჩით, — თქვა ნებითგანწესებულმა. — დაძინების წინ რამდენიმე წუთს მივუძღვნი ლექციას იმის შესახებ, ყოველდღიურად როგორ ფართოვდება უნტერ-ოფიცრებისა და ოფიცრების ცოდნა ზოოლოგიის დარგში. ომისთვის საჭირო ახალი ცოცხალი მასალისა და მოაზროვნე საზარბაზნე ხორცის მოსაპოვებლად აუცილებელია ბუნებისმეტყველების საფუძვლიანი ცოდნა ან იმ წიგნის გაცნობა, რომელსაც ეწოდება „ეკონომიური კეთილდღეობის წყაროები“, გამოცემული კოჩიის * მიერ. ამ წიგნის ყოველ გვერდზე გვხვდება სიტყვები, მაგალითად: პირუტყვი, გოქები, ღორები. მაგრამ უკანასკნელ დროს ჩვენ ვამჩნევთ, რომ ჩვენს ყველაზე უფრო პროგრესულ სამხედრო წრეებში ფეხს იკიდებს ახალი სახელწოდებანი ახალწვეულთათვის. მეთერთმეტე ასეულში კაპრალი ალტჰოფი ხმარობს გამოთქმას „ენგადინის თხა“, ეფრეიტორი მიულერი, გერმანელი-მასწავლებელი კაშპერის მთებიდან, ახალწვეულებს „აყროლებულ ჩეხს“ უწოდებს, ფელდფებელი ზონდერნუმერი კი — „ვირბაყაყებსა“ და „იორკშირის ქოსმენს“, და თვითეულ ახალწვეულს ექადნება, შენგან ფიტულს გავაკეთებო, ამასთანავე ისეთ სპეციალურ ცოდნას იჩენს ამ დარგში, თითქოს შთამომავლობით თვითონ მეფიტულე იყოს. სამხედრო უფროსი შემადგენლობა ცდილობს ჯარისკაცებს ჩაუნერგოს სამშობლოს სიყვარული თავისებური საშუალებებით, როგორიცაა: ველური ღრიალი, ახალწვეულთა გარშემო ცეკვა, საომარი ყიჟინი, რომელიც აფრიკის ველურების ყიჟინს მოგვაგონებს, როცა ისინი ემზადებიან გაატყაონ უდანაშაულო ანტილოპა, ანდა როცა სადილად შემონახულ რომელიმე მისიონერის ბარკლის შეწვას დააპირებენ. გერმანელებს ეს, რა თქმა

უნდა, არ ეხებათ. როცა ფელდფებელი ზონდერნუმერი ლაპარაკს ჩამოაგდებს „ღორების ხროვაზე“, იგი სასწრაფოდ დაუმატებს ხოლმე „die tschechische“,[1] რომ გერმანელებს არ ეწყინოთ და თავის თავზე არ მიიღონ. ამასთანავე მეორე ასეულის ყველა უნტერი ნადირივით ატრიალებს თვალებს, გეგონებათ თვითეული მათგანს გაუმაძღარი ძაღლივით პროვანსულ ზეთში დამბალი ღრუბელი გადაეყლაპოს და იხრჩობოდეს. ერთხელ ყური მოვკარი ეფრეიტორ მიულერისა და კაპრალ ალტჰოფის საუბარს მოლაშქრეებთან მეცადინეობის შესახებ. ამ საუბარში მეტწილად ისმოდა „ein paar ohrfeigen“[2]. პირველად მეგონა, ჩხუბი მოუვიდათ ერთმანეთში და არიქა გეეშველა, — ირღვევა გერმანელთა სამხედრო ერთიანობა-მეთქი, მაგრამ მწარედ მოვტყუვდი. ლაპარაკი იყო მხოლოდ და მხოლოდ ჯარისკაცებზე. „ვთქვათ, რომელიმე ჩეხი ღორი, — აეტორიტეტულად ირიგებდა კაპრალი ალტჰოფი ეფრეიტორ მიულერს, — ოცდაათჯერ თქმული „Nieder-ის“[3] შემდეგ ვერ ისწავლის ჩამოსხმული სანთელივით სწორად დგომას, ერთი-ორჯერ კბილებში ჩაცხება არაფერს უშველის. მუშტი უნდა ატაკო მუცელში, მეორე ხელით კი ქუდი ჩამოაფხატო ყურებამდე, უბრძანო „Kehrt euch!“[4] და როცა მიტრიალდება, პანღური ამოკრა. ნახავ მაშინ, ამის შემდეგ როგორ გამოიჭიმება, ფრონტში ჩაგიდგება ხოლმე და რამდენს იცინებს პრაპორშჩიკი დაუერლინგი. სიტყვამ მოიტანა და გიამბობთ, ამხანაგო, ამ პრაპორშჩიკ დაუერლინგის შესახებ. მასზე პირველი ასეულის რეკრუტები ისეთ საოცარ ამბებს ჰყვებიან, როგორიც შეუძლია გიამბოთ, მაგალითად, მხოლოდ მექსიკის საზღვრების მახლობელ ფერმაში ყველას მიერ მიტოვებულმა დედაბერმა სახელგავარდნილ მექსიკელ ყაჩაღზე. დაუერლინგს კაციჭამიას რეპუტაცია აქვს შექმნილი, ავსტრალიის იმ ტომებიდან გამოსული ანთროპოფაგისა, რომლებიც მათ ხელში ჩავარდნილ სხვა ტომის ადამიანებს სჭამენ. მას ცხოვრების ბრწყინვალე გზა აქვს გამოვლილი. დაბადების შემდეგ სულ მალე იგი ხელიდან გაუვარდა ძიძას და პაწია კონრად დაუერლინგმა თავი გაიტეხა. ახლაც თავზე ამჩნევია კვალი, თითქოს კომეტა დაჯახებოდეს ჩრდილოეთ პოლუსს. არავის სჯეროდა, რომ მისგან კაცი დადგებოდა, რაკი ტვინის ასეთი შერყევა შეემთხვა. მარტო მამამისი, პოლკოვნიკი, არ კარგავდა იმედს და, პირიქით, ამტკიცებდა, რომ ასეთი უბრალო

1. ჩეხური (გერმ.)
2. ორიოდე სილის გაწნა (გერმ.)
3. დაწექი (გერმ.)
4. ზურგისაკენ! (გერმ.)

რამ მას ვერაფერს დააკლებდა, ვინაიდან, თავისთავად იგულისხმება, ახალგაზრდა დაუერლინგი, როცა წამოიზრდება, სამხედრო სამსახურში შევიდა. რეალური სასწავლებლის ოთხ კლასთან სასტიკი ბრძოლის შემდეგ, რომლებიც ექსტერნად გაიარა, მაგრამ თან ორი მასწავლებელი შეიწირა — პირველი შინა მასწავლებელი უდროოდ გაათეთრა და ჭკუაზე შეარყია, მეორე კი იქამდე მიიყვანა, რომ სასოწარკვეთილებისგან კინაღამ ვენის წმიდა სტეფანეს კოშკიდან გადმოვარდა, ახალგაზრდა დაუერლინგი ჰეინბურგის იუნკერთა სასწავლებელში* შევიდა. იუნკერთა სასწავლებლებში არასოდეს ყურადღებას არ აქცევდნენ მასში შემავალ ახალგაზრდების განათლების დონეს, ვინაიდან განათლება მეტწილად ზედმეტ ბარგად ითვლებოდა ავსტრიის კადრის ოფიცრებისთვის. სამხედრო განათლების იდეალად სალდათობიას თამაშის ცოდნა ითვლებოდა. განათლება ადამიანის სულს აკეთილშობილებს, სამხედრო სამსახურში კი ეს საჭირო არ არის. ოფიცერი რაც უფრო უხეშია, მით უკეთესია. იუნკერთა სასწავლებლის მოსწავლე დაუერლინგი იმ საგნებშიც ვერ ასწრებდა, რომლებსაც სხვები ასე თუ ისე მაინც ითვისებდნენ. იუნკერთა სასწავლებელშიც შესამჩნევი იყო ის გარემოება, რომ დაუერლინგს ბავშვობისას თავი ჰქონდა გატეხილი. ამ უბედურებას ადასტურებდნენ დაუერლინგის პასუხები გამოცდებზე, რომლებიც კლასიკური სიბრიყვის ნიმუშებს წარმოადგენდნენ. მასწავლებლები მას სხვას არაფერს ეძახდნენ, გარდა „unser braver Trottel“[1]. მისი სიბრიყვე იმდენად თვალსაჩინო და უდავო იყო, რომ ყველა საფუძველი არსებობდა იმისა, რომ რამდენიმე ათეული წლის შემდეგ იგი მოხვდებოდა ტერეზიანის სამხედრო აკადემიაში ან სამხედრო სამინისტროში. ომმა რომ იფეთქა, ყველა იუნკერს პრაპორშჩიკობა მიანიჭეს. ჰეინბურგის იუნკრების სიაში, რომელთაც პრაპორშჩიკობა მიენიჭა, კონრად დაუერლინგიც მოხვდა. ასე გაჩნდა იგი ოთხმოცდამეთერთმეტე პოლკში.

ნებითგანწესებულმა ცოტა შეისვენა და განაგრძო:

— სამხედრო სამინისტრომ გამოსცა წიგნი: „Drill oder Erziehung“,[2] რომელშიც დაუერლინგმა ამოიკითხა, რომ ჯარისკაცებზე უნდა იმოქმედო ტერორითო, და რაც უფრო ძლიერია ტერორი, მით უფრო მეტია წარმატებაცო. დაუერლინგმა თავის მოღვაწეობას ეს პრინციპი დაუდო საფუძვლად და თვალსაჩინო შედეგსაც მიაღწია. მისი ღრიალი რომ არ მოესმინათ, ჯარისკაცები ჯგუფ-

[1] „ჩვენი აბდალი“ (გერმ.)

[2] სამხედრო წვრთნა ან აღზრდა (გერმ.)

ჯგუფად აძლევდნენ პატაკს ავადმყოფობის შესახებ, მაგრამ ამით ფონს ვერ გავიდნენ. ის, ვინც ავადმყოფობის პატაკს მისცემდა, სამი დღით „verschärft“[1] ღებულობდა. იცით თქვენ, რაა ნიშნავს გაძლიერებული პატიმრობა? მთელი დღე სამეცადინო მოედანზე გაძუნძულებენ, ღამით კი კარცერში გამწყვდევენ. ამრიგად, დაუერლინგის ასეულში ავადმყოფები სულ მთლად გადაშენდნენ. მისი ასეულის ავადმყოფები ყველანი კარცერში ისხდნენ. მეცადინეობის დროს დაუერლინგი იხარჩუნებს თავისუფალ ყაზარმულ ტონს; აწყებს სიტყვით „ღორი“ და ამთავრებს „უცნაური და გაუგებარი ზოოლოგიური ტერმინით „ღორული ძაღლი“. თუმცა, უნდა ითქვას, რომ იგი ლიბერალია და თავის ჯარისკაცებს ამორჩევის უფლებას აძლევს. მაგალითად, იგი ეუბნება: „ამოირჩიე, შე ბედოვლათო: ან ცხვირპირში მიიღე, ან სამი დღით გაძლიერებულ პატიმრობას მოგისჯი! თუ ჯარისკაცი არჩევს სამდღიან გაძლიერებულ პატიმრობას, დაუერლინგი დამატებით ერთი ორჯერ კბილებში ჩაარტყამს მუშტს, თან განუმარტავს: „გეშინია, ლაჩარო, შენი დრუნჩი გენანება, მაშინ რაღას გააკეთებ, მძიმე არტილერია რომ ამოქმედდება?“ ერთხელ თვალი ჩაულილავა ერთ რეკრუტს და ასე თქვა: „Pah, was für Geschichten mit einem kerl, muss so wie so krepieren.“[2] იგივეს ამბობდა ფელდმარშალი კონრად ფონ ჰელტცენდორფი:* Die Soldaten müssen so wie so krepieren“[3]. დაუერლინგს ამოჩემებული აქვს ერთი საშუალება, რომელსაც ყველაზე ქმედითად თვლის ჯარისკაცებთან ურთიერთობისთვის; ეს არის ლექცია, რომელსაც ჩეხ-ჯარისკაცებს უმართავს; იგი უამბობს მათ ავსტრიის სამხედრო ამოცანებზე, უპირატესად ჩერდება ხოლმე სამხედრო სწავლების საერთო პრინციპებზე, ესე იგი დაწყებული შტანგლით* და დამთავრებული დახვრეტით ან ჩამოხრჩობით. ზამთრის პირას, სანამ ჰოსპიტალში მოვხვდებოდი, სამეცადინოდ გაგვიყვანეს მოედანზე, მეთერთმეტე ასეულის მახლობლად. როცა დაუერლინგმა ბრძანა „თავისუფლად!“ ჩეხ რეკრუტებს შემდეგი სიტყვით მიმართა:

— მე ვიცი, — თქვა მან, — რომ თქვენ ყველანი გაიძვერები ხართ და საჭიროა მაგ გოგრები სისულელეებისგან გაგითავისუფლოთ. თქვენი ჩეხური ენით სახრჩობელამდეც ვერ მიაღწევთ. ჩვენი უმაღლესი მთავარსარდალიც * გერმანელია. გესმით? ეშმაკმა დაგლახვროთ, nieder!.

---

[1] გაძლიერებული პატიმრობა (გერმ.).

[2] ეჰ, ვითომ რა მოხდა. სულ ერთია ხომ მაინც უნდა ჩაკვდეს (გერმ.).

[3] სალდათები, სულ ერთია, მაინც უნდა ჩაკვდნენ (გერმ.).

ყველა დაწვა, დაუერლინგმა დაიწყო მათ წინ სიარული და განაგრძო ლაქლაქი. ნაბრძანებია „დაწექით“ — მაშ იწექი. თუ გინდ სული გაგძვრეს ამ ტალახში, მაინც იწექი. „დაწექი“! — ასეთი ბრძანება ჯერ კიდევ ძველ რომაელებს ჰქონდათ. იმ დროს ჯარში იწვევდნენ ყველას ჩვიდმეტი წლიდან სამოც წლამდე და მთელი ოცდაათი წელიწადი სამხედრო სამსახურისა მინდორში ტარდებოდა. ყაზარმებში კი არ ეყარნენ ღორებივით. და ბრძანებების ენაც ერთი იყო მთელი ჯარისთვის. აბა ერთი ვინმეს გაებედა და ეტრუსების ენაზე ალაპარაკებულიყო! ბატონი ოფიცრები მას ვირის აბანოს უჩვენებდნენ. მეც მოვითხოვ, რომ ყოველმა თქვენგანმა გერმანულად მიპასუხოს, და არა თქვენებურ ალთა-ბალთა ენაზე. ხედავთ, რა კარგად გრძნობთ თავს ტალახში. ახლა წარმოიდგინეთ, რომ რომელიმე თქვენგანს მოსწყინდა ტალახში გდება, და ფეხზე წამოდგა. როგორ მოვიქცეოდი მე ამ შემთხვევაში? ყბას მოვუქცევდი ცემით იმ ძალლიშვილს, რადგან ეს იქნებოდა ამბოხება, ჯანყი, დაუმორჩილებლობა, ჯარისკაცის მიერ თავისი მოვალეობის უგულებელყოფა, წესდებისა და დისციპლინის დარღვევა, საერთოდ სამსახურებრივი განკარგულებების აბუჩად აგდება, საიდანაც გამომდინარეობს, რომ ასეთ გარეწარს თოკი და „Verwirkung des Anspruches auf die Achtung der Standesgenossen“ [1] ელოდება.

ნებითგანწესებული გაჩუმდა, მერე, ეტყობოდა, დუმილის დროს ჰოაგონდა ახალი თემა ყაზარმული ცხოვრებიდან და განაგრძო:

— ეს კაპიტან ადამიჩეკის დროს მოხდა. ადამიჩეკი მეტისმეტად ეპათიური ადამიანი იყო. კანცელარიაში იჯდა ხოლმე წუნარი შეშლილივით და სადღაც სივრცეში იცქირებოდა, თითქოს ამბობდა: „აჰა, დამეხვიეთ და შემჭამეთ ბარემ, ბუზებო და ბუზანკალებოო“. ბატალიონის პატაკის დროს, ღმერთმა უწყის, რას არ მოიფიქრებდა. ერთხელ ბატალიონის პატაკზე მასთან მეთერთმეტე ასეულის ჯარისკაცი მივიდა საჩივრით, პრაპორშჩიკმა დაუერლინგმა ქუჩაში საღამოთი ჩეხური ღორი მიწოდაო.

ომამდე ეს ჯარისკაცი ამკინძავი იყო, მუშა, რომელსაც შერჩენოდა ეროვნული ღირსების გრძნობა. „მაშ ასე... ასეთი საქმეებია, არა? — წუნარად წარმოთქვა კაპიტანმა ადამიჩეკმა (იგი ყოველთვის ძალზე წუნარად ლაპარაკობდა). — ეს გითხრათ საღამოთი, ქუჩაში? უნდა გამოირკვეს, ყაზარმიდან გასვლის ნებართვა თუ გქონდათ ამ დროს? Abtreten! [2].

---

1. მდგომაოეობით თანასწორ მოქალაქეების პატივისცემის უფლების აყრა (გერმ.)

2. წადით! (გერმ.)

რამდენიმე ხნის შემდეგ კაპიტანმა ადამიჩეკმა გამოუძახა მომჩივანს. „გამორკვეულია, — თქვა მან წყნარად, — რომ ამ დღეს თქვენ ნებართვა გქონდათ წასულიყავით ყაზარმიდან, საღამოს ათ საათამდე. მაშასადამე, თქვენ არ დაისჯებით... Abtreten! ამ დროიდან, ძვირფასო ამხანაგო, კაპიტანი ადამიჩეკი სამართლიანი ადამიანის რეპუტაციით სარგებლობდა. მაგრამ იგი ფრონტზე გაგზავნეს, მის ადგილას კი მაიორი ვენცელი დაგვინიშნეს. ეს კაცი პირდაპირ დამთხვეული ვინმეა ნაციონალური დევნის საკითხში და მან საბოლოოდ დაუწეწკა კუდი პრაპორშჩიკ დაუერლინგს.

მაიორს ცოლად ჩეხი ქალი ჰყავს და ძალიან ერიდება ნაციონალური საკითხის ყოველგვარ გამწვავებას. რამდენიმე წლის წინათ, ჯერ კიდევ როცა კაპიტანი კუტნა ჰორაზე განლაგებულ ჯარის ნაწილში იყო, მან სიმთვრალეში რესტორანში გამოლანძღა კელნერი და გაიძვერა ჩეხი უწოდა. (აღსანიშნავია, რომ მაიორი საზოგადოებაში და შინ მხოლოდ და მხოლოდ ჩეხურად ლაპარაკობდა და მისი კაჟიშვილებიც ჩეხურ გიმნაზიებში სწავლობდნენ). ნათქვამია: „სიტყვა ჩიტი როდია, გაფრინდეს და დაიჭირო.“ და ეს ეპიზოდი გაზეთში მოხვდა, რომელიღაც დეპუტატმა კი შეკითხვა შეიტანა ვენის პარლამენტში მაიორ ვენცელის საქციელის შესახებ რესტორანში. ვენცელს არასასიამოვნო ისტორია შეემთხვა, რადგან სწორედ ამ დროს პარლამენტში უნდა დამტკიცებულიყო კანონპროექტი სამხედრო ვალდებულების * შესახებ, და აი, ინებეთ! — ამბები კუტნა ჰორელი გალეშილ კაპიტან ვენცელისა.

უფრო გვიან კაპიტანმა გაიგო, რომ მთელი ეს ამბავი მოწყობილი იყო თურმე ნებითგანწესებულებებისაგან დაწინაურებულ ერთ-ერთ პრაპორშჩიკ ზიტკოს მიერ. მას გაუგზავნია შენიშვნა გაზეთში. ზიტკოს კაპიტან ვენცელთან თავისი ანგარიშები ჰქონდა ჯერ კიდევ იმ დროიდან, როცა ერთხელ საზოგადოებაში, თვით კაპიტანი ვენცელის თანდასწრებით, ზიტკო შეუდგა მსჯელობას: საკმარისიაო, — თქვა მან, — შეხედოთ ამ ქვეყნიერებას, დატკბეთ ღრუბელთა ქულების ცქერით ცისკიდურზე, თვალი შეავლოთ ცადაწვდილ ბუმბერაზ მოებს, ყური მიუგდოთ ტყის ჩანჩქერის გუგუნს, ფრინველთა ჟღურტულს, და უნებლიეთ გაიფიქრებთ: რას წარმოადგენს ვიღაც კაპიტანი ბუნების ამ სიდიადესთან შედარებით? იგი ისეთივე ნულია, როგორც, მაგალითად, ყოველი ჩვეულებრივი პრაპორშჩიკი“.

ოფიცრები სიმთვრალისაგან ფეხზე ძლივს იდგნენ, მთვრალი იყო კაპიტანი ვენცელიც, და იგი გაიწია საწყალი ფილოსოფოსის ზიტ-

კოს საცემად. ამის შემდეგ მათი მტრობა იზრდებოდა, და კაპიტანი ვენცელი ყოველთვის შურს იძიებდა ზიტკოზე, საცა კი მიასწრებდა, მით უმეტეს, რომ პრაპორშჩიკის გამოთქმა ქვეყნის სალაპარაკოდ გახდა. „თუ რას წარმოადგენდა კაპიტანი ვენცელი ბუნების სიდიადესთან შედარებით“ — ეს მთელმა კუტნა ჰორამ იცოდა. „ძე იმ გაიძვერას თვითმკვლელობამდე მივიყვან“, — იტყოდა ხოლმე კაპიტანი ვენცელი. მაგრამ ზიტკო სამხედრო სამსახურიდან გავიდა და განაგრძო თავისი ფილოსოფოსობა. ამ დროიდან მოყოლებული ძაიორი ვენცელი ყველა უმცროსი ოფიცრის ოხტში მოდის. იუნკრებსა და პრაპორშჩიკებზე ხომ ლაპარაკიც ზედმეტია. „ბაღლინჯოსავით გავსრეს!“ — ასეთი თქმა უყვარს მაიორ ვენცელს, და ვაი იმ პრაპორშჩიკს, რომელიც უბრალო საქმისთვის ბატალიონის პატაკზე წარადგენს ჯარისკაცს. მხოლოდ განსაკუთრებული და მძიმე მდგომარეობა ექვემდებარება მის განხილვას, მაგალითად, თუ ჯარისკაცს თოფის წამლის საწყობთან საგუშაგოზე დაეძინება, ანდა თუ უფრო საშინელ დანაშაულს ჩაიდენს, — ვთქვათ, ღამით შეეცდება მარიანის ყაზარმების ირგვლივ შემოვლებულ ქვის კედელზე გადაძრომას და კედლის თავზე დაეძინება, სადაც იგი არტილერისტებს ანდა მოლაშქრეთა პატრულს ჩაუვარდება ბრჭყალებში—ერთი სიტყვით, პოლკის ღირსებას თავლაფს დაასხამს. მე ერთხელ გავიგონე, დერეფანში როგორ ღრიალებდა მაიორი ვენცელი: „ოჰ, ღმერთო ჩემო! მესამედ იჭერს მას მოლაშქრეთა პატრული. დაუყოვნებლივ ჩასვით ეგ ძაღლიშვილი კარცერში; ასეთები კინწისკვრით უნდა გაგდით პოლკიდან, წავიდეს და აღალში ნეხვი ზიდოს. წინააღმდეგობაც კი არ გაუწია მათ, არ გაუძალიანდა. განა ეგ სალდათია? სალდათი კი არა, ქუჩებს უნდა ჰგვიდეს! ორი დღე საჭმელი არ აღირსოთ. შეამწყვდიეთ განცალკევებულ საკანში და საბანი არ მისცეთ მაგ დოყლაპიას“.

ჰოდა, ამის შემდეგ წარმოიდგინეთ, ამხანაგო, ერთბაშად, როგორც კი მაიორი ვენცელი ჩვენთან გადმოიყვანეს, ამ ბოთე დაუერლინგმა აიღო და, მასთან ბატალიონის პატაკზე ერთი ჯარისკაცი წარადგინა იმისათვის, რომ მან თითქოს განზრახ სამხედრო სალმი არ მისცა პრაპორშჩიკ დაუერლინგს, როცა იგი კვირას სადილის შემდეგ ეტლით ვიღაც ქალიშვილთან ერთად მოედანზე მისეირნობდა. ბატალიონის კანცელარიის უფროსი გადამწერი დერეფანში გაიძურწა ქაღალდებიანად, მაიორი კი უყვიროდა დაუერლინგს: „ამის მსგავსი რამ აღარ გავიგონო! Himmeldonuerwetter! იცით თუ არა თქვენ, პანე პრაპორშჩიკ, რა არის ბატალიონის პატა-

კი? ბატალიონის პატაკი Schweinfest[1] არ გახლავთ. როგორ შეეძლო მას დაენახეთ, როცა თქვენ ეტლით მიდიოდით მოედანზე? ნუთუ აღარ გახსოვთ, რა გასწავლეს? სამხედრო სალამი მიეცემა ოფიცრებს, რომლებიც გზაში შემოგეყრებათ, და ეს სრულებით იმას არ ნიშნავს, რომ ჯარისკაცმა უვავივით ატრიალოს თავი და ეძებოს პრაპორშჩიკი, რომელიც მოედანზე დასეირნობს. ხმა არ გავიგონო, გთხოვთ! ბატალიონის პატაკი სერიოზული საქმეა. თუ ჯარისკაცმა მოგახსენათ, რომ თქვენი დანახვა არ შეეძლო, რადგან ამ დროს სამხედრო სალამს მე მაძლევდა, ჩემკენ, ხომ გასაგებია, მაიორ ვენცელისკენ იყო მობრუნებული, და მაშასადამე მას არ შეეძლო იმავე დროს უკან, ეტლისკენ ცქერა, რომელშიც თქვენ ისხდით, ამიტომ მაგისთვის უნდა დაგეჯერებინათ. მომავალში, გთხოვთ, თავს ნუ მომაბეზრებთ ასეთი უბრალო რამეებით!"

ამის შემდეგ დაუერლინგი გამოიცვალა.

ნებითგანწესებულმა დაამთქნარა:

— უნდა გამოვიძინო, ხვალ პოლკის პატაკი მომელის. მე მინდოდა ნაწილობრივ მაინც მომეწოდებინა ინფორმაცია ჩვენს პოლკში საქმეების მდგომარეობის შესახებ. პოლკოვნიკ შრედერს მაიორი ვენცელი არ უყვარს და საერთოდ დიდი უცნაური ვინმეა. კაპიტანი საგნერი, ნებითგანწესებულთა სასწავლო ჯგუფის უფროსი, შრედერს ნამდვილ ჯარისკაცად თვლის, თუმცა პოლკოვნიკ შრედერს ცეცხლივით ეშინია ფრონტის. საგნერს — ამ გამოჯაგულ ადამიანს, შრედერივით არ უყვარს თადარიგის ოფიცრები და მათ სამოქალაქო მყრალას უწოდებს. ნებითგანწესებულთ გარეულ ნადირად თვლის: ისინი სამხედრო მანქანებად უნდა ვაქციოთთო, მივაკეროთ ვარსკვლავები და ფრონტზე ვუკრათ თავი, რომ იქ ტყვიით დაცხრილონ ნაცვლად კეთილშობილი კადრის ოფიცრებისა, რომლებიც სანაშენოდ უნდა დავიტოვოთო. ერთი სიტყვით, არმიაში ყველაფერს სიდამპლის სუნი ასდის, — დაასკვნა ნებითგანწესებულმა და საბანი წაიხურა. — მასებს ჯერ კიდევ თვალები არა აქვთ ახელილი, მხოლოდ გაოცებისგან დაუჭყეტიათ თვალები და არავითარ წინააღმდეგობას არ უწევენ, როცა მათ ცხვრებივით ფრონტზე მიერეკებიან ყელის გამოსაღადრავად; მოხვდება თუ არა რომელიმეს ტყვია, მხოლოდ ერთს დაიკვნესებს: „ვაიმე დედაო" — და მორჩა. ახლა გმირები აღარ არიან, არის მხოლოდ საკლავი საქონელი და ყასბები გენერალურ შტაბებში. მაგრამ დაგვაცათ, მოხდება არევ-

[1] ღორების დაკვლისადმი მიძღვნილი დღესასწაული (გერმ.)

დარეკა. მაშინ ნახავთ ცემა-ტყეპასა და თმებით დათრევას! მაშ, გაუმარჯოს არმიას! ღამე ნებისა!

ნებითგანწესებული დაწყნარდა, მერე ისევ დაიწყო შფოთვა საბანქვეშ და, ბოლოს, იკითხა:

— გძინავთ, ამხანაგო?

— რაღაც არ მეძინება, — უპასუხა შვეიკმა თავისი საწოლიდან, — ვფიქრობ...

— რაზე ფიქრობთ, ამხანაგო?

— დიდი ვერცხლის მედალზე „მამაცობისთვის", რომელიც ევროვის ქუჩაზე მცხოვრებმა ვინოჰრადელმა დურგალმა, გვარად მლიჩკომ მიიღო; ომის დასაწყისშივე მთელს პოლკში პირველს მას წააგლიჯა ყუმბარამ ფეხი. დურგალს ხელოვნური ფეხი უფასოდ უთავაზეს. იგი ყველგან ტრაბახობდა თავისი მედლით, აბა ერთი შემომხედეთ, მთელს პოლკში პირველი ხეიბარი მე ვარო. ერთხელ იგი ვინოჰრადის სამიკიტნო „აპოლონში" მივიდა და იქ ჩხუბი აუტეხა სასაკლაოს ყასბებს. ჩხუბში ხელოვნური ფეხი მოგლიჯეს და ეს ფეხი თავში ჩაარტყეს; იმ კაცმა, რომელმაც ფეხი მოაგლიჯა, არ იცოდა თუ ის ხელოვნური იყო, და მას შიშისგან გული წაუვიდა. საპოლიციო უბანში დურგალს ფეხი ისევ მიაბეს, მაგრამ ამ დღიდან მოყოლებული იგი გაჯავრდა თავის მედალზე „მამაცობისთვის" და ლომბარდში წაიღო დასაგირავებლად. იქ იგი თავისი მედლით გაძაგრეს, და დაიწყო უსიამოვნებანი. არსებობს რაღაც სასამართლო, — ომის ხეიბართა ღირსების სასამართლო, — და აი ამ სასამართლომ დაადგინა, ჩამოერთვას დურგალს დიდი ვერცხლის მედალი „მამაცობისთვის" და, გარდა ამისა, ჩამოერთვას ფეხიცო...

— ეს როგორღა?

— სრულიად უბრალოდ. ერთ მშვენიერ დღეს მასთან კომისია მივიდა, განუცხადა, ღირსი არა ხარ ხელოვნური ფეხი ატაროო, მოხსნეს ფეხი და წაიღეს...

— აი კიდევ ერთი სასეირო ამბავი, — განაგრძო შვეიკმა, — როცა ბრძოლის ველზე დაღუპულის მშობლები ერთ მშვენიერ დღეს მედალს ღებულობენ, თან მოწერილობაც ეგზავნებათ, რომ აი, გებოძათ თქვენ ეს მედალი და გამოსაჩენ ადგილზე ჩამოკიდეთო. ვიშეჰრადში ბეჟეტეხოვის ქუჩაზე ერთმა განრისხებულმა მამამ, რომელიც დარწმუნებული იყო, სამხედრო საუწყებო კანცელარია სასაცილოდ შიგდებსო, ასეთი მედალი საპირფარეშოში ჩამოკიდა. ეს საპირფარეშო კი მას წინკარში ჰქონდა, ერთ მეზობელ პოლიციელთან საერთო: ჰოდა ამ პოლიციელმა მედალი აქ რომ იხილა, წავიდა



და დაბეზღა, სახელმწიფო მოღალატეაო. შავი დღე დაადგა იმ საწყალ მედლის პატრონს.

— აქედან გამომდინარეობს,— თქვა ნებითგანწესებულმა,— რომ დიდება ჩალის ფასად არა ღირს. ამ ცოტა ხნის წინათ ვენაში გამოსცეს „ნებითგანწესებულის სამახსოვრო". იქ მოთავსებულია აი ასეთი შესანიშნავი ლექსი ჩეხურად ნათარგმნი:

მეფეს, სამშობლოს შესწირა თავი,
ის მოხალისედ იბრძოდა მაშინ
და მაგალითი მისცა სუყველას,
დაეცა გმირი მედგარ ბრძოლაში.
ზარბაზნით მოაქეთ ცხედარი მისი,
გვირგვინებით და ბაფთით შემკული,
და მკერდზე აზის კოტა ორდენი,
კაპიტნის ხელით ზედ დაბნეული.

— ვინაიდან, ჩემის აზრით, სამხედრო სულისკვეთება ქვეითდება,— თქვა ცოტა ხნის დუმილის შემდეგ ნებითგანწესებულმა,— წინადადება შემომაქვს, ძვირფასო მეგობარო, ამ უკუნ ღამეში ჩვენს წყნარ საპყრობილეში შემოვძახოთ სიმღერა კანონირ იაბურკზე. ეს ასწევს საბრძოლო სულისკვეთებას. მაგრამ უნდა შემოვძახოთ რაც ძალა და ღონე გვაქვს, რომ მთელ მარიანის ყაზარმაშიც გაიგონონ. ამიტომ გთხოვთ მობრძანდეთ კარებთან ახლოს.

და ერთი წუთის შემდეგ პატიმართა საკანიდან ისეთი ღრიალი გაისმა, რომ დერეფანში მინები აზანზარდნენ:

იგი ზარბაზანს სტენიდა,
ო დელია, დელია!
ქვეყანას სძრაედა მღერითა,
ო დელია, დელია!
უცბად მოხდა სანახავი,
ო დელია, დელია!
წაგლიჯა ჭურვმა თავი,
ო დელია, დელია!
ის კი ზარბაზანს სტენიდა,
ო დელია, დელია!
ქვეყანას სძრაედა მღერითა,
ო დელია, დელია!

ეზოში გაისმა ფეხის ხმა და ლაპარაკი.

— ეს პროფოსია, — თქვა ნებითგანწესებულმა. — მასთან ერთად პოდპორუჩიკი პელიკანია, იგი დღეს მორიგეა. მე მას „ჩესკა ბესედადან“ * ვიცნობ. თადარიგის ოფიცერია, წინათ კი ერთ-ერთი დაზღვევის საზოგადოების სტატისტიკოსი იყო. მისგან სიგარეტებს ვიშოვნით. აბა, ერთი კიდევ მაგრად დავაგუგუნოთ.

შვეიკმა და ნებითგანწესებულმა ისევ შემოსძახეს:

იგი ზარბაზანს სტენიდა...

გაიღო კარები და პროფოსმა, რომელიც მორიგე ოფიცრის აქ ყოფნით, ეტყობოდა, შეგულიანებული იყო, უხეშად შეუტია:

— აქ სამხეცე არ გახლავთ.

— პარდონ, — უპასუხა ნებითგანწესებულმა, — აქ რუდოლფინუმის * ფილიალია. კონცერტი პატიმრების სასარგებლოდ ეს-ესაა დასრულდა პროგრამის პირველი ნომერი: „ომის სიმფონია“.

— შეწყვიტეთ, — უთხრა პოდპორუჩიკმა პელიკანმა მოჩვენებითი სიმკაცრით. — დარწმუნებული ვარ, თქვენთვის ცნობილია, რომ ცხრა საათზე თქვენ ლოგინში უნდა იწვეთ და არა აურზაურს სტეხდეთ. თქვენი კონცერტი მოედანზე გაისმის.

— მაქვს პატივი მოგახსენოთ, პანე პოდპორუჩიკ, — უთხრა ნებითგანწესებულმა, — ჩვენ ვერ მოვემზადეთ როგორც საჭიროა და, ადვილი შესაძლებელია, ამიტომ დისჰარმონია გამოგვივიდა.

— ყოველ საღამოს ასეთ ამბავშია, — შეეცადა პროფოსი აემხედრებინა პოდპორუჩიკი თავისი მტრის წინააღმდეგ, — და საერთოდ ძალიან უკულტურად იქცევა.

— პანე პოდპორუჩიკ, — მიმართა ნებითგანწესებულმა მორიგე ოფიცერს, — ნება მომეცით პირისპირ მოგელაპარაკოთ. პროფოსი დერეფანში დაგელოდოთ.

როცა პროფოსი გავიდა, ნებითგანწესებულმა უთხრა:

— ფრანტა, აბა, მოიტა სიგარეტები... „სპორტი“? და შენ, ლეიტენანტს, უკეთესი არაფერი აღმოგაჩნდა? კეთილი, ამისიც მადლობელი ვარ. ასანთიც მომეცი.

— „სპორტი“, — ათვალწუნებით წარმოთქვა ნებითგანწესებულმა პოდპორუჩიკის წასელის შემდეგ. — ადამიანმა გაჭირვებაშიც არ უნდა გაიტეხოს გული და სულით არ უნდა დაეცეს. მოსწიეთ ამხანაგო, და ღამე ნებისა. ხვალ საშინელი სამსჯავრო მოგველის.

დაძინების წინ ნებითგანწესებულს როდი დაავიწყდა ემღერა:

მთები, ველები, კლდენი მაღალნი — ხომ მეგობრები არიან ჩვენნი,
არ დაბრუნდება არასოდეს, რაც რომ გვიყვარდა,
ჰოი, ძვირფასო ჩემო...

როცა ნებითგანწესებული შვეიკს პოლკოვნიკ შრედერს უხასიათებდა, როგორც მტარვალს, მთლად მართალი არ იყო, ვინაიდან პოლკოვნიკი შრედერი არ იყო მოკლებული სამართლიანობის გრძნობას, რაც ყველაზე ნათლად ჩანდა მაშინ, როცა იგი კმაყოფილი რჩებოდა ხოლმე ოფიცერთა წრეში რომელიმე რესტორანში გატარებული საღამოთი. მაგრამ თუ კმაყოფილი არ რჩებოდა...

იძ დროს, როცა ნებითგანწესებული გაშანადგურებელი კრიტიკის ქარცეცხლში ატარებდა პოლკის საქმეებს, პოლკოვნიკი შრედერი რესტორანში იჯდა ოფიცერთა შორის და ყურს უგდებდა, სერბიიდან დაბრუნებული პორუჩიკი კრეჩმანი, ფეხში დაჭრილი (მას ძროხამ ურქინა), როგორ უამბობდა დამსწრეთ სერბიელთა პოზიციებზე იერიშის შესახებ; იგი ამ იერიშს შტაბიდან უყურებდა, რომელზეც მიმაგრებული იყო.

— ჰოდა, ამოხტნენ სანგრებიდან... ორ კილომეტრზე გაჭიმული მთელი ხაზის გასწვრივ, გადაძვრნენ მავთულხლართებზე და მტერს ეკვეთნენ. აირწინაღებიანი, ხელუმბარებით სარტყელზე, შაშხანამომარჯვებულნი, მზადმყოფნი სროლისა და ხიშტით ბრძოლისთვის. ტყვიები სტვენენ. აი წაიქცა ერთი ჯარისკაცი როგორც კი სანგრიდან ამოძვრა, მეორე ეცემა მიწაყრილზე, მესამემ მხოლოდ რამდენიმე ნაბიჯის გადადგმა მოასწრო, მაგრამ დანარჩენები ზვავივით მიგორავენ წინ, კვამლსა და მტვერში გახვეულნი, ყურთასმენის წამღები „ვაშას“ ძახილით! მტერი ყოველი მხრიდან ტყვიას გვიშენს — სანგრებიდან, ყუმბარებით ამოთხრილი ძაბრებიდან, ტყვიამფრქვე-

ვებით გვცელავს. და ისევ, და ისევ ეცემიან ჯარისკაცები. ჩვენი ოცეული ცდილობს ხელთ იგდოს მტრის ტყვიამფრქვევები. ერთნი ეცემიან, მაგრამ სხვები უკვე წინ გაიჭრნენ. ვაშა!! წაიქცა ოფიცერი... თოფის სროლა შეწყდა, რაღაც საშინელი მზადდება... კვლავ ეცემა მთელი ოცეული. აკაკანდნენ მტრის ტყვიამფრქვევები. „ტრატატა — რტატა-ტა!“ წაიქცა... მაპატიეთ, ველარ განვაგრძობ, აღარ შემიძლია, მთვრალი ვარ...

ფეხმტკივანი ოფიცერი გაჩუმდა, იგი გაუნძრეველად იჯდა სავარძელში და გამოთაყვანებული იყურებოდა წინ. პოლკოვნიკმა შრედერმა კეთილგანწყობილი ღიმილით ახლა კაპიტან სპიროს ათხოვა ყური, რომელიც მაგიდაზე მუშტის ბრახუნით, თითქოს ვიღაცას ედავებაო, რაღაც სისულელეს როშავდა.

— თქვენ თვითონ განსაჯეთ: ჩვენი დროშისქვეშ თავმოყრილია ავსტრიის მოლაშქრე ულანები, ავსტრიის მოლაშქრენი, ბოსნიის ეგერები, ავსტრიის ქვეითი ჯარი, უნგრეთის ქვეითები, უნგრეთის ქვეითი ჰონვედები, უნგრეთის ჰუსარები, მოლაშქრე ჰუსარები, ცხენოსანი ეგერები, დრაგუნები, ულანები, არტილერია, აღალი, მესანგრეები, სანიტრები, ფლოტი. გასაგებია? ბელგიას კი, აბა, რა გააჩნია? პირველი და მეორე გაწვევა შეადგენს არმიის ოპერატიულ ნაწილს, მესამე გაწვევა ზურგში ეწევა სამსახურს... — კაპიტანმა სპირომ მუშტი დაჰკრა მაგიდას: — მშვიდობიან დროს მოლაშქრენი ეწევიან სამსახურს ჩვენს ქვეყანაში!

ერთი ახალგაზრდა ხმამაღლა, ისე, რომ პოლკოვნიკს გაეგონა და მის ურყევ მხედრულ სულისკვეთებაში დარწმუნებულიყო, უმტკიცებდა თავის მეზობელს: — ჭლექიანებს მე ფრონტზე გავგზავნიდი, ეს მათთვის სასარგებლო იქნებოდა, და გარდა ამისა, — უკეთესია მოკლულთა სახით დავკარგოთ ავადმყოფები, ვიდრე ჯანღონით სავსე ადამიანები.

პოლკოვნიკი იღიმებოდა, მაგრამ უეცრად მოიღუშა, მიუბრუნდა მაიორ ვენცელს და უთხრა:

— ძალიან მიკვირს, პორუჩიკი ლუკაში რატომ არიდებს თავს ჩვენს საზოგადოებას? იგი ჩამოსვლის დღიდან ერთხელაც არ მოგვკარებია.

— ლექსებსა წერს, — დაცინვით წარმოთქვა კაპიტანმა საგნერმა. — ჩამოვიდა თუ არა, უკვე სატრფო გაიჩინა. თეატრში ინჟინერ შრეიტერის ცოლი ნახა და შეუყვარდა.

პოლკოვნიკმა წარბი შეკმუხნა.

— ამბობენ, კუპლეტებს კარგად მღერისო.

— ჯერ კიდევ კადეტთა კორპუსში ყველას გვართობდა კუპლე-

ტებით, — უპასუხა კაპიტანმა საგნერმა. — მისი ანეკდოტების მოსმენა კი ერთ რამედ ღირს! არ ვიცი, რად გვარიდებს თავს.

პოლკოვნიკმა ნაღვლიანად გადააქნია თავი:

— ახლა აღარაა ოფიცრებს შორის ის ამხანაგური გრძნობა, რომელიც ჩვენს დროში იყო. ჩვენსობას თვითეული ოფიცერი ცდილობდა თავის მხრივ რაღაც შემოეტანა საერთო მხიარულობაში. პორუჩიკი დანკელი (იყო ასეთი) კლუბში გაიხდიდა ტანზე სუყველაფერს და ასე დედიშობილა იატაკზე დაწვებოდა, უკანალში ქაშაყის კუდს ჩაირჭობდა და ფერიას გამოსახავდა. მეორეს, პოდპორუჩიკ შლეისნერს, ემარჯვებოდა ყურების ამოძრავება, კვიციკვით ჭიხვინი, კატასავით კნავილი და ბზიკივით ზუზუნი. მაგონდება კიდევ კაპიტანი სკოდაი. იგი ყოველთვის, ოღონდ კი ჩვენ გამოგვეთქვა სურვილი, მოიყვანდა ხოლმე ჩვენს წრეში სამ გოგონას — დებს. ისინი ფინია ძაღლებივით ჰყავდა გაწვრთნილი. დააყენებდა მაგიდაზე და ტაქტის აყოლებით იწყებდნენ გოგონები ტანისამოსის გახდას. თვითონ კაპიტანს სადირიჟორო ჯოხი ეჭირა — და უნდა ითქვას, რომ დირიჟორობდა შესანიშნავად! მერე ტახტზე დააწვენდა სამივეს და რას არ უშვებოდა მათ, ვინ მოთვლის. ერთხელ აბაზანა შემოატანინა მსახურთ, შუა ოთახში დაადგმევინა და თბილი წყალი ჩაასხმევინა შიგ. ჩვენ რიგრიგობით ვიბანავეთ ამ სამ გოგოსთან, კაპიტანი კი სურათს გვიღებდა სათითაოდ.

პოლკოვნიკმა შრედერმა მარტო ამის გახსენებაზე ნეტარებით გაიღიმა.

— მერედა, რა სანაძლეოს არ ვდებდით ამ აბაზანაში!.. — განაგრძო პოლკოვნიკმა, თან საზიზღრად აწკლაპუნებდა ენას და სავარძელში ცმუკავდა. — ახლა კი! განა ეს გართობაა? კუპლეტისტი გვყავს ერთი და ისიც არ გვეკარება. სმაც არ შეუძლიათ ახლა ჩვენს უმცროს ოფიცრებს. ჯერ თორმეტი საათიც არ არის, და მაგიდებთან, როგორც ხედავთ, უკვე ხუთი მთვრალია. ჩვენსობას ორი დღე და ღამე ვუსხედით სუფრას და რაც უფრო მეტს ვსვამდით, ბით უფრო ვფხიზლდებოდით. ვყლაპავდით განუწყვეტლივ ლუდს, ღვინოს, ლიქიორს... ახლა უკვე აღარ გაგვაჩნია მხედრული სულისკვეთება. ეშმაკმა იცის, რატომ და რისთვის! ვერც ერთ გონებამახვილურ სიტყვას ვერ გაიგონებ, სულ რაღაც დაუსრულებელი მოთხრობები გესმის ადამიანს. აბა, ერთი ყური დაუგდეთ, აი მაგიდის ბოლოში როგორ საუბრობენ ამერიკის შესახებ.

მაგიდის მეორე ბოლოში ვიღაც სერიოზული კილოთი მსჯელობდა.

— ამერიკა ომში ვერ ჩაერევა. ამერიკელები და ინგლისელები დანასისხლად არიან ერთმანეთთან. ამერიკა მზად არაა ომისთვის.

პოლკოვნიკმა შრედერმა ამოიხვნეშა.

— აი, ინებეთ თადარიგის ოფიცრების ლაყბობა. რა ეშმაკმა მორეკა ისინი აქ. ჯერ კიდევ გუშინ, ალბათ, თვითოეული მათგანი სულ სხვა საქმეს აკეთებდა — რომელიმე ბანკში რაღაც ქაღალდებს წერდა ან დუქანში მუშაობდა, ქაღალდში საქონელს ახვევდა, ძირ-ძურებით, დარიჩინათ და გუტალინით ვაჭრობდა, ანდა ბავშვებს ასწავლიდა სკოლაში: მგელი შიმშილისაგან ტყიდან გამორბისო, — დიახ, ამა თუ იმ საქმიანობას ეწეოდა, ახლა კი სურს კადრის ოფიცრებს გაუტოლდეს, ყველაფერში გაერკვეს და ამიტომ ყველგან ეჩრება. კადრის ოფიცრები კი, როგორც, მაგალითად, პორუჩიკი ლუკაშია, თავს არ იწუხებენ ჩვენს კომპანიაში ჩარევით.

პოლკოვნიკი შინ ამღერეულ გუნებაზე დაბრუნდა. მეორე დღეს, დილით უარეს გუნებაზე დადგა, რადგან გაზეთებში, რომლებსაც ლოგინში კითხულობდა, ცნობებში საომარ მოქმედებათა შესახებ რამდენიმეჯერ წააწყდა შემდეგ წინადადებას: „ჩვენმა ჯარებმა უკან დაიხიეს წინასწარ გამზადებულ პოზიციებზე“. დადგა ავსტრიის არმიის დიდების პერიოდი, წყლის ორი წვეთივით მსგავსი შაბაცის* დღეებისა.

წაკითხულის შთაბეჭდილებით პოლკოვნიკი დილის ათი საათიდან შეუდგა ფუნქციის ასრულებას, რომელსაც ნებითგანწესებულმა, ჩანს, სწორად უწოდა საშინელი სამსჯავრო.

შვეიკი და ნებითგანწესებული ეზოში იდგნენ და პოლკოვნიკს ელოდებოდნენ. ყველა იყო თავშეყრილი: ფელდფებელი, მორიგე ოფიცერი, პოლკის ადიუტანტი და პოლკის კანცელარიის გადამწერი დამნაშავეთა საქმეებით ხელში, დამნაშავეთა, რომელთაც ნემეზიდას მახვილი-პოლკის პატაკი ელოდებოდა. ბოლოს, ნებითგანწესებულთა ჯგუფის უფროსის კაპიტან საგნერის თანხლებით გამოჩნდა პირქუში პოლკოვნიკი. იგი ნერვიულად უტყლაშუნებდა თავის მაღალყელიან ჩექმებს წკეპლას.

პოლკოვნიკმა მიიღო პატაკი. სამარისებურ სიჩუმეში მან რამდენჯერმე ჩაუარა შვეიკსა და ნებითგანწესებულს, რომლებიც ხან rechtsschauf-ს აკეთებდნენ, ხან liaksschauf-ს[1], იმის მიხედვით, თუ რომელ ფრთაზე მოექცეოდა პოლკოვნიკი. იგი ისე დიდხანს მიდიმოდიოდა და ისინიც ისე გულმოდგინედ აკეთებდნენ სწორებას, რომ კინაღამ კისერი მოეგრიხათ. ბოლოს პოლკოვნიკი გაჩერდა ნებითგანწესებულთან.

მან პატაკი მისცა:

---

[1] „სწორება მარჯვნივ“. „სწორება მარცხნივ“.

— ნებითგანწესებული...

— ვიცი, — მკვახედ მოუჭრა პოლკოვნიკმა, — გადაგვარებული ნებითგანწესებული... რა საქმიანობას ეწეოდით ომამდე? კლასიკური ფილოსოფიის სტუდენტიო? მაშასადამე, გალოთებული ინტელიგენტი... პანე კაპიტან, — უთხრა მან საგნერს, — მოიყვანეთ ნებითგანწესებულთა მთელი სასწავლო ჯგუფი... ჰოდა, — განაგრძო პოლკოვნიკმა და კვლავ მიუბრუნდა ნებითგანწესებულს, — აი ასეთებთან, კლასიკური ფილოსოფიის ასეთ ბატონ სტუდენტთან გვიხდება ჩვენ საქმის დაჭერა. Kehrt euch![1] ასედაც ვიცოდი. ფარაჯის ნაოჭები კეცკეცად არ არის. თითქოს ეს-ესაა ქუჩის გოგოსთან იღლაბუცა ან ბარდელში იგორავაო. დამაცათ, მე თქვენ გაჩვენებთ თვალის სეირს.

ნებითგანწესებულთა ჯგუფი ეზოში შემოვიდა.

„კარეში“! — უბრძანა პოლკოვნიკმა, და ჯგუფი მუიდრო კვადრატად გარსშემოერტყა მას და დამნაშავეთ.

— შეხედეთ ამ ადამიანს, — დაიწყო თავისი სიტყვა პოლკოვნიკმა და წკეპლით აჩვენა ნებითგანწესებულზე. — მან ლოთობაში გააქარწყლა ჩვენი ღირსება, ნებითგანწესებულთა ღირსება, რომლებიც ოფიცრობისთვის ემზადებიან, უფროსობისთვის, ემზადებიან იმ დღისთვის, როცა ჯარისკაცებს ბრძოლაში წაუძღვებიან სახელის მოსახვეჭად. კი მაგრამ სად წაიყვანდა თავის ჯარისკაცებს ეს ლოთიბაში? ერთი სამიკიტნოდან მეორეში! ალბათ, თვითონვე ამოუწრუპავდა სალდათებს მთელ რომს. რას იტყოდით თავის გასამართლებლად, — მიმართა ნებითგანწესებულს. — არაფერს? ერთი შეხედეთ ამას და დატკბით მისი ცქერით! არ შეუძლია თუნდაც ერთი სიტყვა თქვას თავის გასამართლებლად. მერედა, კლასიკური ფილოსოფია მაინც არ ჰქონდეს შესწავლილი! აი მართლაც კლასიკური შემთხვევაა! — პოლკოვნიკმა უკანასკნელი სიტყვები განგებ ნელა წარმოთქვა და გადააფურთხა: — კლასიკური ფილოსოფოსი, რომელიც გამომთვრალი ღამღამობით ოფიცრებს ქუდებს აგლეჯს თავიდან! ნამდვილი მავნე პიროვნება ხარ! კიდევ იღბალი, რომ ის ვიღაც არტილერიის ოფიცერი იყო.

ამ უკანასკნელ სიტყვებში გამოთქმული იყო ოთხმოცდამეთერთმეტე პოლკის მტრული განწყობილება ბუდეიოვიცეს არტილერიის მიმართ. ვაი იმ არტილერისტს, რომელიც ღამით ხელში ჩაუვარდებოდა ქვეითების პატრულს, და პირიქით. მტრობა იყო ღრმა და შეურიგებელი, ვენდეტა, სისხლის აღება, რომელიც შემკვიდრეობით გა-

---

1 ზურგისაკენ! (გერმ.).

დადიოდა ერთი გაწვევიდან მეორე გაწვევაზე. მტრობა გამოიხატებოდა როგორც ერთი მხრიდან, ისე მეორედან ტრადიციულ შემთხვევებში: სადღაც ხან ქვეითები გადაუშვებდნენ ხოლმე არტილერისტებს ვლტავაში, ხან — პირიქით. შეტაკებები ხდებოდა „პორტ-არტურში," „უ რუეეში" და სამხრეთ ჩეხეთის დედაქალაქის სხვადასხვა გასართობ ადგილებში.

— მიუხედავად ამისა, — განაგრძო პოლკოვნიკმა, — მსგავსი საქციელისთვის სასტიკად უნდა დაისაჯოს; ეს ტიპი უნდა გაირიცხოს ნებითგანწესებულთა სკოლიდან, იგი მორალურად უნდა განადგურდეს. ასეთი ინტელიგენტები არმიას არ ესაჭიროება. Regimentskauzlei! [1]

პოლკის გადამწერი, რომელსაც ხელში მზად ეჭირა საქმე და ფანქარი, მკაცრი გამომეტყველებით მიუახლოვდა.

ჩამოვარდა სიჩუმე, როგორც ეს სასამართლო დარბაზში ხდება ხოლმე, როცა მკვლელის გასამართლების შემდეგ, თავმჯდომარე აცხადებს: „ვაქვეყნებთ განაჩენს..."

სწორედ ასეთი კილოთი პოლკოვნიკმა წარმოთქვა:

— ნებითგანწესებულ მარეკს მიესაჯოს ოცდაერთი დღით მკაცრი პატიმრობა. სასჯელის მოხდის შემდეგ ჩაირიცხოს სამზარეულოში კარტოფილის საფცქვნელად!

მერე მიუბრუნდა ნებითგანწესებულთა ჯგუფს და ბრძანა: „კოლონებად დაეწყვეთ!" ისმოდა, ჯგუფი რა სწრაფად ეწყობოდა ოთხ-ოთხად რიგში და მიდიოდა. პოლკოვნიკმა შენიშვნა მისცა კაპიტან საგნერს, რომ ჯგუფს საკმაოდ მტკიცე ნაბიჯი არა აქვს, და უთხრა, ნასადილევს თქვენ თვითონ ავარჯიშეთო.

— ნაბიჯებს გუგუნი უნდა გაუდიოდეთ, პანე კაპიტან. აი კიდევ რა, კინალამ დამავიწყდა, —დაუმატა პოლკოვნიკმა. — გამოუცხადეთ მათ, რომ ნებითგანწესებულთა მთელ ჯგუფს ხუთი დღით ჩამოერთვა შვებულება, რათა არ დაავიწყდეთ ყოფილი კოლეგა, ეს გაიძვერა მარეკი.

გაიძვერა მარეკი კი იდგა შვეიკის გვერდით ფრიად კმაყოფილი სახით. უკეთეს რამეს ვერც უსურვებდა თავის თავს. გაცილებით უფრო სასიამოვნოა სამზარეულოში კარტოფილი ფცქვნა, კნედლიკები დააგორგოლაო და ხორცთან იფუსფუსო, ვიდრე მტრის გააფთრებული ცეცხლის ქვეშ, შიშისგან ჩასვრილი, გაპყვიროდე: „Einzelnabfallen! Bajonett auf." [2]

---

1. პოლკის გადამწერო! (გერმ.)

2 ერთიმეორეს მაყოლებით! ხიშტით ბრძოლაში, წინ!

პოლკოვნიკი შრედერი მოცილდა კაპიტან საგნერს, შვეიკის წინ გაჩერდა — და ყურადღებით დააკვირდა მის სახეს. ამ წუთში შვეიკის გარეგნობას ყველაზე უკეთ ახასიათებდა მისი მრგვალი მოღიმარი პირისახე და ჩამოფხატული ქუდიდან გამოჩრილი დიდი ყურები. მისი გარეგნობა მოწმობდა, რომ შვეიკს სრულებით არაფერი აშფოთებდა და არავითარ დანაშაულს იგი არ გრძნობდა. მისი თვალები თითქოს ეკითხებოდნენ: „განა რამე ჩავიდინე? ასეთი რა დავაშავე, ვერ გამიგია?"

პოლკოვნიკმა შეაჯამა თავისი დაკვირვებანი ერთ შეკითხვაში, რომლითაც პოლკის გადამწერს მიმართა:

— იდიოტია? — და დაინახა, როგორ გაიბადრა ღიმილისგან შვეიკის კეთილი, უწყინარი სახე.

— სწორედ ასეა, პანე პოლკოვნიკ, იდიოტი ვარ, — უპასუხა გადამწერის ნაცვლად შვეიკმა.

პოლკოვნიკმა თავის დაქნევით იხმო ადიუტანტი და მასთან ერთად გვერდზე გადგა. მერე პოლკის გადამწერს დაუძახა და გადასინჯეს მასალები შვეიკზე.

— ა! — თქვა პოლკოვნიკმა შრედერმა, — ეს, მაშასადამე, პორუჩიკ ლუკაშის დენშჩიკია, რომელიც ტაბორში დაიკარგა თანახმად პორუჩიკის პატაკისა. ჩემის აზრით, ბატონმა ოფიცრებმა თვითონვე

უნდა აღზარდონ თავისი დენშჩიკები. რაკი ბატონმა პორუჩიკმა ლუკაშმა ასეთი იდიოტი დენშჩიკი ამოირჩია, კეთილი ინებოს და მასთან ერთად ჯვარს ეცვას. თავისუფალი დრო საკმაოდ აქვს, რაკი არსად დადის. განა თქვენ ერთხელ მაინც გინახავთ იგი ჩვენს საზოგადოებაში? აი, ხომ ხედავთ. მაშასადამე, დრო ეყოფა, თავისი დენშჩიკი ჭკუაზე რომ მოიყვანოს.

პოლკოვნიკი შრედერი მივიდა შვეიკთან, შეათვალიერა მისი სათნო სახე და თქვა:

— სამი დღით მკაცრ პატიმრობაში, ბრიყვო პირუტყვო! სასჯელის მოხდის შემდეგ გამოცხადდებით პორუჩიკ ლუკაშთან.

ამრიგად, შვეიკი ისევ შეხვდა ნებითგანწესებულს პოლკის ნაობახტში, პორუჩიკ ლუკაშს კი, უთუოდ, დიდი სიამოვნება მოჰგვარა, როცა პოლკოვნიკმა გამოუძახა და უთხრა:

— პანე პორუჩიკ, ამ ერთი კვირის წინათ, როცა ჩვენს პოლკში გადმოხვედით, პატაკით მომმართეთ, თქვენს განკარგულებაში დენშჩიკის მოვლინების შესახებ, ვინაიდან წინანდელი დენშჩიკი ტაბორის სადგურში გაგებნათ. მაგრამ ვინაიდან თქვენი დენშჩიკი დაბრუნდა...

— პანე პოლკოვნიკ... — მუდარით წარმოთქვა პორუჩიკმა.

—...მე გადავწყვიტე სამი დღით ჩავსვა, შემდეგ კი თქვენს განკარგულებაში გადმოვგზავნი, — მტკიცედ წარმოთქვა პოლკოვნიკმა.

თავზარდაცემული ლუკაში ბარბაცით გამოვიდა პოლკოვნიკის კაბინეტიდან.

შვეიკმა დიდი სიამოვნებით გაატარა სამი დღე ნებითგანწესებულ მარეკთან. ყოველ საღამოს ისინი პატრიოტულ გამოსვლას აწყობდნენ. საღამოთი ნაობახტიდან ისმოდა: „წყალობდე, უფალო, ხელწიფესა ჩვენსა“, მერე „Priuz Eugen, der edle Ritter.“ [1]

ამას მოჰყვებოდა მთელი რიგი ჯარისკაცური სიმღერები. როცა პროფოსი მოვიდოდა, მას კანტატით ეგებებოდნენ:

ნუ გეშინია, პროფოს, სიკვდილის,
ის არ გეწვევა მოულოდნელად,
შენს წასაყვანად მოვლენ ეშმაკნი,
გაგაჭანებენ ცოცხლად ნელ-ნელა.

საწოლების თავზე ნებითგანწესებულმა პროფოსი დახატა, ქვემოთ ძველებური სიმღერის ტექსტი მიაწერა:

---

1. პრინც ევგენი, სახელოვანი რაინდი (გერმ.)

როცა ძეხეისთვის გავრბოდი პრაღას,
ერთი სულელი შემხვდა იმჟამად,
ეს ბოთე იყო ჩვენი პროფესი,
კინაღამ ცხვირი არ მიმაჭამა.

და ვიდრე შვეიკი და ნებითგანწესებული ძღიზიანებდნენ პროფესს, როგორც სევილიაში წითელი მოსასხამით ანდალუზიის ხარს აღიზიანებენ, პორუჩიკი ლუკაში ნაღველმოდებული ელოდებოდა, როდის გამოცხადდებოდა შვეიკი და მოახსენებდა, რომ მზადაა შეუდგეს თავის .მოვალეობათა აღსრულებას.

თავი III

შვეიკის თავგადასავალი კირალიჰიდეში

ოთხმოცდამეთერთმეტე პოლკი გადაყავდათ მოსტ ნა ლიტავე *— კირალიჰიდეში.

შვეიკმა პატიმრობაში სამი დღე დაჰყო. განთავისუფლებამდე სამი საათით ადრე იგი ნებითგანწესებულთან ერთად მთავარ ნაობახტში გადაიყვანეს, იქიდან კი ბადრაგას ხლებით სადგურზე გაგზავნეს.

— დიდი ხანია აშკარა იყო, რომ ჩვენ უნგრეთში გადაგვიყვანდნენ, — უთხრა გზაში შვეიკს ნებითგანწესებულმა. — იქ ჩამოყალიბდება სამარშო ბატალიონები, ჩვენი ჯარისკაცები კი ამასობაში სროლაში გაიწაფებიან და მადიარებს დაერევიან, მერე კი მხიარულად გავუდგებით გზას კარპატებისკენ. ბუდეიოვიცეში განალაგებენ მადიართა გარნიზონს, და მოხდება ტომების აღრევა. არსებობს ასეთი თეორია, რომ სხვა ეროვნების გოგოების გაუპატიურება — საუკეთესო საშუალებაა გადაგვარების თავიდან ასაცილებლად. ოცდაათიანი წლების ომის დროს ამას აკეთებდნენ შვედები და ესპა-

ნელები, ნაპოლეონის დროს — ფრანგები, ახლა კი იგივეს მოიმოქმედებენ მადიარები ბუდეიოვიცეს მხარეში. რა თქმა უნდა, ეს გაუპატიურება უხეშ ფორმებში კი არ მოხდება. ყველაფერი თავისთავად გამოვა. უბრალო გაცვლა-გამოცვლასთან გვექნება საქმე: ჩეხი ჯარისკაცი უნგრელ გოგოსთან გაატარებს ღამეს, ლატაკი ჩეხი მოჯამაგირე გოგო შეიპატიჟებს უნგრელ ჰონვედს. რამდენიმე საუკუნის შემდეგ ანტროპოლოგები სახტად დარჩებიან, როცა მდინარე ძალიშის სანაპიროს მცხოვრებთ გამოზნექილ ყვრიმალის ძვლებს აღმოუჩენენ.

— ჯვარედინი დაწყვილება, — შენიშნა შვეიკმა. — საერთოდ ძალიან საინტერესო მოვლენაა. პრაღაში ცხოვრობს ზანგი — კელნერი სახელად კრისტიან. მამამისი აბისინიის მეფე იყო. ამ მეფეს პრაღაში შტვანიცაზე * ცირკში აჩვენებდნენ. იგი შეუყვარდა ერთ მასწავლებელ ქალს, რომელიც „ლადაში“ * ათავსებდა პატარ-პატარა, გულისამაჩუყებელ ლექსებს მწყემს გოგონებსა და ტყეში მოჩუხჩუხე ნაკადულებზე, მასწავლებელი ქალი მასთან ერთად სასტუმროში წავიდა და „მრუშობა ჩაიდინა“, როგორც ნათქვამია საღვთო წერილში. ახლა არ იკითხავთ, რარიგ გაოცდა ის ქალი, როცა სულ მთლად თეთრი ბიჭუნა შეეძინა! მაგრამ ორ კვირასაც არ გაუვლია დაბადებიდან, ბიჭუნას რუხმა ფერმა დაჰკრა. თანდათან გამუქდა, ერთი თვის შემდეგ კი გაშავება იწყო. ნახევარი წლის შემდეგ ბიჭი ისეთივე შავი გახდა, როგორიც მამამისი იყო — აბისინიის მეფე. დედამ ბავშვი კანის სნეულებათა კლინიკაში წაიყვანა, ხომ არ შეიძლება როგორმე შავი საღებავი მოაცილოთო, მაგრამ მას უთხრეს, ბიჭუნა შავკანიანი არის, და არაფერი ეშველებაო. მასწავლებელი ქალი ამის გამო ჭკუაზე შეირყა და ყველა ჟურნალს, რომელსაც კი მოეპოვებოდა განაცხადილება: „რჩევა-დარიგება მკითხველებს“. შეკითხვა დაუგზავნა, რა საშუალება არსებობს შავკანიანობის წინააღმდეგო. იგი წაიყვანეს კატერინკაში *, შავკანიანი ბიჭუნა კი ობოლთა სახლში მოათავსეს. უნდა გეუცურებიათ, რა სეირი იყო, სანამ იქ ეს შავი ბიჭუნა იზრდებოდა! მერე შავი ბიჭი კელნერი გახდა და ღამის კათეებში ცეკვავდა. ახლა იგი წარმატებით აჩენს მულატ ჩეხებს, მაგრამ უკვე არა ისეთ შავებს, როგორიც თვითონაა. როგორც ფერშალმა აგვიხსნა ტრაქტირ „უ კალიხაში“, კანის ფერის საქმე არც ისე უბრალო საქმეა: ასეთი მულატისგან ისევ მულატები იბადებიან, რომელთაც ძნელად თუ გამოარჩევთ თეთრებისგან, მაგრამ რამდენიმე თაობის შემდეგ შეიძლება მოულოდნელად გაჩნდეს ზანგი. წარმოიდგინეთ ასეთი სკანდალი: თქვენ ცოლად ირთავთ რომელიმე ქალიშვილს. მთლად თეთრია, ის დალოცვილი, აბსოლუტურად თეთრი,

და ერთ მშვენიერ დღეს — აჰა, ინებეთ! დაგისვათ ზანგი. თუ მანამდე, ცხრა თვით ადრე, თუნდაც ერთხელ უთქვენოდ ვარიეტეშიც იყო და ზანგის მონაწილეობით გამართულ ფრანგულ ჭიდაობას უყურა. ცხადია, ცოტათი ჩაგაფიქრებთ კიდეც ეს გარემოება.

— თქვენი შემთხვევა ზანგ კრისტიანთან აუცილებლად მსჯელობის საგნად უნდა ვაქციოთ და სამხედრო თვალსაზრისით განვიხილოთ, — თქვა ნებითგანწესებულმა. — დავუშვათ, რომ ეს ზანგი ჯარში გაიწვიეს, იგი პრაღელია და, მაშასადამე, უთუოდ ოცდამერვე პოლკში მოხვდებოდა. როგორც გაგონილი გექნებათ, ოცდამერვე პოლკი რუსების მხარეზე გადავიდა. წარმოიდგინეთ, როგორ გაუკვირდებოდათ რუსებს, როცა ზანგ კრისტიანს ტყვედ ჩაიგდებდნენ ხელში. რუსულ გაზეთებში, უთუოდ, დასწერდნენ, რომ ავსტრია ომში კოლონიურ ჯარებს ერეკებაო (რომლებიც მას არა ჰყავს) და რომ ავსტრიამ შავკანიანთა რეზერვები ჩააბა ბრძოლაშიო.

— მახსოვს, ამბობდნენ, რომ ავსტრიას აქვს კოლონიები, —ჩაურთო შეეიკმა — სადღაც ჩრდილოეთში. იმპერატორ ფრანც იოსების რომელიღაც მიწა არისო.

— თავი გაანებეთ, თუ ღმერთი გწამთ, ასეთ ლაპარაკს. — ჩაერია ერთი მცველთაგანი. — ახლა იმპერატორ ფრანც იოსების რომელიღაც მიწაზე სჯა-ბაასი სახიფათოა. ყველაზე უკეთესი იქნება, სახელებს თუ არ ახსენებთ.

— აბა ერთი შეხედეთ რუკაზე, — გააწყვეტინა ნებითგანწესებულმა. — მართლაც არსებობს ჩვენი ყოვლადმოწყალე მონარქიის იმპერატორ ფრანც იოსების მიწა. სტატისტიკის მონაცემებით იქ მხოლოდ ყინულებია, ჰოდა, ეს ყინულები გამოაქვთ იქიდან ყინულმჭრელი გემებით, რომლებიც პრაღის მაცივრების მეპატრონეებს ეკუთვნით. ჩვენმა ყინულის მრეწველობამ საზღვარგარეთაც დიდი შეფასება მიიღო და პატივისცემა დაიმსახურა, ვინაიდან ეს სამრეწველო საწარმო ფრიად შემოსავლიანია, თუმცა საკმაოდ სახიფათოც. ფრანც იოსების მიწიდან ყინულის ექსპორტის დროს ყველაზე უფრო სახიფათოა ყინულის გადმოზიდვა პოლარულ წრეზე. რა თქმა უნდა, წარმოდგენილი გაქვთ, ეს როგორ ხდება?

მცველმა ჯარისკაცმა რაღაც ჩაიბუტბუტა გაუგებრად. ბადრაგას უფროსი, კაპრალი, ახლო მივიდა მოსაუბრეებთან და ყური დაუგდო ნებითგანწესებულის ახსნა-განმარტებას. იგი ღრმააზროვანი გამომეტყველებით განაგრძობდა:

— ავსტრიის ამ ერთადერთ კოლონიას შეუძლია მიაწოდოს ყინული მთელ ევროპას, და ის საკმაოდ მსხვილ ეკონომიურ ფაქტორს წარმოადგენს. რა თქმა უნდა, კოლონიზაცია ნელა მიმდინარეობს,

რადგან კოლოხისტების ერთ ნაწილს სრულებით არ სურთ იქ წასვლა, წასულები კი იყინებიან. მიუხედავად ამისა, კლიმატური პირობების გაუმჯობესებასთან ერთად, რაშიც დიდად დაინტერესებული არიან ვაჭრობისა და საგარეო საქმეთა სამინისტროები, არის იმედი, რომ თვალუწვდენი ყინულოვანი ფართობი სათანადოდ იქნება გამოყენებული. რამდენიმე ოტელის მოწყობით იქ მიიზიდავენ აურაცხელ ტურისტს. რაღა თქმა უნდა, ტურისტების ხელშესაწყობად საჭიროა გაყვანილ იქნას ტურისტული ბილიკები და ვიწრო გზები ყინულებს შორის, ყინულებზე გზის მაჩვენებელი ფერადი ტურისტული ნიშნებიც უნდა დაიხატოს. ერთადერთ დაბრკოლებას ესკიმოსები წარმოადგენენ, რომლებიც ჩვენი ადგილობრივი ორგანოების მუშაობას აფერხებენ...

კაპრალი ინტერესით უსმენდა. იგი ზევადის სამსახურის ჯარისკაცი იყო, კაცი მკაცრი ხასიათისა და ჭკუათხელი, რომელიც ცდილობდა ისეთი რამე დაემახსოვრებინა, რაზედაც წარმოდგენაც არ ქქონდა. იგი სამხედრო სამსახურამდე მოჯამაგირეობდა. მისი იდეალი იყო, როგორმე ფელდფებლობამდე მიეღწია.

— ...არ სურთ იმ ოჯახქორ ესკიმოსებს გერმანული ისწავლონ,— განაგრძო ნებითგანწესებულმა, — თუმცა განათლების სამინისტრო, პანე კაპრალ, არ მოერიდა ხარჯებსა და ადამიანთა მსხვერპლს და მათთვის სკოლები ააგო, რასაც ხუთი არქიტექტორი-მშენებელი შეეწირა — ისინი გაიყინენ.

— კალატოზები კი გადარჩნენ, — ჩაურთო შეეიკმა. — ჩიბუხსა წევდნენ და იმით თბებოდნენ.

— ყველა არა, — შეესიტყვა ნებითგანწესებული. — ორს მარცხი მოუვიდა. დაავიწყდათ ჩიბუხის მოქაჩვა, ჩიბუხი ჩაუქრათ, და ის ბედშაევები ყინულებში ჩამარხეს. მაგრამ სკოლა ბოლოს მაინც ააგეს. აშენებული იყო ის ყინულის აგურებითა და რკინაბეტონით. ძალიან მტკიცე გამოდის! მაშინ ესკიმოსებმა აიღეს და, სკოლის გარშემო კოცონები გააჩაღეს ყინულებში გაჭედილი სავაჭრო გემების ნამსხვრევებისგან, და თავისი გეგმა განახორციელეს. ყინული, რომელზეც სკოლა იდგა, გალღვა, მთელი სკოლა ზღვაში შთაინთქა და თან ჩაიტანა დირექტორი და მთავრობის წარმომადგენელი, რომელიც ვეორე დღეს სკოლის საზეიმო კურთხევას უნდა დასწრებოდა. ამ საშინელ წუთებში გაისმა მთავრობის წარმომადგენლის ყვირილი, რომელიც ყელამდე წყალში იყო ჩაძირული. „Gott, strafe England“ [1] ახლა იქ, უთუოდ, ჯარს გაგზავნიან ესკიმოსებში წეს-

[1] ღმერთო, დასაჯე ინგლისი (გერმ.).

რიგის დასამყარებლად. თავისთავად, მათთან ბრძოლა ძნელია. ყველაზე დიდ ზიანს ჩვენს ჯარს მათი გაწვრთნილი თეთრი დათვები მიაყენებენ.

— ესღა გვაკლდა, — ღრმააზროვნად შენიშნა კაპრალმა. — უამისოდაც სამხედრო გამოგონებანი უამრავია. ავიღოთ, მაგალითად, მომწამვლავი აირის ნიღბები. ჩამოიცობ თუ არა თავზე, უმალ მოწამლული ხარ აირით, როგორც უნტერ-ოფიცერთა სკოლაში გვასწავლიდნენ.

— ამას მხოლოდ დასაშინებლად ამბობენ, — გამოეხმაურა შვეიკი. — ჯარისკაცს არაფრის არ უნდა ეშინოდეს. ვთქვათ, მაგალითისთვის, ბრძოლის დროს ფეხისადგილის ორმოში ჩავარდი, შემოილოკე ტანი და განაგრძე ბრძოლა. შხამიანი აირი ჩვენთვის ჩვეულებრივი ამბავია, ამას შეჩვეული ვარ ჯერ კიდევ ყაზარმებში სალდათური პურით, ცერცვითა და ბურღულით მუცლის გამოტენის შედეგად. მაგრამ აი, ამბობენ, რომ რუსებმა რაღაც გამოიგონეს სპეციალურად უნტერ-ოფიცრების ამოსაწყვეტადო.

— რაღაცნაირი განსაკუთრებული ელექტრული დენის ნაკადები, — დაუმატა ნებითგანწესებულმა. — უნტერ-ოფიცრის საყელოზე ცელულოიდის ვარსკვლავებთან შეერთების გზით აფეთქება ხდება. დღე არ გაივლის, ისე რაღაც საშინელება არ მოხდეს.

კაპრალი სამხედრო სამსახურამდეც ნამდვილი დოყლაპია იყო. მაგრამ ისიც კი, ბოლოს, მიხვდა, რომ მას სასაცილოდ იგდებენ. მოშორდა პატიმრებს და ბადრაგას სათავეში ჩაუდგა.

ისინი უკვე სადგურს უახლოვდებოდნენ, სადაც თავი მოეყარა უამრავ ბუდეიოვიცელს, რომლებიც თავის პოლკთან გამოსათხოვებლად მოსულიყვნენ.

მიუხედავად იმისა, რომ გამოთხოვება არ ატარებდა ოფიციალური დემონსტრაციის ხასიათს, მთელი მოედანი სავსე იყო ხალხით. რომელიც ჯარის მოსვლას ელოდებოდა.

შვეიკის მთელი ყურადღება მიპყრობილი იყო მწკრივად მდგომ მაყურებლებზე. და როგორც ყოველთვის ხდება ხოლმე, ახლაც ისე მოხდა: წესიერი და სამაგალითო ჯარისკაცები მთლად უკან მოდიოდნენ, პატიმრები კი — ბადრაგას ხლებით — წინა რიგებში მოაბიჯებდნენ. წესიერ ჯარისკაცებს პირუტყვის ვაგონებში შერეკავენ და ისე გამოჭედავენ, რომ გასანძრევი ადგილიც აღარ დარჩებათ, შვეიკსა და ნებითგანწესებულს კი განსაკუთრებულ სატუსაღო ვაგონში ჩასვამენ, რომელიც სამხედრო მატარებლებში შტაბის ვაგონსაა გამობმული. სატუსაღო ვაგონში ყოველთვის სიხალვათეა.

შვეიკმა ვეღარ მოითმინა, ქუდი მოიხადა, ჰაერში შეათამაშა და შესძახა ბრბოს:

— ნაზდარ!

ამ შეძახილმა ძალიან იმოქმედა, მისალმება ხალისით აიტაცეს და ხმამაღლა გასძახეს საპასუხოდ.

— ნაზდარ! — მისალმებამ მთელ მოედანზე გადაიგუგუნა და სადგურთან აბობოქრდა.

წინ, ძალიან შორს, ხალხის რიგებში გაირბინა:

— მოდიან!

ბადრაგას უფროსი მთლად დაიბნა და შვეიკს უყვირა, ხმა გაკმიდეო. შაგრამ მისალმებათა გუგუნი ზვავივით იზრდებოდა. ჟანდარმები ხალხს აწვებოდნენ და ბადრაგას გზას უკვლევდნენ. ბრბო კი განაგრძობდა ღრიალს: „ნაზდარ!“ და ქუდების ქნევას.

ეს ნამდვილი მანიფესტაცია იყო. სადგურის მოპირდაპირე მხარეზე სასტუმროდან ვიღაც ქალები ცხვირსახოცებს იქნევდნენ და გაჰყვიროდნენ:

— Heil!

ხალხში ძახილს „ნაზდარ“ მიემატა ძახილი „Heil!“. ხალხიდან ვიღაც ენთუზიასტმა ისარგებლა ამ გარემოებით და დაიძახა: „Nieder mit den Serben!“[1] მაგრამ მას ფეხი დაუდვეს და საგანგებოდ მოწყობილ ზედახორაში მის ზურგზე გადაიარ-გადმოიარეს.

— მოდიან! — ელექტრონის დენივით გადადიოდა ხალხში ეს ძახილი.

პროცესია ახლოვდებოდა. შვეიკი ალერსიანად უქნევდა ხალხს მცველ ჯარისკაცთა ხიშტებს შორის გამოშვერილ ხელს. ნებითგანწესებული სერიოზული სახით აძლევდა სამხედრო სალამს.

ისინი შევიდნენ სადგურში და სამხედრო მატარებლისკენ გაემართნენ, რომელიც უკვე ჩამომდგარიყო. მსროლელთა პოლკის ორკესტრმა ის-იყო მათ შესახვედრად კინაღამ დაიგრიალა „უფალო, წყალობდე მეფესო!“, რადგან მოულოდნელმა მანიფესტაციამ თავგზა აუბნია კაპელმეისტერს და როგორ მოქცეულიყო აღარ იცოდა, შაგრამ იღბლად დროზე მოუსწრო მეშვიდე ცხენოსანი დივიზიის ობერ-ფელდკურატმა პატერ ლაცინამ, რომელიც ანაზდეულად, თითქოს მიწიდან ამოძვრაო, თავისი ქვაბურა ქუდით გამოცხადდა, და წესრიგის დამყარებას შეუდგა. თუ როგორ მოხდა აქ ეს ხუცესი, არც ისე თავსამტვრევი ამბავია.

---

[1] ძირს სერბიელები! (გერმ.)

პატერ ლაცინა, ოფიცერთა ყველა სასადილოს რისხვა, გაუმაძღარი ღორმუცელა და ლოთიბაში, წინადღით მივიდა ბუდეიოვიცეში და, თითქოს შემთხვევითო, მიმავალი პოლკის ოფიცერთა პატარა ბანკეტზე მოხვდა. იქ სასმელებით გამოიბრუჟა და საკმელებს მიასკდა, მაგრამ ეს არ იკმარა, ადგა და, ოფიცერთა სამზარეულოში წავიდა, მზარეულს ნარჩენები გამოთხოვა — შეთქვლიფა, რაც კი ხელში მოხვდა, ძაღლივით შემოღრღნა ძვლები, მერე საკუჭნაოს მიაკვლია, იქ რომი აღმოაჩინა და ისე გამოთვრა, რომ ენას ძლივსღა იგნებდა, აქედან გამოსათხოვარ საღამოზე მოხვდა და ისევ გაილეშა ღვინით.

ამ მხრივ დიდი გამოცდილება გააჩნდა, და მეშვიდე ცხენოსანთა დივიზიის ოფიცრებს ყოველთვის მისი ნახარჯის დაფარვა უხდებოდათ.

მეორე დილით მას აზრად მოუვიდა, დაემყარებინა წესრიგი პოლკის პირველი ეშელონების გაგზავნაში. ამ მიზნით იგი ჯარის მწკრივებს ხან აურბენდა, ხან ჩამოურბენდა, და სადგურზე ისეთი გაცხოველებული ენერგია გამოიჩინა, რომ ოფიცრებმა, რომლებიც ეშელონების გაგზავნას ხელმძღვანელობდნენ, თავს უშველეს და სადგურის უფროსის კანცელარიაში ჩაიკეტნენ. იგი დროზე გამოჩნდა სადგურის მიდამოებში, სწორედ იმ წუთებში, როცა კაპელმეისტერმა აიქნია ხელი, რომ დაეწყო: „უფალო, წყალობდე მეფეს!"

— Halt! [1] შესძახა ობერ-ფელდკურატმა და ხელიდან გამოსტაცა სადირიჟორო წკეპლა. — ადრეა! მე მოგცემთ ნიშანს. ახლა კი rul! მე ახლავე დავბრუნდები.

ამის შემდეგ წავიდა სადგურზე, გამოუდგა ბადრაგს და შეძახილით „Halt!" შეაჩერა.

— საით? — მკაცრად ჰკითხა კაპრალს, რომელიც ერთთავად დაიბნა და არ იცოდა, რა ექნა.

მის ნაცვლად მშვიდად უპასუხა შვეიკმა:

— ჩვენ ბრუკში მივყავართ, პანე ობერ-ფელდკურატ. თუ გნებავთ, ჩვენთან ერთად წამობრძანდით.

— რატომაც არ წამოვალ! — განაცხადა პატერ ლაცინამ, მერე მცველ ჯარისკაცებს მიუბრუნდა და უყვირა: — ვინ თქვა, რომ მე არ შემიძლია წამოსვლა? Vorwärts! Marsch! [2]

როგორც კი სატუსაღო ვაგონში შევიდა, ობერ-ფელდკურატი სკამ-ლოგინზე დაწვა, კეთილმა შვეიკმა კი ფარაჯა გაიხადა და პატერ ლაცინას თავქვეშ ამოუდო.

---

[1] შესდექ! (გერმ.)

[2] წინ! იარ! (გერმ).

ნებითგანწესებული მიუბრუნდა შეშინებულ კაპრალს და ხმადაბლა შენიშნა:

— ობერ-ფელდკურატებს მოვლა ესაჭიროებათ!

პატერ ლაცინა მოხერხებულად დაწვა სკამლოგინზე და შეუდგა განმარტებას:

— რაგუ სოკოთი, ბატონებო, მით უფრო გემრიელი გამოდის, რაც უფრო მეტ სოკოს ჩადებთ შიგ. მაგრამ წინასწარ სოკო ბუცილებლად ხახვში უნდა მოხარშოთ და მხოლოდ შემდეგ ჩადოთ შიგ დაფნის ფოთოლი და ხახვი.

— ხახვი სოკოსთან ერთად თქვენ უკვე მოხრაკეთ და ხელმეორედ რაღა საჭიროა კიდევ ჩადება, — შენიშნა ნებითგანწესებულმა.

კაპრალს ამ სიტყვებზე კინაღამ თავზარი დაეცა და სასოწარკვეთილებით შეხედა ნებითგანწესებულს, რადგან მისთვის პატერ ლაცინა, თუნდაც მთვრალი, მაინც უფროსი იყო.

კაპრალი მართლაც საძაგელ დღეში ჩავარდა.

— პან ობერ-ფელდკურატი უდავოდ მართალი ბრძანდება, — მხარი დაუჭირა შვეიკმა ხუცესს: — რაც უფრო მეტია ხახვი, მით უკეთესია. ერთი ლუდისმხდელი პაკომერჟიცეში ლუდში ყოველთვის ხახვს დებდა, იმიტომ რომ, როგორც ამბობენ, ხახვი წყურვილს იწვევსო. საერთოდ ხახვი ძალიან სასარგებლოა. შემწვარ ხახვს ძირმაგარაზეც იდებენ.

პატერ ლაცინა, თითქო სიზმარშიაო ბუტბუტს განაგრძობდა:

— ყველაფერი დამოკიდებულია ძირძურებზე, იმისაგან, რა ძირძურებსა და რა რაოდენობით ჩადებთ. მაგრამ ზედმეტი რომ არ მოგვიდეთ 'პილპილი, პილ... — იგი სულ უფრო და უფრო წყნარად ლაპარაკობდა, — მიხაკი, ლიმონი, ძირძურები, მუსკატი, მუსკა... მუსკ... მუ-უ...

მან ვეღარ დაასრულა სათქმელი, ხვრინვა ამოუშვა, თან შენაცვლებით უსტვენდა.

კაპრალი გახევებული სახით დააშტერდა უფროსს.

მცველი ჯარისკაცები ჩუმ-ჩუმად იცინოდნენ.

— დიდხანს იძინებს, — თქვა შვეიკმა, — მაგრადაა ნასვამი.

კაპრალმა შიშით გაასავსავა ხელები, ანიშნა, გაჩუმდიო.

— ვითომ რაო, — განაგრძო შვეიკმა, — ღვინითაა გამტყვრალი, განა ვერ ხედავთ! მერედა, კაპიტანი მაინც არ იყოს! მათ, ამ ფელდკურატებს, რა სამხედრო ხარისხიც არ უნდა ჰქონდეთ, ყველას, ალბათ, თვით ღმერთმა დაუწესა: სადაც კი საბაბი მიეცემათ, ღვი-

ნით ისე გატიალდნენ, პირში ენა აღარა ჰქონდეთ. მე ფელდკურატ კატცთან ვმსახურობდი, იგი ისეთი ვინმე იყო, საკუთარ ცხვირს დააგირავებდა ღვინოში. კიდევ მეტი. ღვინოში ჩვენ სანაწილე გავფლანგეთ, გავფლანგავდით, ალბათ, თვით მამაზეციერ ღმერთსაც ვინმე ისეთი ღვთისნიერი რომ აღმოჩენილიყო, მასში ცოტა ფული შემოეძლია.

შვეიკი მივიდა პატერ ლაცინასთან, ზურგისკენ შეატრიალა და საქმის ცოდნით განაცხადა:

— თვით ბრუკამდე ფეხს არ გაანძრევს... — და თავის ადგილზე დაბრუნდა. მას სასოწარკვეთილებით აღსავსე თვალი გააყოლა გაუბედურებულმა კაპრალმა, რომელმაც ჩაიბუტბუტა.

— უნდა წავიდე და განვაცხადო.

— ამაზე ფიქრს თავი დაანებეთ, — გამოეპასუხა ნებითგანწესებული. — თქვენ ბადრაგის უფროსი ხართ და უფლება არა გაქვთ ტუსაღები დაგეტოვოთ. გარდა ამისა, ინსტრუქციით თქვენ უფლება არა გაქვთ ჩვენი მხლებელი ყარაულიდან რომელიმე გაგზავნოთ პატაკით, რადგან შემცველი არ გყავთ. როგორც ხედავთ, რთული მდგომარეობაა. არ ივარგებს აგრეთვე, ჰაერში გასროლაც. რომ ვინმემ მოირბინოს — აქ საიმისო არაფერი მომხდარა. მაგრამ, მეორეს მხრივ, არსებობს მოწერილობა, რომ ტუსაღთა ვაგონში არავინ უნდა იყოს, პატიმრებისა და მათი მცველი ჯარისკაცების გარდა, აქ შემოსვლა გარეშე პირთათვის სასტიკად აკრძალულია. თქვენ რომ მოინდომოთ თქვენი დანაშაულის კვალის დაფარვა და შეეცადოთ გაქანებულ მატარებლიდან ობერ-ფელდკურატის ჩუმად გადაგდება, ესეც არ გამოგივათ, რადგან აქ არიან მოწმეები, რომლებმაც დაინახეს, როგორ შემოუშვით იგი ვაგონში, სადაც მისი ყოფნა დაუშვებელია. დიახ, პანე კაპრალ, ამას სამსახურებრივი დაქვეითების სუნი უდის.

კაპრალმა გაუბედავად პროტესტი განაცხადა, მე ხომ არ შემომიშვია ვაგონში ობერ-ფელდკურატი, თვითონ მოგვეკედლა, რაც არ უნდა იყოს ფელდკურატია — მაინც უფროსიაო.

— აქ უფროსი მხოლოდ ერთია — ეს თქვენა ხართ, — მტკიცედ წარმოთქვა ნებითგანწესებულმა, შვეიკმა კი დასძინა:

— ჩვენთან თვით ხელმწიფე-იმპერატორმა რომ მოისურვოს შემოხიზვნა, თქვენ უფლება არა გაქვთ ამის ნება მისცეთ. ეს იგივეა, საგუშაგოზე მდგომ ახალწვეულთან ინსპექტორი ოფიცერი რომ შივიდეს და სთხოვოს, სიგარეტებზე გამეგზავნეო, მან კიდევ

სიამოვნებით აასრულოს ეს თხოვნა და ისიც იკითხოს, რა ხარისხის სიგარეტებს ინებებთო. ასეთი ამბებისთვის ციხეში ამწყვდევენ ადამიანს.

კაპრალმა ფრთხილად შენიშნა შვეიკს — თქვენ არ იყავით, ობერ-ფელდკურატი რომ შემოიპატიჟეთ, ჩვენთან იმგზავრეთო.

— ჩემგან ყველაფერი მოსალოდნელია, პანე კაპრალ, — უპასუხა შვეიკმა, — იმიტომ, რომ მე იდიოტი ვარ, თქვენ კი ეს არასგზით არ გეპატიებათ.

— დიდი ხანია რაც ზევადიან სამსახურში ხართ? — თითქოს სხვათა შორის შეეკითხა ნებითგანწესებული კაპრალს.

— მესამე წელიწადია. ახლა უნდა დამაწინაურონ ოცეულის უფროსად.

— ამ საქმეს შეგიძლიათ ჯვარი გადაუსვათ,—ცინიკურად უთხრა ნებითგანწესებულმა, — მე უკვე ვთქვი, რომ მთელ ამ ამბავს დაქვეითების სუნი უდის-მეთქი.

— ბოლოს და ბოლოს სულ ერთია, — გამოეხმაურა შვეიკი,— ოცეულის უფროსად მოგკლავენ, თუ რიგით ჯარისკაცად. თუმცა, უნდა ითქვას, რომ დაქვეითებულებს პირველ რიგებში ერეკებიან.

ობერ-ფელდკურატი ძილში შეინძრა.

— ძინავს, — განაცხადა შვეიკმა, როცა დარწმუნდა, რომ ხუცესთან ყველაფერი წესრიგშია. — მაგ, ალბათ, სათქვლეფი დაეხიზმრა. მაგრამ ძალიან ეშიშობ, აქ არაფერი მოუვიდეს. ჩემი ფელდკურატი, ოტო კატცი, როცა გამოიბრუქებოდა, არაფერს გრძნობდა ხოლმე ძილში. ერთხელ, წარმოიდგინეთ...

და შვეიკმა დაიწყო ამბების მოყოლა ფელდკურატთან თავისი სამსახურის პრაქტიკიდან და ისეთი საინტერესო წვრილმანებით, რომ ვერავინ შენიშნა, თუ როგორ დაიძრა მატარებელი.

შვეიკის საუბარი შეწყვიტა ღრიანცელმა, რომელიც უკანა ვაგონებიდან გაისმა. მეთორმეტე ასეული, რომელიც მთლიანად კრუმლოველ და კაშპერელ გერმანელებისგან შედგებოდა, ღრიალებდა სიმღერას:

Wann ich kumm, wann ich kumm,
Wenn ich wieda, wieda kumm.[1]

მეორე ვაგონიდან ვიღაც საშინლად გაჰკიოდა, და ეს კიეილი მიმართული ჰქონდა ბუდეიოვიცესკენ, რომელიც უკან რჩებოდა:

Und du, mein schatz
Bleibst hier.
Holario, holario, holo![2]

ეს ისეთი შემზარავი კიეილი იყო, რომ ამხანაგებმა ველარ გაუძლეს და მომღერალი პირუტყვის ვაგონის გაღებულ კარებიდან შიგ ვაგონში შეათრიეს.

— საკვირველია, რომ აქ ჯერჯერობით არ მოვიდნენ შესამოწმებლად, — უთხრა ნებითგანწესებულმა კაპრალს. — თანახმად არსებული წესდებისა, ვიღაც გალეშილ ობერ-ფელდკურატს კი არ უნდა გადაყოლოდით, არამედ მატარებლის კომენდანტისთვის ჯერ კიდევ სადგურზე უნდა მოგეხსენებინათ ჩვენს შესახებ.

საცოდავი კაპრალი ხმას არ იღებდა და ტელეგრაფის ბოძებს უცქეროდა, რომლებიც უკან გარბოდნენ.

— საკმარისია გავიფიქრო, რომ ჩვენზე არავისთვის არაფერი მოუხსენებიათ, — განაგრძო გესლიანად ნებითგანწესებულმა, — პირველ სადგურზევე კი, — ეს ისე ვიცი, როგორც ორჯერ ორი ოთხია, — ჩვენს ვაგონში მატარებლის კომენდანტი ამოძვრება, რომელსაც წარმოდგენაც არა აქვს, თუ რა ხდება აქ, და უმალ ჯარისკაცური სისხლი ამიდუღდება ძარღვებში! თითქოს ჩვენ ვიღაც...

---

[1] როცა უკან დავბრუნდები (სიმღერა გერმანულ დიალექტზე)

[2] შენ კი, ჩემო საუნჯევ, დამრჩები აქ. ჰოლარიო, ჰოლარიო, ჰოლო! (გერმ.)

— ბოშები ვიყოთ, — შეეშველა შვეიკი, — ან მაწანწალები. თითქოს მზის სინათლის გვეშინია და არსად ვჩნდებით, თითქოს დაპატიმრების გვეშინია.

— გარდა ამისა, — თქვა ნებითგანწესებულმა, — ათას რვაას სამოცდაცხრამეტი წლის ოცდაერთი ნოემბრის განკარგულების საფუძველზე რკინიგზით სამხედრო პატიმრების გადაყვანის დროს დაცული უნდა იქნას შემდეგი წესები: პირველი, — პატიმართა ვაგონს უნდა ჰქონდეს რკინის გისოსები, — ეს ნათელზე ნათელია, ამ შემთხვევაში პირველი წესი დაცულია: ჩვენ მოთავსებული ვართ წუნდაუდებელ გისოსებიან ვაგონში. ეს, მაშასადამე, წესრიგშია. მეორე — იმპერატორისა და მეფის ათას რვაას სამოცდაცხრამეტი წლის ოცდაერთი ნოემბრის განკარგულების დამატებით პატიმართა ყოველ ვაგონს უნდა ჰქონდეს ფეხისადგილი. თუ ასეთი არა აქვს, მაშინ ვაგონში უნდა დაიდგას თავსახურიანი ჭურჭელი პატიმართა და მათი მხლები ჯარისკაცებისთვის მცირე და დიდი ფიზიოლოგიურ მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად. ჩვენს შემთხვევაში, ფეხისადგილიან საპატიმრო ვაგონზე ლაპარაკიც ზედმეტია: ჩვენ უბრალოდ შემოღობილ კუპეში ვიმყოფებით, და, გარდა ამისა, აქ არ მოიპოვება ზემოთნახსენები ჭურჭელი.

— შეგიძლიათ ფანჯარაში მოისაქმოთ, — თქვა მთლად გაუბედურებულმა კაპრალმა.

— თქვენ გავიწყდებათ, — უთხრა შვეიკმა, — რომ პატიმრებს აკრძალული აქვთ ფანჯარასთან მისვლა.

— მესამე, — განაგრძო ნებითგანწესებულმა, — ვაგონში უნდა იყოს ჭურჭელი. სასმელი წყლით. თქვენ ამაზეც არ იზრუნეთ. A propos! [1] რომელ სადგურზე დაარიგებენ სადილს? არ იცით? ასედაც ვიცოდი: თქვენ ამის შესახებ არაფერი გამოგიკითხავთ.

— აი, ხომ ხედავთ, პანე კაპრალ, — შენიშნა შვეიკმა, — პატიმრების ტარება, ფლავის ჭამა როდია. ჩვენზე უნდა იზრუნოთ. ჩვენ უბრალო ჯარისკაცები როდი ვართ, რომლებიც ვალდებულნი არიან თვითონ მოუარონ თავის თავს. ჩვენ ყველაფერი უნდა მოგვართვათ, ამის შესახებ არსებობს განკარგულებანი და პარაგრაფები, რომლებიც უნდა შესრულდეს, წინააღმდეგ შემთხვევაში, რა წესრიგი გვექნებოდა? „პატიმარი ჩვრებში გახვეული ბავშვივითაა,—როგორც იტყოდა ხოლმე ერთი ჩემი ნაცნობი მაწანწალა,—

[1] ეჰ, მართლა! (ფრანგ.)

მას თვალყური უნდა ადევნოთ, რომ არ გაცივდეს, არ იღელვოს, თავისი ბედით კმაყოფილი იყოს და იმ საცოდავს არაფერი საფუძ-ნი შეხვდეს...“ სხვათა შორის, — მეგობრული კილოთი დასძინა შვეიკმა, — პანე კაპრალ, თერთმეტი საათი .როცა გახდება, ძალიან .გთხოვთ მაცნობოთ.

კაპრალმა გაკვირვებით შეხედა შვეიკს.

— თქვენ, როგორც ჩანს, გინდათ შემეკითხოთ, პანე კაპრალ, თერთმეტ საათზე რატომ უნდა გამაფრთხილოთ? საქმე ისაა, პა-ნე კაპრალ, რომ თერთმეტი საათიდან ჩემი ადგილი პირუტყვთა ვა-გონშია და არა აქ, — ზეიმურად განაცხადა შვეიკმა. — პოლკის პა-ტაკის დროს მისჯილი მქონდა სამი დღით პატიმრობა. თერთმეტ საათზე შევუდექი სასჯელის მოხდას, და დღეს თერთმეტ საათზე უნდა განვთავისუფლდე. თერთმეტი საათიდან აქ აღარაფერი მე-საქმება. არც ერთი ჯარისკაცი არ შეიძლება პატიმრობაში იყოს იმაზე მეტხანს, ვიდრე ეკუთვნის, ვინაიდან სამხედრო საძსახურ-ში დისციპლინა და წესრიგია საჭირო უწინარეს ყოვლისა, პანე კაპრალ.

ეს ისეთი თავზარი იყო კაპრალისთვის, რომ იგი დიდხანს ვერ მოვიდა გონს. ბოლოს ასე მიუგო შვეიკს, ამის შესახებ არავითარი ოფიციალური ქაღალდი არ მიმიღიაო.

— ჩემო უძვირფასესო კაპრალ, — გამოეხმაურა ნებითგანწეს-ებული, — წერილობითი განკარგულებანი თავისთავად ბადრაგის უფროსთან არ მიირბენენ. თუ მთა არ ეახლება მუჰამედს, ბადრა-გის უფროსი თავისი ფეხით უნდა მივიდეს მასთან. თქვენ ამჯერად არაჩვეულებრივ სიტუაციაში მოხვდით. თქვენ არავითარი უფლე-ბა არა გაქვთ დააკავოთ ვინმე, ვისაც თავისუფლება ეკუთვნის. მე-ორეს მხრივ, არსებული წესის თნახმად, არავის უფლება არა აქვს გავიდეს საპატიმრო ეაგონიდან. მართალი გითხრათ, არ ვიცი, რო-გორ გამოძვრებით ამ საძაგელ მდგომარეობიდან. რაც უფრო მე-ტი დრო გადის, მდგომარეობა უფრო უარესდება. ახლა თერთმე-ტის ნახევარია.

ნებითგანწესებულმა საათს დახედა და ისევ ჯიბეში ჩაიდო.

— ძალიან საინტერესოა, რას მოიმოქმედებთ ნახევარი საათის შემდეგ, პანე კაპრალ.

— ნახევარი საათის შემდეგ პირუტყვთა ეაგონში გადავალ, — გაიმეორა ოცნებით გატაცებულმა შვეიკმა.

მას განადგურებულმა და თავგზააბნეულმა კაპრალმა მიმართა:

— თუ თქვენთვის ეს დიდ როლს არ თამაშობს... ვფიქრობ, რომ აქ გაცილებით უკეთესია, ვიდრე პირუტყვთა ვაგონში. ვფიქრობ...

კაპრალს შეაწყვეტინა ობერ-ფელდკურატმა, რომელმაც ძილში წამოიყვირა:

— თუ შეიძლებოდეს მომეცით მეტი სოუსი.

— იძინე, იძინე, — ალერსიანად უთხრა შვეიკმა, და თავქვეშ შეუკეცა სკამლოგინიდან გადმოშვერილი ფარაჯის კალთა. — გისურვებ სასიამოვნო სიზმრებს სათქვლეფზე.

ნებითგანწესებულმა უმღერა:

ნანა, იძინე, შვილო...
მზეო და თვალსჩინო,
ფუფალა ხომ გვერდში გიწევს,
ანგელოზიც აკვანს გირწევს,
ნანა, იძინე, შვილო...

საწყალი კაპრალი უკვე აღარაფერს აქცევდა ყურადღებას. გამოთაყვანებული ფანჯარაში იყურებოდა. მან სრული გასაქანი მისცა პატიმართა კუპეში გაბატონებულ დეზორგანიზაციას. ტიხრთან მცველი ჯარისკაცები „ხორცობანას“ თამაშობდნენ და მოგებული ჯარისკაცები წაგებულს კეთილსინდისიერად და მთელი ძალით უტყლაშუნებდნენ ხელს უკან, რბილ ადგილებზე. როცა კაპრალმა მიიხედა, მას პირდაპირ თვალში მოხვდა მისკენ გამომწვევად შემობრუნებული ჯარისკაცის უკანალი. კაპრალმა ამოიხვნეშა და ისევ ფანჯრისკენ იბრუნა პირი.

ნებითგანწესებული ერთი წუთით დაფიქრდა, მერე მიუბრუნდა დაჯაბნებულ კაპრალს:

— თუ წაგიკითხავთ ოდესმე „ცხოველთა სამყარო?“ *

— ამ ჟურნალს ჩვენთან სოფელში ერთი მიკიტანი იწერდა, — უპასუხა კაპრალმა, აშკარად კმაყოფილმა იმით, რომ საუბარმა სხვა მიმართულება მიიღო. — მიკიტანი დიდი მოყვარული იყო სანის თხების, მაგრამ მას ყველანი დაეხოცა. და აი ამ ჟურნალის საშუალებით იგი რჩევას ეკითხებოდა ყველას.

— ძვირფასო მეგობარო, — უთხრა ნებითგანწესებულმა, — ამბავი, რომელსაც გადმოგცემთ ახლა, მთელი სიცხადით დაგიმტკიცებთ, რომ ადამიანმა შეიძლება შეცდომა ჩაიდინოს. ბატონებო! დარწმუნებული ვარ, რომ თქვენ თავს დაანებებთ „ხორცობანას“ თამაშს, რადგანაც, რასაც ახლა გიამბობთ, ძალიან საინტერესოდ მო-

გეჩვენებათ, თუნდაც იმიტომ, რომ ბევრ სპეციალურ ტერმინს ვერც გაიგებთ. გადმოგცემთ მოთხრობას „ცხოველთა სამყაროს“ შესახებ, რაც დაგავიწყებინებთ ახლანდელი ომის ჭირ-ვარამს.

თუ რანაირად გავხდი თავის დროზე „ცხოველთა სამყაროს“, ამ ფრიად საინტერესო ჟურნალის რედაქტორი, — დიდხანს ამოუხსნელი ამოცანა იყო თვით ჩემთვის. მერე მივედი იმ დასკვნამდე, რომ ასეთი რამისთვის ხელის მოკიდება შემეძლო მხოლოდ სრული შეურაცყოფელობის მდგომარეობაში. ჯე შორს შემატოპინა ერთი ძველი მეგობრის — ჰაეკის მიმართ მეგობრულმა გრძნობებმა. ჰაეკი კეთილსინდისიერად რედაქტორობდა ამ ჟურნალს, სანამ მისი გამომცემლის ფუკსის ქალიშვილი არ შეუყვარდა. ფუკსმა არც აცივა, არც აცხელა, დაუყოვნებლივ სამსახურიდან გააგდო ჰაეკი და უბრძანა, ჟურნალისთვის ვინმე წესიერი რედაქტორი მომიძებნეო.

როგორც ხედავთ, იმ დროს დაქირავებისა და დათხოვნის საკმაოდ უცნაური პირობები არსებობდა.

როცა ჩემმა მეგობარმა ჰაეკმა გამომცემელთან მიმიყვანა, მან ძალიან ტკბილად მიმიღო და გამომკითხა, რაიმე წარმოდგენა თუ გაქვს ცხოველებზეო. ჩემი პასუხით დიდად კმაყოფილი დარჩა. მე ის აზრი გამოვთქვი, რომ ყოველთვის ძალიან პატივსა ვცემდი ცხოველებს და მათში ვხედავდი მხოლოდ საფეხურს ადამიანად გადაქცევისა და რომ, ცხოველთა დაცვის თვალსაზრისით, მე განსაკუთრებულ ყურადღებას ვაქცევდი მათ მოთხოვნებსა და მისწრაფებებს. თვითეული ცხოველის სურვილი მხოლოდ ერთ რამეში გამოიხატება, სახელდობრ: შეეშის წინ დაჰკლან ის რამდენადაც შესაძლებელია უმტკივნეულოდ. მაგალითად, კობრს დაბადებიდან ძვალსა და რბილში გამჯდარი აქვს ის აზრი, რომ ძალიან ულამაზოა მზარეული ქალების მხრივ, როცა ისინი ცოცხლად უფატრავენ მას მუცელს. მეორეს მხრივ ავიღოთ მამლებისათვის თავის წაგდებინების ჩვეულება. ცხოველთა დაცვის საზოგადოება იბრძვის, როგორც კი შეუძლია, იმისთვის, რომ ფრინველს გამოცდილმა ხელმა მოკვეთოს თავი. შემწვარი გოჭალას, დაკრუნჩხული მდგომარეობა საუკეთესოდ ადასტურებს იმას, რომ სიკვდილის დროს ისინი მთელი თავისი არსებით ეწინააღმდეგებიან მარგარინზე ცოცხლად მათ შეწვას. რაც შეეხება ინდაურებს...

აქ გამომცემელმა შემაწყვეტინა და მკითხა, ვიცნობ თუ არა მეფრინველეობის საქმიანობას, ძაღლების მოშენებას, მებოცვრეო-

ბას, მეფუტკრეობას, საერთოდ ცხოველთა ცხოვრების მრავალფეროვნებას და შევძლებ თუ არა ამ ცხოვრების ამსახველი სურათების სხვა ჟურნალებიდან ამოკრას და შეგროვებას, უცხოური ჟურნალებიდან ცხოველების შესახებ სპეციალური სტატიების თარგმნას, შემიძლია თუ არა გამოვიყენო ბრემი საჭიროებისამებრ, და დავწერო მოწინავე წერილები ცხოველთა ცხოვრებიდან შეფარდებული კათოლიკურ კალენდართან, ამინდის ცვლილებასთან, დოლებთან, საპოლიციო ძაღლების წვრთნასთან, ნაციონალურ და საეკლესიო დღესასწაულებთან და ა. შ., მოკლედ, გამაჩნია თუ არა ჟურნალისტური თვალთახედვა და ნიჭი გარკვეული მომენტი მოვხატო მცირე ზომის, მაგრამ შინაარსიან მოწინავეში.

მე განვუცხადე, რომ ისეთი ჟურნალის წარმართვის გეგმა, როგორიცაა „ცხოველთა სამყარო", ჩემს მიერ უკვე დიდი ხანია მოფიქრებულია და დამუშავებულია და რომ ყველა დასახული განყოფილებანი და რუბრიკები მთლიანად შემიძლია ავიღო ჩემს თავზე, რადგან დასახელებული დარგების გასაძღოლად ყოველგვარი მონაცემები გამაჩნია და ცოდნაც შემწევს. ჩემი მისწრაფება იქნება, ჟურნალი არნახულ სიმაღლეზე ავიყვანო, გარდავქმნი მას, როგორც ფორმის, ისე შინაარსის მხრივ. შემდეგ ვუთხარი, რომ განზრახული მაქვს ახალი განყოფილებების შემოღება, მაგალითად, „ცხოველთა ჰუმორის კუთხე", „ცხოველები ცხოველთა შესახებ" (რა თქმა უნდა, პოლიტიკურ მომენტთან შეფარდებით) და მკითხველთ ზედიზედ მივაწოდო სიურპრიზები, რათა აზრზე ვერ მოვიდნენ, როცა სხვადასხვა ცხოველთა აღწერის კითხვას შეუდგებიან. „ცხოველთა ქრონიკის" განყოფილების დროდადრო შენაცვლება შინაურ ცხოველთა შესახებ პრობლემების გადაჭრის ახალი პროგრამითა და „პირუტყვთა შორის მოძრაობით".

გამომცემელმა ისევ შემაწყვეტინა და მითხრა — ეს სავსებით საკმარისია და ამის თუნდაც ნახევრის გაკეთებას რომ შეძლებდეთ, ერთ წყვილ ქონდარა ვიანდოტს გითავაზებთ, რომლებმაც პირველი პრიზი მიიღეს შინაურ ფრინველთა ბერლინის უკანასკნელ გამოფენაზე, მათი პატრონი კი ოქროს მედლით დააჯილდოეს საუკეთესო შეწყვილებისთვისო.

შემიძლია ვთქვა, რომ ვცდილობდი, რისი ძალაცა და შესაძლებლობაც შემწევდა და „მთავრობის" პროგრამას ვასრულებდი ჩემი ნიჭისა და უნარის მიხედვით, უფრო მეტიც, მე ისიც კი აღმოვაჩინე, რომ ჩემს სტატიებში თურმე საკუთარ თავს გადავაჭარბე.

ჩემი სურვილი იყო მკითხველისთვის მიმეწოდებინა რამე ახალი და მოულოდნელი, ამიტომ მე თვითონ ვიგონებდი ცხოველთა ახალ სახეებს. მე იმ პრინციპიდან გამოვდიოდი, რომ, მაგალითად, სპილო, ვეფხვი, ლომი, მაიმუნი, თხუნელა, ცხენი, ღორი და ა. შ. დიდი ხანია ცნობილია „ცხოველთა სამყაროს“ თვითეული მკითხველისთვის და რომ საჭიროა მკითხველის გამოფხიზლება ახალი აღმოჩენებით. საცდელად გავუშვი „გოგირდოვანი ვეშაპი“. ვეშაპის ეს ახალი სახეობა ვირთეევზას ოდენა იყო და ბუშტი ჭიანქველის სიმაკვით ჰქონდა სავსე. გარდა ამისა, მას განსაკუთრებული მოწყობილობის კლოაკა[1] ჰქონდა, საიდანაც გოგირდოვანი ვეშაპი ფეთქებით უშვებდა საგანგებო მჟავას; ეს მჟავა აბრუებდა წვრილ თევზს, რომლითაც ვეშაპი იკვებებოდა. მოგვიანებით ჩემს მიერ მოგონილმა ერთმა ინგლისელმა მეცნიერმა (არ მახსოვს რა გვარი შევარქვი) ამ მჟავას „ვეშაპის მჟავა“ უწოდა. ვეშაპის ქონი ყველასათვის ცნობილი იყო, მაგრამ ვეშაპის მჟავა პირველად გაიგონეს და ამან დიდი ინტერესი აღძრა მკითხველებში. რამდენიმე მკითხველი შეეკითხა რედაქციას, რომელი ფირმა აწარმოებს ამ მჟავას წმინდა სახით გამომუშავებასო.

თავს ნებას ვაძლევ დაგარწმუნოთ, რომ „ცხოველთა სამყაროს“ მკითხველები საერთოდ ძალზე ცნობისმოყვარენი არიან.

გოგირდოვანი ვეშაპის შემდეგ მთელი რიგი სხვა საკვირველი ცხოველები გამოვიგონე. დავასახელებ თუნდაც შემდეგს: „ბლაკნიკი ორპოლი“ — ძუძუმწოვარა კენგურუს ოჯახიდან, „ხარი საჭმელი“ — ჩვენი ძროხის პროტოტიპი და „სეპიოვეს ინფუზორია“, რომელიც მღრღნელთა ოჯახს მივაკუთვნე. ყოველდღე მემატებოდა სულ ახალი და ახალი ცხოველები. მე თვითონ გამაოცა ასეთმა წარმატებამ ამ დარგში. წინათ არასოდეს აზრად არ მომსვლია, რომ ოდესმე წამოიჭრებოდა ფაუნის გამდიდრების ასეთი აუცილებლობა. ვერც კი წარმოვიდგენდი, რომ ბრემს თავის „ცხოველთა სამყაროში“ ამდენი ცხოველი ჰყავდა გამოტოვებული. იციან თუ არა ბრემმა და მისმა მიმდევრებმა ჩემი ღამურას არსებობა კუნძულ ისლანდიიდან, ეგრეთ წოდებულ „უცხოურ ღამურას“ შესახებ, ან ჩემი შინაური კატის შესახებ, მთა კალიმანჯაროს მწვერვალიდან რომ მყავს ჩამოყვანილი და რომელსაც „ირ-

---

[1] საერთო გასავალი განავალისა, შარდისა და სასქესო პროდუქციების, — აქვს ზოგიერთ ცხოველს. (მთარგ.)

მის გამღიზიანებელი“ ეწოდება. განა რომელიმე ბუნებისმეტყველს აქამდე თუნდაც ოდნავი წარმოდგენა ჰქონდა „ინჟინერ კუნის რწყილის“ შესახებ, რომელიც მე ქარვაში ვიპოვე; ის მთლად ბრმა იყო, რადგან წინაისტორიულ თხუნელას ბეწვში ცხოვრობდა, თხუნელა თვითონაც ბრმა იყო, რადგან მისი ბებიის დედა შეწყვილებული იყო, როგორც ჩემს სტატიაში ვწერდი, ბრმა „გამოქვაბულის მაცარატთან“ პოსტოენის გამოქვაბულიდან, რომელიც იმ ეპოქაში ახლანდელ ბალტიის ზღვამდე იყო გადაჭიმული.

ამ, თითქოს უმნიშვნელო საბაბმა, წამოჭრა გაცხოველებული პოლემიკა გაზეთებს „ვრემია“* და „ჩეხს“* შორის. „ჩეხს“ თავის ფელეტონში — რუბრიკით „სხვადასხვა“ — ჩემს მიერ აღმოჩენილ რწყილის შესახებ სტატიიდან ციტატა მოჰყავდა და ასე ასკვნიდა: „რასაც ღმერთი აკეთებს, ყოველივე სასიკეთოდააო“. „ერემია“-მ ბუნებრივია, წმინდა რეალისტურად დაამსხვრია ჩემი რწყილი, დაამსხვრია მუხლობრივად, თან ზედ ღირსეული „ჩეხიც“ მიაყოლა. ამ დღიდან, როგორც ჩანს, ჩაესვენა ჩემი ბედნიერი ვარსკვლავი გამომგონებელ-ბუნებისმეტყველისა, რომელმაც მთელი რიგი ახალი ქმნილება აღმოაჩინა. „ცხოველთა სამყაროს“ ხელის მომწერლები უკმაყოფილებას გამოსთქვამდნენ. უკმაყოფილების საბაბად იქცა ჩემი პატარა შენიშვნები მეფუტკრეობასა და მეფრინველეობაზე. ამ შენიშვნებში რამდენიმე ჩემი საკუთარი ახალი თეორია განვავითარე, რომლებმაც მთელი პანიკა გამოიწვიეს, რადგან მკითხველისადმი მიმართულ რამდენიმე ჩემი ფრიად უბრალო რჩევის შედეგად, ცნობილ მეფუტკრე პაზოურეკს დამბლა დაეცა, შუპანსა და პოდკრკონოშეში * ფუტკარს თითქოს მუსრი გაავლესო, მთლად გაწყდა. შინაური ფრინველი კი ჭირმა გაწყვიტა — ერთი სიტყვით ყველგან ყველაფერი იღუპებოდა. ხელისმომწერლებმა მუქარის წერილები მოაყარეს რედაქციას. უარს ამბობდნენ ხელის მოწერაზე. მაშინ გარეულ ფრინველზე მივიტანე იერიში. აქამდე ძალიან კარგად მახსოვს ჩემი კონფლიქტი „სოფლის მიმოხილვის“ რედაქტორთან, კლერიკალ — დეპუტატ იოზეფ მ. კადლაჩაკთან. დაიწყო იმით, რომ მე ერთ ინგლისურ ჟურნალიდან „Country Life“ [1] ამოვეკერი სურათი, რომელიც გამოსახავდა მუხაზე შემომჯდარ ფრინველს *. ამ ფრინველს „რკოანა“ ეუწოდე. ზუსტად ასევე უყოყმანოდ შემეძლო ჭნავაზე შემომჯდარ ფრინველისთვის „ჭნავანა“ მეწოდებინა. მთელი დავიდარაბა ატყდა. კადლა-

[1] სოფლის ცხოვრება (ინგლ.).

ჩაკი ღია წერილით თავს დამესხა და ამტკიცებდა, რომ ეს ჩხიკვია და არა რაღაც „რკოანა“. „რკოანა“ ბრმად არის ნათარგმნიო გერმანულიდან Eichelhäher [1].

მე წერილითვე ვუპასუხე, რომელშიც მოვიყვანე მთელი ჩემი თეორია „რკოანას“ დასასაბუთებლად, თან გზადაგზა ლანძღვა-გინებაც არ დავაკელი და რამდენიმე ადგილას ბრეშიდანაც ჩავურთე ციტატები, რომლებიც ჩემს მიერ იყო მოგონილი, ბრეშს კი ამის მსგავსი არაფერი ჰქონდა ნათქვამი. დეპუტატმა კადლაჩაკმა „სოფლის მიმოხილვის“ მოწინავე წერილით მიპასუხა.

ჩემი შეფი, პან ფუკსი, როგორც ყოველთვის, კაფეში იჯდა და ადგილობრივ ვაზეთებს კითხულობდა, რადგან უკანასკნელ ხანებში თვალყურის დევნება დაუწყო იმ შენიშვნებსა და რეცენზიებს, რომლებიც „ცხოველთა სამყაროში“ მოთავსებულ ჩემი წარმტაცი სტატიების ირგვლივ იწერებოდა. როცა კაფეში მივედი, მან თავის მოძრაობით მანიშნა მაგიდაზე დადებულ „სოფლის მიმოხილვაზე“ და რაღაცა ჩაიბუტბუტა, თან ნაღვლიანი თვალებით შემომხედა. თვალების ეს დამწუხრებული გამომეტყველება დასჩემდა მას ამ უკანასკნელ დროს.

მე ხმამაღლა, ყველა იქ დამსწრეთა გასაგონად წავიკითხე:

„დიდად პატივცემულო რედაქციას

ჩემს მიერ შემჩნეულია, რომ თქვენი ჟურნალი მკითხველებს უჩვეულო და დაუსაბუთებელ ზოოლოგიურ ტერმინოლოგიას აწოდებს, უგულებელყოფს ჩეხური ენის სიწმინდეს და ათასნაირ ცხოველებს იგონებს. მე უკვე აღვნიშნე, რომ ნაცვლად საყოველთაოდ მიღებულ და ოდითვე ხმარებულ სახელწოდებისა „ჩხიკვი“ თქვენს რედაქტორს შემოაქვს ხმარებაში სახელი „რკოანა“, რაც გერმანული ტერმინის Eichelhäher სიტყვა სიტყვით თარგმანს წარმოადგენს — უნდა იყოს კი „ჩხიკვი“.

— ჩხიკვი, — უიმედოდ გაიმეორა გამომცემელმა.

მე მშვიდად განვაგრძე კითხვა:

„ამის საპასუხოდ თქვენი ჟურნალის „ცხოველთა სამყაროს“ რედაქტორისგან მივიღე პირადი ხასიათის წერილი, დაწერილი მეტად უხეში, გამომწვევი კილოთი. ამ წერილში მე უვიცი პირუტყვი მიწოდეს, ეს კი, მოგეხსენებათ, შეურაცყოფაა, რომლისთვისაც სათანადოდ ისჯებიან. წესიერი ადამიანები ასე არ პასუხობენ მეცნიერული ხასიათის შენიშვნებზე. ეს ჯერ კიდევ დასადგენია, ჩვენ

---

[1], Eichel — რკო (გერმ.)

შორის ვინ უფრო პირუტყვია. შეიძლება, ჩემი საპასუხო შენიშვნები ღია წერილით არ უნდა გამომეგზავნა, ალბათ, დახურული წერილი უნდა დამეწერა, მაგრამ იმდენად გადატვირთული ვარ მუშაობით, რომ ყურადღებიდან გამომრჩა ეს უმნიშვნელო გარემოება. ახლა კი თქვენი „ცხოველთა სამყაროს“ რედაქტორის უზრდელი, ხეპრული თავდასხმის გამო თავს მოვალედ ვთვლი გავაკრა იგი საზოგადოებრივი განკიცხვის სამარცხვინო ბოძზე. თქვენი რედაქტორი ძალიან ცდება, თუ მე ზერექვერედ ნასწავლად და უვიც პირუტყვად მთვლის, რომელსაც, თითქოს, წარმოდგენაც არა მაქვს, ამა თუ იმ ფრინველს რა ეწოდება. ორნიტოლოგიის დარგში დიდი ხანია ვმუშაობ და ჩემს ცოდნას მკვდარი წიგნებიდან კი არ ვიძენ, არამედ თვით ბუნებიდან; გალიებში მე გაცილებით მეტი ფრინველი მყავს, ვინემ თქვენს რედაქტორს ისინი თავის სიცოცხლეში უნახავს, რედაქტორს, რომელიც ნიადაგ პრაღის სამიკიტნოებსა და ტრაქტირებში აგდია.

მაგრამ ყოველივე ეს მეორეხარისხოვანია, თუმცა, რა თქმა უნდა თქვენი ჟურნალის „ცხოველთა სამყაროს“ რედაქტორი, ურიგო არ იქნებოდა, დარწმუნებულიყო, რას წარმოადგენს ის ადამიანი, რომელსაც იგი პირუტყვს უწოდებს, სანამ ეს შარის მოდება გამოქვეყნდებოდა და თვალში მოხვდებოდა მკითხველს. მორავიაში, მისტეკის ფრიდლანდში, სადაც ამ სტატიის გამოქვეყნებამდე თქვენს ჟურნალს ჰყავდა ხელის მომწერლები. ბოლოს და ბოლოს საქმე ვიღაც ჭკუაშერყეულთან პირადი ხასიათის პოლემიკაში როდია, საქმე ისაა ჭეშმარიტება იქნას აღდგენილი. ამიტომ კიდევ ერთხელ ვიმეორებ, რომ დაუშვებელია ახალი სახელწოდებების გამოგონება, გამომდინარე სახელწოდების სიტყვა სიტყვით თარგმანიდან, როცა ჩვენ გვაქვს ყველასთვის ცნობილი მშობლიური სახელწოდება „ჩხიკვი“.

— ჰო, ჩხიკვი, — კიდევ უფრო მეტი სასოწარკვეთილებით წარმოთქვა ჩემმა შეფმა.

მე მშვიდად განვაგრძობ კითხვას, საშუალებას არ ვაძლევ შემაწუვეტინოს.

„როცა არასპეციალისტი და ხულიგანი ხელს კიდებს ისეთ საქმეს, რომელშიც ვერ ერკვევა, ეს უკვე თავხედობაა მისი მხრივ. ვინ როდის უწოდა ჩხიკვს რკოანა? შრომაში „ჩვენი ფრინველები“

148 გვერდზე არის ლათინური სახელწოდება „Ganulus glandarius B. A.“ აი სწორედ ეს გახლავთ „ჩხიკვი“.

თქვენი ჟურნალის რედაქტორი უცილობლად უნდა გამოტყდეს, რომ ფრინველებს მე უკეთესად ვიცნობ, ვიდრე მათ შეიძლება იცნობდეს არასპეციალისტი. რკოანა, პროფესორ ბაიერის ტერმინოლოგიით წარმოადგენს მხოლოდ და მხოლოდ mucifraga carycatectes B. და ეს ლათინური „ბ“ სრულებითაც არ აღნიშნავს, როგორც თქვენი რედაქტორი მწერდა, სიტყვა „ბრიყვის“ პირველსაწყის ასოს. ჩეხი მეფრინველეები იცნობდნენ მხოლოდ ჩვეულებრივ ჩხიკვს, და მათ არასოდეს გაუგონიათ თქვენი „რკოანა“, გამოგონილი ვაკბატონის მიერ, რომლისთვისაც ზედგამოჭრილია პირველსაწყისი ასო „ბ“, თანახმად მისივე თეორიისა.

პიროვნების წინააღმდეგ მიმართული, საძრახისი საქციელი, საქმის არსს არ ცვლის. ჩხიკვი რჩება ჩხიკვად, თუნდაც თქვენი რედაქტორი ჭიჭინაზე გასკდეს. ეს უკანასკნელი ერთხელ კიდევ ზედმეტად დაამტკიცებს, რომ წერილის ავტორი ქარაფშუტულად წერს, საქმის არსს არ ეხება, თუნდაც ამასთანავე აღმაშფოთებელ უხეშ ფორმაში ბრემს ეყრდნობოდეს. ასე, მაგალითად, ეს ხეპრე წერს, რომ ჩხიკვი, ბრემის თანახმად 452 გვ., მიეკუთვნება ნიანგისებრ რაზმს, მაშინ, როცა ამ გვერდზე ლაპარაკია ენაბოძალაზე ანუ ჩვეულებრივ ღაეზე (Zanius minor).

კიდევ მეტი, რბილად რომ ვთქვათ, ეს უვიცი ისევ ბრემს ეყრდნობა და აცხადებს, რომ ჩხიკვი მიეკუთვნება მეთხუთმეტე რაზმს, მაშინ როცა ბრემი ყვავისებრებს მეჩვიდმეტე რაზმს აკუთვნებს, რომელსაც ეკუთვნიან ყვავებიც, ჭკა ოჯახი, ამასთანავე წერილის ავტორი იმდენად უსირცხვილოა, რომ მეც ჭკა (Colaeus) მიწოდა ჩხიკვებისა და ლურჯი ყვავების ოჯახიდან, გაუთლელი ბოთეების ქვერაზმიდან, თუმცა იმავე გვერდზე ლაპარაკია ტყის ჩხიკვებსა და ჭრელ კაჭკაჭებზე.

—ტყის ჩხიკვები, — ამოიოხრა გამომცემელმა და თავში იტაცა ხელი. — მომეცით აქეთ გაზეთი, მე ჩავიკითხავ.

შიშმა ამიტანა, როცა კითხვის დროს გამომცემლის ხროტინი შეშმომესმა.

— ნამგალა შაშვი, თურქული, — ჩაიხროტინა შეფმა, — სულ ერთია, ჩეხურ თარგმანში ნამგალა შაშვად დარჩება, რუხი შაშვი კი — რუხად.

— რუხ შაშვს უნდა ეწოდოს ჭნავნარი, პანე შეფ, — მტკიცე ხმით ვუთხარი, — რადგან ჭნავათი იკვებება.

პან ფუკსმა გადააგდო გაზეთი და ბილიარდის ქვეშ შეძვრა, თან სტატიის უკანასკნელ სიტყვებს იმეორებდა: „Turdus“ [1]. მერე უეცრად მორთო ღრიალი:

— ეშმაკსაც წაუღია ჩხიკვი! რკოანა! გამეცა, გიკბენ!

ძლივძლივობით გამოათრიეს. მესამე დღეს ვიწრო ოჯახურ წრეში განუტევა ტანჯული სული ტვინის ანთებისაგან.

უკანასკნელი მისი სიტყვები გარდაცვალების წინ გონს მოსვლის წუთებში, შემდეგი იყო:

— ჩემთვის მნიშვნელოვანია არა პირადი ინტერესები, არამედ საერთო სიკეთე. ამ თვალსაზრისით მიიღეთ ჩემი უკანასკნელი სიტყვა, არსებითად და... — და დაასლოკინა.

ნებითგანწესებული ერთი წუთით გაჩუმდა, მერე გესლიანად უთხრა კაპრალს:

— ამით მინდა ვთქვა, რომ თვითეული ჩვენგანი შეიძლება ჩავარდეს უხერხულ მდგომარეობაში და რომ არც ერთი ადამიანი დაზღვეული არაა შეცდომისგან.

ყოველივე ამისგან კაპრალმა გაიგო მხოლოდ ის, რომ მას დანაშაულად ეთვლება საკუთარი შეცდომები. იგი ისევ ფანჯრისკენ მიტრიალდა და პირქუშად დაუწყო ცქერა, გზა როგორ სწრაფად იკეცებოდა. მცველი ჯარისკაცები ბრიყვული გამომეტყველებით უყურებდნენ ერთმანეთს. ყველაზე მეტი ინტერესი ნაამბობისადმი შვეიკმა გამოიჩინა.

— არ არსებობს საიდუმლოება, რომელიც ბოლოს არ გამოაშკარავდება, — დაიწყო მან — ყველაფერი ადრე თუ გვიან გარეთ გამოძვრება, ისიც კი, რომ ასეთი სულელური ჩხიკვი რკოანა არაა. მაგრამ ძალიან საინტერესოა, რომ არიან ადამიანები, რომლებიც ანკესზე ეგებიან. ცხოველის გამოგონება არც ისე იოლი საქმეა, მაგრამ გამოგონილი ცხოველის ჩვენება კიდევ უფრო ძნელია. ამ რამდენიმე წლის წინათ პრაღაში ვინმე მესტეკმა აღმოაჩინა სირინოზი და აჩვენებდა მას ჰავლიჩეკის ქუჩაზე ვინოჰრადეში,— თეჯირის უკან ჰყავდა მოთავსებული. თეჯირში ნახვრეტი იყო გაკეთებული და ყველას შეეძლო ამ ნახვრეტის საშუალებით ნახევრად სიბნელეში ეხილა ჩვეულებრივი სავარძელი, რომელშიც გაშხლართული იყო ციცკოველი ქუჩის გოგო. ფეხები შეხვეული ჰქონდა მწვანე დოლბანდით, რასაც უნდა გამოეხატა კუდი, თმა შეღებილი ჰქონდა მწვანედ, ხელებზე ასევე მწვანე ხელჯაგები ჰქონდა, ვითომ თევზის

1. შაშვი (ლათინ.)

ფარფლებიაო, ზურგის გასწვრივ კი თოკით მიბმული ჰქონდა რაღაც საჭეს მაგვარი. ბავშვებს თექვსმეტ წლამდე აკრძალული ჰქონდათ შესვლა, თექვსმეტ წელს ზევით კი, შესასვლელ ბილეთს ყიდულობდნენ. ყველას ძალიან მოსწონდა, რომ სირინოზს დიდი უკანალი ამკობდა, მასზე კი ეწერა: „ნახვამდის!“ სამაგიეროდ მკერდი მოისუსტებდა: ძუძუები ჭიპამდე ჰქონდა ჩამოკიდებული ბებერი კახპა ქალივით. საღამოს შვიდ საათზე მესტეკი ხურავდა პანორამას და ამბობდა: „სირინოზ, შეგიძლიათ შინ წახვიდეთ“. ქალი გამოიცვლიდა ტანისამოსს, და საღამოს ათ საათზე მას უკვე ტაბორის ქუჩაზე შეხვდებოდით. იგი დასეირნობდა და თითქოს შემთხვევით ეუბნებოდა თვითეულ შემხვედრ მამაკაცს: „ლამაზო, წამოდი ჩემთან, დრო გავატაროთ“. ვინაიდან მას არ ჰქონდა ყვითელი ბილეთი, იგი და მისი მსგავსი სხვა „თაგუნები“ პან დრაშნერის ალყაში მოჰყვა, და მესტეკმა მიაკეტა თავისი დუქანი.

ამ საუბარში რომ იყვნენ, ობერ-ფელდკურატი სკამლოგინიდან გადმოვარდა და იატაკზე განაგრძო ძილი. კაპრალმა დაბნეულად შეავლო მას თვალი და სრულ სიჩუმეში დაუწყო უკან, სკამლოგინზე ათრევა. არავის ადგილიდან ფეხი არ მოუცვლია დასახმარებლად. ეტყობოდა კაპრალმა ყოველგვარი ავტორიტეტი დაჰკარგა, და როცა უიმედო ხმით თქვა:

— რომელიმე მომეხმარებოდეთ მაინც... — მცველმა ჯარისკაცებმა შეხედეს მას, მაგრამ არ განძრეულან.

— იატაკზე ძილს რომ დაანებებდეთ, უკეთესი იქნება, — უთხრა შვეიკმა. — მე ჩემს ფელდკურატს სხვანაირად არც ვექცეოდი. ერთხელ იგი ფეხისადგილში დავტოვე გამოსაძინებლად, მეორედ — კარადაში გამოიძინა. ზოგჯერ სხვის ბინაშიც ეძინა, ვარცლში ჩაწოლილს. სად არ უძინია, ვინ მოთელის!..

კაპრალმა უეცრად ძალა იგრძნო, და რომ ეჩვენებინა, აქ მე ვარ უფროსი, უხეშად დაუყვირა შვეიკს:

— ენა დაიმოკლე, ბევრს ნუ ლაქლაქებ! ესღა მაკლია, დენშჩიკებმა დამარიგონ ჭკუა! ამას არ უყურებთ, ამ მღილს!

— სწორია. თქვენ კი, პანე კაპრალ, ღმერთი ბრძანდებით, — უპასუხა შვეიკმა ფილოსოფოსის სიმშვიდით, რომელიც ისწრაფვის დედამიწაზე მშვიდობა დამყაროს და ამის დასაცავად გაცხარებულ პოლემიკაში ებმება. — თქვენ ხომ მწუხარე ღვთისშობელი ხართ.

— ღმერთო ჩემო, — წამოიძახა ნებითგანწესებულმა და ხელები მკერდზე დაიკრიფა, თითქოს ლოცვას აპირებსო. — აღავსე გულნი

ჩვენნი სიყვარულით ყველა უნტერ-ოფიცრისადმი, რომ მათ ზიზღით არ ვუყურებდეთ! აკურთხე ტაძარი ესე ჩვენი, ბორბლებზე შემდგარ ამ საპატიმრო ჯურღმულში.

კაპრალი აენთო და ფეხზე წამოიჭრა:

— ნებითგანწესებულო! გიკრძალავთ ყოველგვარი შენიშვნის მოცემას.

— თქვენ არავითარი დანაშაული არ მიგიძღვით, — ამშვიდებდა მას ნებითგანწესებული. ცხოველთა მთელ იმ უამრავ გვარეულობასა და სახეობაში ბუნებამ თვითეულს რაღაცა მაინც დააკლო ინტელექტის მხრივ: ალბათ, გსმენიათ ადამიანის სიბრიყვის შესახებ. გაბა გაცილებით უკეთესი არ იქნებოდა, თქვენ რომ რომელიმე სხვა ძუძუმწოვრად დაბადებულიყავით და არ გეტარებინათ სულელური სახელი ადამიანისა და კაპრალის? დიდი შეცდომაა, თუ თქვენ საკუთარ თავს ყველაზე სრულყოფილ და განვითარებულ ქმნილებად თვლით. საკმარისია აგაცალოთ ვარსკვლავები სამხრეულებზე და თქვენ ნულად იქცევით, ისეთივე ნულად, როგორც ყველა ისინი, რომელთაც ყველა ფრონტზე და ყველა სანგარში ჰკლავენ, კაცმა არ იცის რისი გულისთვის. თუ თქვენ კიდევ ერთ ვარსკვლავს მოგიმატებენ და თქვენგან შექმნიან ცხოველის ახალ სახეობას, სახელად უფროსი უნტერ-ოფიცერი, მაშინაც ყველაფერი რიგზე არ გეკნებათ. თქვენი გონებრივი თვალთახედვა კიდევ უფრო შევიწროვდება, და როცა, ბოლოს თქვენს კულტურულად განუვითარებელ თავს ბრძოლის ველზე დადებთ, მთელს ევროპაში არავინ თქვენზე არ იტირებს.

— მე თქვენ ჩაგსვამთ! — სასოწარკვეთილებით წამოიყვირა კაპრალმა.

ნებით განწესებულს გაეღიმა.

— უთუოდ, თქვენ გინდათ მე ჩამსვათ იმისათვის, რომ შეურაცხყოფა მოგაყენეთ? ამ შემთხვევაში ეს ტყუილი იქნებოდა თქვენის მხრივ, იმიტომ რომ თქვენი გონებრივი ავლადიდებით ვერ ჩაწვდებოდით შეურაცხყოფის არსს, რომელიც ჩემს სიტყვებში გამოიხატება, მით უმეტეს, რომ — სანაძლეოს ჩამოვალ რაზედაც გნებავთ! — თქვენ სრულებით არაფერი გახსოვთ ჩვენი საუბრიდან. მე თქვენ ემბრიონი რომ გიწოდოთ, თქვენ ის დაგავიწყდებათ, ამიტომ არ გეტყვით იმაზე ადრე, სანამ უახლოეს სადგურში არ შევალთ, მაგრამ გეტყვით იმაზე ადრე, ვიდრე ჩვენს თვალწინ უახლოესი სატელეგრაფო ბოძი გაირბენს. თქვენ — ტვინის გადაგვარებული ხვეული ხართ. ძალიანაც რომ მოინდომოთ, მე ვერ წარმომიდგენია, რომ თქვენ როდისმე შესძლოთ დალაგებულად გადმოგვცეთ ჩემი ნალაპარაკევი. გარდა ამისა, ჰკითხეთ ვისაც გნებავთ აქ დამსწრეთაგან,

განა შეეხე რითიმე თქვენს გონებრივ თვალთახედვას და შეიცავ-დნენ თუ არა ჩემი სიტყვები თუნდაც ოდნავ რაიმე შეურაცხ-მყოფელს.

— რა თქმა უნდა, არა, — კვერი დაუკრა შეეიკმა. — არავის თქვენთვის ერთი სიტყვაც არ უთქვამს ისეთი, რომ ის ცუდად მიგე-ღოთ. ყოველთვის საძაგლად გამოდის ხოლმე, როცა ვინმე თავს შეურაცხყოფილად ოგრძნობს. ერთხელ ღამის ყავახანაში „ტუნელ-ში“ ვიჯექი. საუბარი ჩამოვარდა ორანგუტანგებზე. ჩვენს შორის ერთი მეზღვაური იყო, მან თქვა, ხშირად ორანგუტანგს რომელიმე წვეროსან მოქალაქისგან ვერც გამოარჩევო, რადგან ორანგუტანგს მთელი დრუნჩი შემოსილი აქვს ისეთი გაჩეჩილი თმით, როგორც... „აბა, როგორ გითხრათ, როგორც აი იმ, ეთქვათ, ბატონს, მეზობელ მაგიდას რომ უზისო“. ჩვენ ყველამ იქითკენ მივიხედეთ. წვეროსანი წამოდგა, მივიდა მეზღვაურთან და სახეში ჩააფარა. მეზღვაურმა ხელი დაავლო ლუდის ბოთლს და თავი გაუტეხა იმ კაცს. წვეროსანი წაიქცა და გონი დაჰკარგა. ჩვენ მეზღვაურს გამოვემშვიდობეთ, რად-გან მან წასვლა არჩია, როცა დაინახა, რომ კაცი შემოაკვდა. მერე ჩვენ ის წვეროსანი მკვდრეთით აღვადგინეთ და, ცხადია, სისულელე ჩავიდინეთ, რადგან, როგორც კი იგი მკვდრეთით აღსდგა, დაუყოვ-ნებლივ პოლიციას გამოუძახა. თუმცა ჩვენ აქ არაფერ შუაში ვიყა-ვით, პოლიციამ მაინც ყველანი უბანში წაგვიყვანა. უბანში ეს კაცი სულ ასე გაიძახოდა, რომ ჩვენ ის ორანგუტანგად მივიღეთ და წამ-დაუწუმ იმას ეახსენებდით. ჩვენ ვამბობდით, ხატი — რჯული ამის მსგავსი არაფერი ყოფილა, იგი ორანგუტანგი არ არის-თქო. მაგრამ იგი თავისას გაიძახოდა — ორანგუტანგი და ორანგუტანგიო, ჩემი ყურით გავიგონეო. მე ვთხოვე კომისარს, გეთაყვა, თქვენ მაინც აუხსენით ყველაფერი და ჩასმინეთ რამე ამ ადამიანს-თქო. კომი-სარმა დაყვავებით აუხსნა ყველაფერი, მაგრამ მან ლაპარაკი არ აცალა და განაცხადა, კომისარი თქვენს მხარეზეაო. მაშინ კომისარ-მა ბრძანა, ჩასვით ეს კაცი საკანში, რომ ცოტა გამოფხიზლდესო, ჩვენ კი დავაპირეთ უკან ყავახანაში დაბრუნება, მაგრამ არ გამოგვი-ვიდა, ჩვენც დაგვამწყვდიეს საკანში... აი ხომ ხედავთ, პანე კაპრალ, რად შეიძლება გადაიქცეს პატარა, უბრალო გაუგებრობა, რისთვი-საც ენის მობრუნებაც არა ღირს. ან, მაგალითად, ნემეცკი ბროდში ოკრუჰლიცელმა ერთმა მოქალაქემ დიდად საწყენად მიიღო, როცა მას ვეფხვის გველი უწოდეს. განა ცოტაა ისეთი სიტყვები, რისთვი-საც არავის დასჯა არ შეიძლება? აი, მაგალითად, ჩვენ რომ გითხ-რათ — მთიხვი ხართ-თქო, ამის გამო განა შეგეძლოთ ჩვენზე გაჯავ-რებულიყავით?

კაპრალმა დაიღრინა. ამას ღმუილს ვერ ვუწოდებდით. ეს იყო ბრდღვინვა, რომელიც ერთმანეთში შერეულ რისხვას, გააფთრებასა და სასოწარკვეთას გამოხატავდა. ამ საკონცერტო ნომერს თან ახლდა სტვენა, ცხვირით რომ გამოპყავდა ობერ-ფელდკურატს, რომელიც გემრიელად ხვრინავდა.

ამ ბრდღვინვის შემდეგ კაპრალს სრული დეპრესია დაეუფლა. იგი სკამლოგინზე დაჯდა და თავისი წყლიანი, უმეტყველო თვალები შორს მიაპყრო — ტყეებსა და მთებს.

— პანე კაპრალ, — უთხრა ნებითგანწესებულმა, — ამ წუთებში, როცა თქვენ მიბნედილი თვალებით მაღალ მთებსა და კეთილსურნელოვან ტყეებს გასცქერით, დანტეს ფიგურას მომაგონებთ. იგივე კეთილშობილი ნაკვთები პოეტისა და ყოველივე ამაღლებულის მიმართ თანამგრძნობიარე, გულისხმიერი ადამიანისა. გთხოვთ ასე იჯდეთ, ძალიან გიხდებათ! როგორ ჩამწვდომად, ყოველგვარი ძალდატანების და მანჭვის გარეშე მიშტერებიხართ თქვენს თვალწინ გადაშლილ პეიზაჟს. თქვენ ახლა უთუოდ იმაზე ფიქრობთ, რა სილამაზე იქნება აქ გაზაფხულზე, როცა ამ ცარიელ ადგილებში დაიგება ნაირფეროვანი მინდვრის ყვავილების ხალიჩა.

— რომელზეც საამოდ მირაკრაკებს ნაკადული, — დაასრულა შვეიკმა. — კუნძზე კი პან კაპრალი ჩამომჯდარა, ფანქარს ანერწყვებს და ლექსებსა წერს ჟურნალ „პატარა მკითხველისათვის“ *.

მაგრამ ყოველივე ამან ვერ გამოიყვანა კაპრალი აპათიისაგან. ნებითგანწესებულმა დაუწყო რწმუნება, რომ მან მოქანდაკეების გამოფენაზე თავისი თვალით ნახა გამოქანდაკებული მისი კაპრალური თავი.

— უკაცრავად, პან კაპრალ, მოქანდაკე შტურზემ * მოდელად ხომ არ გამოგიყენათ?

კაპრალმა შეხედა ნებითგანწესებულს და ნაღვლიანად თქვა:

— არა.

ნებითგანწესებული გაჩუმდა და სკამლოგინზე წამოწვა.

მცველი ჯარისკაცები შვეიკს ბანქოს ეთამაშებოდნენ. გულშემოყრილმა კაპრალმა ცქერა დაიწყო მოთამაშეთა ზურგიდან კარტში და რამდენიმე შენიშვნაც კი გამოთქვა: შვეიკი გადავიდა ტუზს, იგი თულფს არ უნდა ჩამოსულიყო, მაშინ მას უკანასკნელი სვლისთვის შვიდიანი დარჩებოდაო.

— წინანდელ დროში, — უთხრა შვეიკმა, — სამიკიტნოებში ძალიან კარგი წარწერები იყო ხოლმე კედლებზე გამოკრული, სპეციალურად მრჩევლების შესახებ. მახსოვს ერთი ასეთი წარწერა: „არა-მკითხე მოამბეო — მიტყეპე და მიაგდეო“.

სამხედრო მატარებელი სადგურს უახლოვდებოდა, სადაც ინსპექციას უნდა ჩამოეელო ვაგონები. მატარებელი გაჩერდა.

— ასედაც ვიცოდი, —წარმოთქვა შეუბრალებელმა ნებითგანწესებულმა და მრავალმნიშვნელოვნად შეავლო თვალი კაპრალს, — ინსპექცია უკვე კარებზეა...

ვაგონში ინსპექცია შემოვიდა.

შტაბის დანიშვნით სამხედრო მატარებლის უფროსი იყო თადარიგის ოფიცერი — მათემატიკურ მეცნიერებათა დოქტორი მრაზი.

ასეთ სულელურ საქმეებზე ყოველთვის თადარიგის ოფიცრებს ნიშნავდნენ. მრაზს ამ თანამდებობამ მთლად აურია ჭკუა-გონება. მას ყოველთვის აკლდა ხოლმე სათვალავში ერთი ვაგონი, თუმცა ომამდე მათემატიკას ასწავლიდა რეალურ სასწავლებელში. გარდა ამისა, ბუდეიოვიცეს სადგურზე მატარებელში ჩასმულ ჯარისკაცთა საერთო რაოდენობა არ ეთანაბრებოდა უკანასკნელ სადგურზე ვაგონების მიხედვით შემოწმებულ რაოდენობას. როცა ინვენტარის სიას გადაათვალიერებდა, აღმოჩნდებოდა, რომ ორი საველე სამზარეულო ზედმეტია და არავინ იცის, საიდან გაჩნდა ისინი აქ. ტანში ჟრუანტელი დაუვლიდა ხოლმე, როცა დარწმუნდებოდა, რომ ცხენები, კაცმა არ იცის როგორ და საიდან, გამრავლებულიყვნენ. ოფიცერთა შემადგენლობის სიაში მას უმცროსი ოფიცერი აკლდა. წინ მიბმულ ვაგონში, სადაც პოლკის კანცელარია იყო მოთავსებული, გაფაციცებით ეძებდნენ მაგრამ ვერსად ეპოვნათ საბეჭდი მანქანა. მთელი ამ ქაოსის გამო მრაზს თავი ასტკივდა, მან უკვე მიიღო სამი ფხვნილი ასპირინი, და მატარებელს რევიზიას უწევდა ტკივილებისგან სახედაღმეჭილი.

როცა თავისი მხლებლებით პატიმართა კუპეში შეევიდა და ქაღალდები გადასინჯა, მან პატაკი მიიღო საწყალ კაპრალისგან, მყავს ორი პატიმარი და მცველთა რაზმი ამდენი და ამდენი ჯარისკაცის შემადგენლობით. მატარებლის უფროსმა შეადარა პატაკის სისწორე დოკუმენტების მონაცემებს და კუპე დაათვალიერა.

— ეს ვინღაა, აქ რომ სძინავს? — მკაცრად ჰკითხა მან კაპრალს და ობერ-ფელდკურატზე ანიშნა, რომელიც თავდაღმა იწვა და უკანა ნაწილი გამომწვევად მიეშვირა ინსპექტორებისკენ.

— მაქვს პატივი მოგახსენოთ, პანე ლეიტენანტ, — ენის ბორძიკით დაიწყო კაპრალმა.— ეს ის, ეს ის...

— რა „ეს ის?“ — უკმაყოფილოდ წამოიძახა მრაზმა. — გასაგებად ილაპარაკეთ.

— მაქვს პატივი მოგახსენოთ, პანე ლეიტენანტ, — კაპრალის ნაცვლად უპასუხა შვეიკმა, — ეს კაცი, რომელსაც თავდაღმა ძინავს, ვიღაც მთვრალი ბატონი ობერ-ფელდკურატია. იგი მოგვეტმასნა და ვაგონში შემოძვრა, ჩვენ არ შეგვიძლია მაგის გაგდება, ვინაიდან, რაც არ უნდა იყოს, უფროსია, და ეს ჩამოგვერთმეოდა დისციპლინის დარღვევად. მას, ალბათ, მხარი ეცვალა და შუბის ვაგონის ნაცვლად პატიმართა ვაგონში მოხვდა.

მრაზმა ამოიხვნეშა და თავის ქაღალდებში ჩაიხედა. ქაღალდებში სრულებით არაფერი იყო ნათქვამი ობერ-ფელდკურატის შესახებ, რომელსაც, თითქოს უნდა ემგზავრა ამ მატარებლით ბრუკის მიმართულებით. მას თვალი აუთამაშდა. წინა გაჩერებაზე იყო და, უეცრად ცხენები მოემატა, ახლა კიდევ — ინებეთ! — პატიმართა კუპეში, კაცმა არ იცის საიდან, ობერ-ფელდკურატი გაჩნდა.

მატარებლის უფროსს უკეთესი სხვა არაფერი მოაფიქრდა, გარდა იმისა, რომ კაპრალს უბრძანა — თავდაღმა მძინარე ობერ-ფელდკურატი პირაღმა გადმოებრუნებინა, ვინაიდან ახლანდელ მდგომარეობაში შეუძლებელი იყო მისი პიროვნების დადგენა.

კაპრალმა დიდი ხნის წვალების შემდეგ პირაღმა გადმოაბრუნა ობერ-ფელდკურატი. მან უმალ გაიღვიძა და როგორც კი ოფიცერი დაინახა, თქვა:

Eh, servus, Fredy, was gibf's neues? Abendessen schon fertig?[1]

მერე დახუჭა თვალები და კედლისკენ გადაბრუნდა.

მრაზმა იმწამსვე იცნო გუშინდელი გაუმაძღარი ხუცესი, ოფიცერთა საზოგადოებაში მსუნაგი ქოფაკივით რომ ტრიალებდა, ყველასათვის ცნობილი, ხშირი სტუმარი ოფიცერთა ბანკეტებისა, და ჩუმად ამოიხვნეშა:

— ამისათვის წახვალთ პატაკზე, — უთხრა მან კაპრალს და გასასვლელისკენ გაემართა.

შვეიკმა შეაჩერა იგი:

— მაქვს პატივი მოგახსენოთ, პანე პორუჩიკ, მე წესითა და რიგით აქ არ უნდა ვიყო. პატიმრობაში უნდა ვყოფილიყავი დღეის თერთმეტ საათამდე, დღეს გამითავდა ვადა. დაპატიმრებული ვიყავი სამი დღით და ახლა სხვებთან ერთად პირუტყვთა ვაგონში უნდა ვიმყოფებოდე. ვინაიდან თერთმეტი საათი უკვე დიდი ხანია გავიდა, უმორჩილესად გთხოვთ, პანე ლეიტენანტ, ჩამომსვით ამ ვაგონიდან,

---

1. აჰ, ფრედი, გამარჯობა. ახალი რა იცი? ვახშამი მზადაა? (გერმ.)

ან პირუტყვთა ეკგონში გადამიყვანეთ, სადაც წესით უნდა ვიყო, ან კიდევ გამგზავნეთ ბატონ ობერ-ლეიტენანტ ლუკაშის განკარგულებაში.

— თქვენი გვარი? — ჰკითხა მრაზმა და ქალალდებში ჩაიხედა.

— იოზეფ შვეიკ, პანე ლეიტენანტ.

— ჰმ... თქვენ, მაშასადამე, არცთუ ისეთი უცნობი შვეიკი ხართ, — წარმოთქვა მრაზმა. — მართლაც, თქვენ უნდა გათავისუფლებულიყავით პატიმრობიდან თერთმეტ საათზე, მაგრამ პოლუჩოკმა ლუკაშმა მთხოვა, არ გაგიშვათ, ვიდრე ბრუკში არ ჩავალთ, თქვენგან მოსალოდნელი ყოველგვარი ოინბაზობის თავიდან ასაცილებლად.

ინსპექციის წასვლის შემდეგ კაპრალმა თავი ვეღარ შეიკავა და მწარედ უთხრა შვეიკს:

— მაშ, რაო, შვეიკ, გიშველათ უმაღლეს ინსტანციას რომ მიმართეთ. ნეხვადაც არა ღირს! ოღონდ მოვინდომო და ორთავეს ცეცხლს შეგინთებთ.

— პანე კაპრალ, — უთხრა ნებითგანწესებულმა. — ჩონჩორიკის აქეთ-იქით მიფანტ-მოფანტვა — მეტად თუ ნაკლებად— დამაჯერებელი არგუმენტაციაა, მაგრამ ინტელიგენტმა ადამიანმა არც აღელვებულ მდგომარეობაში და არც კამათში არ უნდა იკადროს ასეთი გამოთქმები. რაც მეეზება თქვენს სასაცილო მუქარას, თითქოს ორთავეს ცეცხლს შეგვინთებთ, საკვირველია, რატომ აქამდე არ გააკეთეთ ეს, როცა ამის სრული შესაძლებლობა გქონდათ? უთუოდ, აქ თავი იჩინა თქვენმა სულიერმა მოწიფულობამ და არაჩვეულებრივმა თავაზიანობამ.

— გეყოფათ! — წამოხტა კაპრალი. — მე შემიძლია ორთავეს ციხეში გიკრათ თავი.

— რისთვის, ძვირფასო! — უმანკო სახით ჰკითხა ნებითგანწესებულმა.

— ეს უკვე ჩემი საქმეა, თუ რისთვის და რატომ, — ყოყოჩობდა კაპრალი.

— თქვენი საქმეაო? — გაიმეორა ღიმილით ნებითგანწესებულმა. — ისეთნაირადვე როგორც ჩვენი, ეს როგორც ბანქოს თამაშია: „ფული თქვენი იქნება ჩვენი“. უფრო სწორი იქნება, თუ ვიტყვით: თქვენზე იმოქმედა იმის გახსენებამ, რომ პატაკზე წადგომა მოგიხდებათ, თქვენ კი ჩვენ გვიღრენთ და გვიყვირით, საიდანაც აშ-

კარად ჩანს, რომ ბოროტად იყენებთ სამსახურებრივ მდგომარეობას.

— ხეპრეები ხართ, აი ვინა ხართ თქვენ, — დაიყვირა კაპრალმა და სახე საშინლად დაემანჭა.

— იცით, რა გითხრათ, პანე კაპრალ, — თქვა შვეიკმა — მე ძველი ჯარისკაცი ვარ, ვმსახურობდი ომამდეც და არ მახსოვს არც ერთი შემთხვევა, რომ ლანძღვა-გინებას კარგი შედეგი გამოეღოს. რამდენიმე წლის წინათ, მახსოვს, ასეულში გვყავდა ოცეულის უფროსი, გვარად შრეიტერი. ზევადიანი იყო, მას დიდი ხანია შეეძლო შინ წასულიყო კაპრალის ხარისხით, მაგრამ, ჩანს, ჭკუაზედ თხლად იყო, — როგორც იტყვიან ხოლმე. გვაცივდებოდა, შარს გვდებდა, აღარ გვეშვებოდა; ეს ასე არაა, ამას წესდებით არ ასრულებთო, — ერთი სიტყვით, გადაგვეკიდა, გასაქანს არ გვაძლევდა და სულ გვლანძღავდა და გვთათხავდა: „თქვენ სალდათები კი არა, ღამის დარაჯები ხართო". ერთ მშვენიერ დღეს გული ყელში მომებჯინა, ვეღარ მოვითმინე და ასეულის უფროსს ვეახლე პატაკით. „რას მოსულხარ?" — მკითხა კაპიტანმა, „მაქვს პატივი მოგახსენოთ, პანე კაპიტან, მოვედი საჩივრით ჩვენს ფელდფებელ შრეიტერზე. ჩვენ ასე თუ ისე მისი უდიდებულესობის ჯარისკაცები ვართ და არა ვიღაც ღამის დარაჯები. ჩვენ რწმენითა და სიმართლით ვემსახურებით ხელმწიფე-იმპერატორს, ფელდფებელს კი ჰგონია უსაქმურები ვართ და, რომ იტყვიან, მთელი დღე კოდალას ვუსტვენთ". „მე შენ გაჩვენებ კოდალას, შე ბაღლინჯო, — მიპასუხა კაპიტანმა. — აქედან გაეთრიე! თვალით აღარ დაგინახო!" მე კი ვეუბნები: „უმორჩილესად გთხოვთ გამაგზავნოთ ბატალიონის პატაკზე". როცა ბატალიონის პატაკზე ობერ-ლეიტენანტს ავუხსენი, რომ ჩვენ დარაჯები კი არა, მისი იმპერატორობის უდიდებულესობის ჯარისკაცები ვართ, მან ორი დღით ჩასმა მომინდომა, მაგრამ ვთხოვე, გამაგზავნეთ პოლკის პატაკზე-მეთქი. პოლკის პატაკზე ბატონმა პოლკოვნიკმა ჩემი ახსნა-განმარტების შემდეგ ერთი მაგრად დამიღრიალა, ვიღაც იდიოტი ხარო, დამეკარგე აქედან, ჯანდაბას შენი თავი და ტანიო. მე ჩემსას არ ვეშვები: „პანე პოლკოვნიკ, — ვეუბნები, — გთხოვთ გამაგზავნოთ პატაკზე ბრიგადაში". ამისი პოლკოვნიკს ძალიან შეეშინდა და უმალ ბრძანა, კანცელარიაში ფელდფებელ შრეიტერს გამოუძახეთო, და ამ შრეიტერმა ყველა ოფიცრის თანდასწრებით მთხოვა — მაპატიეთ „ღამის დარაჯები" რომ გიწოდეთო. მერე ეზოში დამეწია და მითხრა, დღეიდან ლანძღვა-გინებას ჩემგან ვეღარ გაიგონებ, მაგრამ ისე გაგიხდი საქმეს რომ, საგარნიზონო ნაბანტში ამოჰყო თავიო. ერთხელ საგუშაგოზე ვიდექი ცეიხჰაუზთან. კედელ-

ზე, როგორც ეს შემოღებულია ჩვეულებრივ, თვითეული გუშაგი რაღაცას სამახსოვროს სტოვებს ხოლმე: დახატავს, ვთქვათ ქალის სხეულის ნაწილებს ან რაიმე პატარა ლექსს დასწერს. მე კი ვერაფერი მოვიგონე და მოწყენილობის გასაქარვებლად ერთ ნაწერს მივაწერე: „ფელდფებელი შრეიტერი — არამზადა". იმ მართლა არამზადა ფელდფებელმა იმწამსვე დამასმინა, რადგან პოლიციის ქოფაკივით სულ ფეხდაფეხ დამსდევდა, მითვალთვალებდა. საუბედუროდ ამ წარწერის ზემოთ მეორე აღმოჩნდა: „ომში ჩვენ არ წავალთ, მიგვიფურთხებია". ეს კი მოხდა ათას ცხრაას თორმეტ წელში, როცა ჩვენ სერბიის წინააღმდეგ გაგზავნას გვიპირებდნენ კონსულ პროხაზკას გამო. მე იმწამსვე თერეზინში გადამგზავნეს სამხედრო სასამართლოში. სამხედრო სასამართლოს მესვეურებმა თხუთმეტჯერ მაინც გადაიღეს ცეიხჰაუზის კედლის ფოტოსურათი მთელი მი'ი წარწერებით და მათ რიცხვში ჩემი წარწერაც. ჩემი ხელი რომ შეემოწმებინათ, ათჯერ მაინც დამაწერინეს: „ომში ჩვენ არ წავალთ, მიგვიფურთხებია", თხუთმეტჯერ მომიხდა მათი თანდასწრებით დაწერა: „ფელდფებელი შრეიტერი — არამზადა". ბოლოს, მოვიდა ექსპერტი-გრაფოლოგი და მიბრძანა დამეწერა: „ათას რვაას ოთხმოცდაჩვიდმეტი წლის ოცდაცხრა ივნისს კრალოვ დვურს თაეს დაატყდა მდინარე ლაბის სტიქიური წყალდიდობა". „ეს არ კმარა, — თქვა სასამართლოს გამომძიებელმა. — ჩვენ სხვა გვინდა. უკარნახეთ მას ისეთი რამე, სადაც ბლომად იქნება „ს" და „რ". ექსპერტმა მიკარნახა: „სერბიელი, სროლა, სტვირი, სტრიქონი, რბევა, რეგვენი, როსკიპი", სასამართლოს ექსპერტმა, ჩანს, გადაამლაშა და წამდაუწუმ უკან იყურებოდა შაშხანიანი ჯარისკაცისკენ. ბოლოს თქვა, რომ საჭიროა სამჯერ ზედიზედ დავწერო: „მზე უკვე მაგრად აცხუნებს: დადგა პაპანაქება" — ეს ვენაში წავაო. მერე მთელი მასალა ვენაში გადაგზავნეს და, ბოლოს, გამოირკვა, რომ წარწერები ჩემი ხელით არ იყო დაწერილი, ხელის მოწერა კი ნამდვილად ჩემი იყო, მაგრამ ამას ხომ მეც არ უარვყოფდი. მომისაჯეს ექვსი კვირა იმისთვის, რომ საგუშაგოზე ყოფნისას გავაკეთე ეს წარწერა: იმ მომენტში, როცა კედელზე სწერდი, ჩაბარებულ საგუშაგოს როგორღა ყარაულობდიო!

— ხომ ხედავთ, თქვენ მაინც დაგსაჯეს, — კმაყოფილებით წარმოთქვა კაპრალმა,—და გამოდის, რომ თქვენ ნამდვილი სისხლის სამართლის დამნაშავე ხართ. სამხედრო სასამართლოს ადგილზე მე რომ ვყოფილიყავი, ექვს კვირას კი არა, ექვს წელიწადს აგკიდებდით.

— ნუ ინებებთ ასეთ რისხვას,—სიტყვა აიღო ნებითგანწესებულ-

მა. — უკეთესი იქნება თქვენს აღსასრულზე იფიქროთ. ეს-ესაა ინსპექციამ გითხრათ, რომ ხვალ პატაკზე უნდა წარსდგეთ. ურიგო არ იქნებოდა მომზადებულიყავით ამ სერიოზული წუთებისთვის და კარგად აგეწონათ თქვენი კაპრალური არსებობის წარმავლობა. კაცმა რომ თქვას, რას წარმოადგენთ თქვენ მთელ სამყაროსთან შედარებით, თუ მხედველობაში მივიღებთ, რომ ყველაზე ახლობელი უძრავი ვარსკვლავი მდებარეობს ამ სამხედრო მატარებლიდან ორას სამოცდა ხუთმეტი ათასჯერ ძეტ მანძილზე, ვიდრე მზე, და ამ ვარსკვლავის პარალაქსი ერთ რკალისებრ სეკუნდს შეადგენს. თქვენ რომ უძრავი ვარსკვლავის სახით წარმოგიდგინოთ სამყაროში, ისეთი მცირე, უმნიშვნელო რამ აღმოჩნდებით, რომ თქვენი დანახვა თვით უძლიერეს ტელესკოპშიც არ მოხერხდებოდა. სამყაროში თქვენი სიმცირის გამოსახატავად არავითარი ცნობა არ მოიპოვება. ნახევარ წელიწადში ცის თაღზე თქვენ ისეთი უმნიშვნელო სიდიდის რკალს მოხაზავთ და ერთ წელიწადში ისეთი მცირე ზომის ელიფსს, რომ მათი გამოსახვა ციფრებით არ მოხერხდებოდა, იმდენად უმნიშვნელო იქნებოდნენ ისინი. თქვენი პარალაქსი უსასრულოდ მცირე სიდიდე იქნებოდა.

— თუ ასეა, — შენიშნა შვეიკმა, — ბატონ კაპრალს შეუძლია იამაყოს, რომ მას ვერავინ გაზომავს. პატაკის დროს რაც არ უნდა შეემთხვეს ბატონ კაპრალს, მშვიდად უნდა ეჭიროს თავი, არ უნდა გაცხარდეს, რადგან ყოველგვარი აღელვება საზიანოა ჯანმრთელობისთვის, ომიანობის დროს კი ყველანი თავს უნდა გაუფრთხილდნენ. ჭირ-ვარამი, დაკავშირებული ომთან, მოითხოვს, რომ თვითეული ცალკე აღებული პიროვნება მძორი კი არ იყოს, არამედ ცოტა უკეთესი რამ. თუ თქვენ, პანე კაპრალ, ჩაგსვამენ, — განაგრძო შვეიკმა სასიამოვნო ღიმილით, — ვინიცობაა ამგვარ უსამართლობას ჩაიდენენ თქვენს მიმართ, თქვენ სულის სიმხნევეემ არ უნდა გიღალატოთ და დაე, ისინი დარჩენ თავის აზრზე, თქვენ კი თქვენსაზე იდექით. მე ერთ მენახშირეს ვიცნობდი, ფრანტიშეკ შკვორს. ომის დასაწყისში ჩვენ ერთად ვისხედით პრაღის პოლიციაში სახელმწიფო ღალატისთვის. მერე იგი სიკვდილით დასაჯეს რაღაც პრაგმატული სანქციისთვის.* როცა ჩვენების ჩამორთმევის დროს მას ჰკითხეს, ოქმის საწინააღმდეგო ხომ არაფერი გაქვსო, მან თქვა:

დე იყოს ასე, რაც იყო,
რაღაც ხომ მოხდა და იყო!
აროდეს ის არ ყოფილა,
რაც არაოდეს არ იყო.

ამისთვის იგი ბნელ განმარტოებულ საკანში ჩაკეტეს და ორი დღე არც სასმელი მიუციათ და არც საჭმელი, მერე ისევ დაკითხვაზე წაიყვანეს. მაგრამ იგი თავისაზე იდგა: „დე იყოს ასე, რაც იყო, რაღაც ხომ მოხდა და. იყო! აროდეს ის არ ყოფილა, რაც არაოდეს არ იყო“. იგი საშხედრო სასამართლოში გადაგზავნეს, და ადვილი დასაშვებია, რომ სახრჩობელაზეც ამ სიტყვებით ადიოდა.

— ახლა, ამბობენ, ძალიან ბევრს ახრჩობენ და ხვრეტავენ, — თქვა ერთმა მცველმა ჯარისკაცმა. — ამას წინათ სასწავლო მოედანზე ბრძანება წაგვიკითხეს, რომ მოტოლის მოედანზე ერთი თადარიგის ჯარისკაცი — კუდრნი დახვრიტეს იმის გამო, იგი ბნეშოვეში ცოლთან გამოთხოვების დროს გაცხარდა, როცა კაპიტანმა ხმალი დაჰკრა მის ბიჭუნას, რომელიც დედას ხელში ეჭირა. საერთოდ ყველა პოლიტიკურს აპატიმრებენ. ერთი მორავიელი რედაქტორი დახვრიტეს. ასეულის უფროსმა გვითხრა, სხვებსაც ეს მოელოდო.

— ყველაფერს საზღვარი აქვს, — ორჭოფულად წარმოთქვა ნებითგანწესებულმა.

— თქვენ მართალი ხართ, — გამოეხმაურა კაპრალი. — ასე მოუხდებათ იმ რედაქტორებს. ტყუილად ხალხს აქეზებენ. შარშანწინ, როცა მე ჯერ კიდევ ეფრეიტორი ვიყავი, ჩემს ათეულში ერთი რედაქტორი იყო. მე იგი ქეციან`ცხვარს მიწოდებდა, მთელ არმიას აქეციანებო. და როცა მას თავისუფალი ვარჯიშით სიქას ვართმევდი, ყოველთვის მეტყოდა ხოლმე: „გთხოვ ჩემში პატივი სცე ადამიანსო“. ჰოდა, მაშინ ვაჩვენე, რა არის „ადამიანი“. ერთხელ, როცა ეზოში გუბეები იდგა, მივიყვანე იგი ერთ ასეო გუბესთან და ვუბრძანე: „Nieder!“ რა გზა ჰქონდა, ჩაემხო ვაუბატონი წუმპეში, ისე რომ ირგვლივ წყალმა შხეფები ისროლა, როგორც აბაზანაში. სადილის შემდეგ კი მისი ტანისამოსი ქათქათა სუფთა უნდა ყოფილიყო, მუნდირს მინასავით უნდა ებრწყვიალა. შეუდგა გასუფთავებას. ასუფთავებს და ოხრავს, მაგრამ მაინც ასუფთავებს; თან სხვადასხვა შენიშვნებს არ ივიწყებს. მეორე დღესაც ტალახში ვაგორავე, ღორივით ამოვგანგლე, მე კი თავზე დავყურებ და ვეუბნები: „მაშ, ბატონო რედაქტორო, ვინ უფრო მაღლა დგას: ქეციანი ცხვარი, თუ თქვენი „ადამიანი?“ ნამდვილი ინტელიგენტი იყო.

კაპრალმა გამარჯვებულის სახით შეხედა ნებითგანწესებულს და გაანაგრძო:

— მას ნებითგანწესებულის ნიშნები ააგლიჯეს სწორედ იმიტომ, რომ განათლებული იყო, იმიტომ, რომ გაზეთებში წერდა ჯარისკაცების აბუჩად აგდებაზე. მაგრამ როგორ არ დასცინო და

აბუჩად არ აიგდო, როცა ასეთი ნასწავლია, შაშხანის საკეტის დაშლას კი ვერ ახერხებს, თუნდაც ათჯერ უჩვენე. ან როცა უბრძანებ „ასწორება მარცხნივ“!, იგი თავის გოგრას, თითქოს განგებო, მარჯვნივ ატრიალებს და ყვავივით თვალებდაკუსული მოგჩერებია. შაშხანის ილეთები არ იცის, ვერ გავაგებინე, პირველად რას უნდა მოკიდოს ხელი: შაშხანის თასმას თუ საკაზნეს. როცა უჩვენებ, რომ ხელი თასმაზე ქვემოთ უნდა ჩაცურდეს, თხასავით მოგაშტერდება. ისიც კი არ იცოდა, შაშხანა რომელ მხარეზე უნდა გაედო; სამხედრო სალამს მოგცემდა მაიმუნივით. ახლა არ იკითხავთ მარშირების დროს მის მიბრუნება-მობრუნებას? ღმერთო ჩემო! ბრძანებაზე: „ზურგისკენ იარ!“ მისთვის სულ ერთი იყო რომელ ფეხზე შეტრიალდებოდა: ფართიფურთით მიაბიჯებდა — ბრძანების შემდეგ ეექვს ნაბიჯს კიდევ გადადგამდა წინ — ტოპ, ტოპ, ტოპ... და მხოლოდ შემდეგ შემოტრიალდებოდა შამფურზე შესაწვავად წამოცმული გოჟიეით, ნაბიჯებს ისე ადგამდა, თითქოს ნიკრისით იყო დაავადებული, ან ისეთი ილეთები გამოყავდა, გეგონებოდათ შინაბერა ხატობაზე ცეკვით ერთობაო.

კაპრალმა გადააფურთხა.

— განგებ მიეეცი ძალზე დაჟანგული შაშხანა, რომ გაწმენდა ესწავლა. იგი ხეხავდა თოფს, მაგრამ კიდევ ორი კილო ძენძი რომ ეყიდა, სულ ერთია ვერაფერს გააწყობდა. რაც უფრო მეტად ასუფთავებდა, მით უარესი ემართებოდა თოფს, უფრო მეტად იჟანგებოდა, მერე პატაკზე შაშხანა ხელიდან ხელში გადადიოდა, და ყველა გაკვირვებული იყო რანაირად შეიძლება თოფი ამ მდგომარეობამდე მიიყვანოს ადამიანმაო — მთლად ჟანგად იყო ქცეული. ჩვენი კაპიტანი სულ იმას ეუბნებოდა, შენგან სალდათი არ გამოვა, უკეთესი იქნება თავი ჩამოიხრჩეო, რომ მუქთად სალდათის პური არ ჭამოო, იგი კი სათვალიდან იყურებოდა და თვალებს აფახულებდა. იმ დღეს, როცა იგი ან კარცერში არ იჯდა ან განწესში არ მოხვდებოდა, მისთვის დიდი დღესასწაული იყო. ასეთ დღეებში იგი ჩვეულებრივ თავის სტატიებს წერდა გაზეთებისთვის იმის შესახებ, თუ როგორ აწამებენ ჯარისკაცებს და წერდა სანამ სკივრი არ გაუჩხრიკეს. იცით რამდენი წიგნი უპოვეს! სუყველაში განიარაღებასა და ხალხთა შორის მშვიდობაზე იყო ლაპარაკი. ამისთვის იგი საგარნიზონო ნაობახტში გადაგზავნეს და ამის შემდეგ მისგან გავთავისუფლდით, სანამ ისევ ჩვენთან არ გაჩნდა, მაგრამ იგი უკვე კანცელარიაში დასვეს ულუფების გამომწერად, — იქ იმიტომ მიუჩინეს ადგილი, რომ ჯარისკაცებთან არ ჰქონოდა ურთიერთობა. ასეთი იყო ამ ინტელიგენ-

ტის სავალალო დასასრული. შეიძლებოდა კი დიდი ადამიანი გამხდარიყო, თავისი სისულელით ნებითგანწესებულის უფლებები რომ არ დაეკარგა. შეეძლო გამხდარიყო ლეიტენანტი.

კაპრალმა ამოიზვნეშა.

— აბა რა მოეთხოვება ასეთ ადამიანს: ფარაჯაზე ნაკეცები ვერ გაესწორებინა. მან მხოლოდ ის იცოდა, რომ პრაღიდან სხვადასხვა სითხეებსა და საცხებს იწერდა ღილების საწმენდად. და მაინც მისი ღილები ჟღალი ფერისა იყო, ვით ბიბლიური მწითური ისავი. * მაგრამ იმისთანა ლაშფანდურა ვინმე იყო, რომ, კანცელარიაში მუშაობის დაწყებისთანავე, დროს იხელთებდა თუ არა, ფილოსოფოსობას წამოიწყებდა. მას წინათაც სული ელეოდა ამ ფილოსოფობაზე. როგორც ზემოთ მოგახსენეთ ერთი სიტყვა — „ადამიანი". მარტო ეს რად უღირდა, ერთხელ იგი მსჯელობას შეუდგა, როცა გუბესთან იდგა, რომელშიც უნდა ჩამხობილიყო ბრძანებაზე „nieder". ამ დროს ვეუბნები: „როცა ლათაიებს მოჰყვებიან ადამიანისა და ტალახის შესახებ, მე მაგონდება, რომ ადამიანი შექმნილია ტალახისგან,—და მისი ადგილიც იქაა".

წარმოთქვა რა ყოველივე ეს, კაპრალი თავისი თავის დიდად კმაყოფილი დარჩა და დაელოდა, ამაზე რას იტყვის ნებითგანწესებული. მაგრამ გამოეხმაურა შვეიკი:

— ასეთი ოინებისთვის, კბილის დასობისთვის ამ რამდენიმე წლის წინათ ოცდამეთექვსმეტე პოლკში ვინმე კონიჩეკმა დანით მოჰკლა კაპრალი. „კურიერში"* იყო ეს გამოქვეყნებული. კაპრალს დანით ტანზე ოცდაათამდე ჭრილობა ჰქონდა მიყენებული, რომელთა შორის ერთ დუქინზე მეტი სასიკვდილო იყო. ჯარისკაცი ამის შემდეგ დააჯდა მოკლულ კაპრალს და თავიც მოიკლა იმავე დანით. მეორე შემთხვევა მოხდა რამდენიმე წლის წინათ დალმაციაში. იქ ღორივით დაჰკლეს კაპრალი და აქამდე არ იციან, ვინ ჩაიდინა ეს. საიდუმლოების ბურუსით არის მოცული ეს ამბავი. გამორკვეული იქნა მხოლოდ ის, რომ მოკლული კაპრალის გვარი იყო ფიალი, და იგი ტრუნოვასთან მდებარე დრაბოვნიდან იყო. მე კიდევ ვიცი სამოცდამეთხუთმეტე პოლკის კაპრალ რეიმანენკის ერთი შემთხვევა...

სიამოვნებით აღსავსე თხრობა შეწყვეტილ იქნა ხმამაღალი ხვნეშით, რომელიც სკამლოგინიდან მოისმოდა, სადაც ობერ-ფელდკურატ ლაცინას ეძინა.

პატერი თანდათან იღვიძებდა მთელი თავისი მშვენებითა და ღირსებით. მის გაღვიძებას თან ახლდა ისეთივე მოვლენები, როგორიც ახალგაზრდა გოლიათის გარგანტიუას დილით გაღვიძებას, რაც ესოდენ წარმტაცად აგვიწერა მხიარულმა მოხუცმა რაბლემ.

ობერ-ფელდკურატი ქარებს უშვებდა, აბოყინებდა და ისე ამთქნარებდა, ყბები კინაღამ ააგჯა. ბოლოს წამოჯდა და გაკვირვებით იკითხა:

— ეს რა ღვთის წყრომაა, სად ეშმაკში ვარ?

კაპრალმა მლიქვნელურად უპასუხა უფროსს, რომელიც ძლივს ართმევდა თავს ძილს:

— მაქვს პატივი მოგახსენოთ, პანე ობერ-ფელდკურატ, თქვენ ბრძანდებით პატიმართა ვაგონში.

პატერის სახეზე გაოცებამ გადაირბინა. ერთ წუთს მდუმარედ იჯდა და დაძაბული ფიქრობდა, მაგრამ ამაოდ. წუხანდელი ღამისა და გისოსებით მოპენილ ფანჯრიან ვაგონში გაღვიძებას შორის განვლილი დრო-ყამი ბურუსით იყო მოცული. ბოლოს ჰკითხა მის წინაშე კვლავ მლიქვნელურ პოზაში მდგარ კაპრალს.

— კი, მაგრამ ვისი ბრძანებით მე, ვით ვიღაც...

— მაქვს პატივი მოგახსენოთ, ყოველგვარი ბრძანების გარეშე, პანე ობერ-ფელდკურატ...

პატერი ადგა და სიარული დაიწყო სკამლოგინებს შორის, თან ბურდღუნებდა, ვერაფერი გამიგიაო. მერე ისევ დაჯდა და იკითხა.

— კი, მაგრამ, ერთი ეს მითხარით, სად მივდივართ?

— მაქვს პატივი მოგახსენოთ, ბრუკში.

— კი, მაგრამ, იქ რა გვინდა?

— მაქვს პატივი მოგახსენოთ, იქ გადაყვანილია მთელი ჩვენი ოთხმოცდამეთერთმეტე პოლკი.

პატერი ისევ მძიმედ ჩაფიქრდა, ვერ მიხვედრილიყო, რა მოხდა, საიდან მოხვდა ამ ვაგონში და რად მიდის, კაცმა რომ თქვას, სწორედ ოთხმოცდამეთერთმეტე პოლკთან ერთად და ისიც ბადრაგას ხლებით. ბოლოს იმდენად გამოფხიზლდა, რომ დაინახა ნებითგანწესებული, რომელიც იქ იჯდა. აიღო და, ახლა იმას მიმართა:

— ინტელიგენტი ადამიანი ბრძანდებით: იქნებ თქვენ მაინც დაუფარავად ამიხსნათ, რანაირად მოვხვედი თქვენთან?

— სიამოვნებით, — ძმა-ბიჭურად უთხრა ნებითგანწესებულმა.— უბრალოდ მოგვეტმასნეთ დილით მატარებელში ჩაჯდომის დროს, რადგან ზარხოშად იყავით.

კაპრალმა მწყრალად შეხედა ნებითგანწესებულს:

— თქვენ ამოძველრით ჩვენს ვაგონში, — განაგრძობდა ნებითგანწესებული, — ეს მომხდარი ფაქტია. თქვენ დაწექით სკამლოგინზე, შვეიკმა თავქვეშ ამოგიდოთ თავისი ფარაჯა. წინა სადგურზე მატარებლის შემოწმებისას თქვენ იმ ოფიცერთა სიაში შეგიტანეს, რომლებიც მატარებელში იმყოფებიან ამჟამად. თქვენ, ასე ვთქვათ,

ოფიციალურად აღმოგაჩინეს, და ამის გულისთვის კაპრალი პატაკზე უნდა გამოცხადდეს.

— ასე და ასე, — ამოიხვნეშა პატერმა. — მაშასადამე, უახლოეს სადგურზე მე უნდა გადავჯდე საშტაბო ვაგონში. ერთი ეს მითხარით, სადილი უკვე ჩამოატარეს?

— სადილი მხოლოდ ვენაში იქნება, პანე ობერ-ფელდკურატ, — ჩაურთო კაპრალმა.

— მაშ, ეს თქვენ ამომიდევით თავქვეშ ფარაჯა? — მიუბრუნდა პატერი შვეიკს. — დიდი მადლობელი ვარ.

— სამადლობელი არაფერია, — უპასუხა შვეიკმა, — მე ისე მოვიქეცი, როგორც უნდა მოიქცეს ყოველი ჯარისკაცი, როცა ხედავს, რომ უფროსს თავქვეშ არაფერი აქვს და რომ იგი ცოტა არ იყოს... წაიმასქნებულია. თვითეული ჯარისკაცი ვალდებულია პატივი სცეს თავის უფროსს, თუნდაც იგი არ იყოს — წაიმასქნებული. მე ფელდკურატებთან დიდი გამოცდილება მაქვს მიღებული, რამდენადაც დენშჩიკად ვიყავი ფელდკურატ ოტო კატცთან. მხიარული და გულითადი ადამიანები არიან ფელდკურატები.

ნაბახურეევზე დემოკრატიულად განწყობილმა ობერ-ფელდკურატმა სიგარეტი ამოიღო და შვეიკს გაუწოდა:

— მოსწიე!.. შენ, — მიუბრუნდა იგი კაპრალს, — ჩემი გულისთვის პატაკზე უნდა წარსდგე? არა უშავს, ძმაო, ნუ გეშინია, მე შენ გიხსნი, არაფერი მოგივა. შენ კი, — უთხრა მან შვეიკს, — შენ ჩემთან წაგიყვან; ისე იცხოვრებ, ვით მყუდრო სავანეში.

იგი ახალმა დიდსულოვნობამ მოიცვა და ყველას ყოველი სიკეთე აღუთქვა: ნებითგანწესებულს შოკოლადს დაპირდა, მცველ ჯარისკაცებს რომს, კაპრალს უთხრა, მე-7 ცხენოსანთა დივიზიის შტაბთან არსებულ ფოტოგრაფიულ განყოფილებაში გადაგიყვანო, ირწმუნებოდა, რომ ყველას გაგანთავისუფლებთ და ყოველთვის მემახსოვრებითო. და იქვე შეუდგა სიგარეტების ჩამორიგებას თავისი პორტსიგარიდან — უთავაზა შვეიკს, სხვებიც არ დაივიწყა, თან განაცხადა — ყველა პატიმარს ნებას ვაძლევ მოსწიონ და დაპირდა, ვიზრუნებ იმაზე, რომ სასჯელის ვადა ყველას შეგიმცირონ, რათა ნორმალურ სამხედრო ცხოვრებას დაუბრუნდეთო.

— არ მინდა, ავად მომიგონოთ, — თქვა მან.— ნაცნობობა ბევრი მყავს, და ჩემს ხელში თქვენ არ დაიღუპებით. საერთოდ თქვენ ყველანი წესიერი, ღვთისთვის სასურველი ადამიანების შთაბეჭდილებას სტოვებთ. თუ შესცოდეთ რამე, სამაგიერო მიგეზღოთ კიდეც და როგორც ვხედავ, მზადყოფნითა და უდრტვინველად იტანთ გან-

საცდელს, ზეგარდმოვლენილს ღვთისაგან. რის საფუძველზე ხართ დასჯილი? — მიუბრუნდა იგი შვეიკს.

— ღმერთმა დამსაჯა, პანე ობერ-ფელდკურატ, — ღვთისმოშიშობით უპასუხა შვეიკმა, ამოირჩია რა იარაღად პოლკის პატაკი, — ჩემზე დამოუკიდებელი მიზეზისა გამო პოლკში დაგვიანებით ოსვლისთვის.

— ღმერთი უსაზღვროდ მოწყალეა და სამართლიანი,—ზეიმურად წარმოთქვა ობერ-ფელდკურატმა. — მან იცის, ვისაც სჯის, ვინაიდან ამით მოგვიკლენს თავის განგებასა და ყოვლისშემძლეობას. თქვენ რაღაზე ზიხართ, ნებითგანწესებულო?

— ყოვლადმოწყალე შემოქმედმა ისურვა გარდმოეცლინა ჩემზე რევმატიზმი, და მე გაავმპარტავნდი, — უპასუხა ნებითგანწესებულმა. — სასჯელის მოხდის შემდეგ მიმაგრებული ვარ საველე სამზარეულოზე.

— რასაც ღმერთი აკეთებს, უკეთესობისკენაა, — პათოსით განაცხადა პატერმა, როგორც კი სამზარეულო ახსენეს. — წესიერი ადამიანი სამზარეულოშიც გაიკეთებს კარიერას. ინტელიგენტი ადამიანი სწორედ სამზარეულოში უნდა დაინიშნოს საჭმელების მეტი მრავალსახეობათა მისაღებად, ვინაიდან საქმე ის კი არაა როგორ მოხარშო საჭმელი, არამედ სიყვარული და გემოვნება გამოიჩინო საკმაზითა და სანელებლით შემზადებისას. აიღეთ, მაგალითად, საწებელი. ინტელიგენტი ადამიანი, მოამზადებს რა ხახვიან საწებელს, უწინარეს ყოვლისა აიღებს ყოველგვარ ბოსტნეულს ცოტ-ცოტას, დაბუღავს კარაქში, მერე დაუმატებს სხვადასხვა ძირძურებს, პილპილს, ბაჰარის, ან წიწაკას, ცოტა მუსკატს, ყვითელ კოჭს. საშუალო უბრალო მზარეული კი მოხარშავს ხახვს, მერე შიგ ჩაადებს საქონლის ქონზე მოხრაკულ ფქვილს, — და ინებეთ, მზადაა. ჩემთვის სასურველია თქვენ ოფიცერთა სამზარეულოში გიხილოთ უკულტურო ადამიანი მოსათმენია ყოფა-ცხოვრებაში ან რომელიმე ჩვეულებრივ საქმიანობაში, მაგრამ კულინარიაში მისი უკულტურობა ერთბაშად გამომჟღავნდება. წუხელი ბუდეიოვიცეში, ოფიცერთა შეკრებულობაში, სხვათა შორის, მოგვიტანეს თირკმელები მადერაში. ის, ვისაც ამის ასე შემზადება შეეძლო (უფალმა შეიწყნაროს ამისთვის ყველა მისი შეცოდებანი), უთუოდ ინტელიგენტი იყო, ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით. სიტყვამ მოიტანა და, იმათ ოფიცერთა სამზარეულოში მართლაც რომელიღაც სკუტჩელი მასწავლებელი მუშაობს. მადერაში ჩადებული თირკმელები ერთხელ საპოცდამეოთხე სათადარიგო პოლკის ოფიცერთა სასადილოში გეახელით. ჩაეყარათ შიგ აუარებელი ქიმანი, — ერთი სიტყვით, ისე უღ-

მერთოდ, როგორც პილპილიანი თირკმელების მომზადების დროს

ხოლმე უბრალო ტრაქტირში. მერედა, ვის მოემზადებინა, არ იკითხავთ? რას წარმოადგენდა მათი მზარეული ომამდე, თქვენ როგორ გგონიათ? მესაქონლედ იყო ერთ მამულში!

ფელდკურატმა ცოტა შეისვენა, შემდეგ გადავიდა ახალ და ძველ აღთქმაში საკულინარიო პრობლემების გარჩევაზე. მან განაცხადა, რომ იმ დროს საგანგებო ყურადღება ექცეოდა გემრიელ საჭმელთა მომზადებას წირვისა და საეკლესიო დღესასწაულების შემდეგ. მერე შესთავაზა იქ მყოფთ, რამე ვიმღეროთო. შვეიკმა სიამოვნებით, მაგრამ როგორც ყოველთვის, უადგილო ადგილას წამოიწყო:

მობრძანდება მარინა
აგერ გოდონინიდან,
მოსდევს ბოთე ხუცესი,
გალეშილი ღვინითა.

მაგრამ ობერ-ფელდკურატი სრულებითაც არ გაუხარებულა.

— ახლა რომ გვქონდეს სულ ცოტა მაინც რომი, ღვინო სრულებით არ იქნებოდა საჭირო, თქვა მან და მეგობრულად გაუღიმა შვეიკს, — რაც შეეხება მარინას, უიმისოდაც არაფერი გვიშავს. მათ გადამკიდეს ცოდვა არ ასცდება.

კაპრალმა ხელი ჩაიყო ფარაჯის ჯიბეში და ფრთხილად ამოათრია ბრტყელი მათარა რომით.

— ნება მიბოძეთ მოგართვათ, პანე ობერ-ფელდკურატ, — ხმაზე ეტყობოდა, რარიგ უმძიმდა ამ მსხვერპლის გაღება, — საწყენად არ მიიღოთ...

— საწყენად არ მივიღებ. ძვირფასო, — უპასუხა ობერ-ფელდკურატმა, და მისი ხმა მხიარულად აჟღერდა. — ვსვამ ჩვენი მგზავრობის კეთილად დაბოლოების სადღეგრძელოს.

— დედაო ღვთისა! — აღმოხდა კაპრალს, როცა დაინახა, ობერ-ფელდკურატმა ერთი ყლუპით როგორ გაანახევრა მათარა.

— ახ, თქვე ასეთო და ისეთო, — დაემუქრა მას ობერ-ფელდკურატი, თან ღიმილით და მრავალმნიშვნელოვნად თვალი ჩაუკრა ნებითგანწესებულს. — თქვენ აუგადაც კი ახსენებთ ღმერთს! ამისთვის იგი დაგსჯით. — პატერმა ისევ მიიყუდა მათარა, მერე შვეიკს გადასცა, და უბრძანა: — მოათავე!

— ბრძანება ბრძანებაა, — გულკეთილად უთხრა შვეიკმა კაპრალს და ცარიელი მათარა დაუბრუნა. კაპრალის თვალებში გაჩნდა ის განსაკუთრებული ბზინვარება, რომელიც შეგიძლიათ შეამჩნიოთ მხოლოდ სულით ავადმყოფებს.

— ახლა კი ცოტას წავიძინებ ვენაში ჩასვლამდე, — თქვა ობერ-ფელდკურატმა. — გამაღვიძეთ, როგორც კი ვენაში მივალთ. თქვენ კი, — მიუბრუნდა იგი შვეიკს, — ოფიცერთა სასადილოს სამზარეულოში წადით, აიღეთ ჭურჭელი და სადილი მომიტანეთ. უთხარით, ბატონ ობერ-ფელდკურატ ლაციანასთვის მინდა-თქო. შეეცადეთ ორმაგი ულუფა მიიღოთ. თუ კნედლიკები იქნეს, ყუის მხრიდან არ აიღოთ, — ხელსაყრელი არაა. მერე ერთი ბოთლი ღვინო მომიტანეთ და არ დაგავიწყდეთ თან კარდალა წაიღოთ: რომი ჩაასხმევინეთ.

პატერ ლაციანამ ხელების ფათური დაიწყო თავის ჯიბეებში.

— გესმით, — მიუბრუნდა კაპრალს, — წვრილი ფული არა მაქვს, მასესხეთ ერთი ოქრო... ჰოდა, ასე. რა გვარი ხართ?

— შვეიკი.

— აი თქვენ, შვეიკ, საყიდლებისთვის. კაპრალ, მასესხეთ კიდევ ერთი ოქრო. შვეიკ, ამ მეორე ოქროს ხომ ხედავთ, მას მიიღებთ პირადად თქვენ, თუ ყველაფერს წესიერად მოაგვარებთ. აგრეთვე მიშოვნეთ სიგარეტები და სიგარები. თუ შოკოლადი გასცენ, ორმაგი ულუფა ააწაპნეთ, თუ კონსერვები იქნეს, არ მოეშვათ, სანამ დაშაშხულ ენას ან ბატის ღვიძლს არ მიიღებთ. თუ შვეიცარიული ყველი იქნეს, იცოდეთ — კიდე არ აიღოთ, თუ უნგრული ძეხვი დაარიგონ, ბოლოდან ჩამოჭრილი არ გამოართვათ, უკეთესია შუაგული, უფრო ყუათიანია.

ობერ-ფელდკურატი სკამლოგინზე გაიშხლართა და ერთი წუთის შემდეგ ძილში წავიდა.

— ვიმედოვნებ, სავსებით კმაყოფილი ხართ ჩვენი ნაპოვნი ყმაწვილით, — უთხრა ნებითგანწესებულმა უნტერს პატერის ხვრინვაში. — კარგი ბიჭუნაა!

— ძუძუს მოწყვეტილია, როგორც იტყვიან, — ჩაურთო შვეიკმა, — უკვე ბოთლიდან სწოვს, პანე კაპრალი...

კაპრალი ერთი წუთით ებრძოდა თავს, მერე ერთბაშად უკუაგდო ყოველგვარი პირმოთნეობა და ცივად წარმოთქვა:

— თეთრი კბილი, შავი გულიო...

— წვრილი ფული არა მაქვსო, — წარმოთქვა შვეიკმა. — ეს ერთ დეივიცელ კალატოზს მაგონებს, გვარად მლიჩკოს. მას არასოდეს არ ჰქონდა ხოლმე წვრილი ფული, სანამ ერთ ამბავში არ გაება და სატუსაღოში არ ამოყო თავი თაღლითობისთვის. მსხვილი ფული ლოთობაში შემოეხარჯა, წვრილი კი არ ჰქონდა.

— სამოცდამეთხუთმეტე პოლკში,—ჩაერია ლაპარაკში ერთ-ერთი მცველი ჯარისკაცი, — კაპიტანმა ომამდე მთელი პოლკის ხაზინა გაქურდა, რისთვისაც სამხედრო სამსახურიდან გააძევეს. ამჟამად ისევ კაპიტანია. ერთმა ფელდფებელმა სახაზინო ყაითნის დანაკერებისთვის გამიზნული მაუდი მოიპარა, ოც ცალზე მეტი, ახლა იგი პოდპორუჩიკია. ერთი უბრალო ჯარისკაცი კი ამას წინათ სერბიაში დახვრიტეს იმისთვის, რომ მან ერთბაშად შეჭამა მთელი ქილა კონსერვი, რომელიც სამ დღეს უნდა ჰყოფნოდა.

— მაგი საქმეს არ ეხება, — განაცხადა კაპრალმა. — მაგრამ რაც მართალია, მართალია: აიღოდა, საწყალ კაპრალს გამოართვა ორი ოქრო, რომ ვიღაც ჯარისკაცს ფეხის ქირად აჩუქო, ეს უკვე...

— ჰა, თქვენი ოქრო, — უთხრა შვეიკმა. — არ მსურს თქვენს საცოდაობაში ფეხი ჩავდგა. როცა ობერ-ფელდკურატი მეორე ოქროსაც მომცემს, იმასაც დაგიბრუნებთ, ოღონდაც არ იტიროთ. თქვენ თავი უნდა მოგქონდეთ იმით, რომ უფროსი ფულს გესესხათ ხარჯებისთვის. დიდი ეგოისტი ვინმე ყოფილხართ. საქმე რაღაც საცოდავ ორ ოქროს ეხება. ერთი დამანახვა, როგორ ამღერდებოდით, სიცოცხლის გაწირვა რომ მოგიხდეთ თქვენი უფროსისთვის. ვთქვათ, იგი მტრის ხაზზე დაჭრილი წევს, თქვენ იგი უნდა გადაარჩინოთ, ხელით გამოიყვანოთ ცეცხლიდან, ირგვლივ შრაპნელსა და ათას სხვა უბედურებას გრიალი და ზათქი გაუდით...

— შიშით ნამდვილად შარვალში ჩაისვრიდით, — თავს იცავდა კაპრალი. — საცოდავო დრუნჩავ!

— ბრძოლის დროს, ბარე ერთსა და ორს დაემართებოდა ასე, —

შენიშნა ერთ-ერთმა მცველმა ჯარისკაცმა. — ამ ცოტა ხნის წინათ ბუდეიოვიცეში ერთი დაჭრილი გვიამბობდა, რომ თვითონ მან შეტევის დროს ზედიზედ სამჯერ ჩაისვარა შარვალში. პირველად, როცა საფარიდან ამოძვრნენ და მავთულხლართებს მიადგნენ; მეორედ, როცა მავთულხლართებს დაუწყეს გარღვევა და მესამედ, როცა ხიშტებმოღერებულმა რუსებმა შემოუტიეს და „ვაშა“ დასჭყივლეს. მაშინ კი იკადრეს უკან შემოტრიალება და თავის საფარს მიაშურეს; მთელ ასეულში კაცი არ მოიძებნებოდა, ჩასვრილი რომ არ ყოფილიყო. ერთი მოკლული მიწაყრილზე დარჩა, ფეხებით ქვემოთ; შეტევის დროს მას ნახევარი თავის ქალა წააგლიჯა, თითქოს დანით ჩამოთალესო და ეს ნახევარი თავის ქალა თხრილში ჩაგორდა. იმ ბედშავმა უკანასკნელ წუთში ისე მაგრად ჩაისვარა, რომ მთელი სიბინძურე შარვლიდან ფეხსაცმელზე ესხმებოდა და სისხლთან ერთად სანგარში იქცეოდა, მისივე ტვინდანთხეულ თავის ქალას ნახევარზე. ასეთ დროს, ჩემო ძმაო, კაცმა არ იცის, ვის რა მოუვა.

— ზოგჯერ კიდევ, — თქვა შვეიკმა, — ბრძოლაში კაცს ისე აერევა გული, რომ აღარ იცის რა ჰქნას. პრაღაში, პოდგორელცეში, ტრაქტირ „პანორამაში“ პერემიშლთან დაჭრილმა ერთ-ერთმა ჯარისკაცმა, რომელიც უკვე მოკეთებულიყო კიდეც, გვიამბო, თუ როგორ გადავიდნენ სადღაც და რომელიღაც ციხესიმაგრესთან ხელჩართულ შეტევაზე. საიდანღაც ანაზდად მის წინ რუსი ჯარისკაცი აღიმართა. მთასავით ვეება, ხიშტმოღერებული, ცხვირიდან კი წვინტლი სდიოდა; ერთი კი შეავლო თვალი იმ წვინტლს ჩვენმა მეომარმა და ისეთი მაგარი გულისრევა აუტყდა, რომ საველე ლაზარეთისკენ მოჰკურცხლა. ლაზარეთში იგი ხოლერით დაავადებულად სცნეს და ბუდეიოვიცეში ხოლერიანთა ბარაკში გადაგზავნეს, იქ კი უკვე ნამდვილად შეეყარა ხოლერა.

— ვინ იყო იგი: რიგითი ჯარისკაცი თუ კაპრალი? — დაინტერესდა ნებითგანწესებული.

— კაპრალი იყო, — მშვიდად უპასუხა შვეიკმა.

— იგივე შეიძლებოდა თავს გადახდომოდა ყოველ ნებითგანწესებულსაც, — ბრიყვულად შენიშნა კაპრალმა და გამარჯვებულის სახით შეხედა ნებითგანწესებულს, თითქოს ეუბნებოდა: „შენი ყველაყისამ, მელა არ დაიჭირო! ხომ გაჭამე, ესეც გეყოფაო!“

მაგრამ ნებითგანწესებულმა არაფერი უპასუხა და სკამლოგინზე წამოწვა.

მატარებელი ვენას უახლოვდებოდა. ვისაც არ ეძინა, ფანჯრიდან უყურებდა ვენის ირგვლივ გამართულ მავთულხლართებსა და გამაგრებულ ადგილებს. ეს ყველაზე მძიმე შთაბეჭდილებას ახდენდა.

დაუსრულებელი ღრიანცელიც კი, რომელიც იმ ვაგონებიდან ისმოდა, სადაც კაშპერის მთების მეცხვარეები ისხდნენ, „Wann ich kumm, wann ich kumm, wan ich wieda, wieda kumm!“[1] შეწყდა იმ შემაზრზენი შთაბეჭდილების გამო, რომელსაც ახდენდა მავთულბლართებით შემოვლებული ვენა.

— ყველაფერი წესრიგშია, — შენიშნა შვეიკმა, რომელიც სანგრებს უყურებდა, — ყველაფერი სრულ წესრიგშია. მხოლოდ ერთი რამ ჰქმნის უხერხულობას: ვენელებს შარვალს შემოახევს ეს ეკლიანი მავთულხლართები, როცა ქალაქგარეთ დააპირებენ გასეირნებას. აქ დიდი სიფრთხილეა საჭირო.

— საერთოდ ვენა — ფრიად მნიშვნელოვანი ქალაქია, — განაგრძო მან. — მარტო ველური ნადირი რამდენია შენბრუნის სამხეცეში. როცა ამ რამდენიმე წლის წინათ ვენაში ვიყავი, ყველაზე მეტად მიყვარდა იქ მაიმუნების ცქერა, მაგრამ, როცა იმპერატორის სასახლიდან რომელიმე წარჩინებული პირი შემოივლის ხოლმე. მაშინ იქეთკენ არავის უშვებენ — მესაზღვრეები ჩაკეტავენ გზას. ერთხელ ჩემთან ერთად იყო მკერავი მეათე რაიონიდან, ჰოდა, იგი დააპატიმრეს იმისათვის, რომ დაიჩემა, რაც არ უნდა დამიჯდეს ის მაიმუნები უნდა ვნახოო.

— სასახლეში თუ ყოფილხართ? — ჰკითხა კაპრალმა.

— იქ ყველაფერი საუცხოოა, — უპასუხა შვეიკმა. — მე იქ არ ვყოფილვარ, მაგრამ ერთმა იქ ნამყოფმა კაცმა მიამბო. ყველაზე კარგი იქ — სასახლის ბადრაგაა. თვითეული ყარაული, ამბობენ, ორი მეტრი სიმაღლისა უნდა იყოს, სამსახურიდან როცა წავა, ტრაფიკას* აძლევენ. პრინცესები სასახლეში, თურმე, თავზე საყრელადაა.

მატარებელმა გვერდი ჩაუარა რომელიღაც სადგურს. იქიდან მოისმა ავსტრიული ჰიმნი, რომელიც თანდათან ნელდებოდა. ორკესტრი როგორც ჩანდა შეცდომით იყო გამოგზავნილი ამ სადგურზე ეშელონის შესახვედრად, ვინაიდან მატარებელი, საკმაოდ ხანგრძლივი დროის სვლის შემდეგ, მეორე სადგურზე გაჩერდა, სადაც ეშელონს სადილი ელოდებოდა და დიდის ამბითაც შეეგებნენ.

თუმცა უნდა ითქვას, რომ ეს საზეიმო შეხვედრები უკვე იმ ხასიათისა აღარ იყო, როგორიც ომის დასაწყისში, როცა ფრონტზე მიმავალი ჯარისკაცები ყოველ სადგურზე ჭამად იყვნენ გადაქცეული და როცა მათ ყველგან ეგებებოდა იდიოტურ თეთრ ტანსაცმელ-

---

[1] როდის დავბრუნდები, როდის, კვლავ როდისღა დავბრუნდ[ბი! (გერმ. დიალექტი.)

ში გამოწყობილი იდიოტური თაიგულებით ხელში გამოთაყვანებული გომბიოების მთელი წყება. მაგრამ ყველაზე სულელური იყო, რა თქმა უნდა, იმ ქალების მისასალმებელი სიტყვები, რომელთა ქმრებს ახლა თავი მოჰქონდათ ურა-პატრიოტებად და რესპუბლიკელებად.

საზეიმო დელეგაციაში შედიოდა: სამი ქალი — ავსტრიის წითელი ჯვრის საზოგადოების წევრები, ორი ქალი — ვენელ ქალთა და ქალიშვილთა რომელიღაც სამხედრო წრის წევრები, ვენის მაგისტრატის ერთი ოფიციალური წარმომადგენელი და ერთი სამხედრო პირი. მათ სახეებზე აღბეჭდილი იყო დაღლილობა. სამხედრო ეშელონები დღისითაც და ღამითაც მოძრაობდნენ, დაჭრილებით სავსე სანიტარული მატარებლები ყოველ საათში მოდიოდნენ, სადგურებზე ერთი ლიანდაგიდან მეორეზე გამუდმებით გადაყავდათ მატარებლები, რომლებშიც იყვნენ ტყვეები. და ყველაფერ ამას უნდა დასწრებოდნენ სხვადასხვა საზოგადოებებისა და კორპორაციების წევრები. ყოველდღე ერთი და იგივე მეორდებოდა, პირვანდელი ენთუზიაზმი მთქნარებით შეიცვალა. ერთ დელეგაციას ცვლიდა მეორე და ვენის ყოველ სადგურზე ყველა წევრს ისეთივე დაღლილი სახე ჰქონდა, როგორიც ახლა ბუდეიოვიცეს პოლკის დამხვდურებს.

პირუტყვის ვაგონებიდან ჯარისკაცები იცქირებოდნენ, მათ სახეებზე აღბეჭდილი იყო სახრჩობელაზე მიმავალი ადამიანის სრული უიმედობა.

ვაგონებთან მიდიოდნენ ქალები და ჯარისკაცებს ურიგებდნენ თაფლის პურებს მოშაქრული წარწერებით: „Sieg und Rache"; „Gott, strafe England"; „Der österreicher hat ein Vaterland. Er liebt's und hat auch Ursach für's vaterland zu kämpfen" [1].

შეგეძლოთ დაგენახათ, კაშპერელი მთიელები როგორ ლოღნიდნენ თაფლის პურებს იმავე უიმედო გამომეტყველებით.

მერე ასეულებში ბრძანება გასცეს, სადილი მიიღეთ სადგურის უკან განლაგებულ საველე სამზარეულოებშიო. იქ იყო ოფიცერთა სამზარეულოც, საითაც გაემართა შვეიკი ობერ-ფელდკურატის ბრძანების სისრულეში მოსაყვანად. ნებითგანწესებული დარჩა მატარებელში და ელოდა, როდის ასადილებდნენ: ორი მებადრაგე წაეიდა პატიმართა მთელი ვაგონისთვის სადილის მოსატანად.

შვეიკმა ზუსტად შეასრულა ბრძანება და როცა ბრუნდებოდა

---

[1] „გამარჯვება და შურისძიება". „ღმერთო, დასაჯე ინგლისი." „ავსტრიელ-უნგრეთის შვილს აქვს სამშობლო. მას უყვარს ის, და მან იცის რად უნდა იბრძოლოს სამშობლოსთვის" (გერმ.)



ლიანდაგებზე გადასვლისას პორუჩიკი ლუკაში დაინახა, რომელიც ბოლთასა სცემდა იმის მოლოდინში, რომ ოფიცერთა სამზარეულოდან მასაც მოუწევდა რამე. პორუჩიკი ლუკაში მეტად არასასიამოვნო სიტუაციაში იყო მომწყვდეული, რადგან, დროებით მას და პორუჩიკ კირშნერს ერთი საერთო დენშჩიკი ჰყავდათ. ეს დენშჩიკი ზრუნავდა მხოლოდ თავის პატრონზე და სრულ საბოტაჟზე გადადიოდა, როცა საქმე პორუჩიკ ლუკაშის მომსახურებას ეხებოდა.

— ვისთვის მიგაქვთ ყველაფერი ეს, შვეიკ? — ჰკითხა საცოდავმა პორუჩიკმა, როცა შვეიკმა მიწაზე დადო ფარაჯაში გახვეული ნივთების მთელი გროვა, — ოფიცერთა სამზარეულოში ბრძოლით მოპოვებული ნადავლი.

შვეიკი ცოტა შეყოყმანდა, მაგრამ სწრაფად აუღო ალღო ვითარებას და გულღია და ნათელი სახით მშვიდად უპასუხა:

— მაქვს პატივი მოგახსენოთ, ეს თქვენთვის მომაქვს, პანე ობერ-ლეიტენანტ. ოღონდ ვერ მიპოვნია თქვენი კუპე და, გარდა ამისა, არ ვიცი, მატარებლის კომენდანტი წინააღმდეგი ხომ არ იქნება ჩემი თქვენთან ყოფნის, — იგი ისეთი ღორი ვინმეა!

პორუჩიკმა ლუკაშმა ისეთი თვალებით შეხედა შვეიკს, თითქო რაღაცას ეკითხებოდა. შვეიკი კი ინტიმურად და გულკეთილად განაგრძობდა:

— ნამდვილი ღორია, პანე ობერ-ლეიტენანტ. როცა მატარებელს

ჩამოუარა, დაუყოვნებლივ მოვახსენე, უკვე თერთმეტი საათია, ჩემი პატიმრობის ვადა გათავდა და ახლა ან პირუტყვის ვაგონში უნდა გადამიყვანოთ, ან პან პორუჩიკთან-მეთქი. მან უკმეხად შემაწყვეტინა სიტყვა: ეგდე შენთვის, სადაც ხარ. თან დასძინა: ყოველ შემთხვევაში თავს აღარ მოჭრიო გზაში პორუჩიკს. პანე ობერ-ლეიტენანტ!— შეეკმა წამებულივით დამანჭა ტუჩები. — განა'ოდესმე შემირცხვენიხართ, პანე ობერ-ლეიტენანტ!

პორუჩიკმა ლუკაშმა ამოიხვნეშა.

— არც ერთხელ არ ყოფილა შემთხვევა, რომ მე თქვენ შემერცხვინოთ, — განაგრძო შვეიკმა. — თუ რაიმე ამდაგვარს ჰქონდა ადგილი, ესეც სრულიად შემთხვევით მოხდა. „ღვთის განგებით", როგორც ეს პელირჟიმოველმა მოხუცმა ვანიჩეკმა თქვა, როცა იგი ოცდამეთექვსმეტეჯერ ჩასვეს საპყრობილეში. არასდროს არაფერი არ მომიმოქმედნია განგებ, პანე ობერ-ლეიტენანტ. მუდამჟამ ვცდილობდი ყველაფერი რაც შეიძლება მოხდენილად და საუკეთესოდ გამეკეთებინა. განა დამნაშავე ვარ, რომ ჩვენ ორთავეს სიკეთის ნაცვლად უბედურება გვატყდებოდა თავს, ტანჯვა-წამების მეტი არაფერი ვიცოდით?

— ოღონდ ნუ ტირით, შვეიკ, — დაყვავებით უთხრა პორუჩიკმა ლუკაშმა, როცა საშტაბო ვაგონს უახლოვდებოდნენ. — საქმეს ისე მოვაგვარებ, რომ თქვენ ისევ ჩემთან იყოთ.

— მაქვს პატივი მოგახსენოთ, პანე ობერ-ლეიტენანტ, მე არ ვტირი. ოღონდ ძალიან ნაწყენი კი ვარ: მე და თქვენ ორთავე ყველაზე უბედური ადამიანები ვართ ამ ომში და მთელ ქვეყნიერებაზე, და ამავე დროს ორთავე არაფერ შუაში ვართ. რა ულმობელია ბედისწერა, როცა გავიფიქრებ, რომ მე ყოველთვის, მთელ ჩემს სიცოცხლეში ასეთი გულმოდგინე და მონდომებული...

— დამშვიდდით, შვეიკ.

— მაქვს პატივი მოგახსენოთ, პანე ობერ-ლეიტენანტ: სუბორდინაცია რომ არა, მე ვიტყოდი, ვერასგზით ვერ დავშშვიდდები, მაგრამ, თანახმად თქვენი ბრძანებისა, უკვე მთლად დავშშვიდდი.

— მაშ, აძვერით ვაგონში.

— არის, ეძვრები, პანე ობერ-ლეიტენანტ.

მოსტში განლაგებულ სამხედრო ბანაკში ღამის სიჩუმე მეფობდა. ჯარისკაცები ბარაკებში სიცივისგან კანკალებდნენ, ოფიცერთა ბარაკებში კი ისეთი აუტანელი, შემხუთავი სიცხე იყო, რომ ფანჯრები დაეღოთ.

ცალკეულ ობიექტებთან გუშაგთა გამოზომილი ნაბიჯების ხმა გაისმოდა, რომლებიც სიარულით იფრთხობდნენ ძილს.

ქვემოთ, მდინარეს გადაჰყურებდა ხორცის კონსერვების გაჩირაღდნებული ქარხანა, რომელიც მის უდიდებულესობას ეკუთვნოდა. იქ დღისითაც და ღამითაც მიმდინარეობდა მუშაობა: კონსერვებად მუშავდებოდა ყოველგვარი ნაყარ-ნუყარი. ბანაკში ქარის ქროლვას მოჰქონდა დამპალი მყესების, ჩლიქებისა და ძვლების სიმყრალე, რისგანაც კონსერვის წვენს ხარშავდნენ.

ფოტოგრაფის თავმინებებულ პავილიონიდან, სადაც მშვიდობიან დ'ოს ჯარისკაცები სურათებს იღებდნენ და აქ, სასროლო მოედანზე თავის ახალგაზრდობის წლებს ატარებდნენ, ხელისგულივით მოჩანდა ლიტავას ხეობა; საროსკიპო „უ კუკურეიჩეპო კლასუში", რომლის შესასვლელთან ელექტრონის წითელი ფარანი ციმციმებდა, და რომელსაც 1918 წელს შოპრანთან დიდი მანევრების დროს პატივი დასდო თავისი სტუმრობით ერცჰერცოგმა სტეფანმა, და სადაც ყოველდღე იკრიბებოდა ოფიცერთა საზოგადოება.

ეს იყო ყველაზე ფეშენებელური საროსკიპო, სადაც არ შეესვლებოდათ რიგით ჯარისკაცებსა და ნებითგანწესებულთ, რომლებიც „უ რუეიეეპო დომუში" დადიოდნენ. ამ საროსკიპოს მწვანე ფარნებიც მოჩანდა ფოტოგრაფის მიტოვებულ პავილიონიდან. ასეთივე გამიჯვნა სამხედრო ხარისხების მიხედვით დაცული იყო ფრონტზეც, როცა მონარქია უკვე უძლური შეიქნა სხვა რამეთი ეშველა თავისი ჯარისთვის, გარდა ბრიგადების შტაბებთან გახსნილ სალაშქრო საროსკიპოებისა, რომელთაც „პუფებს" უწოდებდნენ. ამრიგად, არსებობდნენ K. K. Offizierspuff, K.K.Unteroffizierspuff და K. K. Mannschaftspuff — საიმპერატორო-სამეფო ოფიცერთა პუფები, საიმპერატორო-სამეფო უნტერ-ოფიცერთა პუფები და საიმპერატორო-სამეფო პუფები რიგითი ჯარისკაცებისთვის.

მოსტ ნა ლიტავე ნათურებით კაშკაშებდა. ლიტავის მეორე მხარედან კაშკაშებდნენ კირალიჰიდე, ცისლაიტანია * და ტრანსლაიტანია. ორივე ქალაქში, უნგრელთა და ავსტრიელთა ქალაქებში, ბოშათა კაპელები სიმღერებს მართავდნენ, მღეროდნენ და სვამდნენ. კაფეები და რესტორნები სინათლის მორევში იყვნენ ჩაფლულნი. ადგილობრივ ბურჟუაზიასა და მოხელეებს აქ დაჰყავდათ თავისი ცოლები და გასათხოვარი ქალიშვილები და მთელი მოსტ ნა ლიტავე, Bruck an der Leite[1] ისევე, როგორც კირალიჰიდე წარმოადგენდნენ ერთ მთლიან ვეებერთელა საროსკიპოს.

ღამით ოფიცერთა ერთ ბარაკში შვეიკი ელოდებოდა პორუჩიკ

[1] ბრუკი ლიტავაზე (გერმ.)



ლუკაშს, რომელიც საღამოთი ქალაქის თეატრში წავიდა და აქამდე არ დაბრუნებულიყო. შვეიკი იჯდა პორუჩიკის დაგებულ ლოგინზე, მის პირდაპირ კი მაგიდაზე ჩამომჯდარიყო მაიორ ვენცელის დენშჩიკი.

მაიორი ვენცელი დაბრუნდა ფრონტიდან პოლკში იმის შემდეგ, რაც სერბიაში, დრინაზე * ბრწყინვალედ დაამტკიცა თავისი უნიჭობა. დადიოდა ხმები, რომ მან გასცა ბრძანება დაერღვიათ და მოესპოთ ნავტიკის გაბმული ხიდი იმ დროს, როცა ბატალიონის ნახევარიც კი არ იყო გადასული მდინარის მეორე ნაპირზე. ამჟამად იგი დანიშნული იყო კირალიჰიდეში სამხედრო სასროლი მოედნის უფროსად და გარდა ამისა რაღაც ფუნქციებს ასრულებდა სამხედრო ბანაკის სამეურნეო ნაწილში. ოფიცრები ლაპარაკობდნენ, რომ მაიორი ვენცელი ახლა თავის საქმეებს გამოასწორებსო. ლუკაშისა და ვენცელის ოთახები მეზობლად იყვნენ.

მაიორ ვენცელის დენშჩიკი, შეუხედავი, ნაყვავილარი მიკულაშეკი ფეხებს იქნევდა და ილანძღებოდა:

— აბა, რასა გავს ეს ამბავი — ბებერი ალქაჯი არ მოდის და არა? ერთი ნეტავი მაცოდინა მთელი ღამეები სად დაეთრევა ეს ბებრუხანა? ოთახის კლიტე მაინც დაეტოვებინა. ოჰ, რას ვიგორავებდი მის ლოგინში და ისეთ დროს გავატარებდი, შენი მოწონებული! რამდენი ღვინო გვაქვს!

— იგი, ამბობენ, იპარავსო, — ჩაილაპარაკა შვეიკმა, თან თავისი პორუჩიკის სიგარეტს ქაჩავდა თამამად, რადგან ოთახში ჩიბუხის მოწევა აკრძალული ჰქონდა ლუკაშისგან. — შენ, უთუოდ, კარგად იცი, საიდან გაქვთ ამდენი ღვინო.

— სადაც მიბრძანებს, იქ მივდივარ, — წვრილი ხმით თქვა მიკულაშეკმა. — დაწერს ლაზარეთისთვის საჭირო ღვინის მოთხოვნას, მივიღებ და შინ მოვუტან.

— პოლკის სალაროს გაქურდვა რომ გიბრძანოს, იმასაც შეასრულებდი? — ჰკითხა შვეიკმა. — აქ ერთ ამბავში ხარ, თავისუფლად ქაქანებ, მის წინაშე კი ვერხვის ფოთოლივით ცახცახებ.

მიკულაშეკმა თავისი პატარა თვალები აახამხამა.

— ამაზე საჭიროა ცოტათი დაფიქრება.

— აქ დასაფიქრებელი არაფერია, შე ლაწირაკო, შენა! — შეუყვირა მას შვეიკმა, მაგრამ მყისვე ხმა ჩაუწყდა.

გაიღო კარი და შემოვიდა პორუჩიკი ლუკაში. პორუჩიკი შესანიშნავ გუნებაზე იყო, რაც იმაზე ეტყობოდა, რომ ქუდი უკუღმა ეხურა.

მიკულაშეკს ისე შეეშინდა, რომ მაგიდიდან ჩამოხტომა ვეღარ

მოისაზრა და დამჯდარმა ხელი აუღო, ის კი აღარ ახსოვდა, რომ უქუდოდ იყო.

— მაქვს პატივი მოგახსენოთ, ყველაფერი წესრიგშია, — უპატაკა შვეიკმა, მხედრულად გამოეჭიმა, ყველა წესისდა მიხედვით, მაგრამ სიგარეტა პირში დარჩა გაჩხირული.

პორუჩიკმა ლუკაშმა შვეიკს არავითარი ყურადღება არ მიაქცია და პირდაპირ მიკულაშეკისკენ გაემართა, რომელიც თვალებგადმოკაკლული უყურებდა თვითეულ მის მოძრაობას, კვლავ მაგიდაზე იჯდა და სამხედრო სალამისთვის აღებული ხელი ისევ შუბლთან ეჭირა.

— პორუჩიკი ლუკაში, — გააცნო თავისი თავი პორუჩიკმა და ბანცალით მივიდა მიკულაშეკთან. — თქვენ რა გვარი ბრძანდებით?

მიკულაშეკი დუმდა. ლუკაშმა მიიჩოჩა სკამი, დაჯდა მიკულაშეკის პირისპირ, ახედა ქვემოდან ზემოთ და თქვა:

— შვეიკ, ჩემი ჩემოდნიდან ამოიღეთ სამსახურებრივი რევოლვერი და მომიტანეთ.

მთელი იმ ხნის განმავლობაში, სანამ შვეიკი ჩემოდანში ხელებს აფათურებდა, მიკულაშეკი დუმდა და შიშატანილი უყურებდა პორუჩიკს. მას კიდევ რაიმეს მოსაზრების უნარი რომ შერჩენოდა და მიხვედრილიყო, რომ იგი მაგიდაზე ზის, ალბათ ელეთ-მელეთი დაემართებოდა, რადგან ფეხებით მის წინ მჯდომარე პორუჩიკის მუხლებს ეხებოდა.

— თქვენი გვარი-მეთქი, არ გესმით?! — დაუყვირა პორუჩიკმა, რომელიც ქვემოდან უყურებდა მიკულაშეკს.

მაგრამ იგი განაგრძობდა დუმილს. როგორც შემდეგში მიკულაშეკმა განმარტა, ლუკაშის მოულოდნელ დანახვაზე იგი ერთბაშად გახევდა. უნდოდა მაგიდიდან ჩამომხტარიყო, მაგრამ ვერ მოახერხა, უნდოდა ეპასუხნა, მაგრამ არ შეეძლო, უნდოდა ხელი ჩამოეშვა, მაგრამ ესეც ვერ შეძლო.

— მაქვს პატივი მოგახსენოთ, პანე ობერ-ლეიტენანტ, — გაისმა შვეიკის ხმა. — რევოლვერი არაა გატენილი.

— მერე რას უყურებთ, ჩადევით ტყვია.

— მაქვს პატივი მოგახსენოთ, პანე ობერ-ლეიტენანტ, ვაზნები არაა, და მაგის გადმოღება მაგიდიდან არც ისე ადვილი საქმე იქნება. თქვენი ნებართვით, პანე ობერ-ლეიტენანტ, მოგახსენებთ, ეს ყმაწვილი მიკულაშეკია — მაიორ ვენცელის დენშჩიკი. მას ყოველთვის, როგორც ბატონ ოფიცრებს დაინახავს, ენა წაერთმევა ხოლმე. საერთოდაც არ ემარჯვება ლაპარაკი. მთლად დაშინებული ბავშვივითაა. ერთი სიტყვით — ცინგლიანი ვინმეა. ბატონი მაიორი ვენცელი

მას დერეფანში სტოვებს, როცა თვითონ ქალაქში მოდის. და აი, ეს საცოდავი დაყიალობს და ხან ერთ დენშჩიკს მიაკითხავს, ხან მეორეს. რაც მთავარია — შესაშინებელი რამე მაინც ჰქონდეს, რა აშინებს, ვერ გამიგია, ისეთი რომ არაფერი ჩაუდენია.

შვეიკმა გადააფურთხა; მის ლაპარაკში გამოსჭვიოდა უსაზღვრო ზიზღი მიკულაშეკის სიმხდალისადმი, იგი ვერ შერიგებოდა იმას, რომ ამ ჭიამკვდარას უნარი არ შესწევდა მხედრულად დაეჭირა თავი.

— თქვენი ნებართვით, — განაგრძო შვეიკმა, — მე ამ ყმაწვილს დავუყნოსავ.

შვეიკმა გადმოათრია მაგიდიდან მიკულაშეკი, რომელიც ისევ თვალებდაჭყეტილი სულელურად მისჩერებოდა პორუჩიკს, დააყენა იგი იატაკზე და დაუყნოსა შარვალი.

— ჯერჯერობით არაფერია, — მოახსენა მან პორუჩიკს, — მაგრამ უკვე იწყებს. თუ მიბრძანებთ, აქედან ვისვრი!

— კინწისკვრით გააგდეთ, შვეიკ, თვალით არ დავინახო!

შვეიკმა გაიყვანა აკანკალებული მიკულაშეკი დერეფანში, გაიხურა კარები და ასე უთხრა:

— აი, ხომ ხედავ, შე ბეყეირათო, სიკვდილს გადაგარჩინე. როცა ბატონი მაიორი ვენცელი დაბრუნდება, შენ ამისთვის ჩუმად ერთი ბოთლი ღვინო უნდა მომიტანო. არ გეგონოს, გეხუმრებოდე! სიცოცხლე შეგინარჩუნე, განა ეს ხუმრობაა. ჩემი პორუჩიკი როცა გადაკრულშია, მისგან ყოველ წუთში უბედურებას უნდა მოელოდე. ასეთ შემთხვევაში მარტო მე შემიძლია მასთან საერთო ენა გამოვძებნო, სხვა ახლო ვერავინ გაეკარება.

— მე... — ის-იყო დაიწყო მიკულაშეკმა.

— შენ ხარ მყრალა, — ათვალწუნებით შეაწყვეტინა შვეიკმა. — ჩამოჯექი ზღურბლზე და ელოდე, სანამ შენი მაიორი ვენცელი არ მოვა.

— როგორც იქნა მოხვედით, — შეეგება პორუჩიკი ლუკაში შვეიკს. — თქვენთან მოსალაპარაკებელი საქმე მაქვს. ნუ იჯგიმებით, გეთაყვა, ასე სულელურად. შვეიკ, დაჯექით თავისუფლად და თავი გაანებეთ თქვენს „მაქვს პატივი მოგახსენოთ“. იყუჩეთ და მომისმინეთ ყურადღებით. თუ იცით, სად არის კირალიპიდეში შოპრონის ქუჩა? მე თქვენ გთხოვეთ, თავი დაანებეთ-მეთქი თქვენს „მაქვს პატივი მოგახსენოთ“, „არ ვიცი, პანე პორუჩიკ“ და სხვა ასეთებს. არ იცით, არა? თქვით, „არ ვიცი“, მორჩა და გათავდა! დაიწერეთ ქაღალდზე: შოპრონის ქუჩა, ნომერი თექვსმეტი. იმ სახლში ქვემო სართულზე რკინეულობის სავაჭროა. იცით, რა არის რკინეულობის სავაჭრო?... დალახვროს ეშმაკმა, ნუ ამბობთ, „მაქვს პატივი მოგახ-

სენოთ“, თქვით უბრალოდ „ვიცი“, ან „არ ვიცი“. მაშ ასე, იცით რა არის რკინეულობის საავარო? იცით, არა? — ძალიან კარგი. ის მაღაზია ეკუთვნის ერთ მადიარს, გვარად კაკონს. იცით, არა? — ძალიან კარგი. მაღაზიის თავზე ბინაა, ეს კაკონი იმ ბინაში ცხოვრობს, ესეც იცით? არ იცით? დალახვროს ეშმაკმა, იმიტომაც გეუბნებით, რომ იქ ცხოვრობს-მეთქი. გაიგეთ? რაკი გაიგეთ, მაგას რა სჯობია. რომ ვერ გაგეგოთ, ნაობახტში ჩაგსვამდით. ჩაიწერეთ თუ არა, რომ ამ სუბიექტის გვარი არის კაკონ? ძალიან კარგი. მაშასადამე, ხვალ დილით, ასე, ათი საათი რომ მოატანს, თქვენ წახვალთ ქალაქში, მოძებნით ამ სახლს, ახვალთ მეორე სართულზე და გადასცემთ ქალბატონ კაკონს აი ამ ბარათს.

პორუჩიკმა ლუკაშმა გახსნა საფულე და მთქნარებით გაუწოდა შვეიკს კონვერტში ჩადებული წერილი. კონვერტზე არავითარი მისამართი არ ეწერა.

— დიდმნიშვნელოვანი საქმეა, — არიგებდა იგი შვეიკს. — სიფრთხილე არასოდეს ზედმეტი არაა, ამიტომ, როგორც ხედავთ, კონვერტზე მისამართი არ სწერია. მთლიანად გენდობით თქვენ და დარწმუნებული ვარ, ბარათს ჩააბარებთ სრულ წესრიგში. ჰო, მართლა, ჩაიწერეთ კიდევ, რომ იმ ქალბატონს ჰქვია ეტელკა. ჩაიწერეთ: ქალბატონი ეტელკა კაკონ. იცოდეთ, ეს წერილი თქვენ მას საიდუმლოდ

უნდა ჩაამბაროთ და რაც არ უნდა დაგიჯდეთ, პასუხს უნდა დაელოდოთ. მანდ, ბარათში წერია, რომ თქვენ დაელოდებით პასუხს. რა გინდოდათ გეთქვათ?

— პასუხი რომ არ მომცენ, პანე ობერ-ლეიტენანტ, როგორ მოვიქცე?

— უთხარით, რომ პასუხი უნდა მიიღოთ ყოველ მიზეზს გარეშე, — თქვა პორუჩიკმა და ისე მაგრად დაამთქნარა, რომ ყბა კინაღამ გვერდზე მოექცა. — მე ახლა დავიძინებ, დღეს საშინლად დავიღალე. ღმერთო ჩემო, რამდენი დავლიეთ! ასეთი საღამოსა და ასეთი ღამის შემდეგ, ვფიქრობ, ყველა დაიქანცება.

თავდაპირველად პორუჩიკ ლუკაშს არ ჰქონდა განზრახვა სადმე დარჩენილიყო. საღამო ჟამს იგი ბანაკიდან წავიდა ქალაქში იმ ვარაუდით, რომ კირალიჰიდეში უნგრული თეატრის წარმოდგენას დაესწრებოდა, სადაც რომელიღაც უნგრულ ოპერეტას უჩვენებდნენ. წამყვან როლებს იქ ჩასუქებული ებრაელი მსახიობი ქალები თამაშობდნენ, რომლებიც იმ დიდი ღირსებით სარგებლობდნენ, რომ ცეკვის დროს ფეხებს თავზემოთ სწევდნენ და არც ტრიკო, არც ნიფხავი არ ეცვათ, ბატონ ოფიცრების მოსატყუებლად თათრის ქალებივით სამართებლით იპარსავდნენ ბალანს. ქანდარა, რა თქმა უნდა, ამის ცქერის სიამოვნებას მოკლებული იყო, მაგრამ სამაგიეროდ პარტერში მსხდომი არტილერიის ოფიცრები უდიდეს სიამოვნებას განიცდიდნენ. ერთი პატარა დეტალიც რომ არ გამორჩენოდათ, თეატრში მათ საარტილერიო პრიზმატიული ბინოკლები მოჰქონდათ.

პორუჩიკ ლუკაშს ეს საინტერესო ღორობა ვერ ხიბლავდა, ვინაიდან თეატრში ნაქირავები ბინოკლი აქრომატიული არ იყო, და ქალის თეძოების ნაცვლად იგი რაღაც მოძრავ ლილისფერ ლაქებს ხედავდა.

პირველი მოქმედების შემდეგ ანტრაქტში მისი ყურადღება მიიქცია ერთმა ქალმა, რომელსაც შუა ხნის მამაკაცი ახლდა. ქალი გარდერობისკენ მიიჩქაროდა და გაცხარებით მოითხოვდა მამაკაცისგან — ახლავე შინ წავიდეთო, რადგან ასეთი უმსგავსობის ცქერა არა მსურსო. იგი ლაპარაკობდა საკმაოდ ხმამაღლა გერმანულად, მისი თანამგზავრი კი უნგრულად პასუხობდა.

— მართალი ხარ, ჩემო ანგელოზო, წავიდეთ, წავიდეთ. ეს მართლაც უგემური სანახაობაა.

— Es ist ekelhaft [1] — მაინც არ ცხრებოდა ქალი, როცა მამაკაცი მანტოს აცმევდა.

---

[1] ეს საძაგლობაა! (გერმ.)

მის თვალებში, ფართო, მუქ თვალებში, რომლებიც ასე ჰარმონიულად იყო შერწყმული კოპწია ფიგურასთან, ასეთ უსირცხვილობას აღშფოთების ცეცხლი დაენთო. მან თვალი შეავლო პორუჩიკ ლუკაშს და კიდევ ერთხელ გადაჭრით წარმოთქვა:

— Ekelhaft, wirklich ekelhaft![1]

ამ წუთიდან გაინასკვა მოკლე რომანი. მეგარდერობე ქალისგან პორუჩიკმა ლუკაშმა გაიგო, რომ ესენი იყვნენ ცოლ-ქმარი კაკონები და რომ კაკონს შოპრონის ქუჩაზე № 16 სახლში რკინეულობის მაღაზია ჰქონდა.

— პანი ეტელკასთან ერთად თვითონ მეორე სართულზე ცხოვრობს, — აცნობა მეგარდერობე ქალმა და ისე დაწვრილებით აუწერა, როგორც ჩვევიათ ძველ მაჭანკლებს, — ქალი გერმანელია ქალაქ შოპრონიდან, კაცი — მადიარია. აქ ყველანი აირივნენ ერთმანეთში.

პორუჩიკმა ლუკაშმა აიღო თავისი ფარაჯა გარდერობიდან და ქალაქში წავიდა. იქ რესტორან „ერცჰერცოგ ალბრეხტში“ იგი შეხვდა ოთხმოცდამეთერთმეტე პოლკის ოფიცრებს. ლუკაში ლაპარაკობდა ცოტას, სამაგიეროდ სვამდა უზომოდ და სულ იმას ფიქრობდა, რა მივწერო ისეთი იმ მკაცრ, მაღალი ზნეობის ლამაზ ქალსო, რომლისკენაც უფრო მეტად მიუწევდა გული, ვიდრე სცენის ამ მაიმუნებისკენ, როგორც ოფიცრები უწოდებდნენ ოპერეტის მსახიობ ქალებს.

მეტად აღტკინებულ გუნებაზე იგი წავიდა პატარა კაფეში „უ კრეიცე სვ. შტეპანა“, დაიკავა განმარტოებული კაბინეტი, გამოაგდო იქიდან ვილაც რუმინელი ქალი, რომელმაც შესთავაზა, გინდა სულ გავიხდი ყველაფერს, დედიშობილად ვიქნები და რასაც მოისურვებ, იმას შეგისრულებო, კაფეს მსახურს მოატანინა მელანი, კალამი, ფოსტის ქაღალდი და ერთი ბოთლი კონიაკი, მერე ზედმიწევნით მოიფიქრა ყველაფერი და დასწერა შემდეგი წერილი, რომელიც, მისთვის რომ გეკითხათ, ისეთი კარგი იყო, რომ მსგავსი თავის სიცოცხლეში არ დაეწერა.

„მოწყალეო ქალბატონო! მე გუშინ ვიყავი ქალაქის თეატრში წარმოდგენაზე, რომელმაც თქვენში უაღრესი აღშფოთება გამოიწვია. მთელი პირველი მოქმედების განმავლობაში თვალს არ გაშორებდით თქვენ და თქვენს მეუღლეს. როგორც მე შევამჩნიე...“

„რა უფლებით ყავს ამ სუბიექტს ასეთი თვალწარმტაცი ცო-

---

[1] საძაგლობაა, სწორედ რომ საძაგლობაა! (გერმ.)

ლი? — თქვა თავის გულში პორუჩიკმა ლუკაშმა. — ის მამაკაცი ხომ ნამდვილად გაპარსულ პავიანს გავს...“

„თქვენი მეუღლე სიამოვნებით და სრული კეთილგანწყობით უცქეროდა მთელ იმ საზიზღრობას, რომლითაც აღსავსე იყო პიესა, რამაც თქვენში, მოწყალეო ქალბატონო, სამართლიანი აღშფოთება და ზიზღი გამოიწვია, ვინაიდან ეს ხელოვნება კი არა, ადამიანის იდუმალზე იდუმალი გრძნობების საძაგელი ხელყოფა იყო...“

„რა შესანიშნავი გულმკერდი აქვს იმ დალოცვილს, — გაიფიქრა პორუჩიკმა ლუკაშმა. — ეჰ, რაც იქნება, იქნება!“

„მაპატიეთ, მოწყალეო ქალბატონო, რომ მიუხედავად იმისა, თქვენ მე არ მიცნობთ, მაინც გულღიად გელაპარაკებით. ჩემს სიცოცხლეში ბევრი ქალი მინახავს, მაგრამ არც ერთს ჩემზე ისეთი შთაბეჭდილება არ მოუხდენია, როგორიც თქვენ, რადგან თქვენი მსოფლმხედველობა და თქვენი მსჯელობა სავსებით ემთხვევა ჩემსას. ღრმად ვარ დარწმუნებული, რომ თქვენი მეუღლე — წმინდა წყლის ეგოისტია, რომელიც დაგათრევთ ყველგან“...

— „არ ვარგა“, — თქვა თავის გულში პორუჩიკმა ლუკაშმა, წაშალა „schleppt mit“ [1] და დასწერა:

„რომელსაც პირადი ინტერესების მიხედვით დაყავხართ თქვენ, ქალბატონო, ისეთ თეატრალურ წარმოდგენებზე, მხოლოდ და მხოლოდ მის გემოვნებას რომ აკმაყოფილებს. მე პირდაპირობა და გულახდილობა მიყვარს, სრულებითაც არ ვერევი თქვენს პირად ცხოვრებაში და მინდა მხოლოდ ინტიმურად გელაპარაკოთ წმინდა ხელოვნებაზე...“

„აქ სასტუმროებში უხერხულია. მომიხდება ვენაში წაყვანა, — გაიფიქრა პორუჩიკმა. — მივლინებას ავიღებ“.

„ამიტომ ვბედავ, ქალბატონო, და გთხოვთ მიმითითოთ, სად და როდის შეიძლება ჩვენი შეხვედრა, რომ საშუალება მომეცეს ახლო გაგიცნოთ. თქვენ უარს არ ეტყვით ისეთ ადამიანს, რომელსაც ახლო მომავალში მოუხდება მძიმე სამხედრო ლაშქრობაში მიიღოს მონაწილეობა და რომელსაც, თქვენი გულკეთილობით აღსავსე თანხმობის შემთხვევაში, ბრძოლის ქარცეცხლშიც კი ხატად ექნება თვალწინ თქვენი სახე. თქვენი გადაწყვეტილება ჩემთვის ბრძანება იქნება. თქვენი პასუხი — გადამწყვეტი მომენტი გახდება ჩემს ცხოვრებაში“.

მოაწერა ხელი, მოათავა კონიაკი, კიდევ ერთი ბოთლი მოითხოვა, დაკვირვებით, დინჯად წაიკითხა წერილი, თან კონიაკს შეექცეო-

---

[1] დაგათრევთ ყველგან (გერმ.)

და ყლუპყლუპობით, და გულწრფელი ცრემლიც კი მოერია თვალებზე, უკანასკნელ სტრიქონებს რომ კითხულობდა.

უკვე დილის ცხრა საათი იყო როცა შვეიკმა პორუჩიკი ლუკაში გააღვიძა:

— მაქვს პატივი მოგახსენოთ, პანე ობერ-ლეიტენანტ, სამსახურში დაგაგვიანდათ, მე კი დროა წავიდე თქვენი წერილით კირალიჰიდეში. შვიდ საათზე გაღვიძეთ, მერე რვის ნახევარზე, მერე რვაზე, როცა უკვე ყველანი წავიდნენ მეცადინეობაზე, თქვენ კი მეორე გვერდზე გადაბრუნდით. პანე ობერ-ლეიტენანტ, გესმით, პანე ობერ-ლეიტენანტ!

პორუჩიკმა ლუკაშმა რაღაც ჩაიბუბუნა და ისევ დააპირა მეორე გვერდზე გადატრიალება, მაგრამ არ გამოუვიდა. შვეიკი შეუბრალებლად ანჯღრევდა მას და ყურში ჩაჰყვიროდა:

— პანე ობერ-ლეიტენანტ, მაშ მე წავალ, ამ წერილს წავიღებ კირალიჰიდეში!

პორუჩიკმა დაამთქნარა:

— წერილი?.. ჰო, მართლა! მაგრამ ეს საიდუმლოებაა, გასაგებია? საიდუმლოება, რომელიც ვიცით მხოლოდ მე და თქვენ. წადით...

პორუჩიკმა გადაიფარა საბანი, რომელიც შვეიკმა გადახადა, და ისევ დაიძინა. შვეიკი კირალიჰიდესკენ გაუდგა გზას.

შოპრონის ქუჩისა და № 16 სახლის მოძებნა არც ისე გაუძნელდებოდა შვეიკს, რომ მას გზაში არ შეხვედროდა მესანგრე ვოდიჩკა, რომელიც მდინარის პირას განლაგებულ მეტყვიამფრქვევებზე იყო მიმაგრებული. რამდენიმე წლის წინათ ვოდიჩკა პრაღაში ცხოვრობდა, ბოიშჩეზე, და ასეთი შეხვედრის აღსანიშნავად აბა როგორ შეიძლებოდა რომ არ შესულიყვნენ ბრუკეში სამიკიტნო „უ ჩერნეჰო ბერანკაში“, სადაც მუშაობდა ნაცნობი ჩეხი კელნერი ქალი რუჟენკა, რომლის ფული ემართა ყველა ჩეხ ნებითგანწესებულს, თუკი ოდესმე რომელიმე მათგანი ბანაკს გაჰკარებია.

მესანგრე ვოდიჩკა, ძველი ყალთაბანდი, ამ უკანასკნელ ხანებში, რუჟენკას კავალერი იყო და მას აღრიცხვაზე ჰყავდა აყვანილი ყველა სამარშო ასეული, რომლებსაც ფრონტზე წასვლა უწევდა. იგი დროულად ჩამოუვლიდა ხოლმე ყველა ჩეხ ნებითგანწესებულს და მოაგონებდა, ფრონტზე წასვლის გაწამაწიაში არ გაიპაროთ და ვალი არ 'შეირჩინოთო.

— შენ, კაცმა რომ თქვას, მაინც საითკენ გაქვს აღებული

გეზი? — ჰკითხა ვოდიჩკამ, როცა ერთი ჭიქა მაგარი ღვინო გადაჰკრა.

— ეს საიდუმლოებაა, — უპასუხა შვეიკმა, — მაგრამ შენ, როგორც ძველ მეგობარს, შემიძლია გითხრა... — და მან ყველაფერი დაწვრილებით უამბო. ვოდიჩკამ ყურადღებით მოუსმინა და განაცხადა, მე, როგორც ძველ მესანგრეს არამც და არამც არ შემიძლია შუა გზაზე შენი მიტოვება, და შენთან ერთად წამოვალ ბარათის ჩასაბარებლადო.

ისინი გაერთვნენ ძველი ამბების მოგონებით და როცა „ჩერნე ჰობერანკადან“ გამოვიდნენ (უკვე ნაშუადღევის პირველი საათი იყო), ყველაფერი მეტად უბრალო და ადვილად თავგასართმევ საქმედ მოეჩვენათ. შოპრონის ქუჩის № 16 სახლისკენ გზაზე ვოდიჩკა მადიარებისადმი უკიდურეს სიძულვილს ამჟღავნებდა და დაუღალავად ლაქლაქებდა იმის შესახებ, თუ როგორ, სად და როდის უჩხუბნია მათთან, ან რამ, როდის და სად შეუშალა ხელი მათთან ჩხუბს.

— აი ერთხელ წავუჭირე ხელი ყელში ერთ ასეთ დრუნჩიან მადიარს და ვგუდავ. ეს მოხდა პაუსდორფში, სადაც ჩვენ, მესანგრეები მივედით დასალევათ. სიბნელით მინდოდა მესარგებლა და ერთი მაგრად გადამეწნა სახეზე ღვედი, — ჩვენ ხომ, როგორც კი ალიაქოთი ატყდა, ბოთლი ვთხლიშეთ ლამპას. ჰოდა, იმას ვამბობდი, წა-

ვუპირე ხელი ყელში და უცბად მესმის: „ტონდა, ხელი მიშვი, ეს მე ვარ, პურკრაბეკი, მეთექვსმეტე სათადარიგოდან“. კინაღამ შეცდომა მოხდა. სამაგიეროდ ნეზიდერის ტბასთან იმან და მე ამ მადიარელ ჯამბაზებს ანგარიში გავუსწორეთ, როგორიც მათ ეკადრებოდათ. იქ ჩვენ ამ სამი კვირის წინათ მოვხვდით. მეზობელ სოფელში დაბინავებულია რომელიღაც ჰონვედთა პოლკის მეტყვიამფრქვევეთა რაზმი. ჩვენ შემთხვევით შევიხედეთ სამიკიტნოში, სადაც ისინი ალქაჯებივით გახურებული ცეკვავდნენ თავის ჩარდაშს და ყურთასმენის წამღერად ღრიალებდნენ თავის: „Uram, uram, bird uram,“ ანდა: „Lanók, lanók, lanók, a faluba.“[1] დავსხედით მათ პირდაპირ, დავიდევით წინ მაგიდაზე მხოლოდ ჩვენი სალდათური ქამარი და ერთმანეთში ვლაპარაკობთ: „დაგვაცათ, თქვე ძაღლიშვილებო, გაჩვენებთ თქვენს „ლანიოკს“. ერთმა ჩვენგანმა, მეისტრშიკმა, რომელსაც ისეთი ზორბა მუშტები აქვს, მთა „ბელა ჰორა“ * გეგონება, თავი გამოიდო, ახლავე ჩაერევი ცეკვაში და ცხვირწინ ჩამოვართმევ გოგოს ერთ რომელიმე ამ მაწანწალასო. გოგოები კი ისეთი იყვნენ, თვალს ვერ მოაშორებდი — გათქვირებული, ზორბა საჯდომიანი, ხორცსავსენი, ფართო ფოფინა თვალებიანი. იმის მიხედვით, ეს მადიარელი გაიძვერები როგორ უზელდნენ ძუძუებს, შეატყობდით, რომ ამ გოგოებს ბურთებივით სავსე გულმკერდი ჰქონდათ, და ეს ძალიან სიამოვნებდათ: კარგად ერკვეოდნენ ის ძაღლიშვილები, რაშიც იყო გემო. ჰოდა, ჩვენი მეისტრშიკი, მაშასადამე, ჩახტა წრეში, თვალი დაადგა ჰონვედთან მოცეკვაე ერთ ყველაზე კარგ გოგოს და მოინდომა მისი წართმევა. კავალერმა რაღაცის ბურტყუნი დაიწყო, მეინსტრშიკმა ბევრი აღარ დააცალა და ერთი ისე მაგრად ჩააფარა სახეში, რომ იქვე გადააყირავა. ჩვენც უმალ ხელი დავაღლეთ ჩვენს ქამრებს, დავიხვიეთ ხელზე, რომ ხიშტები არ დაგვკარგოდა და მადიარებს დავერიეთ. ბიჭებს გავძახე: „ბრალიანსა და უბრალოს — განუკითხავად და განურჩეელად ყველას დასცხეთ-დაარტყით!“ ყველაფერი ერთმანეთში აირია. მადიარებმა ფანჯრებს მიაშურეს, და რომელი რომელს ასწრებდა. ჩვენ ხელს ვაღლებდით ფეხებში, უკან დარბაზში ვათრევდით; და აბა გიყვარდეს, ვუთაქეთ და ვუთაქეთ. საქმეში ის-იყო ჩაერივნენ მამასახლისი და ჟანდარმი, მაგრამ, მათაც ვაგემეთ ჩვენი მუშტები. მიკიტანსაც მოხვდა, რადგან გინება დაგვიწყო გერმანულად, მთელი საღამოს წვეულება ჩაგვიფუშეთო. მერე გამოვუდექით გაქცეულებს სოფელში დასაჭერად. ერთი მათი უნტერი სოფლის ბოლოში მემამულის სახლის სხვენზე

[1] „ბატონო, ბატონო, ბატონო მოსამართლეე!“ ან „გოგონებო, გოგონებო სოფლის გოგონებო“ (უნგრ.)

ვიპოვეთ თივაში თავშერგული. გასცა იგი მისმა გოგომ, სამიკიტნოში სხვა გოგოსთან იცეკვა და ასე მოუხდებაო. ამ ეოგოს ჩვენი მეისტრშიკი თვალში მოუვიდა და ერთად წავიდნენ კირალიჰიდესკენ. გზაში თივის ზვინები დგას. ერთ ასეთ ზვინზე აათრია ჩვენი მეისტრშიკი, მერე ხუთი კრონი მოთხოვა, მან კი ერთი მაგარი სილა უთავაზა ყურის ძირში. მეისტრშიკი ზედ ბანაკთან წაპოგვეწია და გვითხრა, წინათ მადიარი გოგოები ვნებიანები მეგონა, ეს კი მორივით იწვა და მხოლოდ რაღაცას შეუსვენებლივ ბურტყუნებდაო.

— ერთი სიტყვით, მადიარები ნაყარ-ნუყარი ხალხია, — დაასრულა თავისი თხრობა ძველმა მესანგრემ ვოდიჩკამ.

შეეიკმა შენიშნა:

— ზოგიერთი მადიარის რა ბრალია, რომ იგი მადიარია.

— როგორ თუ რა ბრალია? — გაცხარდა ვოდიჩკა, — თვითეული მათგანია ამაში დამნაშავე, — შენც თქვი რაღა! ერთი სინჯე ისეთ ხათაბალაში გაება, როგორშიც მე გავები პირველ დღეს, კურსებზე რომ მივედი. იმ დღესვე, ნასადილევს ერთად ჯოგვივით სკოლაში შეგვრეკეს. იქ რომელიღაც ბოთემ დაგვიწყო დაფაზე ბლინდაჟის ხაზვა და ახსნა, რას წარმოადგენს ბლინდაჟი, როგორ კეთდება ფუძე და რანაირად ხდება გაზომვა. „ხვალ დილით კი, გეეუბნება, ვისაც ყველაფერი ეს დახაზული არ ექნება, როგორც მე აგიხსენით, ბრძანებას გავცემ გათოკონ და ჩასვანო“.—ეშმაკმა დალახვროს, გავიფიქრე ჩემთვის, კაცმა რომ თქვას რისთვის ჩავეწერე ამ კურსებზე: იმისთვის, რომ ფრონტიდან გავიპარო თუ საღამოობით მოსწავლესავით ფანქრით ვხაზო რვეულში“. ისეთი ჯავრი მომივიდა, ჩემო ძმაო, რომ აღარ ვიცოდი, რა მექნა. იმ ჩვენი ყეყეჩი მასწავლებლის ცოტა რიდი რომ არ მქონოდა, სიბრაზისგან ყველაფერს ნაკუწ-ნაკუწად ვაქცევდი. საღამოს ყავას არც დაველოდე და საჩქაროდ კირილიჰიდეში წავედი, ბრაზმორეული მარტო იმაზე ვფიქრობდი, ქალაქში სადმე მიმეგნო წყნარი სამიკიტნოსთვის, ამეტეხა იქ აყალმაყალი, ვინმესთვის ერთი მაგრად მეთხლიშა სიფათში და გულმოოხებული შინ დავბრუნებულიყავი. მაგრამ კაცი ბჭობდა, ღმერთი იცინოდაო, ნათქვამია. მივაგენი, როგორც იქნა მდინარის პირას ბაღებით გარშემორტყმულ შესაფერის სამიკიტნოს: სიწყნარეა ისეთი, როგორც სამლოცველოში, ყველაფერი თითქოს წინასწარ მომზადებული იყო სკანდალისთვის. იქ მხოლოდ ორნი ისხდნენ, ერთმანეთს მადიარულად ელაპარაკებოდნენ. ამან უარესად გამაღიზიანა და ჩემი ჩხუბი ისე სწრაფად და საფუძვლიანად ჩატარდა, რომ არც კი მოველოდი. მაგრამ ნამთვრალევმა ვერ შევნიშნე, რომ გვერდით კიდევ ერთი ასეთი სამიკიტნო იყო, სადაც, სანამ მე ჩხუბისთვის ძალ-ღონეს ვიკ-

რებდი, თავი მოეყარათ რვა ჰუსარს. და როგორც კი იმ ორს, ჩემს სამიკიტნოში რომ ისხდნენ, ყბების ლაწალუწი ავუტეხე, ეს ჰუსარები თავს წამომადგნენ. იმ გაიძვერებმა, ჩემო ძმაო, ისე დამიზილეს გვერდები და იმდენი მარბენინეს ბაღებში, რომ დილამდე ვერ მივაღწიე ყაზარმამდე. როგორც კი ძლიეძლივობით მივლასლასდი ჩემ საწოლამდე, უმალ ლაზარეთში ვადამგზავნეს. ტყუილი ვუთხარი, აგურის ორმოში ჩავარდი-მეთქი, და მთელი კვირა სველ ზეწარში მხვევდნენ, სანამ წელის ტკივილმა არ გამიარა. არ გისურვებდი, ჩემო ძმობილო, ასეთი უკეთურების ხელში ჩავარდნას. განა ისინი ადამიანები არიან? პირუტყვები არიან, და მეტი არაფერი!

— რასაც გაასესხებ, იმასვე ჩაისესხებ, — უთხრა შვეიკმა. — რა გასაკვირია, რომ ისინი გაბრაზდნენ, რაკი დასჭირდათ თავი მიენებებინათ ქეიფისთვის — პური და ღვინო მიატოვეს სუფრაზე, შერ გამოგიდგნენ და სიბნელეში გსდიეს ბაღებში. მათ იქვე, სამიკიტნოში ერთი მაგრად უნდა დაეყეყეთ და ცერე გარეთ გამოეგდეთ. ზედ იმ სუფრასთან რომ გაესწორებინათ შენთან ანგარიში, მათთვისაც უკეთესი იქნებოდა და შენთვისაც. მე ერთ ლიბენელ მიკიტანს პაროუბეკს ვიცნობდი. ერთხელ მის სამიკიტნოში ღვიის არყით გაილეშა ერთი მოხეტიალე მეთუნუქე — სლოვაკი და ლანძღვა-გინებას მოჰყვა, შენი არაყი ძალიან სუსტია, უთუოდ წყალს ურევო. „მე რომ ასი წელიწადი, — მავთულით სათაგურები მეკეთებინა და მთელი ჩემი შემოსავალით შენი ღვიის არაყი მეყიდნა, მერე ერთბაშად დამელია, ამის შემდეგაც გაჭიმულ თოკზე გავივლიდი, თან შენ, პაროუბეკ, ხელში ატაცებულს გაგატარებდი — თქვა მან. ამას ისიც დაუმატა, რომ პაროუბეკი ადიდაში გამოყვანილი, იშკილბაზი ვინმეაო. ეს კი ვეღარ მოითმინა პაროუბეკმა, ხელი დაავლო მეთუნუქეს, სათაგურები და მავთულები თავში ჩასცხო, მერე ქუჩაში გაიგდო, იქ ხელკეტი უბაგუნა, არ მოეშვა და სდია ინვალიდთა მოედნამდე, მაგრამ აქაც აღარ დაანება თავი, უარესად გამხეცდა, გადაარბენინა მოედანი კარლინიდან ჟიჟკოვამდე, იქიდან ჟიდოვსკი პეჩიზე* გააძუნძულა და მალეშიცეში ამოაყოფინა თავი, სადაც, ბოლოს ზურგზე გადაამტვრია ხელკეტი და მხოლოდ ამის შემდეგ დაბრუნდა შინ ლიბენში. ძალიან კარგი. მაგრამ ამ გაცხარებულ გულზე სულ გადაავიწყდა, რომ სამიკიტნოში მოქეიფე ხალხი დატოვა და, ვინ იცის, უპატრონო სამიკიტნოში ახლა როგორ პარპაშობენო. ამაში თავისი თვალით დარწმუნდა, როცა, როგორც იქნა, მიაღწია თავის სამიკიტნოს. რკინის თახჩაფუჩი ნახევრად ჩამოშვებული იყო სამიკიტნოში, იქვე იდგა ორი პოლიციელი, რომლებიც თვითონაც მაგრად გამომთვრალიყვნენ, როცა სამიკიტნოში წესრიგს ამყარებდნენ. ნახევარი

სამიკიტნო უკვე გაჩანაგებული იყო, ქუჩაში გამოწრეტილი რომის კასრი ეგდო, დახლის ქვეშ პაროუბეკმა ღვინით გახეთქილი ორი კაცი აღმოაჩინა, რომლებიც პოლიციელებმა ვერ შენიშნეს. პაროუბეკმა ისინი გამოათრია, მათ განაცხადეს — ორ-ორ კრეიცერს გადავიხდითო, რადგან მეტი არაყი არ დაგვილევიაო... აი ასე ისჯება სიფიცხე. ეს ისეთნაირადვე ხდება, როგორც ომშია ხოლმე: მტერს ჯერ ჩვენ გამოვუდგებით და მივსდევთ და მივსდევთ, მერე კი თვითონ ველარ ვასწრებთ უკან გამოქცევას...

— მე იმ გაიძვერების სახე კარგად დავიმახსოვრე, — ჩაილაპარაკა ვოდიჩკამ. — ერთი სადმე ვიწრობში წავაწყდებოდე რომელიმე იმ ჰუსარს, და დედის ღმერთს ვუტირებ. თუ ჩვენ, მესანგრეებს, თავში რამე ჩაგვიჯდა, იცი, რა ვართ, — პირდაპირ მხეცები. ჩვენ, ჩემო ძმაო, ვიღაც სათადარიგო მოლაშქრეები არ გეგონოთ. ფრონტზე პერემიშლთან ჩვენ ერთი კაპიტანი ეტცბახერი გვყავდა, დიდი წუწურაქი ვინმე, რომლის ბადალს, სანთლით რომ ეძებო, ვერსად იპოვი. და იგი, ჩემო ძმაო, ისე მასხრად გვიგდებდა, რომ ერთი მესანგრე ჩვენი ასეულიდან, ბიტერლიხი, — გერმანელი, მაგრამ საუცხოო ყმაწვილი,— თვითმკვლელობამდე მიიყვანა. და აი, გადავწყვიტეთ, როგორც კი რუსები სროლას აგვიტეხავენ, ჩვენს კაპიტანს ეტცბახერს ბოლო მოვუღოთ. და მართლაც როგორც კი რუსებმა სროლა დაიწყეს, ჩვენ ხუთიოდე ტყვია მივარჭვეთ ზურგში. კატასავით გამძლე იყო ის საზიზღარი,—კიდევ ორი ტყვიის დახლა მოგვიხდა, რომ სამუდამოდ დადუმებულიყო და მერე არაფერი მოპყოლოდა ყოველივე ამას. მხოლოდ რაღაცის წაბუტბუტება მოასწრო — პირდაპირ სიცილით მოკვდებოდა კაცი. — ვოდიჩკამ გაიცინა. — ფრონტზე ასეთი ამბები ყოველდღე ხდება. ერთმა ჩემმა ამხანაგმა (ახლა იგიც ჩვენთანაა მესანგრედ) მიამბო, როცა ბელგრადში ვიყავი ქვეითა ჯარში, ჩვენმა ასეულმა შეტევის დროს საკუთარი ობერ-ლეიტენანტი საიქიოს გაისტუმრაო, — იგიც, თურმე, დიდი წუნკალი ვინმე იყო: ლაშქრობის დროს საკუთარი ხელით ორი ჯარისკაცი მოუკლავს, რომლებიც ღონემიხდილნი გზაში დავარდნილან და ნაბიჯს ველარ დგამდნენ. ჰოდა, როცა ამ ობერ-ლეიტენანტმა დაინახა, რომ მისი აღსასრული დადგა, უცბად უკან დახევის სიგნალი მისცა. ჯარისკაცებს ამაზე თურმე სიცილი აუტყდათ.

ასეთი თავშესაქცევი და ჭკუისასწავლი მასლაათით შეეიკი და ვოდიჩკა ბოლოს შაპრონის ქუჩაზე გავიდნენ და № 16 სახლს მიადგნენ, სადაც პან კაკონის რკინეულობის მაღაზია იპოვეს.

— უკეთესი იქნება შენ აქ, სადარბაზო კარებთან დამელოდო, — უთხრა შვეიკმა ვოდიჩკას. — მე სწრაფად ავირბენ მეორე სართულ-

ზე, გადავცემ წერილს, მივიღებ პასუხს და უმალ უკანვე ჩამოვირ-ბენ.

— რას ამბობ? შენ მარტოკა გაკიშვა?—გაიკვირვა ვოდიჩკამ. — ცუდად იცნობ, ძმობილო, მადიარებს, რამდენჯერ მითქვამს შენთ-ვის: მათთან ფრთხილად უნდა იყო. ერთს რომ ვლეწავ ყურის ძირში...

— გამიგონე, ვოდიჩკა, — სერიოზულად უთხრა შვეიკმა, — საქმე მადიარს კი არ ეხება, არამედ მის ცოლს. მე და შენ ჩეხ კელნერშას-თან რომ ვისხედით, ხომ აგიხსენი, რომ წერილი მიმაქვს ჩემი ობერ-ლეიტენანტისაგან და რომ ეს დიდი საიდუმლოებაა. ჩემმა ობერ-ლე-იტენანტმა მამის სული დამაფიცა, ამის შესახებ სიტყვა არავისთან დაგცდესო. შენი კელნერშაც ხომ დაგვეთანხმა, რომ ეს დიდი საი-დუმლოებაა. კაციშვილმა არ უნდა იცოდეს, რომ პან ობერ-ლეიტენანტს მიწერ-მოწერა აქვს ქმრიან ქალთან. შენც ხომ მეთანხ-მებოდი ამაში და კვერს მიკრავდი. მე ყველაფერი დაწვრილებით ჩა-გიკაკლეთ, როგორ და რა; ისიც გითხარით, რომ ზუსტად უნდა შე-ასრულო ჩემი ობერ-ლეიტენანტის ბრძანება-მეთქი, შენ კი ახლა დაგიჟინია, გინდა არ გინდა, შენთან ერთად ზემოთ უნდა წამოვიდეო.

— კარგად ვერ მიცნობ, შვეიკ, — ასევე სერიოზულად უპასუხა ძველმა მესანგრემ ვოდიჩკამ, — რაკი ერთხელ გითხარი გაგაცილებ-მეთქი, მაშასადამე, გაგაცილებ, ჩემი სიტყვა — სიტყვაა. ორი კაცის ერთად სიარული უფრო საიმედოა.

— არა, მე შენ გეუბნები, ვოდიჩკა, რომ ეს მაგრე არაა, რო-გორც შენ ამბობ. ამაში ახლავე დაგარწმუნებ. ნეკლანოვის ქუჩა ხომ იცი, ვიშეჰრადში? ზეინკალ ვობორნიკს იქ სახელოსნო ჰქონდა. იგი იშვიათი გულკეთილი ადამიანი იყო, და აი, ერთ მშვენიერ დღეს, ნაქეიფარი რომ დაბრუნდა შინ, თან ერთი ვინმე ბედოვლათი მო-ქეიფე მოიყვანა. ამის შემდეგ იგი დიდხანს იწვა თავგატეხილი, ცო-ლი ყოველდღე ჭრილობას უხვევდა და სულ ერთსა და იმავეს უმე-ორებდა: „აი, ხომ ხედავ, ტონიჩკ, შენ მარტო რომ მოსულიყავი, პატარას წავიკინკლავებდით და ისე აღარ გამწყავდებოდა საქმე, რომ შენთვის თავში სასწორი მეთხლიშაო“. მერე, როცა დრო გავიდა და მეტყველება დაუბრუნდა იმ ვობორნიკს, ცოლს უთხრა: მართა-ლი ხარ გენაცვალე, აწი, როცა ნასვამი დავბრუნდები, სხვა ვინმეს უკვე აღარ ავიკიდებო“.

— ესღა გვაკლია, — გაჯავრდა ვოდიჩკა, — მადიარმა გვთხლი-შოს კიდეც რამე თავში. ვეცემი ყრონტში და მეორე სართულიდან გადმოვუშვებ გორავ-გორაობით. მადიარებთან, ამ ნაყარ-ნუყარ

ხალხთან გადამწყვეტი ზომების მიღებაა საჭირო. მათთან ლოლიავი დროს დაკარგვაა.

— ვოდიჩკა, შენ ხომ ნასვამი ხარ. მე კიდევ ნახევარი ბოთლით მეტი დაველიე. გაიგე, ადამიანო, რომ ჩვენ ყოველგვარ სკანდალს უნდა მოვერიდოთ. ამაზე მე მომთხოვენ პასუხს. საქმე ხომ ქალს ეხება.

— იმ ქალსაც ვტკიცავ ერთი სახეში, ჩემთვის ყველაფერი სულ ერთია. კარგად ვერ იცნობ ძველ ვოდიჩკას, ჩემო ძმაო. ერთხელ ზაბეპლიცეში, „რუქოვი ოსტროვში“ ერთმა მაიმახმა დედაკაცმა არ მოისურვა ჩემთან ცეკვა, — სიფათი გაქვს გასივებულიო. მართლაც სახე მაგრად მქონდა შეშუპებული, რადგან აქ პირდაპირ ჰოსტივარეიდან მოვედი, სადაც მთელი ღამე ცეკვაში გავატარე, მაგრამ შენ თვითონ გასინჯე, განა შემეძლო ასეთი შეურაცხყოფის ატანა ამ კახპისგან? „ინებეთ თქვენც, ვეუბნები, ღრმად პატივცემულო ქალიშვილო, რომ გული არ დაგწყდეთ-მეთქი“. და ერთი ისეთი სილა ვაჭამე, რომ ბაღში მაგიდა გადაატრიალა, რომელსაც უსხდნენ მისი მამიკო, დედიკო და ორი პატარა ძმიკო, — ყველაფერი ყირამალა დავაყენე. მე ფეხებზე მეკიდა მთელი ეს „რუქოვი ოსტროვი“. იქ იყვნენ ვრშოვიცელი ნაცნობი ბიჭები, ისინი დამეხმარენ. მივბეგვმოებეგვეთ ხუთიოდე ოჯახი თავისი წვრილ ბავშვებიანად. მათი წივილ-კივილი, ალბათ, მიხლეშიც ისმოდა. მერე გაზეთებშიც დაბეჭდეს: „ამა და ამ ბაღში, ქალაქგარეთ სეირნობის დროს, რომელიც ამა და ამ საქველმოქმედო წრე მოაწყო, ამა და ამ ქალაქის ესა და ეს მკვიდრნი...“ ჰოდა გეუბნები, როგორც მე მიშველეს, მეც ასევე ყოველთვის მზად ვარ ვუშველო ჩემს ამხანაგს, რაკი საქმე აქამდე მიდის. ერთი ნაბიჯითაც არ მოგცილდები, რაც არ უნდა მოხდეს. ცუდად იცნობ შენ, ჩემო ძმაო, მადიარებს. არ მოველოდი, რომ შენ მოინდომებდი თავიდან ჩემს მოცილებას. რამდენი წელიწადია ერთმანეთი არ გვინახავს, ახლა შევხვდით, და ისიც რა ვითარებაში...

— კეთილი, წავიდეთ ერთად, — ხმადაბლა უთხრა შეეიკმა, — ოღონდ ფრთხილად ვიმოქმედოთ, რომ რაიმე ხათაბალაში არ გავებათ.

— ნუ გეშინია, ამხანაგო, — ჩუმად ჩაულაპარაკა ვოდიჩკამ, როცა კიბეს უახლოვდებოდნენ. — ერთს რომ ვლეწავ ყურის ძირში... — და კიდევ უფრო ხმადაბლა დაუმატა: — აი, ნახავ, იმ დრუნჩიან მადიარს, რა სწრაფად გავუსწორდები.

სადარბაზო კარებში ვინმე რომ ყოფილიყო ჩეხურის მცოდნე, ჯერ კიდევ კიბეზე გაიგონებდა ვოდიჩკას მიერ საკმაოდ ხმამაღლა

წარმოთქმულ დევიზს: „ცუდად იცნობ, ჩემო ძმაო, მადიარებს!“ — დევიზს, რომელიც იშვა მდინარე ლიტავაზე გადამდგარ ერთ წყნარ სამიკიტნოში; ეს სამიკიტნო ჩაფლული იყო ბორცვებით შემოსალტულ განთქმულ კირალიჰიდეს ბაღებში. ჯარისკაცები ყოველთვის წყევლითა და კრულვით მოიხსენიებენ კირალიჰიდეს, სადაც მათ მსოფლიო ომის დაწყებამდე და ომის დროსაც მთელ დღეებს თეორიულად ამზადებდნენ პრაქტიკული ხოცვა-ელეტისთვის.

შვეიკი და ვოდიჩკა ბატონ კაკონის ბინის კარებთან იდგნენ; სანამ ზარს დარეკდა, შვეიკმა შენიშნა:

— თუ გაგიგონია როდისმე, ვოდიჩკ, ასეთი ანდაზა — სიფრთხილეს თავი არ სტკივაო?

— მაგი მე არ მეხება, — უპასუხა ვოდიჩკამ. — იცოდე, საშუალება არ მისცე, პირი დააბჩინოს და ლაქლაქს მოჰყვეს...

— მეც მაინცადამაინც ბევრი არაფერი მაქვს სალაპარაკო ვისმესთან, ჩემო ვოდიჩკა.

შვეიკმა დარეკა და ვოდიჩკამ ხმამაღლა წარმოთქვა:

— აინ, ცვაი, და კისრისტეხით დაგორდება კიბეზე.

გაიღო კარი, გამოჩნდა მსახური გოგო და უნგრულად იკითხა:

— რა გნებავთ?

— Nem tudom [1], — ათვალისწუნებით თქვა ვოდიჩკამ. — ისწავლე, გოგო, ჩეხურად ლაპარაკი.

— Uerstehen sie deutsch? [2] — ჰკითხა შვეიკმა.

— A pischen [3].

— Also, sagen sie der Frau, ich will die Frau sprechen, sagen sie, dass ein Brief ist von einem Herr, draussen in koug[4].

— მე შენი საქციელი მაკვირვებს, — უთხრა ვოდიჩკამ შვეიკს, როცა წინოთახში შედიოდნენ. — როგორ უყადრებ თავს და ვიღაც ტუტუცს ემუსაიფები?

დახურეს კარები და წინოთახში გაჩერდნენ. შვეიკმა შენიშნა:

— ბინა კარგადაა მოწყობილი. საკიდთან ორი ქოლგაც კი არის, აი იმ იესო ქრისტეს ხატსაც არა უშავს რა.

იმ ოთახიდან, საიდანაც კოზეებისა და მათლაფების ხმაური ისმოდა, ისევ გამოვიდა მსახური გოგო და შვეიკს უთხრა:

---

[1] არ მესმის (უნგრ.)

[2] გერმანული იცით (გერმ.)

[3] ცოტათი (გერმ.)

[4] უთხარით ქალბატონს, რომ მასთან ლაპარაკი მინდა. უთხარით რომ მისთვის დერეფანში არის წერილი ერთი ბატონისგან (გერმ. შეცდომებით)

— Frau ist gesagt, dass sie hat kan Zeit, wenn was ist, dass mir geben und sagen[1].

— Also, — დიდის ამბით წარმოთქვა შვეიკმა, — der Frau ein Brief, aber halten Küschen[2].

შვეიკმა ამოიღო პორუჩიკ ლუკაშის წერილი.

— Ich, — თქვა მან და თითი მიიდო მკერდზე, — Antwort warten hier in die Vorzimmer[3].

— რად არ დაჯდები, რას უყურებ, — უთხრა შვეიკს ვოდიჩკამ, რომელიც უკვე კედელთან დამჯდარიყო. — აი, სკამი. ისე დგახარ. თითქოს მათხოვარი იყო. თავს ნუ იმცირებ ამ მადიარის წინაშე. მასთან დავიდარაბა მოგვიხდება, აი ნახავ, მაგრამ ერთს რომ ვლეწავ ყურის ძირში...

— ერთი ეს მითხარი, — ისევ მიმართა მან შვეიკს ცოტა ხნის დუმილის შემდეგ, — სად გისწავლია ეგ გერმანული?

— თვითნასწავლი ვარ, — უპასუხა შვეიკმა.

ისევ დუმილი ჩამოვარდა. უეცრად იმ ოთახიდან, სადაც მსახურმა წერილი შეიტანა, საშინელი ყვირილი და ხმაური მოისმა. რაღაც მძიმე მთელი ძალ-ღონით დაანარცხეს იატაკზე, მერე ამას მოჰყვა ხმაური — ამსხვრევდნენ და ამტვრევდნენ მათლაფებს, ჭიქებს, შიგა და შიგ გაისმოდა ღრიალი: „Baszom az atyat, baszom a világot![4]"

უცბად გაიღო კარები და წინკარში გამოვარდა შუა ხნის მამაკაცი, — კისერზე ხელსახოცი ჰქონდა შეკრული და ხელში წერილს ატრიალებდა.

ძველი მესანგრე უფრო ახლო იჯდა, და განრისხებული მამაკაცი პირველად მას მივარდა:

— Was soll das heissen, wo ist der verfluchter kerl, welcher dieses Brief gebracht hat?[5]

— აბა, აბა, ცოტა დაუკელი, — თქვა ვოდიჩკამ და სკამიდან წამოდგა. — ნამეტანი თავს ნუ გაგივა, თორემ აქედან გისვრი. თუ გინ-

---

1 ქალბატონმა თქვა, დრო არა მაქვსო; თუ რამე საქმე გაქვთ, მითხარით და გადავცემ (გერმ. შეცდომებით)

2 წერილია ქალბატონის სახელზე, მაგრამ ენას კბილი დააჭირეთ (გერმ., შეცდომებით)

3 მე დაველოდები პასუხს აქ. წინკარში (გერმ.).

4 უნგრული ქუჩური გინება.

5 რას ნიშნავს ყოველივე ეს? სად არის ის წყეული გაიძვერა, რომელმაც წერილი მოიტანა? (გერმ.)

და იცოდე, წერილი ვინ მოიტანა, აგერ ამხანაგს ჰკითხე. ოღონდ წესიერად ელაპარაკე, თორემ გაჩვენებ სეირს.

ახლა შვეიკის ჯერი დადგა დარწმუნებულიყო გაცოფებული, კისერზე ხელსახოც შემოკრული მამაკაცის მკვერმეტყველებაში, რომელიც სიბრაზისგან სიტყვებს ერთმანეთში ურევდა და გაჰყვიროდა, ჩვენ ახლახან დავსხედით სადილადო.

— ჩვენ გავიგონეთ, რომ თქვენ სადილობდით, — კვერი დაუკრა დამტვრეულ გერმანულ ენაზე შვეიკმა და ჩეხურად დასძინა: — ჩვენც გავიფიქრეთ, რომ ტყუილუბრალოდ გაწყვეტინებთ სადილობას.

— თავს ნუ იმდაბლებ, — უთხრა ვოდიჩკამ.

გააფთრებული მამაკაცი, რომელიც ისე მაგრად იქნევდა ხელებს, რომ ხელსახოცი ერთი წვერითღა იყო ჩამოკიდებული მის საყელოზე, განაგრძობდა: მე ჯერ მეგონა, რომ წერილში ლაპარაკი იყო ჩემი მეუღლის კუთვნილ ამ სახლში სამხედრო ნაწილებისთვის ბინის გამოყოფის შესახებ.

— აქ მართლაც ჯარის საკმაოდ დიდი რაოდენობა მოთავსდებოდა, — თქვა შვეიკმა. — მაგრამ წერილში ამაზე არაა ლაპარაკი, რაშიდაც, ალბათ, უკვე დარწმუნდით.

მამაკაცმა თავში იტაცა ხელი და ჩივილსა და საყვედურებს მოჰ-

ყვა. მეც ვიყავი სათადარიგო ლეიტენანტი და ახლაც სიამოვნებით ვიმსახურებდი, თირკმელები რომ არ მტკიოდესო. ჩემს დროს ოფიცრობა არ იყო ასე აშვებული და ვერავინ გაბედავდა სხვისი ოჯახის აწიოკებასო. ამ წერილს პოლკის შტაბში გავგზავნი, სამხედრო სამინისტროში, გაზეთებში გამოვაქვეყნებო...

— ბატონო ჩემო,—ღირსებით წარმოთქვა შვეიკმა, — ეგ წერილი მე დავწერე. Ich geschrieben, kein oberleutnant[1]. ხელმოწერა მიყენებულია. Unterschrift, Name falsch[2]. მე თქვენი ცოლი ძალიან მომწონს. Ich liebe Ihre Frau[3] მე თქვენი ცოლი გაგიყვებით მიყვარს; როგორც ამბობდა ვრხლიცკი* kapitales Frau[4].

ის-იყო გააფთრებული მამაკაცი უნდა სცემოდა მშვიდად და არხეინად მდგარ შვეიკს, მაგრამ ძველმა მესანგრემ ვოდიჩკამ, რომელიც თვალყურს ადევნებდა კაკონის თვითეულ მოძრაობას, ფეხი დაუდო მას, ხელიდან გამოგლიჯა წერილი, რომელსაც კაკონი განუწყვეტლივ აფრიალებდა, ჩაიდო ჯიბეში, და ლამაზი ცოლის ბედშავმა მეუღლემ გონს მოსვლაც ვერ მოასწრო, ვოდიჩკამ იგი ამოიღლიავა, მიათრია კარებთან, თავისუფალი ცალი ხელით გამოაღო კარი, და... რაღაცა გრიალ-გრიალით დაგორდა კიბეზე.

ყველაფერი ეს სწრაფად მოხდა, როგორც ზღაპარში ხდება ხოლმე, როცა ეშმაკი მოაკითხავს ადამიანს. გაცოფებული მამაკაცისგან მარტო ხელსახოცილა დარჩა. შვეიკმა აიღო ის და ზრდილობიანად ოთახის კარებზე მიაკაკუნა, საიდანაც ხუთი წუთის წინ ბატონი კაკონი გამოვარდა და საიდანაც ახლა ქალის ქვითინი ისმოდა.

— მოგიტანეთ ხელსახოცი,—თავაზიანად უთხრა შვეიკმა დივანზე დამხობილ მტირალ ქალს. — კინაღამ ფეხი დაადგეს... კარგად ბრძანდებოდეთ!

ქუსლი ქუსლს შემოჰკრა, სამხედრო სალამი მისცა და გავიდა. კიბეზე რაიმე ბრძოლის ნიშანი არ ჩანდა. ალბათ, ყველაფერმა ისე ჩაიარა, როგორც ვოდიჩკა ფიქრობდა, — სუფთად და შეუმჩნევლად. მხოლოდ, როცა ჭიშკართან მივიდა, შვეიკმა დაინახა დაგლეჯილი გახამებული საყელო. ეტყობოდა, სასომიხდილი კაკონი ჭიშკარს ჩაებღაუჭა, რომ ქუჩაში არ გაეთრია მოძალადეს, და აქ გათამაშდა ამ ტრაგედიის უკანასკნელი აქტი.

---

[1] მე დავწერე და არა ობერ-ლეიტენანტმა. (გერმ.)
[2] ხელმოწერა, გვარი ყალბია (გერმ.)
[3] მე მიყვარს თქვენი ცოლი (გერმ.)
[4] კაპიტალური ქალია (გერმ.)

სამაგიეროდ, ქუჩაში დიდი აურზაური იდგა. კაკონი მეზობელი სახლის ეზოში შეეთრიათ და იქ წყლით აბრუნებდნენ, შუა ქუჩაში კი ძველი მესანგრე ვოდიჩკა ლომივით ებრძოდა რამდენიმე ქვეითა და ცხენოსან ჰონვედს, რომლებიც თავის თანამემამულეს გამოქომაგებოდნენ. იგი მარჯვედ იგერიებდა მტერს ქამარზე დამაგრებული ხიშტით. ვოდიჩკა მარტო არ იყო. მის მხარდამხარ იბრძოდა სხვადასხვა პოლკების რამდენიმე ჩეხი ჯარისკაცი, რომლებიც ამ დროს გზად მიდიოდნენ.

შვეიკს, როგორც თვითონ მერმის მოგვითხრობდა, არ ახსოვს, როგორ მოხვდა შუაგულ ბრძოლაში და მის ხელში როგორ აღმოჩნდა ერთ-ერთი დოყლაპია მაყურებლის ჯოხი (რაიმე იარაღი შვეიკს არ ჰქონდა).

ჩხუბი საკმაოდ დიდხანს გაგრძელდა, მაგრამ ყოველივე მშვენიერს დასასრული აქვს. მოვიდა პოლიციელთა პატრული და ყველა წაიყვანა.

ვოდიჩკას გვერდით მიაბიჯებდა შვეიკი, თან ჯოხი მიჰქონდა.

პატრულის უფროსმა ეს ჯოხი corpus delicti [1] მიიჩნია.

შვეიკს თოფივით გაედო მხარზე ჯოხი და კმაყოფილი სახით მიაბიჯებდა.

ძველი მესანგრე ვოდიჩკა ბოღმამორეული მთელი გზა ხმას არ იღებდა. მხოლოდ, როცა შვეიკთან ერთად ნაობახტში შედიოდა, ჩაფიქრებულად უთხრა:

— ხომ გეუბნებოდი, მადიარებს ცუდად იცნობ-მეთქი!

---

[1] დანაშაულის ნივთიერი საბუთი.

თავი IV

ახალი ტანჯვა-წამებანი

პოლკოვნიკი შრედერი სიამოვნებით ათვალიერებდა პორუჩიკ ლუკაშის გაფითრებულ სახესა და ჩალურჯებულ თვალებს. პორუჩიკი შეცბუნებული იყო, და პოლკოვნიკს კი არ უყურებდა, მალულად ათვალიერებდა ჯარების ბანაკში განლაგების გეგმას, თითქოს მას გულმოდგინედ ეცნობოდა. ეს გეგმა ერთადერთი სამკაული იყო პოლკოვნიკის კაბინეტში. მაგიდაზე პოლკოვნიკის წინაშე რამდენიმე გაზეთი იდო. მათში ლურჯი ფანქრით შემოხაზული იყო სტატიები, რომლებსაც მან ერთხელ კიდევ გადაავლო თვალი, მერე პორუჩიკ ლუკაშს მიუბრუნდა და წარმოთქვა:

— მაშასადამე, თქვენთვის უკვე ცნობილია, რომ თქვენი დენშჩიკი შვეიკი დაპატიმრებულია და მისი საქმე, უნდა ვიფიქროთ, დივიზიის სასამართლოს გადაეცემა?

— დიახ, პანე პოლკოვნიკ.

— მაგრამ ამით, რა თქმა უნდა, საკითხი არ ამოიწურება, — მრავალმნიშვნელოვნად თქვა პოლკოვნიკმა და კიდევ უფრო სიამოვ-

ნებით დაიცქერდა პორუჩიკ ლუკაშის ფერდაკარგულ სახეს. — აქაური საზოგადოებრიობა აფორიაქებულია თქვენს დენშჩიკ შვეიკთან დაკავშირებული ინციდენტით, და მთელი ეს ამბავი თქვენს სახელსაც უკავშირდება, პანე პორუჩიკ. დივიზიის შტაბიდან ჩვენთან მასალა შემოვიდა ამ საქმეზე. აი გაზეთები, რომლებიც სწერენ ამ ინციდენტზე. წამიკითხეთ ხმამაღლა.

პოლკოვნიკმა ლურჯი ფანქრით მონიშნული გაზეთები მიაწოდა ლუკაშს, და პორუჩიკი შეუდგა მონოტონურად კითხვას, თითქოს საბავშვო წიგნიდან კითხულობდა ფრაზას: „თაფლი გაცილებით უფრო ყუათიანი და ადვილი მოსანელებელია, ვიდრე შაქარიო“.

— „რაშია ჩვენი მომავლის გარანტია?“

— ამას „პესტერ-ლოიდი“* ათავსებს, არა? — ჰკითხა პოლკოვნიკმა.

— დიახ, პანე პოლკოვნიკ, — უპასუხა პორუჩიკმა ლუკაშმა და განაგრძო კითხვა:

„ომის წარმოება მოითხოვს ავსტრია-უნგრეთის მონარქიის მოსახლეობის ყველა ფენის ერთობლივ ძალთა დაძაბვას. თუ ჩვენ გვსურს ჩვენი სახელმწიფოს უშიშროების უზრუნველყოფა, საჭიროა ყველა ეროვნებამ ერთმანეთს შეუწყოს ხელი. ჩვენი მომავლის გარანტია მდგომარეობს ერთი ხალხის მეორე ხალხისადმი ნებაყოფლობით პატივისცემაში. ჩვენი სახელოვანი ჯარების თავგანწირული ბრძოლები ფრონტებზე, სადაც ისინი დაუღალავად წინ მიიწევენ, შეუძლებელი იქნებოდა, რომ ზურგი — ჩვენი სახელმოხვეჭილი ჯარების ეს სამეურნეო და პოლიტიკური ძარღვი — მჭიდროდ შედუღაბებული არ იყოს, ჩვენი ჯარების ზურგში საშუალება რომ მივცეთ თავი წამოჰყონ ცალკეულმა ელემენტებმა, რომლებიც სახელმწიფოს მთლიანობას არღვევენ, თავისი ბოროტგანზრახული აგიტაციით ძირს უთხრიან სახელმწიფოს ავტორიტეტს და ჩვენი მონარქიის ხალხთა სოლიდარობაში არევ-დარევა შეაქვთ. ამ ისტორიულ წუთებში ჩვენ არ შეგვიძლია მდუმარედ ვუცქიროთ ერთ მუჭა ადამიანებს, რომლებიც ადგილობრივი ნაციონალიზმის მოსაზრებიდან გამომდინარე ცდილობენ ხელი შეუშალონ ჩვენი იმპერიის ყველა ხალხთა ხელიხელჩაკიდებულ მუშაობასა და მხარიმხარ ბრძოლას, რათა სამაგიერო უზღონ იმ სინდისგარეცხილ ადამიანებს, რომლებიც სრულიად უმიზეზოდ თავს დაესხნენ ჩვენს სამშობლოს მის კულტურულ ფასეულობათა და ცივილიზაციის მიღწევათა გასაჩანაგებლად. ჩვენ არ შეგვიძლია დუმილით გვერდი ავუაროთ არაჯანსაღი ფსიქოლოგიის ადამიანთა საზიზღარ ქმედებას, რომელთა ერთადერთი მიზანია მოსპონ ჩვენი ხალხების ერთსულოვნება. ჩვენ

არაერთხელ მიგვიქცევია ჩვენი მკითხველის ყურადღება იმ გარემოებაზე, რომ სამხედრო ხელისუფლება ხშირად იძულებული ხდება უმკაცრეს ზომებს მიმართოს ჩეხური პოლკების ცალკეულ პირთა ასალაგმავად, რომლებიც უგულებელყოფენ რა პოლკის სახელოვან ტრადიციებს, თავისი უგნური და უწესო ქცევით ჩვენს მადიართა ქალაქებში ღვარძლს სთესენ და გაბოროტებას იწვევენ მთელი ჩეხი ხალხის მიმართ, რომელიც თავის მთლიანობაში, რა თქმა უნდა, არაფერში დამნაშვე არ არის და რომელიც ყოველთვის მტკიცედ იდგა ჩვენი იმპერიის ინტერესების სადარაჯოზე, რასაც ადასტურებს ის ფაქტი, რომ ჩეხებმა ჩვენ მოგვცეს მთელი რიგი გამოჩენილი სარდლები. გავიხსენოთ თუნდაც სახელოვანი ფელდმარშალი რადეცკი და ავსტრია-უნგრეთის სახელმწიფოს სხვა დამცველები! ამ ნათელი პიროვნებების პირისპირ დგას ერთი მუჭა გაიძვერებისა, ჩეხი ხალხის ნაძირალები, რომლებმაც ისარგებლეს მსოფლიო ომით და ჯარში მოხალისეებად გაძვრნენ ერთადერთი მიზნით — მონარქიის ხალხებში ჩამოაგდონ განხეთქილება და ამით დაიკმაყოფილონ თავისი ქვენა ინსტინქტები. ჩვენ უკვე მივაქციეთ მკითხველთა ყურადღება დებრეცინეში განლაგებულ N პოლკის მიერ ატეხილ აყალ-მაყალს. ამ პოლკის უწესო ქცევა განხილულ და განკიცხულ იქნა ბუდაპეშტის პარლამენტში, პოლკის, რომლის დროშა შემდეგში ფრონტზე... (გამოტოვებულია ცენზურის მიერ). ვის სინდისზეა ეს სამარცხვინო ამბები?... (გამოტოვებულია ცენზურის მიერ). ვინ ჩაითრია ამ წუმპეში ჩეხი სალდათები?... (გამოტოვებულია ცენზურის მიერ). თუ სადამდე მიდის უცხო ელემენტის თავხედობა ჩვენს მშობლიურ უნგრეთის მიწაზე, ამაზე თვალნათლივ ღაღადებს ქალაქ კირალიჰიდეში, უნგრეთის ლიტავას „კუნძულზე“ მომხდარი ინციდენტი. რომელ ეროვნებას ეკუთვნოდნენ მოსტ ნა ლიტავეს სამხედრო ბანაკის სალდათები, რომლებიც თავს დაესხნენ იქაურ ვაჭარს ბატონ გიულ კაკონის და უღმერთოდ სცემეს? ხელისუფლება ვალდებულია კვლევა-ძიება აწარმოოს ამ საქმეზე და გაირკვეს დივიზიის სარდლობაში, რომელმაც უთუოდ უკვე მოჰკიდა ხელი ამ საქმეს, რა როლს თამაშობდა უნგრეთის სამეფოს ქვეშევრდომთა ამ გაუგონარ დევნაში პორუჩიკი ლუკაში, რომლის სახელი ქალაქში დაკავშირებულია უკანასკნელი დღეების ამბებთან, როგორც ეს ჩვენმა ადგილობრივმა კორესპონდენტმა გვაცნობა. კორესპონდენტმა ამ საქმეზე დიდძალ მასალას მოუყარა თავი და ამ მასალის საფუძველზე დაგვიხატა მთელი ამბის პირდაპირ აღმაშფოთებელი სურათი. „პესტერ-ლოიდის“ მკითხველები უთუოდ ინტერესით ადევნებენ თვალყურს გამოძიების მსვლელობას, და ჩვენც

არ დავაყოვნებთ უფრო ახლო გავაცნოთ მათ ეს განსაკუთრებული მნიშვნელობის ამბები. ამასთანავე ჩვენ ველოდებით ოფიციალურ ცნობებს კირალიჰიდეში უნგრეთის მოსახლეობის მიმართ ჩადენილი ბოროტმოქმედების შესახებ. იმედი გვაქვს, ამ საქმეს თვითონ ბუდაპეშტის პარლამენტი მოკიდებს ხელს, რათა, ბოლოს და ბოლოს, ყველასთვის ცხადი გახდეს ის გარემოება, რომ უნგრეთის სამეფოზე გავლით ფრონტზე მიმავალ ჩეხი სალდათებისთვის არავის უფლება არ მიუცია წმიდა სტეფანეს* გვირგვინის სამფლობელოს უყურონ, როგორც იჯარით აღებულ მიწას. უკეთუ ამ ეროვნების ზოგიერთი პიროვნებანი, რომლებმაც ასე თვალსაჩინოდ მოახდინეს კირალიჰიდეში ავსტრია-უნგრეთის მონარქიის ყველა ხალხთა „სოლიდარობის“ დემონსტრაცია, ახლაც კი ანგარიშს არ გაუწევენ სიტუაციას, ჩვენ ვურჩევდით ასეთებს გონს მოვიდნენ და ხელი აიღონ უსაქციელობაზე, ვინაიდან სამხედრო ვითარებაში ტყვია, სახრჩობელა, სასამართლო და ხიშტი სულ ერთია აიძულებენ მათ დაემორჩილონ ჩვენი საერთო სამშობლოს უმაღლეს ინტერესებს“.

— ხელს ვინ აწერს სტატიას, პანე პორუჩიკ?

— რედაქტორი, დეპუტატი ბელა ბარაბაში, პანე პოლკოვნიკ.

— გაიძვერა! მაგრამ სანამ ეს სტატია „პესტერ-ლოიდში მოხვდებოდა, პეშტი-ჰირლაპში *“ დაიბეჭდა. ახლა წამიკითხეთ შოპრონის გაზეთ „შოპრონი-ნაპლოში“ * მოთავსებული უნგრული სტატიის ოფიციალური თარგმანი.

პორუჩიკი ლუკაში შეუდგა სტატიის კითხვას, რომელიც ავტორს დიდი გულმოდგინებით შეუფერადებია შემდეგნაირი ფრაზებით: „სახელმწიფოებრივი სიბრძნის ბრძანება“, „სახელმწიფოებრივი წესრიგი“, „ადამიანთა გარყვნილება“, „ფეხქვეშ გათელილი ადამიახის ღირსება და გრძნობები“, „კაციჭამიების ღრეობა“, „საზოგადოების საუკეთესო წარმომადგენლების ფიზიკური შეურაცხყოფა“, „მამელუკების ხროვა“, „კულისების მახინაციები“, შემდეგ ყველაფერი ისე იყო წარმოდგენილი, თითქოს მადიარებს მშობლიურ მიწაზე აღარ ასვენებენ და განუკითხავად დევნიან. თითქოს საქმე ასე იყო: მოვიდნენ ჩეხი ჯარისკაცები, წააქციეს რედაქტორი, მაგრად სცემეს, თავისი სალდათური ჩექმებით მუცელში ნაღველი ჩაუქციეს, იგი საცოდავი, ტკივილებისგან გამწარებული ბღაოდა, ვილაცამ კი ყველაფერი ეს სტენოგრაფიულად ჩაიწერა.

„მთელ რიგ ფრიად სერიოზულ ფაქტებზე, — წუწუნებდა შოპრონის გაზეთი „შოპრონი ნაპლო“, — ჩვენთან კეთილგონიერად ხმას არ იღებენ და არაფერს წერენ. ყველამ იცის, რა არის ჩეხი სალდათი უნგრეთში და როგორია იგი ფრონტზე. ყველასათვის ცნობი-

ლია, რას სჩადიან ჩეხები, რა განწყობილებაა ჩეხებში და ვისი ხელი ურევია ამ საქმეში. მართალია, ხელისუფალთა სიფხიზლე სხვა, პირველხარისხოვანი მნიშვნელობის საქმეებზეა გამახვილებული, მაგრამ ამასთანავე გვმართებს ეს სიფხიზლე სათანადოდ შევახამოთ და დაეუკავშიროთ საერთო მეთვალყურეობას, რომ არ განმეორდეს ის, რისი მოწმენიც ვიყავით ამას წინათ კირალიჰიდეში. ჩვენს გუშინდელ სტატიაში თხუთმეტი ადგილი ამოშლილი იყო ცენზურის მიერ. სხვა აღარაფერი დაგვრჩენია, განვაცხადოთ მხოლოდ, რომ დღესაც ტექნიკური მიზეზების გამო ჩვენ საშუალება არ გვეძლევა ფართოდ გავაშუქოთ კირალიჰიდეში მომხდარი ამბები. ჩვენს მიერ მივლინებული კორესპონდენტი ადგილზე დარწმუნდა, რომ ხელისუფლებამ ენერგიულად მოკიდა ხელი ამ საქმეს და ჩქარი ტემპით აწარმოებენ ძიებას. გვაოცებს მხოლოდ ერთი გარემოება, სახელდობრ: ამ წამების ზოგიერთი მონაწილე აქამდე თავისუფალია. ეს მეტადრე იმ ვაებატონს ეხება, რომელიც, როგორც ამბობენ, დაუსჯელად იმყოფება ბანაკში და აქამდე ატარებს თავისი „თუთიყუშის პოლკის“* საკილოვეებს. მისი გვარი დასახელებული იყო ამ სამი დღის წინათ „პესტერ-ლოიდში“ და „პეშტი-ნაპლოში“. ეს ვაებატონი ჩეხი შოვინისტი ლუკაში გახლავთ, რომლის უწესო საქციელზე ინტერპელაცია იქნება შეტანილი კირალიჰიდეს ოლქის დეპუტატის ჰეზა შავანის მიერ“.

— ასეთივე თავაზიანი კილოთი წერს თქვენზე, პანე პორუჩიკ,— უთხრა პოლკოვნიკმა შრედერმა, — „ყოველკვირეული“, რომელიც კირალიჰიდეში გამოდის, მერე წერენ პრესბურგის* გაზეთებიც. მაგრამ, მე მგონია, ესენი თქვენ აღარ გაინტერესებთ, რადგან ყველანი ერთნაირად წერენ. პოლიტიკურად ეს ადგილი ასახსნელია, ვინაიდან ჩვენ, ავსტრიელები, გერმანელები თუ ჩეხები, ყველანი ცუდად ვართ განწყობილი უნგრელების მიმართ... თქვენთვის გასაგებია, პანე პორუჩიკ, რასაც ვამბობ? ამაში მოჩანს გარკვეული ტენდენცია. თქვენთვის უფრო საინტერესოა „კომარნენის საღამოს გაზეთში“ გამოქვეყნებული სტატია, რომელიც ირწმუნება, რომ თქვენ მოინდომეთ ქალბატონ კაკონის გაუპატიურება პირდაპირ სასადილო ოთახში სადილობის დროს მისი ქმრის თვალწინ. თქვენ მის ქმარს, თურმე, ხმლით დაემუქრეთ და აიძულეთ ცოლისთვის ხელსახოცით პირი აეკრა, რომ ქალს არ ეყვირა. ასეთი გახლავთ სულ უკანასკნელი ცნობა თქვენს შესახებ, პანე პორუჩიკ.

პოლკოვნიკმა ჩაიცინა და განაგრძო:

— ხელისუფლებამ არ შეასრულა თავისი მოვალეობა. აქაური გაზეთების წინასწარი ცენზურაც უნგრელების ხელშია. ისინი

ისე გვექცევიან, როგორც მათ სულსა და გულს ესიამოვნება. ჩვენს ოფიცერს არავინ ექმაგება უნგრელ ხეპრე ჟურნალისტის შეურაცხყოფისგან დასაცავად. მხოლოდ ჩვენი მკაცრი დემარშის, ჩვენი დივიზიის სასამართლოს ტელეგრამის შემდეგ, ბუდაპეშტის სახელმწიფო პროკურატურამ გადადგა ნაბიჯები ცალკეულ პირთა დასაპატიმრებლად ხსენებულ რედაქციებში, ყველაზე მაგრად მოხვდა „კომარნენის* საღამოს გაზეთის“ რედაქტორს, მას კუბოს ფიცრამდე ემახსოვრება თავისი „საღამოს“ გაზეთი. დივიზიის სასამართლომ დამავალა მე, როგორც თქვენს უფროსს, დაგკითხოთ და ერთდროულად მიგზავნის გამოძიების მასალებს. ყველაფერი იოლად ჩაივლიდა, თქვენი ბედუკუღმართი შვეიკი რომ არა. მასთან ერთად არის ვიღაც მესანგრე ვოდიჩკა. როცა შვეიკი ნაობახტში მოიყვანეს ჩხუბის შემდეგ, მას აღმოაჩნდა თქვენი წერილი ქალბატონ კაკონის სახელზე. ეს თქვენი შვეიკი დაკითხვის დროს ამტკიცებდა, რომ წერილი თქვენი არაა, — ის მე დავწერეო; როცა უბრძანეს, აბა ერთი გადაწერეთ წერილი ხელნაწერი შევადაროთო, მან თქვენი წერილი დაღეჭა და გადაყლაპა. მაშინ პოლკის კანცელარიიდან დივიზიის სასამართლოში გადაგზავნილ იქნა თქვენი პატაკები შვეიკის ხელთან შესადარებლად, — და აი, ინებეთ, რა შედეგები მივიღეთ.

პოლკოვნიკმა გადაფურცლა ქაღალდები და პორუჩიკ ლუკაშს უჩვენა შემდეგი ადგილი:

„მსჯავრდადებულმა შვეიკმა უარი განაცხადა კარნახით ფრაზების დაწერაზე. ირწმუნებოდა, ამ ერთი ღამის განმავლობაში წერას გადავეჩვიეო“.

— მე, პანე პორუჩიკ, საერთოდ არავითარ მნიშვნელობას არ ვაძლევ იმას, რასაც თქვენი შვეიკი, ან ის მესანგრე დივიზიის სასამართლოში ლაპარაკობდნენ. შვეიკიცა და მესანგრეც ირწმუნებიან, რომ ყველაფერი სულ უბრალო ხუმრობის ნიადაგზე მოხდა, ხუმრობა სერიოზულ ამბავად მიიჩნიეს, რის გამოც თვით სამოქალაქოები დაგვესხნენ თავს, ჩვენ კი იმათ ვიგერიებდით მუნდირის ღირსების დასაცავადო. გამოძიებით გამორკვა, რომ თქვენი შვეიკი კაი არამზადა ვინმეა. ასე, მაგალითად, კითხვაზე, რატომ არ გამოტყდებითო, მან, როგორც ეს ოქმშია შეტანილი, უპასუხა: „მე ახლა ისეთივე მდგომარეობაში ვარ, რა მდგომარეობაშიც ჩავარდა ერთხელ ქალწულ მარიამის ხატების გამო მხატვარ პანუშკას მსახური. მასაც, როცა საქმე ხატებს შეეხო, რომელთა მითვისებას აპირებდა, არაფერი დარჩა სათქმელად, გარდა შემდეგისა: „მეტი რაღა გინდათ ჩემგან, სისხლი ხომ არ უნდა ვანთხიო?“ რა თქმა უნდა, მე, როგორც პოლკის მეთაურმა, ვიზრუნე იმაზე, რომ ყველა გაზეთში,

რომლებმაც ხსენებული სტატიები დაბეჭდეს, დივიზიის სასამართლოს სახელით გაგზავნილი ყოფილიყო ამ უსირცხვილო სტატიების უარყოფა. დღესვე იქნება დაგზავნილი ეს უარყოფა და, ვფიქრობ, ჩემის მხრივ, მე ყველაფერი გავაკეთე, რომ ჩამეხშო აურზაური, რომელიც სამოქალაქო გაიძვერებმა, სინდისგარეცხილმა მადიარმა მეგაზეთეებმა ასტეხეს. მგონი, არც ისე ცუდად მაქვს შედგენილი; აბა მისმინეთ:

„ამით N დივიზიის სასამართლო და N პოლკის შტაბი აცხადებენ, რომ ადგილობრივ გაზეთებში დაბეჭდილი სტატიები N პოლკის სალდათების მიერ ვითომდა ჩადენილ უწესობაზე, ოდნავადაც არ შეეფერება სინამდვილეს და თავიდან ბოლომდე მოგონილია. ძიება, აღძრული ზემოაღნიშნულ გაზეთების რედაქციების მიმართ, დამნაშავეებს სასტიკ პასუხს აგებინებს“.

— დივიზიის სასამართლო ჩვენი პოლკის შტაბის სახელზე გამოგზავნილ თავის მიმართვაში, — განაგრძო პოლკოვნიკმა, — იმ დასკვნამდე მიდის, რომ საქმე ეხება ცისლაიტანიდან და ტრანსლაიტანიდან მომავალ ჯარის ნაწილების სისტემატურ დევნას. ამასთანავე აბა ერთი შეადარეთ — რამდენი ჯარია გაგზავნილი ფრონტზე ჩვენის მხრივ და რამდენი იმათ მხრივ. გულახდილად გეტყვით: მე ჩეხი სალდათი უფრო მომწონს, ვიდრე უნგრელთა ეს ხროვა. საკმარისია გავიხსენოთ, ბელგრადთან რა დღეში ჩაგვაგდეს უნგრელებმა. აიღესდა, სროლა აუტეხეს ჩვენს სამარშო ბატალიონს. ბატალიონმა არ იცოდა, რომ მათ უნგრელები ესროდნენ, და ცეცხლი მარჯვენა ფრთაზე განლაგებულ დოიჩმაისტერებს* მიმართეს, ამ უკანასკნელთაც აერიათ გზაკვალი და მათ გვერდით მდგომ ბოსნიის პოლკს გაუჩაღეს ცეცხლი, ისეთი მდგომარეობა შეიქნა, რომ, როგორც იტყვიან, ძაღლი პატრონს ვერ ცნობდა! მე სწორედ ამ დროს ბრიგადის შტაბში ვიყავი სადილად. წინადღით შაშხსა და კონსერვების სუპზე გადაგვატარეს, ამ დღეს კი მოგვიმზადეს ქათმის კარგი ბულიონი, ფილე ბრინჯით და კნედლიკები. სწორედ წინადღით საღამოთი დაბაში სერბიელი მიკიტანი ჩამოვახრჩეთ, და ჩვენმა მზარეულებმა მის სარდაფში ძველი, ოცდაათწლიანი ღვინო იპოვეს. შეგიძლიათ წარმოიდგინოთ, როგორ ველოდით ყველანი ამ სადილს. შევხვრიპეთ სუპი და ის-იყო ქათმის ჭამას შევუდექით, ანაზდად სროლა ატყდა, ჩვენმა არტილერიამ, რომელსაც წარმოდგენა არ ჰქონდა, რომ ჩვენი ნაწილები თავისიანებს ესვრიან, ქვემეხები აამოქმედა მთელ ხაზზე, და ერთი ყუმბარა ზედ ბრიგადის შტაბთან დაეცა. სერბიელებმა, ალბათ, იფიქრეს, რომ ჩვენთან აჯანყებამ იფეთქა, იხელთეს დრო და ყოველი მხრიდან დაგვიშინეს ტყვია, მერე მდინა-

რეც გადმოლახეს. ბრიგადის გენერალს ტელეფონთან გამოუძახეს, და საშინლად გაანჩხლებულმა დივიზიის უფროსმა დაიწყო ყვირილი — ეს რა უმსგავსობა ხდება ბრიგადის საბრძოლო უბანზეო. მე ახლახან არმიის შტაბიდან ბრძანება მივიღე შეტევა დავიწყო სერბიელების პოზიციებზე, მარცხენა ფრთაზე, ღამის ორ საათსა და ოცდათხუთმეტ წუთზე. თქვენ კი რეზერვი ხართ და ამიტომ ახლავე ცეცხლი შეწყვიტეთო. მაგრამ განა შესაძლებელი იყო ასეთ სიტუაციაში „Feuer einstellen!“ [1] ბრიგადის სატელეფონო სადგური იტყობინება, ვერავისთან კავშირი ვერ გავაბი, გარდა სამოცდამეთხუთმეტე პოლკის შტაბისაო, რომელმაც გვაცნობა, უახლოესი დივიზიიდან ნაბრძანები მაქვს: „ausharren!“[2], ჩვენს დივიზიასთან დაკავშირება ვერ გავახერხეთ, სერბიელებმა დაიკავეს სიმაღლეები 212, 226, და 327 საჭიროა ერთი ბატალიონის გადასროლა კავშირის გასაბმელად და აუცილებელია მოწესრიგდეს ტელეფონით კავშირი ჩვენს დივიზიასთანო. შეეეცადეთ დავკავშირებოდით დივიზიას, მაგრამ ამაოდ, რადგან სერბიელებმა ორივე ფრთიდან შემოგვიარეს და ზურგში მოგვექცნენ, ჩვენი ცენტრი სამკუთხედში მოამწყვდიეს, რომელშიც აღმოჩნდა ქვეითი ჯარიც, არტილერიაც, აღალიც მთელი ავტოკოლონით, სასურსათო მაღაზია და საველე ლაზარეთი, ორი დღე გამუდმებით ცხენზე ვიჯექი, დივიზიის უფროსი ტყვედ ჩავარდა, ჩვენი ბრიგადის გენერალიც ზედ მიაყოლეს. ყველაფერში დამნაშავე კი მადიარები იყვნენ, რომლებმაც სროლა აუტეხეს ჩვენს მეორე სამარშო ბატალიონს. რაღა ლაპარაკი უნდა, რომ მთელი დანაშაული ჩვენს პოლკს დაატეხეს თავზე.

პოლკოვნიკმა გადააფურთხა.

— ახლა თქვენ თვითონ დარწმუნდით, პანე პორუჩიკ, როგორ მარჯვედ გამოიყენეს მადიარებმა თქვენი თავგადასავალი კირალიჰიდეში.

შეცბუნებულმა პორუჩიკმა ლუკაშმა ჩაახველა.

— პანე პორუჩიკ, — ინტიმურად მიმართა მას პოლკოვნიკმა, — გულზე ხელი დაიდეეით და მითხარით, რამდენჯერ გაატარეთ ღამე მადამ კაკონის ლოგინში?

პოლკოვნიკი შრედერი დღეს შესანიშნავ გუნებაზე იყო.

— ტყუილუბრალოდ ნუ ილაპარაკებთ, რომ თქვენ თითქოს მხოლოდ მიწერ-მოწერა გქონდათ მასთან. თქვენს ასაკში მე, როცა სამკვირიან ტოპოგრაფიულ კურსებზე ვიმყოფებოდი ეგერში *, მთელი ის სამი კვირა უნგრელ ქალებთან დროსტარებაში გავიყვანე. ერთ

[1] შეწყვიტეთ ცეცხლი! (გერმ.)

[2] გაუმკლავდით ბოლომდე! (გერმ.)

დღეს ერთთან რომ მეძინა, მეორე დღეს — მეორესთან და ასე ყოველდღე: ახალგაზრდებთან, გაუთხოვრებთან, დარბაისელ გათხოვილ ქალებთან, ქვრივებთან — სულ ერთი იყო, რომელსაც წავაწყდებოდი. ისე დაუზარებლად და კეთილსინდისიერად ვატარებდი მათთან დროს, რომ, როცა პოლკში დავბრუნდი, ფეხებს ძლივს დავათრევდი. ყველაზე მეტად გამტანჯა ერთი ვექილის ცოლმა. ამ ქალმა მაჩვენა. რისი უნარიც შესწევთ უნგრელ ქალებს. — ცხვირზე მიკბინა და მთელი ღამე არ მომასვენა, თვალი არ მომახუჭვინა... თქვენ იტყვით „მიწერ-მოწერას შეეუდექიო", — ინტიმურად მოუთათუნა პოლკოვნიკმა ხელი ბეჭებზე პორუჩიკ ლუკაშს. — ვიცით ჩვენ ეს მიწერ-მოწერა! არაფერი თქვათ, მე ჩემი მოსაზრებანი მაქვს ამ შემთხვევაზე. თავდავიწყებამდე მიხვედით ორთავენი, აღარაფერს ერიდებოდით. ქმარმა გაიგო, ამას კიდევ თქვენი შტერი შვეიკიც დაემატა... იცით, პანე პორუჩიკ, ეს შვეიკი მაინც ერთგული ადამიანი ჩანს. ძალიან მოჩერხებულად კი გააქრო თქვენი წერილი! ასეთი ადამიანი, მართალი გითხრათ, მეცოდება. აი ამას ჰქვია აღზრდა! მომწონს, ნამდვილად მომწონს შვეიკის საქციელი. ამიტომ ძიება დაუყოვნებლივ უნდა შეწყდეს. თქვენ, პანე პორუჩიკ, სახელი გაგიტეხათ პრესაში. თქვენს აქ დარჩენას აზრი არა აქვს. ამ კვირაში რუსების ფრონტზე გაგზავნილი იქნება სამარშო ასეული. თქვენ ყველაზე უფროსი ოფიცერი ხართ მეთერთმეტე ასეულში. ეს ასეული გაემგზავრება თქვენი მეთაურობით. ბრიგადაში უკვე ყველაფერი მომზადებულია. უთხარით უფროს გადამწერს, სხვა დენშჩიკი მოგიძებნოს შვეიკის ნაცვლად.

პორუჩიკმა ლუკაშმა მადლობით შეხედა პოლკოვნიკს. მაგრამ პოლკოვნიკმა დასძინა:

— შვეიკს კი თქვენთან ასეულის ორდინარეცად მოეავლინება.

პოლკოვნიკი წამოდგა, ხელი გაუწოდა პორუჩიკს, რომელსაც ერთბაშად ფერი დაკარგვოდა, და თქვა:

— ამრიგად, მთელი საქმე ლიკვიდირებულია. გისურვებთ ბედნიერებას! გისურვებთ თავი გამოგეჩინოთ აღმოსავლეთ ფრონტზე. თუ კიდევ ოდესმე ერთად მოვხვდით, გვინახულეთ, თავს ნუ მოგვარიდებთ, როგორც ბუდეიოვიცეში სჩადიოდით...

გზაში, შინ რომ მიდიოდა, პორუჩიკი ლუკაში სულ ერთსა და იგივეს იმეორებდა თავის გულში: „ასეულის მეთაური, ასეულის ორდინარეცი".

და მის თვალწინ დგებოდა შვეიკის სახე.

როცა პორუჩიკმა ლუკაშმა უფროს გადამწერ ვანეკს უბრძანა, შვეიკის ნაცვლად ახალი დენშჩიკი მომიძებნეო, მან უთხრა:

— მე კი მეგონა, პანე ობერ-ლეიტენანტ, რომ თქვენ კმაყოფილი იყავით შვეიკით.

მაგრამ პორუჩიკმა უპასუხა, — პოლკოვნიკმა შვეიკი მეთერთმეტე ასეულის ორდინარეცად დანიშნაო. ამის გაგონებაზე ვანეკმა უნებლიეთ წამოიძახა:

— ღმერთო, შეგვიწყალე!

დივიზიის სასამართლოს პატიმართა ბანაკში ფანჯრებს რკინის გისოსები ჰქონდა. დგებოდნენ იქ, თანახმად შემოღებული წესისა, დილის შვიდ საათზე და დოშაკების ალაგებას იწყებდნენ, რომლებიც პირდაპირ ბინძურ იატაკზე ეყარა: საწოლები არ იყო. გრძელი დერეფნის გადატიხრულ ერთ კუთხეში, როგორც ეს დადგენილი იყო, აწყობდნენ ბზით გატენილ დოშაკებს და მათზე საბნებს აფარებდნენ; ვინც დალაგებას მორჩენილიყო, კედლის გასწვრივ სკამებზე ისხდნენ და ან ტილებს იხილავდნენ (ესენი ფრონტიდან მოსულები იყვნენ), ან დროს ჰკლავდნენ სხვადასხვა თავგადასავალთა მოგონებებით.

შვეიკი, უფროსი მესანგრე ვოდიჩკა და სხვადასხვა პოლკისა და სხვადასხვა შეიარაღების რამდენიმე ჯარისკაცი კარებთან ისხდნენ სკამებზე.

— ერთი შეხედეთ, ბიჭებო, — თქვა ვოდიჩკამ, — აი იმ უნგრელ ვაჟბატონს ფანჯარასთან, როგორ ლოცულობს ის ძაღლის შვილი. ღმერთს ევედრება, რომ მისთვის ყველაფერი კეთილად დაბოლოვდეს. ხელისგულები არ გექავებათ, ბიჭებო, ერთი ჩავაფაროთ მას თავში?

— რას ერჩი? კარგი ადამიანია, — უთხრა შვეიკმა. — აქ იმიტომ მოხვდა, რომ გაწვევაზე არ გამოცხადდა. ომის წინააღმდეგი არის. სექტანტია, ვიღაც ჩასვეს კი იმიტომ, რომ არავის მოკვლა არ სურს და მტკიცედ იცავს ღვთის მცნებას — „არა კაც-ჰკლა.“ ჰოდა, ამ ღვთის მცნებისთვის აჩვენებენ მას თვალის სეირს. ომის წინ მორავიაში ცხოვრობდა ერთი ვინმე ნემრავა. როცა იგი ჯარში წაიყვანეს, თოფის მხარზე გადებაზეც კი უარი განაცხადა: თოფის ტარება ჩემს სარწმუნოებას ეწინააღმდეგებაო. ამისთვის, ვინ მოთვლის, რამდენი აწამეს ციხეებში, კინაღამ სიცოცხლეს გამოასალმეს, მერე ისევ ფიცის დასადებად წაიყვანეს. არავითარ შემთხვევაში ფიცს არ დავდებ, ჩემს სარწმუნოებას არ ეგუებაო! — კვლავ განაცხადა, და თავისი გაიტანა.

— აი სულელი, — თქვა ძველმა მესანგრემ ვოდიჩკამ, — ფიცი

უნდა დაედო, მერე ყველაფერი ფეხებზე დაეკიდა, ფიციცა და სხვაც...

— მე სამჯერ დავდევი ფიცი, — გამოეხმაურა ერთი ქვეითელი, — და მესამედ ეზივარ დეზერტირობისთვის. ექიმის მოწმობა რომ არ მქონდეს, თითქოს თხუთმეტი წლის წინათ სიგიჟემ წამომიარა და ამ ნიადაგზე ჩემი ბიცოლა საიქიოს გავისტუმრე, უკვე სამჯერ დამხვრეტდნენ ფრონტზე. ამიერიდან აწ განსვენებული ბიცოლა ყოველთვის მიხსნის გასაჭირისგან და, ბოლოს და ბოლოს, მგონი დავუძვრე ამ ომს ისე, რომ ფრჩხილი არ წამომტკივდეს და კანიც არ გავიკაწრო.

— კი, მაგრამ, რისთვის დაგჭირდათ, ამხანაგო, თქვენი ბიცოლის საიქიოს გასტუმრება? — ჰკითხა შვეიკმა.

— თუ რისთვის ჰკლავენ ადამიანს, — უპასუხა მან, — ყველასთვის ნათელია: ფულისთვის. იმ ბებრუხანას ხუთი შემნახველი სალაროს წიგნაკი ჰქონდა, და სწორედ იმ დროს, როცა მასთან სტუმრად მივედი — ჩამოძენძილი და გასაწყლებული — პროცენტები მოუტანეს. ამქვეყნად მის მეტი ახლობელი არავინ გამაჩნდა. ჰოდა, მივაკითხე მას, დამეხმარე-მეთქი, იმ უნამუსომ მომახალა: „წადი და იმუშავე, შენ ხომ ახალგაზრდა ხარ, ჯან-ღონით სავსეო“. ამაზე მე ვუპასუხე, იმან თავისი თქვა, შეეყევით ერთმანეთს, ვეღარ მოვიმინე, რკინის საკეცე დავარტყი თავში, ერთი თუ ორი, მერე მივდექი, ისე დავუსახიჩრე სახე, რომ მეც ვეღარ ვიცანი: ნუთუ ეს ჩემი ბიცოლაა-მეთქი? ჩავცუცქდი მის გვერდით იატაკზე და ვიმეორებ: ნუთუ ეს ჩემი ბიცოლაა? ასეთ მდგომარეობაში მნახეს მეორე დღეს მეზობლებმა. მერე სლუპაზე საგიჟეთში ამოვყავი თავი, და როცა ომის წინ ბოჰნიცეში * გაგვიძახეს კომისიაზე, განკურნებულად ჩამთვალეს, ძალაუნებურად სამხედრო სამსახურში უნდა წავსულიყავი და გაცდენილი წლები ამენაზღაურებინა.

ამ საუბარში რომ იყვნენ, მათ გვერდით ჩაუარა გატანჯული სახის აწოწილმა ჯარისკაცმა ცოცხით ხელში.

— ეს მასწავლებელია ჩვენი სამარშო ასეულიდან, — უთხრა ეგერმა მის გვერდით მჯდომ შვეიკს. — დასაგველად მიდის, დიდად წესიერი ადამიანია. ერთი ლექსი შეთხზა და ამიტომ ჩასვეს.

— ჰეი, მასწავლებელო! ერთი აქ მოდი, — დაუძახა ეგერმა ცოცხიან ჯარისკაცს.

იგი სერიოზული სახით მივიდა სკამთან.

— ერთი გვიამბეთ ტილების შესახებ.

ცოცხიანმა ჯარისკაცმა ჩაახველა და დაიწყო:

მთელ ფრონტს ტილი დახვევია
და უწყალოდ ყველა იფხანს:
რიგითიც და მეთაურიც; —
იქექება მწვავედ დიდხანს.
გენერალიც, როგორც ლომი,
ომს ტილებთან მედგრად იხდის,
ყოველ წუთს და ყოველ საათს,
წამდაუწუმ მუნდირს იხდის.
ტილებს ჯარში მუქთი ბინა
აქვთ და, ენებით გათანგული,
პრუსიულ ტილს ტახტზე აწვენს
ის „ეშივაკი“ ავსტრიული.

გატანჯული მასწავლებელი ჯარისკაცი სკამზე ჩამოჯდა და ამოიოხრა:

— ესაა სულ. ამის გულისთვის უკვე ოთხჯერ ვიყავი დაკითხვაზე, ბატონ აუდიტორთან.

— კაცმა რომ თქვას, თქვენი საქმე ჩალის ფასად არა ღირს, — დამაჯერებლად შენიშნა შვეიკმა. — მთელი საქმე ისაა, იქ, სასამართლოში ვის ჩათვლიან ძველ ავსტრიულ „ეშივაკად“. კარგია, რომ თქვენ დაგიმატებიათ ტახტის შესახებ. ამით ისე აუბნევთ გონებას, რომ მთლად გამოყეყეჩდებიან. თქვენ ოღონდ აუცილებლად უნდა განუმარტოთ და დააჯეროთ, რომ ავსტრიული „ეშივაკ“ — მამალი ტილია და რომ მხოლოდ „ეშივაკს“ შეუძლია ზურგზე ააცოცდეს დედალ ტილს, თორემ სხვანაირად თავს ვერ დაიძვრენთ. რა თქმა უნდა, ეს თქვენ ვინმეს გასანაწყენებლად კი არ დაგიწერიათ. ბატონ აუდიტორს მოახსენეთ, რომ ამას საკუთარი თავის გასართობად წერდით, და ისე, როგორც მამალ ღორს ქოსმენს უწოდებენ, მამალი ტილი — ეშივაკია.

მასწავლებელმა მძიმედ ამოიხვნეშა.

— რა ვქნა, თუ იმ ბატონ აუდიტორს ხეირიანად არ ესმის ჩეხური ენა. დაახლოებით მეც ასე ავუხსენი, მაგრამ მან შემომიტია. „მამალ ტილს ჩეხურად ეწოდება ვეშაკ და არა „ეშივაკ“ — განაცხადა ბატონმა აუდიტორმა. Femininum, sie gebildeter kerl, ist ten „fes,“ also masculinum ist „ta fesak?“ Wir kennen uns're Papperheimer![1].

— მოკლედ რომ ვთქვათ, — უთხრა შვეიკმა, — თქვენი საქმე

---

[1] დედრობითი სქესი — ეს; თქვენც იტყვით, განათლებული ადამიანი ვარო — იქნება „ის არის ფეშ“, მამრობითი კი იქნება „ის არის ფეშაკ“. ჩვენ ვიცნობთ ჩვენს ჯარისკაცებს, რა შვილებიცა არიან.

წამხდარია, მაგრამ იმედი არ უნდა დაკარგოთ, როგორც იტყოდა ხოლმე ბოშა იანიჩეკი პლზენში, როცა ათას რვაას სამოცდაცხრამეტ წელს მას ჩამოხრჩობა მიუსაჯეს ორი კაცის მოკვლისთვის გაძარცვის მიზნით — ყველაფერი შეიძლება კეთილად შემობრუნდესო! და მისი ნათქვამი გამართლდა: უკანასკნელ წუთებში იგი სახრჩობელიდან ჩამოიყვანეს, რადგან იმ დღეს ხელმწიფე-იმპერატორის დაბადების დღე იყო და ჩამოხრჩობა არ შეიძლებოდა. დაბადებისა და ჩამოხრჩობის დღეები შემთხვევით ერთმანეთს დაემთხვა. იგი მეორე დღეს ჩამოახრჩვეს, როცა იმპერატორის დაბადების დღემ გაიარა. ამ ბოშას კიდევ უფრო მეტი ბედნიერება ეწია: მესამე დღეს იგი შეწყალებულ იქნა, და საჭირო შეიქნა სასამართლო პროცესის განახლება, რადგან მასალებიდან ირკვეოდა, სულ სხვა იანიჩეკი იყო, თურმე, დამნაშავე. ამოთხარეს იგი პატიმართა საფლავიდან, გაამართლეს და პლზენის კათოლიკურ სასაფლაოზე დამარხეს. მერე გამოირკვა, რომ იგი ევანგელისტი იყო და არა კათოლიკე, აიღეს და, ევანგელისტების სასაფლაოზე გადაასვენეს, მერე...

— მერე გაგიშლი და მაგ სიფათში ჩაგაფარებ, — გამოეხმაურა ძველი მესანგრე ვოდიჩკა. — რას არ გამოიგონებს ეს ადამიანი! დღეს თუ ხვალ დივიზიის სასამართლო გველოდება, ეს ოხერტიალი კი, ჯერ კიდევ გუშინ, როცა დაკითხვაზე მივდიოდით, თვალს მიხვევდა რომელიღაც იერიქონის ვარდის ამბით.

— მერედა, ეს ამბავი ჩემი მოგონილი ხომ არაა. ის მხატვარ პანუშკას მსახურმა მათეიმ უამბო ერთ ბებერ დედაკაცს, როცა მან ჰკითხა, იერიქონის ვარდი როგორ გამოიყურებაო. მათეიმ უთხრა: „აიღეთ გამხმარი ფუნა, დადევით ჯამზე, წყალი დაასხით, იგი თქვენ თვალწინ ამწვანდება, — აი ეს იქნება იერიქონის ვარდიო!“ მე ეს სისულელე არ გამომიგონია, — თავს იცავდა შვეიკი, — მაგრამ რამეზე ხომ უნდა გველაპარაკა, რაკი ერთად მივდიოდით დაკითხვაზე. მე მხოლოდ შენი გართობა მინდოდა, ვოდიჩკა...

— შენ რომ გაართობ ადამიანს! ათვალწუნებით გადააფურთხა ვოდიჩკამ. — ჩემი ფიქრი და აზრი იქითკენაა მიმართული, მთელი ამ დავიდარაბიდან როგორ გამოვძვრე და ანგარიში გავუსწორო იმ გაიძვერა მადიარებს, ეს კი რაღაც ფუნით მამშვიდებს. მაგრამ რა ანგარიში უნდა გავუსწორო ამ ცხვირმოუხოცელ მადიარებს, როცა აგერ კარგამოკეტილ ოთახში ვზივარ? ყოველივე ამასთან თავი ისე უნდა გეჭიროს, თითქოს არავითარ ზიზღს არ გრძნობ მადიარების მიმართ. ეჰ, ეს ძაღლური ცხოვრებაა, აბა, რა არის. კიდევ ჩამივარდება ხელში რომელიმე მადიარი! წიწილასავით გავბდღვნი!

მე მას ვაჩვენებ „istem ald meg a magyart“.[1], ნაღველს ჩავუქცევ მუცელში; იმდენს ვცემ, თავის დღეში აღარ დავავიწყდები!

— ჩვენ სადარდებელი არაფერი გვაქვს, — უთხრა შვეიკმა, — ყველაფერი მოგვარდება. მთავარია, არასდროს სასამართლოში სიმართლე არ თქვა. ვინც გაბრიყვდება და გამოტყდება — მისი საქმე გათავებულია. დანაშაულის აღიარებისგან არასოდეს არაფერი კარგი არ გამოსულა. როცა მე მორავას ოსტროვაში ვმუშაობდი, იქ ასეთი ამბავი მოხდა. ერთმა მეშახტემ, პირისპირ, ისე რომ ამის მოწმე არავინ იყო, ინჟინერი გალახა. ვექილი, რომელიც მეშახტეს იცავდა, სულ იმას უჩიჩინებდა, უარზე დადექიო, ამისთვის ვერაფერს გიზამენო, სასამართლოს თავმჯდომარე კი მამაშვილურად შთააგონებდა, დანაშაულის აღიარება სასჯელს ამსუბუქებსო. მეშახტემ თავისი გაიტანა: არაფერში გამოტყდა, და ამით გათავდა! იგი გაათავისუფლეს, რადგან თავისი ალიბიც დაამტკიცა: ამ დღეს ბრნოში ვიყავიო...

— დედაო ღვთისა! — იყვირა გაცოფებულმა ვოდიჩკამ, — მეტი აღარ შემიძლია! რა ეშმაკად მინდა, რაღაც სისულეებს რომ მიამბობ! გუშინ ჩვენთან დაკითხვაზე ზუსტად ასევე ლაპარაკობდა ერთი პატიმარი. აუდიტორმა ჰკითხა, რას აკეთებდი სამხედრო სამსახურამდეო, მან უპასუხა: „ქვემოდან ვუბერავდი ჯვართანო“ — და ასე გაგრძელდა ნახევარი საათი, სანამ არ გაირკვა, რომ იგი ქურის ქვეშემბერავად მუშაობდა თურმე მჭედელთან, რომლის გვარი იყო „ჯვარი“ და როცა მას ჰკითხეს: „შენ იმასთან ხელობას სწავლობდიო?“ — უპასუხა: „დიახ, სწორედ ასეა... მხოლოდ ვწვალობდიო“.

დერეფანში გაისმა ფეხის ხმა და ყარაულის წამოძახილი: „Zuwachs“ [2].

— ჩვენებს ემატებოდეს, — მხიარულად წამოიძახა შვეიკმა, — იქნებ სიგარეტის ნამწვი ჰქონდეს შემონახული.

გაიღო კარები და ბარაკში მუჯლუგუნით შემოაგდეს ნებითგანწესებული, სწორედ ის, შვეიკთან ერთად რომ იჯდა ბუდეიოვიცეს სატუსაღოში, მერე კი მიმაგრებულ იქნა ერთ-ერთი სამარშო ასკულის სამზარეულოზე.

— დიდება მამაო ჩვენო, — წარმოთქვა მან, როგორც კი შემოვიდა, რაზედაც ყველას ნაცვლად შვეიკმა უპასუხა:

— უკუნითი უკუნისამდე. ამინ!

ნებითგანწესებულმა კმაყოფილებით შეხედა შვეიკს, დადო იატაკზე საბანი, რომელიც თან მოეტანა, და მერხზე ჩამოჯდა ჩეხების

---

[1] აკურთხე, უფალო, მადიარები (უნგრელების ნაციონალური ჰიმნის დასაწყისი.)
[2] ახალი (გერმ.)

გვერდით. მერე შემოიხსნა წვიესახვევი, ამოიღო მოხერხებულად დამალული სიგარეტები და ჩამოარიგა. შემდეგ ფეხსაცმლის ყელიდან ფოსფორით დაფარული ასანთის კოლოფის ნატეხი ამოაძვრინა და ვერტიკალურად ზუსტად შუაზე ჩაჭრილი რამდენიმე ასანთი გაჰკრა, ფრთხილად მოუკიდა სიგარეტს, ყველას მიაწოდა ცეცხლი და გულგრილად განაცხადა:

— მე ბრალი მედება აჯანყების წამოწყებაში.

— ეგ არაფერია, — დაამშვიდა შვეიკმა, — უბრალო ამბავია.

— რა თქმა უნდა, — უპასუხა ნებითგანწესებულმა, — თუ ასეთი საშუალებით, სხვადასხვა სასამართლო პროცესების დახმარებით ვფიქრობთ ომის მოგებას. თუ მაინცადამაინც ძალიან სურთ ჩემი გასამართლება, დაე გამასამართლონ. საბოლოო ანგარიშში ზედმეტი პროცესი არაფერს ცვლის საერთო სიტუაციაში.

— კი, მაგრამ, ერთი ეს გვითხარი, როგორ წამოიწყე აჯანყება?! — შეეკითხა მესანგრე ვოდიჩკა, რომელიც სიმპათიით მისჩერებოდა ნებითგანწესებულს.

— უარი განვაცხადე ნაობახტის ფეხისადგილის გასუფთავებაზე, — უპასუხა ნებითგანწესებულმა. — მიმგვარეს პოლკოვნიკს. იგი კი, იცით, რა ღორი ვინმეა! დამიწყო ღრიალი, დაპატიმრებული ხარ პოლკის პატაკის საფუძველზე, ამიტომ უბრალო პატიმარს წარმო-

ადგენო; და საერთოდ, ძალიან მიკვირს, ჩვენი დედამიწა შენისთანა ადამიანს როგორ ითმენს თავის ზურგზე და სირცხვილისგან თავის ბრუნვას არ სწყვეტს, მიკვირს, რომ ჯარის რიგებში მოხვდა ადამიანი, რომელიც ნებითგანწესებულის ნიშნებს ატარებს, ოფიცრის უფლებებით სარგებლობს, თავისი ქცევით კი მხოლოდ ზიზღს იწვევს უფროსებშიო. მე ვუპასუხე. რომ დედამიწის ბრუნვა არ შეიძლება დარღვეულ იქნას მასზე ისეთი ნებითგანწესებულის გამოჩენით, როგორიც მე ვარ და რომ ბუნების კანონები გაცილებით ძლიერია, ვიდრე ნებითგანწესებულის მხრებზე დაკერებული ნიშნები-თქო. ერთი მინდა ვიცოდე, ვეუბნები, ვინ მაიძულებს ფეხისადგილის გასუფთავებას, რომელიც მე არ გამბინძურებია, თუმცა სრული უფლება მაქვს გავაბინძურო, თუ მხედველობაში მივიღებთ იმ გარემოებას, რომ ჩვენი პოლკის სამზარეულო დამპალი კომბოსტოთი და აშმორებული ხორცით გვიმასპინძლდება, ეს კი, რამდენადაც ვერკვევი, ღორის საკმელია და არა ადამიანის. რაც შეეხება, ვეუბნები, იმ საკითხს, ჩემისთანა ადამიანს დედამიწა თუ როგორ ითმენს თავის ზურგზე, მე, ცოტა არ იყოს უცნაურად მეჩვენება—ჩემს გამო, აბა, მიწისძვრები ხომ არ მოხდება-მეთქი. პოლკოვნიკი, როცა ჩემს სიტყვას ვამბობდი, კბილებს აღჭრიალებდა, ვით ფაშატი, როცა მას ენაზე დამზრალი ჭარხალი მოხვდება. მერე, დამილრიალა: „მე თქვენ გეკითხებით, გაასუფთავებთ თუ არა ფეხისადგილს?“„ არავითარ შემთხვევაში, ფეხისადგილს მე არ გავასუფთავებ,—ვუპასუხე.— „მე კი გეუბნებით, რომ გაასუფთავებთ, ბედისწერას ნუ აუტანიხართ!“—„არა, არ გავასუფთავებ!“—„ეშმაკმა წაგიღოს, გაასუფთავებთ-მეთქი, და ერთს კი არა, ას ფეხისადგილს გაასუფთავებთ!“ — „არა-მეთქი. არ გავასუფთავებ არც ასს და არც თუნდაც ერთს!“ ჰოდა, შევყევით ასე ერთმანეთს. „გაასუფთავებთ?“—„არ გავასუფთავებ!“ ასე გადავძახოდით ერთმანეთს ამ სიტყვა „ფეხისადგილს“ თითქოს ის საბავშვო სახუმარო სიტყვა იყო, აღებული მცირე ასაკის ბავშვებისთვის განკუთვნილ პავლა მოუდრაიას* წიგნიდან. პოლკოვნიკი დამდუღრულივით დარბოდა კანცელარიაში, ბოლოს დაჯდა და მითხრა: „კარგად დაფიქრდით, თორემ დივიზიის სასამართლოს გადაგცემთ აჯანყებისთვის. არ გეგონოთ, რომ თქვენისთანა ნებითგანწესებულები არ დაგვეხვრიტოს ამ ომში. სერბიაში ჩვენ ჰეათე ასეულის ორი ნებითგანწესებული ჩამოვახრჩეთ, მეცხრე ასეულიდან კი ერთს კრავივით გავაფრთხობინეთ სული ტყვიით. და იცით, რისთვის? გაჯიუტებისთვის! ის ორი იმისთვის ჩამოვკიდეთ, რომ უარი თქვეს ერთი სერბიელი პარტიზანის ცოლისა და ბავშვის მოკვლაზე, მეცხრე ასეულის ნებითგანწესებული კი დავხვრიტეთ იმი-

ტომ, რომ იერიშზე წასვლაზე უარი განაცხადა, ფეხები მაქვს დასიებული და ბრტყელტერფიანობა მაწუხებსო. „მაშ ასე, გაასუფთავებთ თუ არა ფეხისადგილს?“—„არა, არ გავასუფთავებ!“ პოლკოვნიკმა შემომხედა და მკითხა: „ერთი ეს მითხარით, თქვენ სლავიანოფილი ხომ არა ხართ?“ „არა“! — ვუპასუხე. ყოველივე ამის შემდეგ გამიყვანეს და გამომიცხადეს, ბრალი გედებათ აჯანყებაში.

— ყველაზე უკეთესია, — თქვა შვეიკმა, — თუ შენს თავს იდიოტად გამოაცხადებ. როცა მე საგარნიზონო ნაობახტში ვიჯექი, ჩვენთან იყო ერთი ძალიან ჭკვიანი, განათლებული ადამიანი, კომერციული სკოლის მასწავლებელი. იგი ბრძოლის ველიდან გამოიპარა, ასე რომ დიდი პროცესის წამოწყებაც კი დააპირეს და სხვების შესაშინებლად მისი ჩამოხრჩობა გადაწყვიტეს. ყოველივე ამას კი სულ იოლად დაუძვრა: თითქოს მძიმე სნეულება მემკვიდრეობით თაობიდან-თაობაში გადმოდის მის გვარში, და შემოწმების დროს შტაბის ექიმს განუცხადა, დეზერტირობას ტყუილად მიყენებთ ბრალად, მე აზრადაც არ მომსვლია ბრძოლის ველიდან გაქცევა, უბრალოდ ბავშვობიდანვე ხეტიალი მიყვარს და რაღაც იდუმალი ძალა ყოველთვის მიხმობს შორს, შორს, უცხო ქვეყნებისკენო; ერთხელ ჰამბურგში გამეღვიძა, მეორედ — ლონდონში, და ვერასგზით ვერ გავიგე, რანაირად აღმოვჩნდი ამ ქალაქებში. მამაჩემი ალკოჰოლიკი იყო, და თავისი სიცოცხლე თვითმკვლელობით დაასრულა ორიოდე თვით ადრე, ვიდრე მე დავიბადებოდი; დედა — როსკიპი იყო, უმცროსმა დამ წყალში დაიხრჩო თავი; უფროსი — მატარებელს შეუვარდა ბორბლებში, ძმა ვიშეჰრადის სარკინიგზო ხიდიდან გადმოვარდა. ბაბუაჩემმა თავისი ცოლი მოჰკლა, მერე თვითონ ნავთი გადაისხა და ცოცხლად დაიწვა; მეორე ბებია ბოშებთან დაეხეტებოდა და ციხეში თავი მოიწამლა ასანთით; ბიძაშვილი რამდენჯერმე სამართალში იყო მიცემული ცეცხლის წაკიდებისთვის და კარტოუზებში * არტერია გადაიჭრა მინის ნატეხით; მამიდაშვილი ვენაში მეექვსე სართულიდან გადმოვარდა. ჩემს აღზრდაზე არავინ ზრუნავდა, და ათ წლამდე მეტყველება მქონდა წართმეული, რადგან ერთხელ, როცა ექვსი თვისა ვიყავი და მაგიდაზე ჩვრებში მახვევდნენ, რატომღაც ყველანი გავიდნენ ოთახიდან, ამ დროს კატა შემოვიდა და ასე უპატრონოდ რომ დამინახა, მაგიდიდან გადმომათრია, გადმოვარდნისას თავი დავკარი იატაკს. პერიოდულად ამის გამო საშინელი თავის ტკივილი მაწუხებს და მაშინ აზრზე არა ვარ, რას ჩავდივარ. აი, სწორედ ასეთ მდგომარეობაში ვიყავი, როცა ფრონტიდან პრაღაში წავედი, და მხოლოდ მოგვიანებით მოვედი გონს, როცა „უ ფლე კთან*“ სამხედრო პოლიციამ დამაპატიმრაო. უნდა გენახათ, რა სწრაფად გაათავისუფლეს იგი სამხედრო სამსა-

ხურიდან; ხუთმა ჯარისკაცმა, რომლებიც მასთან ერთ საკანში ისხდნენ, ყოველი შემთხვევისთვის დაიწერეს ქაღალდზე:

მამა — ალკოჰოლიკი, დედა — როსკიპი.

1. და (თავი დაიხრჩო წყალში).
2. და (მატარებელს ჩაუვარდა ბორბლებში).
3. ძმა (ხიდიდან)
4. ბაბუა, ცოლი, ნავთით, დაიწვა.
5. ბებია (ბოშები, ასანთი) და ა. შ.

მაგრამ, როცა ერთმა მათგანმა ყოველივე ამის შესახებ დაუწყო ლაქლაქი შტაბის ექიმს მას ჯერ ბიძაშვილის ამბები არ ჰქონდა მოთავებული, შტაბის ექიმმა (ეს უკვე მესამე შემთხვევა იყო!) შეაწყვეტინა: „შენი მამიდაშვილი კი ვენაში მეექვსე სართულიდან გადმოვარდა, შენს აღზრდაზე — შე თაღლითო შენა! — არავინ ზრუნავდა, მაგრამ შენს ხელახლა აღზრდაზე ახლა იზრუნებენ პატიმართა ასეულში“. წაიყვანეს ციხეში, შტენგლი დაადვეს — ერთბაშად გაუქრა ცუდი აღზრდის შედეგებიც, ალკოჰოლიკი მამის მემკვიდრეობაც, როსკიპი დედის საძრახისი ქცევაც, და ამჯობინა თავისი ფეხით წასულიყო ფრონტზე.

— ამჟამად, — თქვა ნებითგანწესებულმა, — სამხედრო სამსახურში არავის სჯერავს მძიმე მემკვიდრეობის შედეგები, თორემ გენერალური შტაბების ოფიცრები ყველანი საგიჟეთში იქნებოდნენ დასამწყვდევი.

რკინით მოჭედილ კარებში გასაღები გაჩხარუნდა და პროფოსი შემოვიდა.

— ქვეითი ჯარისკაცი შვეიკი და მესანგრე ვოდიჩკა — ბატონ აუდიტორთან!

ორთავე წამოდგა, ვოდიჩკამ მიმართა შვეიკს:

— აი, არამზადები, ყოველ ცისმარე დღეს დაკითხვა, შედეგი კი არავითარი! დალახვროს ეშმაკმა, ბარემ აიღონდა, მოგვისაჯონ რამე და მოგვეშვან, წარამარა ნუღარ გვაწუხებენ. მთელი დღეები უსაქმოდ ვაგდივართ, ეს მადიარი ავარები კი ჩვენ თვალწინ დაწანწალებენ...

გზაში, დივიზიის სასამართლოს კანცელარიაში რომ მიდიოდნენ, რომელიც ბარაკის მეორე ბოლოში იმყოფებოდა, მესანგრე ვოდიჩკა და შვეიკი მსჯელობდნენ და ვარაუდობდნენ, ბოლოს და ბოლოს როდის წარსდგებოდნენ ნამდვილი სასამართლოს წინაშე.

— მხოლოდ დაკითხვა და დაკითხვა დაუსრულებლად, — ღელავდა ვოდიჩკა, — გამოდიოდეს მაინც რამე ამ დაკითხვებიდან, ხარჯავენ აუარებელ ქაღალდს, დაგალპობენ ციხეში, ნამდვილ სასამართ-

ლოს კი თვალითაც ვერ იხილავ. აბა, მითხარი ერთი, მათი შეჭამანდის ჭამა შეიძლება? განა საჭმელი ჰქვია მათ კომბოსტოსა და დამზრალ კარტოფილს? ეშმაკმა დალახვროს, ასეთი იდიოტური მსოფლიო ომი ჩემს სიცოცხლეში არ მინახავს! ყველაფერი ეს სულ სხვანაირად მქონდა წარმოდგენილი.

— მე კი კმაყოფილი ვარ, — უთხრა შვეიკმა. — ჯერ კიდევ ამ რამდენიმე წლის წინათ, როცა ნამდვილ სამხედრო სამსახურში ვიყავი, ჩვენი ფელდფებელი სოლპერა გვეტყოდა ხოლმე: „სამხედრო სამსახურში ყველამ თავისი მოვალეობა უნდა იცოდეს!“ და ამ დროს ისე გვლეწავდა სახეში, რომ გაჩენის დღეს გვაწყევლინებდა! ანდა აწ განსვენებული ობერ-ლეიტენანტი კვაიზერი შაშხანების დასათვალიერებლად როცა მოვიდოდა, ყოველთვის ლექციებს გაგვიმართავდა იმის შესახებ, რომ სალდათს უფლება არა აქვს თავის გრძნობებს აჰყვესო: სალდათი მხოლოდ პირუტყვია, სახელმწიფო მას აჭმევს და ასმევს, აძლევს ყავას, თამბაქოს, ყალიონს, — ის კი ვალდებულია ხარივით ეწეოდეს უღელსო.

მესანგრე ვოდიჩკა ჩაფიქრდა და ერთი წუთის შემდეგ თქვა:

— შვეიკ, როცა აუდიტორთან მიხვალ, იცოდე ტყუილებში არ შეტოპო, გაიმეორე ის, რაც ამას წინათ დაკითხვაზე თქვი, თორემ ხათაბალაში გავებმები. რაც მთავარია, შენ ხომ თვითონაც ნახე, თავს როგორ დამესხნენ მადიარები. კაცმა რომ თქვას — მე და შენ ამ საქმეში ორივეს ერთნაირად გვირევია ხელი.

— ნუ გეშინია, ვოდიჩკა, — ამშვიდებდა შვეიკი. — მთავარია — მშვიდად იყო, არ აღელდე. უნდა წარსდგე რომელიღაც დივიზიის სასამართლოს წინაშე, — მერე რა მოხდა, რა არის აქ ისეთი! შენ უნდა გენახა, წინათ როგორ მოქმედებდა სამხედრო სასამართლო. იყო ჩვენთან ნამდვილ სამხედრო სამსახურში ერთი მასწავლებელი ჰერალი. ჰოდა, როცა მთელს ჩვენს ოცეულს სასჯელად ქალაქში გასვლა აეკრძალა, იწვა ეს ჰერალი საწოლზე და გვიამბობდა, რომ პრაღის მუზეუმში არის მარია ტერეზას დროინდელი სამხედრო სასამართლოს ჩანაწერთა წიგნი, — თვითეულ პოლკში, თურმე. თავისი ჯალათი ჰყავდათ, რომელიც სიკვდილით სჯიდა ჯარისკაცებს — თითო ჯარისკაცში თითო ტალერს ღებულობდა. ამ ჩანაწერებით გამოდიოდა, რომ ასეთი ჯალათი ზოგჯერ დღეში ხუთ ტალერს გამოიმუშავებდა. თავისთავად ცხადია, — დინჯად დასძინა შვეიკმა, — მაშინ პოლკებში უფრო მეტი ხალხი იყო და მათ განუწყვეტლივ ავსებდნენ სოფლებიდან მორეკილი ხალხით.

— როცა მე სერბიაში ვიყავი, — თქვა ვოდიჩკამ, — ჩვენს ბრიგადაში ყველას, ვინც სურვილს განაცხადებდა „უცხოების“ ჩამოხრ-

ჩობაზე, სიგარეტებით უხდიდნენ გასამრჯელოს: თუ სალდათი მამაკაცს ჩამოახრჩობდა, ათ ცალ სიგარეტ „სპორტს“ მიიღებდა, ქალის ან ბავშვის ჩამოხრჩობაში — ხუთ ცალს აძლევდნენ. მერე საინტენდანტო ხელმომჭირნეობის გზას დაადგნენ და გროვად დახვრეტას მიჰყვეს ხელი. ჩვენთან ერთი ბოშა მსახურობდა. არავინ იცოდა, რომ იგი ამ ხელობას მისდევდა. ოღონდ გვიკვირდა, რომ მას ყოველდამე კანცელარიაში ეძახდნენ. ჩვენ მაშინ დრინაზე ვიდექით და აი, ერთხელ ღამით, როცა იგი წასული იყო, ვიღაცას თავში მოუვიდა — მოდი ერთი მის ნივთებს გადაქექაო, და რა აღმოჩნდა—ნივთჩანთაში ამ ღვთისაგან შეჩვენებულს სიგარეტებით სავსე სამი დიდი კოლოფი ჰქონდა — თითოში არანაკლებ ასი ცალი იქნებოდა. დილით იგი დაბრუნდა, და ჩვენ უცებ ავუგეთ მას წესი. წავაქციეთ და ბალოუნმა ქამრით გაგუდა იგი. კატასავით გამძლე იყო, ის ოჯახდაქცეული. — ძველმა მესანგრემ ვოდიჩკამ გადააფურთხა. — ვერასგზით ვერ დავახრჩვეთ. ჩაისვარა, თვალები გადმოუცვივდა და მაინც ცოცხალი იყო ნახევრად დაკლული მამალივით. მაშინ ავიღეთ და, ნაწილ-ნაწილ გლეჯა დავუწყეთ, მთლად ისე, როგორც კატას დაგლეჯენ ხოლმე: ორმა თავში წაავლო ხელი, ორმა ფეხებში, და კისერი გადავუგრიხეთ. მერე თავისივე სიგარეტებიანი ნივთჩანთა შემოვაკარით წელზე და დრინაში გადაეუძახეთ, ღრმა ადგილას. აბა, ახლო ვინ წაეკარებოდა და ვინ მოსწევდა მის წაბილწულ სიგარეტებს! დილით დაუწყეს ძებნა...

— თქვენ უნდა გეპატაკნათ, რომ იგი გაიქცა-თქო, — ავტორიტეტულად დაურთო შეეიკმა, — ამისთვის იგი დიდი ხანია ემზადებოდა, ყოველდღე გაპარვაზე ლაპარაკობდა-თქო.

— მაგი სრულებით არ გვაინტერესებდა,—უპასუხა ვოდიჩკამ.— ჩვენი საქმე გავაკეთეთ, დანარჩენი არ გვეხებოდა. იქ ეს ძალიან უბრალო ამბავი იყო: ყოველდღე ვიღაცა უსათუოდ იკარგებოდა, დამხრჩვალების დრინიდან ამოყვანით თავს არავინ იწუხებდა. არხეინად მიცურავდნენ მდინარე დრინაზე—დუნაისკენ წყლით გასივებული „უცხო“ და მის გვერდით ჩვენი ხელით დასახიჩრებული ბოშა. ვინც პირველად ასეთ სურათს დაინახავდა, ერუანტელი დაუვლიდა ტანში, კანკალი აუვარდებოდა ციებ-ცხელებიანივით.

— ასეთებს ქინაქინი არგებდათ, — თქვა შეეიკმა.

ამ საუბრით შედგეს მათ ფეხი ბარაკში, სადაც დივიზიის სასამართლო იმყოფებოდა, და მებადრაგეებმა ისინი № 8 კანცელარიაში შეიყვანეს, სადაც ქაღალდებით სავსე მაგიდას აუდიტორი რულერი უჯდა.

მის წინ კანონთა კრებული იდო, რომელზეც ნაკლული ჩაის ჭიქა

იდგა. მაგიდაზე აღმართული იყო ჯვარცმა, ყალბი სპილოს ძვლისგან ნახელავი, დამტვერილი ქრისტეთი, რომელიც იმედდაკარგული გადმოყურებდა ფერფლითა და ნამწვებით დაფარულ. თავისი ჯვრის საყრდენს. აუდიტორი რულერი ამ დროს ერთი ხელით ფერფლს აშორებდა სიგარეტს, რისთვისაც ჯვარცმის საყრდენს მუნდშტუკს უკაკუნებდა და ამით კიდევ უფრო აღრმავებდა ჯვარცმული ღმერთის მწუხარებას, მეორეთი კი კანონთა კრებულის გარეკანზე მიწებებულ ჩაის ჭიქის აძრობას ცდილობდა. როგორც იქნა ააძრო ჭიქა და განაგრძო ოფიცერთა საკრებულოდან წამოღებული წიგნის ფურცვლა. ეს იყო ფრ. ს. კრაუზეს წიგნი მრავალმეტყველი სათაურით: „Forschungen zur Entwi[1] cklungsgeschichte der geschlechtlicheu Moral.“

აუდიტორი გართული იყო მამაკაცისა და დედაკაცის სასქესო ორგანოების გულუბრყვილო სურათების რეპროდუქციების თვალიერებით, რომელთაც დართული ჰქონდა სწავლულ ფრ. ს. კრაუზეს მიერ ბერლინის დასავლეთი სადგურის საპირფარეშოებში აღმოჩენილი შესაფერისი ლექსები, და შემოსულები ვერ შეამჩნია.

ვოდიჩკამ ჩაახველა, და აუდიტორი მხოლოდ მაშინ გამოეხმაურა შემოსულებს.

---

[1] ხუცესის მორალის ევოლუციის ისტორიული გამოკვლევა (გერმ.)

— Was geht las [1]? — იკითხა მან და შეუნელებელი ინტერესით განაგრძო წიგნის ფურცლა.

— მაქვს პატივი მოგახსენოთ, პანე აუდიტორ, — უპასუხა შვეიკმა, — კოლეგა ვოდიჩკა გაცივებულია და ახველებს.

აუდიტორმა მხოლოდ ახლა შეხედა შვეიკსა და ვოდიჩკას. იგი შეეცადა თავისი სახისთვის მკაცრი გამომეტყველება მიეცა.

— როგორც იქნა მოაწიეთ? — თქვა აუდიტორმა და მაგიდაზე დაყრილ საქმეებს დაუწყო ქექვა. — მე ათი საათისთვის გამოგიძახეთ, ახლა კი თითქმის თერთმეტი სრულდება. როგორ დგახარ, ვირო? — უყვირა მან ვოდიჩკას, რომელიც „თავისუფლად“ იდგა. — როცა გიბრძანებთ „თავისუფლად“, მაშინ შეგიძლიათ ისე გაფარჩხოთ ეგ თქვენი მობრეცილი ფეხები, როგორც გსურთ.

— მაქვს პატივი მოგახსენოთ, პანე აუდიტორ, — უთხრა შვეიკმა, — ამას რევმატიზმი აწუხებს.

— ენა ჩაიგდე მუცელში, — შეუტია აუდიტორმა რულერმა. — მიპასუხებ, როცა შეგეკითხები. შენ უკვე სამჯერ იყავი ჩემთან დაკითხვაზე და ყოველთვის ზედმეტს ლაყბობ... ვიპოვი თუ ვერ ვიპოვი, ბოლოს და ბოლოს ამ თქვენ საქმეს? გამიჩინეთ რაღა სახათაბალო საქმე, თქვე არამზადებო, თქვენა! თქვენ ეს ასე იოლად არ ჩაგივლით, ტყუილუბრალოდ სასამართლოს გადატვირთვა თქვენი იშკილბაზობით! ყური მიგდეთ, თქვე უქნარებო, თქვენა, — დაურთო მან და ქაღალდების გროვიდან ამოათრია დიდტანიანი საქმე, სათაურით: „Schwejk und Woditschka“ [2]. არ გეგონოთ, რომ რომელიღაც თქვენი სულელური კინკლაობისთვის მხართეძოზე წამოწვებით დივიზიის სატუსაღოში და დროებით ფრონტს ასცდებით. თქვე რეგვენებო, თქვენი გულისთვის არმიის შტაბის სასამართლოში დამჭირდა დარეკვა.

აუდიტორმა ამოიხვნეშა.

— რა აბრაამის ბატკანივით გამოიყურები, შვეიკ? — განაგრძო მან. — ფრონტზე დაკარგავთ ჰონვედებთან ბრძოლის ყოველგვარ სურვილს. თქვენი საქმე წარმოებით წყდება, და თქვენ-თქვენს ნაწილში წახვალთ, სადაც სასჯელს დისციპლინარული წესით მოიხდით, მერე თქვენს სამარშო ასეულთან ერთად ფრონტს ესტუმრებით. გირჩევთ, ამიერიდან ხელში აღარ ჩამივარდეთ, თქვე უქნარებო, თორემ ისეთ დღეს დაგაყენებთ, რომ ჭამის მადა დაგეკარგებათ!

---

[1] რაშია საქმე? (გერმ.)

[2] შვეიკი და ვოდიჩკა (გერმ.).

ეს თქვენი გათავისუფლების ორდერია, მოკიდეთ ხელი, და წესიერად მოიქეცით. ახლა მიბრძანდით მეორე ნომერში. გაიყვანეთ!

— მაქეს პატივი მოგახსენოთ, პანე აუდიტორ, — მიმართა შვეიკმა, — თქვენს სიტყვებს გულში აღვიბეჭდავთ და დიდ მადლობას გწირავთ გულკეთილობისთვის. სამხედრო სამსახური რომ არა, ჩემს თავს ნებას მივცემდი შეთქვა — თქვენ ოქრო ადამიანი ხართ. ამავე დროს ჩვენ ორთაე კიდევ და კიდევ ბოდიშს ვიხდით, ასე რომ გაწვალდით ჩვენი კუდში სდევით. ჩვენ, მართალი გითხრათ, ამის ღირსი არა ვართ.

— მომშორდით თავიდან, თვალით აღარ დაგინახოთ! — უყვირა აუდიტორმა შვეიკს. — პოლკოვნიკი შრედერი რომ არ გამოგსარჩლებოდათ, მაშინ ნახავდით, რა დღეში ჩავარდებოდით.

ვოდიჩკამ ძველ ვოდიჩკად მხოლოდ მაშინ იგრძნო თავი, როცა დერეფანში გავიდა და შვეიკთან ერთად ბადრაგას თანხლებით კანცელარია № 2-სკენ გაემართა.

სალდათს სადილზე აგვიანდებოდა.

— აბა, ყმაწვილებო, ცოტა ფეხს აუჩქარეთ. ტილებივით მოღოლავხართ.

ამის საპასუხოდ ვოდიჩკამ უთხრა, თავს ნუ გაგიდის, ღმერთს უმადლე, რომ ჩეხი ხარ, თორემ მადიარი რომ ყოფილიყავი, წესს აგიგებდიო.

რადგან სამხედრო გადამწერები კანცელარიიდან უკვე წასულიყვნენ სადილად, ჯარისკაცს მოუხდა შვეიკისა და ვოდიჩკას უკან, დივიზიის სასამართლოს საპატიმროში წაყვანა, თან სამხედრო გადამწერების საზიზღარ მოდგმას სწყევლიდა.

— ამხანაგები ისევ მთელ ქონს მოაცლიან ჩემს სუპს, — წუწუნებდა იგი გულგამწარილებლად, — ხორცის ნაცელად მარტო ძარღვებს დამიტოვებენ. გუშინაც ორს ვაბლდი ბადრაგად. ვიღაცას ჩემი ულუფა აუღია და ნახევარი შეუსანსლავს.

— თქვენ აქ, დივიზიის სასამართლოში, ჭამის მეტი არაფერი გახსოვთ, — უთხრა ვოდიჩკამ, რომელიც საბოლოოდ გამოცოცხლდა და გული მოეცა.

როცა შვეიკმა და ვოდიჩკამ ნებითგანწესებულს უამბეს, თუ რით გათავდა მათი საქმე, მან წამოიძახა:

— მაშ, სამარშო ასეულში, არა, მეგობრებო! გზა მშვიდობისა, — როგორც ჩეხ ტურისტების ჟურნალში წერენ ხოლმე. მზადება ექსკურსიისთვის უკვე დამთავრდა. ჩვენმა სახელოვანმა წინდახედულმა უფროსებმა ყველაფერზე იზრუნეს. თქვენ, რომლებიც ჩაწერილი ხართ, როგორც ჰალიციის ექსკურსიის მონაწილენი, გაუ-

დექით გზას მხიარული გზით. განიმსჭვალეთ სიყვარულით იმ მხარისადმი, სადაც სანგრებს გაგაცნობენ. შესანიშნავი და მეტად საინტერესო ადგილებია. შორეულ უცხოეთში თავს ისე იგრძნობთ, როგორც საკუთარ სახლში, მშობლიურ მხარეში, ასე გეგონებათ, საკუთარ კერას ერთი წუთითაც არ მოშორებიხართ. ამაღლებული გრძნობებით გასწით იმ მხარეში, რომლის შესახებ ჯერ კიდევ მოხუცი ჰუმბოლდტი * ამბობდა: „მთელ ქვეყნიერებაზე ამ ტუტუცურ ჰალიციაზე უფრო წარმტაცი რამ არაფერი მინახავსო“. მდიდარი და ძვირფასი გამოცდილება, რომელსაც ჩვენი ძლევამოსილი ჯარი ჰალიციიდან უკან დახევის დროს ეზიარა, ლაშქრობის პირველ დღეებში, უეჭველად გზის მაჩვენებელ ვარსკვლავად იქცევა მეორე ლაშქრობის პროგრამის შესადგენად. მხოლოდ წინ და წინ, პირდაპირ რუსეთში, და სიხარულის აღსანიშნავად მთელი ვაზნები ჰაერში გაისროლეთ!

ნასადილევს, შვეიკისა და ვოდიჩკას კანცელარიაში წასვლის დრომ რომ მოატანა, მათთან მივიდა ავბედითი მასწავლებელი, რომელმაც ლექსი შეთხზა ტილებზე, გაიყვანა ორთავე გვერდზე და იდუმალად უთხრა:

— არ დაგავიწყდეთ, რუსების მხარეს როცა მოხვდებით, იმწამსვე უთხარით რუსებს: „Здравствуйте, русские братья, мы братья чехи, мы нет австрийцы“.

როცა ბარაკიდან გამოდიოდნენ, ვოდიჩკამ მოისურვა დემონსტრატიულად გამოეხატა თავისი ზიზღი მადიარების მიმართ და თან ეჩვენებინა, რომ პატიმრობამაც კი ვერ შეარყია და ვერ გასტეხა მისი რწმენა, შიშველ ფეხზე ფეხი დააბიჯა იმ საცოდავ მადიარს, რომელიც პრინციპულად სამხედრო სამსახურს უარყოფდა, და დაუღრიალა:

— ფეხთ ჩაიცვი, ძაღლიშვილო!

— ძალიან ვწუხვარ, რომ არაფერი მიპასუხა, — უთხრა ვოდიჩკამ შვეიკს. — ერთი წამოცდენოდა რამე! იმწამსვე შუაზე გავხლეჩდი. ის დოყლაპია კი ხმას არ იღებს, გინდ ფეხზე დაადგი ფეხი, გინდ თავში ჩაარტყი. ეშმაკმა დალახვროს, შვეიკ, სიბრაზისგან პირდაპირ ვიხრჩობი, რომ არაფერი შომისაჯეს! გამოდის, რომ დაგვცინიან და აბუჩად გვიგდებენ, მადიარებთან მთელი ეს აყალმაყალი გროშ-კაპიკად არ ღირებულა. მერედა, თავი არ გამოგვეჩინა მაინც, ლომებივით ვიბრძოდით. შენ ხარ, შვეიკ, დამნაშავე, რომ არაფერი მოგვისაჯეს და ისეთი ცნობა მოგვცეს, თითქოს ჩხუბიც კი არ შეგ-

* გამარჯობათ, ძმებო რუსებო, ჩვენ ჩეხი ძმები ვართ, ჩვენ არა ავსტრიელები“. (რუს. შეცდომებით).

ვიძლია ხეირიანად. ვინ ვგონივართ ჩვენ მათ? რაც გინდა ისა თქვი, და საკმაოდ მაგარი ჩხუბი კი გადავიტანეთ.

— ჩემო კარგო, — გულკეთილად უთხრა შვეიკმა, — მე რაღაც არ მესმის, რად არ გახარებს ის, რომ დივიზიის სასამართლომ აბსოლუტურად წესიერ ადამიანებად გვცნო და ჩვენს წინააღმდეგ არაფერი ცუდი უდეეს გულში. „მართალია, დაკითხვის დროს მე ყოველნაირად თავს ვიძვრენდი, მაგრამ ეს ხომ ასეა მიღებული“, — ეუბნება ხოლმე ადვოკატი ბასი თავის კლიენტებს. როცა აუდიტორმა მკითხა, რად შევიჭერით ბატონ კაკონის ბინაში, ამაზე უბრალოდ ეუპასუხე: „მეგონა, უფრო ახლო გავიცნობდით ბატონ კაკონის, თუ მასთან სტუმრად ვივლიდით-მეთქი“. ამის შემდეგ აღარაფერი უკითხავს აუდიტორს, ეს საესებით საკმარისი იყო მისთვის. ერთხელ და სამუდამოდ დაიმახსოვრე, — განაგრძო შვეიკმა თავისი მსჯელობა, — სამხედრო მსაჯულებს არაფერში უნდა გამოუტყდე. როცა გარნიზონის ნაობახტში ვიჯექი, მეზობელი საკანის ერთი სალდათი გამოტყდა; როგორც კი დანარჩენმა ტუსაღებმა ეს გაიგეს, ერთი მაგრად მიბეგვეს ის ჯარისკაცი და აიძულეს უარეყო თავისი დანაშაულის აღიარება.

— მე რომ რამე უსაქციელობა ჩავიდინო, არასგზით არ გამოვტყდები, — თქვა მესანგრე ვოდიჩკამ. — მაგრამ როცა იმ ვაუბატონ-

მა აუდიტორმა პირდაპირ დამისვა კითხვა: „იჩხუბეთ?“ — მეც ვუპასუხე: „დიახ, ვიჩხუბე“. — „გალახეთ ვინმე ამ ჩხუბში?“ — „დიახ, პანე აუდიტორ“. — „დასჭერით ვინმე ჩხუბის დროს?“ — „რა თქმა უნდა, პანე აუდიტორ“. დაე, იცოდეს, ვის ელაპარაკება! ეს რა თავლაფი დაგვესხა, რომ გაგვათავისუფლეს! ისე გამოდის, აუდიტორს თითქო არა სჯერა, რომ ამ მადიარ ოინბაზებს ზურგი ავუბრელე ჩემი ქამრით, რაც სიგრძე ჰქონდათ, ის სიბრტყე მივეცი, ჩაგულილავე თვალები, შუბლზე კოპები დავასვი. შენ ხომ იქ იყავი და შენი თვალით ნახე, სამი აყლაყუდა მადიარი როგორ მეძგერა, მაგრამ ერთ წუთსაც არ გაუვლია, სამივე მიწაზე ეყარა და ფეხებით ვთელავდი. ყოველივე ამის შემდეგ ვიღაც წვინტლიანი აუდიტორი სწყვეტს ძიებას. ეს ისე გამოდის, მას რომ ჩემთვის ეთქვა: „ვიღაც ცინგლიანი ჩხუბში ებმებაო“. აი, დამთავრდება აგერ საცაა ომი, ისევ სამოქალაქო გაეხდები, მე იმ დოყლაპიას მოვნახავ და ვაჩვენებ, რანაირი ჩხუბი ვიცი. მერე აქ, კირალიჰიდეში ჩამოვალ და ისეთ ცემა-ტყეპას გავმართავ, კაცს სიზმარშიც არ ენახოს: ხალხი სარდაფებში დაიმალება, როგორც კი გაიგებენ, რომ ჩამოვედი ამ კირალიჰიდელ მაწანწალების, ამ გაიძვერების, ამ ტაკი-მასხარების სანახავად!

* * *

კანცელარიაში სწრაფად მოგვარდა საქმე. ფელდფებელმა, რომელიც ახალი ნასადილევი იყო და ტუჩები ჯერ ისევ გაქონილი ჰქონდა, შვეიკსა და ვოდიჩკას გათავისუფლების ქაღალდები გადასცა და არ დააყოვნა სიტყვით მიემართა, რომლითაც წესიერებისკენ მოუწოდებდა. მისი სიტყვა (იგი სილეზიელი პოლონელი იყო) შემკობილი იყო სილეზიის დიალექტის მარგალიტებით, მაგალითად: „marekvium,“ „glupi rolmopsie“, „krajcovà seodmiua“, „svina porypàuà a dum vàm banè na mjesjnuckovy vasi gzichty.“ [1]

შვეიკსა და ვოდიჩკას თავ-თავის ნაწილებში აგზავნიდნენ. როცა შვეიკი ვოდიჩკას ეთხოვებოდა, ასე უთხრა:

— როგორც კი ომი დაძთავრდება, უთუოდ მომინახულე. საღამოს ექვსი საათიდან ყოველთვის ვიქნები სამიკიტნო „უ კალიხაში“, ბოიშტეზე.

— რა თქმა უნდა, მოვალ, — უპასუხა ვოდიჩკამ. — სასკანდალო ამბები თუ ხდება ხოლმე იმ თქვენს სამიკიტნოში?

---

[1] მსუნაგებო, ბრიყვებო, ჯვრის შვიდიანებო, ბინძურო ღორებო, ერთი ჩაგაფარებთ მაგ უშნო სიფათში (პოლონ.).

— იქ ყოველდღე აყალმაყალია, — უთხრა შვეიკმა, — მაგრამ ვინიცობაა სიჩუმე ჩაძოვარდა დიდი ხნით, ჩვენ თვითონ შეგვიძლია აეტეხოთ ჩხუბი.

ასე დასცილდნენ ერთმანეთს მეგობრები, მაგრამ კარგა მანძილი რომ გაიარა თვითეულმა, ძველმა მესანგრემ ვოდიჩკამ გამოსძახა შვეიკს:

— იცოდე, იზრუნე იმაზე, რომ რაიმე გართობა იყოს, როცა მე მოვალ.

საპასუხოდ შვეიკმა გასძახა:

— უთუოდ მოდი, ომი რომ დამთავრდება!

განაგრძეს გზა, უფრო მეტად დასცილდნენ ერთმანეთს, და უეცრად მეორე რიგის ბარაკების კუთხიდან მოისმა ვოდიჩკას ხმა:

— შვეიკ, შვეიკ! რა ლუდია „უ კალიხაში"?

შვეიკი ეხოსავით გამოეხმაურა:

— ველკოპოპოვიცკის!

— მე მეგონა, სმიხოვის იქნებოდა! — გაჰყვიროდა შორიდან მესანგრე ვოდიჩკა.

— იქ გოგოებიცაა! — მთელი ძალ-ღონით გასძახა შვეიკმა.

— მაშ ასე, საღამოს ექვს საათზე, ომის შემდეგ! — ღრიალებდა ვოდიჩკა.

— უკეთესი იქნება, შვიდის ნახევარზე თუ მოხვალ, ვინ იცის, იქნებ შემაგვიანდეს! — უპასუხა შვეიკმა.

და კიდევ ერთხელ გაისმა შორიდან ვოდიჩკას ხმა:

— ექვსზე ვერ მოხვალ?

— კარგი, მაგრე იყოს, ექვსზე მოვალ! — მოესმა ვოდიჩკას მიმავალი ამხანაგის ხმა.

Wenn die Leute auseinander gehen,
da sagen sie auf Wiederschen! [1]

---

[1] განშორების დროს მეგობრები იმედით ჩურჩულებენ „ნახვამდის" (გერმ.)

თავი V

მოსტ ნა ლიტავეიან სოკალში

პორუჩიკი ლუკაში ცოფიანივით მიდიმოდიოდა მეთერთმეტე სამარშო ასეულის კანცელარიაში. ეს იყო ბნელი კუნჭული ასეულის ფარდულში, დერეფნისგან მხოლოდ ფიცრულით გამოყოფილი. კანცელარიაში იდგა მაგიდა, ორი სკამი, ნავთიანი ბოთლი და საწოლი. ლუკაშის წინაშე გამოჭიმულიყო უფროსი გადამწერი ვანეკი, რომელიც ამ სადგომში ადგენდა ჯარისკაცთა ჯამაგირების უწყისებს, აწარმოებდა ჯარისკაცთა სამზარეულოს ანგარიშიანობას, — ერთი სიტყვით მთელი ასეულის ფინანსთა მინისტრი იყო, მთელ თავის დღეს აქ ატარებდა და აქვე იძინებდა. კარებთან იდგა კრკონოშივით* წვერ-ულვაშ გაბურძგნილი მსხვილი, ზორბა ქვეითი ჯარისკაცი. ეს იყო ბალოუნი, პორუჩიკის ახალი დენშჩიკი, სამხედრო სამსახურში გამწესებამდე ჩესკე კრუმლოვეს მეწისქვილე.

— კარგი მოუვიდა თქვენს თავს, კარგი დენშჩიკი მე თქვენ მიშოვეთ, — ეუბნებოდა პორუჩიკი ლუკაში უფროს გადამწერს. — დიდი მადლობელი ვარ ასეთი სიურპრიზისთვის! პირველ დღეს მას

ოფიცერთა სამზარეულოში ვაგზავნი სადილის მოსატანად, და გზაში ნახევარი უკვე შეუთქვლიფავს.

— ბოდიშს ვიხდი, გზაში დამექცა, — თქვა ჩასუქებულმა გოლიათმა.

— დავუშვათ მაგრე მოხდა. მაგრამ შეიძლება დაიღვაროს სუპი ან სოუსი და არა შემწვარ-მოხრაკული. შენ ხომ ამ მოხრაკულისგან მხოლოდ ერთი ციცქნაღა მოიტანე. სადღა გაქრა ვაშლის რულეტი?

— მე...

— ტყუილს ნუ ამბობ. შენ ისიც შეთქვლიფე! — უკანასკნელი სიტყვა პორუჩიკმა ისე მკაცრად და ისეთი ენერგიული ჟესტით წარმოთქვა, რომ ბალოუნმა უნებლიეთ ორი ნაბიჯით უკან დაიხია.

— მე გამოვიკითხე სამზარეულოში, დღეს რა გვქონდა სადილად. ყოფილა სუპი ღვიძლის ფრიკადელკებით. რა იქნა ეს ფრიკადელკები? თითო თითოს აძრობდი გზაში და ულაპავდი? ცხადია ასე იყო. ყოფილა კიდევ მოხარშული ძროხის ხორცი კიტრით. სადაა ეს ხორცი? ისიც შესანსლე, რა თქმა უნდა. ორი ნაჭერი ფრანკფურტული მოხრაკული, შენ კი მომიტანე მხოლოდ ნახევარი ნაჭერი. მერე? ყოფილა კიდევ ორი ნაჭერი ვაშლის რულეტი. სადაა ისინი? ყველაფერი შეთქვლიფე, შე ქეციანო, ბინძურო ღორო! მიპასუხე, სადაა ვაშლის რულეტი? იქნებ ტალახში ჩაგივარდა? მაჩვენე ერთი, შე გაიძვერა, შენა, სად აგდია ის, რა ტალახშია ამოსვრილი. ჰო, მართლა, იქ აკი ძაღლმა მიირბინა, თითქოს განგებ დაუძახესო, იპოვა რულეტი, პირი დაავლო და გააქანა! ღმერთო ჩემო, ეს ვინა ყოფილა! ისე დაგილეწავ მაგ ცხვირ-პირს, რომ მშობელმა დედამ ვეღარ გიცნოს! ამას არ უყურებთ, ამ ბინძურ ღორს, თავის მართლებასაც რომ ლამობს! იცი, ვინ დაგინახა? უფროსმა გადამწერმა ვანეკმა. მოვიდა ჩემთან და მითხრა: „მაქვს პატივი მოგახსენოთ, პანე პორუჩიკ, თქვენი ბალოუნი, ის ძაღლიშვილი, თქვენს სადილს ჭამს. გავიხედე ფანჯარაში და რას ვხედავ, გამალებით იტენის პირში ყველაფერს, თითქოს მთელი კვირა არაფერი ეჭამოსო“. ერთი ეს მითხარით, უფროსო გადამწერო ვანეკ, ნუთუ ამ პირუტყვზე უკეთესი ვერავინ მიშოვეთ?

— მაქვს პატივი მოგახსენოთ, პანე ობერ-ლეიტენანტ, მთელს ჩვენს სამარშო ასეულში ბალოუნი ყველაზე უფრო წესიერ სალდათად მომეჩვენა. ეგ ისეთი ლენჩი ვინმეა, რომ შაშხანის ვერც ერთი ილეთი ვერასგზით ვერ დაიმახსოვრა, და მაგისთვის თოფი რომ მიეცათ ხელში, ვინ იცის, რა უბედურებას დაატრიალებდა. უკანასკნელ სასწავლო სროლის დროს ფუჭმუხტიანი ვაზნებით კინაღამ

თვალები დაუბრმავა გვერდში მდგომ სალდათს. და აი, გავიფიქრე, იქნებ დენშჩიკობ; მაინც შესძლოს-მეთქი წესიერად.

— და ყოველდღე თავისი ოფიცრის სადილი თქვლიფოს! — თქვა ლუკაშმა. — თითქოს თავისი ულუფა არ ყოფნიდეს. ახლა როგორაა, მგონი, მაძღარი ხარ, არა?

— მაქვს პატივი მოგახსენოთ, პანე ობერ-ლეიტენანტ, მე ყოველთვის მშია. თუ ვინმეს პურის ნატეხი გადარჩება, იმწამსვე სიგარეტებში ვუცვლი, მაინც არ მყოფნის, ასეთი დავიბადე, და რა ვქნა. ერთი წუთით მგონია, — აი ახლა უკვე გავძეხი-მეთქი, — მაგრამ არა! ცოტა ხანიც და, მუცელში რაღაც აბუყბუყდება, თითქოს სრულებით არაფერი მეჭამოს, დახე, ის ოხერტიალი ჩემი მუცელი ისევ საჭმელს მოითხოვს. ზოგჯერ ვფიქრობ, ახლა კი მართლაც მეყოფა-მეთქი, მეტი აღარაფერი ჩამეტევა მუცელში, მაგრამ თქვენც არ მომიკვდეთ! როგორც დავინახავ, რომ ვინმე ჭამს ან მხოლოდ სუნი მეცემა საჭმელის, იმწამსვე მუცელი, თითქოს ის ცოცხით გამორეცხესო — ისევ თავისას მოითხოვს. ამ დროს მზადა ვარ, თუნდაც, ლურსმნები ვყლაპო! მაქვს პატივი მოგახსენოთ, პანე ობერ-ლეიტენანტ, მე ერთხელ უკვე ვითხოვე: ხომ არ შეიძლებოდა ჩემთვის ორმაგი ულუფა მოეცათ. ამ მიზეზით ბუდეიოვიცეში მე პოლკის ექიმთან ვიყავი, მან კი, ნაცვლად ორი ულუფისა, ორი დღით დამტოვა ლაზარეთში და მთელი დღის განმავლობაში ერთი ფინჯანი სუფთა ბულიონი გამომიწერა. „მე შენ გაჩვენებ, შე მამაძაღლო, რა არის შიმშილიო. ერთი კიდევ მოხვდი ჩემს ხელში, და ნაფოტივით წახვალ აქედანო“. მე მარტო გემრიელ საჭმელებზე კი არ მრჩება თვალი, პანე ობერ-ლეიტენანტ, უბრალო საჭმლის დანახვაც კი ისე აღიზიანებს ჩემს მადას, რომ იმწამსვე ნერწყვი მომადგება. უმორჩილესად გთხოვთ, პანე ობერ-ლეიტენანტ, გაეცით განკარგულება, ორმაგი ულუფა დამინიშნონ. თუ ხორცი არ იქნება, გარნირი მაინც მომცენ: კარტოფილი, კნედლიკი, ცოტა სოუსი, ასეთები ხომ ყოველთვის რჩება ხოლმე.

— ვეღარ ამიტანია შენი ასეთი თავის გდება! — უპასუხა პორუჩიკმა ლუკაშმა. — ოდესმე თუ გინახავთ, უფროსო გადამწერო, ამ შტერზე უფრო თავხედი და უსაქციელო სალდათი: შეთქვლიფა ჩემი სადილი და ახლა ორი ულუფაც სურს მიიღოს, ამ სადილს მე შენ დაგამახსოვრებ. უფროსო გადამწერო, — მიუბრუნდა იგი ვანეკს, — წაიყვანეთ ეს სალდათი კაპრალ ვეიდენჰოფერთან, და უთხარით, მაგრად მიაკრას იგი თოკით ბოძზე ეზოში სამზარეულოს მახლობლად ორი საათით. რაც შეიძლება მაღლა მიათოკოს, რომ მარტო ცერებზე იდგეს და უცქიროს, ქვაბში როგორ იხარშება გულაში. ისე მოაწყეთ, რომ ეს გაიძვერა გათოკილი იყოს მაშინ, როცა გულაშის გაცემის



დრო მოვა, რომ საძეხვესთან ატუზულ, დამ'ძეულ ძუკნა ძაღლივით ნერწყვი მოადგეს. მზარეულს უთხარით, ამის ულუფა სხვებს დაურიგოს.

— მესმის, პანე ობერ-ლეიტენანტ, წამოდით ბალოუნ.

როცა წასვლა დააპირეს, პორუჩიკმა შეაჩერა ისინი კარებში, პირდაპირ შეხედა სახეში შეშინებულ ბალოუნს და გამარჯვებულის კილოთი უთხრა:

— მიიღე საკადრისი, შვილოსა? შეგარგოს! და თუ კიდევ ერთხელ ჩაიდენ ასეთ რამეს, ბევრ ლათაიებს აღარ დაგიწყებ, პირდაპირ სამხედრო-საველე სასამართლოს გადაგცემ!

როცა ვანეკი დაბრუნდა და მოახსენა, ბალოუნი უკვე მიკრულიაო ბოძზე, პორუჩიკმა ლუკაშმა უთხრა:

— თქვენ, ვანეკ, მე კარგად მიცნობთ, არ მიყვარს ასეთი სისასტიკე, მაგრამ სხვანაირად არ შემეძლო. ჯერ ერთი იმიტომ, რომ, ხომ იცით, ძაღლს ძვალს რომ წაართმევთ, დაგიღრენთ. მე არ მსურს ჩემს გვერდით ასეთი უნამუსო ცხოვრობდეს. მეორე, — ბალოუნი რომ მიკრულია ბოძზე, — ეს დიდი მორალური და ფსიქოლოგიური მნიშვნელობის მოვლენაა მთელი ასეულისთვის. უკანასკნელ ხანებში სალდათები, როგორც კი მოხვდებიან სამარშო ბატალიონში და უკვე იციან, რომ დღეს თუ ხვალ მათ პოზიციებისკენ გაისტუმრებენ, ყველაფერს აგდებულად უყურებენ. — პორუჩიკმა გატანჯული სახით

განაგრძო: — გუშინწინ ღამის მანევრებზე ჩვენ უნდა გვემოქმედნა ნებითგანწესებულთა სასწავლო რაზმის წინააღმდეგ შაქრის ქარხნის მახლობლად. პირველი ოცეული, ავანგარდი, ასე თუ ისე იცავდა სიწყნარეს გზატკეცილზე, რადგან მას მე თვითონ ვმეთაურობდი, მაგრამ მეორე ოცეული, რომელიც მარცხნივ უნდა წასულიყო და შაქრის ქარხანასთან მზვერავები დაეყენებინა, ისე იქცეოდა, თითქოს ქალაქგარეთ დრო გაეტარებინოს და შინ მხიარულ გუნებაზე ბრუნდებოდა. მღეროდნენ და ფეხებს აბაკუნებდნენ ისე, რომ ალბათ ბანაკშიც კი ისმოდა. გარდა ამისა, მარჯვენა ფრთაზე ადგილმდებარეობის დასაზვერავად ტყის მახლობლად მოდიოდა მესამე ოცეული. ჩვენგან საკმაოდ შორს იყვნენ, მაგრამ მაინც კარგად მოჩანდა, პაპიროსს როგორ აბოლებდნენ ის გაიძვერები. ყველგან ცეცხლის წერტილები ციმციმებდა. მეოთხე ოცეული კი, რომელიც არიერგარდში ითვლებოდა, ეშმაკმა უწყის საიდან სადაო, უეცრად ჩვენი ავანგარდის წინ აღმოჩნდა, ასე რომ ის მტრის დაჯგუფება ეგონათ, და იძულებული გავხდი უკან დამეხია ჩემივე არიერგარდის წინაშე, რომელმაც იერიში მოიტანა ჩემზე. აი როგორი ასეული მხვდა წილად? რანაირად გავართვა თავი ასეთ ასეულს? როგორ მოიქცევიან ამ ასეულის ჯარისკაცები ნამდვილი ბრძოლის დროს? — ამ სიტყვებზე ლუკაშმა თითქოსდა სალოცავად დაიჭდო ხელები და წამებულის სახე მიიღო, ცხვირი კი წაუგრძელდა.

— თქვენ ამას ყურადღებას ნუ მიაქცევთ, პანე პორუჩიკ, — ცდილობდა უფროსი გადამწერი ვანეკი დაემშვიდებინა ლუკაში, — გულთან ახლო ნუ მიიტანთ. მე უკვე სამ სამარშო ასეულში ვარ ნამყოფი, და თვითეულ მათგანს სანაარშო ბატალიონთან ერთად მუსრი გაავლეს, ვინც გადარჩა, სხვა ნაწილებში გაამწესეს. ყველა ეს სამარშო ასეული ერთმანეთს გავდა და არც ერთი მათგანი ოდნავადაც უკეთესი არ იყო თქვენსაზე, პანე ობერ-ლეიტენანტ. ყველაზე უარესი იყო მეცხრე. იმან ყველა თავისი უნტერი და ასეულის მეთაურიც ხელში ჩაუგდო მტერს. მე მხოლოდ იმით გადავრჩი, რომ ამ დროს რომსა და ღვინოზე ვიყავი წასული პოლკის აღალში და მთელი ეს ამბავი უჩემოდ მოხდა... იცით, პანე ობერ-ლეიტენანტ, უკანასკნელი ღამის მანევრების დროს რაზედაც თქვენ ახლახან ინებეთ ჩემთვის გეამბნათ, რა მოუვიდა ნებითგანწესებულთა სასწავლო რაზმს? ამ რაზმს, კარგად მოგეხსენებათ, ჩვენი ასეულისთვის ზურგიდან უნდა შემოეკვლო, მაგრამ გზა-კვალი აებნა და ნეიზიდლერის ტბას* მიადგა. იქ გათენებამდე აღმა-დაღმა იხეტიალა, მზვერავ პატრულებზე კი ნულარ მკითხავთ — იმათმა თურმე პირდაპირ ტბაში შესტოპეს. ამ ასეულს თვით კაპიტანი საგნერი მეთაურობდა. ისინი ამ უგზო-უკვლო ხეტიალში ალბათ შოპრონს მიადგებოდნენ, მაგრამ ინათლა

და მიხვდნენ თავის შეცდომას! — კონფიდენციალურად განაგრძობდა უფროსი გადამწერი, რომელიც ასეთი ამბებისთვის სულსა ლევდა, ყველაფერი, რაც მოხდებოდა, მან უთუოდ იცოდა და, როცა მათ შესახებ ვინმეს მოუთხრობდა, ისეთ სიამოვნებას განიცდიდა, თითქოს კარგ ღვინოს ჭაშნიკს უსინჯავდა. — იცით თუ არა თქვენ, პანე ობერ-ლეიტენანტ, — უთხრა მან ლუკაშს და ინტიმურად თვალი ჩაუკრა, — რომ ბატონი კაპიტანი საგნერი ჩვენი სამარშო ბატალიონის მეთაურად იქნება დანიშნული? შტაბის ფელდფებლის ჰეგნერის თქმით, თავდაპირველად განზრახული იყო თქვენი დანიშვნა მეთაურად, როგორც ყველაზე უფროსისა ჩვენს ოფიცრებს შორის, მაგრამ მერე თითქოს დივიზიიდან ბრიგადაში მოვიდა ბრძანება კაპიტან საგნერის დანიშვნის შესახებ...

პორუჩიკმა ლუკაშმა ქვედა ტუჩი ჩაიკბინა და სიგარეტი გააბოლა.

ყველაფერი ეს მან უკვე იცოდა და დარწმუნებული იყო, რომ მას უმართებულოდ ეპყრობიან. კაპიტანმა საგნერმა უკვე ორჯერ ჩამოიტოვა იგი უკან დაწინაურებაში. მაგრამ ლუკაშმა მხოლოდ თქვა:

— აქ კაპიტან საგნერში როდია საქმე...

— მაინცდამაინც არ მომეწონა მე ეს ამბები, — ინტიმურად შენიშნა უფროსმა გადამწერმა. — ფელდფებელმა ჰეგნერმა მიამბო, რომ ომის დასაწყისში ბატონმა კაპიტანმა საგნერმა მოინდომა თავის გამოჩენა სადღაც ჩერნოგორიის მიდამოებში და ერთიმეორეზე ერეკებოდა თავისი ბატალიონის ასეულებს სერბიელების პოზიციებზე ტყვიამფრქვევთა ცეცხლში, მიუხედავად იმისა, რომ ეს პირდაპირ დამღუპველი იყო და ქვეითი ჯარი იქ საერთოდ ვერაფერს გააწყობდა, ვინაიდან სერბიელებს იმ სალი კლდეებიდან აღგვიდა მხოლოდ არტილერიის ცეცხლი. მთელი ბატალიონიდან მხოლოდ ოთხმოცი კაცილა შერჩა; თვითონ კაპიტანი საგნერი დაიჭრა ხელში, მერე საავადმყოფოში დიზენტერიაც დაემართა და მხოლოდ ამის შემდეგ გამოჩნდა ჩვენთან პოლკში ბუდეიოვიცეში. გუშინ კი თითქოს დიდის ამბით ლაპარაკობდა ოფიცერთა შეკრებულობაში, რომ ფრონტზე ოცნებობს, მზად არის გაჟლიტოს იქ მთელი სამარშო ბატალიონი, სამაგიეროდ აჩვენებს თავის ვაჟკაცობას და Signum laudis-ს [1] მიიღებს. სერბიელთა ფრონტზე თავისი მოღვაწეობისთვის ბრანწი უჩვენეს, მაგრამ ახლა ამ გამწარებულ გულზე ან თავს დადებს მთელი თავისი სამარშო ბატალიონით, ანდა პოდპოლკოვნიკი გახდება, ეს

[1] წარჩინების ნიშანს (ლათ.)

კი სამარშო ბატალიონს პირდაპირ დაღუპავს. ჩემის აზრით, პანე ობერ-ლეიტენანტ, ეს რისკი ჩვენც გვეხება. ამას წინათ ფელდფებელი ჰეგნერი მეუბნებოდა, რომ თქვენ და კაპიტანი საგნერი ვერ ხართ კარგ განწყობილებაში ერთიმეორესთან და რომ პირველ რიგში ბრძოლაში ჩვენს მეთერთმეტე ასეულს გაგზავნის ყველაზე საშიშ ადგილებში.

უფროსმა გადამწერმა ამოიხვნეშა.

— მე თუ მკითხავთ, ასეთ ომში, როგორიც ახლაა, როცა ამდენი ჯარი მონაწილეობს და ასე გაჭიმულია ფრონტის ხაზი, შეიძლება მიაღწიო წარმატებას უფრო მეტად კარგი მანევრირებით, ვიდრე თავგანწირული იერიშებით. მე ამას დავაკვირდი დუკლასთან * ბრძოლის დროს, როცა იქ მეათე სამარშო ასეულში ვიყავი. ერთხანს ყველაფერი კარგად მიდიოდა. მოვიდა ბრძანება „nicht schiessen!"[1] და ჩვენც არ ვისროდით, ველოდებოდით, სანამ რუსები მოგვიახლოვდებოდნენ, და ტყვედ ჩავიგდებდით ხელში ისე, რომ ერთხელაც არ გავისროდით, მაგრამ მაშინ ჩვენს მარცხენა ფრთაზე იდიოტი მოლაშქრეები იდგნენ, მათ ისე შეეშინდათ რუსების, რომ ერობაშად მოუსვეს და თოვლით დაფარულ მთიდან ისე დაეშვნენ ქვემოთ, თითქოს ყინულზე მისრიალებდნენ. ჩვენ მივიღეთ ბრძანება, სადაც ნათქვამი იყო, რუსებმა გაარღვიეს მარცხენა ფრთა და თქვენ ბრიგადის შტაბისკენ უნდა დაიხიოთო. მე მაშინ სწორედ ბრიგადის შტაბში ვიყავი, სადაც ხელმოსაწერად მივიტანე ასეულის სასურსათო წიგნი, ვინაიდან ჩვენი პოლკის აღალს ვერსად მივაგენი. ამ დროს ბრიგადის შტაბში თითო-თითოდ მორბოდნენ მეათე სამარშო ასეულის ჯარისკაცები. საღამოსთვის თავი მოიყარა ას ოცმა კაცმა, დანარჩენებს, როგორც ამბობდნენ, გზა აებნათ უკან დახევის დროს და თოვლიანი მთიდან პირდაპირ რუსების ბანაკში ჩაცურდნენ, თითქოს მარხილებში ისხდნენო. მაშინ კი ვუამეთ შიში, პანე ობერ-ლეიტენანტ. რუსებს კარპატებში პოზიციები ჰქონდათ ქვემოთაც და ზემოთაც, მერე, პანე ობერ-ლეიტენანტ, კაპიტანი სეგნერი...

— თავი დამანებეთ მაგ თქვენი კაპიტანი სეგნერით! — უთხრა პორუჩიკმა ლუკაშმა. — მე ყველაფერი ეს ძალიან კარგად ვიცი. ოღონდ არ იფიქროთ, რომ, როცა ბრძოლა დაიწყება, თქვენ ისევ შემთხვევით სადმე აღალში აღმოჩნდებით და რომისა და ღვინის მიღებასთან დაკავშირებული საქმიანობით იქნებით გართული. მე მითხრეს, რომ თქვენ არაყს ყლურწავთ ხოლმე, საკმარისია შეხედოს კაცმა თქვენს გაწითლებულ ცხვირს, და ერთბაშად მიხვდება, ვისთანაც აქვს საქმე.

[1] არ ისროლოთ! (გერმ.).

— კარპატებში რომ ვიყავით, ეს იმდროინდელია, პანე ობერ-ლეიტენანტ, იქ ძალაუნებურად უნდა დაგელია არაყი: მთებში სადილი ცივი ამოჰქონდათ, სანგრებში თოვლი იდო, ცეცხლის დანთება აკრძალული იყო და მხოლოდ რომით გვედგა სული. რომ მე არა, ჩვენებს იგივე მოუვიდოდა, რაც სხვა სამარშო ასეულებს მოუვიდათ, სადაც არ ჰქონდათ რომი, და ხალხი იყინებოდა. სამაგიეროდ ჩვენთან ცხვირი ყველას წითელი გაუხდა რომისგან, ამას თავისი ცუდი მხარეც ჰქონდა, — ბატალიონიდან მოვიდა ბრძანება, დაზვერვაზე პირველ რიგში გაიგზავნოს ხოლმე წითელცხვირა სალდათებიო.

— ახლა ხომ ზამთარი აღარაა, — მრავალმნიშვნელოვნად ჩაილაპარაკა პორუჩიკმა.

— რომი ისე, როგორც ღვინო, პანე ობერ-ლეიტენანტ, ფრონტზე აუცილებელია ყოველთვის, წლის ყოველ დროში. ეს სასმელები, ასე ვთქვათ, ამხნევებენ ადამიანს. ნახევარი კარდალა ღვინოსა და მეოთხედი ლიტრი რომისთვის ჯარისკაცი ვისაც გნებავთ, იმას შეებრძოლება... ვინ ეშმაკია, კარებზე რომ აკაკუნებს, ნუთუ ვერ ხედავს კარებზე წარწერას: „Nicht klopfen!“ [1]

Herein! [2]

პორუჩიკი ლუკაში შემოტრიალდა სკამზე და დაინახა, რომ კარები ნელა და უხმაუროდ იღებოდა. ასევე უხმაუროდ შემოაბიჯა მეთერთმეტე სამარშო ასეულის კანცელარიაში ყოჩაღმა ჯარისკაცმა შვეიკმა და კარებშივე სამხედრო სალამი მისცა პორუჩიკ ლუკაშს. ადვილი შესაძლებელია სამხედრო სალამით გამოჭიმული იდგა იგი, როცა კარებზე აკაკუნებდა და წარწერას: Nicht klopfen! გულმოდგინედ ათვალიერებდა.

შვეიკს ხელი ქუდზე ჰქონდა მიდებული, და ეს ძალიან უხდებოდა მის სრულიად მშვიდ, უდარდელ ფიზიონომიას. გეგონებოდათ, ძველბერძენთა ქურდობის ღმერთი უბრალო ავსტრიელი ჯარისკაცის ფორმაში გამოწყობილა და ისე გამოცხადებულაო.

პორუჩიკმა ლუკაშმა ერთი წამით მოჭუტა თვალები, როცა ყოჩაღი ჯარისკაცი შვეიკის ალერსიანი და მოსიყვარულე სახე დაინახა. უთუოდ ასეთივე სიყვარულით შესცქეროდა გზასამცდარი, დაკარგული და კვლავ ნაპოვნი ვაჟი თავის მამას, რომელიც შვილის შინ დაბრუნებით გახარებული შამფურზე ცხვრის ცვრიან მწვადებს აშიშხინებდა.

— მაქვს პატივი მოგახსენოთ, პანე ობერ-ლეიტენანტ, მე ისევ

---

[1] არ დააკაკუნოთ! (გერმ.)

[2] შემოდით! (გერმ.)

აქა ვარ, — ალაპარაკდა შვეიკი ისეთი გულწრფელი ძალდაუტანებლობით, რომ პორუჩიკი ლუკაში ერთბაშად გონს მოვიდა.

იმ წუთიდან მოყოლებული, როცა პოლკოვნიკმა შრედერმა განუცხადა ლუკაშს, რომ მას აჰკიდებს შვეიკს, პორუჩიკი ყოველდღე სულ იმას ლოცულობდა, რომ თავის დენშჩიკთან შეხვედრის დღე რაც შეიძლება შორს გადაწეულიყო.

ყოველ დილით პორუჩიკი გაიფიქრებდა ხოლმე: „დღეს იგი არ გამოცხადდება, უთუოდ, კიდევ რაიმეს ჩაიდენდა, და ჯერ არ გამოუშვებენო“.

მაგრამ მთელი ეს ანგარიში და სურვილები შვეიკმა დაამსხვრია თავისი ტკბილი და უბრალო გამოცხადებით.

შვეიკმა ჯერ თვალი შეავლო უფროს გადამწერ ვანეკს, მიუბრუნდა მას სასიამოვნო ღიმილით და ქაღალდები გადასცა, რომლებიც ფარაჯის ჯიბიდან ამოიღო.

— მაქვს პატივი მოგახსენოთ, ბატონო უფროსო გადამწერო, ეს ქაღალდები, რომლებიც პოლკის კანცელარიაში მომცეს, უნდა გადმოგცეთ თქვენ. ეს გახლავთ ჩემი ჯამაგირისა და კმაყოფაზე ჩემი ჩარიცხვის შესახებ.

შვეიკს მეთერთმეტე სამარშო ასეულის კანცელარიაში ისე თავისუფლად და უბოდიშოდ ეჭირა თავი, თითქოს ვანეკთან იგი დიდი ხანია მეგობრობდა. ამაზე უფროსმა გადამწერმა ვანეკმა უპასუხა მხოლოდ: „დადევით მაგიდაზე“.

— კეთილ ინებეთ, უფროსო გადამწერო, დაგვტოვეთ მარტოკა მე და შვეიკი, — ამოოხვრით წარმოთქვა პორუჩიკმა ლუკაშმა.

ვანეკი გავიდა და კარებს უკან გაჩერდა ყურის დასაგდებად, რას ილაპარაკებენო.

პირველად არაფერი ესმოდა. შვეიკი და პორუჩიკი დუმდნენ და დიდხანს შესცქეროდნენ ერთმანეთს. ლუკაში უყურებდა შვეიკს ისე, თითქოს უნდოდა ჰიპნოზის ქვეშ მისი მოქცევა, როგორც მამალი უყურებს ხოლმე დედალს და მის ზურგზე შესახტომად ემზადება.

შვეიკი, როგორც ყოველთვის, მისჩერებოდა პორუჩიკს თბილად და ნაზად, თითქოს უნდოდა ეთქვა: „ისევ ერთად ვართ, ჩემო ძვირფასო ობერ-ლეიტენანტ. ამიერიდან ჩვენ ვეღარაფერი დაგვაშორებს, ჩემო სიცოცხლევ“. ვინაიდან პორუჩიკი დიდხანს არ არღვევდა დუმილს, შვეიკის თვალები ემუდარებოდნენ ნაღვლიანი სინაზით: „ერთი სიტყვა მაინც მითხარი, შენ შემოგევლოს ჩემი თავი, გახსენი ბაგენი შენი“.

ბოლოს პორუჩიკმა დაარღვია ეს გამტანჯველი დუმილი სიტყვე-

ბით, რომლებშიც შეეცადა ჩაექსოვა რაც შეიძლება მაგარი ირონია:

— კეთილი იყოს თქვენი მობრძანება, შეეიკ! დიდი მადლობელი ვარ, რომ მეწვიეთ. როგორც იქნა ვეღირსე თქვენს მობრძანებას, დიდი ხნის ნანატრო სტუმარო.

მაგრამ თავი ვერ შეიკავა და მთელი თავისი ბრაზი, რომელიც უკანასკნელ დღეებში დაუგროვდა, მაგიდაზე მაგრად მუშტის დარტყმით გამოხატა. სამელნე შეხტა და მელნით გათხუპნა ჯამაგირის უწყისი. სამელნესთან ერთდროულად პორუჩიკი ლუკაშიც წამოხტა, შეეიკთან მიიჭრა და დაუღრიალა:

— პირუტყვო!

იგი გიჟივით აქეთ-იქით აწყდებოდა ვიწრო კანცელარიაში და, როგორც კი შეეიკთან აღმოჩნდებოდა, გააფურთხებდა.

— მაქვს პატივი მოგახსენოთ, პანე ობერ-ლეიტენანტ, — უთხრა შეეიკმა პორუჩიკ ლუკაშს, რომელიც განაგრძობდა შფოთვას, დარბოდა კანცელარიაში, წამდაუწუმ მაგიდიდან ქაღალდის ფურცლებს იღებდა, გაშმაგებით ჭმუჭნიდა და ოთახის კუთხეში ისროდა სიბრაზით. — წერილი სრულ წესრიგში ჩავაბარე. იღბლად, შინ დამხვდა თვით პანი კაკონი, უნდა გითხრათ რომ ძალიან ლამაზი ქალია, თუმცა იგი მხოლოდ ატირებული ვნახე.

პორუჩიკი ლუკაში უფროსი გადამწერის საწოლზე ჩამოჯდა და ხრინწიანი ხმით უყვირა შეეიკს:

— როდის მოეღება ყოველივე ამას ბოლო?

შეეიკმა, ვითომ ვერ გაიგონა, ისევ განაგრძო:

— მერე იქ ერთი პატარა უსიამოვნება შემემთხვა, მაგრამ ყველაფერი ჩემს თავზე ავიღე. თუმცა არ დამიჯერეს, რომ წერილებს მე ვწერდი ამ პანის, მაგრამ მაინც, გზა-კვალი რომ ამებნია, დაკითხვის ღროს წერილი გადავყლაპე. მერე რაღაც შემთხვევის გამო, — სხვანაირად ყოვლად შეუძლებელია ამის ახსნა! — პატარა ცემა-ტყეპაში ჩავერიე, მაგრამ ამას ადვილად გადავრჩი. უდანაშაულოდ მცვნეს, გამაგზავნეს პოლკის პატაკზე, და დივიზიის სასამართლოში ძიება შეწყვიტეს. პოლკის კანცელარიაში სულ რამდენიმე წუთი დამაყოვნეს, სანამ პოლკოვნიკი მოვიდოდა. მან ცოტათი გამომლანძღა და მითხრა, დაუყოვნებლივ წახვალ პან ობერ-ლეიტენანტთან, — ესე იგი თქვენთან, პანე ობერ-ლეიტენანტ, — და უპატაკებ, რომ დანიშნული ხარ მასთან ორდინარეცადო. გარდა ამისა, ბატონმა პოლკოვნიკმა მიბრძანა გადმომეცა თქვენთვის, რომ სასწრაფოდ უნდა გაშოცხადდეთ მასთან სამარშო ასეულის საქმეებზე. ამის შემდეგ უკვე ნახევარ საათზე მეტი გავიდა. მაგრამ ბატონმა პოლკოვნიკმა ხომ არ

იცოდა, რომ მე კვლავ პოლკის კანცელარიაში წამიყვანდნენ და იქ თხუთმეტ წუთს, თუ მეტს არა, მაყურყუტებდნენ, — იქ იმისთვის ვიყავი, რომ ამ ხნის განმავლობაში ჯამაგირი დამიკავეს, რომელიც ასეულში კი არა, თურმე, პოლკში უნდა მიმეღო, რადგან პოლკის პატიმრად ვითვლებოდი. იქ ყველაფერი ისე აერიათ და აეწეწათ, რომ კაცი ჭკუას დაჰკარგავდი.

როგორც კი პორუჩიკმა ლუკაშმა გაიგონა, რომ ჯერ კიდევ ნახევარი საათის წინ პოლკოვნიკ შრედერთან უნდა ყოფილიყო, სწრაფად დაიწყო ჩაცმა.

— კიდევ ერთხელ ჩამაგდეთ ხომ ხათაბალაში, შვეიკ! — თქვა მან ისეთი უიმედობით აღსავსე ხმით, რომ შვეიკი შეეცადა მეგობრული სიტყვით მის დამშვიდებას და მიაძახა:

— არა უშავს, ბატონი პოლკოვნიკი დაგელოდებათ, მას სულ ერთია საქმე არაფერი აქვს.

პორუჩიკი ლუკაში ყუმბარასავით მიჰქროდა პოლკოვნიკთან.

პორუჩიკის წასვლის შემდეგ ერთ წუთსაც არ გაუვლია, კანცელარიაში უფროსი გადამწერი ვანეკი შემოვიდა.

შვეიკი სკამზე იჯდა და პატარა თუნუქის ღუმელში ნახშირს უკეთებდა. ღუმელი ხრჩოლავდა და ცუდ სუნს აყენებდა, შვეიკი უმატებდა და უმატებდა ნახშირს, ამით თავს ირთობდა და არავითარ ყურადღებას არ აქცევდა ვანეკს, რომელიც გაჩერებულიყო და რამ-

დენიმე წუთს უყურებდა მას, მაგრამ ბოლოს ვეღარ მოითმინა, ფეხი ჰკრა ღუმელის კარებს და მიხურა, შვეიკს კი უყვირა, გაეთრიე აქედანო.

— ბატონო უფროსო გადამწერო, — ღირსეულად წარმოთქვა შვეიკმა, — ნება მიბოძეთ მოგახსენოთ, რომ თქვენი ბრძანება — გაეთრიე აქედან, და საერთოდ ბანაკიდანო, მიუხედავად ჩემი დიდი სურვილისა, არასგზით არ შემიძლია შევასრულო, რადგან ვემორჩილები უმაღლესი ინსტანციის ბრძანებას. მე აქ ორდინარეცად ვარ გამოგზავნილი, — ამაყად დაუმატა შვეიკმა. — ბატონმა პოლკოვნიკმა შრედერმა მომავლინა მეთერთმეტე სამარშო ასეულში ბატონ ობერ-ლეიტენანტთან, რომელთანაც წინათ დენშჩიკად ვიყავი, მაგრამ ჩემი თანდაყოლილი ინტელიგენტობის წყალობით დამაწინაურეს და ორდინარეცი გავხდი. მე და ბატონი ობერ-ლეიტენანტი ძველი ნაცნობები ვართ. თქვენ რა საქმიანობას ეწეოდით, ბატონო უფროსო გადამწერო, მშვიდობიან დროს?

უფროსი გადამწერი ვანეკი ისე გაბიაბრუებული იყო შვეიკის ფამილარული, ძმაბიჭური მოპყრობით, რომ გადაავიწყდა თავისი სამხედრო ხარისხი, რითაც თავი მოჰქონდა ასეულის ჯარისკაცების წინაშე, და ისე უპასუხა, თითქოს შვეიკის ხელქვეითი ყოფილიყოს.

— აფთიაქის მაღაზია მაქვს კრალუპაში. ჩემი გვარია ვანეკი.

— მეც ვსწავლობდი სააფთიაქო საქმეს, — უპასუხა შვეიკმა, — პრაღაში, პეტრშინელ პან კოკოშკასთან. იგი უცნაური ვინმე იყო და, როცა მე შეცდომით ბენზინიან კასრს ცეცხლი წავუკიდე და მთელი სახლი გადავუწვი, მან გამაგდო. საამქროში არასგზით აღარ შემიშვა სამუშაოდ, ასე რომ ამ სულელური ბენზინიანი კასრის გამო სწავლა ვეღარ დავასრულე. თქვენ ოდესმე გაგიმზადებიათ სამკურნალო ბალახი ძროხებისთვის?

ვანეკმა უარის ნიშნად თავი გააქნია.

— ჩვენ კი ვამზადებდით ძროხებისთვის სამკურნალო ბალახს და ნაკურთხ პატარა ხატებს. ჩვენი პატრონი კოკოშკა დიდად ღვთისმოსავი ადამიანი გახლდათ; მან ერთხელ სადღაც ამოიკითხა, რომ წმიდა პილიგრიმი პირუტყვს მკურნალობდა მუცლის ბერვისაგან. აიღოდა, სმიხოვეში შეუკვეთა წმიდა პილიგრიმის ხატების დაბეჭდვა. ეს ხატები შემდეგ ემაუზის მონასტერში წაიღო, სადაც ისინი უკურთხეს ორ ოქროდ, მერე ჩვენ მათ ვაწყობდით ძროხების სამკურნალო ბალახთან ერთად კონვერტში სამკურნალო ბალახს თბილ წყალში ალბობდნენ, ნაწურს ვარცლში ასხამდნენ და დასალევად აძლევდნენ ძროხებს. ამ დროს პირუტყვს ლოცვას უკითხავდნენ, რომელიც

შეადგინა ნოქარმა ტაუხენმა. საქმე ასე იყო. როცა წმიდა პილიგრიმის ხატები უკვე მზად იყო, მათ უკანა მხარეზე რამე ლოცვა უნდა დაბეჭდილიყო. ჰოდა, ჩვენმა მოხუცმა კოკოშკამ საღამოთი დაუძახა ნოქარ ტაუხენს და უბრძანა, ხვალ დილისთვის ჩვენი ხატებისთვისა და სამკურნალო ბალახისთვის ლოცვა შეადგინეო. ათ საათზე დუქანში რომ მოვალ, ყველაფერი მზად იყოს სტამბაში გასაგზავნად: ძროხები დიდი ხანია ამ ლოცვას ელოდებიანო. ორში ერთი: თუ კარგ ლოცვას შეადგენ — ერთ ჰულდენს მიიღებ უმალ, თუ არადა, ორ კვირაში სამუშაოს გამოეთხოვეო. პან ტაუხენმა თეთრად გაათენა, დილით წავიდა დუქნის გასაღებად, დაწერილი კი ჯერ არაფერი ჰქონდა. კიდევ მეტი: სამკურნალო ბალახების წმიდანის სახელიც გადავიწყებოდა. მდგომარეობიდან გამოიყვანა იგი მსახურმა ფერდინანდმა. ამ კაცს ყველაფერი ემარჯვებოდა. როცა ჩვენ სხვენზე გვირილას ვაშრობდით ჩაისთვის, იგი გაიხდიდა ხოლმე ფეხსაცმელს და შიშველი ფეხებით შესტოპავდა ამ გვირილაში, — ფეხების გაოფლიანების საწინააღმდეგოდ უებარი წამალიაო. იგი მოხერხებულად იჭერდა სხვის მტრედებს სხვენზე; შეეძლო ფულებიანი ყუთის გახსნა და ფულის შოვნის სხვა საშუალებებსაც გვასწავლიდა. მე, ჯერ კიდევ პატარა ბიჭმა, ისეთი კარგი აფთიაქი გავმართე შინ, რომ იმისთანა „უ მილოსერდნიხშიც“ * არ იყო. — სულ მაღაზიიდან მქონდა

ამოღებული წამლები. ჰოდა, აი სწორედ ამ ფერდინანდმა იხსნა
აპირვებისგან ნოქარი ტაუხენი. „მიბოძეთ, ერთი დავხედო ხატსაო“.
ან ტაუხენმა ლუდზე მაფრინა. მოტანაც ვერ მოვასწარი, ფერდი-
ოდს საქმე სანახევროდ უკვე გაკეთებული ჰქონდა, და მან წაგვი-
ითხა:

ზეციდან ხმები დაირხა,
ეს ხმა ყველას ესმის:
კოკოშკასთან იყიღება
ჯადოსნური ფესვი!
ფესვი ესე უმალ ჰკურნავს
ძროხასა და ხბოსა,
იაფია. არ დაჰკარგავთ
ექიმისთვის დროსაც.

მერე, როცა ფერდინანდმა ლუდი შესვა და გული იჯერა სპირტ-
ე დაყენებული კუპის წვეთებით, საქმე სწრაფად გაიჩარხა და ერ-
ი ხელის მოსმით შესანიშნავად დაასრულა:

თვითონ წმიდა პილიგრიმმა ეს ფესვები მოიგონა,
უებარი წამალია, გულდენი ღირს თითო კონა.
ამიტომაც ის შეეაქოთ, ხოტბა ვუძღვნათ სულით, გულით:
„გლეხებისთვის შენ ხარ შვება, ძროხებისთვის — სიხარული,
შენ ხარ ხალხთა გადამრჩენი,
დაიცავი ჯოგი ჩვენი!“.

როცა პან კოკოშკა მოვიდა, პან ტაუხენი შეეიდა მასთან კანტო-
აში, იქიდან გამოსვლისას კი ორი ოქრო გვაჩვენა, და არა ერთი,
ოგორც დაპირებული ჰქონდა პატრონისგან. ტაუხენმა მოინდომა
ჰ ფულის შუაზე გაყოფა — ერთ ოქროს თვითონ იტოვებდა, ერთს
ერდინანდს აძლევდა, მაგრამ მსახურმა ფერდინანდმა ორი ოქრო
ომ დაინახა, ერთბაშად ფულის სიხარბის ეშმაკი შეუჯდა: „ან ორი-
ე ოქროს მომცემ, ან სულ არაფერი მინდაო!“ პან ტაუხენმა აი-
ოდა, თავისთვის დაიტოვა ორივე ოქრო, ფერდინანდი კი მშრალზე
ატოვა. მერე მე დამიძახა მაღაზიაში, ერთი მაგრად წამითაქა კინ-
რიხოში და მითხრა, ცემით გაგაბრტყელებ, თუ ოდესმე წამოგცდა,
ომ ლოცვა ჩემი შეთხზული არაა. და ვინიცობაა ფერდინანდმა
ამაბეზღოს პატრონთან, შენ უნდა თქვა, რომ მსახური ფერდინან-
ი სცრუობს. იძულებული გავხდი ფიცი დამედო ესტრაგონიანი
მრის ბოთლის წინაშე, რომ ისე მოვიქცეოდი, როგორც ნაბრძანები
ქონდა. ჩვენი მსახური კი შეუდგა ძროხების სამკურნალო ბალახებ-
ე ჯავრის ამოყრას. ჩვენ ამ ბალახებს სხვენზე დადგმულ დიდ-დიდ



ყუთებში ვაგროვებდით. ფერდინანდი კი გულმოდგინედ ეძებდა თა
გვის ცურცლს, აგროვებდა მას და სამკურნალო ბალახებში ჰყრიდა
აქუჩებდა აგრეთვე ცხენის სორსალს, აშრობდა შინ, ავანდასტაში ნა
ყავდა და იმასაც ძროხის სამკურნალო ბალახებს ურევდა. მაგრა
ამითაც არ დაკმაყოფილდა. იგი შარდავდა წმიდა პილიგრიმის ხატე
ბიან სამკურნალო ბალახებში, თავის განავალს ჰყრიდა შიგ, და მერ
ყველაფერ ამას — ბალახებს, ხატებს, განავალსა და შარდს—ერთმა
ნეთში აურდაურევდა. გამოდიოდა რაღაც ქატოს ფაფის მაგვარი..
. გაისმა ტელეფონის ზარი. უფროსმა გადამწერმა მიირბინა დ
ზიზღით დააგდო ყურმილი.

— პოლკის კანცელარიაში უნდა წავიდე. ასე უეცრად... ეს რა
ღაც არ მომწონს.

შვეიკი კვლავ მარტოკა დარჩა.

ერთი წუთის შემდეგ ისევ დარეკა ტელეფონმა.

შვეიკმა აიღო ყურმილი და გაიმართა ტელეფონით საუბარი.

— ვანეკიო? იგი პოლკის კანცელარიაში წავიდა. ვინ არის ტე
ლეფონთანო?.. მეთერთმეტე სამარშო ასეულის ორდინარეცი. ვი
მელაპარაკება ტელეფონით? მეთორმეტე სამარშო ასეულის ორდი
ნარეცი? მიიღეთ ჩემი სალამი, კოლეგა. ჩემი გვარიო?.. შვეიკი გახ
ლავართ. თქვენი? ბრაუნი? ის შენი ნათესავი ხომ არაა, სანაპიროზ

რომ ბრაუნია, კარლინში, მექუდე? არა? ასეთს არ იცნობ?.. მეც არ ვიცნობ. ერთხელ ტრამეაით ჩავიარე ამ ქუჩაზე, და მის აბრას მოვკარი თვალი. ახალი რა არისო?.. მე არაფერი ვიცი. როდის მივდივართო? მე ჯერ არავისთან მქონია გამგზავრებაზე ლაპარაკი. კი, მაგრამ, სად უნდა წავიდეთ?

— აი დოყლაპია! ასეულთან ერთად ფრონტზე, შე შტერო.

— ამის შესახებ ჯერ არაფერი გამიგონია.

— კაი მოუვიდა შენს ცხვირს — კაი ორდინარეცი შენა ხარ! ვინაა შენი ლეიტენანტი?

— ლეიტენანტი კი არა, ობერ-ლეიტენანტი.

— ეგ სულ ერთია. შენი ობერ-ლეიტენანტი პოლკოვნიკთანაა თათბირზე?

— პოლკოვნიკმა გამოუძახა მას.

— აი, ხომ ხედავ, ჩვენიც იქ წავიდა, მეცამეტე ასეულის მეთაურიც წასულია. მე ეს-ესაა იმათ ორდინარეცს ველაპარაკე ტელეფონით. რაღაც არ მომწონს ეს აჩქარება! ხომ არ იცით, ორკესტრის ჯარისკაცები ალაგებენ თუ არა საკრავებს?

— მე არაფერი ვიცი.

— თავს ნუ იგდებ! ამბობენ, თქვენმა უფროსმა გადამწერმა უკვე მიიღო ვაგონების მოთხოვნა. ხომ ასეა? რამდენი ჯარისკაცია თქვენთან?

— არ ვიცი.

— ეჰ, შე ჩერჩეტო, შენა, რა მოგდის, განა შეგეჭამ. (ისმის, ტელეფონში მოლაპარაკე როგორ მიუბრუნდა ვიღაცას — იქეე მყოფს... „ფრანტა, აიღე მეორე ყურმილი და შენი ყურით გაიგონებ, რა ბეყეირათი ვინმეა მეთერთმეტე სამარშო ასეულის ორდინარეცი“)... ჰალო! დაგეძინა, თუ რა მოგვიდა, ხმას რომ აღარ იღებ? მაშ მიპასუხე, როცა კოლეგა გეკითხები. არაფერი იცი, არა? არ დამიმალო, იცოდე. განა უფროსმა გადამწერმა არ გითხრათ, რომ კონსერვებს დაგირიგებენ? შენ ამისთანეებზე მას არ ელაპარაკები? აი ბოთე! ეს შენ არ გეხება? (ისმის სიცილი). რაო... აგური ხომ არ დაგცემია მაგ თავში! ჰოდა ასე, თუ რამე გაიგო, იმწამსვე დამირეკე, შე ლენჩო, შენა, დამირეკე მეთორმეტე სამარშო ასეულში! სადაური ხარ?

— პრაღელი.

— ცოტა მეტი ჭკუა გმართებს. ჰო, აი კიდევ რა, როდის წავიდა კანცელარიიდან თქვენი უფროსი გადამწერი?

— ეს-ესაა ახლა დაუძახეს.

— ჰო-ო? მერედა, აქამდე ვერ მითხარი! ჩვენიც ეს-ესაა ახლა წავიდა. იქ რაღაც ამბები ხდება. აღალს არ ელაპარაკე?

— არა.

— ღმერთო ჩემო, ეს ვინა ყოფილა! პრაღელი მაინც არ იყო, შე საცოდავო. კი, მაგრამ, მთელი დღეობით სად დაყიალებ?

— ერთი საათი იქნება, რაც დივიზიის სასამართლოდან მოვედი.

— ეს სულ სხვა ამბავია, ამხანაგო. მაგრე გეთქვა, შე კაი კაცო! დღესვე შემოვირბენ შენს სანახავად! ჩამოკიდე ყურმილი.

შვეიკმა ჩამოკიდა ყურმილი და ის იყო ჩიბუხი უნდა გაებოლეზინა, ისევ გაისმა ტელეფონის ზარი. „დაგწყეველოთ გამჩენმა, თქვენთან ლაქლაქის თავი სადა მაქვს", — გაიფიქრა შვეიკმა.

მაგრამ ტელეფონი დაჟინებით რეკავდა. ბოლოს შვეიკს მოთმინება დაეკარგა, აიღო ყურმილი და ჩაპყვირა:

— ჰალო! ვინ არის ტელეფონთანო? მეთერთმეტე სამარშო ასეულის ორდინარეცი შვეიკი გახლავართ.

შვეიკმა იცნო პორუჩიკ ლუკაშის ხმა.

— ყველანი დაყრუვდით? სადაა ვანეკი? დაუყოვნებლივ ტელეფონთან მოვიდეს.

— მაქვს პატივი მოგახსენოთ, პანე ობერ-ლეიტენანტ, ტელეფონმა ეს წუთია ახლა დარეკა.

— შვეიკ, მე არ მცალია თქვენთან სალაყბოდ! ტელეფონით ლაპარაკი სამხედრო სამსახურში — ტელეფონით ლაყბობას არ ნიშნავს, თითქოს სადილად მეპატიჟებოდეთ. ტელეფონით უნდა ილაპარაკოთ გარკვევით და მოკლედ. ტელეფონით არ ლაპარაკობენ: „მაქვს პატივი მოგახსენოთ", „პანე ობერ-ლეიტენანტ". მაშ ასე, მე თქვენ გეკითხებით, შვეიკ, მანდაა ვანეკი? დაუყოვნებლივ მოვიდეს ტელეფონთან.

— მაქვს პატივი მოგახსენოთ, პანე ობერ-ლეიტენანტ, ამჟამად იგი ისე ახლო არ არის, რომ ხელში მოგყვეს ადამიანს. ეს-ესაა, ან უფრო სწორედ რომ ვთქვათ, თხუთმეტი წუთი იქნება, ჩვენი კანცელარიიდან პოლკის კანცელარიაში გამოუძახეს.

— დამაცა, მოვალ და, მე შენ გაჩვენებ „ობერ-ლეიტენანტს". აო შეგიძლიათ, ადამიანო, მოკლედ ილაპარაკოთ? დამიგდეთ ყური, და მერე არა თქვათ, ტელეფონში ცუდად ისმოდა, რაღაც ხრიალებდა და ვერაფერი გავიგონეო! დაუყოვნებლივ, როგორც კი ყურმილს დაკიდებთ...

პაუზა.

ისევ ზარი.

შვეიკმა კვლავ აიღო ტელეფონის მილი. იგი ლანძღვა-გინებით ბიკლეს.

— პირუტყვო, ხულიგანო, გაიძვერავ! რას სჩადიხარ? რად შეწყვიტეთ ლაპარაკი?

— თქვენ აკი მითხარით, ყურმილს დაკიდებო...

— ერთ საათში მოვალ და გაჩენის დღეს გაწყველინებ, შე ოხერტიალო, შენა! დაუყოვნებლივ გასწით ბარაკში, მოძებნეთ იქ რომელიმე ოცეულის უფროსი, თუნდაც ფუქსი, და უთხარით, რომ ახლავე წაიყვანოს ათიოდე ჯარისკაცი და წავიდეს საწყობში კონსერვების მისაღებად. გაიმეორეთ, რა უნდა გააკეთოს ფუქსმა?

— ათი ჯარისკაცით წავიდეს საწყობში კონსერვების მისაღებად.

— მადლობა ღმერთს, ცოტათი ჭკუაზე მოხვედით! მე ახლა პოლკის კანცელარიაში დავურეკავ ვანეკს, რომ ისიც წავიდეს საწყობში კონსერვების მისაღებად. თუ მანამდე ბარაკში დაბრუნდეს, ყველაფერს მიანებოს თავი და საწყობში გაიქცეს. ახლა დაკიდეთ ყურმილი.

შვეიკი საკმაოდ დიდხანს და გულმოდგინედ ეძებდა ოცეულის უფროს ფუქსს და სხვა უნტერებს. ყველა ისინი ატუზულიყვნენ სამზარეულოსთან, ძვლებს ღრღნიდნენ და ხორცის ნამცეცებს აცლიდნენ, თან ერთობოდნენ ბოძზე მიბაწრული ბალოუნით, რომელიც მთელი ფეხის გულით იდგა მიწაზე — იგი შეეცოდათ და ცერებზე არ დააყენეს. საინტერესო სანახაობა იყო. ერთ-ერთმა მზარეულმა ბალოუნს ძროხის ნეკნი მოუტანა და პირდაპირ პირში ჩასჩარა. ბოძზე მიკრული დიდწვერა გოლიათი ბალოუნი, რომელსაც საშუალება არ ჰქონდა ხელები მოეხმარა, კბილებისა და ღრძილების დახმარებით ფრთხილად ატრიალებდა პირში ძვალს. იგი ტყის კაციკით ღეჭავდა ხორცს.

— რომელი ხართ აქ ოცეულის მეთაური ფუქსი? — იკითხა შვეიკმა, რომელმაც როგორც იქნა ბოლოს იპოვა უნტერები.

ოცეულის მეთაურმა ფუქსმა არ ჩათვალა საჭიროდ გამოხმაურებოდა შვეიკის შეკითხვას, რადგან დაინახა, რომ მას ვიღაც უბრალო ქვეითი ჯარისკაცი კითხულობდა.

— მე მგონია გასაგებად გეკითხებით, — აუწია ხმას შვეიკმა, — კიდევ რამდენჯერ უნდა შეგეკითხოთ?! რომელია აქ ოცეულის მეთაური ფუქსი?

ოცეულის მეთაური ფუქსი წამოდგა წინ და საკუთარი ღირსების შეგნებით შეუდგა შვეიკის ჭკუის სწავლებას: მე ოცეულის მეთაური კი არა, ბატონი ოცეულის მეთაური ვარ, გარდა ამისა რა გაღრიალებს: „რომელია აქ ოცეულის მეთაურიო?“ წესიერად უნდა იკითხოთ: „მაქვს პატივი მოგახსენოთ, აქ არის თუ არა ბატონი ოცეუ-

ლის მეთაური?“ ჩემს ოცეულში ვისაც დაავიწყდება თქვას: „Ich melde gehorsam“ [1], ერთ მაგარ მუშტს მიიღებს ცხვირში.

— ცოტა ფრთხილად მოსახვევში, თვითონ არ წაამტვრიო ცხვირი! — დინჯად უპასუხა შვეიკმა. — ახლავე წადით ბარაკში, წაიყვანეთ ათი კაცი და სირბილით გასწით საწყობში კონსერვების მისაღებად.

ოცეულის მეთაურს გაოცებისგან ენა ჩაუვარდა და მხოლოდ ერთი სიტყვის წარმოთქმა მოახერხა.

— რაო?...

— ყოველგვარი „რაოს?“ გარეშე, — უპასუხა შვეიკმა. — მე მეთერთმეტე სამარშო ასეულის ორდინარეცი ვარ და ეს-ესაა საუბარი მქონდა ბატონ ობერ-ლეიტენანტ ლუკაშთან ტელეფონით, მან მითხრა: „ფუქსს გადაეცი ჩემი ბრძანება, სირბილით წავიდეს ათი ჯარისკაცის თანხლებით საწყობში“. თუ თქვენ, ბატონო ოცეულის მეთაურო ფუქს, არ ინებებთ წასვლას, მე ახლავე დავბრუნდები ტელეფონთან. ბატონი ობერ-ლეიტენანტი მოითხოვს ყოველ მიზეზს გარეშე თქვენ წახვიდეთ. ლაპარაკი ზედმეტია! „ტელეფონით ლაპარაკი, — ამბობს პორუჩიკი ლუკაში, — მკაფიო და მოკლე უნდა იყოს. რაკი ნაბრძანებია ოცეულის მეთაური ფუქსი წავიდესო, მაშასადამე უნდა წავიდეს ოცეულის მეთაური ფუქსი! ასეთია ბრძანება — თქვენ ეს ლაყბობა ხომ არა გგონიათ, სადილად დაპატიჟებისას რომ გაიმართება ხოლმე. სამხედრო სამსახურში, მეტადრე ომის დროს, ყოველი დაგვიანება — დანაშაულია. „თუ ის ოცეულის მეთაური ფუქსი ვინიცობაა იმწამსვე არ წავიდა, როგორც კი ჩემს ბრძანებას გადასცემთ, უმალ დამირეკეთ და მის სეირს გაჩვენებთ, გაჩენის დღეს ვაწყევლინებო!“ თქვენ, ჩემო ძვირფასო, ჩანს, კარგად არ იცნობთ ბატონ ობერ-ლეიტენანტს!

შვეიკმა გამარჯვებულის სახით გადახედა უნტერ ოფიცრებს, რომლებიც მისი გამოსვლით გაოცებული და მიწასთან გასწორებული იყვნენ.

ოცეულის მეთაურმა ფუქსმა რაღაცა უაზროდ ჩაიბუზღუნა და ჩქარი ნაბიჯით წავიდა. შვეიკმა მიაძახა:

— მაშ, შემიძლია დავურეკო ბატონ ობერ-ლეიტენანტს, რომ ყველაფერი მოგვარებულია?

— დაუყოვნებლივ წავალ საწყობში ათი ჯარისკაცის თანხლებით, — გამოსძახა ოცეულის მეთაურმა ფუქსმა, რომელიც უკვე ბარაკს მიადგა.

---

[1] მაქვს პატივი მოგახსენოთ (გერმ.).

შვეიკს აღარაფერი უთქვამს, გაბრუნდა და წავიდა, უნტერ-ოფიცრები კი, არანაკლებ იხტიბარგატეხილნი, ვიდრე ფუქსი, გამოლენჩებული უყურებდნენ მიმავალ ორდინარეცს.

— იწყება! — სთქვა დაბალდაბალმა კაპრალმა ბლაუეკმა. უნდა მოვემზადოთ.

შვეიკი დაბრუნდა მეთერთმეტე სამარშო ასეულის კანცელარიაში. ჩიბუხის გაბოლება ვერ მოასწრო, რომ ტელეფონის ზარი გაისმა. შვეიკს ისევ პორუჩიკი ლუკაში დაელაპარაკა.

— სად დაეთრევით, შვეიკ? მესამედ ვრეკავ უკვე, და კაციშვილი არ მპასუხობს.

— ვეძებდი, პანე ობერ-ლეიტენანტ.

— მერე, იპოვე?

— რასაკვირველია. წავიდნენ, მაგრამ არ ვიცი მივიდნენ თუ არა ხომ არ გავიქცე შესამოწმებლად?

— იპოვეთ ოცეულის მეთაური ფუქსი?

— ვიპოვე, პანე ობერ-ლეიტენანტ. ჯერ მითხრა „რაო?“ და მხოლოდ შემდეგ, როცა ავუხსენი, რომ ტელეფონით ლაპარაკი მკაფიო და მოკლე უნდა იყოს-მეთქი...

— ნუ ლაზღანდარობთ, შვეიკ!.. ვანეკი ჯერ არ დაბრუნებულა?

— არ დაბრუნებულა, პანე ობერ-ლეიტენანტ.

— რა გაღრიალებთ, შვეიკ? ყრუ კი არა ვარ. არ იცით, სად იქნება ის წყეული ვანეკი.

— არ ვიცი, პანე ობერ-ლეიტენანტ, სად იქნება ის წყეული ვანეკი.

— პოლკის კანცელარიაში ყოფილა, მაგრამ მერე სადღაც წასულა. იქნებ კანტინაშია?* წადით იქ, შვეიკ, და უთხარით, რომ დაუყოვნებლივ საწყობში გაჩნდეს. აი კიდევ რა: სასწრაფოდ იპოვეთ კაპრალი ბლაჟეკი და უთხარით, ახლავე გაათავისუფლოს ბალოუნი და ჩემთან გამოუშვას. დაკიდეთ ყურმილი.

შვეიკი ფიცხლად შეუდგა განკარგულების შესრულებას, იპოვა ბლაჟეკი და გადასცა პორუჩიკის ბრძანება ბალოუნის გათავისუფლების შესახებ. კაპრალმა ბლაჟეკმა ბუზღუნი დაიწყო:

— როცა გაუჭირდებათ, შიშის ქარი აიტანთ ხოლმე!

შვეიკი გაჰყვა ბლაჟეკს იმის სანახავად, თუ როგორ მოხსნიან თოკებს გაკოჭილ ბალოუნს; მერე დიდწვერა გოლიათი გააცილა, რადგან კანტინამდე ერთი გზა ჰქონდათ, სადაც შვეიკს უფროსი გადამწერი ვანეკი უნდა ეპოვნა.

ბალოუნი შვეიკს თავის მხსნელად თვლიდა და აღუთქვა, ამიერიდან, როგორც კი რამეს მივიღებ შინიდან, შენც გარგუნებო.

— ჩვენთან ახლა შინ მალე ღორს დაკლავენ, — მელანქოლიურად თქვა ბალოუნმა. — შენ ღორის რომელი ძეხვი გიყვარს: სისხლიანი თუ უსისხლო? მითხარი, ნუ მომერიდები, მე დღეს საღამოს წერილს მიეწერ შინ. ჩემი ღორი დაახლოებით ას ორმოცდაათი კილოგრამი იქნება. ბულდოგიით თავი აქვს, ასეთი ღორები კი — საუკეთესო ღორებად ითვლებიან. დიდ მოგებას იძლევიან. ასეთი ჯიში, ჩემო ძმაო, არასოდეს ზარალში არ ჩაგაგდებს, რვა თითის დადება ქონი აქვს. შინ მე თვითონ ვაკეთებდი გულ-ღვიძლის ძეხვებს. ისე მადიანად შევექცეოდი ხოლმე დაკეპილ ხორცს, რომ მუცელი გასკდომაზე მქონდა. შარშანდელი ღორი ას სამოცი კილოგრამი იყო. აი ღორი — მესმის! — აღტაცებით წამოიძახა ბალოუნმა და გამოსამშვიდობებლად მაგრად ჩამოართვა ხელი შვეიკს. — სულ კარტოფილით ვკვებავდი და მე თვითონ მიკვირდა, რა სწრაფად სუქდებოდა ის. ერთი ნაპერი შემწვარი შაშხი ხოხოზიკებით, კარტოფილის კნედლიკითა და კომბოსტოთი!.. აბა, მათ ჭამას რა სჯობია, თითებს ჩაატან! ლუდსაც ხომ გემო ემატება და სიამოვნებით დააყოლებ ასეთ საჭმელს... ცხოვრება კი არა, სამოთხეა! მეტი რა უნდა ადამიანს? და ყველაფერი ეს ომმა გამოგვაცალა ხელიდან.

დიდწვერა ბალოუნმა მძიმედ ამოიოხრა და პოლკის კანცელარიაში წავიდა, შვეიკი კი ძველი ცაცხვის ხეივნით გაუდგა გზას კანტინისკენ.

უფროსი გადამწერი ვანეკი ნეტარი სახით იჯდა კანტინში და ნაცნობ შტაბის გადამწერს უხსნიდა, რამდენი ფულის მოგება შეიძლებოდა ომის წინ მინანქრის და დუღაბის საღებავებზე. შტაბის გადამწერი გალეშილი იყო. დღისით პარდუბიცედან ერთი მდიდარი მემამულე ჩამოსულიყო, რომლის ვაჟი ბანაკში იყო; ამ მემამულეს კარგი ქრთამი მიუცია გადამწერისთვის და დილიდან მოკიდებული სადილობამდე აქეიფა კიდეც, თურმე, ქალაქში.

ახლა შტაბის გადამწერი სასოწარკვეთილებაში იყო ჩავარდნილი — მადა დამეკარგაო, არაფერი ესმოდა, რაზე იყო ლაპარაკი, მინანქრის საღებავების ტრაქტატს ყურადღებასაც არ აქცევდა.

იგი თავის ფიქრებში იყო გართული და ცხვირში ბუბუნებდა, რომ რკინიგზის შტო ტრშებონიდან პილიგრიმში უნდა მიდიოდეს, შემდეგ კი უკან მოდიოდესო.

როცა შვეიკი შევიდა, ვანეკი კიდევ ერთხელ შეეცადა ციფრებით განემარტა შტაბის გადამწერისთვის, თუ რამდენ ფულს შოულობდნენ სამშენებლო საღებავის ერთ კილოგრამზე, რაზედაც შტაბის გადამწერმა სრულებით უადგილოდ უპასუხა:

— უკან როცა ბრუნდებოდა, იგი მოკვდა, დარჩა მხოლოდ წერილები.

შვეიკი რომ დაინახა, უთუოდ, მასში ისეთი ადამიანი შეიცნო, რომელიც არ უყვარდა, და ჩააცივდა, აი შე მუცელმოგვო, შენაო.

შვეიკი ვანეკთან მივიდა, რომელიც აგრეთვე ნასვამი იყო, მაგრამ ტკბილად და ალერსიანად იღიმებოდა.

— ბატონო უფროსო გადამწერო, — უპატაკა შვეიკმა, — დაუყოვნებლივ საწყობში წადით, იქ თქვენ უკვე გელოდებათ ოცეულის მეთაური ფუქსი ათი ქვეითი ჯარისკაცით, და მიიღეთ კონსერვები. აბა ფიცხლად, სირბილით იარ! ბატონმა ობერ-ლეიტენანტმა უკვე ორჯერ დარეკა.

ვანეკმა გაიცინა!

— ჩემო ბიჭუნა, მე იდიოტი ხომ არ გგონივარ? ასე რომ მოვიქცე, ჩემო ანგელოზო, საკუთარი თავი გამიხდება გასალანძღავი! დრო ყველაფერზე გვეყოფა. ხომ არ გვაწვიმს და არ გვათოვს, რა გვეჩქარება, ჩემო კარგო! ჯერ ჩემდენი სამარშო ასეული გაისტუმროს ფრონტზე ობერ-ლეიტენანტმა ლუკაშმა და მერე მელაპარაკოს, მაშინ, ვფიქრობ, აღარავის შეუჩნდება თავისი „სირბილით იარ!“ პოლკის კანცელარიაში მე უკვე მივიღე ბრძანება, რომ ხვალ მივდივართ, მოემზადეთ და დაუყოვნებლივ წადით სამგზავრო სურსათ-სანოვაგის მისაღებადო. და შენ როგორ გგონია, ეს ბრძანება შეასრულე? მე სრულიად დამშვიდებულად შემოვიარე აქ ორიოდე ჭიქა ღვინის გადასაკრავად. მე აქ საკუთარი წყნარად ვგრძნობ თავს, და დაე, ყველაფერმა თავისი გზით იაროს. კონსერვები კონსერვებად დარჩება, მათი გაცემა კიდევ — გაცემად. საწყობს მე უკეთ ვიცნობ, ვიდრე ბატონი ობერ-ლეიტენანტი, და საკმაოდ კარგად ვერკვევი იმაში, რასაც ბატონ პოლკოვნიკის მიერ გამართულ ბატონ ოფიცერთა შეკრებულობის თათბირებზე ლაპარაკობენ. ბატონ პოლკოვნიკს მხოლოდ ელანდება, თითქოს საწყობში კონსერვები მოიპოვება. ჩვენი პოლკის საწყობს არასოდეს კონსერვების მარაგი არ ჰქონია; კონსერვებს ჩვენ მხოლოდ შემთხვევით თუ ვიშოვიდით ხოლმე ბრიგადაში, ან მეზობელ პოლკებიდან თუ ვისესხებდით. მარტო ერთი ბენეშევის პოლკისა სამასზე მეტი ქილა კონსერვი გვმართებს. ჰე, ჰე! დაე, თავის თათბირებზე ილაპარაკონ, რაც ენაზე მოადგებათ. რა გვეჩქარება? სულ ერთია, როცა საწყობში მივალთ, კაპტენარმუსი გვეტყვის, ხომ არ გაგიჟებულხართო. არც ერთ სამარშო ასეულს სამგზავროდ არც ერთი ქილა კონსერვი არ მიუღია. ხომ ასეა, შე ძველო, შენა? — მიუბრუნდა იგი შტაბის გადამწერს.

იგი ამ დროს ალბათ, თელემდა, ანდა ცოტაოდნავ ხურვებამ აიტანა, და ასე უპასუხა:

— ქალი მიდიოდა გაშლილი ქოლგით.

— ყველაზე უკეთესია, — განაგრძო უფროსმა გადამწერმა ვანეკმა, — ყველაფერ ამაზე ხელი ჩავიქნიოთ. თუ დღეს პოლკის კანცელარიაში თქვეს, რომ ხვალ დავიძვრებითო, ამას პატარა ბავშვიც კი არ დაიჯერებს. განა შეგვიძლია სადმე წავიდეთ, როცა ვაგონები არსად ჩანს? მე იქ ვიყავი, როცა სადგურს ურეკავდნენ. არც ერთი თავისუფალი ვაგონი არ არის. ყველაფერი ზუსტად ისე გამოდის, როგორც ეს იყო უკანასკნელად სამარშო ასეულის გამგზავრების დროს. მაშინ ჩვენ მთელი ორი დღეღამე ვისხედით სადგურზე და ველოდით, იქნებ ვინმემ მოწყალების თვალით გადმოგვხედოს და მატარებელი გამოგვიგზავნოს-თქო. კიდევ უარესი, არც კი ვიცოდით, სად უნდა წავსულიყავით. პოლკოვნიკმაც არაფერი იცოდა. მთელი უნგრეთი გავიარეთ, და მაინც არავინ იცოდა — სერბიაში წავიდოდით თუ რუსეთში. ყოველ სადგურზე პირდაპირი მავთულით უკავშირდებოდნენ დივიზიის შტაბს. ჩვენ უბრალოდ დაკონკილი ტანსაცმლის საკერებელს წარმოვადგენდით, ბოლოს, როგორც იქნა სადღაც დიუკლისთან რომელიღაც ჯარის ნაწილს მიგვაკერეს. იქ მუსრი გაგვაელეს, და უკან გამოვბრუნდით ნაწილის ხელახლა ჩამოსაყალიბებლად. მთავარია, არ ვიჩქაროთ! დროთა განმავლობაში ყველაფერი გაირკვევა, მანამდე კი ნუ ვიჩქარებთ. „Iewohl nochamoll[1]“ ღვინო აქ შესანიშნავი აქვთ, — განაგრძობდა ვანეკი და ყურს არ უგდებდა, რას ბუტბუტებდა თავისთვის შტაბის გადამწერი.

— Glauben Sie mir, ich habe bisher wenig von meinem Leben gehabt! Ich wundere mich über diese Frage.[2]

— ტყუილუბრალოდ რად გვაღელვებს ის გარემოება, რომ სამარშო ბატალიონი გასამგზავრებლად უკვე ემზადება. სამარშო ასეული, რომელშიც მე ვიყავი, გამგზავრებამდე მხოლოდ ორი საათით ადრე შეუდგა მზადებას, და მაინც ყველაფერი მოვასწარით. მაშინდელი ჩვენი სამარშო ბატალიონის სხვა ასეულები მზადებას მთელი ორი დღით ადრე შეუდგნენ, ჩვენმა ასეულის მეთაურმა პრშენოსალმა კი (დიდი ფრანტი ვინმე იყო) პირდაპირ გვითხრა: „ბიჭებო, ნუ იჩქარებთ!“ — და საქმე ბრწყინვალედ მიდიოდა. მატარებლის

---

1 ასეა ეს, და არა სხვანაირად (გერმ.).

2 მერწმუნეთ, ცხოვრებაში ჯერ კარგი არაფერი მინახავს! ძალიან მაკვირვებს ეს საკითხი (გერმ.).

გასვლას მხოლოდ ორი საათი აკლდა, მზადებას რომ შევუდექით. უკეთესი იქნება — დაჯექი და დამეწვიე...

— არ შემიძლია, — გმირული თავგანწირვით უპასუხა ყოჩაღმა ჯარისკაცმა შვეიკმა. — კანცელარიაში უნდა წავიდე. ერთიც ვნახოთ, ვინმემ დარეკოს?

— თუ მაგრეა, წადით, ჩემო მარგალიტო. ოღონდ ერთხელ და სამუდამოდ გახსოვდეთ, რომ თქვენ სრულებით არ შეგფერით ამდენი ფუსფუსი — ნამდვილი ორდინარეცი არასოდეს იქ არ უნდა იყვეს, სადაც იგი საჭიროა. ნურასოდეს ასე ნუ გამოიდებთ თავს დაკისრებულ მოვალეობათა შესრულებაში. მერწმუნეთ, საყვარელო, მოფუსფუსე ორდინარეცზე ცუდი არაფერია ამქვეყნად, რომელიც ყველასათვის და ყველას მაგიერ ყველაფერს აკეთებს და ცოდვილობს.

მაგრამ შვეიკი უკვე კარებში იყო გასული და თავისი სამარშო ასეულის კანცელარიისკენ მიეშურებოდა.

ვანეკი მარტოკა დარჩა — არ შეიძლებოდა გვეთქვა, რომ შტაბის გადამწერი ამფსონობას გაუწევდა. ამ უკანასკნელს ამქვეყნისა აღარაფერი გაეგებოდა, ღვინიან ბოთლს მიშტერებოდა და თავისთვის საოცარ რაღაცეებს ბუტბუტებდა უთავბოლოდ — ხან ჩეხურად, ხან გერმანულად.

— რამდენჯერ გამივლია ამ სოფელზე, მაგრამ წარმოდგენა არ მქონდა, თუ ის ქვეყნად არსებობდა. Jn einem hàlben Iahre habe ich meine Staatsprüfung hinter mir und meinem Doktor gemacht [1]. უკვე დავბერდი და ხეიბარი გავხდი. მადლობას მოგახსენებთ, ლიუსი. Erscheinen sie in schön ausgesttateten Bänden,[2] — იქნებ თქვენს შორის არის ვინმე, ვისაც ეს ახსოვს?

უფროსი გადამწერი ვანეკი მოწყენილობისგან თითებს არაკუნებდა მაგიდაზე და რაღაც მარში გამოჰყავდა, მაგრამ იგი დიდხანს არ დარჩენილა ამ მდგომარეობაში: გაიღო კარი, შემოვიდა ოფიცერთა სამზარეულოს მზარეული იურაიდა და სკამზე მოადინა ზღართანი.

— დღეს გვიბრძანეს, — ალუღლუღდა იგი, — სამგზავროდ კონიაკი მიიღეთო. მაგრამ ჩვენს ბოცაში დარჩენილი იყო კიდევ რომ, და იძულებული გავხდით გამოგვეცალა ის. ძალიან კი გაგვიჭირდა.

---

1 ნახევარ წელიწადში სახელმწიფო გამოცდებს ჩავაბარებ და დოქტორის ხარისხს მივიღებ (გერმ.).

2 თუ კარგ ყდებში იქნება ჩასმული (გერმ.).

სამზარეულოს მთელი მომსახურე პერსონალი უგრძნობლად დათვრა. მე სადილის ულუფების რაოდენობა ამერია და რამდენიმე დამაკლდა. პოლკოვნიკს დააგვიანდა და სადილად აღარაფერი ერგო, ამიტომ მას ახლა ერბოკვერცხს უმზადებენ. აი, კომედია თუ გნებავთ, ეს არის!

— თავშესაქცევი ავანტიურაა, — შენიშნა ვანეკმა, რომელსაც ძალიან უყვარდა ლამაზი სიტყვების ჩართვა საუბარში, როდესაც ღვინოს შეექცეოდა.

მზარეული იურაიდა ფილოსოფოსობას მოჰყვა, რაც მის ყოფილ პროფესიას შეესაბამებოდა. ომის წინ იგი რელიგიურ ჟურნალს და წიგნების მთელ სერიას უშვებდა სახელწოდებით: „სიცოცხლისა და სიკვდილის საიდუმლოებანი". როცა სამხედრო სამსახურში გაიწვიეს, იმდენი მოახერხა, რომ პოლკის ოფიცერთა სამზარეულოში ამოჰყო თავი, და ზოგჯერ, როცა ძველინდური სუტრების — პრაგნა პარამიტას („სიბრძნის გამოცხადებანის") კითხვა გაიტაცებდა, ხორცი დაეხრაკებოდა ხოლმე. პოლკოვნიკი შრედერი აფასებდა მას, როგორც პოლკის ღირსშესანიშნაობას. მართლაცდა, აბა, რომელ ოფიცერთა სამზარეულოს შეეძლო თავი მოეწონებინა მისტიკოს მზარეულით, რომელსაც უნარი ჰქონდა განეჭვრიტა სიკვდილ-სიცოცხლის საიდუმლოებანი და ამავე დროს ისეთ სუკის მწვადებს ან ბუღლამას დაამზადებდა ხოლმე, რომ გაოცებაში მოყავდა ყველანი; კომაროვასთან სასიკვდილოდ დაჭრილი ლეიტენანტი დუფეკი იურაიდას მეტს არც ერთ მზარეულს არ იკარებდა.

— დიახ, — წარმოთქვა სრულიად უმიზეზოდ იურაიდამ, რომელიც ძლივს იკავებდა თავს სკამზე: ათ ნაბიჯზე მისგან რომის სუნი სცემდა, — როცა დღეს ბატონ პოლკოვნიკის წილად აღარაფერი დარჩა, და როცა დაინახა, რომ მარტო მოხრაკულ კარტოფილზე უნდა გადაეარა, „გაკში" ჩავარდა. იცით, რა არის „გაკი"? ეს მშიერი სულების მდგომარეობა გახლავთ. და აი მაშინ ვუთხარი: „შეგწევთ თუ არა ძალა, ბატონო პოლკოვნიკო, გაუმკლავდეთ ბედისწერას, სახელდობრ, იმ მდგომარეობას, რომ სადილად წილად არა გხვდათ ხბოს თირკმელები? კარმაში * წინასწარ განსაზღვრულია, რომ თქვენ, ბატონო პოლკოვნიკო, დღეს ვახშმად სამაგიეროდ მიიღებთ ღვთიურ ტაფამწვარს დაკეპილი ჩაბუღული ხბოს თირკმელებით".

— ძვირფასო მეგობარო, — მიმართა მან ხმადაბლა ცოტა ხნის შემდეგ უფროს გადამწერს და უნებურად აქნეული ხელით მაგიდიდან ძირს გადმოყარა ჭიქები, — არსებობს ყველა მოვლენათა, ფორმათა და საგანთა არარსობა, — პირქუშად წარმოთქვა მისტიკოსმა მზარეულმა, როცა ჭიქებს ასე შეუბრალებლად გაუსწორდა. — ფორმა

არის არარსობა, არარსობა კი არის ფორმა. არარსობა განუყოფელია ფორმისგან, ფორმა განუყოფელია არარსობისგან. ის, რაც არარსობას წარმოადგენს, არის ფორმა, ის, რაც არის ფორმა, არის არარსობა. — მისტიკოსი მზარეული დადუმდა, ხელზე თავით დაეყრდნო და ცქერა დაუწყო სველ, სასმელებით მოლუმპულ მაგიდას.

შტაბის გადამწერი ისევ რაღაცას ბუბუნებდა, რასაც არც თავი უჩანდა და არც ბოლო:

— პური გაჰქრა მინდვრებიდან, გაჰქრა — in dieser Stimmung erhielt er Einladung und ging zu ihr [1]; სამების დღესასწაული გაზაფხულზეა.

უფროსი გადამწერი ვანეკი ისევ თითებს არაკუნებდა მაგიდაზე, სვამდა და დრო და დრო ახსენდებოდა, რომ სასურსათო საწყობთან მას ოცეულის მეთაური და ათი ჯარისკაცი ელოდებოდა. ამ გახსენებაზე იგი გაიღიმებდა და ხელს ჩაიქნევდა ხოლმე.

მეთერთმეტე სამარშო ასეულის კანცელარიაში ვანეკი გვიან დაბრუნდა. შვეიკი ტელეფონთან იჯდა.

— ფორმა არის არარსობა, არარსობა კი არის ფორმა, — ძლივ-ძლივობით წაილუღლუღა მან, ტანგაუხდელად საწოლზე გაიშხლართა და ერთბაშად ძილს მიეცა.

შვეიკი ტელეფონთან იჯდა და ერთი წუთითაც არ მოშორებია, რადგან ორი საათის წინ პორუჩიკმა ლუკაშმა ტელეფონით უთხრა, მე ისევ ბატონ პოლკოვნიკთან ვარ თათბირზეო, მაგრამ დაავიწყდა აქვე ეთქვა, რომ შვეიკს შეუძლია ტელეფონთან არ იჯდეს გამუდმებით.

მერე შვეიკს ტელეფონით ელაპარაკა ოცეულის მეთაური ფუქსი, ჩემი ათი ჯარისკაცით ველოდე, ველოდე უფროს გადამწერს, ბოლოს იმედი გადამიწყდა და მხოლოდ მაშინ შევამჩნიე, რომ საწყობი დაკეტილი იყოო.

ბოლოს, ფუქსი სადღაც წავიდა, და ათი ჯარისკაციც ერთიმეორის შემდეგ ბარაკში დაბრუნდნენ.

დროგამოშვებით შვეიკი იმით ირთობდა თავს, რომ ჩამოიღებდა ყურმილს და ლაპარაკს უსმენდა. ტელეფონი უახლესი სისტემის იყო, ამ ცოტა ხნის წინათ შემოიღეს ჯარში, და ის უპირატესობა ჰქონდა, რომ ამ აპარატით შეგეძლოთ სრულიად გარკვევით მოგესმინათ სხვების ლაპარაკი მთელ ხაზზე.

აღალი და არტილერისტების ყაზარმა ერთმანეთს ლანძღავდნენ

---

1 ასეთ გუნებაზე რომ იყო, მან მოწვევა მიიღო და ამ ქალთან წავიდა.

და აგინებდნენ, მესანგრეები სამხედრო ფოსტას ემუქრებოდნენ, პოლიგონი აგინებდა მეტყვიამფრქვეველთა რაზმს.

შვეიკი კი იჯდა და იჯდა ტელეფონთან ფეხმოუცველელად.

თათბირი პოლკოვნიკთან გრძელდებოდა.

პოლკოვნიკი შრედერი ანვითარებდა საველე სამსახურის უახლეს თეორიას და განსაკუთრებით ხაზგასმით აღნიშნავდა ხელყუმბარების მტყორცნელთა მნიშვნელობას.

იგი ღობე-ყორეს ედებოდა, ლაპარაკობდა ფრონტის განლაგების შესახებ, ამ ორი თვის წინათ სამხრეთით და აღმოსავლეთით რომ ჰქონდათ, ლაქლაქებდა ცალკეულ ნაწილებს შორის მჭიდრო კავშირის მნიშვნელობის შესახებ, ბევრი ილაპარაკა მახრჩობელა აირისა და მტრის თვითმფრინავების წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ, იმის შესახებ, თუ ფრონტზე ჯარისკაცები როგორ უნდა იყვნენ მომარაგებულნიო და შემდეგ გადავიდა შინაგან ურთიერთობაზე ჯარის ნაწილებში.

ლაპარაკი გაბა ოფიცრების დამოკიდებულებაზე ჯარისკაცებთან, ჯარისკაცების ურთიერთობაზე უნტერ-ოფიცრებთან, მტრის ბანაკში გადასულთა შესახებ, პოლიტიკურ ამბებზე და ბოლოს მეტად ვრცლად ილაპარაკა იმის შესახებ, რომ ჩეხ ჯარისკაცთა ორმოცდაათი პროცენტი politisch verdächtig [1].

— Jawohl, meine Herren, der Kramarsch, Scheiner und Klofatsch[2]...*

ოფიცერთა უმრავლესობა ამ დროს გულში ფიქრობდა, ბოლოს, და ბოლოს როდის გაათავებს ეს ბებერი ყბედი ამ თავის აბდაუბდასო, მაგრამ პოლკოვნიკი შრედერი განაგრძობდა როშვას ახალი სამარშო ბატალიონების ახალი ამოცანების შესახებ, ბრძოლაში დაღუპულ პოლკის ოფიცერთა შესახებ, ცეპელინებზე, მავთულხლართებზე, ფიცის დადებაზე...

ამ დროს პორუჩიკ ლუკაშს გაახსენდა, რომ, როცა მთელი სამარშო ბატალიონი ფიცსა სდებდა, ყოჩაღ ჯარისკაცს შვეიკს ფიცი არ დაუდევს, რადგან იმ ხანებში დივიზიის სასამართლოში ირჩეოდა მისი საქმე.

გაახსენდა ეს და, ანაზდად გაეცინა.

მისი სიცილი ისტერიკულ სიცილსა გავდა, სიცილი მის გვერდით მსხდომ რამდენიმე ოფიცერსაც გადაედო,—მათაც გაეცინათ. ოფიც-

---

[1] პოლიტიკურად არაკეთილსაიმედონი არიან (გერმ.).

[2] დიახ, ბატონებო, რაც გინდათ ისა თქვით, კრამარჟი, შეინერი და კლოფჩი... (გერმ.).

რების სიცილმა პოლკოვნიკ შრედერის ყურადღება მიიქცია, პოლკოვნიკი ამ დროს ლაპარაკობდა იმ გამოცდილების შესახებ, რომელიც გერმანიის ჯარებმა შეიძინეს არდენებში უკან დახევის დროს. მან ყველაფერი ერთმანეთში აურია და ასე დაამთავრა:

— ბატონებო, აქ სასაცილო არაფერია.

მერე ყველანი ოფიცერთა საკრებულოში წავიდნენ, რადგან პოლკოვნიკ შრედერს ტელეფონთან გამოუძახა ბრიგადის შტაბმა.

შვეიკი ტელეფონთან თვლემდა, როცა იგი უეცრად ზარმა გამოაფხიზლა.

— ჰალო! — გაისმა ტელეფონში. — ტელეფონთან არის Regimentskan lei.

— ჰალო! — უპასუხა შვეიკმა, — აქ მეთერთმეტე სამარშო ასეულის კანცელარიაა.

— ნუ გვაყოვნებ, — გაისმა ხმა, — აიღე ფანქარი და დასწერე. მიიღე ტელეფონოგრამა:

— მეთერთმეტე სამარშო ასეულს...

მერე გაისმა ერთიმეორის მიყოლებით რაღაც უცნაური ფრაზები, რადგან ერთდროულად ლაპარაკობდნენ მეთორმეტე და მეცამეტე სამარშო ასეულები, და ტელეფონოგრამა მთლად ჩაიძირა ბგერათა ამ ქაოსში. შვეიკმა ვერც ერთი სიტყვა ვერ გაარჩია. ბოლოს, ყველაფერი დაწყნარდა და შვეიკმა გაიგონა:

— ჰალო! ჰალო! გაიმეორე, ნუ აყოვნებ!

— რა გავიმეორო?

— არ იცი, რა უნდა გაიმეორო, შე ლენჩო? ტელეფონოგრამა!

— რომელი ტელეფონოგრამა?

— წყეული იყოს შენი თავი და ტანი! ყრუ ხომ არა ხარ? გაიმეორე ტელეფონოგრამა, რომელიც გიკარნახე, შე ყეყეჩო!

— მე ვერაფერი გავარჩიე. აქ კიდევ ეიღაც ლაპარაკობდა.

— შე რეგვენო, შენა! რას ფიქრობ, შენთან სალაზღანდაროდ მცალია? ბოლოს და ბოლოს მიიღებ ტელეფონოგრამას თუ არა? ფანქარი და ქაღალდი გაქვს? რაო? არა გაქვს? პირუტყვო! მე შენ გელოდო, სანამ ქაღალდსა და ფანქარს იპოვიდე? აი, ამას ჰქვია ჯარისკაცები! მაშ... როგორაა საქმე? იქნებ ჯერ კიდევ არა ხარ მზად? მადლობა ღმერთს, როგორც იქნა გონს მოხვედი! მაშ მისმინე:

— 11. Marschkumpanie[1]. გაიმეორე!

— 11. Marschkumpanie.

[1] მეთერთმეტე სამარშო ასეულს (გერმ.).

— Kumpaniekommandant...[1] არის?.. გაიმეორე!

— Kumpaniekommandant.

— Zur Besprechung morgen...[2] მზადაა? გაიმეორე!

— Zur Besprechung morgen.

— Um neun Uhr. Unterschrift[3]. გესმის... რას მიშნავს Unterschrift, შე მაიმუნო? ეს — ხელის მოწერაა! გაიმეორე!

— Um neun Uhr. Unterschrift[3]. გესმის... რას ნიშნავს Unterschrift, შე მაიმუნო, ეს — ხელის მოწერაა.

— გამოთაყვანებულო! ხელის მოწერაა: Oberst Schröder[4], პირუტყვო! არის? გაიმეორე!

— Oberst Schröder, პირუტყვო...

— როგორც იქნა, ლენჩო! ვინ მიიღო ტელეფონოგრამა?

— მე.

— Himmelherrgott! ვინ „მე"?

— შვეიკმა, კიდევ რა?

— მადლობა ღმერთს, მეტი არაფერი, შენი გვარი „ვირუკა" უნდა იყოს. ახალი რა არის თქვენთან?

— არაფერი. ყველაფერი ძველებურადაა.

— შენ, ალბათ, ეს ძალიან მოგწონს! დღეს თქვენთან, ამბობენ, ვიღაც თოკით მიაკრეს ბოძზე!

— ბატონ ობერ-ლეიტენანტის დენშჩიკი მიაკრეს: სადილი შეუჭამა. ხომ არ იცი, როდის მივდივართ!

— დიახ, ჩემო ძმაო, ეს დიდი საკითხია!.. თვითონ იმ მოხუცმა არ იცის, როდის დავიძვრებით. ღამე ნებისა! რწყილები თუ გყავთ ბლომად?

შვეიკმა ჩამოკიდა ყურმილი და უფროს გადამწერ ვანეკს მიადგა გასაღვიძებლად. ვანეკი გაშმაგებით იგინებოდა, და როცა შვეიკმა ნაჯღრევა დაუწყო, ცხვირში მუშტი ჩაარტყა. მერე პირდაღმა დაწვა და ტლინკები დააყარა.

შვეიკმა მაინც მოახერხა მისი გაღვიძება. ვანეკმა თვალები ამოიფშვნიტა, მიაბრუნა სახე შვეიკისკენ და შიშით ჰკითხა:

— რა მოხდა?

---

[1] ასეულის მეთაურს (გერმ.).

[2] ხვალ დილით თათბიერზე... (გერმ.).

[3] ცხრა საათზე, ხელის მოწერა (გერმ.).

[4] პოლკოვნიკი შრედერი (გერმ.).

— განსაკუთრებული არაფერი, — უპასუხა შვეიკმა, — მინდოდა თქვენთვის რჩევა მეკითხა. ეს-ესაა ტელეფონოგრამა მივიღეთ, რომ ბატონი ობერ-ლეიტენანტი ლუკაში ხვალ დილით ცხრა საათზე პოლკოვნიკთან უნდა გამოცხადდეს თათბირზე. არ ვიცი, როგორ მოვიქცე. წავიდე ახლავე და გადავცე ეს ცნობა დაუყოვნებლივ, თუ ხვალ დილამდე თავი შეეიკავო. მე დიდხანს ვიფიქრე: გამეღვიძებინეთ თუ არა თქვენ, — ისე გემრიელად ხვრინავდით... მერე გადავწყვიტე: რაც არ უნდა იყოს, ორი ჭკუა უკეთესია, ვიდრე ერთი-მეთქი...

— ღვთის გულისათვის, გემუდარებით, ძილს ნუ მიფრთხობთ, — დაიკვნესა ვანეკმა და თან ერთი მაგრად დაამთქნარა, — მიაკითხეთ ბატონ პორუჩიკს დილით, მე კი მომასვენეთ!

შვეიკი ისევ ტელეფონთან დაჯდა, მაგიდაზე ჩაქინდრა თავი და ჩათვლიმა. იგი ტელეფონის ზარმა გააღვიძა.

— ჰალო! მეთერთმეტე სამარშო ასეულია? — გაისმა ტელეფონში.

— დიახ, მეთერთმეტე სამარშო ასეულია. ვინ მელაპარაკება?

— მეცამეტე სამარშო ასეული. ჰალო! რომელი საათია? ვერაფერგზით ვერ დაეუკავშირდი სატელეფონო სადგურს. ჩემი შემცვლელი რატომღაც იგვიანებს.

— ჩვენი საათი არ მუშაობს.

— ჩვენიც არ მუშაობს. ხომ არ იცი, როდის დავიძვრებით? პოლკის კანცელარიას არ ელაპარაკე?

— ასავალ-დასავალი იქაც აბნეული აქვთ... ცოტა ზრდილობიანად ილაპარაკეთ, ქალიშვილო!.. თქვენ უკვე მიიღეთ კონსერვები? ჩვენები იყვნენ საწყობში და არაფერი წამოუღიათ. დაკეტილი ალმოჩნდა.

— ჩვენებიც ხელცარიელი დაბრუნდნენ. ტყუილუბრალოდ პანიკას ასტეხენ ხოლმე. შენის აზრით, საითკენ გვიკრავენ თავს?

— რუსეთში.

— მე კი ვფიქრობ, სერბიაში. ამას ჩვენ გავიგებთ, როცა ბუდაპეშტში ჩავალთ. თუ მარჯვნივ წაგვიყვანეს — მაშასადამე, სერბიაში გვაგზავნიან, თუ მარცხნივ — რუსეთში. უკვე გაქვთ ზურგჩანთები? ამბობენ, ხელფასს მოგვიმატებენო. კარტს თუ თამაშობ? — თამაშობ, მაშინ შემოირბინე ჩვენთან ხვალ. ყოველ საღამოს გახურებული თამაში გვაქვს. რამდენი კაცი მორიგეობთ ტელეფონთან? ერთი? მიაფურთხე ყველაფერს და წადი, დაიძინე. უცნაური წესები გქონიათ ოქვენ მანდ! შენ, ალბათ, ქათამივით პირდაპირ საწებელში მოხვდი... როგორც იქნა, ჩემი ცვლაც მოვიდა. ძილი ნებისა!



შვეიკმა მართლაც ტკბილად დაიძინა სკამზე. — მას ყურმილის ჩამოკიდება დაავიწყდა, ასე რომ მის ძილს ვეღარაფერი შეაშფოთებდა. პოლკის კანცელარიის ტელეფონისტი კი მთელი ღამე იგინებოდა: მოვკვდი ამდენი რეკვით და ვერასგზით ვერ დავუკავშირდი მეთერთმეტე სამარშო ასეულს, ახალი ტელეფონოგრამა რომ გადამეცაო — ხვალ დღის თორმეტ საათამდე წარმოდგენილი უნდა იქნას პოლკის კანცელარიაში იმ ჯარისკაცთა სია, რომელთაც ტიფის საწინააღმდეგო არა აქვთ აცრილი.

პორუჩიკი ლუკაში ჯერ ისევ ოფიცერთა საკრებულოში იჯდა სამხედრო ექიმ შანცლერთან ერთად, რომელიც სკამზე უკუღმა გადამჯდარიყო, ბილიარდის ჭოკით გამოზომილად უკაკუნებდა იატაკზე და ამბობდა:

— „სარაკინის სულთანმა სალახ-ედინმა პირველმა აღიარა საინტარული პერსონალის ნეიტრალიტეტი.

დახმარება უნდა გაეწიოს დაჭრილებს დამოუკიდებლად იმისა, რა ბანაკს ეკუთვნიან ისინი.

ყოველი მხარე ვალდებულია აანაზღაუროს მეორე მხარის ხარჯები, გაწეული წამალსა და მკურნალობაზე.

ნებადართული უნდა იყოს ექიმების და ფერშლების გენერლების

მოწმობებით გაგზავნა მტრის დაჭრილთათვის დახმარების აღმოსაჩენად.

ზუსტად ასევე ტყვედ ჩავარდნილი დაჭრილები გენერლების მფარველობითა და თავდების ქვეშ უნდა გადაიგზავნონ უკან ანდა გადაცვლილ იქნან. მერე შეუძლიათ განაგრძონ სამსახური მწყობრში.

დაუშვებელია ავადმყოფების ტყვედ წაყვანა ან მოკვლა, ისინი გადაგზავნილ უნდა იქნან ჰოსპიტლებში, უშიშარ ადგილებში.

ნებადართულია, მათთან იმყოფებოდეს ყარაული, — ავადმყოფი და ყარაულიც უნდა დაბრუნდნენ გენერლის მოწმობებით. ყველაფერი ეს ვრცელდება ფრონტის მღვდელმსახურებზე, ექიმებზე, ქირურგებზე, ფერშლებზე, სანიტრებზე და სხვა პირებზეც, რომლებიც სამსახურს უწევენ ავადმყოფებს. თვითეული მათგანი ხელუხლებელია, მათი ტყვედ წაყვანა აკრძალულია, და იმავე წესით უნდა გადაიგზავნონ უკან“.

ექიმმა შანცლერმა უკვე ორი ჭოკი დაამტვრია და ჯერ კიდევ ვერ დაამთავრა თავისი უცნაური ლექცია დაჭრილთა დაცვის შესახებ ომში, — ამ თავის ლექციას წამდაუწუმ ურთავდა რაღაც გაუგებარ გენერლის მოწმობებს.

პორუჩიკმა ლუკაშმა ბოლომდე შესვა თავისი შავი ყავა და შინ წავიდა, სადაც მას წვერიანი გოლიათი ბალოუნი დახვდა, რომელიც მის სპირტქურაზე პატარა ქვაბში ძეხვს წვავდა.

— მე გავკადნიერდი, — ენის ბორძიკით წამოიწყო ბალოუნმა, — ნება მივეცი ჩემს თავს, მაქვს პატივი მოგახსენოთ...

ლუკაშმა ცნობისმოყვარეობით შეხედა თავის დენშჩიკს. ამ დროს ბალოუნი მას დიდ ბავშვად მოეჩვენა, გულუბრყვილო ქმნილებად და გულში ინანა, რომ ბოძზე მიბაწვრით დასაჯა იგი მისი უსაზღვრო გაუმაძღრობისთვის.

— შეწვი, შეწვი შენი ძეხვი, ბალოუნ, — უთხრა მან და ხმალი შემოიხსნა, — ხვალიდან განკარგულებას გავცემ პურის ზედმეტი ულუფა გამოგიწერონ.

პორუჩიკი მაგიდას მიუჯდა. უცბად გული აუჩუყდა და გადაწყვიტა ბიცოლაჩემს წერილს მივწერ ფრონტზე წასვლის წინ, ვინ იცის, ცოცხალი იქნებ აღარც დავბრუნდეო.

„ჩემო ძვირფასო ბიცოლა!

ეს-ესაა ბრძანება მივიღე მოვემზადო ჩემი მეთერთმეტე სამარშო ასეულით ფრონტზე გასამგზავრებლად. შეიძლება, ეს წერილი უკანასკნელი იყოს ჩემგან შენდამი მოწერილი. ყველგან სასტიკი ბრძოლები მიმდინარეობს, და ჩვენებს დიდი ზარალი აქვთ. მე ძალი-

ან მიჭირს ამ წერილის დამთავრება სიტყვით „ნახვამდის!“ უფრო სწორი იქნება დავწერო „მშვიდობით!“

„ხვალ დილით დავამთავრებ“, — გაიფიქრა პორუჩიკმა ლუკაშმა, ადგა, ტანთ გაიხადა და დაიძინა.

ბალოუნმა, დაინახა თუ არა, რომ პორუჩიკ ლუკაშს მაგრად ჩაეძინა, ისევ დაიწყო ბინაში სუნსული და ძებნა, როგორც ოთახის ჭია დასუნსულებს ხოლმე ღამით, გახსნა პორუჩიკის ხელის ჩემოდანი და შოკოლადი მოკვნიტა. პორუჩიკი ძილში გაინძრა და ბალოუნი შიშის ქარმა აიტანა, სწრაფად ჩადო ჩემოდანში მოკვნეტილი შოკოლადი და გაისუდრა.

მერე ფეხაკრეფით მიუახლოვდა მაგიდას და გვერდულად ჩაიხედა წერილში, პორუჩიკმა, ნეტავი, რა დასწერაო.

წაიკითხა და გული აუჩვილდა, განსაკუთრებით იმოქმედა სიტყვამ: „მშვიდობით“.

იგი დაწვა თავის ჩალის ლეიბზე კარებთან, მოაგონდა მშობლიური სახლი და ის დღეები, როცა ღორებს ყელს ღადრავდა და ძეხვებს საკუთარი ხელით აკეთებდა.

ბალოუნს სულ თვალწინ ედგა, თუ როგორ ჩხვლეტს იგი ძეხვს, რომ იქიდან ჰაერი გამოდენოს და მოხარშვის დროს არ გასკდეს.

იგი მოუსვენრად გრძნობდა თავს ძილში. როცა მოაგონდა, ერთხელ მეზობლებს როგორ გაუსკდათ და ჩაეხარშათ მთელი ძეხვი, დაესიზმრა, რომ მან უცოდინარი მეძეხვე მოიხმო, რომელსაც სრულებით არ ემარჯვებოდა გულ-ღვიძლის ძეხვის დატენვა, და ხელში უსკდებოდა. მერე, თითქოს უასაბს დააციწყდა სისხლოვანი ძეხვის დამზადება, დაიკარგა მუეუეი და გულ-ღვიძლის ძეხვებისთვის ბიკონი დააკლდა. მერე საველე სასამართლო დაესიზმრა, თითქოს მას ქურდობაზე წაასწრეს, როცა სალაშქრო სამზარეულოდან ხორცის ნაჭერს იპარავდა. ბოლოს, თავისი თავი დაინახა, თითქოს ლეიტეს ბრუკას სამხედრო ბანაკის ხეივანში ცაცხვზე იყო ჩამომხრჩვალი.

შვეიკმა სისხამ დილით გაიღვიძა, მზესთან ერთად ადგა, რომელმაც თავისი ცხოველმყოფელი სხივები სტყორცნა არემარეს. ყავის საამო სურნელება უხვად იფრქვეოდა ასეულების ყველა სამზარეულოდან. მაშინალურად ჩამოკიდა ყურმილი, თითქოს ეს-ესაა ახლა დაამთავრა ტელეფონით ლაპარაკი, და კანცელარიაში დილის მოციონი გააკეთა. თან მღეროდა. დაიწყო პირდაპირ შუა სიმღერიდან იმის შესახებ, ჯარისკაცმა როგორ გადაიცვა გოგოს კაბა და წავიდა თავის სატრფოსთან წისქვილში, მეწისქვილე კი თავის ქალიშვილთან აწვენს ღამის გასათევად, მაგრამ დაწოლამდე უმასპინძლდება უცხო გოგოს და თავის ცოლს გასძახებს:

დედაბერო, ჩქარა ფაფა,
უმასპინძლე სტუმარს სწრაფად!

მეწისქვილის ცოლი თავხედ ყმაწვილს გულუხვად უმასპინძლდება, მერე კი იწყება ოჯახის ტრაგედია.

მეწისქვილე ადგა დილით,
ნახა კარზე წაწერილი:
„წუხელს აქეთ თქვენს ასულსო
ნეღარ უწოდებთ ქალწულსო.“

შვეიკმა ისეთი მაღალი ხმით იმღერა უკანასკნელი კუპლეტი, რომ მთელი კანცელარია ფეხზე დააყენა: უფროსმა გადამწერმა ვანეკმა გაიღვიძა და იკითხა:

— რომელი საათია?

— ეს-ესაა დილის ბუკი იყო.

— ყავის შემდეგ ავდგები, — გადაწყვიტა ვანეკმა, სიჩქარით იგი არასოდეს თავს არ იტკივებდა ხოლმე, ისევ არ მომეშვებიან და ტყუილუბრალოდ აღმა-დაღმა მარბენინებენ, როგორც ამ კონსერვებზე იყოო.

ვანეკმა დაამთქნარა და იკითხა:

— ზედმეტი ხომ არაფერი წამომცდენია, როცა აქ დავბრუნდი?

— რაღაც-რაღაცეები შეუფერებელი კი თქვით, — უპასუხა შვეიკმა. — თქვენთვის სულ რაღაც ფორმებზე მსჯელობდით: ფორმაო, — ამბობდით, — არ არის ფორმა, ის კი, რაც ფორმა არ არის, არის ფორმა, და ის ფორმა ისევ არ არის ფორმაო. მაგრამ ასეთმა მსჯელობამ მალე დაგქანცათ და მალე ხვრინვა ამოუშვით, თითქოს ხეში უზარმაზარი ხერხი გადიგამოდიოდა.

შვეიკი გაჩუმდა, მივიდა კარებამდე, მერე ისევ შემოტრიალდა უფროსი გადამწერის საწოლისკენ, გაჩერდა და დაიწყო:

— რაც შემეხება პირადად მე, ბატონო უფროსო გადამწერო, მაქვს პატივი მოგახსენოთ, რომ როცა თქვენი მსჯელობა გავიგონე ფორმებზე, მომაგონდა მეფარნე ზატკე. იგი ლეტნას გაზის სადგურზე მუშაობდა, და მის მოვალეობას შეადგენდა ფარნების ანთება და ჩაქრობა. იგი განათლებული ადამიანი იყო, დადიოდა ლეტნას სხვადასხვა ღამის სამიკიტნოებში: ფარნების ანთებიდან მათ ჩაქრობამდე ხომ აუარებელი დრო ჰქონდა. მერე, დილით, გაზის სადგურზე იგი ზუსტად ისეთივე საუბარს გაბამდა ხოლმე, როგორიც თქვენ გამართეთ გუშინ, ოღონდ იგი ასე ლაპარაკობდა: „ეს კამათლებია, რადგან მათზე თრაშებია“. მე ეს საკუთარი უურით მოვისმინე, როცა ერთმა მთვრალმა პოლიციელმა ქუჩაში სისუფთავის დარღვევის გამო ნაცვლად საპოლიციო კომისარიატისა შეცდომით გაზის სადგურ-

ზე წამათრია. მერე,—ჩუმად წარმოთქვა შვეიკმა, — ამ ზატკას ცუდად წაუვიდა საქმე. იგი ჩაეწერა წმიდა მარიამის კონგრეგაციაში, ციურ თხებთან * ერთად დადიოდა პატერ ემელკას ქადაგებაზე წმიდა იგნატის ეკლესიაში კარლოვის მოედანზე, და როცა ამ წმიდა იგნატის ეკლესიაში მისიონერები ჩამოვიდნენ, დაავიწყდა თავის რაიონში ფარნების ჩაქრობა. ასე რომ იქ განუწყვეტლივ სამი დღე და სამი ღამე ენთო გაზი ქუჩებში. მთელი უბედურებაა, — განაგრძო შვეიკმა, — როცა ადამიანი უეცრად ფილოსოფოსობას დაიწყებს, — ამას ყოველთვის მოჰყვება მოუფიქრებელი საქციელი. რამდენიმე წლის წინათ ჩვენთან გადმოიყვანეს სამოცდამეთერთმეტე პოლკიდან მაიორი ბლიუგერი. იგი ყოველთვის თვეში ერთხელ შეგვკრებდა, კარეში ჩაგვაყენებდა და დაგვიწყებდა ფილოსოფოსობას: „რას წარმოადგენს ოფიცრის წოდებაო?“ ბლიუგერი, სხვათა შორის, გარდასლივოვიცესი, არაფერს სვამდა. „სალდათებო,—ამბობდა იგი,—თვითეული ოფიცერი, თავისთავად ყველაზე სრულქმნილი არსებაა, რომელიც ასჯერ უფრო ჭკვიანია, ვიდრე თქვენ ყველანი ერთად აღებულნი. ოფიცერზე უფრო სრულქმნილ არსებას, სალდათებო, თქვენ ვერც წარმოიდგენთ, მთელი თქვენი სიცოცხლე რომ იფიქროთ ამაზე. ყოველი ოფიცერი აუცილებლობას წარმოადგენს, თქვენ კი, სალდათებო, მხოლოდ შემთხვევითი ელემენტი ხართ. თქვენი არსებობა დასაშვებია, მაგრამ სავალდებულო სრულებითაც არაა. საქმე ომამდე რომ მივიდეს და ყველანი თქვენ ჩვენი ხელმწიფე-იმპერატორისთვის სიცოცხლეს გამოესალმოთ, შესანიშნავი რამ იქნება. მაგრამ ამით განა ბევრი რამ შეიცვლება? თქვენზე ადრე რომ ოფიცერი დაიღუპოს, მაშინ კი მიხვდებით, რამდენად ხართ მასზე დამოკიდებული და რა დიდი დანაკლისია თქვენთვის მისი დაღუპვა. ოფიცერი უნდა არსებობდეს, თქვენი არსებობა კი დამოკიდებულია ბატონ ოფიცერზე, მას უნდა უმადლოდეთ, რომ თქვენ არსებობთ, თქვენ მისით გიდგიათ სული, ოფიცრის გარეშე ხელს ვერ გაანძრევთ, თქვენი უფროსის გარეშე გასაქანი არა გაქვთ, მუცლის ქარსაც კი ვერ გაუშვებთ უიმისოდ. ოფიცერი თქვენთვის, სალდათებო, ზნეობის კანონია — სულ ერთია, გესმით თუ არ გესმით ეს თქვენ, — და ვინაიდან ყოველ კანონს თავისი კანონმდებელი უნდა ყავდეს, ამიტომ თქვენთვის, სალდათებო, ასეთი არის მხოლოდ ოფიცერი, რომელსაც თქვენ უმადლით და უნდა უმადლოდეთ კიდეც — ყველაფერს, და ყოველ მის ბრძანებას უკლებლივ უნდა ასრულებდეთ, მიუხედავად იმისა, მოგწონთ თუ არ მოგწონთ თქვენ ეს ბრძანება“. ერთხელ კი როცა მაიორმა ბლიუგერმა დაასრულა თავისი სიტყვა, კარეს ჩამოუარა და ჯარისკაცებს სათითაოდ შეეკითხა:

— რას გრძნობ მაშინ, როცა ზედმეტს გადაყლურწავ?

ჯარისკაცები რაღაცნაირად არეულად პასუხობდნენ: ერთმა უპასუხა, — აქამდე არასოდეს არ მივსულვარო, მეორემ თქვა, — როცა ზედმეტი მომივა, გული ამერევაო, მესამემ, — იმწამსვე მივხვდები, რომ შეებულება ხელიდან გამომეცალაო და ა. შ. ყველა ისინი მაიორ ბლიუგერის ბრძანებით გვერდზე გაიყვანეს — ნასადილევს ერთი კარგად გაავარჯიშეთ თავისუფალ გიმნასტიკაში, რადგან არ შეუძლიათ ენით გამოთქვან თავისი გრძნობებიო. როცა პასუხის გასაცემად ჩემმა ჯერმა მოაწია, უეცრად მომაგონდა, თუ რაზე გვესაუბრებოდა მაიორი უკანასკნელად და, როცა მომიახლოვდა, მე სრულიად მშვიდად ვუპასუხე: „მაქვს პატივი მოგახსენოთ, პანე მაიორ, როცა ზედმეტს გადავკრავ, ყოველთვის რაღაც მოუსვენრობას ვგრძნობ გულ-მუცელში, თან შიშსაც და სინდისის ქენჯნას. როცა კი დაუგვიანებლად ვბრუნდები ყაზარმაში შეებულებიდან, ნეტარებას განვიცდი და შინაგან კმაყოფილებას ვგრძნობ“. ირგვლივ ყველამ გადაიხარხარა, მაიორმა ბლიუგერმა კი დამიღრიალა: „შენ მხოლოდ იმას გრძნობ, ბაღლინჯოები როგორ დაღოღავენ შენს ტანზე, როცა გძინავს, შე ყეყეჩო, შენა, და ნეტარებას მაშინ განიცდი, როცა ისინი სისხლს გწუწნიან, შე ძაღლიშვილო. არ უყურებთ ამ მამაძაღლს, მასხრობაც რომ წამომიწყო აქ!“ და ისეთი შპანგლე მომარპო — თქვენი მოწონებული.

— სამხედრო სამსახურში სხვანაირად არ შეიძლება, — თქვა უფროსმა გადამწერმა ვანეკმა, და ზანტად გააზმორა საწოლზე, — ეს ძველთაგანვე ასე მოდის: როგორც არ უნდა უპასუხო, რაც არ უნდა გააკეთო — შენს თავზე სულ მუდამ შავი ღრუბლებია გადმოწოლილი და ყოველ წუთს უნდა მოელოდე ჭექა-ქუხილს. უამისოდ დისციპლინა არ არსებობს.

— სწორადაა ნათქვამი, — განაცხადა შვეიკმა. — არასოდეს არ დამავიწყდება, როგორ ჩასვეს ახალწვეული პეხი. ჩვენი ასეულის მეთაური იყო ლეიტენანტი მოცი. აი, მოუყარა მან თავი ახალწვეულებს და დაუწყო გამოკითხვა: ვინ — საიდანა ხართო? „უპირველეს ყოვლისა, თქვე წვინტლიანებო, — მიმართა მათ, — თქვენ უნდა შეეჩვიოთ მოკლედ და მკაფიოდ პასუხის გაცემას, თითქოს სახრემ გაიტყლაშუნაო. მაშ ასე, დავიწყოთ. საიდან ხართ თქვენ, პეხ“. პეხი ინტელიგენტი ახალგაზრდა გახლდათ და ასე უპასუხა: „ნიჟნი ბოუსოვი, Unter Bauzen, ორას სამოცდა შვიდი კომლი, ათას ცხრაას ოცდათექვსმეტი ჩეხი მცხოვრები, იჩინის ოკრუგი, სობოტკას თემი, კოსტის ყოფილი მამული, წმიდა ეკატერინეს სამრევლო ეკლესია, აგებული მეთოთხმეტე საუკუნეში და რესტავრირებული

94

გრაფ ვაცლავ ვრატისლავ ნეტოლიცკის მიერ, სკოლა, ფოსტა, ტელეგრაფი, ჩეხური საბარგო ხაზის სადგური, შაქრის ქარხანა, წისქვილი, სახერხი ქარხანა, ხუტორი ვალხა, ექვსი ბაზრობა წელიწადში...“

ლეიტენანტი მოცი მიიჭრა პეხთან და სახეში ჩააფარა; თან ეუბნებოდა: აი შენ პირველი ბაზრობა, აი შენ მეორე, მესამე, მეოთხე, მეხუთე და ესეც მეექვსე...“ პეხმა კი, თუმცა უბრალო ახალწვეული იყო, მოითხოვა ბატალიონის პატაკზე დამიშვითო. კანცელარიაში მაშინ თავზეხელაღებული ბიჭები ისხდნენ. აიღეს და, დაუწერეს პეხს, რომ იგი იგზავნება ბატალიონის პატაკზე იმ ბაზრობათა გამო, რომლებიც ყოველწლიურად ნიჟნი ბოუსოვაში იმართება. ბატალიონის მეთაური მაშინ მაიორი როგელი იყო. „რაშია საქმე?“ — შეეკითხა იგი პეხს, მან კი, არც აცივა, არც აცხელა, მიახალა: „მაქვს პატივი მოგახსენოთ, ბატონო მაიორო, ნიჟნი ბოუსოვაში წელიწადში ექვსი ბაზრობა იმართება“. მაიორი როგელი წამოხტა, უყვირა პეხს, ფეხები დაუბრახუნა და ბრძანა, დაუყოვნებლივ სამხედრო ჰოსპიტალში გაგზავნეთ გიჟების განყოფილებაშიო. ამ დღიდან მოყოლებული პეხი ისე დაასაწყლეს და გამოალაყეს, რომ იმ ბედშავს ადამიანის სახე მთლად დაეკარგა.

— დიახ, სალდათის აღზრდა იოლი საქმე არ გახლავთ, — თქვა უფროსმა გადამწერმა ვანეკმა მთქნარებით. — სალდათი, რომელიც სამხედრო სამსახურის დროს, არც ერთხელ არ ყოფილა დასჯილი, სალდათი არაა. შეიძლება მშვიდობიანობის დროს ასე იყო, რომ სალდათი, რომელმაც მთელი სამხედრო სამსახური დაუსჯელად მოიხადა, კარგ და სასურველ სასიძოდ ითვლებოდა. ახლა კი ყველაფერი პირიქითაა: ყველაზე უვარგისმა სალდათებმა, რომლებიც მშვიდობიანობის დროს სასჯელს სასჯელზე იხდიდნენ, ომიანობის დროს საუკეთესო მეომრებად გამოიჩინეს თავი. მახსოვს ერთი რიგითი სალდათი მერვე სამარშო ასეულიდან — სალვანუსი. დღე არ გავიდოდა, რომ იგი ერ დაესაჯათ რაიმე დანაშაულისთვის! ყველაფერს კადრულობდა: ამხანაგს უკანასკნელ კრეიცერს მოპარავდა, და სინდისი არ შეაწუხებდა. მაგრამ როცა ბრძოლაში მოხვდა, პირველმა გადაჭრა მავთულხლართი, სამი კაცი ტყვედ წამოიყვანა და ერთს გზაშივე მოუსწრაფა სიცოცხლე ტყვიით — საიმედო არ იყოო. მან დიდი ვერცხლის მედალი მიიღო ჯილდოდ, ორი ვარსკვლავი დააკერეს სამხრეულებზე და, შემდეგში რომ არ ჩამოეხრჩოთ დუკელის უღელტეხილთან, ახლა უკვე ოცეულის მეთაური იქნებოდა. მისი ჩამოხრჩობა კი აუცილებელი იყო. ერთხელ, იმ ბრძოლის შემდეგ, მან თავი გამოიღო, დასაზვერად გამიშვითო. გაუშვეს, მაგრამ მეორე პოლკის პატრულმა მას წაასწრო, როცა იგი ჯიბეებში ხელებს უფათუ-

რებდა ბრძოლის ველზე დახოცილ მებრძოლებს. უპოვეს რვა ცალი საათი და აუარებელი ბეჭედი. ჩამოახრჩვეს ბრიგადის შტაბთან.

— აქედან ჩანს, — შენიშნა შვეიკმა, — ღრმააზროვნად, რომ თვითეულმა ჯარისკაცმა თვითონ უნდა გამოჭედოს თავისი ბედი.

გაისმა ტელეფონის ზარი. ვანეკი მივიდა ტელეფონთან. შეიძლებოდა პორუჩიკ ლუკაშის ხმის გარჩევა, რომელიც ეკითხებოდა, კონსერვების რა ჰქენითო. მერე მოესმა გაცეცხლებული პორუჩიკი როგორ ლანძღავდა ვანეკს.

— არ არის, პანე ობერ-ლეიტენანტ, ერთი ქილაც არ არის, და მე რა ვქნა, — ჩასძახოდა ტელეფონში ვანეკი. — აბა, საიდან უნდა იყოს, ეს მხოლოდ საინტენდანტოს ფანტაზიაა. სულ ტყუილ-უბრალოდ გაიგზავნა იქ ხალხი. მინდოდა თქვენთვის დამერეკა. მე კანტინაში ვიყავი? ვინ გითხრათ? ოფიცერთა სამზარეულოს მისტიკოსმა მზარეულმა? მართალია, მე ნება მივეცი ჩემს თავს იქ შევსულიყავი. იცით, პანე ობერ-ლეიტენანტ, რა უწოდა მისტიკოსმა მზარეულმა კონსერვების ირგვლივ შექმნილ მთელ ამ პანიკას? „არშობილის შიშის ზარი“. არა, პანე ობერ-ლეიტენანტ, გეფიცებით ყველაფერს, სავსებით ფხიზელი ვარ. შვეიკი რას აკეთებსო? იგი აქაა. მიბრძანებთ, მოგგვაროთ ტელეფონთან? შვეიკ, ტელეფონთან! — დაუყვირა ვანეკმა შვეიკს, მერე ჩურჩულით დააყოლა: — „თუ გკითხოს, რანაირ ყოფაში დავბრუნდი, უთხარით — სრულ წესრიგში იყო-თქო“.

შვეიკი ტელეფონთან მივიდა:

— მაქვს პატივი მოგახსენოთ, პანე ობერ-ლეიტენანტ, ტელეფონთან შვეიკი გისმენთ.

— გამიგონეთ, შვეიკ, როგორაა კონსერვების საქმე? ყველაფერი რიგზეა?

— კონსერვები არ არის, პანე ობერ-ლეიტენანტ. მათი ხსენებაც არაა.

— მე მინდა, შვეიკ, სანამ ჩვენ ბანაკში ვართ, დილდილობით ჩემთან გამოცხადდეთ და მიპატაკოთ. როცა აქედან წავალთ, სულ ჩემთან იქნებით. რას აკეთებდით ღამით?

— მთელი ღამე ტელეფონთან ვიჯექი.

— ახალი თუ იყო რამე?

— იყო, პანე ობერ-ლეიტენანტ.

— შვეიკ, ნუ ოინბაზობთ. გადმოსცეს რამე მნიშვნელოვანი, სასწრაფო?

— დიახ, პანე ობერ-ლეიტენანტ, ოღონდ ცხრა საათისთვის.

— მერედა, იმწამსვე რად არ მომახსენეთ?

— არ მინდოდა თქვენი შეწუხება, პანე ობერ-ლეიტენანტ, ამის გულში გავლებაც კი ვერ გავბედე.

— მაშ, მითხარით ბარემ, — დაგწყეველოთ ეშმაკმა! — რა უნდა მოხდეს ცხრა საათზე?!

— ტელეფონოგრამა, პანე ობერ-ლეიტენანტ.

— არ მესმის, რას ამბობთ.

— მე ყველაფერი ჩაწერილი მაქვს, პანე ობერ-ლეიტენანტ. აი, ასეა: მიიღეთ ტელეფონოგრამა. ვინ არის ტელეფონთან?.. არის? წაიკითხე... და ამდაგვარი სხვა რაღაცეები.

—ეშმაკმა წაიღოს თქვენი თავი და ტანი, შვეიკ!.. გადმომეცით ტელეფონოგრამის შინაარსი, თორემ ისე გაგასილაქებთ, რომ... აბა, სწრაფად!

ისევ რაღაც თათბირია პოლკოვნიკთან, პანე ობერ-ლეიტენანტ, დღეს დილის ცხრა საათზე. დავაპირე თქვენი გაღვიძება, მაგრამ მერე გადავიფიქრე.

— აბა ერთი გაგებედათ ჩემი გაღვიძება ამ სისულელისთვის და მაშინ გაჩვენებდით სეირს. ამისთვის დილითაც საკმაოდაა დრო. Wieder eine besprechung der Teufel soll das alles buserieren![1] იხმეთ ტელეფონთან ვანეკი...

— უფროსი გადამწერი ვანეკი გისმენთ ტელეფონთან. Rechnungsfeldwebl Vanek, Herr ober leutnant.[2]

— ვანეკ, დაუყოვნებლივ მომიძებნეთ სხვა დენშჩიკი, იმ გაიძვერა ბალოუნმა ღამით მთელი შოკოლადი შემიჭამა. ბოძზე მივაკრათო? არა, სანიტრად გადავიყვანოთ. მხარბეჭიანია ეგ ოჯახქორი, — დაე, ათრიოს დაჭრილები ბრძოლის ველიდან. მას ახლავე გამოგიგზავნით. მოაწესრიგეთ მთელი ეს საქმე პოლკის კანცელარიაში გადაუდებლად და უმალ დაბრუნდით ასეულში. თქვენის აზრით, მალე დავიძვრებით?

— რა გვაჩქარებს, პანე ობერ-ლეიტენანტ. როცა მეცხრე სამარშო ასეულთან ერთად მივდიოდით, მთელი ოთხი დღე გვაწვალეს. მერვე სამარშო ასეულსაც ასე დაემართა. მხოლოდ მეათეს საქმე წარიმართა ცოტა უკეთ. ჩვენ სრულ საბრძოლო მზადყოფნაში ვიყავით, თორმეტ საათზე ბრძანება მივიღეთ, საღამოთი კი უკვე გზას ვადექით, სამაგიეროდ შემდეგ მთელ უნგრეთში გვაწანწალეს და არ იცოდნენ, სად ჩავეჩხირეთ, რომელ ფრონტზე ეკრათ ჩვენთვის თავი.

მას შემდეგ, რაც პორუჩიკი ლუკაში მეთერთმეტე სამარშო ასეუ-

---

[1] ისევ თათბირი, დალახვროს ეშმაკმა! (გერმ.).

[2] უფროსი გადამწერი ფელდფებელ ვანეკი, ბატონო ობერ-ლეიტენანტ (გერმ.).

ლის მეთაური გახდა, იგი იმ მდგომარეობაში ჩავარდა, რომელსაც სინკრეტიზმი ეწოდება — იმ ფილოსოფიური სისტემის სახელის მიხედვით, რომელიც ცდილობდა მოპირდაპირე ცნებათა შერიგებას კომპრომისის გზით, რაც ერთიმეორის საწინააღმდეგო შეხედულებათა აღრევამდე მიდიოდა.

ამიტომ უპასუხა:

— ჰო, შეიძლება, ეს ასედაცაა. თქვენი აზრით, ჩვენ დღეს არ დავიძვრებით? ცხრა საათზე თათბირია პოლკოვნიკთან. ჰო, მართლა, თქვენ ხომ იცით, რომ მორიგე ხართ? მე ამას ისე გეუბნებით. შემიდგინეთ ერთი... მოიცათ, გავიხსენო, რა უნდა შემიდგინოთ! ჰო, შემიდგინეთ უნტერ-ოფიცრების სია იმის ჩვენებით, თვითეული მათგანი რა დროიდან მსახურობს... მერე, სურსათ-სანოვაგის ნუსხა ასეულისთვის. ეროვნებაო? დიახ, დიახ, ეროვნებაც... და რაც მთავარია, ახალი დენშჩიკი გამომიგზავნეთ. პრაპორშჩიკმა პლეშნერმა დღეს თავის რაზმთან რა უნდა აკეთოსო? მოემზადოს სამგზავროდ. ანგარიშებიო?.. მოვალ ნასადილევს და მოვაწერ ხელს. ქალაქში არავინ გაუშვათ. კანტინაში და ბანაკშიო? ნასადილევს ერთი საათით შეიძლება... დამიძახეთ შვეიკს... შვეიკ, თქვენ ჯერჯერობით დარჩებით ტელეფონთან.

— მაქეს პატივი მოგახსენოთ, პანე ობერ-ლეიტენანტ, მე ჯერ არ დამილევია ყავა.

— მერედა, რაღას უყურებთ, მოიტანეთ ყავა და დარჩით კანცელარიაში ტელეფონთან, სანამ არ დაგიძახებთ. იცით, რას წარმოადგენს ორდინარეცი?

— ორდინარეცი არის ის, ვისაც ათასნაირ საქმეზე არბენინებენ, პანე ობერ-ლეიტენანტ.

— მაშ, ადგილზე იყავით, როცა დაგირეკავთ. მოაგონეთ კიდევ ერთხელ ვანეკს, რომ დენშჩიკი გამომიძებნოს. შვეიკ! ჰალო! სადა ხართ?

— აქა ვარ, პანე ობერ-ლეიტენანტ, ეს-ესაა ყავა შემომიტანეს.

— შვეიკ! ჰალო!

— გისმენთ, პანე ობერ-ლეიტენანტ. ყავა მთლად ცივია.

— შვეიკ, თქვენ კარგად იცით, რა არის დენშჩიკი, გამოელაპარაკეთ მას და მერე მითხარით, რას წარმოადგენს იგი, გამოდგება თუ არა დენშჩიკად. დაკიდეთ ყურმილი.

ვანეკმა შავ ყავაში ჩაისხა რომი ბოთლიდან, რომელსაც ჰქონდა წარწერა „Tinte“ [1]. (ეს წარწერა სიფრთხილის გამო იყო გაკეთებული), მოხვრიპა ერთი-ორჯერ, შეხედა შვეიკს და უთხრა:

[1] მელანი (გერმ.).

— ჩვენი ობერ-ლეიტენანტი ისე ყვირის ტელეფონში, რომ თვითეული მისი სიტყვა მესმოდა. თქვენ, შვეიკ, ჩანს, ძალიან ახლო ხართ ბატონ ობერ-ლეიტენანტთან.

— მე მისი მარჯვენა ხელი ვარ. ხელი ხელს ბანს. რა მახეში არ გავმბულვართ, რა შარს არ გადავკიდებივართ და რამდენჯერ მოინდომეს ჩვენი დაშორება, ჩვენ კი ისევ ვპოულობდით ერთმანეთს. იგი მე ყველაფერში მენდობა. ასეთი ნდობა მეც ძალიან მაკვირვებს. აი, ხომ თქვენი ყურით გესმოდათ, ამ წუთში რა მითხრა, — კიდევ ერთხელ მოაგონეთ უფროს გადამწერ ვანეკს ახალი დენშჩიკი მომინახოსო, მე კი ეს დენშჩიკი უნდა შევამოწმო და ჩემი შეხედულება მოვახსენო. ბატონ ობერ-ლეიტენანტს ყველა დენშჩიკი როდი გამოადგება.

პოლკოვნიკმა შრედერმა თათბირზე სამარშო ბატალიონის ყველა ოფიცერს გამოუძახა. იგი მოუთმენლად ელოდა ამ თათბირს, რომ კიდევ ერთხელ მისცემოდა საშუალება გული ეჯერებინა ლაპარაკით. გარდა ამისა, საჭირო იყო რაიმე გადაწყვეტილების მიღება ნებითგანწესებულ მარეკის საქმეზე, რომელმაც უარი განაცხადა საპირფა-

რეშოების გასუფთავებაზე და როგორც მეამბოხე გადაგზავნილ იქნა პოლკოვნიკ შრედერის მიერ დივიზიის სასამართლოში.

დივიზიის სასამართლოს პატიმართა განყოფილებიდან იგი მხოლოდ გუშინ იყო გადაყვანილი ნაობახტში. ერთდროულად პოლკის კანცელარიაში გადმოგზავნილ იქნა დივიზიის სასამართლოს აბდაუბდა მოწერილობა, რომელშიც ნათქვამი იყო, რომ ამ შემთხვევაში საქმე ამბოხებას არ ეხება, რადგან ნებითგანწესებულნი ვალდებულნი არ არიან საპირფარეშოები ასუფთაონ, მაგრამ მიუხედავად ამისა, ამაში მაინც მჟღავნდება დისციპლინის დარღვევა, და ეს დასაგმობი საქციელი შეიძლება გამოსყიდულ იქნას სამაგალითო სამსახურით ფრონტზე. ამის გამო ბრალდებული ნებითგანწესებული მარეკი იგზავნება კვლავ თავის პოლკში, გამოძიება კი დისციპლინის დარღვევის შესახებ ომის დამთავრებამდე შეჩერდება და კვლავ აღიძერება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ნებითგანწესებული მარეკი ისევ რამეს ჩაიდენს.

კიდევ ერთი საქმე იყო განსახილველი. ერთდროულად ნებითგანწესებულ მარეკთან ერთად დივიზიის სასამართლოს საპატიმრო განყოფილებიდან ნაობახტში გადაყვანილ იქნა ცრუმოსახელე ოცეულის მეთაური ტეველესი, რომელიც ამ ცოტა ხნის წინათ გაჩნდა პოლკში, სადაც გადმოგზავნილ იქნა ზაჰრების საავადმყოფოდან. მას დიდი ვერცხლის მედალი ჰქონდა, ნებითგანწესებულის ნიშანი და სამი ვარსკვლავი. იგი მოუთხრობდა მსმენელებს მეექვსე სამარშო ასეულის გმირობაზე სერბიაში და დასძენდა, რომ ასეულისგან მარტო მე გადავრჩიო. გამოძიებით დადგენილი იყო, რომ მეექვსე სამარშო ასეულთან ერთად ომის დასაწყისში ნამდვილად გაემგზავრა ვილაც ტეველესი, რომელსაც არავითარი ნებითგანწესებულის უფლებები არ ჰქონდა. გამოთხოვილ იქნა ცნობა ბრიგადიდან, რომელზეც მიმაგრებული იყო მეექვსე სამარშო ასეული 1914 წლის 2 დეკემბერს ბელგრადიდან გამოქცევის დროს, და დადგინდა, რომ ვერცხლის მედლით დაჯილდოებულთა და ჯილდოზე წარდგენილთა სიაში არავითარი ტეველესი არ იყო. მაგრამ ბელგრადზე ლაშქრობის დროს ჯარისკაცი ტეველესი ოცეულის მეთაურად მაინც თუ იყო დაწინაურებული — ესეც გაურკვეველი დარჩა, რადგან ბელგრადში წმიდა სავას ეკლესიასთან ბრძოლის შემდეგ მთელი მეექვსე სამარშო ასეული ყველა თავისი ოფიცრით უგზო-უკვლოდ დაიკარგა. დივიზიის სასამართლოში ტეველესი თავს იმართლებდა: ნამდვილად დაპირებული იყვნენ დიდ ვერცხლის მედალს და ამიტომ ეს მედალი ერთი ბოსნიელისგან ვიყიდეო. რაც შეეხება ნებითგანწესებულის ნიშნებს, სიმთვრალეში დავიკერეო და მუდამ თუ ვატარებდი, ეს იმიტომ, რომ

მუდამ მთვრალი ვიყავიო, ვთვრებოდი კი იმიტომ, რომ ჩემი ორ-განიზმი დიზენტერიისგან იყო დასუსტებულიო.

შრედერმა გახსნა კრება, მაგრამ, სანამ ამ ორი საკითხის გან-ხილვას შეუდგებოდა, ხაზგასმით აღნიშნა, რომ ფრონტზე გამგზავ-რების წინ, რომელიც უკვე კარზეა მომდგარი, საჭიროა ხშირ-ხშირად შეეხვედეთ ერთმანეთსო. ბრიგადიდან მაცნობეს, ბრძანებას ველოდე-ბით დივიზიიდანო. სალდათები მუდამ მზად უნდა იყვნენ, და ასეუ-ლის მეთაურები ვალდებულნი არიან ფხიზლად ადევნონ თვალ-ყური იმას, რომ ყველანი ადგილზე იყვნენ. მერე კიდევ ერთხელ გაიმეო-რა ყველაფერი ის, რაც გუშინ ილაპარაკა. მიმოხილვა გაუკეთა სამხედრო ამბებს და მოაგონა დამსწრეთ, რომ ვერაფერმა ვერ უნ-და გასტეხოს არმიის საბრძოლო სულისკვეთება და სიმამაცეო.

მაგიდაზე მის წინ გაშლილ სამხედრო მოქმედებათა რუკაზე ჩამ-წკრივებული უნდა ყოფილიყო ქინძისთავებზე წამოგებული პატარ-პატარა ბაირაღები, მაგრამ ეს ბაირაღები ახლა წაქცეული იყო და ფრონტებმა ადგილმდებარეობა გადაინაცვლეს. ამოძრობილი ქინ-ძისთავიანი ბაირაღები მაგიდის ქვეშაც ეყარა.

სამხედრო მოქმედებათა მთელ ფრონტებზე ღამით დიდი არევ-დარევა შეეტანა ხვად კატას, რომელიც პოლკის გადამწერებს ყავ-დათ კანცელარიაში. კატას მოესაქმა ავსტრია-უნგრეთის ფრონტზე და მერე უნდოდა, ალბათ, თავის განავალზე მიწის წაყრა, მაგრამ ფხვიერი მიწის ნაცვლად თათებში ბაირაღები მოჰყვა; მიფანტ-მო-ფანტა ისინი რუკაზე, განავალით მისვარ-მოსვარა ყველა პოზიცია, შარდით მორწყა ფრონტები და ხიდწინა სიმაგრეები და გააბინძურა არმიის კორპუსები.

პოლკოვნიკი შრედერი ძალზე ბეცი იყო.

სამარშო ბატალიონის ოფიცრები ინტერესით თვალს ადევნებდ-ნენ, პოლკოვნიკ შრედერის თითი როგორ უახლოვდებოდა კატის გა-ნავლის გროვებს.

— გზა ბუგზე, ბატონებო, სოკალზე გავლით მდებარეობს, — წარმოთქვა პოლკოვნიკმა, ვით წინასწარმეტყველმა და სალოკი თი-თი მახსოვრობით კარპატებისკენ გააცოცა, მაგრამ ამ დროს თითით შეიჭრა ერთ-ერთ გროვაში, რომელთა საშუალებით კატა ცდილობ-და სამხედრო მოქმედებათა რუკა რელიეფური გაეხადა.

— Was ist das meine Herren?[1] — გაკვირვებით წამოიძახა მან, როცა იგრძნო, რომ რაღაც მიეწება თითზე.

---

1 ეს რა არის ბატონებო? (გერმ.).

— Wahrscheinlich, Katzendreck, Herr oberst,[1] ყველას მაგივ-ოად უპასუხა მეტად თავაზიანად კაპიტანმა საგნერმა.

პოლკოვნიკი გველნაკბენივით გავარდა მეზობელ კანცელარიაში. საიდანაც გაისმა საშინელი წყევლა-კრულვა და მრისხანე მუქარა. — მთელს კანცელარიას ენით ავალოკვინებ კატის სიბინძურესო.

დაკითხვა მოკლე იყო. გამოირკვა, რომ კატა ორი კვირის წინათ კანცელარიაში მოათრია უმცროსმა გადამწერმა ცვიბელფიშმა. საქ-მის გარკვევის შემდეგ ცვიბელფიშმა აიკრიფა თავისი გუდა-ნაბა-დი და უფროსმა გადამწერმა წაიყვანა იგი ნაობახტში ბატონ პოლ-კოვნიკის შემდგომ განკარგულებამდე.

ამით, ასე ვთქვათ, დამთავრდა თათბირი.

პოლკოვნიკი შრედერი დაბრუნდა ოფიცრებთან სიბრაზისგან მთლად გაწითლებული. მას უკვე აღარ ახსოვდა, რომ თათბირის დღის წესრიგში კიდევ იყო ნებითგანწესებულ მარეკისა და ცრუმო-სახელეს ოცეულის მეთაურის ტეველესის ბედის გადაწყვეტა.

— ვთხოვ ბატონ ოფიცრებს მზად იყვნენ და ელოდნენ ჩემს შემდგომ ბრძანებებსა და ინსტრუქციებს, — მოკლედ წარმოთქვა მან.

ასე დარჩნენ ნაობახტში ნებითგანწესებული მარეკი და ცრუ-

[1] როგორც ჩანს, კატის განავალია, ბატონო პოლკოვნიკო (გერმ.).

მოსახელე ტეველესი და, როცა მათ შემდეგ ცვიბელფიშიც მიემატა, უკვე შეეძლოთ „მარიაში“ შეედგინათ და გართობილიყვნენ, მარიაშის შემდეგ კი თავის ყარაულებს აუხირდებოდნენ ხოლმე, გინდათ თუ არა ჩვენი დოშაკები რწყილებისგან გაასუფთავეთო.

მოგვიანებით მათთან შეაგდეს მეცამეტე სამარშო ასეულის ეფრეიტორი პეროუტკა. როცა ბანაკში ხმა დაირხა, პოზიციებზე მივდივართო, .იმავე საღამოს პეროუტკა სადღაც გაჰქრა და დილით პატრულმა იგი ბრუკაში — „უ ბილე რუეში“ იპოვა. იგი თავს იმართლებდა იმით, რომ ფრონტზე წასვლის წინ მინდოდა ბრუკაში დამეთვალიერებინა გრაფ ჰარახას სახელგანთქმული მინის ქარხანაო. უკან რომ ვბრუნდებოდი, გზა ვერ გავიგნე და მხოლოდ დილით, მთლად ილაჯგაწყვეტილმა, მივაღწიე „ბილე რუეშიო“ (ნამდვილად კი რუეენკასთან ეძინა „ბილე რუეში).

სიტუაცია კვლავ გაურკვეველი დარჩა. დაიძერებოდნენ ფრონტისკენ თუ არა? შვეიკმა მეთერთმეტე სამარშო ასეულის კანცელარიაში ტელეფონით სულ სხვადასხვა მოსაზრებანი მოისმინა. პესიმისტური და ოპტიმისტური. მეთორმეტე სამარშო ასეული ტელეფონით ლაპარაკობდა, თითქოს ვიღაცამ კანცელარიაში გაიგონა, რომ ჯერ წინასწარ მოძრავ სანიშნეზე სროლაში ვარჯიშს ჩავატარებთ და მხოლოდ ამის შემდეგ წავალთო. ამ ოპტიმისტურ შეხედულებას არ იზიარებდა მეცამეტე სამარშო ასეული, რომელიც ტელეფონით გადმოსცემდა, — ეს-ესაა ახლა ქალაქიდან დაბრუნდა კაპრალი ჰავლიკი, რომელმაც ერთი რკინიგზელისგან გაიგო, თითქოს სადგურზე ვაგონები უკვე ჩამოყენებულიაო.

ვანეკმა ბრაზიანად გამოგლიჯა ხელიდან შვეიკს ყურმილი და დაიყვირა, — რკინიგზელებს ინჩი-ბინჩი არ ესმით, მე თვითონ ახლა კანცელარიიდან დავბრუნდიო.

შვეიკი სიამოვნებით მორიგეობდა თავის პოსტზე ტელეფონთან და კითხვებზე „ახალი რა არის?“ უპასუხებდა, — გარკვეულად ჯერ არაფერია ცნობილიო.

ასევე უპასუხა პორუჩიკ ლუკაშის კითხვაზეც:

— ახალი რა არის?

— გარკვეულად ჯერ არაფერია ცნობილი, პანე ობერ-ლეიტენანტ, — სტერეოტიპულად უპასუხა შვეიკმა.

— ვიო! დაკიდე ყურმილი.

მერე გადმოსცეს რამდენიმე ტელეფონოგრამა, რომლებიც მთელ რიგ გაუგებრობათა გადალახვის შემდეგ მიიღო შვეიკმა.

პირველ რიგში გადმოსცეს ის ტელეფონოგრამა, რომელიც ღა-

მით ვერ უკარნახეს, რადგან ყურმილი გადაკიდებული ჰქონდა შვეიკს და მთელი ღამე არხეინად ეძინა.

ეს ტელეფონოგრამა ეხებოდა იმათ სიას, ვისაც ტიფის საწინააღმდეგო ჰქონდა აცრილი და ვისაც არ ჰქონდა აცრილი.

მერე შვეიკმა მიიღო დაგვიანებული ტელეფონოგრამა კონსერვების შესახებ. ეს საკითხი უკვე გუშინ იყო გამორკვეული.

შემდეგ მოვიდა ტელეფონოგრამა პოლკის ყველა ბატალიონის ასეულისა და დანაყოფისადმი.

„ბრიგადის ტელეფონოგრამის № 75692 ასლი. ბრძანება ბრიგადისადმი № 172.

საველე სამზარეულოთა მეურნეობის ანგარიშგების დროს გამოთხოვილი სურსათ-სანოვაგის დასახელებისას დაცულ იქნას შემდეგი თანამიმდევრობა: 1 — ხორცი, 2 — კონსერვები, 3 — ახალი ბოსტნეული, 4 — გამხმარი ბოსტნეული, 5 — ბრინჯი, 6 — მაკარონი, 7 — ბურღული, 8 — კარტოფილი, — ნაცვლად წინანდელი თანმიმდევრობისა: 4 — გამხმარი ბოსტნეული, 5 — ახალი ბოსტნეული“.

როცა შვეიკმა ეს უფროს გადამწერს წაუკითხა, ვანეკმა ზეიმურად განაცხადა, — ასეთ ტელეფონოგრამებს საპირფარეშოში ჰყრიანო.

— ეს, უთუოდ, რომელიმე ყეყეჩმა გამოიგონა, არმიის შტაბებში რომ სხედან, მერე ასეთ სისულელეებს ყველა დივიზიას, ბრიგადას, პოლკს უგზავნიან.

ბოლოს შვეიკმა კიდევ ერთი ტელეფონოგრამა მიიღო, რომელიც ძალზე სწრაფად უკარნახეს და მან მხოლოდ რაღაც შიფრის მაგვარის ჩაწერა მოასწრო ბლოკნოტში: „In der Folge genauer erlaubt gewesen oder das selbst einem hingegen immerhin eingeholet werden [1].“

— ყველაფერი ეს ზედმეტია, — თქვა ვანეკმა, როცა შვეიკმა თავისი ჩანაწერი ხმამაღლა სამჯერ წაიკითხა და თვითონვე გაოცდა, — ეს რა აბდა-უბდა დამიწერიაო. — თავიდან ბოლომდე სისულელეა, თუმცა ეშმაკი არ ხუმრობს! — ვინ იცის, იქნებ დაშიფრული ტელეფონოგრამაა. მაგრამ ასეულში ჩვენ საშიფრო განყოფილება არა გვაქვს. ამიტომ შეგვიძლია ესეც გადავაგდოთ.

— მეც ასე ვფიქრობ, — თქვა შვეიკმა. — მე რომ ბატონ ობერლეიტენანტს მოვახსენო, in der Folge genauer erlaubt gewesen oder das selbst einem hingegen immerhin eingeholet werden, ვფიქრობ, ძალიან გამიჯავრდებოდა.

---

[1] იმისა გამო უფრო ზედმიწევნით ნებადართულია ანდა დამოუკიდებლად პირქით ყველა შემთხვევაში ანაზღაურებულ უნდა იქნას. (გერმ.)

— ზოგიერთი ადამიანი, მე თქვენ გეტყვით, დიდი უკმური და უკარებაა,— განაგრძო შვეიკმა, რომელსაც რაღაც მოაგონდა თავისი თავგადასავლიდან, — ერთხელ ტრამვაით მივდიოდი ვისოჩანიდან პრაღაში; ლიბნეში ვაგონში ამოვიდა ვინმე პან ნოვოტნი და მძღოლის ბაქანზე გაჩერდა. როგორც კი იგი შევიცანი, მივედი მასთან და გავუბი საუბარი, — ჩვენ თანასოფლელები ვართ, ორივე დრაჟოველი-მეთქი, მან კი ღრიალი დამიწყო, თავი გამანებეთ, მე თქვენ არ გიცნობთო. რა არ მოვაგონე, იქნებ გავახსენდე-მეთქი, — პატარა ბიჭი რომ ვიყავი, თქვენთან დავდიოდი, დედათქვენს ანტონია ერქვა, მამათქვენს— პროკოფი; მამა ყარაულად მსახურობდა მამულში-მეთქი. მაგრამ იგი ამის შემდეგაც თავისაზე იდგა, — არ გიცნობთ, და არაო. მაშინ კიდევ უფრო დაწვრილებითი ცნობები მოვუყვანე დასამტკიცებლად: მოვახსენე, რომ დრაჟოვეში ორი ნოვოტნი იყო — ტონდა და იოზეფი, და აი თქვენ სწორედ ის იოზეფი ბრძანდებით-მეთქი; მე დრაჟოვედან მომწერეს თქვენზე, რომ ცოლი მოგიკლავთ, რადგან გამუდმებით სიმთვრალეს გაყვედრიდათ თურმე. ეს ვუთხარი თუ არა, ხელი შემომიქნია, ერთი მაგრად უნდა ელეწნა ჩემთვის სახეში, მაგრამ ავიცდინე, ხელი მოხვდა ვაგონის მძღოლის წინ დიდ მინას და ჩალეწა. რა თქმა უნდა, ჩამოგვსვეს და კომისარიატში წაგვიყვანეს; გამოირკვა, რომ ის კაცი, თურმე, იოზეფ ნოვოტნი კი არ იყო, მონტჰომერელი ედუარდ დაუბრავა გახლდათ ამერიკიდან და აქ ნათესავების მოსანახულებლად ჩამოსულიყო. ამიტომ იყო, ასე ძალიან რომ ითაკილა ყოველივე.

ტელეფონმა შეაწყვეტინა შვეიკს ლაპარაკი, და ვიღაცის ხრინწიანმა ხმამ მეტყვიამფრქვეველთა რაზმიდან იკითხა — მივდივართ თუ არაო? ამის შესახებ დილიდანვე თათბირი მიმდინარეობს პოლკოვნიკთანო.

კარებში გამოჩნდა მკვდარივით ფერდაკარგული კადეტი ბიგლერი, — მთელ ასეულში იმისთანა ბოთე სხვა არავინ იყო; ნებითგანწესებულთა სასწავლო რაზმში ეს ბეყეირათი ცდილობდა თავი გამოეჩინა თავისი ცოდნით, რისთვისაც სასაცილოდ ჰყავდათ აგდებული. ბიგლერმა თავით ანიშნა ვანეკს, დერეფანში გამოდიო. იქ დიდხანს საუბრობდნენ.

ვანეკი დაბრუნდა და ზიზღით გაიღიმა.

— აი შტერი თუ გნებავთ, ეგაა!—უთხრა მან შვეიკს. — კარგი მოუვიდა მაგის ცხვირს, კარგი ვინმე კი გვყავს სამარშო ასეულში! თათბირზე ყოფილა და როცა იშლებოდნენ, ბატონ ობერ-ლეიტენანტს განკარგულება გაუცია, ოცეულის მეთაურებმა შაშხანები შეამოწმონ მთელი სიმკაცრითო. ჰოდა, ბიგლერმა ჩემთან მოირბინა შესაკითხა-

ვად, ხომ არ გავსცე განკარგულება, შეკოჭონ სალდათი ჟლაბეკი იმის გამო, რომ შაშხანა ნავთით გაწმინდაო. — ვანეკი აღელდა. — ასეთ სისულელეზე მეკითხება რჩევას, თუმცა კარგად იცის, რომ პოზიციებზე მივდივართ! ბატონი ობერ-ლეიტენანტი გუშინ სწორად მოიქცა, თავისი დენშჩიკი ბალოუნი რომ გაათავისუფლა. მე იმ ძაღლის ლეკვს, ბიგლერს კიდეც ვუთხარი, მოერიდეთ სალდათების გახელებას-მეთქი.

— რაკი თქვენ დენშჩიკი ახსენეთ, — თქვა შვეიკმა, — ხომ ვერ მეტყოდით, მოუძებნეთ თუ არა ბატონ ობერ-ლეიტენანტს ახალი დენშჩიკი?

— მეტი ჭკუა გამოიჩინეთ, — უპასუხა ვანეკმა, — დრო გვეყოფა. სხვათა შორის, მე ვფიქრობ, რომ ბატონი ობერ-ლეიტენანტი ბალოუნს შეეჩვევა; დრო და დრო, რა თქმა უნდა, ბალოუნი რაღაც-რაღაცეებს შეუსანსლავს, მერე ამის მადაც დაეკარგება, ფრონტზე რომ მოხვდება. იქ ხშირად არც ერთსა და არც მეორეს ლუკმა პურიც არ ექნებათ. როცა მოვახსენებ, რომ ბალოუნი მასთან დარჩა, ვეღარაფერს გააწყობს. ეს ჩემი საზრუნავია, ბატონ ობერ-ლეიტენანტს ეს არ ეხება. მთავარია: არ ვიჩქაროთ! სიჩქარით ქვეყანა არ აშენებულა.

ვანეკი ისევ დაწვა საწოლზე და თქვა:

— შვეიკ, მიამბეთ რომელიმე ანეკდოტი სამხედრო ცხოვრებიდან.

— შეიძლება, — უპასუხა შვეიკმა, — მაგრამ კიდევ ვინმე დაგვირეკავს და არ დაგვაცლიან.

— თქვენც აიღეთ და, გამოთიშეთ ტელეფონი: მოუშვით მავთული, ან გადადევით ყურმილი.

— კეთილი, — თქვა შვეიკმა და გადაკიდა ყურმილი. — გიამბობთ ერთ შემთხვევას, რომელიც ძალიან გავს ჩვენს მდგომარეობას. ოღონდ მაშინ ნამდვილი ომის ნაცვლად მანევრები იყო, პანიკა კი ზუსტად ისეთივე იყო, როგორიც დღეს მოხდა აქ: იმათმაც არ იცოდნენ, როდის გავიდოდნენ ყაზარმებიდან. ჩემთან ერთად მსახურობდა პორეიჩელი შიცი, კარგი ყმაწვილი, ოღონდ მეტისმეტად ღვთისმოშიში და გაუბედავი. ასე წარმოედგინა, რომ მანევრები რაღაც საშინელებაა, წყურვილისგან ადამიანები გზაში ვარდებიან, სანიტრები კი მათ ჩამოცვივნული ხილის ნაყოფივით აგროვებენო. ამიტომ წყალს ზედმეტად სვამდა — მოვიმარაგოო, და როცა ყაზარმებიდან გავედით და მნიშეკს მივაღწიეთ, თქვა: „მე ამას, ბიჭებო, ვერ ავიტან, მხოლოდ ღმერთი თუ მიშველის, თორემ დავიღუპე და ესაააო!“ მერე ჰორეოვიცეში მივედით, იქ ორი დღე დაგვასვენეს, ვინაიდან რაღაც შეცდომა მოხდა, ჩვენ ისე სწრაფად მივდიოდით წინ, რომ მარჯვენა და მარცხენა ფრთიდან მომავალ პოლკებთან თითქმის ერთდროულად კინაღამ ხელში ჩავიგდეთ „მტრის“ შტაბი. მერედა, რარიგ შევრცხვებოდით, რადგან ჩვენს კორპუსს წინასწარი ვარაუდით მარცხი უნდა განეცადა, „მტერს“ კი უნდა გაემარჯვნა, — მასთან ამ დროს რომელიღაც ჯოჯოხეთის მაშხალასავით უშნო ერცჰერცოგი იყო. შიცმა ასეთი ოინი მოაწყო. როცა დავბანაკდით, ადგა და წავიდა ჰორეოვიცეს გადაღმა მდებარე ერთ სოფელში რაღაც-რაღაცეები რომ ეყიდნა თავისთვის; სადილობამ რომ მოატანა, ივი უკან ბანაკში გამობრუნდა. ცხელოდა, თან გვარიანად გადაკრულშიც იყო. გზაში ბოძი დაინახა, ბოძზე მინაჩასმული ყუთი, ყუთში მინის ქვეშ წმიდა იან ნეპომუცკის პაწაწკინტელა ქანდაკება. ილოცა წმიდა იანის წინაშე მუხლმოდრეკილმა და შემდეგ ასე მიმართა: „ვფიქრობ, იან, გცხელა, ურიგო არ იქნებოდა რამე დაგელია. ზედ მზის გულზე ხარ. თუ სულ მუდამ ოფლში ხარ გაწურული?“ შეანჯღრია ‘ალაშქრო მათარა, გადაჰკრა და ეუბნება: „შენც დაგიტოვე ერთი ყლუპი, წმიდაო იან ნეპომუცკი“. მერე ისევ მიიყუდა მათარა და უკანასკნელი წვეთიც კი ამოწუწნა, ასე რომ წმიდა იან ნეპომუცკის აღარაფერი დარჩა. „დედაო ღვთისა! — წამოიძახა შიცმა. — ეს უნდა მაპატიო, წმიდაო იან ნეპომუცკი, ამისთვის სიკეთით გადაგიხდი.

ჩემთან ერთად ბანაკში ჩაგიყვან და ისე გამოგათრობ, რომ ფეხზე ველარ დგებოდე.“ და კეთილმა შიცმა, რომელსაც შეეცოდა წმიდა იან ნეპომუცკი, გაამტვრია მინა, გამოიღო წმიდანის ქანდაკება, ჩაიდო გიმნასტურის გულჯიბეში და ბანაკში წაიღო. მერე წმიდა იან ნეპომუცკის მასთან ერთად ჩალაზე ეძინა. შიცი მას თან ატარებდა ზურგჩანთით ლაშქრობის დროს, და ყოველთვის ბედი წყალობდა ბანქოს თამაშში. სადაც კი დასასვენებლად განვლაგდებოდით, იგი ყოველთვის გვიგებდა კარტში, სანამ პრახენსკოში ჩავიდოდით. დავბინავდით დრაგენიცებში, და რაც აქამდე მოიგო შიცმა, სულ ერთბაშად გაუშვა ხელიდან. როცა დილით გზას გავუდექით, მსხლის ხის ტოტზე მარყუჟში თავგაყრილი წმიდა იან ნეპომუცკი კონწიალობდა. აი, ესეც თქვენ ანეკდოტი. ახლა ჩამოვკიდებ ყურმილს.

და ტელეფონში კვლავ შეიჭრა ბანაკის ნერვიული ცხოვრების მაჯისცემა. სიმშვიდის ჰარმონია დარღვეული იყო.

სწორედ ამ დროს პორუჩიკი ლუკაში სწავლობდა თავის ოთახში პოლკის შტაბიდან ახლახან გადმოცემულ არმიის შიფრს, რომელსაც დართული ჰქონდა გაშიფრვის სახელმძღვანელო, ამავე დროს არჩევდა საიდუმლო დაშიფრულ ბრძანებას იმის შესახებ, რა გზით უნდა წასულიყო სამარშო ბატალიონი ჰალიციის საზღვრისკენ (პირველი ეტაპი).

7217 — 1238 — 475 — 2121 — 35 — მოშონი *
8922 — 375 — 7282 — რაბი *
4432 — 1238 — 7217 — 375 — 8922 — 35 — კომარნო.
7282 — 9299 — 310 — 375 — 7881 — 298 — 475 — 7979 — ბუდაპეშტი.

ეს ციფრები რომ გაშიფრა, პორუჩიკმა ლუკაშმა მძიმედ ამოიხვნეშა:

Der Teufel soll das buserieren. [1]

---

[1] უხეში გერმანული გინება.

შენიშვნები

ნაწილი პირველი

გვ. 5. ქალღმერთის ტაძარი — ქალღმერთ არტემიდას ტაძარი მცირე აზიის ნავსადგურში — ეფესში.

გვ. 5. ჰეროსტრატე — ბერძენი, რომელმაც 356 წ. ახალ წელთაღრიცხვამდე დასწვა არტემიდას ტაძარი ეფესში, რათა ამით გაეთქვა და უკვდავეყო თავისი სახელი ისტორიაში; აქედან ყოველ პატიკმოყვარე ადამიანს, რომელიც სახელის მოსახვეჭად არავითარ საშუალებას, თუნდაც დანაშაულებრივი იყოს ის, არ ერიდება, უწოდებენ ჰეროსტრატს, — ეს სახელი საზოგადო სახელად იქცა.

გვ. 9. ოპოდელდოკი — ქაფურისა და საპნის ხსნარი წმინდა სპირტში.

გვ. 10. ერცჰერცოგი ფერდინანდი (1863—1914) — ფრანც ფერდინანდ ფონ ესტე, ავსტრია-უნგრეთის იმპერატორ ფრანც იოსებ I-ის ბიძაშვილი; მოკლულ იქნა სარაევოში 1914 წლის 28 ივნისს.

იქვე. კონოპიშჩე — ერცჰერცოგ ფრანც ფერდინანდის ციხე-სიმაგრე ჩეხეთში.

იქვე. რას ვემართლებოდით, ბოსნია და ჰერცეგოვინა როგორ წაგართვით. — 1908 წელს ავსტრია-უნგრეთმა შემოიერთა ბოსნია-ჰერცეგოვინა.

გვ. 11. ხომ გახსოვთ, პან ლუკენი, რომელმაც ქლიბი ჩასცა ჩვენს დედოფალ ელისაბედს და მოკლა. — ლუიჯი ლუკენმა 1898 წელს 10 სექტემბერს მოკლა ავსტრიის დედოფალი ელისაბედი (1837—1898), ფრანც იოსებ I-ის მეუღლე.

იქვე. ...რაკი მისი ბიძისგან უკვე დაიწყეს. — შვეიკი სცდება: ფრანც ფერდინანდი ბიძაშვილი იყო და არა ბიძა ფრანც იოსებ I-ის.

იქვე. ...ის კაცი გამოსაფხიზლებლად ხელურმით წაიყვანეს. — ავსტრიის მონარქიის ბატონობის დროს პრაღის ქუჩებიდან მთვრალები გამოსაფხიზლებლად ხელურიკა-კალათით მიპყავდათ.

გვ. 12. იქნებ გახსოვთ კიდეც, პორტუგალიაში როგორ მოკლეს საკუთარი მეფე. — ლისაბონში 1908 წლის 1 თებერვალს მოკლულ იქნა პორტუგალიის მეფე კარლოს I, რომელიც, თურმე, ძალზე მსუქანი იყო.

იქვე. აბა, ერთი წაიკითხეთ ვიქტორ ჰიუგოს ნაწარმოებში, ინგლისელებს რა უპასუხა ნაპოლეონის ძველმა გვარდიამ ვატერლოოს ბრძოლაშიო — ნაპოლეონის გვარდიამ წინადადებაზე იარაღი დაპყარეთო, უპასუხა: Merdel (ნეხვო!) გვარდია კედება, ცოცხალი კი არ ნებდება.

გვ. 13. პ ა ნ კ რ ა ც ი — პოლიტიკურ პატიმართა საპყრობილე, რომელიც პრაღაში, იმავე სახელწოდების რაიონში იყო.

გვ. 15. შ ე ე კ ი ნ ი ლ თ ხ ა ს ა ვ ი თ ვ ე ვ ბ ე ე. — ეს სასჯელი ავსტრია-უნგრეთის არმიაში იყო შემოღებული და შემდეგში მდგომარეობდა: დამნაშავე ჯარისკაცს ხელებსა და ფეხებს ერთმანეთზე მიუკრაკდნენ და ამ მდგომარეობაში ერთი დღე ან მეტხანსაც სტოვებდნენ.

იქვე. ა ხ ა ლ ჩ ე ხ ი — ჩეხური ბურჟუაზიული პარტიის წევრი.

გვ. 17. ...რ ო ც ა კ ო ნ ო პ ი შ ჩ ე ბ ი ... დ ე ვ ბ ა ბ რ ე ბ ს ა წ ი ო ვ ე ბ ე ბ ს, რ ო მ ლ ე ბ ი ც მ ი ს მ ა ბ ე ლ ი ... ფ ი ჩ ხ ს ა ... ს ო ვ ო ს ა ბ ა ვ ე ბ ... ნ ე ნ.

— ერცჰერცოგი ფრანც ფერდინანდი ცნობილი იყო თავისი სიხარბით. იგი სასტიკად ეპყრობოდა მისი ციხე-სიმაგრის მახლობლობაში მცხოვრებ ღატაკ გლეხკაცობას.

გვ. 19. ვ ა ე ი ბ ე ი ლ ი რ უ დ ო ლ ფ ი ს რ ულ ი ა ლ ... ბ ა ზ რ ... ბ ა მ ო უ კ ვ ... ბ ა. — ფრანც იოსების ერთადერთი ეაეი — რუდოლფი გარდაიცვალა 1889 წელს. მიზეზი გაურკვეველი დარჩა.

იქვე. შ ე ბ ... ბ ... ბ ...

გვ. 37. ბ ო ტ ი ჩ ი — ღელე პრაღაში.

იქვე. „ბ ა ნ ზ ე ტ“ — რესტორანი პრაღაში.

გვ. 39. კ ა ლ ე რ ს ო ნ ი დ ა ვ ე ი კ ი ნ გ ი სამედიცინო ლიტერატურაში არ გვხვდება. უთუოდ ჰაშეკმა გამოიგონა ეს გვარები.

იქვე. ე ი შ ე ჰ გ რ ა დ ი ს კ ლ დ ე ს თ ა ნ ვ ლ ტ ა ვ ა ზ ე — ყველაზე ღრმა ადგილი ვლტავაზე.

გვ. 41. წ მ ი დ ა ვ ა ც ლ ა ვ ი. (906 — 929) — ჩეხი მთავარი, ითელებოდა ჩეხეთის პატრონად.

გვ. 42. კ რ კ ო ნ ო შ ე — ჩრდილოეთ-აღმოსავლეთის მთები.

გვ. 46. „ს ა დ ა რ ი ს ჩ ე მ ი ს ა მ შ ო ბ ლ ო“ — ჩეხური პატრიოტული სიმღერა. პირველი მსოფლიო ომის შემდეგ ეს სიმღერა იქცა დამოუკიდებელი ჩეხეთის სახელმწიფო ჰიმნად.

იქვე. გ ე ნ ე რ ა ლ ი ვ ი ნ დ ი შ გ რ ე ც ი — ავსტრიის ჯარების სარდალი, რომელმაც ულმობლად ჩაახშო 1848 წელს რევოლუცია პრაღასა და ვენაში.

იქვე. „ღ მ ე რ თ ო, ფ ა რ ვ ი დ ე შ ე ფ ე ს“ — ძველი ავსტრიის სახელმწიფო ჰიმნი.

იქვე. „მ ი ე დ ი ო დ ი თ ი ა რ ო მ ე რ შ ი“— ჩეხური სალდათური სიმღერა.

გვ. 49. ე შ მ ა კ ს ა ც წ ა უ ღ ი ხ ა რ თ, თ ქ ვ ე მ ა მ ლ ე ბ ო! — ავსტრია-უნგრეთის მონარქიის ბატონობის დროს ჩეხ პოლიციელებს ქუდში გარეკობილი ჰქონდათ მამლის ფრთა.

გვ. 53. ბ ე ნ დ ლ ო ვ კ ა — პრაღის ღამის კაფე.

გვ. 58. ...ე რ თ-ე რ თ მ ა ა მ შ ა ვ-ყ ვ ი თ ე ლ მ ა მ ტ ა ც ე ბ ე ლ მ ა... — ავსტრიის სახელმწიფო ფერებად ითელებოდა შავი და ყვითელი.

გვ. 59. ჰ რ ა დ ჩ ა ნ ი — პრაღის კრემლის — ჰრადას რაიონი.

გვ. 61. ...ე რ თ მ ა კ რ ო ნ მ ა თ ქ ვ ე ნ ი ჭ ი რ ი წ ა ი ღ ო ო... — ზმობა: ჩეხური სიტყვა „კრონი“ ნიშნავს ფულსაც და მეფის გვირგვინსაც: 1. მიზანში ვისროდი, სანამ ერთ კრონს ბოლოს მოვუღებდი; 2. მიზანში ვისროდი, სანამ მეფის გვარეულობის გვირგვინს ბოლოს მოვუღებდი.

გვ. 68. შ ა ვ-ყ ვ ი თ ე ლ ი ა რ წ ი ყ ი — ავსტრია-უნგრეთის მონარქიის გერბი.

იქვე. კ ა ლ ო ს ი — ცნობილი ავსტრიელი საიდუმლო აგენტი პირველ მსოფლიო ომის დროს.

გვ. 71. პ ი ე მ ო ნ ტ ი — იტალიის მთიანეთის მხარე; აქ ამ სიტყვით აღინიშნება იტალიის ჯარი, რომელიც 1859 წელს ინგლისს ებრძოდა.

გვ. 72. ბ რ ძ ო ლ ა ს ო ლ ფ ე რ ი ნ ო ს თ ა ნ — სოლფერინოსთან ბრძოლაში, 1859 წელს ავსტრია დამარცხდა.

გვ. 74. მ უ ც ი უ ს ს ც ე ვ ო ლ ა — ძველი რომაული თქმულების ლეგენდარული ჭაბუკი გმირი, რომელიც შეეცადა მოეკლა ეტრუსების მეფე პორსენა და მისი ჯარებით ალყაშემორტყმული რომი (508 წ. ახალწელთაღრიცხვამდე) ეხსნა განსაცდელისგან. მაგრამ მუციუსი მტრის ბანაკში შეიპყრეს და პორსენამ მაა ცოცხლად დაწვა მიუსაჯა. მუციუსმა სიკვდილისადმი თავისი უშიშროების გამოსახატავად იქვე, სამსხვერპლოზე მოგიზგიზე ცეცხლის ალში შეჰყო მარჯვენა ხელი. ამან ისე განაცვიფრა, თურმე, პორსენა, რომ ბრძანა ტყვე გაეთავისუფლებინათ და ალყაც მოხსნა რომს. ამ დროიდან მუციუსს შეარქვეს სცევოლა, ე. ი. ცაცია, რადგან თავისი გმირობის შემდეგ მან მარჯვენა სამუდამოდ დაკარგა და მხოლოდ მარცხენა ხელიღა შერჩა.

გვ. 74. „პ რ ა გ ე რ ტ ა გ ე ბ ლ ა ტ“ — ბურჟუაზიული გაზეთი. გამოდიოდა პრაღაში გერმანულ ენაზე.

იქვე. „ბ ო ჰ ე მ ი ა“ — გერმანული ნაციონალისტური ბურჟუაზიული გაზეთი. გამოდიოდა პრაღაში.

გვ. 76. ფ ე ლ დ მ ა რ შ ა ლ ი რ ა დ ე ც კ ი (1766 — 1858) — ავსტრიის სარდალი, წარმოშობით ჩეხი.

გვ. 82. შ ვ ა ნ გ ლ ე — სასჯელი, რომელიც შემოღებული იყო ავსტრიის არმიაში: დასასჯელს ხელებით ჰკიდებდნენ ისე, რომ ფეხის თითის წვერებითღა ეხებოდა იატაკს. ამ მდგომარეობაში სტოვებდნენ ერთ საათსა და მეტ ხანსაც.

გვ. 89. ბ ა ბ ი ნ ს კ ი — ჩეხი მძარცველი; ცხოვრობდა XIX საუკ.

გვ. 96. პ რ ი ნ ც ი ე ვ გ ე ნ ი ს ა ვ ო ი ე ლ ი (1663 — 1736) — ავსტრიელი სარდალი, რომელიც იბრძოდა თურქეთის, საფრანგეთის, ბავარიისა და ჰოლანდიის წინააღმდეგ.

გვ. 99. ი ა ო ს ლ ა ვ ე კ ლ ი მ ა და კ ა რ ე ლ ს ლ ა ვ ი ჩ ე კ ი — ეკერ ავსტრიის, მერე ჩეხოსლოვაკიის პოლიციის აგენტები.

გვ. 102. ფ ე ლ დ კ უ რ ა ტ ი — პოლკის ხუცესი ავსტრიის არმიაში; ოფიცრის ხარისხითა და უფლებებით სარგებლობდა.

გვ. 103. მ ი ნ ი ს ტ რ ა ნ ტ ი — ხუცესის მსახური კათოლიკური წირვის შესრულების დროს.

იქვე. მ ა ხ ა რ ი ი. ს. (1864 — 1944) — ცნობილი ჩეხი პოეტი, თავისი მოღვაწეობის დასაწყისში პროგრესულად განწყობილი, თავგამოდებით ებრძოდა კათოლიციზმს, მაგრამ, ერთ-ერთ სტატიაში მან დაიცვა ოლომოუცკის არქიეპისკოპოსი კოპინი.

გვ. 105. „ხ ო რ ცო ბ ა ნ ა“ — ყაზარმული თამაში. ამ თამაშის მონაწილენი რიგრიგობით მთელი ძალითა და ღონით სცემენ ერთმანეთს უკან რბილ ადგილებზე.

გვ. 108. ს ა ლ ე ს ი ე ლ ი ფ რ ა ნ ც ი ს კ ი (ფრანსუა სალსკი (1567—1662) — ქენეველი ეპისკოპოსი. ფრანსუა სალსკის საღმრთო თხზულებებმა გარკვეული როლი შეასრულეს საფრანგეთის ლიტერატურის მხატვრული ფორმის განვითარებაში.

გვ. 109. დ ო რ ი ე ლ ი გ ა მ ა — გამა ძველბერძენთა მუსიკაში.

გვ. 116. ე ი ნ ო პ რ ა დ ი და ლ ი ბ ე ნ ი — რაიონები, განლაგებული პრაღის მოპირდაპირე გარეუბნებში.

იქვე. გ ვ ი რ გ ვ ი ნ ო ს ა ნ ი ე ი რ ი — გაკრცელებული ჩეხური ლანძღვა.

გვ. 123. ნ ა ც ი ო ნ ა ლ-ს ო ც ი ა ლ ი ს ტ ი — ჩეხური წვრილბურჟუაზიული რეაქციული პარტიის წევრი.

გვ. 124. შ ე ვ ა რ დ ე ნ ი — ცნობილი ჩეხური ბურჟუაზიული გიმნასტთა ორგანიზაციის „შევარდენის“ წევრი.

იქვე. „რეპრეზენტიაკ“— ასე ეწოდებოდა პრაღის დემოკრატიულ წრეებში ფეშენებელურ რესტორანს „რეპრეზენტატულ სახლს“.

გვ. 126. შ ლ ა პ ა კ — ჩეხური ხალხური ცეკვა.

გვ. 134. „შ უ ბ ი“— რესტორანი პრაღაში.

გვ. 135. „პ ა ნ ი, მ ო მ ე ც ი თ პ ი რ ვ ე ლ ი კ ლ ა ს ი“, — ფელდკურატს ჰგონია, რომ ეგი მიმართავს საზოგადოებრივ ფასიან საპირფარეშოს დამლაგებელს.

გვ. 139. ...თ ა ვ ი წ ა ა ც ა ლ ე თ, ტ ო მ ა რ ა შ ი ჩ ა ა გ დ ე თ და ე ლ ტ ა ვ ა შ ი გ ა დ ა უ ძ ა ხ ე თ ო...— ფელდკურატს სურდა ჩეხ კათოლიკ წმიდანს ეან

ნეპომუცის დამსგავსებოდა, რომელიც სიკვდილით დასაჯეს, მოკვეთილი თავი ტომარაში გამოკრეს და ელტავაში გადააგდეს.

გვ. 139. თავის ირგვლივ მეძალიან მომიხდებოდა შარავანდედად შემოვლებული ვარსკვლავები. — ფელდკურატს მხედველობაში აქვს ვარსკვლავებით შემკული შარავანდი, რომელსაც კათოლიკური წმიდანების ხატებს უკეთებდნენ.

გვ. 140. გორგონზოლა — იტალიური ყველი.

გვ. 144. დოქტორი ალექსანდრ ბატეკი — აბსტინენციის (თავდაპერილობის, ზომიერების) პროპაგანდისტი.

გვ. 145. ერშოვიცი და ჰრადჩანი — რაიონები, განლაგებული პრაღის მოპირდაპირე უბნებში.

გვ. 147. ზბრასლავი — აგარაკი პრაღის მახლობლად.

გვ. 158. ფარარი — სამრეწველო ხუცესი ჩეხეთსა და სლოვაკიაში; ფარა — სამრევლო ხუცესის სახლი.

გვ. 170. ლურდი — ქალაქი საფრანგეთში; აქ კათოლიკები სალოცავად დადიოდნენ სასწაულმოქმედი წყლის წყაროზე.

გვ. 175. ბოეენა ნემცოვა (1820 — 1862) — დიდი ჩეხი რეალისტ მწერალი ქალი. გარდა მოთხრობებისა, გამოაქვეყნა ჩეხური და სლოვაკური ზღაპრების კრებული.

გვ. 176. კოპაის ბალზამი (მალამო) — მალამო, რომელიც სამკურნალო ზეთებს შეიცავს.

გვ. 178. უფლის სხეულის დღესასწაული — კათოლიკური დღესასწაული, რომელიც აღინიშნება ზაფხულის მიწურულში.

გვ. 202. დუბნო — ქალაქი უკრაინაში, სადაც 1914 — 1915 წლებში სერიოზული ბრძოლები წარმოებდა.

გვ. 203. სოკალი — ქალაქი ჰადიციაში (ახლა ლეოვის ოლქია); ნიში — სერბიის ქალაქი; პიავა — მდინარე იტალიაში.

გვ. 225. ეშენორი — აგარაკი პრაღის მახლობლად.

გვ. 226. ჰალი-ბეი, ალი-ბეი, ენვერ-ფაშა, ჯევად-ფაშა — თურქეთის პოლიტიკოსები და გენერლები, რომლებიც მნიშვნელოვან როლს თამაშობდნენ 1914 — 1918 წლებში.

იქვე. ლიმან ფონ ზანდერსი (ციცე-ადმირალი), უსედონ-ფაშა და ჰოლც-ფაშა (გერმანელი გენერლები) მსახურობდნენ პირველი მსოფლიო ომის დროს თურქეთის არმიაში.

გვ. 228. მაასი და მოზელი — მდინარეები დასავლეთ საფრანგეთში, სადაც 1914 — 1915 წლების ზამთარში გაფთრებული ბრძოლები მიმდინარეობდა.

იქვე. კომბრა-ეევრუ მარშა — ქალაქი ბელგიის ცენტრში.

იქვე. ჰარტმანსვეილერის ლუდსახდელი ქარხანა — იმყოფება სამხრეთ ელზასში.

იქვე. ნადერსბახ უმილპუზ — დაბა ელზასში.

გვ. 229. კლოსტერპეკ — დაბა ფლანდრიაში.

გვ. 244. ზალცბურგი — პროვინცია და ამავე სახელის ქალაქი ავსტრიაში.

გვ. 246. „მანლიპეროვკა" — მანლიპერის სისტემის შაშხანა; გაერცელებული იყო ავსტრიის არმიაში.

გვ. 247. პოეტი ფორორდტი — ავადსახსენებელი გერმანელი უხეირო მოლექსე. პირველი მსოფლიო ომის დროს ხოტბას ასხამდა გერმანულ იმპერიალიზმს, წერდა მილიტარისტული ხასიათის ლექსებს.

გვ. 247. მ ა რ ი ა მ ი ს ხ ა ტ ი (მ ა რ ი ა ნ ს კ ი ო ბ რ ა ზ) — პრაღის ძველ სასტუმროს სახელწოდება.

იქვე. ...მ თ ლ ა დ წ მ ი დ ა პ ა შ ტ ა ლ ი ს ე კ ლ ე ს ი ი ს მ ა თ ხ ო ვ ა რ ი ვ ი თ ა ა. — ერთხელ, პირველ მსოფლიო ომამდე, პოლიციამ დააპატიმრა მათხოვარი, რომელიც მუდამ წმიდა პაშტალის ეკლესიასთან იდგა და მოწყალებას თხოულობდა. იგი სხვა მათხოვრებს ახლო არ აუპანებდა, — ეს თქვენი რაიონი არაა, წადით და თქვენს რაიონში იმათხოვრეთო.

გვ. 248. პ რ შ ი ა კ ი ა ი ა ნ ი ს — ქუჩები პრაღის ცენტრში.

გვ. 252. ნ ა ხ ო დ. — ჩრდილოეთ ჩეხეთის ქალაქი.

გვ. 256. ...ი ი ჩ ი ნ ე ლ ს ტ ა ნ ე კ ს გ ა მ ო დ გ ვ მ უ ლ ი ჰ ქ ო ნ დ ა გ ა მ ო ზ ნ ე ქ ი ლ ი ს ა რ კ ე. — სტანეკი საჩაიეს პატრონი იყო. ვიტრინაში რეკლამისათვის დიდხანს გამოდგმული ჰქონდა გამოზნექილი სარკე.

იქვე. გ რ ე ნ ე ვ ი ლ ი პ რ ა შ ნ ა ბ რ ა ნ ა ს თ ა ნ მ ი ი ს წ რ ა ფ ი ს ს ა ს ე ი რ ნ ო დ...

— ჩეხური სალდათური სიმღერაა, გრენადერების მარში.

იქვე. პ რ ა შ ნ ა ბ რ ა ნ ა — თოფის წამლის კოშკი პრაღის ცენტრში.

გვ. 257. ნ ე კ ა ზ ა ნ კ ა — შესახვევი პრაღის ცენტრში. აქ იყო რამდენიმე ღამის გასართობი სამიკიტნო.

გვ. 259. ც ე რ ე მ ო ნ ი მ ე ი ს ტ ე რ ი დ ო ქ ტ ო რ ი გ უ თ ი — ირჟი სტანისლავ გუტიარკოვსკი, საშუალო სკოლის მასწავლებელი და თავად შაუმბურგ — ლიპეს ოჯახში აღზრდელი; იგი წერდა წიგნებს მოგზაურობათა შესახებ, აგრეთვე მაღალი საზოგადოების მანერებზე.

გვ. 260. ლ ა უ დ ო ვ ი ა — ჰ ო რ ჟ ი ც ო ვ ა (1868 — 1931) — ცნობილი ჩეხი მსახიობი ქალი, რომელიც აგრარული პარტიის „ვენკოვის“ გაზეთში წერდა მაღალი წრის საზოგადოების მანერებზე.

იქვე. ო ლ ღ ა ფ ა ს ტ რ ო ვ ა (დაიბ. 1876) ბეჭდავდა ბურჟუაზიულ გაზეთში „ხალხური პოლიტიკა“ სტატიებს მაღალი საზოგადოების აღზრდის შესახებ.

ნ ა წ ი ლ ი მ ე ო რ ე

გვ. 266. „N e u e F r e i e P r e s s e“ — ვენური ნაციონალისტური გაზეთი.

გვ. 271. შ ტ ი რ ი ა — ავსტრიის პროვინცია.

იქვე. ლ ე ო ბ ე ნ — ავსტრიის ქალაქი.

იქვე. ბ ა რ ი ბ ო რ ი — ქალაქი, პირველი მსოფლიო ომის დამთავრებამდე შედიოდა ავსტრია-უნგრეთში; ახლა იუგოსლავიას ეკუთვნის.

გვ. 289. ა ნ ა ბ ა ზ ი ს ი (ბერძ.). — ლაშქრობა რომელიმე ქვეყანაში. „ანაბაზისი“, გარდა ამისა, — ძველბერძენთა ორი წიგნის სახელწოდებაა: 1. ბერძენ სარდლისა და მწერლის ქსენოფონტეს წიგნის კიროს უმცროსის ლაშქრობის შესახებ და 2. არიანეს წიგნის — ალექსანდრე მაკედონელის ლაშქრობის შესახებ. აქ პაშეკი ირონიულად გადაკვრით ლაპარაკობს ჩეხოსლოვაკელთა ლეგიონების რეაქციულ ლაშქრობაზე ციმბირში. ამ ლაშქრობას ჩეხმა ნაციონალისტმა მწერლებმა „ციმბირის ანაბაზისი“ უწოდეს.

გვ. 289. ...ფ ლ ო რ ი ა ნ ი ს უ კ ა ნ... — ესე იგი წმიდა ფლორიანის ქანდაკების უკან; წმიდა ფლორიანი ხანძრისგან დამცველად ითვლებოდა. მრავალ ჩეხურ სოფელში იდგა მისი ქანდაკება, — წმიდანი წყლით აქრობდა ხანძარს.

გვ. 298. ...ფ უ, შ ე მ უ დ რ ე გ ო, შ ე ნ ა, დ ა გ ვ ა ი რ დ ი დ ა ვ ე გ ვ ი რ-

გ.ვ ი ნ დ ე ბ ი ო, შ ე ა ს რ უ ლ ე, რ ა ღ ა, შ ე ნ ი ს ი ტ ყ ვ ა. — ფრანც იოსებმა ზეიმურად აღუთქვა ჩეხ ხალხს, რომ ჩეხეთის მეფედ ეკურთხებოდა, რასაც ავსტრია უნგრეთის ყველა იმპერატორი უკლებლივ ასრულებდა. ფრანც იოსებმა ეს დაპირება არ შეასრულა.

გვ. 299. ლ ა ნ ი — ჩეხეთის ტყიანი მიდამო.

გვ. 300. ლ ი ბ ნ ი ც ე — ჩეხეთის სამხრეთ-აღმოსავლეთით მდებარე ამ პატარა ქალაქში თავისი სიცოცხლის უკანასკნელი წლები გაატარა იაროსლავ პაშეკმა; ლოგინად ჩაკარდნილი მწერალი კარნახობდა აქ თავისი რომანის „ყოჩაღ ჯარისკაც შვეიკის თავგადასავალის“ უკანასკნელ თაეებს, და აქვეა იგი დაკრძალული.

გვ. 311. „ს ტ ა რ ე ი პ რ ო ხ ა ზ კ ა“. — ჩეხებმა იმპერატორ ფრანც იოსებს „პროხაზკა“ შეარქვეს, რაც „მოყიალეს“ ნიშნავს.

გვ. 319. კ ო ნ ტ უ შ ო ვ კ ა — პოლონური მაგარი ტკბილი არაყი.

გვ. 321. ნ ი კ ო ლ ა ი ნ ი კ ო ლ ა ე ვ ი ჩ ი — დიდი მთავარი, პირველი იმპერიალისტური ომის დასაწყისში რუსეთის ჯარების მთავარსარდალი იყო.

იქვე. პ რ შ ე რ ო ვ ე — ქალაქი მორავიაში.

გვ. 322. შ ო ნ ბ რ უ ნ ი — სასახლე ვენაში, ავსტრიის იმპერატორთა რეზიდენცია.

გვ. 323. მ ა რ ი ა ს კ ო ჩ ი ც კ ა — ღვთისმშობლის ხატი, რომელსაც თაყვანს სცემდნენ კათოლიკეები.

გვ. 327. ფ რ ა ნ ტ ი შ ე კ პ ა ლ ა ც კ ი — (1798 — 1876) — XIX საუკ. უდიდესი ჩეხი ისტორიკოსი; პრაღაში ძეგლი აქვს აგებული.

გვ. 332. „ჩ ე რ ტ“ — ძალზე მაგარი ნაყენი.

გვ. 335. პ ა პ ი ს პ რ ე ლ ა ტ ი — უზენაესი კათოლიკური სასულიერო წარნინებული პიროვნების წოდება; პაპის კურიის დროს კარისკაცის თანამდებობა ეკავა.

გვ. 341. პ რ ო ფ ო ს ი — ციხის ზედამხედველი.

გვ. 342. მ ა ლ ი შ ე — მდინარე, რომელიც ერთვის მდინარე ვლტავას ქალაქ ჩესკე ბუდეიოვიცესთან.

გვ. 344. „მ ე შ ხ ნ ს კ ა ბ ე ს ე დ ა“ — ძველებური ჩეხური რესტორანი.

გვ. 345. M o r i t u r i t e s a l u t a n t C a e s a r (ლათ.) „სასიკვდილოდ განწირულნი გესალმებიან შენ, კეისარ! — ასეთი შეძახილით მიმართავდნენ გლადიატორები ცირკში რომის იმპერატორს.

გვ. 346. შ უ მ ა ვ ა — მთაგრეხილი ჩეხეთის სამხრეთ-დასავლეთით.

გვ. 348. S i g n u m l a u d i s (ლათ.) — შექების ნიშანი, წარჩინების პირველი საფეხური, რომელიც მიეკუთვნებოდა ავსტრიის არმიის ოფიცრებს.

იქვე. წ მ ი დ ა ა გ ნ ე ს ა — გადმოცემით, წმიდა აგნესა ეხმარებოდა ღატაკებს.

გვ. 349. ...პ უ შ კ ი ნ ი ს ბ ი ძ ი ს დ ღ ე შ ი ა. — ნებითგანწესებული შეცდომით აწერს ონეგინის აზრს თავისი ბიძის შესახებ თვით პუშკინს.

გვ. 350. კ ო ნ ი ი — პირველი მსოფლიო ომის დროს ჩეხი გამომცემელი.

გვ. 352. ჰ ე ი ნ ბ უ რ გ ი ს ი ო ნ ე კ ერ თ ა ს ა ს წ ა ვ ლ ე ბ ე ლ ი — სამხედრო სკოლა ავსტრიაში, რომელიც უშვებდა მესანგრეთა ნაწილების ოფიცრებს.

გვ. 353. ფ ე ლ დ მ ა რ შ ა ლ ი კ ო ნ რ ა დ ფ ო ნ ჰ ე ტ ც ე ნ დ ო რ ფ ი. — ავსტრია-უნგრეთის მონარქიის გენერალური შტაბის უფროსი პირველი მსოფლიო ომის დროს.

იქვე. შ ტ ა ნ გ ლ ი — ხუნდები. პატიმრის მარჯვენა ხელს მოკლე ჯაჭვით მის მარცხენა ფეხს მიაკრავდნენ. ასე შეკოპილ ჯარისკაცს დიდი ხნით სტოვებდნენ საკანში.

იქვე. ჩვენი უმაღლესი მთავარსარდალი. — ავსტრია-უნგრეთის ჯარების უმაღლეს მთავარსარდლად ითვლებოდა იმპერატორი ფრანც იოსებ I.

გვ. 355. ...სწორედ ამ დროს პარლამენტში უნდა დამტკიცებულიყო კანონპროექტი სამხედრო ვალდებულების შესახებ. — ავსტრიის პარლამენტში წარმოდგენილი იყო საკმაოდ ძლიერი ჩეხური ოპოზიცია, და ჩეხების წინააღმდეგ შოვინისტური გამოხდომები შეიძლებოდა იმით დამთავრებულიყო, რომ ოპოზიციას მხარი არ დაეჭირა ამ კანონპროექტისათვის და ჩაეფუშა ის.

გვ. 360. „ჩესკა ბესედა“ — ჩეხური პატრიოტული საზოგადოება, ჩამოყალიბებული XIX საუკუნეში.

იქვე. რუდოლფინუმ — სახლი, რომელიც აშენებული იყო პრაღაში 1800 წელს პრინც რუდოლფის პატივსაცემად. პირველი მსოფლიო ომის დროს აქ ეწყობოდა ლექციები, გამოფენები და კონცერტები. პირველი რესპუბლიკის წლებში ამ სახლში პარლამენტი იყო. 1945 წლიდან აქ არის „ხელოვნების მოღვაწეთა სახლი“.

გვ. 364. ...შაბაცის დღეებისა. — 1914 წელს ავსტრიის ჯარებმა სამჯერ მიალწიეს სერბიის ქალაქს შაბაცს, რომელიც მდ. სავაზე მდებარეობს. მაგრამ ყოველთვის არა მარტო უკუაქცევდნენ ავსტრიელებს ამ ქალაქიდან, არამედ სერბიიდანაც ერეკებოდნენ.

გვ. 370. მოსტნა ლიტავე — ქალაქი ჩეხეთში. 1914 წელს საზღვარი ავსტრიისა და უნგრეთს შორის გადიოდა მდინარე ლეიტეზე და ქალაქის მარჯვენა ნაწილი ატარებდა უნგრულ სახელწოდებას კირალიჰიდეს. გერმანულად ეწოდებოდა: ბრუკ ნად ლეიტე.

გვ. 371. შტეანიცა — კუნძული მდინარე ელტავაზე პრაღაში. აქ ჩეეელებრივ იმართებოდა ბაზრობის დროს გართობანი.

იქვე. „ლადა“ — წვრილბურჟუაზიული ჟურნალი.

იქვე. კატერჟინკა — პრაღაში ცნობილი ფსიქიატრიული საავადმყოფო

გვ. 384. ჟურნალი „ცხოველთა სამყარო“ — ჯერ კოლინაში გამოდიოდა, მერე — პრაღაში; მისი გამომცემელი იყო ფუქსი. ცოტა ხანს ამ ჟურნალის რედაქტორი ჰაშეკიც იყო. რასაც ნებითგანწესებული მარკა გეიამბობს. თითქმის ყველაფერი ნამდვილი ამბავია, რაც ჰაშეკს შეემთხვა.

გვ. 388. „ვერემია“ — „სახალხო“ პარტიის ანუ „რეალისტების“ პარტიის გაზეთი.

იქვე. „ჩეხ“ — ჩეხეთის კათოლიკური პარტიის მარჯვენა ფრთის რეაქციული გაზეთი.

იქვე. პოდკრკონოშე — მთაგრეხილ კრკონოშეს მთის ძირი.

იქვე. ...მუხაზე შემომჯდარ ფრინველს. — ჟურნალ „ცხოველთა სამყაროში“ გამოქვეყნებული იყო ჰაშეკის სტატია, რომელშიც იგი აღწერდა ფრინველს სახელწოდებით „რკოანა“ — სიტყვასიტყვითი თარგმანი გერმანულს

„Eichelhöher“. კადლაჩაკი მართალი იყო, როცა ამტკიცებდა, რომ ფრინველი Eichelhöher ჩეხურად არც „კაკლიანაა“, არც „რკოანა“, არამედ „ჩხიკვია“.

გვ. 397. „პ ა ტ ა რ ა მ კ ი თ ხ ე ე ლ ი“ — ჩეხური ჟურნალი მოსწავლეთათვის.

იქვე. ი ა ნ შ ტ ე ი ნ ბ ა (1880 — 1925) — XX საუკუნის ერთ-ერთი უდიდესი ჩეხი მოქანდაკე.

გვ. 403. მ ე რ ე ი გ ი ს ი კ ვ დ ი ლ ი თ დ ა ს ა ჯ ე ს რ ა ღ ა ც პ რ ა გ მ ა ტ უ ლ ი ს ა ნ ქ ც ი ი ს ა თ ვ ი ს. — იმპერატორმა კარლ VI-მ, რომელსაც არ ყავდა ვაჟიშვილი — მემკვიდრე თავისი ტახტისა, 1713 წელს გამოსცა სიგელი; ამ სიგელის თანახმად ჰაბსბურგების მიწები მემკვიდრეობით გადადიოდა ჰაბსბურგების დინასტიის მამრობითი სქესის პირველ პიროვნებაზე, რომელიც კი მომავალში დაიბადებოდა. თუ მამრობითი სქესის მემკვიდრე არ გაჩნდებოდა, მემკვიდრეობა გადადიოდა ჰაბსბურგების გვარეულობის მდედრობით სქესზე. კარლ VI-ის გარდაცვალების შემდეგ (1740 წ.) ამ პრაგმატული სანქციის თანახმად დედოფლად ტახტზე ავიდა კარლის ქალიშვილი მარია ტერეზა. პრაგმატული სანქციის მტრები — კარლ ალბერტ ბავარიელი, ესპანეთის მეფე ფილიპე V და პრუსიის მეფე ფრიდრიხი — მრავალი წლის განმავლობაში ეწეოდნენ ომს მარია ტერეზას წინააღმდეგ. მოყვანილ შემთხვევაში ავსტრიელმა მოსამართლეებმა კარლ VI-ის პრაგმატული სანქცია აურიეს ფილოსოფიურ პრაგმატიზმში: სწორედ ფილოსოფიური პრაგმატიზმის მომხრე იყო მენახშირე ფრანტიშეკ შკვორი, რამდენადაც ეს შეგვიძლია დავასკვნათ მისი სიტყვებიდან: „დე იყოს ასე რაც იყო“...

გვ. 406. ი ს ა ვ ი — ისაკის შვილი, რომელმაც თავისი პირველშობილობა ესპის შეეამადში გაუცვალა იაკობს. ისავი, გადმოცემით, მწითური და ბანჯგვლიანი იყო, თითქოს ღაწლის შალში იყო გახვეული.

იქვე. „კ უ რ ი ე რ“ — რეაქციული მიმართულების პრაღის ილუსტრირებული ჟურნალი, სადაც იბეჭდებოდა სურათები ჩხუბზე, მკვლელობაზე და ა. შ. სათანადო ახსნა-განმარტებებით.

გვ. 414. ტ რ ა ფ ი კ ა — პატარა დუქანი, სადაც იყიდება საფოსტო და საღერბო მარკები, პაპიროსი და თამბაქო. ავსტრია-უნგრეთში სახელმწიფო მონოპოლია არსებობდა თამბაქოსა და სხვ. ტრაფიკზე კონცესია, ამ თავისებურ პენსიაზე ეძლეოდა ხეიბრებს, ჯარისკაცების ცოლებს, ქვრივებსა და ა. შ.

გვ. 418. ც ი ს ლ ა ი ტ ა ნ ი ა — მდინარე ლიტავის, ანუ ლეიტის ამიერ (ცის — ლათ. — ამიერ). მხარეს მდებარე ტერიტორია, ესე იგი ავსტრია. ტრანსლაიტანია — მდინარე ლიტავის იმიერ (ტრანს — ლათ. — იმიერ) მხარეს მდებარე ტერიტორია, ესე იგი უნგრეთი.

გვ. 420. დ რ ი ნ ა — მდინარე საავს შენაკადი; გამოჰყოფს ბოსნიას სერბიისგან. დრინა და სავა ავსტრიელებმა 1914 და 1915 წლებში ოთხჯერ გადალახეს და სერბიაში შეიჭრნენ.

ბ ე ლ ა ჰ ო რ ა. — აქ 1620 წელს მოხდა ისტორიული ბრძოლა ჩეხებისა და ჯვაროსნების. ბელა ჰორაზე ჩეხები დამარცხდნენ, რის შემდეგ მთელ ჩეხეთში

ჰაბსბურგების სასტიკმა რეაქციამ გაიდგა ფესვები. ჰაბსბურგების ბატონობა სამას წელიწადს გრძელდებოდა.

„ჟიდოვსკი პეჩი“ — ტიალი ადგილი პრაღის გარეუბანში.

ვრხლიცკი (1853 — 1912) — გამოჩენილი ჩეხი პოეტი.

გვ. 442. „პესტერ ლოიდ“ — ბურჟუაზიული გაზეთი, გამოდიოდა ბუდაპეშტში.

გვ. 444. წმიდა სტეფანეს გვირგვინის სამფლობელო — იგულისხმება უნგრეთი.

იქვე. „პეშტი ჰირლაპ“ — უნგრეთის ნაციონალისტური ბურჟუაზიის გაზეთი, გამოდიოდა უნგრეთში.

იქვე. „შოპრონი — ნაპლო“ — უნგრეთის ბურჟუაზიული გაზეთი, გამოდიოდა ქალაქ შოპრონში.

გვ. 445. თუთიყუშის პოლკი — ოთხმოცდამეთერთმეტე პოლკის შერქმეული სახელი; ეს სახელი შეერქვა, რადგან ამ პოლკის ფორმის დამახასიათებელი იყო მწვანე ყაითნის დანაკერები.

იქვე. პრესბურგი — სლოვაკიის ახლანდელი დედაქალაქის ბრატისლავას გერმანული სახელწოდება.

გვ. 446. კომარნო — ქალაქი უნგრეთში; პირველი მსოფლიო ომის შემდეგ შეავიდა ჩეხოსლოვაკიის შემადგენლობაში.

გვ. 447. დოიჩმაისტერი — პრივილეგირებული მეოთხე ქვეითი პოლკის ჯარისკაცები და ოფიცრები.

გვ. 448. ეგერ — ჩრდილოეთ უნგრეთის ქალაქი.

გვ. 451. ბოჰნიცე — პრაღის რაიონი, სადაც სულით ავადმყოფთა საოლქო საავადმყოფოა მოთავსებული.

გვ. 452. „Wir kennen uns're pappenheimer!“—სხარტული სიტყვა, რომელიც გავრცელებულია გერმანელებში. აღებულია ფ. შილერის ტრილოგიიდან „ვალენშტეინი“. პაპენჰეიმერელები — გენერალ პაპენჰეიმერის კავალერია იყო. სიტყვასიტყვითი აზრი ამ ფრაზისა შემდეგია: „ჩვენ ვიცნობთ ჩვენს ჯარისკაცებს!“ გადატანითი: „გიცნობთ რა შვილიცა ბრძანდებით!“

გვ. 456. პაელა მოუდრაია (1861 — 1936) — ჩეხი მწერალი ქალი.

გვ. 457. კარტოუზი — დიდი საპყრობილე ჩეხეთის ქალაქ იინჩინის მახლობლად.

იქვე. „ფლეკუ“ — ძველებური, დიდად პოპულარული სალუდე პრაღაში.

გვ. 464. ალექსანდრე ჰუმბოლდტი (1769 — 1859) — ცნობილი გერმანელი ბუნებისმეტყველი.

გვ. 469. კრკონოშ — მითიური არსება, მთის სული, რომელიც ბინადრობს კრკონოშის (ბუმბერაზულ) მთებში.

გვ. 473. ნეიზიდლერის ტბა — უნგრეთშია.

გვ. 475. დუკლა — დუკელის უღელტეხილი კარპატებში, სადაც პირველ

მსოფლიო ომში დიდი ბრძოლები მიმდინარეობდა; აქ მთელი ოცდამერვე ჩეხეთის ქვეითი პოლკი ტყვედ ჩაბარდა რუსებს.

გვ. 482. „უ მ ი ლ ო ს ე რ დ ნ ი ხ ი“ — ერთ-ერთი ყველაზე დიდი და ყველაზე უკეთესი საავადმყოფო პრაღაში; აქ მომსახურებას უწევდნენ ავადმყოფებს ორდენ „მოწყალების ძმების“ კათოლიკე ბერები.

გვ. 490. კ ა ნ ტ ი ნ ა — სამხედრო ნაწილის, ფაბრიკის და ა. შ. საჩაიე.

გვ. 495. კ ა რ მ ა — ბედისწერით ნაწინასწარმეტყველევი მომავალი ამბები.

გვ. 497. კ რ ა მ ა რ ჟ, შ ე ი ნ ე რ და კ ლ ო ფ ა ჩ — ბურჟუაზიული პარტიების ჩეხი პოლიტიკური მოღვაწეები; კრამარჟი და შეინერი—ნაციონალ-დემოკრატების ლიდერები იყვნენ, კლოფაჩი — ჩეხ ნაციონალ-სოციალისტების ლიდერი.

გვ. 505. ც ი ო ტ რ ი თ ხ ე ბ ი — ღვთის მლოცველი ბანჭია ქალების შერქმეული სახელი.

გვ. 521. მ ო შ ო ნ ი — ქალაქი დასავლეთ უნგრეთში.

იქვე. რ ა ბ ი — რკინიგზის სადგური ბუდაპეშტიდან აღმოსავლეთით.

შინაარსი

წინასიტყვაობა 5

ნაწილი პირველი

ზურგში

თავი I. როგორ შედგა ფეხი ყოჩაღმა ჯარისკაცმა შვეიკმა მსოფლიო ომში 9
თავი II. ყოჩაღი ჯარისკაცი შვეიკი საპოლიციო სამმართველოში 22
თავი III. შვეიკი სასამართლოს ექიმების წინაშე . 33
თავი IV. როგორ გამოაძევეს შვეიკი საგიჟეთიდან . . 41
თავი V. შვეიკი პოლიციის კომისარიატში სალმოვეს ქუჩაზე . . . 48
თავი VI. შვეიკმა გაარღვია მოჯადოებული წრე და ისევ შინ აღმოჩნდა 57
თავი VII. შვეიკი ომში მიდის 70
თავი VIII. შვეიკი — სიმულანტი 78
თავი IX. შვეიკი საგარნიზონო ციხეში 98
თავი X. შვეიკი — ფელდკურატის დენშჩიკი . . 121
თავი XI. შვეიკი და ფელდკურატი საველე წირვა-ლოცვის გადასახდელად მიდიან 152
თავი XII. რელიგიური პაექრობა 164
თავი XIII. შვეიკი ზეთის კურთხევაზე მიდის 173
თავი XIV. შვეიკი — პორუჩიკ ლუკაშის დენშჩიკი 191
თავი XV. დიდი მარცხი 244

ბოლოსიტყვაობა პირველი ნაწილისა

„ზურგში" 259

ნაწილი მეორე

ფრონტზე

თავი I. შვეიკის ფათერაკი მატარებელში 265
თავი II. შვეიკის ბუდეიოვიცეს ანაბაზისი 290
თავი III. შვეიკის თავგადასავალი კირილიპოდეში . 370
თავი IV. ახალი ტანჯვა-წამებანი . 441
თავი V. მოსტ ნა ლიტავადან სოკალში . . 469
შენიშვნები პირველი ორი ნაწილისა 522

რედაქტორი ნ. შველიძე
გამომც. რედაქტორი ც. ბუაჩიძე
ილუსტრაციები შესრულებულია
ჩეხი მხატვრის ი. ლადახ მიერ
გაფორმება — მხატვარ გ. გორდელაძისა
მხატვრული რედაქტორი ჯ. ყავლაშვილი
ტექრედაქტორი ზ. ხუნდაძე
კორექტორები: ა. არობელიძე, პ. ღელეყვა

ხელმოწერილია დასაბეჭდად 1/IV-60 წ. ქაღალ-
დის ზომა 60×92 1/16. სააღრ.-საგამომც. თაბა-
ბახი 28,76. საავტორო თაბახი 28,29. ნაბეჭდი
თაბახი 33,5.
ტირაჟი 10.000. შეკვ. № 480.

ფასი 16 მან.

ფასი 1961 წ. 1-ლი იანვრიდან 1 მ. 60 კ.

საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს
მთავარპოლიგრაფგამომცემლობის ბეჭდვითი სიტყვის
კომბინატი. თბილისი, მარჯანიშვილის ქ. 5.

■

Комбинат печати Главполиграфиздата
Министерства культуры Грузинской ССР
Тбилиси, ул. Марджанишвили, 5.

Ярослав Гашек
Похождения бравого солдата Швейка
(На грузинском языке)
Государственное издательство
«Сабчота Сакартвело»
Тбилиси
1960